

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი



**Tbilisi Ivane Javakhishvili State University
Arnold Chikobava Institute of Linguistics**

Arn. Chikobava

Works

XI

• •

XI

Tbilisi 2016

არნოლდ ჩიქობავა

შრემები

XI

თბილისი
2016

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო ს ა ბ ჯ ო

ი. აბდულაევი (მაჰაჩყალა), **ა. აბრეგოვი** (მაიკოპი), **ლ. აზმაიფარაშვილი** (სწავლული მდივანი, თბილისი), **შ. აფრიდონიძე** (თბილისი), **ბ. ბერსიროვი** (მაიკოპი), **თ. გამყრელიძე** (თბილისი), **გ. გოგოლაშვილი** (თავმჯდომარე, თბილისი), **ტ. გურიევი** (ვლადიკავკაზი), **კ. ვამლინგი** (შვედეთი), **ხ. თაოვი** (ნალჩიკი), **ა. თიშაევი** (გროზნო), **ნ. მაჭავარიანი** (თბილისი), **მ. ი. მაჭომედოვი** (მაჰაჩყალა), **ე. ოსიძე** (თბილისი), **ს. პაზოვი** (კარაჩაევსკი), **თ. უთურგაიძე** (თბილისი), **ბ. უტიე** (საფრანგეთი), **ი. ჩანტლაძე** (თბილისი), **ლ. ჭკადუა** (სოხუმი), **ზ. ჭუმბურიძე** (თბილისი), **ა. ხალიდოვი** (გროზნო), **რ. ჯანაშია** (თბილისი), **ა. ჰარისი** (აშშ)

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

ა. არაბული, **ც. ბარამიძე**, **გ. კვარაცხელია**, **მ. სუნიშვილი**,

ვ. შენგელია (მთავარი რედაქტორი), **მ. ჩუხუა**

ტომის რედაქტორი **ლ. აზმაიფარაშვილი**

Editorial Council

I. Abdulaev (Makhachkala), **A. Abregov** (Maikop), **Sh. Apridonidze** (Tbilisi), **L. Azmaiparashvili** (Scientific Secretary, Tbilisi), **B. Bersirov** (Maikop), **I. Chantladze** (Tbilisi), **Th. Gamkrelidze** (Tbilisi), **G. Gogolashvili** (Chairman, Tbilisi), **T. Guriev** (Vladikavkaz), **A. Harris** (USA), **R. Janashia** (Tbilisi), **A. Khalidov** (Grozny), **M. I. Magomedov** (Makhachkala), **N. Matchavariani** (Tbilisi), **E. Osidze** (Tbilisi), **B. Outtier** (France), **S. Pazov** (Karachaevsk), **Kh. Taov** (Nalchik), **L. Tchkadua** (Sokhumi), **Z. Tchumburidze** (Tbilisi), **A. Timaev** (Grozny), **T. Uturgaidze** (Tbilisi), **K. Vamling** (Sweden)

Editorial Board

A. Arabuli, **Ts. Baramidze**, **M. Chukhua**, **G. Kvaratskhelia**,

V. Shengelia (Editor-in-chief), **M. Sukhishvili**

Editor of the volume **L. Azmaiparashvili**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN (მრავალტომეული)

ISBN (ტომი XI)

არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე

ხუნძური ენა

Arn. Chikobava, I. Tsertsvadze

· , ·

AVAR LANGUAGE

წინასიტყვაობა

1. წინამდებარე შრომა — „ხუნძური ენა“ ერთი იმ საუნივერსიტეტო კურსთაგანია, რომელთაც მთის იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ამუშავებს კავკასიურ ენათა კათედრა.

ხუნძური ენის კურსი ჩვენს უნივერსიტეტში იკითხება 1936 წლიდან (1944 წლამდე კითხულობდა არნ. ჩიქობავა, 1944 წლიდან მოყოლებული კითხულობს ილ. ცერცვაძე).

საუნივერსიტეტო კურსმა უნდა მოგვცეს ენის მეცნიერული ანალიზი, ე. ი. ფონეტიკური სისტემის, გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის ძირითად ჯგუფთა ანალიზი.

2. ცოცხალი ენის მეცნიერული ანალიზი (მით უფრო, თუ ეს ენა ახალ-სამწერლოა, და ხუნძური ენა სწორედ ასეთია) უცილობლად მოითხოვს დიალექტურ მონაცემთა გათვალისწინებას.

ხუნძური ენა კილო-თქმებით მდიდარია; მასში გამოიყოფა სამი ძირითადი დიალექტი და ერთიც — გარდამავალი, სახელდობრ: ა) 1. ჩრდილოური ანუ ხუნძახური, ბ) სამხრული: 2. ანწუხური და 3. ჭარული; 4. გარდამავალი — ჩრდილოურსა და სამხრულს შორის — ჰიდურ-ანდალალურ-ყარახული თქმების სახით (თქმებით მდიდარია ხუნძახურიცა და ანწუხურიც).

ხუნძური ენის შესწავლა დაიწყო ჩრდილო დიალექტიდან: ჩრდილოური მასალის ანალიზი დაედო საფუძვლად ა. შიფნერის შრომას „ცდა ხუნძურის შესახებ“ („Versuch über das Awarische“, 1862 წ.); ჩრდილო-ხუნძურის მასალას იკვლევს პ. უსლარის ცნობილი მონოგრაფიაც „ხუნძური ენა“ („...“, 1863 წ.): უსლარის თანამშრომელი, ხუნძი აიდემირი, იყო სოფ. ჭირკეიდან (აიდემირ ჭირკეელი), აული ჭირკეი (ჭიკაბ) კი ხუნძახური დიალექტის გავრცელების ჩრდილო კიდეზე მდებარეობს.

თანამედროვე სალიტერატურო ხუნძური ენის საყრდენ დიალექტად ისევ ჩრდილო დიალექტი, ხუნძახური, გვევლინება (ცალკეულ მოვლენებში და თუ იჩენს თავს ანდალალური წრის თქმათა გავლენა).

სამხრული დიალექტები — ანწუხური, ჭარული — არ იყო შესწავლილი¹; კიდევ უფრო ეს ითქმის ჰიდურ-ანდალალურ-ყარახულ თქმათა შესახებ. საჭირო იყო ეს კილო-თქმები შეგვესწავლა, შეგვეგროვებინა საიმე-

¹ ანწუხურის შესწავლის საჭიროებას ჯერ კიდევ პ. უსლარი გახაზავდა: ენათმეცნიერებისათვის ანწუხურის შესწავლა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ხუნძახურის შესწავლა: თუ არ შედარების გზით, ენის თვისებას ნათლად ვერ გავიგებთო (. . . . „გვ. 6).

ენის გრამატიკული წყობა ასეთ შემთხვევაში რომ უფრო მკვეთრად დაჩნდება, ეს ავტორებისათვის სადავო არ არის. მაგრამ, როცა მსმენელებმა ენა პრაქტიკულად არ იციან, მასალის მიწოდებას მეტყველების ნაწილთა მიხედვით, გარკვეული უპირატესობა ენიჭება: ისეთი ლექსიკური ჯგუფების გამოყოფა, როგორცაა „რიცხვითი სახელები“, „ზედსართავი სახელი“, „ნაცვალსახელი“, „ზმნისართი“... პირველ ყოვლისა, ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისითაა მიზანშეწონილი.

ამის გათვალისწინებით არის აგებული წინამდებარე კურსი. მასში გამოყენებულია როგორც ზემოხსენებული ხელნაწერი „გრამატიკული ანალიზი ხუნძური ენისა“, ისე ავტორთა სხვა გამოუქვეყნებელი შრომები (და მათივე ჩაწერილი დიალექტური ტექსტები). შრომა, ცხადია, ითვალისწინებს სპეციალურ ლიტერატურას ხუნძურ ენაში (და მიუთითებს მასზე ტექსტის სათანადო ადგილებში).

ეს კურსი ზემოხსენებულ „გრამატიკულ ანალიზთან“ შედარებით მოცულობითაც უფრო ვრცელია და შინაარსითაც უფრო მდიდარი — ფონეტიკაშიც, მორფოლოგიაშიც. მთელი მასალის ამგვარად ჩამოყალიბება ეკუთვნის ილ. ცერცვაძეს.

4. წიგნის ბოლოს მოცემულია სრული სია გამოყენებული ლიტერატურისა ხუნძური ენის შესახებ (სხვა შრომები კი მხოლოდ ტექსტშია მოხსენებული).

დაწვრილებითი სარჩევი საშუალებას იძლევა საჭირო ცნობა ვიპოვოთ ტექსტში და ერთგვარად ეწევა ცნებათა ინდექსის მაგვირობას.

პირთა საძიებელი დართული გვაქვს.

ხუნძური ენისათვის — ისევე, როგორც მთის იბერიულ-კავკასიურ სხვა ენათათვის — სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარ ანბანს ხმარობდნენ. ყველა ამ ანბანის სინოპტიკური ტაბულა (საენათმეცნიერო მიზნებისათვის ჩვენში ხმარებული ლათინური ტრანსკრიფციითურთ) წარმოდგენილია გვ. 30-33 (დამწერლობასთან დაკავშირებით).

5. ჩვენი სამეცნიერო მივლინებების დროს მოსახლეობა ადგილობრივ ტრადიციულ სტუმართმოყვარეობას იჩენდა, ინტელიგენცია მუშაობაში გვეხმარებოდა¹, ხელისუფლების ორგანოები ყურადღებით გვეკიდებოდნენ.

ყოველივე ამას მადლიერების გრძნობით ვიგონებთ.

6. საენათმეცნიერო შრომის ბეჭდვას, როგორც ცნობილია, ტექნიკური სიძნელები ახლავს, მით უფრო, როცა დამატებითი სასტამბო ნიშნებია საჭირო.

¹ კერძოდ, იმ პირთა სია, ვისგანაც ჩაწერილი გვაქვს აქ წარმოდგენილი ტექსტები, მოცემულია გვ. 400-401.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, მეტადრე კი უნივერსიტეტის რექტორის საქართ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსის პროფ. ე. ხარაძის, და, აგრეთვე, სამეცნიერო ნაწილის პრორექტორის პროფ. ს. ყდენტის აქტიური დახმარება რომ არა, ვერ შევძლებდით გამოგვეცა ეს წიგნი, — პირველი (არა მხოლოდ ჩვენში) საუნივერსიტეტო კურსი ხუნძური ენისა, რომლის შესწავლასაც არც თუ მცირე სამეცნიერო ინტერესი ახლავს.

წიგნის გამოცემას დიდად შეუწყო ხელი უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორმა ამხ. ალ. გაბესკირიამ, მისმა მოადგილემ ამხ. გრ. ნიქაბაძემ, აგრეთვე სტამბის საამწყობო საამქროს უფროსმა ამხ. ნათელა გოჭოშვილმა (წიგნი მთლიანად მისი აწყობილია).

ავტორები სასიამოვნო ვალდებულებად თვლიან ყველა ზემოხსენებულ პირს გულწრფელი მადლობა მოახსენონ.

კავკასიურ ენათა კათედრის წევრები ფილოლ. მეცნ. კანდიდ. ეკატ. ოსიძე და კავკასიურ ენათა კაბინეტის ლაბორანტი ნ. იოსავა კორექტურის სწორებაში გვშველოდნენ, რასაც მადლობით აღვნიშნავთ.

*

* *

„ხუნძური ენა“ დაწერილია სათანადო პროგრამის შესაბამისად. წიგნის შესახებ ყველა მართებულ შენიშვნას ავტორები მადლობით მიიღებენ.

არნ. ჩიქობავა
ილ. ცერცვაძე

26. I. 1962

1. „ „ -),
 (. 1936 (1944 . , 1944 .). () .) .

2. , , , : :) 1. : 2. 3. ; 4. - - . : „Versuch über das Awarische“ (1862 .); II. : „ „ (1863 .) (), . , , () . 1, (- -) . , - - (. 1929 „ 1933 „ 1938 „ 1939 „

1 . : „ , : „ („ . . „ § 4, . 6).

1943 ., 1942, 1947,
1958 .

(. .) . 355-400 (. , ,) .

(. 413-419). , (.) , (un ib) (Šulanib),

(. . . , 1895, . 219, 220: ; .) .

(. . .) : ; “ . . . ” ; . 3. : (. . .) : “ , 1945 . . .) .

3. : (. . .) : “ , 1945 . . .) .

• • • • •
•
, •
*
* *
” “
• •

26. I. 1962

•
•

შესავალი

§ 1. ხუნძური, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნური ჯგუფის წევრი. ხუნძური იბერიულ-კავკასიური ენათა დაღესტნური ჯგუფისა. დაღესტნურ ჯგუფში სამი ქვეჯგუფი გამოიყოფა: ხუნძურ-ანდიურ-დიდოური, ლაკურ-დარგუული და ლეზგიური ქვეჯგუფები.

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქვეჯგუფში შედიან: ა) ხუნძური ენა; ბ) ანდიური ენები (ანდიური, ბოთლიხურ-ლოდობერიული, ტინდიურ-ბაგვალალური, ჭამალალური, კარატული, ახვასური); გ) დიდოური ანუ ცეზური ენები (დიდოური ანუ ცეზური, ჰინუხური, ხვარშიული, კაპუჭურ¹-ჰუნზიბური).

ამრიგად, ხუნძური იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნური ჯგუფის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქვეჯგუფში შედის.

§ 2. „ხუნძებისა“ და „ხუნძურის“ აღმნიშვნელი ტერმინებისათვის. „ხუნძური“ ნაწარმოებია „ხუნძ“-ისაგან. „ხუნძი“ ცნობილი ტერმინია „ქართლის ცხოვრებაში“. XVIII საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები ხმარობენ ტერმინს „ხუნძახის ბატონი“, რაც „ავარიის ხანს“ ნიშნავს.

„ხუნძური ენა“ („ხუნძური ენა“) ადგილობრივ იხმარება ხუნძახური (ხუნძახის თემის) დიალექტის აღსანიშნავად; ხუნძური ენათესაობითი ბრუნვის ფორმაა ხუნძური („ხუნძები“, ზედმიწ. „ხუნძახელები“) სახელისა. ეს უკანასკნელი მიღებული ჩანს ხუნძური ვარიანტისაგან: ხუნძური ხუნძური ხუნძური. ამოსავალი ვარიანტი (დ თანხმოვნით) დაუცავს ხუნძური ფორმას (იხ. ზემოთ). გარდამავალი საფეხური (დ ვარიანტით) თვით ხუნძურში არ შენახულა (ამ ენაში დ საერთოდ არა გვაქვს), მაგრამ შემოუნახავს ქართულს (ხუნძები, ხუნძური...).

ზოგადი მნიშვნელობით ადგილობრივ გამოყენებულია მახუნძური „მთიულური ენა“, ზედმიწ. „მთის ენა“ (მახუნძური ენათესაობითი ბრუნვის ფორმაა მეხუნძური სახელისა; მახუნძური „ენა“).

რუსულად ამ ენას „...“ („ავარიული, ავარიელთა ენა“) ეწოდება. აქაც ხუნძახის სანახები, ავარია, არის ამოსავალი.

ამ ტერმინის წარმომავლობა არაა გარკვეული. ცნობილ თურქულ ტომთან, ავარებთან (რუსულ მატრიანეთა „...“), კავშირი გამორიცხებულია. სპარს.-თურქ.-არაბ. „ავარა“ სიტყვასთან („მოხეტიალე“, „თავზეხელა-

¹ კაპუჭურს ზოგჯერ უწოდებენ ბეეიტურს და განიხილავენ როგორც ცალკე ენას.

ლებული“) ჩვენთვის საინტერესო ტერმინს არაფერი აქვს საერთო ბგერითი მსგავსების გარდა.

რუსულის მეშვეობით ეს ტერმინი უცხო ენებშიც დამკვიდრდა: **Awarische Sprache (das Awarische), la langue aware (l'avare)...**

„ავარ“-ფუძისაგან ნაწარმოები ტერმინები ბოლო დროს დამკვიდრებას პოულობს თვით ხუნძურშიც **მაჟარულ-** (იხ. ზემოთ) ტერმინის გვერდით: **ავარალ** „ავარიელები“ („ხუნძების“ მნიშვნელობით)¹, **ავარ მაწა** „ავარიული ენა“, **ავარიელთა ენა** („ხუნძური ენის“ მნიშვნელობით)... თუმცა, როგორც ამას პ. უსლარი აღნიშნავს, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში ეს ტერმინი უცხო იყო თვით ხუნძებისათვის.

ლაკები „ხუნძს“ უწოდებენ **მარუ-ჩუ** (მარუსაა „ხუნძები“, „ხუნძეთი“, მარუ მაზ „ხუნძური ენა“), დარგულები — **კარაჯან** (ამოსავალი ჩანს დარგუელთა მოსაზღვრე ხუნძური თემის სახელწოდება: **ყარაჯ**), არჩიბელები — **მართანუვ** (მდრ. ლაკ. მარუ-), ანდიელები — **ხინდალ ჰეკა** (ამოსავალია მოსაზღვრე ხუნძური თემის სახელწოდება: **ხინდალ**; ჰეკა „კაცი“) ან **ბილოლი ჰეკა** (**ბილ**, ნათ. ბრ. **ბილოლი** „მთა“), დიდოელები — იმასვე, რასაც თვით ხუნძები: **მაჟარულავ** (იხ. ზემოთ), ჩაჩნები — **ჯჟაფ**, ყუმიკები — **თაული** („მთიული“)...

§ 3. ხუნძური ენის გავრცელების არე. ხუნძურ ენას დაღესტანში უკავია მდინარეების ხუნძური (ანუ ავარიის) ყოისუსა და ყარა-ყოისუს („შავი ყოისუს“) ხეობები, ნაწილობრივ ანდიური (ანდიის) ყოისუს ხეობაც (შესართავისაკენ), მერე ჩრდილოეთით — ამ მდინარეთა შერთვის შემდეგ — მდინარე სულაკის ხეობაც გავაკებამდის. ესაა დაღესტნის დასავლეთი მხარე, მისი ყველაზე მთიანი ნაწილი.

ჩრდილოეთით ხუნძური მეტყველების გავრცელების უკიდურესი პუნქტია აული ჩირ-იურთი, რომელიც მდებარეობს ამავე სახელწოდების სადგურთან ორჯონიკიძის სახელობის რკინიგზაზე (გზის გადმოღმა მხარეს). აქედან მოყოლებული სამხრეთისაკენ ხუნძური ენა გადმოჭრის მთელ დაღესტანს, სცილდება კავკასიონის ქედს და ბარში აზერბაიჯანის მიწა-წყალზე მდინარე ალაზანს უახლოვდება; ჭარ-ბელაქნის ლეკობა ხუნძებია. აღმოსავლეთით ხუნძურ ენას ესაზღვრება ენები: ყუმიკური, დარგუელი, ლაკური, არჩიბული, წახურული; დასავლეთით — ჩაჩნური და ანდიურ-დიდოური ენები.

¹ მ. საიდოვისა და შ. მიქაილოვის „რუსულ-ხუნძურ ლექსიკონში“ (მაჰაჰყალა, 1951) „ხუნძების“ („...“) მნიშვნელობით ნაჩვენებია: **ავარ-ალ**, **მაჟარულ-ალ** (როგორც სინონიმები).

პ. უსლარის თქმით, ხუნძური ენის გავრცელების მერიდიონალური ხაზი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (ჩირ-იურთიდან ზაქათალამდის) შეადგენს 160 ვერსს (ე. ი. დაახლ. 171 კმ.), ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ხუნძურის მაქსიმალური გავრცელება (ხუნძახის პარალელთან) 70 ვერსს (ე. ი. დაახლ. 75 კმ.) უდრის.

დაღესტნის ენათა შორის ხუნძური ყველაზე მსხვილი ერთეულია. ხუნძთა რიცხვი (ანდიელ-დიდოელებთან ერთად) 268 ათასს უდრის (1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერის მონაცემებით), ამათგან საკუთრივ ხუნძთა რაოდენობა 167 ათასამდე აღწევს („დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. I).

დაღესტნის ასსრ-ში ხუნძებით დასახლებული რაიონებია: ხუნძახის, ლუნიზის, ჰერგებლის, გუმბეთის, ონსოქოლოს (უნცუქულის), ყაპიზის, ყაზბეკის, ჭარადის, თლარატისა. გარდა ამისა, ხუნძური მოსახლეობა გვხვდება ბოთლიხის, ახვახის, წუმადის, რაიონებშიც (ეს რაიონები ძირითადად დასახლებულია ანდიურ-დიდოურ ენებზე მოლაპარაკე ტომებით), აგრეთვე ბუინაკსკის რაიონში (აული ჭირკეი, ხუნძურად ჭიკაბ II ჭიკაბ, რომლის მეტყველება პ. უსლარმა შეისწავლა, ახლანდ. ბუინაკსკის რაიონში შედის; ძირითად მოსახლეობას კი ამ რაიონში ყუმიკები შეადგენენ); რამდენიმე აული, ხუნძებით დასახლებული, გვხვდება ლევაშისა და ყიზილ-იურთის რაიონებშიც, ერთი აული (ქუსურ) — რუთულის რაიონშიც.

ხუნძახის, ლუნიზის, ჰერგებლის, ყაპიზის რაიონები ხუნძური მოსახლეობის ცენტრალურ ზოლს შეადგენს და ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული.

ხუნძური მოსახლეობა კომპაქტურია აზერბაიჯანის სსრ-ის ტერიტორიაზეც. ზაქათლისა და ბელაქნის რაიონებში: ჭარი, თალა, მაწეხი, კატეხი, მაკოუ, დანაჩი, გოგამი, ზემო ჩარდახლი, ქვემო ჩარდახლი, ბელაქანი (მაჰამალარ), ყაბახჩოლი. ამათგან ყველაზე ძველი სოფელი ჭარი უნდა იყოს (მე-16 საუკუნიდან). აღრე ამ ხუნძური ახალშენის ადგილას გვქონია სოფ. ფიფინეთი (ძვ. საქართველოში შემავალი ჰერეთის ტერიტორიაზე)¹.

საქართველოში, კახეთში (ყვარლის რაიონი), წინათ ორი ხუნძური სოფელი იყო: თივი და თებელჯოხი. აქ თავს იყრიდნენ ანწუხის თემის სხვადასხვა აულებიდან ჩამოსახლებული ხუნძები. ორივე სოფელი 1945 წ.

¹ ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: „ხორონთას ზევით ალაზანს ერთვის წყალი ფიფინეთისა, გამოსდის... კაკასს, მოდის ფიფინეთამდე ჩრდილოდამ სამხრით... ხოლო მთის ძირს არს ფიფინეთი, სად დასხნა მეფემან ლევან ლეკნი, რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიიდან ყინული, და იყო არჩილამდე ეგრეთ. შემდგომად იწოდა ჭარი“. იხ. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, გვ. 96).

გადასახლდა ჩაჩნების ყოფილ ტერიტორიაზე, რომელიც მაშინ დაღესტანს შეუერთეს. ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური ასსრ-ის აღდგენის შემდეგ (1957 წ.) კახეთში კვლავ დაბრუნდნენ აქედან გადასახლებული ხუნძები და დაიარსეს სოფლები: თივი და ჩანტლის ყურე (ყვარლის რაიონში, ახალსოფლის მახლობლად). ორივე სოფელში დაწყებითი სკოლაა, რომელშიც სწავლება ხუნძურ ენაზე წარმოებს.

§ 4. ხუნძური, როგორც სატომთაშორისო ენა. საკუთრივ ხუნძთა გარდა ხუნძურ ენას ტრადიციულად ხმარობენ საერთო ენად (*lingua franco*) ანდიურ და დიდოურ ენა-კილოებზე მოლაპარაკე ტომთა შორისაც: აქ ხუნძურ ენას ბავშვობიდანვე ითვისებენ.

ტრადიციულად ხმარებულ ამ ზეპირ საერთო ენას ხუნძურად ეწოდება „ბოლ მაწა“, რაც ნიშნავს „თემის ენას“, „ჯარის ენას“ (ბო, ნათეს. ბრ. ბოლ „თემი“; მაწა „ენა“).

„ბოლ მაწა“ ხუნძური ენის ჩრდილოურ დიალექტს ემყარება.

რატომ სწორედ ხუნძური ენა და, კერძოდ, მისი ჩრდილოური (ხუნძახური) დიალექტი იქნა გამოყენებული საერთო ენად?

იმიტომაც, რომ ხუნძური ყველაზე გავრცელებული ენაა. რაც შეეხება, კერძოდ, ჩრდილოურ (ხუნძახურ) დიალექტს, ესეც ყველაზე მსხვილი დიალექტია. გარდა ამისა, მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმასაც, რომ ხუნძახი ადმინისტრაციული ცენტრი იყო (ავარიის ხანთა ადგილსამყოფელი). პ. უსლარი მიუთითებს: „ავარიის ხანთა პოლიტიკის შედეგად და უფრო გვიან მიურიდიზმის ხელმძღვანელთა გავლენით გავრცელდა ხუნძახური (ხაუნზ მაწა, ხაუნდერილ მაწა), რომელიც იქცა საერთო ენად დაწესებულებებსა და ყველა იმათ შორის, ვინც მართოდენ საოჯახო საქმიანობას არ სჯერდება. ენაში ერთგვარობის დამკვიდრებას ხელს უწყობდა ლაშქრის განუწყვეტელი შეკრება“¹.

§ 5. ხუნძური ენის დიალექტები. ხუნძური ენა მდიდარია დიალექტებით. ამას ხელს უწყობდა ხუნძურის გავრცელების დიდი არე და სხვადასხვა კუთხეთა კონტაქტის სიძნელე. ჭირკვიდან ჭარში ჩამოსვლა გაცილებით უფრო ძნელია, ვინემ თბილისიდან დარუბანდს ჩასვლა. დიალექტური სხვაობის მიზეზი მხოლოდ ეს არ უნდა იყოს: ხუნძურ დიალექტთა სუბსტრატი საფიქრებელია ყველგან ხუნძური არ ყოფილა. ახლანდელი ვითარება არა მხოლოდ დიფერენციაციის შედეგი უნდა იყოს, ინტეგრაციის პროცესებსაც მასში საკმაო წილი უნდა ედვას. რა და რა დიალექტური ერთეულები გამოიყოფა ხუნძურ ენაში?

¹ . . . გვ. 5, § 4.

პ. უსლარი ორ მთავარ დიალექტს გამოყოფდა: ხუნძახურსა და ანწუხურს. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს: „ჩირ-იურიდან ზაქათალამდის რამდენიმე განსხვავებული კილოა (); იმის თქმაც შეიძლებოდა, რომ ყოველი თემის მცხოვრებთ გამოთქმის გარკვეული თავისებურებები აქვთ, რითაც ისინი მეზობლებისაგან განსხვავდებიან. მაგრამ, მეორე მხრივ, დაბეჭდებით შეიძლება ითქვას, რომ აზრი, თითქოს ყოველი აული თავისებური ენით ლაპარაკობდეს ისევე, როგორც აზრი დალესტის მეტის-მეტი მრავალენიანობის შესახებ, მეტად გაზვიადებულია... სალათაუში, გუმბეთში, ყოისუბუში, ავარიში, ტეხნუცალსა და უნკრატლში ენა ერთი და იგივეა; მცირეოდენი ნიუანსი გამოთქმისა ბევრია, მაგრამ ყოველი შიდარუსული გუბერნია წარმოადგენს ამდენსავე ნიუანსს. ანწუხში ენა უკვე მნიშვნელოვნად შორდება ხუნძახურ ნიმუშს: ანწუხის მკვიდრი და ხუნძახელი ერთბაშად ვერ გააგებინებენ ერთმანეთს, მაგრამ ყურადღების ერთგვარი დაძაბვით მათ შეუძლიათ თარჯიმნის დახმარების გარეშეც გაუგონ ერთმანეთს. რამდენიმე დღის შემდეგ, როგორც ისინი ირწმუნებიან, ყოველი მათგანი ეჩვევა მეორის კილოკავს. ანწუხური ენითა თუ კილოთი, გარდა ანწუხისა, ლაპარაკობენ ჰიდათლსა და ყარახში; ტილიტლის მეტყველება ისევე, როგორც ანდალალისაც, განსაკუთრებით, ჭოხსა და რულუაში, განიცდის ანწუხურის ზეგავლენას. ხუნძური ენის სამხრეთისაკენ გაგრძელების შესახებ ჯერჯერობით დადებითი ცნობები არა მაქვს, მაგრამ ანწუხელები მარწმუნებენ, რომ მათ თავისუფლად შეუძლიათ ელაპარაკონ ჯურმუთის მცხოვრებთ და ბელაქნელ ჭარელებს. თუ ეს სიმართლეა, ხუნძური ენისათვის შეიძლება მივიღოთ ორი მთავარი კილო: ხუნძახური და ანწუხური, რომლებშიც მოექცევა ყველა ადგილობრივი ნიუანსი“¹.

პ. უსლარმა მხოლოდ ხუნძახური დიალექტი შეისწავლა. სხვა დიალექტების შესახებ მსჯელობისას იგი ემყარებოდა თვით ხუნძთა ჩვენებას (—„ანწუხელები მარწმუნებენ, რომ მათ თავისუფლად შეუძლიათ ელაპარაკონ ჯურმუთის მცხოვრებთ და ბელაქნელ ჭარელებსო“—), რასაც, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს (ამგვარ ჩვენებებს მხოლოდ საორიენტაციო მნიშვნელობა თუ აქვს).

პ. უსლარის მსჯელობაში მაინც უდავოა ხუნძახურისა და ანწუხურის, როგორც ერთმანეთის მიმართ მკვეთრად დაპირისპირებული დიალექტების, გარჩევა. მაგრამ ხუნძური დიალექტების წყება მხოლოდ ამ ორით არ ამოიწურება.

ჭარული მეტყველება ანწუხურ დიალექტში არ მოექცევა. აღსანიშნავია, რომ ჭარული, როგორც ცალკე კილო ხუნძური ენისა, გარჩევით ჰქონდა დასახელებული ჯერ კიდევ გიულდენშტედტს და შემდეგ კლაპროთსაც.

ვერც ჰიდათლის, ანდალალისა და ყარახის თემების მეტყველება მოექცევა ანწუხურ კილოში.

ასე რომ ანწუხური — წინააღმდეგ პ. უსლარის მტკიცებისა — უნდა მივიჩნიოთ ერთ-ერთ და არა ერთადერთ კილოდ სამხრული ხუნძურისა.

ხუნძურ ენაში გასარჩევია სულ მცირე ოთხი კილო (კილოკავებითა, თქმებითა და ქცევებით)¹:

- | | | |
|----|--|--------------------------|
| 1. | ხუნძახური ანუ ჩ რ დ ი ლ ო უ რ ი დიალექტი | } სამხრული
დიალექტები |
| 2. | ჰიდურ-ანდალალურ-ყარახული | |
| 3. | ანწუხური | |
| 4. | ჭარული | |

ამათგან პირველი სამი წარმოდგენილია დაღესტანში, მეოთხე (ჭარული) — აზერბაიჯანში (ზაქათლისა და ბელაქნის რაიონებში).

ეს ოთხი ერთეული თანაბრად არაა დაშორებული. ყველაზე დიდია სხვაობა ხუნძახურსა და ჭარულს შორის, შემდეგ ხუნძახურსა და ანწუხურს შორის და ა. შ. საერთოდ კი, ხუნძახური, როგორც ჩრდილო-ხუნძური დიალექტი, მთელ რიგ მოვლენათა მიხედვით უპირისპირდება სამ დანარჩენ დიალექტს, რომელნიც სამხრულ დიალექტთა წყებას ქმნიან (უკანასკნელნი ერთმანეთთან უფრო ახლოს არიან, ვინემ თითოეული მათგანი ხუნძახურთან, მაგრამ მაინც საკმარისად განსხვავდებიან იმისათვის, რომ დიალექტებად მივიჩნიოთ; მეტადრე ეს ითქმის ჭარულისა და ანწუხურის შესახებ).

ყველაზე რთული ვითარება გვაქვს ჰიდათლ-ანდალალ-ყარახში: აქ (ამ გარდამავალ ზონაში ჩრდილოურიდან სამხრულისაკენ) რიგი საერთო მოვლენის გვერდით მრავალი კერძობითი ფონეტიკური თუ მორფოლოგიური ნიშანი დასტურდება.

ჩრდილო-ხუნძური უკეთაა შესწავლილი. ხუნძურის ისტორიისათვის — რიგ შემთხვევაში — სამხრულ-ხუნძური დიალექტების ჩვენება მეტად ფასეულია, შეიძლება ითქვას, რომ სამხრულ-ხუნძურის ამ ჩვენებათა გარეშე ენის ისტორიის შესწავლა შეუძლებელი იქნებოდა.

ეს, რა თქმა უნდა, როდი ნიშნავს, თითქოს სამხრულ-ხუნძურში რომ თავისებურებები გვხვდება, ყველა ძველს ვითარებას ამყლავნებდეს, პირიქით, ბევრი რამ აქ უფრო ახალია, ვინემ ჩრდილო-ხუნძურში, მაგრამ

¹ სხვაგვარ სქემას იძლევა შ. მიქაილოვი: იხ. . . . ,, 1959.

ამ ახალსაც ზოგჯერ საყურადღებო ჩვენების მოცემა შეუძლია განვითარების ტენდენციების შესახებ.

ცალკეული დაილექტების შიგნით კილოკავები, თქმები და ქცევები დასაზუსტებელია. ეს ითქმის, როგორც ჩრდილოური დაილექტის, ისე, მეტადრე, სამხრული დაილექტების შესახებ.

ხუნძური ენის დაილექტთა დაწვრილებითი შესწავლა (აულებისდა მიხედვით ყოველი თემის მეტყველების თავისებურებათა გათვალისწინებით) მკვლევართ ამ ენის დაილექტური შედგენილობის დაზუსტების საშუალებას მისცემს.

§ 6. ხუნძური ენა როგორც ახალი სამწერლო ენა. ხუნძური ისევე, როგორც დაღესტნური ენებიდან — ლაკური, დარგუული, ლეზგიური და ტაბასარანული, ახალი სამწერლო ენაა.

სამწერლო ენას საფუძვლად უდევს ჩრდილოური (ხუნძახური) დაილექტი. ასე, რომ ხუნძური სამწერლო ენა საყრდენი დაილექტის მხრივ ზეპირი საერთო ენის („ბოლ მაწე“) ტრადიციას გაჰყვა.

ხუნძურ ენაზე გამოდის გაზეთები საოლქო (მაჰაჩყალაში) და რაიონული (თითოეულ რაიონში), იბეჭდება სახელმძღვანელოები და სხვა ხასიათის ლიტერატურა.

ხუნძებს აქვთ ნაციონალური მხატვრული ლიტერატურა; გამოჩენილი ხუნძი მწერლებია: მაჰმუდი (ვაჰაბ როსოლ'ა მაჰმუდი „ვაჰაბ-როსოელი მაჰმუდი“: 1880-1919), წადასაჰამათ („წადელი ჰამათი“: 1877-1951), ამ უკანასკნელის შვილი რასულ ჰამათოვი და სხვ.

სამწერლო ენად ხუნძურს იყენებენ ანდიურ-დიდოური ტომებიც. ამათ რაიონებშიც გაზეთები ხუნძურ ენაზე გამოდის, სწავლება სკოლებში, საქმის წარმოება წარმოება-დაწესებულებებში აქაც ხუნძურ ენაზეა.

§ 7. ხუნძური ენის მეცნიერული შესწავლის ისტორიიდან.

XVIII საუკუნის 70-იან წლებშია ჩაწერილი (1771-1772 წ.წ.) ი. გიულდენშტედტის ლექსიკური მასალა; ესაა: ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები, ცხოველთა, ფრინველთა, საოჯახო ნივთების, ლითონების, ცის სხეულთა და ბუნების მოვლენათა, წლის დროთა სახელები, ხშირად ხმარებული ზედსართავები და ზმნები, ერთად — დაახლოებით — 275-მდის სიტყვა (Johann Anton G ü l d e n s t ä d t, *Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, II, St.-Peterburg, 1791, გვ. 512-519*).

ეს სიტყვები წარმოდგენილია ხუნძური ენის სამ დაილექტზე: ანწუხურსა, ჭარულსა და ხუნძახურზე. სამხრულ დაილექტებზე (ანწუხურსა და ჭარულზე) შედარებით მეტია მასალა: არის შემთხვევები, როცა სათანადო

სიტყვა მოცემულია სამხრულ დიალექტებზე, ხოლო გვერდით ხუნძახური შესატყვისი სიტყვა არა გვაქვს. მასალა საქართველოშია (კახეთში, ერეკლე მეორის კარზე) ჩაწერილი.

ი. გიულდენშტედტის ლექსიკური მასალა საინტერესოა, როგორც ხუნძური ენის უძველესი დოკუმენტაცია. ამაზე ადრინდელი პერიოდისა ცნობილია მხოლოდ წარწერები, შესრულებული ქართული და — უფრო გვიან — არაბული შრიფტით.

1814 წელსაა გამოსული ი. კლ ა პ რ ო თ ი ს შრომა კავკასიური ენების შესახებ (**Julius von Klaproth, Kaukasische Sprachen. Anhang zur Reise in den Kaukasus und nach Georgien, Halle und Berlin, 1814**). კლაპროთმა იმოგზაურა კავკასიაში 1807-1808 წლ.

ამ შრომაში ხუნძურის შესახებ მოცემულია, გარდა ლექსიკური მასალისა (გვ. 78-138), გრამატიკული დახასიათებაც: ბრუნვათა პარადიგმები (მეტად დეფექტური) და ზმნის ზოგი ფორმა ხუნძახური დიალექტის მიხედვით (გვ. 26-35), ამასთან, „მამაო ჩვენო“ ხუნძახურ კილოზე და რამდენიმე ფრაზა „სამხრულ-ხუნძურად“¹. ესაა პირველი გაბმული ტექსტი დღემდის ცნობილი ისტორიაში (თუ წარწერებს არ მივიღებთ მხდველობაში). ლექსიკური მასალა კლაპროთთან ასეა დასათაურებული: „ხუნძახური“, „სამხრულ-ხუნძური“, „ანწუხური“, „ჭარული“. „სამხრულ-ხუნძური“ ანდალალის მეტყველებას (ლუნიბის რ.) უნდა გულისხმობდეს.

XIX საუკუნის ორმოცდამეათე წლებში (1854-59 წლ.) ჰიდელ ხუნძს მაჰომედ დიბირ ხ ა ნ დ ი ე ვ ს (აულ ტიდიბ-იდან) შეუდგენია ხუნძური ანბანი, გრამატიკა და ქრესტომათია: იმ ხანად ხუნძურ ენას თურმე ასწავლიდნენ ნოვოჩერკასკის გიმნაზიის აღმოსავლურ ენათა განყოფილებაზე. მ. ხანდიევის ეს შრომა ამჟამად დაკარგულია. პ. უსლარს კი იგი, ჩანს, თავის დროზე ხელთ ჰქონია, რაკი წერს: „ქრესტომათია სასარგებლოა ჰიდური დიალექტის გასაცნობად, გრამატიკა შედგენილია რუსული გრამატიკის ნიმუშთა მიხედვით“².

ხუნძური ენის პირველი მეცნიერული მიმოხილვა მოცემული აქვს ა. შ ი ფ ნ ე რ ს შრომაში: **Versuch über das Awarische** (St.-Peterburg, 1862. გამოქვეყნებულია სერიაში: „Mémoires de l'Académie impériale des Sciences de St.-Péterbourg, VII série, Tome V, 8).

¹ ეს ფრაზები კლ ა პ რ ო თ ი ს ჩაწერილი არ არის; იგი ხელთა ჰქონია ჯერ კიდევ გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს (1775 წელს).

²
(. გვ. 18-19, შენიშვ.).

: იხ. მისივე:

ა. შიფნერსავე ეკუთვნის პ. უსლარის მონოგრაფიის (იხ. ქვემოთ) შინაარსის დაწვრილებითი გამოცემა გერმანულ ენაზე: „**Ausführlicher Bericht über Baron P. v. Uslar's „Awarische Studien“**“ (Gelesen den 7. September, 1871), St.-Peterburg, 1872 („Mémoires de l'Académie impériale des Sciences de St.-Péterbourg, T. XVIII, 6).

ა. შიფნერმავე გამოსცა ხუნძური ფოლკლორული ტექსტები გერმანული თარგმანებითურთ და R. Köler-ის ვრცელი საფოლკლორო განმარტებებით (**Awarische Texte**, 1873, St.-Peterburg; დაბეჭდილია აკადემიის იმავე სერიის, ტ. XIX, 6). აქ თავმოყრილია: ხუნძური ზღაპრები და ლექსები, შეგროვილი აიდემირ ჭირკველის მიერ, — ტექსტები, რომლებიც ა. შიფნერისათვის პ. უსლარს გადაუცია; ნაწილი იმ ტექსტებისა, რომლებიც აიდემირ ჭირკველის ხელმძღვანელობით უნდა გამოსულიყო და გამოუცემელი დარჩა ამ პირის თურქეთში გაქცევის შემდეგ.

ა. შიფნერის ნარკვევი ხუნძური ენის შესახებ („**Versuch über das Awarische**“) შედგება: წინასიტყვაობისაგან (გვ. 1-4), ხუნძურის ფონეტიკისა და მორფოლოგიის მიმოხილვისაგან (გვ. 5-26), ხუნძური ტექსტებისაგან გერმანული თარგმანებითურთ (გვ. 26-35) და ხუნძურ-გერმანული ლექსიკონისაგან (გვ. 36-53).

საანალიზო მასალად ა. შიფნერს გამოყენებული აქვს ა. ბერჟეს (და, ნაწილობრივ, მ. ბროსეს) მიერ თბილისიდან გაგზავნილი ტექსტები, აგრეთვე იმ ხუნძებისაგან ჩაწერილი მასალა, რომელთანაც ა. შიფნერი არჩევდა შემოხსენებულ ტექსტებს; ეს ხუნძები იყვნენ მეფის ამაღალში მყოფნი ჰასან ნუროვი და იმამ გაზალი (აულ ჭოხიდან). ტექსტები ჩაწერილი იყო ხუნძახურ დიალექტზე, ინფორმატორები კი იყვნენ სამხრულ-ხუნძურის წარმომადგენლები. ამიტომ ა. შიფნერის გამოკვლევაში ხუნძახურის მოვლენებთან ერთად თავს იჩენს სამხრულ-ხუნძურის (კერძოდ, ანდალალურის) თავისებურებებიც.

პ. უსლარი ა. შიფნერისათვის გაგზავნილ წერილში წერდა (1863 წ., 19, X-ს): „ხუნძური ენის შესახებ თქვენს გამოკვლევაში გასასწორებელი ვერაფერი ვიპოვე, საჭიროა მხოლოდ დამატება და გავრცობა. ერთადერთი, რაც შემძლია შევნიშნო, ისაა, რომ მასში წმინდა ხუნძურთან შერეულია ბევრი რამ ანდალალური და ანბანი, რომელიც თქვენთვის გამოუგზავნიათ, არც ისე სრულია“-ო.¹

¹ . . . ; იხ. დამატება:
გვ. 6.

ა. შიფნერის შრომას არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ენათმეცნიერული ანალიზის მხრივ ეს შრომა მაღალ დონეზეა. განსაკუთრებით ეს ითქმის ფონეტიკის შესახებ.

ბ. უსლარის „ხუნძური ენა“ ამ ავტორის მონოგრაფიაა ციკლიდან „კავკასიის ეთნოგრაფია“ (მას წინ უსწრებდა: „აფხაზური ენა“, „ჩაჩნური ენა“). შრომა ავტორს დამთავრებული ჰქონია 1863 წელს; ლითოგრაფიულად გამოცემულია 1866 წელს, ხოლო ბეჭდური წესით — 1889 წელს თბილისში (კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ). პ. უსლარის შრომის სრული სათაურია: „ III. “. იგი შეიცავს: 242 გვ. + 275 გვ. + 20 გვ.

პ. უსლარის ეს შრომა ამჟამადაც ერთადერთი სრული აღწერილობაა ხუნძური ენის ფაქტებისა; სისრულესთან ერთად სიზუსტეც გვაქვს; აიდემირ ჭირკველთან თანამშრომლობამ ეს უზრუნველყო.

შრომა შედგება ორი ნაწილისაგან; პირველ ნაწილში მოცემული გვაქვს: ზოგადი ცნობები ხუნძური ენის გავრცელებულობისა, დიალექტებისა, ბგერითი შედგენილობისა და ზოგი კილო-თქმის ბგერითი თავისებურებების შესახებ (გვ. 1-16), შემდეგ (გვ. 16-242) მოცემულია „ხუნძური ენის გრამატიკული აგებულების“ ანალიზი: დაწვრილებითაა დახასიათებული ნაწილაკები და მეტყველების ნაწილები (აქ უხვი საილუსტრაციო მასალაა წარმოდგენილი ისევე, როგორც პ. უსლარის სხვა შრომებშიც.) შრომის მეორე ნაწილი (გვ. 1-275) უჭირავს ტექსტებს (თარგმანითურთ) და ლექსიკონს — ხუნძურ-რუსულს (რუსულ-ხუნძური ინდექსით).

წიგნს ნაბეჭდს დართული აქვს აიდემირ ჭირკველის თანამშრომლობით შედგენილი „ხუნძური ენის ანბანი“ (გვ. 1-20).

საანალიზო მასალას პ. უსლარისათვის ჩრდილო-ხუნძური ანუ ხუნძახური დიალექტი, კერძოდ, აულ ჭირკვის (ხუნძურად, ჭიკაბ-ის) მეტყველება შეადგენდა.

პ. უსლარის თანამშრომელი ხუნძურის შესწავლაში აიდემირ ჭირკველი იყო.

შეიძლება გადაუჭარბებლივ ითქვას, რომ ჩრდილო-ხუნძურზე ყურადღების გადატანა სპეციალურ ლიტერატურაში პ. უსლარის შრომითაა გამოწვეული: გიულდენშტედტი და კლაპროთი პირველ რიგში ჭარულსა და ანწუხურ მასალას იძლეოდნენ.

ზევით აღნიშნული გვქონდა, რომ პ. უსლარის შრომის ვრცელი გადმოცემა გერმანულ ენაზე ეკუთვნის ა. შიფნერს. ამით ა. შიფნერმა ხელი შეუწყო პ. უსლარის შრომის დებულებათა დანერგვას მეცნიერებაში.

პ. უსლარის შრომაზეა დაფუძნებული ფრ. მიულერის მოკლე მსჯელობა ხუნძური ენის შესახებ, რაც მას მოცემული აქვს თავის „Grundriss der Sprachenwissenschaft“-ის III ტ. II ნაკვ. (ვენა, 1885).

რ. ერკერტის წიგნში „Die Sprachen des kaukasischen Stammes“ (ვენა, 1895) ხუნძური ენის „სამხრული კილოს“, „აღმოსავლური კილოს“ (ჭოხი!) და „დასავლური კილოს“ (ახვან!) მასალებიცაა.

ამ შრომისათვის დამახასიათებელია, რომ ჩრდილო დიალექტთან ხუნძახი და ლუნიბია ნაჩვენები, ხოლო ჭოხი „აღმოსავლეთში“ მოჰყვა! მაინც ზოგი რამ ჭარულისა და ანდალალურის შესახებ ამ შრომაში მოიძებნება.

ნ. მარის „...“ (1917, 5) იძლევა ზოგ ახალ ფაქტს ჭოხურისა და ხუნძახური კილოს ონსოქოლოს თქმისათვის დამახასიათებელს. აღსანიშნავია, რომ ნ. მარი ჭოხურს — ამ ერთ-ერთ ანდალალურ თქმას — მიიჩნევდა „ლეკური ჯგუფის ცალკე ენის გადმონაშთად“. ამგვარი კვალიფიკაცია ჭოხურისა იმან გამოიწვია, რომ ნ. მარი ჭოხურს უშუალოდ ჩრდ.-ხუნძურს უდარებდა ანდალალურ გარდამავალ თქმათა მონაცემების გაუთვალისწინებლად.

1924 წელს გამოვიდა „...“ ლ. ყირკოვისა. ესაა პ. უსლარის შრომის სხვაგვარად დალაგებული, მოკლე და სქემატური გადმოცემა. ახალი ფაქტები, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, თითქმის სულ არა გვაქვს.

ლ. ყირკოვის მიერ (გ. მიხაილოვისა და დ. მურაშკინის თანამშრომლობით) შედგენილია „...“ (მოსკოვი, 1936), რომელსაც დართული აქვს ლ. ყირკოვისავე „...“

“ (გვ. 147-183) და „...“ (გვ. 183-187).

პ. უსლარის შრომას ემყარება ხუნძური ენის მოკლე დახასიათება ა. დირის ნაშრომში „Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen“ (ლაიპციგი, 1928).

ხუნძური ენის სინტაქსის საკითხები განხილულია ა. ბოკარიოვის ვრცელსა და საყურადღებო მონოგრაფიაში „...“ (მოსკოვი-ლენინგრადი, 1949).

მ. საიდოვისა და შ. მიქაილოვის მიერაა შედგენილი (მ. საიდოვის რედაქციით) „...“ (მაჰაჩყალა, 1951 წ.).

აღსანიშნავია აგრეთვე ხუნძური ენის სახელმძღვანელოები (დაწერილი ხუნძურ ენაზევე): დალესტნის უნივერსიტეტის სტუდენტთათვის — გ. მაღიევასი („ხუნძური ენა. პირველი ნაწილი“. მაჰაჩყალა, 1959. —

შეიცავს შესავალსა და ფონეტიკას) და საშუალო სკოლებისათვის — მ. საიდოვისა (ფონეტიკა და მორფოლოგია — მე-5, 6 კლასებისათვის, სინტაქსი — მე-7 კლასისათვის).

ჭარული (ზაქათლური) დიალექტი შეისწავლა ა. მაჰმუდოვმა (სათანადო შრომა, რომელიც წარმოადგენს ავტორის საკანდიდატო დისერტაციას, არ გამოქვეყნებულა).

ხუნძური ენის მეცნიერული შესწავლა წარმოებს საბჭოთა კავშირის შემდეგ სამეცნიერო დაწესებულებებში: 1) დაღესტანში — საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის ფილიალის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტსა¹ და დაღესტნის უნივერსიტეტში; 2) მოსკოვში — საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, 3) თბილისში — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — კავკასიურ ენათა კათედრაზე.

ხუნძური ენისადმი ინტერესს იჩენდნენ და იჩენენ უცხოელი მეცნიერებიც (ნ. ტრუბეცკოი, კ. ბოუდა, ე. ლევი, კ. ებელინგი...).

ძირითადი ლიტერატურის სია ამ შრომას ბოლოში ერთვის.

¹ ამჟამად (1960 წლიდან) გაყოფილია ორ ინსტიტუტად: ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი და ენის, ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების ინსტიტუტი.

დამწერლობა და ანბანი

§ 8. ხუნძური ენისათვის ხმარებული სხვადასხვა დამწერლობა და ანბანი. ხუნძურში ისევე, როგორც ახალ სამწერლო მთის იბერიულ-კავკასიურ სხვა ენებში, სხვადასხვა დროს სხვადასხვა დამწერლობა გამოიყენებოდა.

1938 წლიდან ხუნძურ დამწერლობას საფუძვლად უდევს რუსული გრაფიკა. 1928 წლიდან 1938 წლამდე გამოიყენებოდა ლათინიზებული ანბანი, ხოლო 1928 წლამდე — არაბული ანბანი.

უძველესი ხუნძური წარწერები შესრულებულია ქართული (ნუსხა-ხუცური) დამწერლობით (მოიპოვება ფრაგმენტები ასომთავრულით შესრულებული წარწერებისაც). ერთ-ერთი ყველაზე ძველი ასეთი ძეგლი, წარწერა საფლავის ქვის ჯვარზე, რომელიც ინახება დაღესტნის ნაციონალურ მუზეუმში, მაჰაჩყალაში, შედგება სულ ორიოდ სტრიქონისაგან და დამწერლობის მიხედვით არ შეიძლება XIV საუკუნეს გადმოვაცილოთ. წარწერის ხუნძურ ნაწილს წინ უსწრებს ქართული ტექსტი¹.

უფრო გვიან, დაღესტანში ისლამის გავრცელებასთან დაკავშირებით, ფეხს იკიდებს არაბული დამწერლობა. არაბული დამწერლობის საფუძველზე ხუნძური ანბანი შეიქმნა XVIII საუკუნის დასასრულს, თუმცა ცალკეული ხუნძური ფრაზების ჩანაწერები, არაბული დამწერლობით შესრულებული, ცნობილია ამაზე ადრინდელი ხანისაც².

გასული საუკუნის 60-იან წლებში პ. უსლარმა ხუნძი აიდემირ ჭირკეელის თანამშრომლობით შეადგინა ხუნძური ანბანი, რომელიც ძირითადად რუსულ საანბანო ნიშნებს ემყარებოდა (დამატებით გამოყენებული იყო ლათინური, გუთური და ქართული [წ, ჰ] საანბანო ნიშნებიც). ესაა: ტ ო ც ა ე ბ ე ს ა ე ბ ხ ა უ ნ დ ე რ ი ლ მ ა წ ა ლ ' ა უ ლ ყ უ ზ („პირველი ხუნძური ენის ანბანი“), რომელიც დამატებით ერთვის პ. უსლარის „ხუნძური ენის“ ბეჭდურ გამოცემას (1889 წ.). უფრო ადრე კი ეს „ანბანი“ ცალკე იყო გამოცემული (თბილისში, 1865 წ.). ამ ანბანის დასაწერად გაიხსნა კიდევ სპეციალური სკოლა (1865 წ. ხუნძახში). მასწავლებლად მიწვეული

¹ იბერიულ-კავკასიური ენებიდან მხოლოდ ქართულს აქვს თავისი ძველი დამწერლობა.

² არ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართულ-ხუნძური წარწერა XIV საუკუნისა დაღესტნიდან, სსრკ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, 1, №4 (1940); აგრეთვე: ტ. გ უ დ ა ვ ა, ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან. მასალები საქართვე. და კავკასიის ისტორიისათვის, 30 (1950).

იყო აიდეშირ ჭირკველი. მალე ეს სკოლა გადაიტანეს თემირ-ხან-შურაში (ახლანდ. ბუინაკსკი) და უსახსრობის გამო მალე დაიხურა. ასე, რომ პ. უსლარისეული ანბანი ვერ დაინერგა და ხმარებიდან ვერ განიღვენა მაშინ გაბატონებული არაბული ანბანი.

§ 9. ამჟამად ხმარებული ხუნძური ანბანი. ამჟამად ხმარებული ხუნძური პრაქტიკული ანბანი, რომელიც რუსულ გრაფიკას ემყარება, შეიცავს სულ 46 ასოს. ამაში არ შედის ორმაგი ასოები, რომლებიც მაგარ თანხმონებს აღნიშნავენ.

ხუნძური ანბანი უცვლელად იმეორებს რუსული ანბანის ასოებს, იმისდა მიუხედავად, გვაქვს თუ არა სათანადო ბგერა თვით ხუნძურ ენაში. ეს მოტივირებულია შემდეგი გარემოებით: ხუნძური ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით რუსული ენიდან (ან სხვა ენებიდან, მაგრამ რუსული ენის მეშვეობით) ნასესხები სიტყვები უნდა დაიწეროს ისევე, როგორც იწერება ეს სიტყვები რუსულ ენაში (მაგ. რუსულიდან ნასესხები სიტყვა , , , ... ასევე დაიწერება ხუნძურშიც, თუმცა, ხუნძურს არ აქვს [ნასესხებ სიტყვებში მას ფ ცვლის], არა აქვს არც , არც , ... ესაჭიროება).

იმ სპეციფიკური ბგერების გამოსახატავად, რომელთა ნიშნები რუსულ ანბანში არ მოიპოვება, ხუნძურ ანბანში გამოიყენება სამი დამატებითი განმასხვავებელი ნიშანი:

1) | — ციფრი „ერთი“ (ანუ, როგორც მას ზოგჯერ აგრეთვე უწოდებენ, „ჯოხი“),

2) — „სილბოს ნიშანი“,

3) — „სიმაგრის ნიშანი“.

განმასხვავებელ ნიშანთა გამოყენების მხრივ საჭიროა ვიცოდეთ შემდეგი:

1) | („ჯოხი“ ანუ ციფრი ერთი) აღნიშნავს სათანადო ძირითად ასოებთან: ა) აბრუბტივ თანხმონებს: I — ტ (შდრ. — თ), I — წ (შდრ. — ც), I — ჭ (შდრ. — ჩ), I — კ (შდრ. — ქ)¹; ბ) ფარინგალურ თანხმონებს: I — ჟ, I — ჰ.

¹ როგორც აქედან ჩანს, განმასხვავებელი ნიშანი ხუნძურში აბრუბტივისათვის გამოიყენება, ხოლო განმასხვავებელი ნიშნის გარეშე სათანადო რუსული ასოები — ფშინიერებისათვის. შდრ.: აფხაზური ენის ახლანდელ ანბანში განმასხვავებელი ნიშანი ეწერება ფშინიერებს (ფ, თ, ქ), ხოლო განმასხვავებელი ნიშნის გარეშე სათანადო რუსული ასოები აქ აბრუბტივისათვის გამოიყენება (პ, ტ, კ).

2) („სილბოს ნიშანი“) იხმარება , , ასოებთან და მათთან ერთად აღნიშნავს: — ჰ, — ხ̄, — ტჲ.

3) („სიმაგრის ნიშანი“) იხმარება იმავე , , ასოებთან და აგრეთვე ასოსთან და მათთან ერთად აღნიშნავს: — ლ, — ჯ, — ყ, — ლ’.

ასოთა რიგი რუსული ანბანისა დაცულია ხუნძურ ანბანშიც. განმასხვავებელ ნიშნიანი ასოები, რომლებიც სპეციფიკური ხუნძური ბგერებისათვის გვაქვს, ანბანში ჩართულია იმ ასოების შემდეგ, რომლებიც ასეთი ასოების საყრდენად გამოიყენება; მაგალ., (გ)-ს მოსდევს (ღ), (ჰ), I (ჳ), რაკი პირველი საყრდენადაა გამოყენებული სამი უკანასკნელისათვის. როცა რამდენიმე განმასხვავებელ ნიშნიანი ასო ერთად იყრის თავს, მაშინ ჯერ „სიმაგრის ნიშნის“ მქონე ასოა, მერე „სილბოს ნიშნის“ მქონე, შემდეგ კი ის ასო, რომელსაც განმასხვავებელ ნიშნად „ჯოხი“ აქვს.

აქვე მოგვყავს ხუნძური ანბანი ასოთა მიღებული რიგით:

	I I		I I
	I I		I I I I
I I			

ცხადია, ამ ანბანის მიხედვით ზუსტი წარმოდგენა სამწერლო ხუნძური ენის ბგერით შედგენილობაზე არ შეიძლება ვიქონიოთ: ანბანში არ აისახება მაგარი (ინტენსიური) თანხმოვნები (მათთვის სათანადო შემთხვევებში ასოთა ორმაგი დაწერილობა გამოიყენება და ისიც არა ყოველთვის), არც ყველა არამაგარი (რიგითი) თანხმოვანი, რომელსაც სამწერლო ხუნძურის საყრდენი დიალექტი განარჩევს. მეორე მხრივ, ანბანში გვაქვს ზოგი ისეთი ასო, რომლის შესაბამისი ბგერა თვით ხუნძურს არც კი აქვს (როგორც ზემოთ ითქვა, ხუნძური ანბანი — გარკვეული მოტივით — უკლებლივ იმეორებს რუსულ საანბანო ნიშნებს იმისდა მიუხედავად, გვაქვს თუ არა შესაბამისი ბგერა თვით ხუნძურ ენაში)¹.

ხუნძურში, კერძოდ, ჩრდილო-ხუნძურში ანუ ხუნძახურში, რომელიც სამწერლო ენის საყრდენი დიალექტია, სულ 49 ბგერა გვაქვს (იხ. ქვემოთ სინოპტიკური ტაბულა).

¹ ორთოგრაფიული ნიშნებისათვის იხ. . . . I
 („ხუნძური ენის ორთოგრაფია“), მახაჩყალა, 1955.

§ 10. სინობტიკური ტაბულა ხუნძური ენისათვის ხმარებულ სხვადასხვა საანბანო და სატრანსკრიპციო ნიშნებისა. ქვემოთ მო-

გვყავს სინობტიკური ტაბულა ხუნძურ ბგერათა გამოსახატავად ხმარებულ სატრანსკრიპციო და შესაბამისი საანბანო ნიშნებისა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. საენათმეცნიერო მიზნით ხმარებული ქართული სატრანსკრიპციო ნიშნები (რომლებიც გამოიყენება წინამდებარე ნაშრომში)¹.

2. საენათმეცნიერო მიზნით ხმარებული ლათინური სატრანსკრიპციო ნიშნები⁵.

3. შესაბამისი ნიშნები პ. უსლარის „ხუნძური ანბანისა“.

4. შესაბამისი ნიშნები, რომლებიც ნახმარია ა. შიფერის მოხსენებაში („Bericht“) პ. უსლარის შრომის შესახებ და მის მიერ გამოცემულ ხუნძურ ფოლკლორულ ტექსტებში.

5. შესაბამისი ნიშნები „არაბული (აჯამური) ანბანისა“ (რომელიც გამოიყენებოდა 1928 წლამდე).

6. შესაბამისი ნიშნები „ლათინიზებული ანბანისა“ (1928-1938 წ.).

7. შესაბამისი ნიშნები ამჟამად მოქმედი ხუნძური ანბანისა (რუსული გრაფიკის საფუძველზე).

¹ ქართული და შესაბამისი ლათინური ტრანსკრიპციები შემუშავებულია ყოფ. ენისა და სატერმინოლოგიო კომისიის მიერ (ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია). აქ მასში შეტანილია მცირეოდენი ცვლილება.

№№	1	2	3	4	5	6	7
1	ა	a	a	a	ا	a	a
2	ბ	e	e	e	ب	e	e
3	ო	i	i	i	و	i.	И
4	მ	o	o	o	و	o	o
5	უ	u	y	u	و	u	y
6	გ	r	p	r	ر	r	p
7	ჯ	i	л	i	ج	i	л
8	მ	m	М	m	م	m	М
9	ნ	n	Н	n	ن	n	Н
10	ვ	v	B,y	W,u	و	v	В
11	ღ	j	j	j	ج	j	Й
12	ბ	b	б	b	ب	b	б
13	პ	p	п	p	ف	p	п
14	დ	d	Д	d	د	d	Д
15	თ	t	Т	t	ت	t	Т
16	ჭ	t	Ṭ	t	ط	t	Ṭl

№№	1	2	3	4	5	6	7
17	ც	ც	Ი(Ვ)	ც	Ი	ს	ц
18	ც°	ც°	ц	ც	Ი, Ი	სს	цц
19	ც	ც	Ი(Ვ)	ც	Ი, Ი	ჯ	ц
20	ც°	ც°	ц	ც	Ი	ჯჯ	ц ц
21	ჩ	ჩ	ყ	ჩ	ჯ	ც	ყ
22	ჩ°	ჩ°	ყ	ჩ	ჯ, Ი	ცც	ყყ
23	ჩ	ჩ	ყ	ჩ	ჯ, Ი	ც	ყ
24	ჩ°	ჩ°	ყ(Ვ)	ჩ	ჯ	ცც	ყ ყ
25	გ	გ	რ	გ	კ, Ვ	გ	რ
26	გ	გ	რ	გ	კ	კ	რ
27	გ°	გ°	რх	გ	კ	კკ	რр
28	გ	გ	რ	გ	კ, Ვ	კ	რ
29	გ°	გ°	Ი	გ	Ვ	კკ	რ რ
30	გ	გ	რ	გ	Ვ	ჟ	რᲕ
31	გ	გ	რ	გ	Ვ	გ	რᲕ
32	გ	,	,	-	-	,	Ვ

№, №	1	2	3	4	5	6	7
33	ჰ	h	h	h	ه	h	Гб
34	ზ	Z	З	Z	ز	Z	З
35	ს	S	С	Ş	س	S	С
36	ს _o	S _o	С	S	ص	SS	CC
37	ჟ	Ž	Ж	Ž	ج	Z	Ж
38	შ	Š	{ Ш	{ Ś	ش	Ş	Ш
39	შ _o	Š _o				ŞŞ	Щ
40	ხ	X	х	h	خ	X	ХБ
41	ღ	γ	ز	g	غ	Q	ГБ
42	ხ	X	X	X	خ	X	X
43	ხ _o	X _o	X	X	خ	XX	XX
44	ჲ	ω	h	'	ε	h	ГІ
45	ჲ ₇	h ₇	h	h	τ	h	ХІ
46	ლ	l	η	+	ل	l	ЛБ
47	ლ _o	l _o	η	+	ل, ل	ll	{ ЛБЛБ
48	ლ	l	η	+	ل, ل	l	
49	ღ _o	t _o	o	+	ق, ق	q	КБ

ფონეტიკა

ხმოვანთა სისტემა

§ 11. ხმოვანთა სისტემის დახასიათება. ხუნძურ ენას აქვს სულ ხუთი ხმოვანი, ხუთივე სადა; ესენია:

ა, ე, ი, ო, უ

ეს ხმოვნები საერთოდ მიღებული საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით რომ დავაჯგუფოთ, გასარჩევი იქნება:

- | | | |
|-----|---------------------------------|---------|
| 1): | a) წინა რიგის | ი, ე |
| | b) შუა რიგის | ა |
| | c) უკანა რიგის | უ, ო |
| 2): | a) ყველაზე ღია (ფართო) | ა |
| | b) საშუალო | ე, ო |
| | c) დახურული (ვიწრო) | ი, უ |
| 3): | a) ლაბიალური (ბაგისმიერი) | ო, უ |
| | b) არალაბიალური (არაბაგისმიერი) | ა, ე, ი |

ე, ი და ო, უ წყვილთა ერთეულებს შორის დაპირისპირება ყოველთვის არ არის თვალსაჩინოდ გამოხატული, დანარჩენი დაპირისპირებანი მკვეთრად არიან გამოხატულნი.

§ 12. ხმოვანთა პალატალიზაცია (უმლაუტიზაცია). ხუნძურს არა აქვს ფონემატური მნიშვნელობის უმლაუტიზებული ხმოვნები. მაგრამ მსგავსი ხმოვნები შეუძლებელი არ არის გვექონდეს გარკვეულ პოზიციაში. შესამჩნევია, კერძოდ, ფარინგალურ **მ** და **ჰ** და ლატერალურ **ლ**, **ლ'**, **ლ'** **ტ** თანხმოვანთა მომდევნო **ა, ო, უ** ხმოვანთა პალატალიზაცია (უმლაუტიზაცია): ასეთ პოზიციაში ეს ხმოვნები უახლოვდებიან **ჰ, ო, უ** ხმოვნებს: შაქა „ძროხა“, შორ „მდინარე“, შუნკა „თაგვი“, ჰან „ყველი“, ჰორ „ტბა“, ჰურ „მტვერი“, ლ'არ „ხევი“, ლ'ორ „არყისხე“, ლ'ადი „ცოლი“, ლ'არ „რქა“, ტაბიზე „დარტყმა“, ტო „ხიდი“, ტურუ „კლდე“...¹.

¹ გვ. 7, § 6.

§ 13. ნაზალიზაცია. ხუნძურს არა აქვს ფონემატური მნიშვნელობის არც ნაზალური ხმოვნები. ამით, სხვათა შორის, ხუნძური ენა განსხვავდება მოძმე ანდიურ-დიდოური ენებისაგან, რომლებშიც ხმოვანთა ნაზალიზაცია ფართო გავრცელებას პოვებს. ხუნძურში რამდენიმე სიტყვაა ისეთი, რომელშიც სათანადო ხმოვანი (ზოგჯერ მთელი სიტყვაც!) ნაზალური იერით წარმოითქმის. ასეთი სიტყვები ხმაბაძვითია: უ (უ^ნ) „ჰო“, „დი-ახ“, ოპ! უპ! (ო^ნპ! უ^ნპ!) — შორისდებული წუხილისა ან აღტაცებისა, უპი (უ^ნპი) „სუნთქვა“, უჭუდიზე (უ^ნჭუდიზე) „ხველა“, ჰიჰიზე (ჰი^ნჰიზე) „ჭიხვინი“, ჰადეზე (ჰა^ნდეზე) „ყოყინი“...¹

გარდა ამისა, დიალექტებში შესაძლოა შეგვხვდეს ესა თუ ის ხმოვანი ნაზალიზებული. სათანადო სიტყვაში ბოლოკიდური ნაზალური თანხმოვნის (ნ-ს) დასუსტებისა და წინა ხმოვანთან მისი შერწყმის შედეგად მიღებული; მაგალითები (პიდური კილოკავიდან): ბისა^ნ ბისან (ბისა-ნა) „უთხრა“..., ბაჰა^ნ ბაჰან (ბაჰანა) „იყო“.

§ 14. ხმოვნის მაგარი შემართვა. ყოველი თავკიდური (ასევე ცალკე წარმოთქმული) ხმოვანი ხუნძურში — მეტ-ნაკლებად თვალსაჩინოდ სხვადასხვა დიალექტში — მაგარ შემართვიანია: ხმოვნის წარმოთქმაში ერევა ბგერა (თანხმოვანი), რომელიც უდრის ზანურიდან ცნობილ ც-ს (სულე „სახლი“), არაბულ ჰამზას (ح): ებელ (სებელ) „დედა“, ემენ (სემენ) „ამა“, ახ (სახ) „ბალი“, ინე (სინე) „წასვლა“, ოც (სოც) „ხარი“, ურღელ (სურღელ) „ფიჭრი, ღარდი“...

მაგარი შემართვით წარმოითქმის ხმოვანი სიტყვის შიგნითაც, თუ მის წინ ისევ ხმოვანია: რიცი „ზაფხული“, ბეცენაბ „მსუყე“, ყოტულაყან „ჭრიდა“...

რაკი მაგარ შემართვიანი ხმოვანი სრულიად გარკვეულ შემთხვევებში იჩენს თავს და ფონემა არ არის, მისთვის სპეციალური სატრანსკრიპციო ნიშანი არ არის აუცილებელი.

ახლანდელ ხუნძურ ანბანში გარჩეულია მხოლოდ მაგარ შემართვიანი ე, რომელიც აღინიშნება ნიშნით, მაგარი შემართვის არმქონე ე-სათვის იყენებენ -ს. (— სებელ „დედა“, — სემენ „ამა“, — ბეცენაბ „მსუყე“...).

§ 15. ჰიატუსის თავიდან აცილება. ხუნძურს არ ახასიათებს ხმოვანთა შეყრა (ჰიატუსი). ამის თავიდან ასაცილებლად სათანადო შემთხვევებში ჩაერთვის ხმოვანთა გასაყარად ნახევარ-ხმოვანი **ჲ**: ჩი-**ჲ**-ასა „კაცმა“, ჩუ-**ჲ**-ალ^ა „ცხენმა“, ჩუ-**ჲ**-ალ „ცხენები“, წი-**ჲ**-აბ „ახალი“... გურჟი-**ჲ**-ავ

¹ გვ. 9-10.

„ქართველი“... ხმოვნით გათავებულ ფუძეებს აქ ხმოვნით დაწყებული სუფიქსები დაერთვის, რაც იწვევს ხმოვანთა შეყრას, ხმოვანთა გასათიშავად კი ნახევარ-ხმოვნის ჩართვას.

ხმოვანთა შეყრა ზოგჯერ შეიძლება აცილებულ იქნეს მომდევნო ხმოვნის მაგარი შემართვით (ხმის წყვეტით მომდევნოს წინამავალ ხმოვანზე): ყოტულაყან „ჭრიდა“...

§ 16. მახვილი: მახვილის ბუნება და ადგილი სიტყვაში. მახვილი ხუნძურში დინამიკურია და საკმაოდ ძლიერი (უფრო ძლიერი, ვინემ ქართულში, მაგრამ არც ისე ძლიერი, როგორც რუსულში ან სხვა იბერიულ-კავკასიური ენებიდან — აფხაზურში).

ორ ან მეტ მარცვლიან სიტყვებში მახვილი შეიძლება იყოს თავიდან პირველ მარცვალზე (ქეთო „კატა“, ღებო „ყვავი“, შანო „თოვლი“, შანკო „ქათამი“, როსო „აული“, „სოფელი“, ჰანმალ „ამხანაგი“, ლანლა „იცი“... მანდოჰალ „მეზობელი“, მრლირმო „მერცხალი“, ჰანმალზაბი „ამხანაგები“, ყრტიზე „ჭრა“, ბანჰინე „მოსვლა“...) ან თავიდან მეორე მარცვალზე (ემენ „მამა“, ებელ „დედა“, ხანჰარ „ხანჯალი“, ბეტერ „თავი“, ხონრ „კვერცი“, ჰობრ „წისქვილი“... თამანჩა „რევოლვერი“, „დამბაჩა“, გოდერკან „მოედანი“, ჰელექო „მამალი“, ვვადარიზე „წერა“, ბაკარიზე „შეგროვება“, ჰეყნზე „სმა“, „დალევა“, კოჩინე „დავიწყება“...).

ამრიგად, მახვილის ადგილი ხუნძურში, მართალია, შეზღუდულია ორი მარცვლით: თავიდან პირველი ან მეორე მარცვლით; ორზე მეტ მარცვლიან სიტყვებში მახვილი არ შეიძლება გადმოსცილდეს თავიდან მეორე მარცვალს¹.

შენიშვნა: პ. უსლარს მახვილი ხუნძურ სიტყვებში ყველგან აქვს აღნიშნული და მეტ წილ შემთხვევაში ზუსტადაც. ზოგჯერ პ. უსლარი ეტყობა ანგარიშს უწევს ინტონაციას და მხედველობიდან რჩება სიტყვის მახვილი (მახვილის ნაცვლად აღნიშნავს ინტონაციას). ამის შედეგი ჩანს, მაგალ., მის მიერ მახვილის აღნიშვნა კითხვით და მტკიცებით ნაწილაკებზე (ყოტულ-რში „ჭრის?“... ყოტულ-რნ „ჭრის!“...), ზმნის უარყოფით ფორმებში — ბოლოდან მეორე მარცვალზე (ყოტულარო „არ ჭრის“...) და სხვ. ყველა ასეთ შემთხვევაში, სადაც პ. უსლარი მახვილს აღნიშნავს, შესაბამისი ინტონაცია (ტონის ამალღება) გვაქვს და ამავე დროს სიტყვის მახვილიც თავის ადგილასაა, თუმცა, რამდენადმე მიჩქმალული ინტონაციით.

¹ გამონაკლისი შეიძლება შექმნას ზოგმა ენკლიტიკურ ნაწილაკიან ან სიტყვიანმა ფორმამ.

ამდენადვე დასაზუსტებელია პ. უსლარის განზოგადებაც: „მახვილი ხუნძურში ეცემა სხვადასხვა მარცვალზე“¹. სხვადასხვა მარცვალი, რომელსაც მახვილი შეიძლება ეცემოდეს, როგორც ზემოთ ვნახეთ, თავიდან პირველი ან მეორე მარცვალია².

§ 17. მახვილის მოძრაობა. მახვილი ხუნძურში მოძრაიცაა (ზემოაღნიშნული ორი მარცვლის ფარგლებში): ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა გრამატიკულ ფორმებში მახვილიანი შეიძლება იყოს თავიდან პირველი ან მეორე მარცვალი; შდრ.: ხანჟარ „ხანჯალი“ — ხონჟარლ „ხანჯლისა“... ხუნჟარულ „ხანჯლები“, ხუნჟარულულ „ხანჯლებისა“... გამაჟჟ „ქვა“, განჟრცა „ქვამ“... განჟალ „ქვები“, განჟაზ „ქვებმა“... ცერ „მელა“ — ცარცა „მელამ“, ცურდულ „მელიები“, ცურდულულ „მელიებისა“...

ამავე დროს შეიძლება გვქონდეს მ უ დ მ ი ვ (უძრავ) მახვილიანი სიტყვებიც: მესჟდ „ოქრო“ — მესჟდილ „ოქროსი“, მესჟდაზულ „ოქროებისა“... ბოლ'რნ „ლორი“, ბოლ'რნილ „ლორისა“... ბოლ'რნალ „ლორები“, ბოლ'რნაზულ „ლორებისა“... (მახვილი ასეთ სიტყვათა ყველა ფორმაში ერთსა და იმავე მარცვალზე რჩება).

საერთოდ, მახვილის მოძრაობა ხუნძურში დამახასიათებელი შეიძლება იყოს სახელის ფორმაცვალებისათვის (ბრუნვათა მიხედვით მხოლოობითსა და მრავლობითში). ზმნის ფორმაცვალებისას (ნაკვთთა მიხედვით) მახვილი პარადიგმაში უცვლელად რჩება, მუდმივია.

§ 18. მახვილი სემანტიკური და გრამატიკული ფუნქციით. ის ფაქტი, რომ მახვილი სხვადასხვა სიტყვებში და ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმებში შეიძლება გვქონდეს ორ სხვადასხვა მარცვალზე მაინც, მახვილის, ამ ფონეტიკური მოვლენის, სემანტიკური და მორფოლოგიური ფუნქციით გამოყენების საშუალებას იძლევა.

მახვილი გაგვარჩევინებს ომონიმურ სიტყვებს: ჰოწარ „თავლი“ — ჰრწარ „კალო“, ბურთინა „ნაბადი“ — ბურთინა (აულის სახელია)³... ცხადია, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მახვილის მოძრაობასთან (მისი ადგილის გადაწვლვებთან მნიშვნელობათა აღრევის თავიდან ასაცილებლად), არამედ

¹ . . . გვ. 14, § 10.

² ეს ფაქტი სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული აქვს შ. მიქაილოვს (იხ. მისი: . . . გვ. 114).

³ შდრ. აფხაზურში: ალა „თავლი“ — ალა „დალი“...; რუსულში: ѣ „ტანჯვა“ — а „ფქვილი“ (რუსულში, რომელსაც სრულიად თავისუფალი მახვილი აქვს, სათანადო მაგალითები გაცილებით მეტია, ვინემ ხუნძურში).

მახვილის ადგილის განსხვავების ისეთსავე მაგალითებთან, რასაც არაომონიმური სიტყვებიც ადასტურებენ (შდრ.: ჭანკო „ქათამი“, მაგრამ: ხონრ „კვერცი“...). ეს მით უფრო, რომ ყველა ომონიმური სიტყვა როდია განსხვავებული მახვილის ადგილის მიხედვით (შდრ. ბალაპიზე „ცქერა“ — ბ-ალაპიზე „გამგზავრება“: ესენიც გარეგნულად მსგავსი სიტყვებია, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მახვილი მათ ერთსა და იმავე მარცვალზე აქვთ).

რაც შეეხება მახვილის ადგილის მიხედვით გრამატიკულ ფორმათა დაპირისპირებას, რაც მახვილის მოძრაობას ეხება, ამის სათანადო შემთხვევები სპეციალურად გასათვალისწინებელია შესაბამის ფორმათა წარმოებასთან დაკავშირებით.

§ 19. მახვილი და ხმოვნის ამოღება ფუძეში სიტყვის ფორმაცვალებისას. როგორც ვნახეთ, მახვილი ხუნძურში შეიძლება გვქონდეს თავიდან პირველ ან მეორე მარცვალზე.

ეს წესი მკაცრად არის გატარებული სიტყვის ფორმაცვალებისას. მასთან არის სათანადო შემთხვევებში დაკავშირებული ხმოვნის ამოღება (სინკოპირება) ფუძეში, რაც ხდება თავიდან მეორე მარცვალში, როცა მომდევნო — მესამე — მარცვალი მახვილიანია.

აღნიშნულ პოზიციაში შეიძლება ამოღებულ იქნეს ფუძის ყოველი ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ); მაგალითები:

ქალათ	„ქალაღლი“, „წერილი“	ნათ. ბრ.	ქალთრლ
ქარატ	„ხვრელი“	„	ქარტრლ
რალ'ანდ	„ზღვა“	„	რალ'დაღ
ჭერეტ	„თუნგი“	„	ჭერტრლ
მეგეტ	„წვერი“	„	მაგჟრლ
ბეტერ	„თავი“	„	ბოტრრლ
ქიღრ'მა	„თითი“	„	ქიღშრლ
ხ'იბრლ	„გვერდი“	„	ხ'ოღბრლ
ჭიმრხა	„კენჭი“	„	ჭინხარლ
ბორრხ	„გველი“	„	ბორხ'რლ
გომრგ	„ღარი“	„	გონგრლ
გაბურ	„კისერი“	„	გორბრლ
გუღურ	„ხაფანგი“	„	გუღრ'რლ
ბურუტ	„თიკანი“	„	ბურტრლ

ხმოვანი რომ არ ამოღებულყო, სათანადო ფორმებში მახვილი აღმოჩნდებოდა თავიდან მესამე მარცვალზე და გვექნებოდა ქალათრლ... ჭერეტრლ... ქილიშარლ... ბორონ¹რლ... ბურუტრლ... მაგრამ სიტყვაში მახვილის ადგილის კანონზომიერება გამოორიცხავს მახვილის დაშორებას სიტყვის დასაწყისიდან ორზე მეტი მარცვლით.

ამრიგად, ხმოვნები ამოიღება იმიტომ, რომ პარადიგმის არც ერთ ფორმაში მახვილის ადგილი არ დაშორდეს (არ გადმოსცილდეს) სიტყვის დასაწყისს ორზე მეტი მარცვლით.

შენიშვნა. არის შემთხვევები, როცა გარკვეულ ფორმებში მახვილი ამჟამად თავიდან პირველ მარცვალზეა, ხმოვანი კი ამოღებულია თავიდან მეორე მარცვალში. ასეა ეს სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებში. ასეთ შემთხვევებში მახვილი პირველ მარცვალზე, ივარაუდება, მერეა გადანაცვლებული (ხმოვანი კი მაშინაა ამოღებული, როცა მახვილი მესამე მარცვალზე გვექონდა): ქარატ „ხვრელი“ — ქარტ-ალ ქარტ-ალ ქარატ-ალ „ხვრელები“... ქილიშა „თითი“ — ქილშა-ალ ქილშა-ალ ქილიშა-ალ „თითები“... (მახვილის გადანაცვლება მრავლობითის ფორმებში გამოიყენება მხოლოდობითის შესაბამის ფორმებთან დასაპირისპირებლად... — §80). მრავლობითის ფორმებში მახვილის ახლანდელ მდგომარეობასთან რომ არ არის დაკავშირებული ფუძისეული ხმოვნის ამოღება, ამას მოწმობს მუდმივ მახვილიან ისეთ სიტყვათა ჩვენება, რომელთაც მახვილი თავიდან პირველ მარცვალზე აქვთ და რომელთა არც ერთ ფორმაში არ ამოიღება მეორე მარცვლის ხმოვანი; შდრ.: ლქმაგ „ცხვარი (დედალი)“ — ლქმაგულ „ცხვრისა“... ლქმაგალ „ცხვრები“...

§ 20. მახვილის ისტორიისათვის (სიტყვაში მისი ადგილის თვალსაზრისით). ხმოვნის ამოღების ზემოაღნიშნული შემთხვევები მოწმობენ, რომ მახვილის ადგილის შეზღუდულობა სიტყვაში მეორეულია. ძველად მახვილი შეიძლებოდა გადმოსცილებოდა თავიდან მეორე მარცვალსაც; შდრ.: ქარატ „ხვრელი“ — ქარტრლ (*ამჟამად*) ქარატრლ (*ძველად*) „ხვრელისა“... ქილიშა „თითი“ — ქილშარლ (*ამჟამად*) ქილიშარლ (*ძველად*) „თითისა“... ბურუტ „თიკანი“ — ბურტრლ (*ამჟამად*) ბურუტრლ (*ძველად*) „თიკნისა“¹...

¹ სრულხმოვანი ფუძეები დაცულია ანდიურ ენაში; ანდიურში ფუძე სათანადო ხმოვნებს უცვლელად ინარჩუნებს პარადიგმის ყველა ერთეულში.

სხვანაირად რომ ვთქვათ, მახვილის ადგილი სიტყვაში ძველად უფრო თავისუფალი უნდა ყოფილიყო¹.

ხმოვნის ამოღება ფუძეში მახვილიანი (მესამე) მარცვლის წინა (მეორე) მარცვალში, და ამით სიტყვის დასაწყისსა და მახვილიან ხმოვანს შორის დისტანციის შესაბამისი შემცირება, უნდა განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი საშუალება მახვილის ადგილის მიახლოებისა სიტყვის დასაწყისთან².

§ 21. მახვილი და ხმოვნის მოკვეცა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში. ის ფაქტი, რომ მახვილი ხუნძურში ფიქსირებულია სიტყვის თავკიდურ ან მეორე მარცვლებზე (თავიდან პირველზე ან მეორეზე), ბუნებრივია, თუ გამოიწვევდა დროთა განმავლობაში ბოლოკიდური უმახვილო პოზიციის გაცვეთას და ამ ნიადაგზე სიტყვის შემოკლებას.

მართლაც, მთელ რიგ სიტყვებს, ჩანს, ჰქონიათ და დაუკარგავთ ბოლოკიდური ხმოვანი. სათანადო ფაქტების უფრო სრულად გამოვლენა ხუნძური ლექსიკის მონათესავე ენათა ლექსიკასთან შედარების შედეგად შეიძლება.

ამჟამად საკმარისია მივმართოთ ახლო მონათესავე ანდიურ ენებს (რომელთაც, როგორც ირკვევა, შედარებით სრულად დაუკავთ სიტყვის აბსოლუტური ბოლო); მოვიყვანოთ რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი; შდრ.:

ხუნდ. ვას (მიმართვისას: ვასა!) — *ბოთლიხ.*, *ლოდობ.*, *ბავვალ.*, *ახვახ.* ვაშა, *ტინდ.*, *ჭამალ.* ვაჰა, *ანდ.* ვოშო „ვაჟიშვილი“;

ხუნდ. რაკ — *ბოთლიხ.*, *ლოდობ.*, *ტინდ.*, *ბავვალ.*, *ახვახ.*, *კარატ.* რაკვა, *ჭამალ.* დაკვა, *ანდ.* როკვო „გული“;

ხუნდ. ოც — *ბოთლიხ.*, *ლოდობ.*, *კარატ.* უნსა, *ტინდ.*, *ჭამალ.* მუსა, *ანდ.* უნსო „ხარი“;

ხუნდ. ბაწ — *ბოთლიხ.*, *ლოდობ.*, *ტინდ.*, *ჭამალ.*, *ბავვალ.* ბაწა, *ახვახ.* ბაჰა, *ანდ.* ბოწო „მგელი“;

¹ როგორც ეს ივარაუდება სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისათვის. იხ. არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, №№ 2, 3 (1942).

დამაჯერებელი არ არის შ. მიქაილოვის მოსაზრება, რომლის მიხედვით მახვილის ადგილი ძველად ხუნძურში კიდევ უფრო შეზღუდული უნდა ყოფილიყო, ვინემ ამჟამად (ყოველთვის უნდა გვქონოდა თავიდან პირველ მარცვალზეო). იხ. . . , გვ. 154.

² ეს ტენდენცია მართო ხუნძურისათვის არ არის ნიშანდობლივი; შდრ.: ახალ ქართულში მახვილი სიტყვის თავ-მარცვალზეა ფიქსირებული მაშინ, როდესაც ძველ ქართულში ივარაუდება თავისუფალი მახვილი (იხ. არნ. ჩიქობავა, ზემოთ დასახ. შრ). ასეთსავე ტენდენციაზე მიუთითებენ სვანურშიც (ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, 1949, გვ. 111, § 137).

ხუნდ. რუყ — *ანდ.* ჰაყუ, *ბოთლიბ.* ჰანყუ „სახლი“;

ხუნდ. შუნკა — *ანდ.* ჰინკაუ „თავი“;

ხუნდ. ტორ — *ბოთლიბ.* ცალა, *ტინდ.*, *კარატ.*, *ბაგვალ.* სარა, *ახვან.* ტარა, *ანდ.* ლორა „თავთავი“;

ხუნდ. ზობ „ცა“ — *ანდ.* ზუბუ, *ლოდობ.* ზიბუ, *ტინდ.*, *ზებუ* „დღე“;

ხუნდ. მოწა — *ახვან.* ბოწაო, *კარატ.* ბოწაუ, *ბოთლიბ.* ფუწაუ, *ლოდობ.* ფუცაუ, *ტინდ.* ბოცაუ „მთვარე“, „თვე“;

ხუნდ. რუტა — *ტინდ.* რუტაა, *ანდ.* როტაო „უღელი“, „ხელკავი“;

ხუნდ. ლეყ — *ახვან.* ლაჟა, *ანდ.* ლაჟუ „მკლავი“;

ხუნდ. დუნ — *ბოთლიბ.* დენი, *ახვან.* დენე „მე“;

ხუნდ. მუნ — *ბოთლიბ.* მინი, *ახვან.* მენე „შენ“ და სხვ.

მოკვეცილი ხმოვნის კვალი ზოგჯერ თვალსაჩინოა თვით ხუნძურში იმ ცვლილებების მიხედვით, რაც მას თავის დროზე გამოუწვევია ფუძეში (ასიმილაცია თავკიდური მარცვლის ხმოვნისა):

ოც ოცო უცო (შდრ. *ანდ.* უნსო) „ხარი“;

რუყ რუყუ რაყუ (შდრ. *ანდ.* ჰაყუ, *ბოთლიბ.* ჰანყუ) „სახლი“;

შუნკა შუნკაუ შინკაუ (შდრ. *ანდ.* ჰინკაუ) „თავი“;

აწ მოკვეცილი ზოგი ბოლოკიდური ხმოვანი თავის დროზე მახვილის მატარებელიც უნდა ყოფილიყო.

ამას გვაფიქრებინებს, კერძოდ, ასიმილაციის ზემოთ აღნიშნული მაგალითები: ასიმილაცია მახვილიან ხმოვანს შეეძლო გამოეწვია (იხ. ამის შესახებ § 23).

ხმოვანი მოიკვეცებოდა მას შემდეგ, რაც მახვილი წინა მარცვალზე გადაინაცვლებდა; ამრიგად:

ოც რცო ოცრ (უცრ) „ხარი“;

რუყ რუყუ რუყრ (რაყრ) „სახლი“;

შუნკა შუნკაუ შუნკარ (შინკარ) „თავი“...

მოკვეცილი ბოლოკიდური ხმოვანი ფუძეს შეიძლება შემონახული აღმოაჩნდეს ამა თუ იმ ფორმაში (დახურულ პოზიციაში: თანხმოვნის წინ) და ეს ხმოვანი ზოგჯერ შეიძლება მახვილიანიც იყოს: ოც „ხარი“, მაგრამ: ოც-რ-ცა „ხარმა“, ოც-რ-ლ „ხარისა“... შუნკა „თავი“, მაგრამ: შონკა-რ-ლ „თავისა“... რუყ „სახლი“, მაგრამ: როყ-რ-ბ „სახლში“...

აბსოლუტურ ბოლოში ხმოვნის მოკვეცის აქ აღნიშნული ფაქტები ისევე, როგორც ხმოვნის ამოღებისა ფუძის შიგნით, იმ ტენდენციის მანიშნებელია, რომელიც იძლევა მახვილის ადგილის თანდათან მიახლოებას სიტყვის დასაწყისთან.

§ 22. ფართო და ვიწრო ხმოვანთა მონაცვლეობა. ხუნძური დიალექტები შეიძლება დაეუპირისპიროთ ერთმანეთს იმის მიხედვით, თუ სათანადო სიტყვებში ხმოვანთა რა წყვილია გამოყენებული: შედარებით ფართო **ე, ო**, თუ შედარებით ვიწრო **ი, უ**.

განსხვავება ამ მხრივ დიალექტთა შორის ყველაზე თანმიმდევრულად არის გატარებული სიტყვის ბოლოში.

აღნიშნულ პოზიციაში ჩრდილო-ხუნძური ფართო ხმოვნებს (**ე, ო**) უჭერს მხარს, სამხრულ დიალექტთა უმრავლესობა კი შესაბამის ვიწრო ხმოვნებს (**ი, უ**); შდრ.:

ჩრდ.-ხუნძ.: შანზო „თოვლი“, ქეთო „კატა“, ბუნგო „არის“, კრგო „ორი“, ჰრწო „კალო“, ღედო „ყვავი“... ჯვანე „წერა“, ჰალტე „იმუშავე!“, ვაცასაე „ძმასა“...

სამხრ.-ხუნძ. (მაგალითები ანწუხურიდან): შანზუ „თოვლი“, გეთუ „კატა“, ბუნგუ „არის“, კრგუ „ორი“, ჰრწუ „კალო“, ღედუ „ყვავი“... ჯვანო „წერა“, ჰალტი „იმუშავე!“, ვაცასაი „ძმასა“...

ერთმარცვლიან სიტყვათა ბოლოკიდურად **ე** და **ო** ხმოვნები სამხრულ-ხუნძურშიც ამაღვე რჩებიან: წე „თხა“, ტე „მოწყვიტე!“, „დაასხი“, ტე „ღიბე“ „მომეც!“... ტო „ხიდი“, ყო „რამე“, „ნივთი“ (შდრ. ამავე ფუძის შემცველი ხან-ჟო ხან-ჟო „ფქვილი“, *ეტიმოლოგ.* „დაფქვილი რამ“) და ა. შ. ეს, ცხადია, იმიტომ, რომ ერთმარცვლიან სიტყვათა ბოლოკიდური ხმოვანი ყოველთვის მახვილიანია, მიზეზი უცვლელობისა რომ სწორედ ესაა, იქიდანაც ჩანს, რომ ერთზე მეტ მარცვლიან სიტყვებშიც მახვილის მატარებელი ბოლოკიდური ფართო ხმოვნები არ იცვლებიან შესაბამისი ვიწრო ხმოვნებით: გორდე „პერანგი“, ჰეტე „ფეხი“, ქექე „ძუძუ“... ჰოქე „ურემი“, ნოდრ „შუბლი“, ჰოწო „თაფლი“ (შდრ. ჰრწო „კალო“)...

ამრიგად, ცვლილება ეხება ბოლოკიდურ უმახვილო **ე** და **ო** ხმოვნებს. ესენი ვიწროვდებიან და იქცევიან **ი** და **უ** ხმოვნებად სამხრულ-ხუნძურის კილო-თქმებში (გამონაკლისს შეადგენენ ანდალალური თქმები, რომლებიც ასეთ პოზიციაში ფართო ხმოვნებს უჭერენ მხარს).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ (გარდამავალ ზონაში ჩრდილო-ხუნძურიდან სამხრულ-ხუნძურისაკენ) არც ისე მკვეთრია გარჩევა ბოლოკიდურ უმახვილო **ე, ო** და **ი, უ** წყვილებს შორის.

პ. უსლარი ინფინიტივის დაბოლოების შესახებ ხუნძურ დიალექტში შენიშნავს, რომ აქ ძნელი გასარჩევია **ე** ხმოვანი გვაქვს თუ **ი** ხმოვანი. და მაინც სათანადო შემთხვევებში იგი **ე**-ს წერს (ჯვანე „წერა“...). მართლაც, ხუნძურში უფრო **ე** ისმის, ვინემ **ი**, მაგრამ ანწუხურსა და ჭარულში უკვე წმინდა **ი** გვაქვს (ჯვანო „წერა“...).

§ 23. ხმოვანთა ასიმილაცია. ხმოვანთა ასიმილაცია ხუნძურში რეგრესულია და სრული. იმსგავსებს მახვილიანი ხმოვანი უმახვილოს.

ხმოვანი, რომელიც ემსგავსება, სიტყვის თავმარცვალშია, ხოლო ასიმილატორი ხმოვანი — თავიდან მეორე მარცვალში. ასეა ეს როგორც ორს, ისე ორზე მეტ მარცვლიან სიტყვებში.

ორზე მეტ მარცვლიან სიტყვებში ვერ იმსგავსებს თავიდან მესამე, მეოთხე და ა.შ. მარცვლის ხმოვანი იმიტომ, რომ ასიმილატორი ხმოვანი, როგორც ზემოთაც ითქვა, უნდა იყოს მახვილიანი, ხოლო მახვილის ადგილი ხუნძურ სიტყვებში, როგორც ვიცით (§ 16), არ შეიძლება დაშორდეს სიტყვის დასაწყისს ორზე მეტი მარცვლით.

ასეთია ის პირობები, რომლებშიც შეილება მოხდეს ხმოვანთა ასიმილაცია, ამასთან, როგორც ახალ სამწერლო ენაში, ისე დიალექტებშიც (ჩრდილოურშიცა და სამხრულშიც).

რა ხმოვნები იმსგავსებენ? შეუძლია დაიმსგავსოს ყველა ხმოვანმა (მეტ-ნაკლები სიხშირით), გარდა **ა** ხმოვნისა.

ჩრდილო-ხუნძურში (და სამწერლო ენაში) ყველაზე ხშირია ლაბიალურ **ო** და **უ** ხმოვანთა მიერ დამსგავსების შემთხვევა. სამხრულ-ხუნძურში ფართო გასაქანი აქვს ვიწრო ხმოვნების მიერ დამსგავსებასაც (ამის შესახებ იხ. § 24).

ასიმილირებული ხმოვანი სიტყვის სათანადო ფორმაში შეიძლება აღდგეს პირველადი სახით, თუ ასეთ ფორმაში მასიმილირებელი ხმოვანი გვაკლია.

ხ მ ო ვ ა ნ თ ა ა ს ი მ ი ლ ა ც ი ი ს მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

ხა~~ნ~~ყრ~~ლ~~ ხა~~ნ~~ყრ~~ლ~~ „ხანჯლისა“ (შდრ. ხა~~ნ~~ყარ „ხანჯალი“)¹;

მა~~მ~~ტრ~~ლ~~ მა~~მ~~ტრ~~ლ~~ „ნაჯახისა“ (მა~~მ~~ტი „ნაჯახი“);

ტა~~ლ~~რ~~ლ~~ ტა~~ლ~~რ~~ლ~~ „ქუდისა“ (ტა~~ლ~~ურ „ქუდი“);

ბო~~მ~~რ~~ლ~~ ბუ~~მ~~რ~~ლ~~ „ქერისა“ (ბუ~~მ~~ა „ქერი“);

ნო~~ს~~რ~~ლ~~ ნუ~~ს~~რ~~ლ~~ „დანისა“ (ნუ~~ს~~ „დანა“);

რა~~კ~~ელ რა~~კ~~ელ „გულისა“ (რა~~კ~~ „გული“);

ნე~~ყ~~რ ნი~~ყ~~რ „ჩენი“ (ნი~~ყ~~ „ჩვენ“);

ხო~~ნ~~რ ხა~~ნ~~რ „კვერცხი“ (ხა~~ნ~~ილ „კვერცხისა“, ხა~~ნ~~ალ „კვერცხები“);

ჰო~~ქ~~რ ჰა~~ქ~~რ „ურემი“ (ჰა~~ქ~~ილ „ურმისა“, ჰა~~ქ~~ალ „ურმები“);

ემ~~ენ~~ იმ~~ენ~~ „მამა“ (ინსაულ იმსაულ „მამისა“...);

ტა~~ი~~ლ~~რ~~ ტა~~ა~~ლ~~რ~~ „უნაგირი“ (ტა~~ო~~ლოლ ტა~~ა~~ლოლ „უნაგირისა“...
ტა~~ა~~ლალ „უნაგირები“)...

¹ ფრჩხილებში ნაჩვენებია სიტყვის ფორმა, რომელშიც ამოსავალი ხმოვანი დაცულია უცვლელად.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მეორე მარცვლის ხმოვანი, რომელიც იმსგავსებს თავიკიდური მარცვლის ხმოვანს, მახვილიანია (უმახვილო ხმოვანი მეორე მარცვლისა ვერ იმსგავსებს პირველი მარცვლის მახვილიან ხმოვანს: ქტო „კატა“, ღქლო „ყვავი“, ღბო „ვაზი“...).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზოგჯერ მახვილი სიტყვის თავიკიდურ მარცვალზეა და სწორედ ამ მარცვლის ხმოვანია დამსგავსებული მომდევნო — თავიდან მეორე — მარცვლის უმახვილო ხმოვანს. ერთი შეხედვით, უმახვილო ხმოვანსაც შესძლება მახვილიანის დამსგავსება.

მაგრამ ამის მაგალითებს იძლევა სიტყვის მხოლოდ გარკვეული ფორმები, კერძოდ, არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმები, რომლებშიც ივარაუდება, მახვილი მერეა გადანაცვლებული თავიკიდურ მარცვალზე (მას შემდეგ, რაც ასიმილაცია უკვე მომხდარი იყო); ხანაჟარ „ხანჯალი“ — ხაუნჟარ-ულ ხაუნჟარ-ულ (ხანაჟარ-ულ) „ხანჯლები“... (მახვილის გადანაცვლებას ასეთ ფორმებში მოწმობს ხმოვნის ამოღებაც. იხ. § 19).

მაშასადამე, ასიმილაცია ასეთ ფორმებში იმ დროსაა მომხდარი, როცა მახვილი თავიდან მეორე მარცვალზე (სუფიქსის ხმოვანზე) უნდა გვექონოდა.

§ 24. ხმოვანთა ასიმილაციის თავისებურება სამხრულ დიალექტებში. სამხრულ დიალექტებში ხმოვანთა ასიმილაცია კიდევ უფრო ინტენსიურია, ვინემ ჩრდილოურში (და სამწერლო ენაში).

აქ მეტი გასაქანი აქვს ვიწრო ხმოვანთა მიერ (ყველა სამხრულ დიალექტში **ი** ხმოვნის, ზოგ მათგანში **უ** და **ე** ხმოვნებისაც) ფართო ხმოვანთა (უფრო სისტემატურად **ა** ხმოვნის) დამსგავსებას; მაგალითები:

ჭ ა რ უ ლ ი დ ა ნ: შიჟდრ შაჟდრ (*ხუნძახ. შაშტრ*) „ნაჯახი“, ფიტრმათ ფატრმათ (*ხუნძახ. ფატრმათ*) „ფატმანი“, ინწრლა ცო ანწრლა ცო (*ხუნძახ. ანწრლა ცო*) „თერთმეტი“, ბილრ ბალრ (*ხუნძახ. ბაშლრ*) „ბალი“, ქიჰრლაბ ქაჰრლაბ (*ხუნძახ. ქაჰრლაბ*) „ლურჯი“, ვიცარ ვაცარ — ასე მიმართავს რძალი თავის მაზლს (იგივეა, რაც ვაცა „ძმა“)... დუსაჟლ დასაჟლ „მისი“ (შდრ. და-ვ „იგი“), წაელდჟი წაალდჟი (*ხუნძახ. წაალდჟე*) „სწავლა“, ჰეფჟლა ჰაფჟლა (*ხუნძახ. ჰაფჟლა*) „ყეფს“, რეკდრნი რეკდრნი (*ხუნძახ. რეკინე*) „შეჯდომა“... რუჟჟნ რუჟჟნ „დაკეტე!“ (შდრ. რეჟანა „კეტავს“)...

ა ნ წ უ ხ უ რ ი დ ა ნ: მილრ მალრ (*ხუნძახ. მალრ*) „კიბე“ (მისაყუდებელი), შიჟდრ შაჟდრ (*ხუნძახ. შაშტრ*) „ნაჯახი“, ტილრ ტალრ (*ხუნძახ. ტალრ*) „სახელური“, წაინრ წაანრ (*ხუნძახ. წაანრ*) „თხები“, სიბი

საბი (ხუნძახ. ცაბი) „კბილები“, ყილი ყალი (ხუნძახ. ყალი) „დოლი“; „სარწყავი ჭურჭელი“... მუტუ მატუ (ხუნძახ. მატუ) „სარკე“, გუბურ გაბურ (ხუნძახ. გაბურ) „კისერი“, ტულურ ტალურ (ხუნძახ. ტალურ) „ქული“... გითილ გათილ (ხუნძახ. ქათილ) „კათისა“, მიგურდ მაგურდ (ხუნძახ. მაგურიცა) „წვერმა“, მუხაულ მახაულ (ხუნძახ. მახაულ) „კინისა“ (მდრ. მახა „კინა“), ზიზილ ზაზილ (ხუნძახ. ზაზილ) „ეკალიმი“, „ძეძვი“...

ჭოხურიდან¹: მიგურთ მაგურთ (ხუნძახ. მაგურთ) „მიჩეთი“, რიურ რაურ (ხუნძახ. რაური) „ნიორი“, რიზი რაზი (ხუნძახ. რაზი) „ლატანი“, „ხარინა“, მიწიზან მაწიზან (ხუნძახ. მაწიზან) „ცილისმწამებელი“, წიპირლაბ წაპირლაბ (ხუნძახ. წაპირლაბ) „რუხი“, შილციდ შალციდ (ხუნძახ. შატიდ-) „ფართო“, რეთელ რათელ (ხუნძახ. რათელ) „ქონება“, წელდღზე წალდღზე (ხუნძახ. წალდღზე) „სწავლა“, გუბურ გაბურ (ხუნძახ. გაბურ) „კისერი“, ცულურ ცალურ (ხუნძახ. ტალურ) „ქული“...

მანას-აულისა და არკასის მეტყველებიდან: ² შიშტი შაშტი (ხუნძახ. შაშტი) „ნაჯახი“, ზინი ზანი (ხუნძახ. ზანი) „ძეგლი“, მუტუ მატუ (ხუნძახ. მატუ) „სარკე“..., ღიდრცა ღადრცა (ხუნძახ. ღადრცა) „ყვავმა“, ქითრცა ქათრცა (ხუნძახ. ქათრცა) „კატამ“, პიქრცა ჰაქრცა (ხუნძახ. ჰაქრცა) „ურემმა“, ჰინრცა ჰანრცა (ხუნძახ. ხანრცა) „კვერცხებმა“, ჰირთრცა ჰართრცა (ხუნძახ. ჰართრცა) „ჩვარმა“...

ხუნძური ენის სამხრული დიალექტები ამ შემთხვევაში გვაგონებენ ქართველურ ენათა (ქართულის, ზანურის) დიალექტებს, რომლებშიც, როგორც ეს ცნობილია, დიდი გასაქანი აქვს ვიწრო ხმოვნებთან ფართოს რეგრესულ ასიმილაციას, რასაც არაიშვიათად სრულ დამსგავსებამდისაც მიყვევართ.

ქართველურ ენათა დიალექტებსა და სამხრულ-ხუნძურ დიალექტებში ამ შემთხვევაში ტიპოლოგიურად ერთნაირი ფონეტიკური პროცესი გვაქვს.

ხმოვანთა ასიმილაციასთან დაკავშირებით ხუნძურში ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტი, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ ა. შიფნერი შემდეგს აღნიშნავდა: „განსაკუთრებული თავისებურება როგორც ხმოვანზე, ისე თანხმოვანზე გათავებული ორმარცვლიანი სიტყვებისა ისაა, რომ მათში ერთი და იგივე ხმოვანი მეორდება“³. ა. შიფნერი საილუსტრაციოდ ჩამოთვლის რამდენიმე ათეულ ასეთ სიტყვას: ჰოლო „ლობიო“, ხონო „კვერცხი“

¹ . . . , I, . . . , 1948, გვ. 52-55.

² . . . , III, . . . , 1957, გვ. 253.

³ A. S c h i e f n e r, Versuch, § 35.

და ა. შ. მაგრამ თუ რას უნდა გამოეწვია ეს, ამის შესახებ ა. შიფნერი არაფერს ამბობს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამის გამომწვევი მიზეზი მთელ რიგ შემთხვევებში ასიმილაციის პროცესია. ამას მოწმობს ასიმილაციის ზემოთ მოყვანილი მაგალითები.

§ 25. დიფთონგები. დიფთონგებს იძლევა **გ** (= **ჟ**) და **ღ** ნახევარხმოვანთა შეერთება სრულ ხმოვნებთან (**ა, ე, ი, ო, უ**). გვხვდება დიფთონგები, როგორც დამავალი (**აგ, ეგ... აღ, ეღ...**), ისე აღმავალი (**გა, ვე... მა, მე...**).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამჟამად მოქმედი ხუნძური ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით დიფთონგები **მა, მუ, მე** იწერება, როგორც , , .

პ. უსლარი (ადრე ა. შიფნერიც) მიუთითებდა ხუნძურ სიტყვათა ძირებში დიფთონგზე **ოა**, რომლის პირველი კომპონენტი (**ო**) წარმოითქმისო სუსტად: წაოა „ვარსკვლავი“, ტიოა „ნალი“, ქოარტა „ჩაქუჩი“, ქოას „მატყლი“, ქოაჩ „სიცივე“, ყოატ „ქუჩა“... და დიფთონგზე, რომლის წარმოთქმა მერყეობს **ოა**-სა და **ოე**-ს შორის, მაგრამ უფრო **ოა**-ს უახლოვდება: ქოაჩ „ხელი“, ქოაჩ „საჭმელი“, ქოაშა „ცუდი“, ყოაჩყ „ბაყაყი“...¹

მოქმედი ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით **ოა** დიფთონგი გადმოიცემა, როგორც **ვა** (— ქვას „მატყლი“, | — ყვატ „ქუჩა“, — ქვაჩ „სიცივე“...), ხოლო **ოა** დიფთონგი — როგორც **ვე** (— ქვეჩ „ხელი“, — ყვეჩყ „ბაყაყი“, — ქვენ „საჭმელი“...).

მართლაცდა, ის, რაც პ. უსლარის (და ა. შიფნერის) მიერ აღნიშნულია **ო**-თი და მიჩნეულია დიფთონგის პირველ (სუსტ) კომპონენტად, ისმის **გ** (= **ჟ**)-დ, რომელიც გამოთქმაში უფრო წინამავალ ძირეულ თანხმოვანს ეკედლება და მასთან ერთად ქმნის ლაბიალიზებულ კომპლექსებს: **ქგ** (**ქჟ**), **ყგ** (**ყჟ**), **ღგ** (**ღჟ**), **წგ** (**წჟ**) და ა. შ.

§ 26. დიფთონგთა ცვლა. დიფთონგები ყველაზე უკეთ დაცულია ჩრდილო-ხუნძურში. სამხრულ დიალექტებში ისინი გამარტივების (მონოფთონგიზაციის) ტენდენციას იჩენენ: დამავალი დიფთონგები კარგავენ სუსტ კომპონენტებს (ნახევარხმოვნებს): **აგ ა; აღ ა; ეგ ე; ეღ ე** და ა. შ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზემოაღნიშნულით აიხსნება, სხვათა შორის, ზოგ სამხრულ დიალექტში I და II კლასის ნიშანთა (**გ, ღ**) გაუჩინარება, როცა ეს ნიშნები სუფიქსებია (წინ ხმოვანი უძღვის): ჰიტინა ჰიტინა**გ** (I კლ.), ჰიტინა ჰიტინა**ღ** (II კლ.), ჰიტინაბ (III კლ.) „პატარა“... აქ

¹ გვ. 8; A. S c h i e f n e r, Versuch, გვ. 7, §§ 14, 15.

I და II კლასის ფორმები გარჩეული არ არის, რაც აგ და აა დიფთონგთა გამარტივების შედეგია¹, III კლასს კი საკუთარი ფორმა აქვს შერჩენილი. რაკი ამ კლასის ნიშანი ბ წინამავალ ხმოვანთან ერთად (-აბ) დიფთონგს არ ქმნის (თუმცა ზოგჯერ I და II კლასის ფორმათა ანალოგიით III კლასის ფორმამაც შეიძლება დაკარგოს კლას-ნიშანი სუფიქსი და მაშინ სამსავე კლასში ერთი და იგივე ფორმა გვექნება: ჰიტინა-).

არაიშვიათად ნახევარხმოვანიც მოკვეცილია და სრულიც შეცვლილია:

აგ ო, იგ უ, აა ე. ამის მაგალითებს ყველაზე ხშირად ვპოულობთ ჰიდურსა და ყარახულში.

მაგალითები (ჰიდურიდან):

აგ ო: ლაიკო ლაიკავ „კარგი“, ჰიტინო ჰიტინავ „პატარა“, ჰერო ჰერავ „მოსუცი“, მაშარულო მაშარულავ „ხუნძი“, ვეჰარო ვეჰარავ „მოსული“, ტიჟარო ტიჟარავ „დაძინებული“, ჰვარო ჰვარავ „მკვდარი“, ტიჟარო ჩი — ჰვარო ჩი (შდრ. ხუნძახ. ტიჟარავ ჩი — ჰვარავ ჩი) „დაძინებული კაცი მკვდარი კაცია“ (ანდაზა)...

იგ უ || ო: ყუ ყიგ „თვითონ“, ქო (ყარახ. ქუ) ქიგ „სად“, შო (ყარახ. შუ, ანწუხ. შუ) შიგ „ვინ“...

აა ე: ჰიტინე ჰიტინად „პატარა“, ყოროლე ყოროლად „ქვრივი“, არე არად „წასული“, ჰედე (ჰადე) ჰადად „ის“...

ყველა ასეთ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ჯერ ასიმილაცია მომხდარა (ნახევარხმოვანს, სუსტ კომპონენტს დიფთონგისას დაუმსგავსებია სრული ხმოვანი), ხოლო შემდეგ — გამარტივება დიფთონგისა (რაც სხვაგან ასიმილაციის საფეხურის გარეშეც შეიძლება მოხდეს: აგ ა, აა ა... — იხ. ზემოთ); ამრიგად:

აგ ოგ ო: ჰიტინავ ჰიტინოვ ჰიტინო „პატარა“...

იგ უგ || ოგ უ || ო: შიგ შიუგ || შუ || შო „ვინ“...

აა ეგ ე: ჰიტინად ჰიტინედ ჰიტინე „პატარა“...²

¹ შდრ. ქართულში სახელობითი ბრუნვის ე (ი) ნიშნის დაკარგვა ბოლო-ხმოვნიან ფუძეებთან: დედა დედად; ხე ხს, წყარო წყაროდ, ყრუ ყრუდ... მიზეზი დიფთონგთა გამარტივებაა (აა ა და ა. შ.); იხ. აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 60, § 74, გვ. 22, § 23.

² შდრ. ქართული ენის დიალექტებში: ტომარე ტომარედ ტომარად... (ო. კახაძე, ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემო-იმერულში, იკე, V), ასევე მეგრულში: ტომარე, ბამბე... აგრეთვე სვანურში: მარე მარედ მარად „კაცი“ (ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იკე, VI).

გაუმარტივებელი, მაგრამ ასიმილირებული ვარიანტი (განვითარების მეორე საფეხური) შეიძლება ზოგჯერ რეალურადაც გვქონდეს (გამარტივებული ვარიანტის პარალელურად): გურჟიჲო || გურჟიჲოვ (გურჟიჲავ) „ქართველი“, მაჰარულო || მაჰარულოვ (მაჰარულავ) „ხუნძი“...

აღმავალი დიფთონგები გამარტივებას არ განიცდიან (გამონაკლისს შეადგენს ვუ, რომელმაც შეიძლება დაკარგოს ვ), მაგრამ ასიმილაცია ასეთ დიფთონგებშიც შეიძლება მოხდეს:

ჲუ ჲი: ამის ცალკეულ მაგალითებს ადასტურებს ჩრდილო-ხუნძურიც: ჲიგო ჲუგო „არის“, ჲიკანა ჲუკანა „იყო“, ჲისანა ჲუსანა „დაბრუნდა“ (მდრ. III კლასის ნიშნით: ბუგო „არის“, ბუკანა „იყო“, ბუსანა „დაბრუნდა“...).

ვა ვუ; ვი ვუ: ამის მაგალითები დადასტურებულია ანწუხურში¹: ვუთარი ვათარი „დატოვა“... ვულენა ველენა „მოვა“ (მდრ. იგივე სიტყვები III კლასის ნიშნით: ბათარი „დატოვა“, ბელენა „მოვა“... — აქ ა, ე ხმოვნები დაცულია უცვლელად).

განხილული მაგალითები გვიჩვენებს, რომ ასიმილაცია დამავალ დიფთონგებში რეგრესულია (ავ ოვ...), აღმავალში — პროგრესული (ვა ვუ...). ორსავე შემთხვევაში იმსგავსებს სუსტი კომპონენტები (ნახევარხმოვნები), ემსგავსება სრული ხმოვნები.

თანხმოვანთა სისტემა

§ 27. თანხმოვანთა სისტემის დახასიათება. ხმოვანთა სისტემა, როგორც ვნახეთ, საკმაოდ მარტივია ხუნძურში, ამას ვერ ვიტყვით თანხმოვანთა შესახებაც: თანხმოვნებით ხუნძური ენა კიდევ უფრო მდიდარია, ვინემ ქართული, რომელსაც, თავის მხრივ, უფრო მდიდარი კონსონანტიზმი აქვს, ვინემ რუსულს ან სხვა ინდოევროპულ ენას.

რამდენი თანხმოვანია ხუნძურში? ყველა დიალექტში თანხმოვანთა რიცხვი თანაბარი არ არის. სხვაობაა ამ მხრივ არა მხოლოდ დიალექტთა შორის, არამედ — ხშირად — კილოკავებსა და თქმებს შორისაც. ჩრდილო-ხუნძურში (კერძოდ, ჭირკეულში), რომლის ფონეტიკური სისტემა საერთოდ უფრო სრულია, ვინემ სამხრულ-ხუნძურის რომელიმე დიალექტისა, გარჩეულია 44 თანხმოვანი, წარმოების ადგილისა და რავგარობის მიხედვით მათი დაჯგუფება შეიძლება შემდეგი ტაბულის სახით (იხ. ქვემოთ).

1

თანხმოვანთა ტაბულა

წარმოების ადგილი	წარმოების გვარობა												
	ჩქამიერი												
	ხშული				აფრიკატი				სპირანტი				
	მჟღერი	ცრუ			ცრუ			მჟღერი	ცრუ		სონორი	ნახევარხმოვანი	
		ფშვინ-ვიერი	აბრუპ-ტივი	მგარი	ფშვინ-ვიერი	აბრუპ-ტივი	მგარი		არამგარი	მგარი			
ბაგისმიერი	ბ	ფ										მ	ვ
წინაენისმიერი: ა) კბილისმიერი	ღ	თ		ტ									ნ
ბ) სისინა						ც	ცჳ	წ	წჳ	ზ	ს	სჳ	რ
გ) შიშინა						ჩ	ჩჳ	ჭ	ჭჳ	ყ	შ	შჳ	
ლატერალური							ლ'		ლჳ		ლ'	ლჳ	ლ
წინაველარული	გ	ქ	ქჳ	კ	კჳ							ხ	ჲ
უკანაველარული										ღ	ხ	ხჳ	
ფარინგალური							ჯ		ყ	მ	ა		
ლარინგალური				ღ							ჳ		

შენიშვნა 1. ეს ტაბულა არსებითად მხოლოდ იმით განსხვავდება, ლ. ჟირკოვის, ნ. ტრუბეცკოის ტაბულებისაგან, რომ მასში: ა) მაგარი **ჭ** და მაგარი **ჭჳ** წარმოდგენილია ხშულების (და არა აფრიკატების) წყებაში, ბ) **ჯ** და **ყ** მიჩნეულია ფარინგალურ თანხმოვნებად (ლ. ჟირკოვის ტაბულაში ისინი მიიჩნევიან უკანაენისმიერებად, ნ. ტრუბეცკოისაში — უკანაველარულებად)¹.

შენიშვნა 2. მაგარ **ხ**, **ჯ** და **ყ** თანხმოვნებს ტრანსკრიფციაში არა აქვთ სიმგარის ნიშანი, რაკი საპირისპირო არამაგარი კორელატები მათ ხუნძურში არ მოეპოებათ (და, მაშასადამე აღრევა ამ მხრივ მოსალოდნელი არ არის).

¹ შლრ. Л. И. Ж и р к о в. Грам. Авар. яз. გვ. 11; მისივე, Авар.-рус. сл., დანართი кратк. грам. авар. яз.: გვ. 143; N. T r u b e t s k o y, Die „kurze“ und „geminierten“ konsonanten“..., § 2.

შენიშვნა 3. ტაბულაში არ არის შეტანილი ისეთი თანხმობები, რომლებიც გვაქვს სამხრულ-ხუნძურში, მაგრამ უცხოა ჩრდილო-ხუნძურისა და სამწერლო ენისათვის; ასეთებია, კერძოდ: ბაგისმიერი აბრუპტივი **ბ**, მჟღერი აფრიკატები **ძ** და **ჯ**, არამაგარი აბრუპტივი ლატერალური აფრიკატი **ტ'** (§§ 34, 35, 38).

§ 28. ხუნძური ენის თანხმობანთა სისტემის შეპირისპირება ქართლისასთან.

როგორც ტაბულიდან ჩანს, ხუნძური ენის ჩქამიერ თანხმობებში მთავარია შემდეგი დაპირისპირებები: ა) მჟღერებსა და ყრუებს შორის; ბ) აბრუპტივებსა (მკვეთრებსა) და ფშვინვიერებს შორის — ყრუ ხშულ და აფრიკატ თანხმობებში; გ) მაგრებსა და არამაგრებს შორის.

ამათგან პირველი ორი ქართულშიც გვაქვს. ქართულთან შედარებით ხუნძურში მეტია დაპირისპირება მაგარი თანხმობებისა არამაგრებთან (ანუ რიგითთან), რაც შეაპირობებს შესაბამის — ქართულისათვის უცხო — მაგარ ფონემათა არსებობას ხუნძურში.

გარდა ამისა, ხუნძურს აქვს ქართულისათვის უცხო ლატერალური, პალატალური და ფარინგალური თანხმობები.

მეორე მხრივ, ხუნძურში გვაკლია ქართულისათვის დამახასიათებელი ზოგი თანხმობანი; ესენია: მჟღერი აფრიკატები: **ძ**, **ჯ** (აფრიკატები ხუნძურში ყველა ყრუა — იხ. ზემოთ ტაბულა), ბაგისმიერი აბრუპტივი **ბ** (სამივე ეს თანხმობანი, როგორც ზემოთ ითქვა, დასტურდება სამხრულ-ხუნძურის ზოგ კილო-თქმაში).

აღნიშნული თავისებურებები ხუნძური კონსონანტიზმისა უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება განხილული.

§ 29. ფარინგალური სპირანტები ზ და ჰ.

სპირანტთა ეს წყვილი — მჟღერი **ზ** და ყრუ — **ჰ** გარჩეულია მთის იბერიულ-კავკასიურ სხვა ენებშიც (ლაკურში, დარგულში, ტაბასარანულში... ნახური ჯგუფის ენებში, აფხაზურ-ადიღურ ენებში; აფხაზურს აქვს მათი ლაბიალიზებული სახეობები: **ჰ°** [აჰნგ „სახლი“] და **ჰ°** [აჰ°ა „ლორი“]...).

ეს თანხმობები ენის ძირისა და ხახის (ფარინგის) უკანა კედელს შუა გასწვრივი ნაპრალით იწარმოება (გ. ახვლედიანი). **ზ** არაბული -სა და **ჰ** არაბული -ს ბადალ თანხმობებზე მიიჩნევა.

ხუნძურ ენაში მათ ყველა დიალექტი განარჩევს; მაგალითები:

ზ: შინ „ყური“, შორ „მდინარე“, შუნკა „თავი“, შანკო „ქათამი“, შაზო „თოვლი“, მეშერ „მთა“, „ცხვირი“, მაშ „ლურსმანი“, მაშო „ცრემლი“, მეზე „ზრდა“, რაშიზე „გაგონება“... არაბულიდან ნასესხებ სიტყვებში: შადათ „ჩვეულება“, შამალ „ხასიათი“...

ჰ: ჰინჭა „ჩიტი“, ჰელექო „მამალი“, ჰამა „ვირი“, ჰორ „ტბა“, ჰან „ყველი“, ჰინცი „ნიში“, აჰი „ყვირილი, ძახილი“, მაჰ „სუნი“, ტეჰ „ქეცი“, „მუნი“, ჯაჰაბ „თეთრი“... არაბულიდან ნასესხებ სიტყვებში: ჰალ „მდგომარეობა“, „ძალა“, ჰადვან „ცხოველი“, ჰარფ „ასო“... სამხრულ-ხუნძურში **ჰ**-ს შემცველი სიტყვები მეტია, ვინემ ჩრდილო-ხუნძურში: აქ **ჰ**-ს ისეთ სიტყვებშიც ვპოვებთ, რომლებშიც ჩრდილო-ხუნძურში **ხ** არის: ნუჰ „გზა“, ჰაურ „ყანა“, აჰ „ბალი“, ჰერავ „მოხუცი“... (მდრ. ჩრდილო-ხუნძურში: ნუხ, ხურ, ახ, ხერავ).

შენიშვნა. ხუნძური ფარინგალური ყრუ სპირანტი სპეციალურ ლიტერატურაში (როცა იყენებენ ქართულ ტრანსკრიფციას) ჩვეულებრივ აღინიშნება **ჰ** ნიშნით (ჰან „ყველი“). აქ, ამ ნაშრომში, ძირითადი ნიშანი **ჰ** დატოვებულია უცვლელად, მაგრამ გამოცვლილია განმასხვავებელი (დიაკრიტიკული) ნიშანი: ა-ს ნაცვლად — პირობით — გამოყენებულია 7 (ჰან „ყველი“). განმასხვავებელი ნიშნის გამოცვლა იმით არის გამოწვეული, რომ ა სიმაგრის ნიშნად გამოიყენება (წა, ჰა და ა. შ.). ამიტომ **ჰ**-სთან მისმა ხმარებამ შეიძლება გაუგებრობა დაბადოს: შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ **ჰ** მაგარი **ჰ** არისო (მაშინ როდესაც **ჰ** გაურჩეველია სიმაგრის მიხედვით და არც ფარინგალური ყრუ სპირანტი, რომლის შესახებ აქ მსჯელობაა განარჩევს მაგარ ვარიანტს).

§ 30. პალატალური სპირანტი ხ. ხ უფრო წინა წარმოებისაა, ვინემ **ხ** ხუნძურისავე (ეს უკანასკნელი ქართ. **ხ**-ს ბადალია). თუ ხუნძური (და ქართული) **ხ** ველარული (უკანაენისმიერი) თანხმოვანია და იწარმოება ენის ზურგის უკანა ნაწილით, **ხ** არის პალატალური (შუაენისმიერი) თანხმოვანი, რომლის წარმოებისას მოქმედებს ენის ზურგის შუა ნაწილი (ანუ შუაენა მაგარი სასის მიმართ).

ხ: ხაგ „ქვაბი“, რახ „რძე“, ფახ „სპილენძი“, ტეხ „ცხვრის ტყავი“, „წიგნი“, ხიბილ „გვერდი“, ხობ „წნელი“, ბოროხ „გველი“, ბიხიზე „დანახვა“, ბუხიზე „დაბმა“, ხაზე „თესვა“... სამხრულ-ხუნძურში **ხ** შეიძლება გვქონდეს მაგარი **ჰ**-ს რეფლექსადაც.

დალესტნის ზოგ ენაში (ლეზგიურში, ტაბასარანულში...) **ხ**-სთან ერთად გვაქვს იმავე რიგის (ე.ი. პალატალური) მყდერიც, რომელიც იმავე მიმართებაშია ველარულ მყდერ **ღ**-სთან, როგორშიც **ხ** — ველარულ ყრუ **ხ**-სთან. ხუნძურში კი **ხ** ცალეული თანხმოვანია, აკლია მყდერი კორელატი.

გარდა ამისა, დალესტნის სხვა ენებში **ხ** განარჩევს მაგარსა და არამაგარ ვარიანტებსაც (**ხ** — **ხა**). ხუნძურში კი გვაქვს **ხ**-ს მხოლოდ ერთი ვარიანტი, რომელიც თავისი აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური თვისებებით უფრო მაგარი ჩანს, ვინემ არამაგარი.

§ 31. სონანტი გ. ჯერ კიდევ ა. შიფნერი შენიშნავდა, რომ ხუნძური **გ** იმდენად უახლოვდება ხმოვანს, რომ ზოგჯერ ძნელი გადასაწყვეტია, თანხმოვანია იგი, თუ ხმოვანია¹. ი. გიულდენშტედტის ლექსიკურ მასალაში **გ** ხშირად უ-თი არის აღნიშნული (ქუერ „ხელი“, ქუას „მატყლი“...). პ. უსლარს ეს ფონემა სხვადასხვა პოზიციაში სხვადასხვანაირად აქვს აღნიშნული; ასე, მაგ., პირველი გრამატიკული კლასის ნიშანი სიტყვის ბოლოში ხმოვნის მომდევნოდ აღნიშნული აქვს უ () ხმოვნით (როყო-უ „სახლში“, დო-უ „ის“...), ხოლო სიტყვის თავში ხმოვნის წინ და სიტყვის შიგნით ხმოვანთა შორის **გ** () თანხმოვნით (**გ**-უგე-უ „მყოფი“, ვაცა „ძმა“... როყო-გ-ე „სახლშიკენ“...). თუმცა, აქ ყველგან — სიტყვის თავშიც, ბოლოშიცა და შიგნითაც — ერთი და იგივე **გ** ფონემა გვაქვს (მასთან, ერთი და იმავე ფუნქციით). პ. უსლარის მიერ **გ** ფონემის აღნიშვნის ასეთი არაერთგვარობა მიუთითებს ამ ფონემის არტიკულაციის განსხვავებულობაზე შესაბამისად პოზიციისა.

მართლაც, სიტყვის ბოლოში **გ**, როცა იგი ხმოვანს მოსდევს, ყველაზე უფრო უახლოვდება ხმოვანს (**უ**), ხოლო სიტყვის თავსა და შიგნით, როცა იგი ხმოვნის წინაა, თანხმოვანთან სიახლოეს იჩენს.

საერთოდ კი, ხუნძური **გ** არც ერთ პოზიციაში არ შეიძლება მივიჩნიოთ წმინდა კბილბაგისმიერ თანხმოვნად, იგი ყველა პოზიციაში მეტ-ნაკლებად წყვილბაგისმიერი სონანტია (= უ; ტრანსკრიფციაში **გ**-სა და უ-ს გარჩევა ამიტომ აღარაა საჭირო).

§ 32. რბილი ლ და ნ. პ. უსლარი აღნიშნავს, რომ **ლ** გავლენას ახდენს **ა**, **ო**, **უ** ხმოვნებზე, თუ ამ თანხმოვანს თავის მხრივ წინ უძღვის **ი** და **ე** ხმოვნები (ილ, ელ)². მართლაც, ასეთ პოზიციაში ზემოაღნიშნული ხმოვნები თითქოს უმლაუტიზებულიაო. ნამდვილად კი, სათანადო შემთხვევებში გვაქვს რბილი **ლ**, მიღებული წინამავალი **ი** და **ე** ხმოვანთა გავლენით. **ი** და **ე** ხმოვანთა შემდეგ და, შესაძლო არის, წინაც **ლ** თვალსაჩინოდ რბილდება და ემსგავსება რუს. -ს³ (მეგრულ **ლ**-ს): შამილ „შამილი“, ებელ „დედა“, ჰაბილა „გააკეთებს“ (შდრ. ჰაბულა „აკეთებს“, რომელშიც **ლ უ** ხმოვნის შემდეგ რბილი არ არის). ზოგ დიალექტში (ჭარულში, ანდალალურში) **ლ**-ს სილბო ასეთ პოზიციაში უფრო ძლიერად არის გამოხატული.

ამ პოზიციური შეპირობებულობის გარეშე ხუნძური **ლ** შეიძლება დავახასიათოთ, როგორც საშუალო მაგარსა და რბილს შუა (ამ მხრივ იგი ქართ. **ლ**-ს გვაგონებს).

¹ A. Schiefber, Versuch. § 12.

² გვ. 7-8, § 6.

³

იმავე პოზიციაში, რაშიც **ლ** რბილდება, ზოგ დიალექტში შეიძლება დარბილდეს **ნ**-ც. აღსანიშნავია, კერძოდ, წინამავალი **ი** (ე) ხმოვნის გავლენით მომდევნო **ნ**-ს სისტემატური დარბილება ანდალალურსა და ჭარულში.

ხმოვანი, რომელსაც თავის დროზე გამოუწვევია მომდევნო **ნ**-ს დარბილება, ამჟამად შეიძლება დაკარგულიც იყოს: ანდალალ. ჰანა ჰადანა (ჰანა) „იცის“, ჩუნა ჩუნა (ჩუნი) „აწობს“...¹

§ 33. ლარინგალური ც. ც თანხმოვანი ხუნძურში გვხვდება სიტყვის თავში ხმოვნის წინ და სიტყვის შიგნით ხმოვანთა შორის; იგი ასეთ პოზიციაში ხმოვნის მაგარ შემართვად ისმის (§ 14); პ. უსლარს აღნიშნული აქვს ერთადერთი მაგალითი, რომელშიც **ც** სიტყვის შიგნით თანხმოვანს მოსდევს და ხმოვნის წინაა: ბილციზე „დაკარგვა“².

დიალექტებში **ც** სხვა — ძირითადი — თანხმოვნის რეფლექსადაც შეიძლება გვქონდეს (§ 47).

§ 34. ბაგისმიერი აბრუპტივი პ სამხრულ-ხუნძურში. პ-ს შესახებ პ. უსლარი აღნიშნავს: „პ, ე. ი. ფშინვიერი ფ () ხუნძახურ კილოში არ გვხვდება, მაგრამ მას ხმარობენ ანწუხელები, რომლებიც ამბობენ, მაგალ., დაზდა ტაპი „მათ დაარტყი!“ — ნაცვლად დოზდა ტაბე-სი“³.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ **პ** ბგერა აქ სწორად დახასიათებული არ არის (**პ** აბრუპტივია და არა ფშინვიერი), პ. უსლარის ეს ცნობა სიმართლეს შეეფერება: ანწუხელები, მართლაც, ხმარობენ ამ სიტყვაში — და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სხვა სიტყვებშიც, — **პ** თანხმოვანს.

პ. უსლარი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა წარმოშობისაა **პ** თანხმოვანი მის მიერ დამოწმებულ სიტყვაში, რა მიმართებაშია იგი ხუნძახურ **ბ**-სთან, რომლის ადგილი სათანადო სიტყვებში მას უკავია (იხ. ზემოთ).

აღნიშნულ სიტყვაში **პ** მეორეულია და მიღებულია **ბ**-საგან ამ უკანასკნელის აბრუპტივ **ტ** ლატერალთან ასიმილაციით: ტაპი ტაპი „დაარტყი!“ ამას მოწმობს იმავე ანწუხურში **პ** ბგერის შემცველი სხვა სიტყვებიც, რომლებშიც **პ** აგრეთვე აბრუპტივ თანხმოვანთან ასიმილაციის შედეგად მიღებული ჩანს; მაგალ.: ჰაპატ ჰაპატ „გოგირგი“ [ჰაპტილ ჰაპტილ (შდრ. ხუნძახ. ჰაპტილ) „გოგირდისა“], წაპურ წაპურ „წაბლი“ (შდრ. ქართ. წაბლი), ტამპურ ტამპურ „ფანდური“...

¹ ზ. ჯაფარიძე, ზმნის ძირითად ფორმათა წარმოების საკითხისათვის ხუნძურ ენაში... , გვ. 164

² , გვ. 14, § 19.

³ იქვე, გვ. 9.

ანალოგიური წარმოშობისაა **ბ** სამხრულ-ხუნძურის სხვა კილო-თქმებშიც, სადაც კი გვხვდება; შდრ., კერძოდ, ჭარულში: პანკა „ბანკა“, ჭიპი „ჯიბე“...; ანდალალურში: ტაბდე „დარტყმა“, ჭეპარაბ „გაბრტყელებული“, ყაპარაბ „ფაქიზი“¹...

ბ-ს შემცველ სიტყვებში, როგორც ჩანს, ყოველთვის გვაქვს ესა თუ ის აბრუპტივი თანხმოვანი, რომლის გავლენითაც **ბ ბ**.

ამრიგად, სამხრულ-ხუნძურში ყველგან მეორეული წარმოშობის (ასი-მილაციის შედეგად **ბ**-საგან მიღებული) **ბ** ბგერა გვაქვს.

გვქონდა თუ არა ძველად **ბ** ბგერა (პირველადი) ხუნძურ ენაში?

ბ-ს განარჩევს იბერიულ-კავკასიურ ენათა უმრავლესობა (და ამ ენათა გავლენით არაიბერიულ-კავკასიური სომხური და ოსური).

საფიქრებელია, ძველად განარჩევდა მას ხუნძურიც. **ბ**-ს ისტორიული ბედი ხუნძურში დაკავშირებული ჩანს ბაგისმიერების თავისებურებებთან ამ ენაში (§ 43).

§ 35. მუღერი აფრიკატები ჯ და ძ სამხრულ-ხუნძურში. **ჯ**-ს შესახებ **პ.** უსლარი აღნიშნავს: „ხუნძები ვერ გამოთქვამენ () ამ ბგერას და მას ყოველთვის **ჟ** ბგერით ცვლიან; ამბობენ ჟან ნაცვლად -ისა „სული“... „არიან ხუნძები, რომლებიც, რათა თავი მოიწონონ არაბულის, ან თუნდაც ყუმიკურის, ცოდნით, გამოთქვამენ **ჯ**-ს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე ეს ბგერა ხუნძური ანბანისათვის სავსებით ზედმეტად მივიჩნიე“-ო².

პ. უსლარის ეს მსჯელობა ჩრდილო-ხუნძურს ეხება. სამხრულ დიალექტებში **ჯ** შეიძლება გვქონდეს, როგორც ნასესხებ სიტყვებში, ისე საკუთარი მარაგის სიტყვებშიც.

ასე, ანწუხურ დიალექტში **ჯ** დადასტურებულია საკუთარი მარაგის ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: ჯულ „ცოცხი“, ჯეგი „კვლავ“, ჯანუ „შიგნით“... ანწუხურის ჭადაქოლოურ თქმაში **ჯ**-ს შემცველი სიტყვები გაცილებით მეტია: **ჯ** აქ **ძ**-ს რეფლექსადაც გვაქვს (იხ. ქვემოთ). და მაინც **ჯ** ყველგან მერყევი ბგერაა: მის ადგილას შეიძლება ისევ **ჟ** იხმარონ.

ჯ ბგერა **ჟ**-ს მონაცვლედ (მის პარალელურად) გვხვდება ჭარულშიც და ჰიდურ-ანდალალურ-ყარახულშიც.

¹ . . . , . . . , 83- 49; . . . , . . .

- . . . , 83- 245.

² . . . , . . . „ 83- 10; („ . . . “.

83- 23).

შედარებით უფრო მყარია **ჯ**-ს პოზიცია სონორი თანხმოვნების მეზობლად (მომდევნოდ). ამის ილუსტრაციას იძლევა *ყო* („რამე“) ელემენტის კომპოზიტების წარმოება: თუ *ყო*-ელემენტი სონორ თანხმოვანზე გათავებულ ფუძეს დაერთვის, იგი *ჯო*-ს სახეს იღებს: ქვენ-*ჯო* „საჭმელი“ (ქვენ „საჭმელი“ + *ჯო* *ყო* „რამე“), ხან-*ჯო* || ხანჯუ „ფეხილი“ (ხან + *ჯო* *ყო*), ქაჭან-*ჯაბ* ქაჭან-*ყო*-*აბ*) „რამდენი“ („რამდენი რამ“) ...; შდრ. შიბ-*ყო* „რა“, ტაჟუ „შარვალი“ ... (აქ **ჟ**-ს არ იძლევა).

ჩრდილო-ხუნძურს არა აქვს **ძ** ბგერა. სამხრულ დიალექტებში (ანწუხურში, ჭარულში) **ძ** დასტურდება უმთავრესად ინფინიტივის დაბოლოებაში, სადაც მას ჩრდილო-ხუნძურის (და სამწერლო ენის) **წ**-ს ადგილი უკავია; მაგალითები (ანწუხურიდან): ქვენძი (ჭარ. ქინ-ძი) „ჭამა“, ტვენ-ძი „წასვლა“, მინ-ძი „თქმა“, კენ-ძი „გადაყლაპვა“, ჰვალ-ძი „ადუღება“, ჰველ-ძი „მოკვდომა“, ყელ-ძი „სმა“, ჰელ-ძი „დგომა“, ჰარ-ძი „თხოვნა“ ...

როგორც ამას თავის ადგილას ვნახავთ, ინფინიტივის დაბოლოება **-წი** მიღებულია **-დი**-საგან; შუა საფეხურად ***ძი** ივარაუდება (**დ *ძ წ**), ამიტომ ზემოთმოყვანილი მაგალითები განვითარების ამ შუა საფეხურის (***ძ**) რეალურ დადასტურებად შეიძლება მიგვეჩინა, რომ აქ **ძ** მიღებული არ იყოს **წ**-საგან (ქვენძი ქვენწი და ა. შ.); მაგალითებს თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ინფინიტივის დაბოლოებაში **ძ** თავს იჩენს სონორი თანხმოვნების (**ნ, ლ, რ**) მომდევნოდ (იხ. ზემოთ მაგალითები). სხვა თანხმოვანთა (და ხმოვანთა) მომდევნოდ გვექნება **წ** (და არა **ძ**): ბათ-წი „პოვნა“, ბაქ-წი „დანთება“ ... ჰუბუ-წი „კეთება“ (და არა: ბათ-ძი, ბაქ-ძი ... ჰუბუ-ძი ...).

ანწუხური დიალექტის ჰადაქოლოურ თქმაში ზემოთ მოყვანილ მაგალითებში **ძ**-ს **ჯ** ცვლის: ქვენ-ჯი „ჭამა“, ტვენ-ჯი „წასვლა“, ჰველ-ჯი „მოკვდომა“ და ა. შ., რაც ამ თქმისათვის დამახასიათებელი უფრო ზოგადი კანონზომიერებით აიხსნება (მხედველობაში გვაქვს სისინა თანხმოვანთა რეგულარული შეცვლა შიშინებით: § 50).

ძ არა გვაქვს ანდიურ-დილოურ ენებში, არც ლაკურსა და ლეზგიურ ენებში. გარჩეულია იგი დარგულ ენაში. ყველა დაღესტნურ ენას არც **ჯ** ფონემა მოეპოვება, მაგრამ იგი ამ ენებში გაცილებით უფრო მკვიდრია, ვინემ **ძ** (უღურში **ჯ**-ს ორი ვარიანტიც გვაქვს: არამაგარი **ჯ** და მაგარი **ჯი**) **ძ**-ცა და **ჯ**-ც კარგადაა გარჩეული ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში (აფხაზური ისევე, როგორც უღური, განარჩევს არამაგარ **ჯ**-სა და მაგარ **ჯი**-ს). ძველად კი, **ჯ**-ცა და **ძ**-ც ყველა დაღესტნურ ენაში უნდა გვექნოდნა¹.

¹ N. Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen. აგრეთვე: . . . , (), , 4,

მკლერი აფრიკატების მოშლის ტენდენცია ხუნძურის (და დაღესტნურ სათანადო ენათა) ფონეტიკური სისტემის ისტორიული განვითარების ერთ-ერთი ტენდენცია ჩანს.

ამჟამად ხუნძურ დიალექტებში, როგორც ვნახეთ, ამ ბგერათა ჩასახვის ტენდენციაც იწყებს მოქმედებას.

§ 36. სიტყვის თავში თანხმოვანთა შეყრის თავიდან აცილება (ნახესხებ სიტყვებში).

ხუნძურისათვის უჩვეულოა სიტყვის თავში თანხმოვანთა შეყრა, ნახესხებ სიტყვებში ამის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ხმოვანი, რომელიც დაერთვის წინ თავკიდურ თანხმოვანს (უმთავრესად, **ს** და **შ** სპირანტებს) ანდა ჩაერთვის თავკიდურსა და უშუალოდ მომდევნო თანხმოვანს შორის. დაერთვის ჩვეულებრივ ვიწრო ხმოვანი **ი** (**|| უ**): **ის**თაქან (), **ის**ფიჩა (), **ის**თოლ **|| უს**თოლ (), **ი**შთაბ (), **ი**შქოლ **|| უ**შქოლ ()... ხოლო ის ხმოვანი, რომელიც ჩაერთვის, ასომილირებულია მეზობელ ხმოვანთან: **ქ**ულობ (), **თ**არაქთორ (), **ქ**არავათ (), **გ**არამ ()... ასეა ეს ზეპირს მეტყველებაში. სამწერლო ენის ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით კი ეს სიტყვები ისევე იწერება, როგორც რუსულში, ე. ი., თანხმოვანთ-გასაყარის გარეშე (, ...).

თანხმოვანთა შეყრა შეუძლებელი არ არის გვქონდეს სიტყვის შიგნით (ტუნსაურ „წარბი“, ტუნსარულ „წარბები“, ხანყარ „ხანჯალი“, ხუნყარულ „ხანჯლები“, შაშტი „ნაჯახი“... წაუნწარა „ჭინჭველა“, ყუნყრა „წერო“...). სიტყვის ბოლოში შეიძლება შეგვხვდეს ზედიზედ ორი თანხმოვანი, თუ პირველი მათგანი, როგორც ეს პ. უსლარმა აღნიშნა, სონორი თანხმოვანია (ანწ „ათი“, შუნკა „თავი“... ფურჩა „პიპილი“, ჩერხა „ტანი“, ხალყ „ხალხი“...)¹.

§ 37. ლატერალური თანხმოვნები. ტერმინი ლატერალური (ლათინ. *latus, later-is* „გვერდი“, *lateral-is* „გვერდითი“) მიუთითებს სათანადო წარმოების ადგილზე.

როგორც ჯერ კიდევ პ. უსლარი შენიშნავდა, ლატერალური თანხმოვნები პირველი შეხედვით (არასწორი აღქმის შედეგად) თანხმოვანთა კომპლექსებად (**ჭლ**, **ხლ**, **თლ**, **ტლ**) შეიძლება მოგვეჩვენოს², მაგრამ დაკვირვება ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს თვისობრივად განსხვავებულ თანხმოვნებთან.

¹ პ. უსლარი წერს: „

...

“(. . . გვ 6, 7 § 5).

² . . . „გვ 13.

ასეთ თანხმოვანთა წარმოთქმისას ენის წინა ნაწილი გადაიწევა (გადაიდრიკება) ცალ მხარეს, რათა საპირისპირო მხარეს ენის გვერდსა და ლოყას შუა ჰაერნაკადს გასასვლელი დაუტრჩხოს. ლატერალური სპირანტიების წარმოთქმის დროს ენა უახლოვდება ლოყას და მათ შორის წარმოქმნება ნაპრალი, რომელშიც ჰაერნაკადის გავლა ხახუნს იწვევს. ლატერალური აფრიკატების წარმოთქმას ხახუნთან ერთად სკდომაც ახლავს.

ლატერალური თანხმოვნები იბერიულ-კავკასიური ენებიდან აქვს: დაღესტნურ ჯგუფში ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებს (ყველას) და არჩიულ ენას (არა აქვს: ლაკურს, დარგულუს, ლეზგიურს, ტაბასარანულს, უდურს...). ნახურ ჯგუფში — ბაცბურს (არა აქვს ჩაჩნურ-ინგუშურს), აფხაზურ-ადიღურ ჯგუფში — ადიღურსა, ყაბარდოულსა და უბიხურს (არა აქვს აფხაზურს); ქართველური ენებისათვის უცხოა ეს თანხმოვნები.

ხუნძური ენის ჩრდილოურ (ხუნძახურ) დიალექტში გვაქვს ოთხი ლატერალური თანხმოვანი; ესენია:

1. **ლ'** — არამაგარი ფშვინვიერი სპირანტი (ლ'აბგო „სამი“, ლ'არ „ნაკადული“; „ხევი“, ნილ' „ნამგალი“, ლ'აზე „ცოდნა“, ლ'ეზე „დადება“...);

2. **ლზ** — მაგარი ფშვინვიერი სპირანტი (ლ'ინ „წყალი“, ლ'ადი „ცოლი“, ლ'ილ „ვისი?“, ლ'იკაბ „კარგი“, მალ'იზე „სწავლება“, ებელ-ალზ „დედა-მ“...).

3. **ლ'** — მაგარი ფშვინვიერი აფრიკატი (ანლ'გო „ექვსი“, როლ' „ხორბალი“, ლ'არ „რქა“, ნილ' „ჩვენ [ინკლუზიური], ლ'უშიზე „გათავება“, როსო-ლ' „აულ-ში“...).

4. **ტზ** — მაგარი აბრუპტივი აფრიკატი (ანტზგო „შიდი“, მიტზგო „რვა“, რატზ „მიწა“, ტზინ „ზამთარი“, რატზა „ძვალი“, ტზეზე „მიცემა“, ტზაბიზე „დარტყმა“, განჭი-ტზ „ქვის ქვეშ“...).

ოთხივე ზემოხსენებული ლატერალური თანხმოვანი ჩრდილო-ხუნძურში (ხუნძახურში) პირველად აღნუსხა პ. უსლარმა. უფრო ადრე ა. შიფნერს დადასტურებული ჰქონდა მხოლოდ ორი ლატერალური თანხმოვანი: ერთი ფშვინვიერი და ერთიც აბრუპტივი; ეს აიხსნება შემდეგი გარემოებით: ტექსტები (ხუნძახურ დიალექტზე ჩაწერილი), რომლებიც ა. შიფნერს პეტერბურგში კავკასიიდან გაუგზავნეს (და რომელთაც ა. შიფნერი საანალიზოდ იყენებდა), ჩაწერილი იყო არაბული (აჯამური) ანბანით და იმ ანბანში ლატერალებისათვის მხოლოდ ორი ნიშანი იყო გარჩეული; გარდა ამისა, ა. შიფნერის ინფორმატორები, რომლებიც მან პეტერბურგში მოიძია, იყვნენ წარმომადგენლები იმ ხუნძური თქმებისა, რომლებშიც ორზე მეტი ლატერალური თანხმოვანი არცა გვაქვს.

ამჟამად მოქმედი ანბანი განარჩევს მხოლოდ სამ ლატერალურ თანხმოვანს: **ლ'**, **ლზ**, **ტზ** (, ,); გვაკლია **ლ'**, რომლის ადგილი **ლზ**-ს უჭირავს, რაც იმ კილო-თქმათა გავლენის შედეგია, რომლებშიც **ლ'** ლ'ს (§ 46).

§ 38. მეხუთე ლატერალური თანხმოვანი. გარდა ზემოაღნიშნული ოთხი ლატერალური თანხმოვნისა, აღსანიშნავია კიდევ ერთი ლატერალური თანხმოვანიც:

5. **ტ'** — არამაგარი აბრუბტივი აფრიკატი, რომელიც ხუნძახურ დიალექტში არა გვაქვს, მაგრამ მოეპოვება სამხრულ-ხუნძურის ზოგ თქმას; მაგალითები ჰ ი დ უ რ ი დ ა ნ: ბეტ'ერ „თავი“, რეტ'ელ „ტანსაცმელი“, ტ'ერენ- „წვრილი“, ტ'ორ „თავთავი“, ტ'ომ „ტყავი საქონლისა“, ტ'ინო „ფსკერი“, ტ'ად „ზემოთ“, „ზედ“...

ეს ლატერალური თანხმოვანი გარჩეულია აგრეთვე ანდიურ ენებში (ანდიურსა, კარატულსა და ახვახურში).

§ 39. ლატერალურ თანხმოვანთა სისტემის ზოგადი დახასიათება. ამრიგად, ხუნძური ენის დიალექტების ჩვენება ადასტურებს სულ ხუთ ლატერალურ თანხმოვანს: ორ სპირანტსა (**ლ'**, **ლ'ა**)და სამ აფრიკატს (**ლ'**, **ტ'**, **ტ'ა**).

ლატერალურ თანხმოვანთა ტაბულა

ლატერალური აფრიკატები					ლატერალური სპირანტები		
მუდარი	ყ რ უ				მუდარი	ყ რ უ	
	ფშვინვერი		აბრუბტივი			ფშვინვერი	
	არამაგარი	მაგარი	არამაგარი	მაგარი		არამაგარი	მაგარი
—	—	ლ'	ტ'	ტ'ა	—	ლ'	ლ'ა

ლატერალურ თანხმოვანთა ამ სისტემაში, როგორც ეს მოყვანილი ტაბულიდან ჩანს, გვაკლია ფშვინვერი ლატერალური აფრიკატის არამაგარი კორელატი და მჟღერი ლატერალები (როგორც აფრიკატი, ისე სპირანტიც).

დიალექტებში ლატერალური თანხმოვნები თვალსაჩინო ცვლილებებს განიცდიან (ამის შესახებ იხ. ქვემოთ: §§ 44-49).

§ 40. მაგარი თანხმოვნები. ხუნძური ენის თანხმოვანთა სისტემაში, როგორც ვნახეთ, არსებობს დაპირისპირება მაგარი (ინტენსიური) თანხმოვნებისა არამაგარ (რიგით) თანხმოვნებთან.

ტერმინები „მაგარი“ — „არამაგარი“ აკუსტიკურ შთაბეჭდილებას ემყარება. ამავე მნიშვნელობით ხმარობენ ზოგჯერ ტერმინებს: „ძლიერი“ — „სუსტი“ (ან „მარტივი“). მაგარ თანხმოვანს ეძახიან ზოგჯერ „გემინატს“

(„გემინირებულს“), თუმცა, ეს ტერმინი ჩვეულებრივ გულისხმობს ორმაგ თანხმოვანს, მიღებულს უშუალო მეზობლობაში მყოფი ორი ერთნაირი თანხმოვნის შეერთებით. ხუნძური მაგარი თანხმოვნები კი წარმოადგენს არა ორმაგ თანხმოვნებს (გემინაციის გზით მიღებულს), არამედ თვისობრივად განსხვავებულ ისეთ — ცალმაგ — თანხმოვნებს, რომელთა არტიკულაციას ახასიათებს სამეტყველო ორგანოთა სხვაგვარი მუშაობა (და მდგომარეობა), ვინემ საპირისპირო არამაგრებს (იხ. ქვემოთ). სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება სხვა ტერმინებიც, რომელთაგანაც ზოგი ქვემოთ იქნება მოხსენებული.

მთავარი არტიკულაციური თავისებურება მაგარი თანხმოვნებისა მდგომარეობს წარმოთქმის ინტენსიურობაში: მაგარი თანხმოვნები წარმოითქმის სამეტყველო ორგანოების ძლიერი (ენერგიული) დაჭიმულობით, ვინემ საპირისპირო არამაგრები. ამას ხაზს უსვამს არა ერთი ავტორი, რომელთაც სპეციალურად უკვლევიათ მაგარი თანხმოვნები მთის იბერიულ-კავკასიურ ამა თუ იმ ენაში (ნ. ტრუბეტკოი¹, რ. შორი², გ. ახვლედიანი³...). ამასვე აღნიშნავდა პ. უსლარიც ცალკეული მაგარი თანხმოვნების დახასიათებისას ხუნძურში (მაგალ., „ჭ“ წარმოითქმის განსაკუთრებული დაძაბულობით“... „ლ“ წარმოითქმის უფრო ძლიერი დაძაბულობით, ვინემ ლ“ და სხვ.).

ინტენსიური არტიკულაცია (სამეტყველო ორგანოების ძლიერი დაძაბულობა) შეაპირობებს მაგარ თანხმოვანთა წარმოთქმის სხვა — მასზე დაქვემდებარებულ — თავისებურებებსაც, რომელთაგანაც, კერძოდ, აღსანიშნავია:

ა) თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ს და გ რ ძ ე ლ ე ბ ა. სამეტყველო ორგანოების ძლიერი დაძაბულობა ახანგრძლივებს საჭირო არტიკულაციის შესრულებას და სათანადო მდგომარეობაში სამეტყველო ორგანოები უფრო დიდხანს რჩებიან, — გრძელდება დაყოვნების მომენტი. ამ ნიადაგზე ვიღებთ ერთგვარ განსხვავებას სიგრძის მიხედვით, რასაც ემყარება ტერმინები: „გრძელი“ (მაგარი თანხმოვნებისათვის) და „მოკლე“ (არამაგარი თანხმოვნებისათვის), თუმცა, რ. შორის სპეციალური ექსპერიმენტული გამოკვლევებით,

¹ N. T r u b e t z k o y, Die „kurzen“ und „geminierten“ konsonanten der awaro-andischen Sprachen, Caucasia, Fasc. 3, 1926.

² . . . , . . . „ x“ (. . .) . (. . .) .

, 1935.

³ გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 399. მისივე:

. I.

. . I. 1, 1940.

განსხვავება სიგრძის მიხედვით არც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სადიფერენციაციო ნიშნად გამოდგეს¹.

ბ) ნ ა პ რ ა ლ ი ს დ ა ვ ი წ რ ო ე ბ ა. სამეტყველო ორგანოები რაც უფროა დაძაბული, მით უფრო ვიწროა ნაპრალი (ხახუნისათვის) და პირუკუ; ამას ითვალისწინებს ტერმინები: „ვიწრო ნაპრალოვანი“ (მაგარი თანხმომცემისათვის) და „ფართო ნაპრალოვანი“ (არამაგარი თანხმომცემისათვის) (ნ. ტრუბეცკო).

გ) ა ს პ ი რ ა ც ი ი ს შ ე ს უ ს ტ ე ბ ა. ნაპრალის დავიწროება (იხ. ზემოთ) თავის მხრივ იწვევს ასპირაციის (ფშვინვის) შესუსტებას არამკვეთრ (ფშვინვიერ) მაგარ თანხმომცემთა წარმოთქმისას: ვიწრო (ოდნავ ღია) ნაპრალოში ჰაერი უფრო ნელა და ცოტა ამოდის, ვინემ ფართო (მეტად გაღებულ) ნაპრალოში (ნ. ტრუბეცკო). ამ თავისებურებით მაგარი ფშვინვიერები უახლოვდებიან აბრუპტივებს, რომლებიც სრულიად უფშვინვო თანხმომცემებია. ზოგი ავტორი მაგარ ფშვინვიერებს სრულიად უფშვინვო თანხმომცემებადაც კი მიიჩნევს, რაც გამართლებულია ფაქტობრივ.

დ) ს კ ღ ო მ ი ს შ ე ს უ ს ტ ე ბ ა. სამეტყველო ორგანოების დაძაბულობა აძლიერებს (ახანგრძლივებს) რა დაყოვნების მომენტს, შესაბამისად ასუსტებს განწმვას (მხედველობაშია მაგარ ხშულთა წარმოთქმა), რაც მაგარ ხშულებს აახლოებს აფრიკატებთან. ზოგი ავტორი მაგარ ხშულებს (ქ, კ) საპირისპირო არამაგარებისაგან (ქ, კ) განსხვავებით ჩვეულებრივი ტიპის აფრიკატებადაც კი მიიჩნევს (ლ. ჟირკოვი, ნ. ტრუბეცკოს ტაბულეზში ქ, კ აფრიკატების წყებაშია წარმოდგენილი). მაგრამ ეს ისევე გაუმართლებელი იქნებოდა, როგორც მაგარი ფშვინვიერების გათანაბრება აბრუპტივებთან იმ მსგავსებების გამო, რაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, მათ შორისაც გვაქვს გარკვეული ნიშნეულობის მიხედვით.

ზემოთ აღნიშნულია მაგარ თანხმომცემთა მთავარი არტიკულაციური თავისებურებები². ეს თავისებურებები ყველგან ერთნაირად შეიძლება არ იჩენდეს თავს: ამა თუ იმ დიალექტში (ენაში) ესა თუ ის თავისებურება შეიძლება უფრო თვალსაჩინოდ იყოს გამოხატული.

¹ ზოგი ავტორისათვის კი, პირიქით, მაგარ თანხმომცემთა დახასიათება, როგორც გრძელი თანხმომცემისა, უფრო მისაღებია, ვინემ მათი წარმოების ინტენსიურობის გახაზვა (. . . , I, . . . , 1948, გვ. 116); ამ საკითხის თაობაზე უდრ.: ტ. გ უ დ ა ვ ა, ტინდიური ენის ფონეტიკური მიმოხილვა, იკე, V, 1953, გვ. 342.

² უდური ენის მონაცემების მიხედვით ვლ. ფ ა ნ ჩ ვ ი ძ ე მიუთითებს ენის უკან გადაწევაზეც მაგარ თანხმომცემთა წარმოთქმისას: „ . . .

“... (. . . , . . . , სსრკ მეცნ. აკად. საქართ. ფილიალის მოამბე, ტ. I, №9, 1940, გვ. 706).

მაგარ თანხმოვნებს განვითარების (ცვლილებათა) საკუთარი კანონზომიერება აქვს: რომელიმე მაგარი თანხმოვანი (ან წყება მაგარი თანხმოვნებისა) შეიძლება იცვალოს, მაგრამ საპირისპირო არამაგარი უცვლელი დარჩეს; შეიძლება იცვალოს მაგარიცა და არამაგარიც, მაგრამ — ჩვეულებრივ — სხვადასხვა მიმართულებით. მაგარ თანხმოვანთა ცვლილებებში კარგად ვლინდება ამ თანხმოვანთა ზემოაღნიშნული თავისებურებები. სათანადო მაგალითები იხ. ქვემოთ.

§ 41. რა თანხმოვნებში გვაქვს დაპირისპირება სიმაგრის მიხედვით? მთის იბერიულ-კავკასიურ ამა თუ იმ ენაში, სადაც კი თანხმოვნები ერთმანეთს უპირისპირდებიან სიმაგრის მიხედვით, ასეთი დაპირისპირება იჩენს თავს გარკვეული რიგის თანხმოვნებში (და არა ყველაში). რა ვითარებაა ამ მხრივ ხუნძურში?

ხუნძურ ენაში დაპირისპირება სიმაგრის მიხედვით შეიძლება გვეჩვენოს ყრუ თანხმოვნებში (არც ერთი მყლერი თანხმოვანი არ განარჩევს მაგარ ვარიანტს; შდრ. უდურში მაგარი — შიშინა — მყლერები: ჯა, ჟა). მაგრამ ყრუ თანხმოვნებიც ყველა არ არის გარჩეული სიმაგრის მიხედვით: არც ერთი ყრუ ბაგისმიერ და კბილისმიერ თანხმოვანს არა აქვს მაგარი ვარიანტი (თუმცა, ზოგად შესაძლებლობათა მიხედვით ესეც არ არის გამორიცხული: შდრ., მაგალ., ლაკური, რომელსაც დაპირისპირება სიმაგრის მიხედვით თანმიმდევრულად აქვს გატარებული ფშვინვიერ თანხმოვნებში, გარჩეული აქვს მაგარი ბაგისმიერი ფჷ-ცა და მაგარი კბილისმიერი თა-ც).

გამოდის, რომ ხუნძურ ენაში სიმაგრის მიხედვით თანხმოვანთა დაპირისპირებისათვის მნიშვნელობა აქვს თანხმოვანთა წარმოების არამხოლოდ გვარობას, არამედ ადგილსაც.

ამყამად, როგორც ჩანს, ასეთი დაპირისპირება შეიძლება გვეჩვენოს ენისმიერი (ენისზურგისმიერი, ანუ დორსალური, ენისძირისმიერი ანუ ფარინგალური და ენისგვერდისმიერი ანუ ლატერალური) არტიკულაციის ყრუ თანხმოვნებში, მათ შორის, ფშვინვიერებშიცა და აბრუპტივებშიც (შდრ. ლაკური — მხოლოდ ფშვინვიერებში, მაგრამ განუჩივლად წარმოების ადგილისა), შიშინებშიცა და სისინებშიც (შდრ. უდური — მხოლოდ შიშინებში, მაგრამ განუჩივლად წარმოების ადგილისა და გვარობისა¹), ხშულებშიც, აფრიკატებშიცა და სპირანტებშიც.

მაგარ თანხმოვანთა სისტემა უფრო სრულად დაცულია ჩრდილო-ხუნძურში. სამხრულ-ხუნძურში ეს სისტემა გამარტივების გზას ადგას. მაგარ თანხმოვანთა სისტემის გამარტივება შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული

1

რიგის მაგარ თანხმოვანთა შეცვლამ სხვა თანხმოვნებით (მაგალ., მაგარი ში-შინები სისინები; მაგარი აფრიკატები სპირანტები, მაგარი აბრუბტივები ფშინვიერები და ა. შ.). ამგვარ ცვლილებათა გარეშეც მაგარმა თანხმოვნებმა შეიძლება დაკარგონ სიმაგრე და შესაბამის არამაგრებში აირიონ (**ჟ** **კ**, **წ** **წ**, **ჭ** **ჭ**... **ხ** **ხ** და ა. შ.). ამას ადასტურებს, კერძოდ, ჭარული კილოს ზოგი თქმა (ბელაქნური, თალური), რომელშიც დაპირისპირება სიმაგრის მიხედვით თანხმოვანთა შორის ამჟამად მოშლილია.

ჩრდილო-ხუნძურში, როგორც ეს თანხმოვანთა კლასიფიკაციის ტაბულიდან ჩანს, გარჩეულია მაგარ და არამაგარ თანხმოვანთა შემდეგი წყვილები:

- ა) ხშულები: **ქ** — **ქჟ**, **კ** — **კჟ**;
 ბ) აფრიკატები: **ც** — **ცჟ**, **წ** — **წჟ**, **ჩ** — **ჩჟ**, **ჭ** — **ჭჟ**;
 გ) სპირანტები: **ს** — **სჟ**, **შ** — **შჟ**, **ხ** — **ხჟ**, **ლ** — **ლჟ**.

ამათ უნდა დაემატოს თვით ხუნძურის დიალექტთა მონაცემების მიხედვით კიდევ ერთი წყვილი ლატერალური აფრიკატებისა: **ტ** — **ტჟ**. ამ წყვილის ერთეულებიდან ჩრდილო-ხუნძურში დაცულია მხოლოდ მაგარი ვარიანტი (**ტჟ**). (ორივე ვარიანტი გვაქვს ჰიდურში. — § 38).

ლ ე ქ ს ი კ უ რ ი ნ ი მ უ შ ე ბ ი :

- ქ**: ქეთო „კატა“, ქვერ „ხელი“, ქინი „აკვანი“, ბაქიზე „დანთება“...;
ქჟ: მიქი „მტრედი“, ქალ „ობი“, ქვეზე „დაჭერა“, ბაქიზე „გამოჩენა“...;
კ: რაკ „გული“, კალ „პირი“, კიგო „ორი“, კვეტ „ბაგე“, კვეზე „შეძლება“...;
კჟ: შუნკა „თაგვი“, კარა „კოლო“, კალ „ხეობა“, კუდ „კვამლი“, კვაზე „პარსვა“...;
ც: ცო „ერთი“, ოც „ხარი“, ცი „დათვი“, იც „ჩრჩილი“, ბეციზე „თიბვა“...;
ცჟ: ვაცა „ძმა“, იცა „წყარო“, ბეცაიზე „ქება“, ცინ „ნალველი“, -ცა (ერგატ. ბრ. ნიშანი)...;
წ: წა „ცეცხლი“, წულ „შეშა“, ბაწ „მგელი“, ბეწიზე „გადახდა“, წეზე „ავსება“...;
წჟ: წან „მარილი“, მაწა „ენა“, წად „წვიმა“, წალიზე „სწავლა“, „წაკითხვა“, ბეწაიზე „დენა“, „ჟონვა“...;
ჭ: იჭგო „ცხრა“, ჭეტ „რწყილი“, ჭვაზე „მოკვლა“, ბიჭიზე „გაბობა“, ჭამიზე „ღეჭვა“...;

ჭ: მიჭა „ჭინჭარი“, რაჭა „კული“, ჭიხე „დგომა“, ბიჭიხე „გაგება“, ბეჭიხე „წველა“...;

ს: ვას „ვაჟიშვილი“, სონ „წელიწადი“, ნუსგო „ასი“, სორდო „ღამე“, სან „სხეულის ნაწილი“...;

სა: სააკ „აბედი“, საან „ფერდობი (მწვანით შემოსილი)“, ბუსაინე „დაბრუნება“, საუნტიხე „ყნოსვა“, სავერიხე „ტრიალი“...;

შ: ქვეშ „ცული“, შეყერ „ხახა“, აყელი“, შიშა „ბოთლი“, „შუშა“, შაპრა „შარაგზა“, შახ „შახი“...;

შა: შუგო „ხუთი“, შიბ „რა“, შავეზე „მოსვლა“, „მოღწევა“, ყვანშა „საფეთქელი“, ბიშიხე „ამორჩევა“, „გამორჩევა“...;

ხ: ნუხ „გზა“, ახ „ბაღი“, ხურ „ყანა“, მახ „არყისხე“, ხინ-ლ'ი „სითბო“, ხვეზე „მოკვდომა“...;

ხა: ხაერ „თივა“, მახა „რკინა“, როხაელ „სიხარული“, ხუტიხე „დარჩენა“...;

ლ: იხ. § 37.

ლხ: იხ. § 37.

ტ: იხ. § 38.

ტა (= ტა): იხ. § 37.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, დაპირისპირება მაგარი თანხმომენებისა არამაგრებთან ზოგჯერ ასხვავებს სიტყვებს (ბაჭიხე „დანთება“ — ბაჭიხე „გამოჩენა“... კალ „პირი“ — კალ „ხეობა“... ბეციხე „თიბვა“ — ბეციხე „ქება“... ბაჩანა „მოიყვანა“ — ბაჩანა „მოიტანა“ და ა. შ.).

გარდა ზემოაღნიშნული თანხმომენებისა, ოთხი თანხმომენიც მაგარ თანხმომენთა წყებაში განიხილება, თუმცა მათ თვით ხუნძურში არ გააჩნიათ არამაგარი ვარიანტები: ესენია ლატერალური **ლ'** და პალატალური **ხ'**, ფარინგალური **ჭ** და **ყ** (ასეთ თანხმომენებს სიმაგრის ნიშანი ჩვეულებრივ არ ეწერებათ).

სიმაგრე თანხმომენისა ხუნძურში დამოკიდებული არ არის სიტყვის პოზიციაზე. მაგარი თანხმომენი ინარჩუნებს სიმაგრეს როგორც ხმომენის წინ, ისე თანხმომენის წინაც და აბსოლუტურ ბოლოშიც (მახაულ „რკინისა“, მახა „რკინა“, მახაშაელ „ხელოსნობა, „ოსტატობა“...); ლაკურში კი მაგარი თანხმომენი შეიძლება გვექონდეს მხოლოდ ხმომენის წინ, ხოლო თანხმომენის წინ და აბსოლუტურ ბოლოში ყოველი მაგარი თანხმომენი კარგავს სიმაგრეს (მუხაულ „რკინისა“, მაგრამ: მახ მახა „რკინა“, მახრუ მახარუ „რკინები“).

§ 42. ფარინგალურ ჯ და ყ თანხმოვანთა არამაგარი კორელატების შესახებ. ცალკე უნდა შევჩერდეთ ფარინგალური რიგის **ჯ** და **ყ** თანხმოვნებზე. აღნიშნული გვქონდა, რომ ეს თანხმოვნები ხუნძურ ენაში განიხილება, როგორც მაგარი თანხმოვნები (ლ. ყირკოვის, ნ. ტრუბეცკოის ტაბულებში და ჩვენს ტაბულაშიც ისინი წარმოდგენილი არიან მაგარ თანხმოვანთა წყებაში), თუმცა, შესაბამისი არამაგარი კორელატები მათ თვით ხუნძურში არ მოეპოვებათ.

მაგრამ ზოგ ანდიურ ენაში გარჩეულია ამ თანხმოვანთა არამაგარი კორელატებიც. **ყ**-ს ორივე სახეობას განარჩევს ახვასური და ანდიური¹, **ჯ**-ს ორივე სახეობას — ახვასური (სხვა ჯგუფის ენებიდან: ლაკური, დარგულული...).

შედარება არკვევს, რომ სათანადო საერთო სიტყვებში ხუნძურ **ჯ** და **ყ** თანხმოვნებს ზემოხსენებულ ენათა მაგარ **ჯ** და **ყ** თანხმოვანთა ადგილი უკავიათ; შდრ.:

ხუნძ. ჯვაზე — *ახვას.* ჯვარუ „წერა“... *ხუნძ.* რუყ — *ახვას.* ჰაყუ „სახლი“... *ხუნძ.* ყოტიზე — *ანდ.* ბუყიდუ, *ახვას.* ბუყაუ „ჭრა“...

როგორც ირკვევა, *ხუნძ.* **ჯ** და **ყ** სხვა ენათა **ჯ** და **ყ** თანხმოვნებს უდრის (მასთან, ისეთ ენათა, რომლებშიც არამაგარი **ჯ** და **ყ** თანხმოვნებიც გარჩეულია).

რა უდრის ხუნძურში ასეთ ენათა არამაგარ **ჯ** და **ყ** თანხმოვნებს? არამაგარი **ჯ** და **ყ** თანხმოვნების ადგილას ხუნძურში სულ სხვა თანხმოვნებია; შდრ.:

ა) *ახვას.* აჯ (ლაკ. აჯ, დარგ. ანჯ) — *ჩრდ.-ხუნძ.* ახ (სამხრ.-ხუნძ. აჰ) „ბალი“;

ახვას. ჯური (ლაკ., დარგ. ჯუ) — *ჩრდ.-ხუნძ.* ხურ (სამხრ.-ხუნძ. ჰურ) „ყანა“;

ახვას. ჯანუ — *ჩრდ.-ხუნძ.* ხონო (სამხრ.-ხუნძ. ჰონო) „კვერციხი“;

ბ) *ახვას.* ყაბე, *ანდ.* ყაბ — *ხუნძ.* (ჩრდ.-ხუნძ., სამხრ.-ხუნძ.) ჭებ „ფართო“;

ახვას. რაყა, *ანდ.* როყო — *ხუნძ.* (ჩრდ.-ხუნძ., სამხრ.-ხუნძ.) რაჟ „კოკა“;

ახვას. მაყა, *ანდ.* მოყო — *ხუნძ.* (ჩრდ.-ხუნძ., სამხრ.-ხუნძ.) მაჟო „ცრემლი“;

ახვას. ბოყოდა, *ანდ.* ბოყოგუ — *ხუნძ.* უნყო (ანწუხ. უნჟო) „ოთხი“...

¹ ანდიურში არამაგარ **ყ**-ს მყლერობის ჩანასახიც აქვს.

შედარება არკვევს, რომ არამაგარ **ჭ**-ს ადგილი ხუნძურში უკავია ჩრდ-ხუნძურში **ხ**-ს, სამხრულ-ხუნძურში **ჰ**-ს, ხოლო არამაგარი **ყ**-ს ადგილას როგორც ჩრდილოურ, ისე სამხრულ-ხუნძურში გვაქვს **შ**. როგორც ჩანს, არამაგარ **ჭ** და **ყ** თანხმოვანთა ადგილს ხუნძურში სპირანტები (**ხ**, **ჰ**; **შ**) იკავებენ. თუ ვივარაუდებდით, რომ ძველად ხუნძურშიც უნდა გვექონოდა არამაგარი **ჭ** და **ყ** თანხმოვნები, მათი უქონლობა ამ თანხმოვანთა სპირანტიზაციით შეგვეძლო აგვეხსნა¹. მაშინ ამოსავალ თანხმოვნებთან მათი შემცვლელი რეფლექსების მიმართების თვალსაზრისით ყურადღებას მიიქცევდა შემდეგი გარემოება: ჰომორგანულ არამაგარ **ჭ** და **ყ** თანხმოვნებს სამხრულ-ხუნძურში შესატყვისება ჰომორგანული სპირანტები: **ჰ** (**ჭ**) და **შ** (**ყ**), ჩრდილო-ხუნძურში კი ჰეტერორგანული სპირანტები: **ხ** და **შ**. სამხრულ-ხუნძურის ჩვენება ამ შემთხვევაში უფრო ძველი ჩანს, ვინემ ჩრდილო-ხუნძურისა (ამ უკანასკნელში **ხ**, როცა იგი პირველადი არამაგარი **ჭ**-ს შესატყვისად გვაქვს, **ჰ**-ს შემდგომ ტრანსფორმაციად შეიძლება მივიჩნიოთ: **ჭ** **ჰ** || **ხ**).

§ 43. წყვილბაგისმიერთა რეფლექსები. ჯერ კიდევ პ. უსლარმა აღნიშნა წყვილბაგისმიერი არტიკულაციის შესუსტება ხუნძახურში². ამ ნიადაგზე უნდა აიხსნას რიგი მოვლენა, რაც ხსენებულ დიალექტში წყვილბაგისმიერთბთან არის დაკავშირებული; სახელდობრ:

ა) არა გვაქვს **პ** ბგერა (სამხრულ-ხუნძურში თითო-ორიოლა მაგალითები მაინც შეიმჩნევა — § 34).

ბ) ხშირად იკარგვის **ბ**: ებელ ე'ელ „დედა“, ჰაბიზე ჰა'იზე „კეთება“, ჰებ მეხალა ჰე'ეხალა „იმ დროს“, ბატალ'იზე ატალ'იზე „გამოყოფა“³...

გ) **ფ** **ჰ**, რაც აღნიშნული აქვს პირველად ნ. მარს აულ ონსოქოლოს მეტყველებაში⁴ (სათანადო მაგალითები უცხო არ არის ხუნძახის რაიონის აულების მეტყველებისათვისაც): ფირი ჰირი „ელვა“, ფოლოფ

¹ ნ. ტრუბეცკოი, Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten... § 14, § 28, ტ. გუდავა, ფარინგალურ თანხმოვანთა საკითხისათვის ხუნძურ-ანდიურ ენებში, იკე, IX-X, 1958, გვ. 261-264.

² პ. უსლარი, კერძოდ, შენიშნავს: "

" (. . . გვ. 9, § 7).

³ პ. უსლარს მოჰყავს ჰაჯი-მურადის (იგი ხუნძახელი იყო) საბრძოლო განკარგულების ფრაზა: „ხაუნზ, ატალ'ე! (ნაცვლად ბატალ'ე-სი), რაც ნიშნავს: „ხუნძახელებო, გამოეყავით (სხვებს) — წინ გამოდით!“ (იხ. იქვე).

⁴ . . . , 1917, 5, გვ. 323-324.

ჰოლოპ „ქაფი“, ფურუცა ჰურუცა „კავი“, ფილფილ ჰილჰილ „პიმიპილი“, ფინწა ჰინწა „ბებერა“ (), ფარჩი ჰარჩი „დოქი“, ფარანგ ჰარანგ „ფრანგი“, ფირისთავ ჰირისთავ „ბოქაული“, ფოლქოვნიქ ჰოლქოვნიქ „პოლკოვნიკი“, ფერ ჰერ „ხახვი“, ფისიჩქა ჰისიჩქა „ასანთი“, ფომილორ ჰომილორ „პომილორი“...

ნ. მარი ამ მოვლენას (**ფ ჰ**) „ონსოქოლოს დიალექტში“ (როგორც ის უწოდებს) აკავშირებს სომხური ენიდან ცნობილ ბგერათვალაწევასთან **p h** (*hayr ინდ.-ევროპ. pater „მამა“...*) და წარმოდგენილი აქვს ეს პროცესი ამგვარად: **p (b f) h**.

ნ. მარი ასკვნის: ხუნძურში ჩვენ უნდა გვქონდეს ნაშთი, თუნდაც ნაწილობრივი, იმ იაფეტური ენისა, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა სომხეთის ნარევი ტიპის ენათა წარმოქმნაში, სახელდობრ, არიო-ევროპულ-იაფეტურისაშიო.

რასაკვირველია, შეუძლებელი არ არის ხუნძურსა და სომხურს (არა-ინდოევროპულ მის ელემენტს) ერთმანეთთან ძველის-ძველი კავშირი ჰქონოდა, მაგრამ სამისო საბუთად არ გამოდგება ფონეტიკური პროცესი **ფ ჰ** ხუნძახის თემის აულთა მეტყველებაში.

საქმე ისაა, რომ იმ ხანას, როცა *ინდო-ევროპ. pater სომხ. hayr* ჩვენ დამორებული ვართ, სულ მცირე, ორი ათასი წლით. წარმოდგენილია ამ ფონეტიკურ წესს ძალა შერჩენოდა ორი ათასი წლის განმავლობაში ხუნძური ენის დიალექტში (რამაც *pater hayr*, იგივე პროცესი იძლეოდა ხუნძურში: ფოლქოვნიქ ჰოლქოვნიქ, ფისიჩქა ჰისიჩქა...), რომ არაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ **p h** სომხურის ინდო-ევროპულ ფენას ახასიათებს, აქ კი **ფ ჰ** იბერიულ-კავკასიურ ლინგვისტურ სინამდვილეში შეიმჩნევა.

ხსენებული ნიშნის მიხედვით ხუნძურისა და სომხურის ისტორიული ურთიერთობის დადგენა ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელი იქნებოდა, მაგალითად, ზანური დაგვეკავშირებინა ოსურთან იმის გამო, რომ ზანური **ჩ** ისევე შეეფარდება ქართულ **ც**-ს, როგორც **ჩ** ოსურის ერთი კილოსი **ც**-ს იმავე ოსურის მეორე კილოში.

სომხურსა და ხუნძურში ტ ი ბ ო ლ ო გ ი უ რ ა დ ერთნაირი ფონეტიკური პროცესი აღმოჩნდა. ასეთი პროცესი არ საჭიროებს ისტორიულ-ურთიერთობას.

დ) ბ ო ლ ო კ ი დ უ რ ი მ ვ ე რ ძ ლ ე ბ ს, იგი სისტემატურად იცვლება **ნ**-ით. როცა კი აბსოლუტური ბოლო სიტყვისა გადაიწევს (სუფიქსის დართვის შედეგად) და ეს თანხმომავნი ხმოვნის წინ აღმოჩნდება, იგი აღდგება; მაგალითები: წა**ნ** წა**მ** „მარილი“ (მაგრამ: წა**მ**-ულ „მარილისა“), წუ**ნ** წუ**მ** „არწივი“ (წუ**მ**-ალ „არწივები“), ტ**ონ** ტ**ომ** „ტყავი“

(ტომ-ილ „ტყავისა“), ემენ ემემ „მამა“ (უმუმ-ულ „მამები“), ქერენ ქერემ „მკერდი“ (ქურმ-ულ „მკერდები“), შორკენ შორკემ „ერთი წლის ცხვარი“ (შორკამდულ „ერთი წლის ცხვრისა“; შდრ. ქართ. ერკემალი).

ა. შიფნერი აღნიშნავდა, ბოლოკიდური მ ზოგ ნასესხებ სიტყვაში შემოგვრჩაო: ჰაქიმ „მოსამართლე“, ყალამ „კალამი“, სალამ „სალამი“... მაგრამ პ. უსლართან ყალან დასტურდება. სალამ-ში მ თითქოს დღემდის დაცულია, თუმცა ლ. ყირკოვის ლექსიკონში პარალელურად სალან ვარიანტის არსებობაცაა დადასტურებული.

სამხრულ დიალექტებში ბოლოკიდური მ ძლებს, იგი არ იცვლება ნ-ით; წამ „მარილი“, წამ „არწივი“, ტომ „ტყავი საქონლისა“, ლამ „წყალი“ და ა. შ.

ე) მ ვერ ძლებს ვერც სიტყვის შიგნით თანხმოვნის წინ; ასეთ პოზიციაშიც მ ნ: გამაჭ „ქვა“ — განჭილ გამჭილ (გამაჭილ) „ქვისა“, გამუმ „კამეჩი“ — განშალ გამშალ (გამუმშალ) „კამეჩები“, ლამას „სკივრი“ — ლანსილ ლამსილ (ლამასილ) „სკივრისა“, ტამახ „ფოთოლი“ — ტანხალ ტამხალ (ტამახალ) „ფოთლები“, ტამაჩ „ფურცელი“ — ტანჩალ ტამჩალ (ტამაჩალ) „ფურცლები“, ემენ (ემემ — იხ. ზემოთ) „მამა“ — ინსაულ იმსაულ „მამისა“¹...

სამხრულ-ხუნძურში მ ასეთ პოზიციაშიც დაცულია; შდრ.: გამაჭ „ქვა“ — გამჭილ „ქვისა“, გამჭალ „ქვები“... გამუმ „კამეჩი“ — გამშოლ „კამეჩისა“, გამშალ „კამეჩები“ და სხვ.

§ 44. ლატერალურ თანხმოვანთა რეფლექსები. ჩვენ ვნახეთ (§ 39), რომ ხუნძურ ენაში (დიალექტთა მონაცემების გათვალისწინებით) სულ ხუთი ლატერალური თანხმოვანია: 1. ლ¹; 2. ლ²; 3. ლ³; 4. ტ²; 5. ტ¹.

თუმცა თითოეული მათგანი რეალურ დადასტურებას პოულობს თვით ხუნძურის ამა თუ იმ დიალექტში, მაგრამ ხუთივეს ერთად ამჟამად არც ერთი დიალექტი არ განარჩევს.

ამ ხუთიდან ხუნძახურში (ჩრდილო-ხუნძურში) გვაკლია მხოლოდ ერთი ლატერალი (ტ¹), ჰიდურშიც — ერთი (მაგრამ არა ის, რაც ხუნძახურში, არამედ სულ სხვა: ლ²), ანწუხურში — ორი (ლ¹ და ტ¹), ანდალა-ლურსა და ყარახულში — სამი (ლ¹, ტ¹, ლ²), ჭარულში — ყველა (არა გვაქვს არც ერთი ლატერალი).

¹ მსა ნსა (იმსაულ ინსაულ) პროცესთან დაკავშირებით ნ. მარი იგონებს ანალოგიურ პროცესს სომხურიდან, ჭანურ-მეგრულიდან. ამ შემთხვევაშიც, ცხადია, საქმე გვაქვს ტიპოლოგიურად ერთნაირი პროცესის ნიმუშთან (ისევე, როგორც ფ-ს ჰ-ით ცვლისას. — იხ. ზემოთ).

იმ დიალექტებში, რომლებშიც გვაკლია ესა თუ ის ლატერალური თანხმოვანი, სათანადო ლატერალი შეცვლილია სათანადო რეფლექსით.

განვიხილოთ ქვემოთ ეს რეფლექსები ამოსავალი ლატერალების მიხედვით ცალკეულ კილო-თქმებში (ჭარულის, როგორც ლატერალების სრულიად არმქონე დიალექტის, ვითარება ამ მხრივ ცალკე გასათვალისწინებელია).

§ 45. ლ'-ს (არამაგარი ლატერალური სპირანტის) რეფლექსები ანწუხურსა და ანდალალურ-ყარახულში. ლ' თ — ა ნ წ უ ხ უ რ შ ი . მაგალითები (აქაც და ქვემოთაც შესადარებლად მოგვყავს ხუნძახური ვარიანტიც, რომელშიც ლატერალური თანხმოვანი დაცულია პირველადი სახით):

ანწუხ.	თაბგუ	შდრ.	ხუნძახ.	ლ' აბგო „სამი“
„	თებერგუ	„	„	ლ' ებერგო „ოცდაათი“
„	თიმალ	„	„	ლ' იმალ „ბაშვები“
„	ბოთონ	„	„	ბოლ'ონ „ლორი“
„	მათ	„	„	მალ' „ფრჩხილი“
„	ნით	„	„	ნილ' „ნამგალი“
„	თეზი	„	„	ლ' ეზე „დადება“
„	თაზი	„	„	ლ' აზე „ცოდნა“
„	-თი (შემერ-თი)	„	„	ლ' ი (შემერ-ლ'ი „სიმრავლე“)...

ლ' ლატერალის თ რეფლექსით შეცვლას ანწუხურში აღნიშნავდა ჯერ კიდევ პ. უსლარი¹. სათანადო მაგალითები დასტურდება ი. გიულდენ-შტედტის ანწუხურ მასალაშიც: თებერგო „ოცდაათი“ (გვ. 513), ბოთონ „ლორი“ (გვ. 515) და სხვ.².

თ რეფლექსი უნდა ასახავდეს ლ'-ს ფშვინვიერობას (ლატერალობის მომენტი მოხსნილია).

შენიშვნა. ქართული ასოებით შესრულებულ ხუნძურ წარწერაში XIV საუკუნისა გვხვდება: წობ თეგი (ნაცვლად წობ ლ'ეგისა) „წყალობა დაედოს“, „შეწყნარებულ იქნეს!“ მაგრამ აქ საქმე უნდა გვქონდეს არა ლ' თ ფონეტიკურ პროცესთან, არამედ ლ' ლატერალის თავისებურ დაწერილობასთან: რაკი ამ ლატერალის შესაბამისი ნიშანი ქართულ ანბანში არ მოიპოვებოდა, მისი დაწერილობისათვის გამოყენებულ იქნა თ³.

¹ . . . , . . . „ გვ. 14.

² G ü l d e n s t ä d t, Reisen...

³ ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართულ-ხუნძური წარწერა...

2. **ლ'** **ჰ** || **ლჰ** || **ლ** — ანდალალურსა და ყარახულში.

რეფლექსთა ვარიაციები შეპირობებულია პოზიციურად: a) **ჰ** — სიტყვის თავშია, b) **ლჰ** — სიტყვის შიგნით და ზოგ თქმაში სიტყვის ბოლოშიც, c) **ლ** — სიტყვის ბოლოში (და **ლ'ი** სუფიქსში **ლ'-ს** ადგილას); მაგალითები:

a) ჰაბგო „სამი“	მდრ. ხუნძახ.	ლ'აბგო
ჰიმერ „ბავშვი“	„	ლ'იმერ
ჰედე (ჰობ.), ჰელე (ყარახ.) „დადება“	„	ლ'ეზე
ჰადე (ჰობ.), ჰალე (ყარახ.) „ცოდნა“	„	ლ'აზე
b) ბოლჰონ „ლორი“	„	ბოლ'ონ
ნალჰი „ვალი“	„	ნალ'ი
ბოლჰო „კიბე“	„	ბოლ'ო
რელჰენ „საღებავი“	„	რელ'ენ...
c) მალ (მანას-აულ., არკ.) ¹ , მალჰ (ჰობ.)	„	მალ'
„ფრჩხილი“		
ნილ (მანას-აულ., არკ.) ² , ნილჰ (ჰობ.).	„	ნილ'
„ნამგალი“		
-ლი (აბსტრაქტ. სახელთა სუფიქსი):	„	-ლ'ი:
ჰემერ-ლი „სიმრავლე“...		ჰემერ-ლ'ი

ჰ, ლჰ, ლ რეფლექსთა ურთიერთობა ერთმანეთთან და ამოსავალ ლატერალურ თანხმოვანთან ასე წარმოიდგინება³: ძირითადი რეფლექსი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ამოსავალ ლატერალს, რთული **ლჰ** რეფლექსი უნდა იყოს; ეს რთული რეფლექსი ლატერალის შემადგენელ ელემენტებად დაშლის შედეგი ჩანს: მასში ცალკე ფონემებად ჩამოყალიბებულია ის ელემენტები, რაც ამოსავალ **ლ'** ლატერალში შერწყმული უნდა გვეჩვენოს: **ლ** ასახავს **ლ'-ს** ლატერალობას, **ჰ** — **ლ'-ს** ფვიინვიერობას; განვითარების შემდგომი საფეხურია რთული **ლჰ** რეფლექსის გამარტივება: ერთი მხრივ, **ლჰ** **ჰ** და, მეორე მხრივ, **ლჰ** **ლ** (შესაბამისად პოზიციისა — იხ. ზემოთ).

¹ ფრჩხილებში ნაჩვენებია ის თქმა, საიდანაც მაგალითია; ამგვარი ჩვენების გარეშე დამოწმებული მაგალითი საერთო იქნება ყველა ზემოაღნიშნული თქმისათვის.

² ზ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე,

³ არნ. ჩიქობავას ახსნით. არნ. ჩიქობავა: აულ ჰობის მეტყველების თავისებურებანი (1943 წ.), ყარახულის თავისებურებანი (1942 წ.).

§ 46. ლ'-ს (მაგარი ფშვინვიერი ლატერალური აფრიკატის) რეფლექსი ჰიდურ-ანდალალურ ყარახულში. ჰიდურსა, ყარახულსა და ანდალალურში ლ' არა გვაქვს, მას აქ ყველგან ცვლის ლ'; მაგალ.:

როლ'ა	„ხორბალი“	მდრ.	ხუნძახ.	როლ'
ნილ'ა	„ჩვენ“ (ინკლუზ.)	„	„	ნილ'
ლ'უთი	„გაქცევა“	„	„	ლ'უთი
ლ'უში	„გათაევა“	„	„	ლ'უში

ამ შემთხვევაში ერთი ტიპის ლატერალს (აფრიკატს) ცვლის მეორე ტიპის ლატერალი (სპირანტი).

ლ' უცვლელად დაცულია — გარდა ხუნძახურისა — ანწუხურშიც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ნ. ტრუბეტკოი ლ'-ს ხუნძურში საერთოდ მეორეული წარმოშობის თანხმოდნად მიიჩნევს: ლ'-საგან არის მიღებულიო (აფრიკატიზაციით)¹. ამის მიხედვით ჰიდურ-ანდალალურ-ყარახულის ჩვენება ამ შემთხვევაში უფრო ძველი იქნებოდა ხუნძახურ-ანწუხურისაზე. მაგრამ ეს რომ ასე არაა, ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი: ხუნძახურსა და ანწუხურში, რომლებშიც ლ' გვაქვს, არის ლ'-ც მაშინ, როდესაც ჰიდურ-ანდალალურ-ყარახულში ეს ორი სხვადასხვა ლატერალი ერთ ლ'-შია გაერთიანებული. გარდა ამისა, ლ' ლ'ა სათანადო კილო-თქმებში არ არის სპირანტიზაციის ერთადერთი შემთხვევა (იხ. § 51).

§ 47. ტ'-ს (არამაგარი აბრუპტივი ლატერალური აფრიკატის) რეფლექსები ხუნძახურსა, ანწუხურსა და ანდალალურ-ყარახულში.

ეს ლატერალური თანხმოდანი, როგორც ვნახეთ, არა გვაქვს ხუნძახურში (და სამწერლო ხუნძურში) და არც სამხრულ კილო-თქმათა უმრავლესობაში (ანწუხურში, ყარახულში, ანდალალურში...). დაუცავს იგი ჰიდურსა და სამხრ.-ხუნძურის ზოგ სხვა თქმას.

1. ტ' ტ — ხუნძახურსა და ანწუხურში. მაგალითები (შესადარებლად მოგვყავს ჰიდური ვარიანტიც, რომელშიც ტ' დაცულია უცვლელად):

¹ N. Trubetzkoy, Die "kurzen" und "geminieren" Konsonanten..., § 11.

ტად	„ზედ“, „ზემოთ“	შდრ.	ჰიდ.	ტ'ად
ტერენ-	„წვრილი“	„	„	ტ'ერენ-
ტორ	„თავთავი“; „ტარო“	„	„	ტ'ორ
ტინო	„ფსკერი“	„	„	ტ'ინო
ტამაჰ, ანწუბ. ტამაჰ	„ფოთოლი“	„	„	ტ'ამაჰ
ბეტერ	„თავი“	„	„	ბეტ'ერ
რეტელ	„ტანსაცმელი“	„	„	რეტ'ელ
ჭეტ	„ოფლი“	„	„	ჭეტ'
ნატ	„წყრთა“ (სიგრძის ზომა)	„	„	ნატ'

თუ ანწუხურის ამ ტ (ტ') რეფლექსს შევუდარებთ იმავე ანწუხურის თ (ლ') რეფლექსს (იხ. ზემოთ), განსხვავება გვეჩვენება მკვეთრობა-ფშვინვიერობის მიხედვით: მკვეთრი (აბრუპტივი) ლატერალის (ტ') რეფლექსად მკვეთრი (ტ) თანხმოვანი გვაქვს, ფშვინვიერი ლატერალის (ლ') რეფლექსად — ფშვინვიერი (თ) თანხმოვანი.

ასეთი შეფარდება რეფლექსებისა ამოსავალ ლატერალებთან გვავარაუდებინებს, რომ ხუნძახურ დიალექტშიც, რომელშიც გვაკლია ტ' აბრუპტივი ლატერალი, მაგრამ კარგადაა გარჩეული ლ' ფშვინვიერი ლატერალი, უკანასკნელის უქონლობის შემთხვევაში მისი კანონზომიერი რეფლექსი იქნებოდა თ ფშვინვიერი რეფლექსი (როგორც ანწუხურში), რაკი ტ' ხუნძახურშიც ტ რეფლექსით არის შეცვლილი (შდრ. ანწუხურში თ : ტ = ლ' : ტ').

2. ტ' ხ || ლხ || ლ — ა ნ დ ა ლ ა ლ უ რ ს ა (ჭობი, ქუდალიბი, მანას აული, არკასი...) და ყ ა რ ა ხ უ ლ შ ი.

რეფლექსთა ვარიანტები შეპირობებულია პოზიციურად: a) ხ — სიტყვის თავშია, b) ლხ — სიტყვის შიგნით და — ზოგ თქმაში — სიტყვის ბოლოშიც, c) ლ — სიტყვის ბოლოში; მაგალითები:

a)	ხად	„ზედ“, „ზემოთ“	შდრ.	ჰიდ.	ტ'ად
	ხერენ-	„წვრილი“	„	„	ტ'ერენ-
	ხორ	„თავთავი“; „ტარო“	„	„	ტ'ორ
	ხინო	„ფსკერი“	„	„	ტ'ინო
	ხამაჰ	„ფოთოლი“	„	„	ტ'ამაჰ
b)	ბელხერ	„თავი“	„	„	ბეტ'ერ
	რელხერ	„ტანსაცმელი“	„	„	რეტ'ელ
c)	ბულ	(მანას-აულ., არკ.) ¹ , ბულხ	(ჭობ.) „ისარი“	„	ბუტ'
	ჭელ	(მანას-აულ., არკ.) ¹ , ჭელხ	(ჭობ.) „ოფლი“	„	ჭეტ'
	ნალ	(მანას-აულ., არკ.) ¹ , ნალხ	(ჭობ.) „წყრთა“	„	ნატ'

ტ' ლატერალის აღნიშნული რეფლექსები (ანდალალურ-ყარახული-სა), მათი ვარიაციები და მიმართებები ერთმანეთთან და ამოსავალ ლატერალეზთან, საფუძვლით ანალოგიურია **ლ'** ლატერალის რეფლექსებისა იმავე ანდალალურ-ყარახულში:

ც, ლც, ლ რეფლექსებიდანაც ამოსავალ ლატერალს უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს **ლც** რთული რეფლექსი, რომელიც (ისევე, როგორც **ლ'**-საგან მიღებული **ლჰ** რთული რეფლექსი) ლატერალის და **შ** ლის შედეგია (**ლ** ასახავს **ტ'**-ს ლატერალობას, **ც** — მკვეთრობას). განვითარების შემდგომი საფეხური აქაც რთული რეფლექსის გამარტივებას იძლევა: ერთი მხრივ, **ლც** **ც** (სიტყვის თავში) და, მეორე მხრივ, **ლც** **ლ** (სიტყვის ბოლოში).

განსხვავებაც **ლ'**-სა და **ტ'**-ს რეფლექსთა შორის თანმიმდევრულია; შდრ.:

ლ' -ს რეფლექსები:	ტ' -ს რეფლექსები:
ლჰ	ლჰ
ლ	ლ

ლჰ (**ლ'**) და **ლც** (**ტ'**) რთულ რეფლექსებში საერთოა პირველი კომპონენტი **ლ**, რომელიც, როგორც შემადგენელი ელემენტი, ივარაუდება, როგორც **ლ'**, ისე **ტ'** ლატერალეზში.

მაგრამ, მეორე მხრივ, რაკი ამ ლატერალთაგან **ლ'** ფშვინვიერია და **ტ'** — აბრუბტივი, ამიტომ მათ შესატყვის რეფლექსებში შესაბამისად გარჩეულია მეორე (ძირითადი) კომპონენტები: **ჰ** და **ც**.

როგორც **ლჰ**, ისე **ლც** რეფლექსები ცალკე ფონემათა სახით წარმოგვიდგენენ იმ ელემენტებს, რომლებიც შესატყვის ლატერალეზში შერწყმული უნდა გვექონდეს.

განვითარების შემდგომ საფეხურზე რთული რეფლექსების გამარტივება ერთნაირად არის შეპირობებული სიტყვის გარკვეული პოზიციით: **ლჰ** და **ლც** რთული რეფლექსები სიტყვის თავში კარგავენ პირველ, საერთო, კომპონენტებს და ინარჩუნებენ მეორე, განსხვავებულ, კომპონენტებს (**ლჰ** **ჰ**, **ლც** **ც**), ხოლო სიტყვის ბოლოში კარგავენ მეორე, განსხვავებულ, კომპონენტებს და ინარჩუნებენ პირველ, საერთო, კომპონენტს (**ლჰ** **ლ**, **ლც** **ლ**). ამის შედეგად **ლ'** და **ტ'** ლატერალთა მარტივი რეფლექსები სიტყვის თავში შესაბამისად არიან განსხვავებული (შდრ.: **ჰ**აბგო **ლჰ**აბგო **ლ'**აბგო „სამი“... — **ც**ორ **ლც**ორ **ტ'**ორ „თავთავი“...), მაგრამ სიტყვის ბოლოში — არა (შდრ.: **მ**ლ **მ**ლჰ **მ**ლ' „ფრჩხილი“... **ნ**ლ **ნ**ლც **ნ**ლ' „წყრთა“).

გამარტივება რეფლექსებისა სიტყვის თავსა და ბოლოში გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნულ პოზიციებში თანხმოვანთა შეყრა თავიდან იქნეს აცილებული, რაც ასეთ შემთხვევებში, როგორც ჩანს, ხორციელდება სიტყვის კიდურა (თავკიდური, ბოლოკიდური) თანხმოვნის მოკვეციტ (იხ. ზემოთ). თანხმოვანთა შეყრა უფრო ასატანია სიტყვის შიგნით და ამიტომაც **ლჭ** და **ლც** რთული რეფლექსები ასეთ პოზიციაში გაუმარტივებლად შემოგვენახა.

§ 48. ლატერალურ თანხმოვანთა რეფლექსები ჭარულში.

ჭარულში, ამ ერთადერთ ხუნძურ დიალექტში, რომელსაც არც ერთი ლატერალი არ მოეპოვება, ლატერალურ თანხმოვანთა შესატყვისებად გვაქვს პ ა ლ ა ტ ა ლ უ რ ი რეფლექსები¹; შდრ.:

ამოსავალი ლატერალები	პალატალური რეფლექსები
a) არამავარი სპირანტი ლ'	არამავარი ჭმ
b) მავარი სპირანტი ლ' ^ა	} მავარი ჭმჭმ
c) მავარი ფშვინვიერი აფრიკატი ლ'	
d) მავარი აბრუპტივი აფრიკატი ტ^ა	მავარი კმ
e) არამავარი აბრუპტივი აფრიკატი ტ'	არამავარი კმ

მაგალითები:

ხუნძახური	ჭარული
a): ლ' აბგო	ჭმ აბგუ „სამი“
ლ' აზე	ჭმ აზი „ცოდნა“
ლ' ეზე	ჭმ ეზი „დადება“
ლ' ორ	ჭმ ორ „უბე“
ლ' ობ	ჭმ ობ „ის“ (მალლა მყოფი)
ნი ლ'	ნი ჭმ „ნამგალი“
ბე ლ' ინე	ბე ჭმ ინი „ხარშვა“...
- ლ' ი	- ჭმ ი (განყენებულ სახელთა სუფიქსი)

¹ ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, საანგარიშო მოხსენება ჭარულ კილოზე მუშაობისა.

<i>ხუნძახური</i>	<i>ჭარული</i>	
b): მ ინ	მამიმ	„წყალი“
მ იკ-	მამიკ-	„კარგი“
მ ედეზე	მამედეზი	„ცურვა“
მა მ ინზე	მა მამ ინი	„სწავლება“
-ა მ ა	-ა მამ	(<i>ერვატივის ნიშანი</i>)
<i>ხუნძახური</i>	<i>ჭარული</i>	
c): ნი მ	ნი მამ	„ჩვენ“ (<i>ინკლუზ.</i>)
რო მ	რო მამ	„ხორბალი“
მ უჰინე	მამუჰინი	„შესვლა“
მ უყინე	მამუყინი	„დაჭრა“ ()
მ უჰინე	მამუჰინი	„გათავება“
<i>ხუნძახური</i>	<i>ჭარული</i>	
d): ტინ	კინ	„ზამთარი“
ტო	კო	„ხიდი“
ტილი	კილი	„უნაგირი“
ტერ	კერ	„ფერი“
ტიბილ	კიბილ	„ძირი“
რატ	რაკ	„მიწა“
რატა	რაკა	„ძვალი“
ბოტიზე	ბაკინი	„ნდომა“, „ყვარება“
ბიტიზე	ბიკინი	„გაყოფა“
<i>ხუნძახური</i>	<i>ჭარული</i>	
e): ტორ	კორ	„თავთავი“
ტერენ-	კერენ-	„წვრილი“
ტეჰ	კეჰ	„ქეცი“
ტინო	კინუ	„ფსკერი“
ტინჰ	კინჰ	„ნაშეირი“ ()
ტამაჰ	კამაჰ	„ფოთოლი“
ტად	კად	„ზემოთ“, „ზედ“
ბეტერ	ბეკერ	„თავი“
ბუტ	ბუკ	„ისარი“
ნატ	ნაკ	„წყურთა“
ბურუტ	ბურუკ	„თიკანი“
რეტელ	რეკელ	„ტანსაცმელი“
რატა	რაკა	„ცხოველის წინა ფეხები“...

ლატერალთა ჭარული რეფლექსების პალატალობის მომენტი (რაც აღნიშნულია ზემოთ ხ ნიშნით), სხვა არაფერია, თუ არა ლატერალობის მომენტის ტრანსფორმაციის შედეგი. პალატალობის მომენტით ჭარული რეფლექსები რამდენადმე მაინც ინარჩუნებენ აკუსტიკურ კავშირს ამოსავალ ლატერალებთან. ამ მომენტის გარეშე გვექნებოდა შესაბამისად ჩვეულებრივი ტიპის (არაპალატალური ჰ (ჰჰ) ან. კ (კჰ). ერთი ასეთი რეფლექსი (კერძოდ, ჰ), როგორც ვნახეთ, კიდევაც გვაქვს ანდალალურსა და ყარახულში, მაგრამ იქ იგი ამოსავალი ლატერალის დაშლის შედეგად მიიღება (ლ' ლჰ ჰ).

ამრიგად, დელატერალიზაციის პროცესი ჭარულში თავისებურ სახეს იღებს: აქ ლატერალური თანხმოვნები (ყველა) ტრანსფორმირებულია პალატალურ თანხმოვნებად.

ამ პალატალურ თანხმოვნებს (ლატერალთა რეფლექსებად) ჭარულის თანხმოვანთა სისტემაში იგივე ადგილი უჭირავთ, რაც ლატერალებს — ამ თანხმოვნების მქონე დიალექტებში (მაგალ., ხუნძახურში).

ჭარული დიალექტის პალატალურ რეფლექსებს თუ შევუდარებთ ამოსავალ ლატერალებს, ვნახავთ, რომ შეფარდება მათ შორის თანმიმდევრულია: ის განსხვავება, რაც ამოსავალ ლატერალებს შორის გვაქვს (კერძოდ, მკვეთრობა-ფშვინვიერობის მიხედვით და, ამავე დროს, სიმაგრის მიხედვით), გატარებულია ჭარულ რეფლექსებს შორისაც: ფშვინვიერი ლატერალები აქ ფშვინვიერ რეფლექსებს იძლევიან, აბრუპტივი ლატერალები — აბრუპტივ რეფლექსებს; ამასთან, არამაგარი ლატერალები გვაძლევენ არამაგარ რეფლექსებს, მაგრები — მაგარ რეფლექსებს (იხ. ზემოთ). შეფარდება შეიძლება დაირღვევს სიმაგრის მიხედვით ჭარულის მხოლოდ იმ თქმებში, რომლებშიც დაპირისპირება მაგარი თანხმოვნებისა არამაგრებთან საერთოდ მოშლილია (მაგალ., ყაბახოლის თქმაში): აქ არამაგარი ჰჰ (ლ') და მაგარი ჰჰჰჰ (ლ', ლ') რეფლექსები გაერთიანებულია ერთ ჰჰ-რეფლექსში, ხოლო არამაგარი კჰ (ტ') და მაგარი კჰჰ (ტჰ) — ერთ კჰ-რეფლექსში.

ლატერალთა ჭარულ შესატყვისებში ყურადღებას იქცევს ამოსავალი ორი სხვადასხვა ლატერალისათვის — მაგარი ფშვინვიერი სპირანტისა (ლ') და მაგარი ფშვინვიერი აფრიკატისათვის (ლ') — ერთი და იმავე ჰჰჰჰ რეფლექსის მქონეობა: ჰჰჰჰიმ ლ'იმ „წყალი“... როჰჰჰჰ როლ' „ხორბალი“.

რით უნდა აიხსნას ეს?

ამის მიზეზი, ჩანს, არის ლ' ლატერალური აფრიკატის გადასვლა ლ'ჰ ლატერალურ სპირანტში იმაზე ადრე, ვინემ ლატერალები მოიშლებოდნენ. განვითარების ეს შუა საფეხური (ლ' ლ'ჰ) რეალურ დადასტურებას პოვებს ლატერალების მქონე ზოგ კლოთქმაში (ჰიდურსა, ანდალალურსა და ყარახულში — იხ. აქვე, ზემოთ). ეს საფეხური უეჭველია გავლილი აქვს ჭარულსაც.

ამრიგად, ირკვევა, რომ დელატერალიზაციის წინა საფეხურზე ჭარულს ჰქონია ოთხი ლატერალი (**ლ', ლ^ჰ, ტ^ჰ, ტ'**), ხოლო მეხუთე ლატერალი (აფრიკატი **ლ'**), რომელიც, ივარაუდება, უფრო ადრე გარჩეული უნდა ყოფილიყო ჭარულშიც, შეცვლილია **ლ^ჰ** ლატერალით.

ჭარული დიალექტის თალურ თქმაში (სოფელი თალა ზაქათალას ეკვრის) **ჰა (ლ')** რეფლექსის ადგილს სათანადო სიტყვებში **შ** რეფლექსი იკავებს: **შაბგუ** „სამი“, **შაზი** „ცოდნა“, **შეზი** „დადება“, მაშ **შ** „ფრჩხილი“... ეგვე **შ** რეფლექსი გვაქვს აქ **ჰაჰა (ლ^ჰ, ლ')** რეფლექსის ადგილსაც: **შიმ** „წყალი“, **შიკ** „კარგი“, როშ **შ** „ხორბალი“ და ა. შ. მოსალოდნელი კი იყო, რომ **ჰაჰა**-ს ადგილას გვქონოდა შესაბამისად მაგარი **შა**, მაგრამ სიმაგრის მიხედვით დაპირისპირება თანხმოვანთა შორის საერთოდ მოშლილია ხსენებულ თქმაში.

ეს **შ** რეფლექსი **ჰა (ჰაჰა)** რეფლექსისაგან უნდა გამოიყვანოთ და არა — უშუალოდ — ამოსავალი ლატერალური თანხმოვნისაგან. აქ საქმე გვაქვს პალატალური რეფლექსის შემდგომს ტრანსფორმაციასთან: **შ ჰა (ლ')**.

§ 49. ლატერალურ თანხმოვანთა რეფლექსების შესახებ ზოგადად. ყველაფერი, რაც ზემოთ აღნიშნული გვქონდა ლატერალურ თანხმოვანთა რეფლექსების შესახებ ხუნძურ დიალექტებში, შეიძლება შევაჯამოთ შემდეგი სქემის სახით¹:

ამოსავალი ლატერალები	რ ე ფ ლ ე ქ ს ე ბ ი							
	ხუნძასური	ანწუსური	ჰიდური	ანდალალორ-ყარახული	ჭ ა რ უ ლ ი			
					ჭარი	ყაბანოლი	თალა	
ლ^ჰ	ლ^ჰ	ვ	ლ^ჰ	პ, ლპ, ლ	ჰა	}	ჰა	ჰა
ლ^ჰ	ლ^ჰ	ლ^ჰ	}	ლ^ჰ	}			
ტ^ჰ	ტ^ჰ	ტ^ჰ				ტ^ჰ	ტ^ჰ	კა
ტ'	ტ	ტ	ტ'	ს, ლს, ს	კა	კა	კა	

¹ სქემაში ლატერალური თანხმოვნები აწყობილია შავით, მათი არალატერალური რეფლექსები — თეთრით.

ამრიგად, ხუნძურში, ლატერალური თანხმოვნების მქონე ამ ენაში, აშკარაა ლატერალების მოშლის, დელატერალიზაციის, ტენდენცია, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა დიალექტისათვის არის დამახასიათებელი (უფრო მეტად კი სამხრული დიალექტებისათვის), იძლევა ლატერალურ თანხმოვანთა რაოდენობის თანდათან კლებას (მათ სრულ მოშლამდის ჭარულ დიალექტში).

უეჭველია, რომ განვითარების ხაზი ამ შემთხვევაში მიდის არა ჭარულიდან (რომელსაც არც ერთი ლატერალი არა აქვს) ხუნძურისაკენ (რომელშიც ყველაზე მეტია ლატერალი), არამედ პირიქით, ხუნძურისაკენ — ჭარულისაკენ.

სათანადო დიალექტებში, რომლებშიც გვაკლია ესა თუ ის ლატერალი ან ყველა მათგანი, ლატერალები შეცვლილია შესაბამისი რეფლექსებით, რომელთა მიმართებებიც ამოსავალ ლატერალებთან, როგორც ვნახეთ, თანმიმდევრულია და ნათელი.

§ 50. სისინა სიბილანტა გადასვლა შიშინებში და შიშინათა — სისინებში. ხუნძურ დიალექტებში, სადაც ასეთ ცვლილებებს ადგილი აქვს, შიშინებში გადადიან არამაგარი სისინები (ს შ და ა. შ.), ხოლო სისინებში — მაგარი შიშინები (შს სს და ა. შ.).

ასეა, კერძოდ, ანწუხურ დიალექტში, რომლის მონაცემებსაც ქვემოთ ვითვალისწინებთ (და სხვა კილო-თქმებშიც, სადაც კი სისინა-შიშინობის მიხედვით თანხმოვანთა ცვლილებები გვაქვს)¹.

ანწუხური დიალექტის ჭადაქოლოურ თქმაში ყველა არამაგარი სისინა თანხმოვანი შეცვლილია შესაბამისი — შიშინებით, ხოლო ყველა მაგარი შიშინა — შესაბამისი სისინებით. ამავე დროს, იმავე ანწუხური დიალექტის მეორე, ტოხურ, თქმაში პირველადი არამაგარი სისინა და მაგარი შიშინა თანხმოვნები შენახულია უცვლელად (ისევე, როგორც ხუნძურში და სხვ.). ამგვარ ცვლილებათა საფუძველზე ზემოაღნიშნულ ორ თქმას შორის ვიღებთ რეგულარული ხასიათის ფონეტიკურ შესატყვისობებს².

¹ ანალოგიური ცვლილებები დასტურდება ბათლუხურ კილოვანში: . . . , .- . . . , გვ. 97, § 23.

ასეთსავე ცვლილებებს გულისხმობს პ. უსლარი, როცა იგი აულ ყოროდისა და „ლუნიბის ოლქის სხვა აულები“ მეტყველებაში ც... ჭ თანხმოვანთა ჩ... წ თანხმოვნებით შეცვლის შესახებ აღნიშნავს (ცო ჩო „ერთი“, ცი ჩი „დათვი“... ჭაუყუ წაუყუ „ქალი“... — . . . , გვ. 13).

² საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ თქმათა შორის არსებითი ხასიათის სხვა განსხვავება არ დასტურდება.

ა) არამაგარ სისინათა გადასვლა შიშინებში:

1. ს შ; შდრ.:

ხუნძობ.	ანწუბ.		
	ტობ.	ჭადაქოლ.	
ვას	ვას	ვამ	„ვაჟიშვილი“
მას	მას	მამ	„ქალიშვილი“
სონ	სონ	შონ	„წელიწადი“
ნუსგო	ნუსგო	ნუშგუ	„ასი“
სორდო	სორდო	შორდო	„ლამე“
რას	რას	რამ	„ბეწვი“
როსო	როსო	როშო	„აული“
სი	სი	ში	„კოშკი“
სინო	სინუ	შინუ	„წებო“

ნ ა ს ე ს ხ ე ბ ს ი ტ ყ ვ ე ბ შ ი

ქისა	ქისა	ქიშა	„ქისა“, „ჯიბე“
სალდათ	სალდათ	შალდათ	„სალდათი“, „ჯარისკაცი“

2. ც ს შ (შ-ს იძლევა ისეთი ს-ც, რომელიც, თავის მხრივ, მიღებულია ც-საგან): შდრ.:

ხუნძობ.	ანწუბ.		
	ტობ.	ჭადაქოლ.	
ცო	სო	შო	„ერთი“
ცი	სი	ში	„დათვი“
ცერ	სერ	შერ	„მელია“
ოც	ოს	ოშ	„ხარი“
ჭარაც	ჭარას	ჭარამ	„ვერცხლი“, „ფული“
დურც	დურს	დურშ	„სიძე“
ბერცინ-	ბერსინ-	ბერშინ	„ლამაზი“
ბიცანა	ბისა	ბიშა	„უთხრა“, „უამბო“...

როგორც აქედან ჩანს, **ც** **ს** (სპირანტიზაცია, რაც დამახასიათებელია სხვა კილო-თქმებისთვისაც [§ 51, 5]) ანწუხურ დიალექტში წინ უსწრებდა სისინა თანხმოვნების გადასვლას შიშინებში; ამის გარეშე **ც** ცხადია, მოგვეცემა **ჩ**-ს. მართლაცდა, აულ ყო რო დის მეტყველებაში, რომელსაც აგრეთვე ახასიათებს სისინების გადასვლა შიშინებში, **ც** იძლევა სწორედ **ჩ**-ს: ჩო ცო „ერთი“, ჩი ცი „დათვი“¹.

3. **წ** **ჭ**; შდრ.:

<i>ხუნძახ.</i>	<i>ანწუხ.</i>		
	<i>ტობ.</i>	<i>ჭადაჭოლ.</i>	
წა	წა	ჭა	„ცეცხლი“
წულ	წულ	ჭულ	„შეშა“
ბაწ	ბაწ	ბაჭ	„მგელი“
ანწგო	ანწგუ	ანჭგუ	„ათი“
წიძაბ	წიძაბ	ჭიძაბ	„ახალი“
წაყ	წაყ	ჭაყ	„ძალიან“, „ძლიერ“
წოდორაბ	წოდორაბ	ჭოდორაბ	„ფრთხილი“
წეზე	წეზი	ჭეჟი	„ავსება“
წინდი	წინდაკ	ჭინდაკ	„წინდა“...

4. **ზ** **ჯ**; შდრ.:

<i>ხუნძახ.</i>	<i>ანწუხ.</i>		
	<i>ტობ.</i>	<i>ჭადაჭოლ.</i>	
ზაზ	ზაზ	ჯაჟ	„ეკალი“
ზარ	ზორ	ჯორ	„მუშტი“
ზობ	ზოდო	ჯოდო	„ცა“
-ზ	-ზ	-ჟ	(ერგატ. ბრ. ნიშანი)
(ბაწა-ზ	ბაწა-ზ	ბაჭა-ჟ	„მგლებმა“...)
-ზე	-ზი	-ჟი	(ინფინიტივის დაბოლოება)
(პაბი-ზე	ჰუბუ-ზი	ჰუბუ-ჟი	„კეთება“...)

¹ გვ. 13.

შენიშვნა. ზ მყლერი თანხმოვანი ისევე, როგორც სხვა მყლერი, არ გაირჩევა სიმაგრის მიხედვით. მაგრამ რაკი ზ (სისინა) გადადის ჟ-ში (შიშინა), გამოდის, რომ ეს მყლერი თანხმოვანი განვითარების (ცვლის) იმავე კანონზომიერებას ამჟღავნებს, რასაც არამაგარი თანხმოვნები (შიშინებში გადადიან ხომ არამაგარი სისინები!). პირიქით, ჟ-ს გადასვლა ზ-ში არ დასტურდება (ასეთი ცვლილება რომ დადასტურებულყო, მაშინ მყლერი თანხმოვანი მაგარ თანხმოვანთა განვითარების კანონზომიერებას ამჟღავნებდა, — ვიტყვით).

ეს შენიშვნა ეხება ძ-ს გადასვლასაც ჯ-ში (იხ. ქვემოთ). ამ შემთხვევაშიც სისინა მყლერი შიშინაში გადადის (და არა პირიქით).

ამრიგად, მყლერი თანხმოვნები, მართალია, არ გაირჩევიან სიმაგრის მიხედვით (ამ მხრივ ისინი ნეიტრალური არიან), მაგრამ, როგორც ჩანს, ენაში მათი „ყოფაქცევა“ ისეთივეა, როგორც არამაგარი თანხმოვნებისა¹.

5. ძ ჯ. ხუნძურში ძ არა გვაქვს, მაგრამ გვაქვს იგი ანწუხურის ტოხურ თქმაში. ანწუხურის მეორე, ჭადაქოლოურ, თქმაში მას ყოველთვის ჯ შეესატყვისება:

	ანწუხ.	
	┌──────────┐	
ტობ.	ჭადაქოლ.	
წაღძი	წაღჯი	„სწავლა“; „წაკითხვა“
ტვენძი	ტვენჯი	„წასვლა“
ქვენძი	ქვენჯი	„ჭამა“...

ამრიგად, ყველა არამაგარი სისინა სიბილანტი (ს, ც, წ, ზ, ძ) შესაბამის შიშინაში გადადის.

მაგარი სისინა არ იცვლება შიშინათი. როგორც ზემოთ ვნახეთ, ყველა არამაგარი სისინა გადადის შესაბამის შიშინაში, მაგრამ არც ერთი მაგარი სისინა არ იცვლება შიშინათი; შდრ.: ხუნძახ. საუნდულ — ანწუხ. (ტობ., ჭადაქ.) საუნდულ „რისა?“ ხუნძახ. სავერი — ანწუხ. (ტობ., ჭადაქ.) სავერი „ტრიალი“... ხუნძახ. ვაცა — ანწუხ. (ტობ., ჭადაქ.) ვაცა „ძმა“... ხუნძახ. წაღ — ანწუხ. (ტობ., ჭადაქ.) წაღ „წვიმა“, ხუნძახ. მაწა — ანწუხ. (ტობ., ჭადაქ.) მაწა „ენა“ და ა. შ. თუ რით შეიძლება აიხსნას ეს, ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

¹ შდრ. ანალოგიური შენიშვნა ნ. ტრუბეტკოისა ზ-ს ჟ-ში გადასვლასთან დაკავშირებით ახგახურ ენაში, რომელსაც სისინა და შიშინა თანხმოვანთა ცვლის იგივე კანონზომიერებები ახასიათებს (N. Trubetzkoy, Die "kurzen" und "geminieren" Konsonanten... § 25).

ბ) მაგარ შიშინათა გადასვლა სისინებში:

1. შ. ს. შდრ.:

ხუნძახ.	ანწუხ.		
	ტობ.	ჭადაქოლ.	
შაუგო	შაუგო	საუგუ	„ხუთი“
შიბ	შიბ	საიბ	„რა“
გამუშა	გამუშა	გამუსა	„კამეჩი“
ქილიშა	გილიშა	გილისა	„თითი“
შავეზე	შაველძი	საველჯი	„მოსვლა“; „მოღწევა“
შიილიბ	შიილიბ	საილიბ	(აულის სახელი)
იშა	-იშა	-ისა	(კითხვითი ნაწილაკი)

2. ჩ. ც. შდრ.:

ხუნძახ.	ანწუხ.		
	ტობ.	ჭადაქოლ.	
ჩაუჭა	ჩაუჭა	ცაუჭა	„თევზი“
ჩაუთ	ჩაუთ	ცაუთ	„ხვლიკი“
ჩაინ	ჩაამა	ცაამა	„თხა“ (1 წლისა)
ჩაითირ	ჩაითირ	ცაითირ	„რიგი“, „მწკრივი“
რუჩაბი	რუჩაბ-ილ	რუცაბ-ილ	„ქალები“
ბიჩაზე	ბეჩაზე	ბეცაეჟი	„გამეგბა“...

3. ჰ. წ. შდრ.:

ხუნძახ.	ანწუხ.		
	ტობ.	ჭადაქოლ.	
მიჭა	მიჭა	მიწა	„ჭინჭარი“
ჰინჭა	ჰინჭა	ჰინწა	„ჩიტი“
ჭაეზე	ჭაელძი	წაელჯი	„დგომა“
ჭაიკიზე	ჭაეკზი	წაეკჟი	„ლოკვა“
ბიჭაიზე	ბიჭაზი	ბიწაჟი	„გაგება“...

ამრიგად, ყველა მაგარი შიშინა სიბილანტი (**შა, ჩა, ჭა**) შესაბამის სისინაში გადადის.

არამაგარი შიშინა არ იცვლება სისინათი, შდრ.: *ხუნძახ. ჩი — ანწუხ. (ტობ., ჭადაქ.) ჩი „კაცი“; ხუნძახ. ჩედ — ანწუხ. (ტობ., ჭადაქ.) ჩედ „პური“ (გამომცხვარი)... ხუნძახ. იჭგო — ანწუხ. (ტობ., ჭადაქ.) იჭგო „ცხრა“; ხუნძახ. ჭეტ — ანწუხ. (ტობ., ჭადაქ.) ჭეტ „რწყილი“ და ა. შ.*

რით შეიძლება აიხსნას ეს? რატომ მაგარი შიშინა სისინამ შეცვალა, არამაგარი შიშინა კი უცვლელი დარჩა?

ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ მაგარ თანხმოვანთა წარმოებისას ნაპრაღის დავიწროებაში, რასაც, თავის მხრივ, შეაპირობებს ინტენსიური არტიკულაცია (სამეტყველო ორგანოების ძლიერი დამაბულობა)¹; სახელდობრ:

ყოველი შიშინა, როგორც ცნობილია, უფრო ფართო ნაპრაღოვანია, ვინემ შესაბამისი სისინა. დავიწროების შედეგად კი, რაც შეუძლია გამოიწვიოს ინტენსიურ არტიკულაციას, მაგარი შიშინა ბუნებრივია, რომ დაუახლოვდეს სისინას და მასში გადავიდეს; სხვანაირად: საზღვარი მაგარ შიშინებსა და სისინებს შორის მცირეა და საკმარისია ოდნავი არტიკულაციური გადახრა, რათა საზღვარი დარღვეულ იქნეს.

მეორე მხრივ, იმავე ანწუხური დიალექტის სათანადო თქმაში, როგორც ვნახეთ, არამაგარი სისინები იცვლებიან შიშინებით (**ს შ**) მაშინ, როდესაც მაგარი სისინები, როგორც წესი, უცვლელად რჩებიან (**სა = სა**). აქაც გარკვეულ როლს თამაშობს კორელაცია სიმაგრის მიხედვით და მასთან დაკავშირებული არტიკულაციური თავისებურებები; სახელდობრ: რაკი მაგარი სისინა კიდევ უფრო ვიწროა, ვინემ არამაგარი სისინა — ანუ, შებრუნებით რომ ვთქვათ, არამაგარი სისინა უფრო ფართოა, ვინემ მაგარი სისინა, — ამიტომ უფრო ბუნებრივია, რომ არტიკულაციური გადახრის (მისი შესუსტების) შედეგად შიშინაში გადავიდეს უფრო ფართო — არამაგარი — სისინა, ვინემ უფრო ვიწრო — მაგარი — სისინა.

სისინა და შიშინა თანხმოვანთა ზემოაღნიშნული ცვლილებები თვალსაჩინო ძვრებს იწვევენ თანხმოვანთა სისტემაში. ეს გამოიხატება, კერძოდ, სიბილანტ თანხმოვანთა შორის კორელაციის მოწლაში სიმაგრის

¹ ამ თავისებურებას ხაზს უსვამს ნ. ტრუბეტკოი სისინა და შიშინა თანხმოვანთა — ანალოგიურ — ცვლილებათა ახსნისას ერთ-ერთ ხუნძურ-ანდიურ ენაში, — ახვახურ ენაში (N. Trubetzkoy, Die "kurzen" und "geminierten" Konsonanten..., § 18).

მიხედვით: რაკი ყველა არამაგარი სისინა შეიცვალა შესაბამისი შიშინათი, ხოლო ყველა მაგარი შიშინა — შესაბამისი სისინათი, ამიტომ სისინათა წყებაში გვრჩება მხოლოდ მაგრები (ესენია უცვლელად შემონახული პირველადი მაგარი სისინები პლუს მეორეული მაგარი სისინები, მიღებული მაგარი შიშინებისაგან), ხოლო შიშინათა წყებაში გვრჩება მხოლოდ არამაგრები (ესენია უცვლელად შემონახული პირველადი არამაგარი შიშინები პლუს მეორეული არამაგარი შიშინები, მიღებული არამაგარი სისინებისაგან); სქემატურად:

სისინა	
არამაგარი	მაგარი
წ	წა

წ

წა

წ

წა

შიშინა	
არამაგარი	მაგარი
ჭ	ჭა

ჭ

ჭა

ჭ

ჭა

მაგარი სისინა თანხმოვნები, მოკლებულნი არამაგარ კორელატებს, ანწუხური დილაქტის ჭადოქოლურ თქმაში თანდათან კარგავენ მათთვის დამახასიათებელ აკუსტიკურ-ფიზიოლოგიურ თვისებებს და ტენდენციას იჩენენ დაემსგავსონ არამაგარ თანხმოვნებს (წა || წ, სა || ს და ა. შ.).

§ 51. სპირანტიზაცია. თანხმოვანთა განვითარების ერთ-ერთი კანონზომიერებაა ხშულთა და აფრიკატთა სპირანტიზაცია, რაც უმთავრესად მაგარ თანხმოვნებს ახასიათებს¹.

1. ცა სა:

მაგარ აფრიკატ ცა-ს ცვლის სპირანტი სა ჰილურში (აულები: ტიღიბი, ჰოდოდა...); შდრ.:

<i>ხუნძახ.</i>	<i>ჰიდ.</i>	
ვაცა	ვასა	„ძმა“
დაცა	დასა	„და“
ცაებე	საებე	„წინ“
ბიცაათაბ	ბისაადაბ	„სქელი“
ბეცაიზე	ბესაღე	„ქება“...

¹ , გვ. 69-71;
 ტ. გ უ და ვ ა, აფრიკატები ანდიურ ენებში, იკე, XI, გვ. 270.

რაც შეეხება არამაგარ აფრიკატ **ც**-ს ჰიდურში, ესეც სპირანტიზაციის შედეგად **ს**-შია გადასული, მაგრამ **ც** **ს** დამახასიათებელია სხვა კილო-თქმებისათვისაც (იხ. ქვემოთ), მაშინ, როდესაც **ც** **ს** რეგულარულად მხოლოდ ჰიდურს ახასიათებს.

2. ჩა შა:

მაგარი აფრიკატი **ჩა** ჰიდურში იძლევა სპირანტ **შა**-ს; შდრ.:

ხუნძახ. *ჰიდ.*

ჩაუჭა	შაუჭა	„თევზი“
ჭურჩინაბ	ჭორშინაბ:	„მწვანე“
	ჭორშინაბ ხერ	„მწვანე ბალახი“...
	ჭავლაჯალ ჭორშინლ'ინა	„მინდვრები მწვანდება“...
ბიჩიზე	ბეშლე	„დასველება“
ჩაუკინე	შაუკლე	„ტყავის გაძრობა“, „გატყავება“

არამაგარი **ჩ** ჰიდურს უცვლელად აქვს შემონახული: ბეჩე „ხბო“, ჩი „კაცი“...

3. ქა ხა:

მაგარი **ქა**-ს შეცვლას **ხა**-ით ადასტურებს: ანწუხური, ჭარული, ჰიდური; შდრ.:

ხუნძახ. *ქა*ზე — *ანწუხ.* ხვეზი, *ჭარ.* ხეზი, *ჰიდ.* ხველე „დაჭერა“
 „ ნაქო — *ჰიდ.* ნახო, *ჭარ.* ნახუ „ბზე“;
 „ ბაქიზე — *ჰიდ.* ბახლე „გამოჩენა“...

არამაგარი **ქ** ყველგან დაცულია უცვლელად (ქვერ „ხელი“, ქვენ „საჭმელი“, ბაქიზე „დანთება“...).

4. ჯა ხა:

ჯა-ს გადასვლა **ხა**-ში დამახასიათებელია ჰიდურ-ანდალალურ-ყარახულისათვის; შდრ.:

<i>ხუნძახ.</i>	<i>ჰიდ.-ანდალ.-ყარახ.</i>	
ჯარაჯ	ხარახ	„ჩირგვი“
ჯანჯრა	ხანხრა	„ობობას ქსელი“
ჯაჰაბ	ხაჰაბ	„თეთრი“
ჯვაზე	ხვადე (<i>ანდალ.</i>), ხვალე (<i>ჰიდ.</i>)	„წერა“
ჯვეზე	ხვედე (<i>ანდალ.</i>), ხველე (<i>ჰიდ.</i>)	„დაკვლა“...

სამხრული დიალექტებიდან **ჯ** დაცულია ანწუხურსა და ჭარულში.

შენიშვნა. სამწერლო ხუნძურ ენაში **ჯ** ერთხანობას განდევნილი იყო: მის ადგილას **ხ**-ს წერდნენ (ეს ეხება რუსული გრაფიკის საფუძველზე შემუშავებულ ანბანს). 1953 წლიდან **ჯ**-ს აღნიშვნა სათანადო სიტყვებში მოქმედი ორთოგრაფიული ნორმებით დაკანონებულია.

5. ც ს:

არამაგარი აფრიკატი **ც**-ს შეცვლა **ს** სპირანტიტ დამახასიათებელია ანწუხურისა და ჰიდურისათვის; შდრ.:

<i>ხუნძახ.</i>	<i>ანწუხ., ჰიდ.</i>	
ცო	სო	„ერთი“
ოც	ოს	„ხარი“
ცი	სი	„დათვი“
ცერ	სერ	„მელა“
ბერცინაბ	ბერსინაბ	„ლამაზი“...

მაგარი **ც** ანწუხურში შემონახულია უცვლელად (გაცა „ძმა“, დაცა „და“...), მაგრამ ჰიდურში იგი, როგორც ვნახეთ, **ს** სპირანტიტ არის შეცვლილი (იხ. აქვე ზემოთ: 1).

6. ლ' ლ':

სპირანტიზაციის შედეგად **ლ'** ლატერალური აფრიკატის შეცვლა **ლ'** ლატერალური სპირანტიტ დასტურდება თითქმის ყველა სამხრულ კილო-თქმაში, გარდა ანწუხურისა (ამის შესახებ იხ. ლატერალებთან დაკავშირებით: § 46).

§ 52. მაგარ აბრუპტივთა გაფშენვიერება. მაგარი აბრუპტივები **წ**, **ჭ**, **ც** შეცვლილია შესაბამისი ფშენვიერებით ყარახულში (აული ჭუნტიბი)¹:

1. **წ** **ც**:

<i>ხუნძახ.</i>	<i>ყარახ. (ჭუნტიბ)</i>	
წან	ცამ	„მარილი“
წად	ცად	„წვიმა“
წარ	ცარ	„სახელი“
წე	ცე	„თხა“
წერ	ცერ	„ყინული“
წიბილ	ციბილ	„ყურძენი“
წვა	ცვა	„ვარსკვლავი“
წუნწარა	ცუნცარა	„ჭიანჭველა“
წოჰორ	ცოჰორ	„ქურდი“
წალიზე	ცალლე	„სწავლა“, „წაკითხვა“
წუნ	ცუმ	„არწივი“...

2. **ჭ** **ჩ**:

<i>ხუნძახ.</i>	<i>ყარახ. (ჭუნტიბ)</i>	
ჭინჭა	ჩინჩა	„ჩიტი“
ჭედერაბ	ჩედერაბ	„ვიწრო“, „მჭიდრო“
ჭვა	ჩვა	„ზოლი“, „სიმი“
ბიჭულეებ	ბიჩანაბ	„გამგები“
ჭანა	ჩანა	„დაჯდა“: ცუმ ტურდა ჩანა (მდრ. ხუნძახ. წუნ ტურდა ჭანა) „არწივი კლდეზე დაჯდა“...

¹ ანალოგიურ ცვლილებებს აღნიშნავს შ. მიქაილოვი ქუდადურსა და ანდალა-
ლურის ზოგ სხვა თქმაშიც: იხ. მისი: .- . ,
გვ. 64-65.

3. კ ჟ:

<i>ხუნძახ.</i>	<i>ყარახ. (ჭუნტიბ)</i>	
კაღ	ქაღ	„ხეობა“
კარა	ქარა	„კოლო“
ნიკა	ნიქა	„ბზიკი“
კაუღ	ქაუღ	„კვამლი“
ჭუნკა	ჭუნქა	„თაგვი“
კაუდაღ	ქაუდაღ	(აულის სახელია)
რიკაღ	რიქაღ	„შორს“

არამაგარი აბრუპტივები გაფშვინვიერებას არ განიცდიან (შდრ.: *ხუნძახ.* წა „ცეცხლი“, ბაწ „მგელი“... იჭგო „ცხრა“, ჭეჭერაბ „შავი“... რაკ „გული“, კალ „პირი“... — *ყარახ.* წა, ბაწ, იჭგო... ჭეჭერაბ... რაკ, კალ...).

§ 53. მაგარ ფშვინვიერთა აბრუპტივიზაცია (გამკვეთრება).

აულ შულანის თქმაში (აული შულანი ყარახის თემისად მიიჩნევა) მაგარი ფშვინვიერები აბრუპტივებით იცვლება:

1. ცა წა:

<i>ხუნძახ.</i>	<i>შულან.</i>	
ვაცა	ვასა	„ძმა“
დაცა	დასა	„და“
ცაინ	წაიმ	„ნაღველი“, „ბოდმა“: დასაულ ვაწასაღა წაიმ ბოხან „მისი ძმა გაბრაზდა (ნაღველი აუვიდა)“...
ცაუნაჭალ	წაუნაჭალ	„გარეთა ბიძაშვილი“
ცაეზე	წაეზე	„წინ“

2. ქა კა:

<i>ხუნძახ.</i>	<i>შულან.</i>	
ქავეზე	კავეზე	„დაჭერა“
ბაქაიზე	ბაკაიზე	„გამოჩენა“... ¹

1

3. **ჩ** **ჭ**:

ხუნძახ. შულან.

ჩაუჭა ჭაუჭა „თევზი“
 ბიჩააზე ბიჭააზე „გაშვება“...¹

რამდენიმე მაგალითი მაგარი ფშვინვიერის აბრუპტივიზაციისა ჭარულშიც (აულ ჭარის მეტყვე.) შეიმჩნევა: წაიმ (ცაიმ) „ნალველი“, წაებე (ცაებე) „წინ“ (მაგრამ: ვაცა „ძმა“, დაცა „და“ და არა: ვაწა, დაწა... — შდრ. ზემოთ]; მასთან, მაგარი **ჩ** ჭარულში უცვლელია, ხოლო მაგარი **ჭ** იძლევა არა **კ**-ს, არამედ **ხ**-ს.

არამაგარი ფშვინვიერები (**ც, ჩ, ჭ**) აბრუპტივიზაციას არ განიცდიან არც შულანის მეტყველებაში და არც სადმე სხვაგან.

აულ მუნტიბის მეტყველებაში მაგარ აბრუპტივის ფშვინვიერი ენაცვლება (**წა ცა, ჭა ჩა, კა ჭა** — § 52), აულ შულანის მეტყველებაში კი, პირუკუ, მაგარ ფშვინვიერს აბრუპტივი შეენაცვლა (**ცა წა, ჩა ჭა, ჭა კა**) და ეს მაშინ, როდესაც აულები შულანი და მუნტიბი ერთმანეთს ორიოდე კილომეტრით თუა დაშორებული.

რით შეიძლება აიხსნას მაგარი ფშვინვიერისა და მაგარი აბრუპტივის ურთიერთმონაცვლეობის ზემოაღნიშნული ფაქტები?

ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ მაგარ ფშვინვიერთა არტიკულაციის იმ თავისებურებაში, რომელიც ასპირაციის (ფშვინვის) შესუსტებაში მდგომარეობს (§ 40):

სუსტად ასპირირებულ მაგარ ფშვინვიერსა და სრულიად უფშვინვო აბრუპტივის შორის სხვაობა მეტად მცირეა, — გაცილებით უფრო მცირე, ვინემ არამაგარ ფშვინვიერსა და აბრუპტივის შორის.

ამიტომაც მაგარი ფშვინვიერები და აბრუპტივები შეიძლება ერთმანეთს შეენაცვლოს, ხოლო არამაგარი ფშვინვიერები და აბრუპტივები — არა (ამის მაგალითები, როგორც ვნახეთ, არ დასტურდება).

§ 54. მეტათეზისი. ხუნძურისათვის დამახასიათებელია ნარნარა თანხმოვნების (**რ, ლ**) გადასმა უშუალო მეზობლობაში მყოფი ბაგისმიერების (**ბ, ფ, მ**) წინ (რითაც თავიდან აცილებულია არაბუნებრივი კომპლექსები):

ბრ რბ: გაბურ „კისერი“ — გორბოლ გობროლ „კისრისა“... გაბრალ გაბრალ „კისრები“; ხაბარ „ამბავი“ — ხარბილ ხაბრილ „ამბისა“... ხაბრალ ხაბრალ „ამბები“, ჭაბარ „იატაკი (მიწური)“ — ჭარბილ ჭარბილ „იატაკისა“... ჭარბალ ჭაბრალ, „იატაკები“...;

ბლ ლბ: ტიბილ „ძირი“ — ტოლბოლ ტობლოლ „ძირისა“... ტალბალ ტაბლალ „ძირები“... ჰობოლ „სტუმარი“ — ჰალბალ ჰაბლალ „სტუმრები“... ებელ „დედა“ — ულბულ უბლულ „დედები“... ხიბილ „გვერდი“ — ხოლბოლ ხობლოლ „გვერდისა“, ხალბალ ხაბლალ „გვერდები“...;

ფრ რფ: ჰაფარა „ჭია“ — ჰარფილ ჰაფრილ „ჭიისა“... ჰურფულ ჰურფრულ „ჭიები“...;

მრ რმ: ჰომორ „სახე“ — ჰორმალ ჰომრალ „სახეები“... ჴომორ „ზარი“ — ჴორმილ ჴომრილ „ზარისა“...

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჯერ რედუქცია ხდება (თანხმოვანთა შორის ამოიღება ხმოვანი. — § 19), შემდეგ — მეტათეზისი.

მეტათეზისი ნასესხებ სიტყვებში: თულფის თუფლის „თბილისი“¹, ილბის ილბის „დემონი“, ჴურმუ || ჴუმრუ „სიცოცხლე“...

ხსენებული მოვლენა დამახასიათებელია როგორც ჩრდილო-ხუნძურისა და სამწერლო ხუნძური ენისათვის, ისე სამხრულ-ხუნძურის კილო-თქმებისათვის².

§ 55. ლაბიალიზებული კომპლექსები. ხუნძურს არა აქვს ლაბიალიზებული თანხმოვნები, როგორც გვაქვს, მაგალ., აფხაზურ ენაში (დ — თ — ტ, ძ — ც — წ და ა. შ.), სადაც ისინი თვისობრივად განსხვავებული არიან შესაბამისი არალაბიალიზებული (დ — თ — ტ, ძ — ც — წ და ა. შ.) თანხმოვნებისაგან და ფონემებს წარმოადგენენ.

მაგრამ ხუნძურში (ისევე, როგორც ქართულში) გვაქვს ლაბიალიზებული კომპლექსები³, რომლებიც შეიცავენ ძირეულ თანხმოვანსა და ლაბიალურ **გ** თანხმოვანს (ეს უკანასკნელი რამდენადმე შერწყმულია წინამავალ ძირეულ თანხმოვანთან, მაგრამ მაინც ცალკე ერთეულად აღიქმება): **ქგ** (ქვენ „საჭმელი“, ქვერ „ხელი“, ქვას „მატყელი“, ქვარ „თოკი“ [შდრ. ქარ „თმა“], ქვაჭ „თათი“, „კლანჭი“...), **კგ** (კვეზე „შეძლება“, კვეტ „ტუჩი“, კვარ „საჭიროება“), **ქვ** (ქვეზე „დაჭერა“ [შდრ. ქეზე „მოხვედრა“]), **კვ** (კვაზე „პარსვა“), **წგ** (წვაზე „წერა“, წვეზე „დაკვლა“), **ყგ** (ბაყვაზე „გაშრობა“, „გახმობა“, ყვერყ „ბაყაყი“, ყვატ „ქუჩა“), **წვ** (წვა „ვარსკვლავი“), **ჭგ** (ჭვაზე „მოკვლა“), **ჭვ** (ჭვა „ზოლი“, „სიმი“ [შდრ. ჭა „დადექ“]), **ღგ** (ღვეტ „ხე“), **სგ** (სავერიზე „ტრიალი“), **შგ** (შვეზე „მოხვლა“, „მოღწევა“) და ა. შ.

¹ გვ. 122.

² პირველად ამ მოვლენას ყურადღება მიაქცია ა. შიფერმა (Versuch, § 33).

³ ტერმინი ეკუთვნის გ. როგავას.

დიალექტებში ლაბიალიზებული კომპლექსები გამარტივების ტენდენციას იჩენენ.

ჭარულ დიალექტში ყველა ლაბიალიზებულ კომპლექსს დაკარგული აქვს ლაბიალური კომპონენტი **ვ**: ქერ ქვერ „ხელი“ ქას ქვას „მატყლი“, კეტ კვეტ „ტუჩი“, ლეტ ლვეტ „ხე“, ვაზი ვვაზი „წერა“, ჭაზი ჭვაზი „მოკვლა“, ბუყაზი ბუყვაზი „გამრობა“, „განმობა“ და ა. შ. (უკანასკნელ მაგალითში დაკარგული **ვ**-ს კვალი თვალსაჩინოა იმ ცვლილების მიხედვით, რაც მას თავის დროზე გამოუწვევია: ბუყაზი ბაყვაზი [შდრ. ხუნძახ. ბაყვაზე]; **უ ა** ამ სიტყვაში, ცხადია, უნდა მომხდარიყო **ვ**-ს გავლენით).

ლაბიალიზებული კომპლექსი კარგავს ლაბიალურ **ვ** კომპონენტს, როცა ეს უკანასკნელი (სიტყვის გარკვეულ ფორმებში) ლაბიალური ხმოვნის (**ო, უ**) ან ლაბიალური თანხმოვნის წინ აღმოჩნდება; შდრ.: ლვეტ „ხე“ — მაგრამ: ღოტოლ ღვოტ-ოლ „ხისა“... ღუტბი ღვუტბი „ხეები“¹... ხვეზე „მოკვდომა“, ხვანა „მოკვდა“... — მაგრამ: ხოლა ხვოლა „კვდება“... ხუნ ხვუნ „მოკვდა რა“²... ტყვა „ნალი“... — მაგრამ ტყუბი ტყუვბი „ნალები“...

¹ ალ. მაკომეტოვის ახსნით (. . . , იკე, V, 1953, გვ. 406).

² . . . , , გვ. 162.

მორფოლოგია

§ 56. ხუნძური ენის მორფოლოგიური კატეგორიების შესახებ.

მორფოლოგიური კატეგორიები სახელსა და ზმნას განსხვავებულიც აქვს და საერთოც.

სახელსა და ზმნას ხუნძურში საერთო აქვს გრამატიკული კლასის კატეგორია.

რიცხვის კატეგორიაც საზიაროა სახელსა და ზმნაში, მაგრამ რიცხვის კატეგორია სახელებში დამოუკიდებელი კატეგორიაა: მრავლობითობა აქ ყოველთვის აღინიშნება (სპეციალური სუფიქსებით), ზმნებში კი, თუ თანამედროვე ვითარებას დავემყარებთ, რიცხვის კატეგორია დამოკიდებულია გრამატიკული კლასის კატეგორიაზე: რიცხვი აღინიშნება ზმნაში, თუ კლასიც აღნიშნულია და, მასთან, რიცხვის ნიშანი — ისტორიულად — იგივე კლას-ნიშანია (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ზმნის უღვილებისას).

ხუნძურ ენაში არა ჩანს სხვა ენათა სინამდვილიდან ცნობილი ორი კატეგორია ზმნისა: პირისა და გვარისა. გვარის მიხედვით ზმნა არ იცვლება, თუმცა, გვართა ჩანასახი შეინიშნება. პირთა მიხედვით ცვლა კი სრულებით უცხოა ხუნძური ზმნისათვის (მხოლოდ ჭარულ დიალექტში არის პირველი პირის ფორმები გარჩეული მეორე და მესამე პირის ფორმებისაგან და ისიც ზოგ ნაკვთში).

გვარის კატეგორიის განუვითარებლობა ხუნძური ზმნის ბუნებას განსაზღვრავს და ცენტრალური მნიშვნელობის ფაქტია ხუნძური ენის მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურის თვალსაზრისით.

მორფოლოგიურ კატეგორიებს გადმოგვცემენ სუფიქსებიც და პრეფიქსებიც. პრეფიქსაცია გრამატიკული კლასის კატეგორიისათვის არის ნიშანდობლივი (იგივე კატეგორია სუფიქსებითაც შეიძლება გადმოიცეს). დანარჩენი კატეგორიები სახელისა თუ ზმნისა მხოლოდ სუფიქსებით გადმოიცემა.

ბუნებრივია, ხუნძურის მორფოლოგიური ანალიზი გრამატიკული კლასის კატეგორიით დავიწყოთ.

გრამატიკული კლასები

§ 57. რამდენი გრამატიკული კლასია ხუნძურში? ამჟამად ხუნძურში გარჩეულია სამი გრამატიკული კლასი.

I გრამატიკულ კლასში შედის ადამიანი მამრობითი სქესისა: ვაცა „ძმა“, ვას „ვაჟიშვილი“, ემენ „მამა“, იმჟალ „ბიძა“, ვატჰად „სიმამრი“, ღურც „სიძე“, როსა „ქმარი“, ყებედ „მჭედელი“, ქოლხოზჩი „კოლმეურნე“... ამავე კლასშია მოქცეული: ბეჩედ „ღმერთი“, მალაძე „ანგელოზი“, ნართ „ნართი“ („დევ-გმირი“ — ზღაპრული არსება).

II გრამატიკული კლასი მოიცავს ადამიანს მდედრობითი სქესისა: დაცა „და“, დას „ქალიშვილი“, ებელ „დედა“, ნუს „რძალი“, უნყალ „ბიცოლა“, დატჰად „სიდედრი“, ლჰადი „კოლი“, ქოლხოზჭუჟუჟუ „კოლმეურნე ქალი“...

III გრამატიკულ კლასს განეკუთვნება ყველა დანარჩენი სახელი — ცოცხალ არსებათა, ნივთებისა თუ მოვლენებისა: ჩუ „ცხენი“, ბაწ „მგელი“, ვარანი „აქლემი“, ოც „ხარი“, შაქა „ძროხა“, ჰვე „ძაღლი (მამალი)“, გვაჟი „ძაღლი (ძუ)“... ღედო „ყვავი“, შანკო „ქათამი“, ჰელექო „მამალი ქათამი“, რუყ „სახლი“, ღვეტ „ხე“, შორ „მდინარე“, მეჭერ „მთა“... ბაყ „მზე“, წიგა „ვარსკვლავი“... ყო „დღე“, სონ „წელიწადი“... საღლი „ჯანმრთელობა“, ლჰიკლი „სიკეთე“, როხელ „სიხარული“, როტჰი „სიყვარული“... ამავე კლასისაა: ლჰიმერ „ბავშვი“, (შდრ. რუს. , გერმ. das Kind „ბავშვი“ — „საშუალო“ სქესისა!). აგრეთვე შეტან „ემმაკი“, „სატანა“, ჟინ „ავი სული“, „დედმონი“ (< სპარს. ჟინ), ჰეჭელო „სახლის ავი სული“ (), ჯართ „როკაპი“ (შეიძლება განეკუთვნებოდეს II კლასსაც)...

§ 58. გრამატიკული კლასი თუ სქესი? პ. უსლარი ხუნძურში სამ „სქესს“ () გამოყოფდა: მამრობითს, მდედრობითსა და საშუალოს¹. ადრე ა. შიფნერიც სამ „სქესს“ (Geschlecht) განარჩევდა². მ. საიდოვის სასკოლო გრამატიკაში³ ნახმარია ტერმინი „ჟინს“, რაც აგრეთვე „სქესს“ უდრის. „სქეს“ ტერმინს ვბოვებთ ივ. ჯავახიშვილის ცნობილ მონოგრაფიაში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937 წ.).

„კლას“-ტერმინს ხმარობს ა. დირი⁴; ორივეს — ლ. ჟირკოვი („⁵“).

¹ . . . §§ 25, 26.

² Versuch, §§ 42, 97.

³ . . . I., გვ. 38.

⁴ Einführung...

⁵ .- . . . გვ. 151.

თითქოსდა სულ ერთი ჩანს — ვიტყვით: „სამი სქესია ხუნძურში გარჩეული“ თუ „სამი გრამატიკული კლასი“. ნამდვილად კი ეს მარტოოდენ ტერმინოლოგიის საკითხი არაა, თუმცა ტერმინოლოგიური უხერხულობაც საგრძნობი გახდება, როგორც კი **მეოთხე** „სქესის“ საკითხი დაისმის (ამას ადგილი აქვს ანდიურში, ჭამალალურში, არჩიბულში... და თვით ხუნძურში — ისტორიული თვალსაზრისით).

ხუნძურში ისევე, როგორც მთის იბერიულ-კავკასიურ რიგს სხვა ენაშიც, სახელთა დაჯგუფებისას ცხოველები და ფრინველები ყველა ერთადაა: ხარი და ფური, ძუ და ხვადი, მამალი და დედალი ყველა ერთი „სქესისა“ გამოდის, მასთან, „ხარი“ არ შეიძლება „მამრობით სქესს“ განეკუთვნოს, „ძროხა“ — „მდედრობითს“: ორივე „საშუალო სქესისაა“.

ეს „საშუალო სქესი“ სამკლასოვან ენებში მოიცავს ყველაფერს, გარდა ადამიანისა. ამგვარი რამ უცხოა იმ ევროპული ცოცხალი თუ მკვდარი ენებისათვის, რომელთაც სქესთა კატეგორია აქვთ გარჩეული, უცხოა აგრეთვე სემიტური ენებისათვის. რანაირი წარმომოხსნისაც უნდა იყოს „სახელთა სქესები“ (უკეთ: გვარეობანი — *genera*)¹, ამჟამად ცოცხალ არსებებში — ცხოველებში — სქესის მქონე ენები განასხვავებენ მამრობითსა და მდედრობით სქესებს (... *der Ochs – die Kuh... le boeuf – la vache*); მეტი კიდევ: არაცოცხალ არსებათა (ნივთებისა და მოვლენების) სახელებშიც ვიპოვით მამრობითი სქესის სახელებს (... *der Tisch*)...

ასეთი რამ ხუნძურში (და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში) შეუძლებელია: იმ ჯგუფში, რომელშიც ადამიანი მამრობითი სქესისა შედის (ვაცა „ძმა“, ვას „ვაჟიშვილი“, ემენ „მამა“...), არ შეიძლება აღმოჩნდეს არც ერთი ცხოველი, არც ერთი ნივთი, არც ერთი მოვლენა: „ხარი“ (ოც), „მამალი“ (ჭელექო)... ვერ მოექცევა „ძმა“ (ვაცა) და „მჭედელ“ (ყებედ) სიტყვათა გვერდით. ეს მკვეთრად გახაზავს იმ სხვაობას, რომელიც **სქესებად** დაყოფას და გრამატიკულ **კლასებად** დაყოფას შორის არსებობს.

ხუნძურსა და მის მსგავს ენებში სახელთა დაჯგუფებას საფუძვლად უდევს არა სქესი (ამა თუ იმ ცხოველისა), არამედ ღირებულება სოციალური თვალსაზრისით: პირველი კლასი ყველაზე ფასეულია, სხვა კლასები უფრო დაბლა დგანან. გრამატიკული კლასები ღირებულებათა იერარქიას წარმოადგენენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით (როდინდელია ეს დასაფხურება — ამაზე იხ. ქვემოთ).

¹ ინდოევროპულ და სემიტურ ენათა სპეციალისტები ბოლო ხანებში იმ აზრს ადგანან, რომ ისტორიულად ამ ენებში სქესთა გარჩევას ამოსავლად „ცოცხალისა“ და „არაცოცხალის“ (ე. ი. კლასების) გარჩევა ჰქონდა.

მაშასადამე, პირველ გრამატიკულ კლასში მამრობითი სქესის ადამიანი რომ შედის, ეს იმიტომ კი არ მომხდარა, რომ გარკვეული სქესია ამოსავალი, არამედ იმიტომ, რომ ეს კატეგორია ყველაზე ფასეულად მიჩნეული, ყველაზე მაღლა დაყენებული. შემთხვევითი როდია *ხუნძ.* ბეჩედ „ღმერთი“ რომ პირველ გრამატიკულ კლასში მოექცა, აგრეთვე მაღაძქ „ანგელოზი“, მაშინ, როდესაც ჟინ „ავი სული“, ჯართ „როკაპი“ მესამე გრამატიკულ კლასში აღმოჩნდა: ნივთთა შორის მიუჩინა ამ მავნე ძალებს ენამ ადგილი...

ამავე თვალსაზრისით საგულისხმოა „ბავშვის“ (ლ'იმერ) მესამე კლასში შეტანა: ჩანს, „ბავშვი“ სრული ღირებულების ადამიანად არ მიუჩნევიდა იმ ძველ აზროვნებას, რომლის კვალიც ამ კლასიფიკაციაშია გარჩენილი.

ამრიგად, არ შეიძლება ადამიანთა სქესების გარჩევა დავინახოთ იქ, სადაც ეს მხოლოდ ადამიანს ეხება, სადაც ცხოველები ანალოგიური დახასიათებას არ ექვემდებარებიან. სქესზე ლაპარაკი ასეთ შემთხვევაში ისეთი თვალსაზრისის შეტანა იქნებოდა, რომელიც უცხოა თვით კლასიფიკაციის ბუნებისათვის.

მოვლენის სწორი კვალიფიკაცია არა მხოლოდ სტატიკური ანალიზისათვისაა საჭირო: ისტორიული ვითარების რკვევისას „სქესი“ თუ „კლასი“ სხვადასხვა პერსპექტივას გვაგულვებინებს (იხ. ქვ.).

§ 59. გრამატიკული კლასის ნიშნები. პირველი გრამატიკული კლასის ნიშანია **ვ** (= **ჟ**), მეორე კლასისა — **ჟ**, მესამისა — **ბ**. მრავლობით რიცხვში კლასები გარჩეული არაა, საერთო ნიშნად **რ** გვევლინება; ამრიგად:

გრამატიკ. კლასები

კლას-ნიშნები

I
II
III

მხ. რ.

მრ. რ.

ვ
ჟ
ბ

{
რ

გრამატიკული კლასის ნიშნები შეიძლება გვქონდეს პრეფიქსებადაც და სუფიქსებადაც (იხ. ქვემოთ).

ასეთია ვითარება სამწერლო ხუნძურ ენაშიცა და დიალექტებშიც, — როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში.

დიალექტებს შორის სხვაობას გრამატიკული კლასების მიხედვით (არც კლასთა რაოდენობისა და არც გარჩევის პრინციპის მიხედვით) ადგილი არა აქვს მაშინ, როდესაც ფონეტიკასა და მორფოლოგიის სხვა ფაქტებში სხვაობა დიდია.

უენიშვნა. დიალექტებში შეიმჩნევა გრამატიკული კლასის ნიშანთა დარღვევის შემთხვევები, როცა ეს ნიშნები სუფიქსებია. ეს ითქმის განსაკუთრებით I და II კლასის ნიშნებზე (**ვ, ლ**). მიზეზი ფონეტიკურია: დიფთონგთა გამარტივება (§ 26).

§ 60. გრამატიკული კლასის ნიშნები სახელთა სხვადასხვა ჯგუფებში, ზმნასა და ზმნისართში. არსებით სახელებში გრამატიკული კლასის ნიშნები ჩვეულებრივი არ არის, მაგრამ რამდენსამე სახელში მაინც გვაქვს სათანადო აფიქსი და, როცა გვაქვს, იგი მუდამ პრეფიქსია: **ვ**-აცა „ძმა“, **ვ**-ას „ვაჟიშვილი“, **ვ**-ატჲად „სიმამრი“ (თუმცა, ეს ნაზმნარი სახელი ჩანს და „მოყვარეს“ უნდა ნიშნავდეს: შდრ. **ვ**-ოტჲულა „უყვარს“), **ვ**-ეზ „მწყემსი“ (ესეც ზმნას უნდა უკავშირდებოდეს; შდრ. **ვ**-ინიზე „ხედვა“), **ლ**-აცა „და“, **ლ**-ას „ქალიშვილი“, **ლ**-ატჲად „სიდედრი“ (შდრ. ზემოთ **ვ**-ატჲად „სიმამრის“ შესახებ თქმული)... **ბ**-აცა „ძმა“ ან „და“ (ცხოველის მიმართ), **ბ**-ასი „მოზვერი“ (შდრ. ზემოთ: **ვ**-აცა „ძმა“, **ლ**-აცა „და“, **ვ**-ას „ვაჟიშვილი“, **ლ**-ას „ქალიშვილი“).

განსხვავებით სხვა სახელებისაგან და ზმნისაგან არსებითი სახელები სათანადო კლას-ნიშანს (**ვ, ლ, ბ**) უცვლელად ინარჩუნებს მრავლობით რიცხვშიც; შდრ. მრ. რ.: **ვ**-აცა „ძმა“, **ვ**-ას „ვაჟიშვილი“, **ლ**-აცა „და“, **ლ**-ას „ქალიშვილი“... — მრ. რ.: **ვ**-აცაალ „ძმები“, **ვ**-ასალ „ვაჟიშვილები“, **ლ**-აცაალ „დები“, **ლ**-ასალ „ქალიშვილები“... (აქ მხოლოდობითის შესაბამისი კლას-ნიშნის ადგილს მრავლობითში **რ** არ იჭერს).

არსებით სახელებში გაქვავებული სახით (ე. ი. ფუძესთან შეზრდით) კლას-ნიშნებით **ბ** და, მეტადრე, **რ** წარმოდგენილია არა ერთ შემთხვევაში, მათი გამოყოფა შედარების გზით ხერხდება.

ზედსართავ სახელებში კლას-ნიშანი პრეფიქსად შეიძლება გვქონდეს: **ვ**-აწჲად (I კლ.), **ლ**-აწჲად (II კლ.), **ბ**-აწჲად (III კლ.), **რ**-აწჲად (მრ. რ. I-III კლ.) „სუფთა“... სრული ზედსართავის ფორმა კლას-ნიშანს სუფიქსადაც დაირთავს: **ვ**-აწჲად-ავ (I კლ.), **ლ**-აწჲად-ალ (II კლ.), **ბ**-აწჲად-აბ (III კლ.), **რ**-აწჲად-ალ (მრ. რ. I-III კლ.) „სუფთა“.

მაგალითები ზედსართავი სახელის ცვლისა კლასების მიხედვით:

- ვ**აწჲადა**ვ** ვას „სუფთა ვაჟიშვილი“
- ლ**აწჲადა**ლ** მას „სუფთა ქალიშვილი“
- ბ**აწჲადა**ბ** რუყ „სუფთა სახლი“
- რ**აწჲადა**ლ** ვასალ, მასალ, რუყზალ „სუფთა ვაჟიშვილები, ქალიშვილები, სახლები“...

პიტინა**გ** ვას „პატარა (უმცროსი) ვაჟიშვილი“
 პიტინა**დ** დას „პატარა (უმცროსი) ქალიშვილი“
 პიტინა**ბ** ჩუ „პატარა (უმცროსი) ცხენი“
 პიტინა**ლ** ვასალ, დასალ, ჩუდალ „პატარა (უმცროსი)
 ვაჟიშვილები, ქალიშვილები, ცხენები“...

ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ნაცვალსახელებში კლას-ნიშანი სუფიქსად გვაქვს:

ქ^ა-**გ** ვას „ეს ვაჟიშვილი“
 ქ^ა-**დ** დას „ეს ქალიშვილი“
 ქ^ა-**ბ** ჩუ „ეს ცხენი“
 ქ^ა-**ლ** ვასალ, დასალ, ჩუდალ „ეს (ესენი) ვაჟიშვილები,
 ქალიშვილები, ცხენები“...

დო-**გ** ვას „ის ვაჟიშვილი“
 დო-**დ** დას „ის ქალიშვილი“
 დო-**ბ** ჩუ „ის ცხენი“
 დო-**ლ** ვასალ, დასალ, ჩუდალ „ის (ისინი) ვაჟიშვილები,
 ქალიშვილები, ცხენები“...

ზ მ ნ ე ბ შ ი კლას-ნიშანი, როცა კი მოგვეპოვება, პრეფიქსია (ზოგ-
 ჯერ ინფიქსიცაა, წარმოშობით კვლავ პრეფიქსი, რაკი სათანადო ზმნის
 ფუძე კომპოზიტია და კლას-ნიშანიც მეორე კომპონენტს უძღვის წინ):

ვაცუ **ვ**აჭანა „ძმა მოვიდა“
 დაცუ **დ**აჭანა „და მოვიდა“
 ჩუ **ბ**აჭანა „ცხენი მოვიდა“
 ვაცაალ **რ**აჭანა „ძმები მოვიდნენ“

ვაცუ **ვ**უგო „ძმა არის“
 დაცუ **დ**იგო „და არის“
 ჩუ **ბ**უგო „ცხენი არის“
 ვაცაალ **რ**უგო „ძმები არიან“

ასეთივეა ვითარება ნაზმნარ არსებით სახელშიც, მ ა ს და რ შ ი :
ვ-აჭინ, **დ**-აჭინ, **ბ**-აჭინ, **რ**-აჭინ „მოსვლა“ ()...

ნაზმნარ ზედსართავ სახელში, მ ი მ დ ე ო ბ ა შ ი, გრამატიკული კლა-
 სის ნიშანი — პრეფიქსი — სათანადო ზმნას, რომლისაგანაც იწარმოება
 მიმღეობა, ყოველთვის გადაჰყვება და, გარდა ამისა, გვექნება კლას-ნიშანი
 სუფიქსადაც (როგორც პირველადს ზედსართავში).

ვაჭარავ ვას „მოსული ვაჭიშვილი“
მაჭარაჲ დას „მოსული ქალიშვილი“
ბაჭარაბ ჩუ „მოსული ცხენი“
რაჭარალ ვასალ „მოსული ვაჭიშვილები“

ვუგევ ვას „მყოფი ვაჭიშვილი“
დიგეჲ დას „მყოფი ქალიშვილი“
ბუგებ ჩუ „მყოფი ცხენი“
რუგელ ვასალ „მყოფნი ვაჭიშვილები“

ადგილის ზმნისათები კლას-ნიშნებს სუფიქსად დაირთავენ:

ვას ჰანი**ვ** ვუგო „ვაჭიშვილი აქ არის“
 დას ჰანი**ჲ** დიგო „ქალიშვილი აქ არის“
 ჩუ ჰანი**ბ** ბუგო „ცხენი აქ არის“
 ვასალ ჰანი**რ** რუგო „ვაჭიშვილები აქ არიან“

განსხვავებულად აღებული „აქ“ (იმის მხედველობაში მიუღებლად რომელი კლასისაა სახელი, რომელიც არის აქ) ჰანი-**ბ** იქნება (III კლასის ნიშნით). ეს ეხება ზმნებსაც, ზედსართავ სახელებსაც, ჩვენებით ნაცვალსახელებსაც, მიმღობებსაც: განყენებულად ყველგან III კლასის ვარიანტი (კლას-ნიშნით **ბ**) გამოიყენება („მოსვლა“ — **ბ**-აჭინე... „არის“ — **ბ**-უგო... „ის“ — **დო-ბ**... „სუფთა“ — **ბ**-აწადა-**ბ**). სალექსიკონო ერთეულადაც ეს ფორმები მიიჩნევა.

§ 61. რამდენი გრამატიკული კლასი უნდა გვქონოდა ზუნძურში ისტორიულად? როგორც ვნახეთ, ამჟამად ზუნძურში სამი გრამატიკული კლასია გარჩეული: **ვ-**, **ჲ-**, **ბ-**.

წარსულში საქმის ვითარება სხვაგვარი უნდა ყოფილიყო; სახელდობრ: ა) ადამიანთა ორი კლასის ნაცვლად ერთი უნდა გვქონოდა, — გაუდიფერენცირებელი კლასი ადამიანისა ანუ პიროვნებისა; ბ) ნივთის კლასში, პირუკუ, ორი კლასი უნდა ყოფილიყო გარჩეული ახლანდელი ერთი კლასის ნაცვლად. აქ დიფერენციაცია წინა საფეხურს ახასიათებდა, შემდეგლაა მომხდარი ორი კლასის სახელთა გაერთიანება **ბ** კლასში.

ნივთის ახლანდელი **ბ** კლასის გარდა წინათ უნდა გვქონოდა **რ** კლასიც; ეს ის **რ** პრეფიქსია, ამჟამად მრავლობითში რომ იხმარება: **ვ**-აჭუნა „მოდის“... **რ**-აჭუნა „მოდიან“.

გარდა ამისა, ეს პრეფიქსი შენახულია არსებით სახელებსა და მასდარებში, როგორც ფუძეს შეხორცებული მასალა:

ა. არსებით სახელებში:

- რ**-ა-კ „გული“; შდრ.: ლაკ. **დ**-ა-კ, დარგ. უ-**რ**-კი, ლეზგ. **რ**-ი-კ, ჩაჩნ. **დ**-ტოგ, აფხაზ. ა-გ-უ, ქართ. გულ¹;
- რ**-ა-ჟი „ნიორი“; შდრ.: ადიღ. ბ-ჟინგჳ „ნიორი“, ბ-ჟინგ „ხახვი“;
- რ**-ე-ხ²ედ „ჯოგი“ („სამწყსო“); შდრ.: ვ-ე-ხ³ „მწყემსი“ (მრავლობითში
- ვ**- არა ჩანს: ჟუნ⁴ბი „მწყემსები“), **ბ**-ი-ხ⁵-იზე „ნახვა“, „ხედვა“;
- რ**-ოკჟენ „ნემსი“; შდრ.: ქარ. ლეკჟენ (თუ ნასესხები არაა).

ბ. მასდარებსა და მასდარული წარმოების სუბსტანტივებში:

რ -აყი „სიმშილი“	შდრ. ინფინ.	ბ აყიზე
რ -ეცა „ქება“	„ „	ბ ეცაიზე
რ -ეწა „ბალღამი“	„ „	ბ ეწაიზე „დენა“, „ჟონვა“.
რ -აღ „ბრძოლა“	„ „	ბ აღიზე
რ -იჟი „ქმნილება“	„ „	ბ იჟიზე „შექმნა“
რ -იტჟი „მდინარის ტოტი“	„ „	ბ იტჟიზე „გაყოფა“
რ -ეტჟი „ხენა“	„ „	ბ ეტჟიზე
რ -ილ'ინ „სიარული“	„ „	ბ ილ'ინე
რ -ოხაელ „სიხარული“	„ „	ბ ოხაიზე
რ -აჩი „ტვირთი“	„ „	ბ აჩიზე „წადება“
რ -ოტი „სიყვარული“	„ „	ბ ოტიზე
რ -უკელ „ადგილსამყოფელი“	„ „	ბ უკინე „ყოფნა“
რ -ეგელ „საწოლი (ადგილი)“	„ „	ბ ეგიზე „წოლა“
რ -ათელ „ქონება“	„ „	ბ ათიზე „პოვნა“ (შდრ. ძვ. ქართ. უ პ ო ვ ა რ ე ბ ა — „უქონლობა“)
რ -იჩელ „სისველე“	„ „	ბ იჩიზე „დასველება“
რ -უხ ⁶ ენ „თოკი“, „ზონარი“	„ „	ბ უხ ⁷ ინე „დაბმა“
რ -ექელ „ნამსხვევი“, „ნატეხი“	„ „	ბ ექიზე „გატეხა“, „გატყდომა“
რ -იში „არჩევნები“	„ „	ბ იშიზე „ამორჩევა“
რ -ეჭელ „თავისუფალი დრო“	„ „	რ ეჭიზე „დროის ქონა“; „მოსწრება“

¹ ამ ფუძეთა ერთობა და **რ**-სა და **დ**-ს პრეფიქსულობა აღნიშნული აქვს ჯერ კიდევ პ. უსლარს (იხ. . . . გვ. 234).

რ -ეწენ „გადასახადი“	„	„	ბეწიზე „გადახდა“
რ -აჭი „სიტყვა“	„	„	რაჭიზე „ესმის“; ჭინ „ყური“
რ -უყი „დასაკერებელი ნაჭერი (ტანისამოსზე): ჩუჯიდა რუყი ბაჲ „დააკერე ჩოხას!“	„	„	ბუყიზე „კერვა“
რ -ოცენ „საზომი“	„	„	ბოციზე „ზომვა“...

რ კლასი, როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, ნივთის კლასი იყო. **რ** კლასის მოშლის შემდეგ სათანადო სახელები გაერთიანდა **ბ** კლასში.

მანამდის კი ხუნძურში ისევე გვექნებოდა 4 კლასი, როგორც ამჟამად ესა აქვს ანდიურს:

- I — **ვ**
- II — **ჟ**
- III — **ბ**
- IV — **რ**

მრავლობითში ახლა დაცული **რ**- (**რ**-უგო „არიან“...) წარმოშობით IV კლასის ნიშანია; ამ ნიშნის განზოგადებული გამოყენება სხვა კლასებისათვის სავსებით ბუნებრივია: ანალოგიური პროცესი დასტურდება დაღესტნისა და ნახური ჯგუფის სხვა ენებშიც; ამ ენებშიც, როგორც წესი, მრავლობითში კლას-ნიშნების რიცხვი უფრო მცირეა. მრავლობითში ადამიანის კლასისთვისაც იხმარება ნივთის კლასის ნიშანი თუ ნიშნები (მხოლოდ ანდიურში ინარჩუნებს მრავლობითი იმავე კლას-ნიშნებს, რაც მხოლოდობითია გამოყენებული)¹.

რ კლას-ნიშანია გარჩენილი ნაცვალსახელებში: დი-**რ** „ჩემი“, დუ-**რ** „შენი“, ნეჟე-**რ** „ჩვენი“ (*ეჟსკლ.*), ნელ’ე-**რ** „ჩვენი“ (*ინკლ.*), ნოჟო-**რ** „თქვენი“.

წინათ უნდა ყოფილიყო: დი-**ვ**, დი-**ჟ**, დი-**ბ**, დი-**რ**... ანდიურში ეს ახლაც ასეა.

არსებით და ზედსართავ სახელთა ნათესაობითი სუფიქსის **ლ**-ც ეჭვებს ბადებს, ხომ არაა ეს **რ**-ს ბგერინაცვალი?

¹ დაწვრილებით: არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში, ენიმკის მოამბე, I (1937), გვ. 100-101.

§ 62. ადამიანის კლას-კატეგორიის ისტორიისათვის. ხუნძურ ენაში „ადამიანი“ ამჟამად ორ კლას-კატეგორიას ქმნის: პირველში, **გ**-კლასში, მამაკაცი შედის, მეორეში, **დ**-კლასში, ქალი შედის; ამის გამოა, რომ ვარაუდობენ: ადამიანის კლასი სქესების მიხედვით იყოფაო და მესამე კლასსაც, **ბ**-კლასს, საშუალო სქესად მიიჩნევენ.

ადამიანის კლასის დიფერენციაცია მეორეული მოვლენა უნდა იყოს, ძველად ადამიანთა ერთი კლასი უნდა გვქონოდა და მისი ნიშანი **გ** იქნებოდა. მეორე გრამატიკული კლასი („ადამიანი მდედრობითი სქესისა“) შედარებით ახალი წარმოშობისა ჩანს; ამას გვაფიქრებინებს:

ა. მეორე გრამატიკული კლასი - ნიშნის ბგერითი სახე (დ) ხუნძურში და ზოგს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში (დარგულსა, ლაკურსა და არჩიბულში);

ბ. მეორე გრამატიკული კლასის სახელთა ბრუნების გარკვეული ფაქტები თვით ხუნძურში;

გ. ქართველურ ენათა (და, ნაწილობრივ, აფხაზურის) ჩვენება.

ხუნძურსა და ანდიურში **დ** მხოლოდ მეორე გრამატიკული კლასისათვის იხმარება, მაგრამ ჩაჩურსა და ინგუშურში ეგევე **დ** გამოყენებულია ნივთის კატეგორიის სახელთა აღსანიშნავადაც:

ნნა ზუღა ¹ დუოჟ დიშა ¹	}	დ-უ	}	„დედა“ „ქალი“ „ქალიშვილი“ „და“	}	„არის“
---	---	-----	---	---	---	--------

მაგრამ:

ბუორზ ვირ გაურ ჩა ბნდ ქუოთომ თუოდაჯ ²	}	დ-უ	}	„მგელი“ „ვირი“ „ცხენი“ „დათვი“ „იხვი“ „ქათამი“ „გედი“	}	„არის“
--	---	-----	---	---	---	--------

— და არა მხოლოდ ცოცხალი არსების სახელი, არამედ ისეთი სახელებიც კი, როგორცაა: ბედირ „ტანისამოსი“, ბაზარ „ბაზარი“, ბუისი „ლამე“, ბუც „ბალახი“, ვარდა¹ „ურემი“, გუირე „შემოდგომა“, ჰუმა „ნივთი“ („რამე“), დუოლ „თივა“, მარხა „ღრუბელი“... **დ**-კლას-ნიშანს იგუებს:

¹ . . . , § 10, 12.

² . . . , § 9. გვ. 14.

მუ „არის“ (განსხვავება მრავლობითში იჩენს თავს: ნანა, ზუღან... და მისი რიგის სახელები მრავლობითში **ბ**-ს იგუებენ: ბუ „არიან“; ბუორზ, ვირ, გაურ... აგრეთვე: ბედირ, ბაზარ, ბუისი... მრავლობითში **ა**-ს ინარჩუნებენ). მხოლოდობითში ერთგვარობა უცილობელი ფაქტია.

რას მოასწავებს ეს? იმას, რომ მდებრობითი სქესის ადამიანის კლას-ნიშანი გამოიყენეს ცხოველთა და ნივთთა სახელებისათვის თუ პირუკუ? სინამდვილეს შეეფერება უკანასკნელი შესაძლებლობა: მდებრობითი სქესის ადამიანის აღსანიშნავადაა გამოყენებული ნივთის კატეგორიის ნიშანი. მასასადამე: მდებრობითი სქესის ადამიანის კლას-ნიშანი ნივთის კლას-ნიშნის საზიარო აღმოჩნდა; ის, რაც ხუნძურსა და ანდიურში გამიჯნულია, ჩაჩნურში ჯერ კიდევ მჭიდრო კავშირს ამჟღავნებს ერთმანეთთან.

დ (|| **რ**) ნიშანი საზიაროა მეორე და მეოთხე გრამატიკული კლასებისათვის დარგულში¹. **დ**- ნიშანი გვხვდება ამავე კლასებში ლაკურ ენაშიც². საგულისხმოა არჩიბულის ჩვენება: მეორე კლასისათვის **დ**-ც იხმარება და **რ**-ც. უკანასკნელი, როგორც სუფიქსი:

ყვე-**ვ**-უ, ყვე-**რ**-უ, ყვე-**ბ**-უ, ყვე-**ტ**-უ (**ტ** **დ**) „ორი“
 ზონა-**ვ**-უ, ზანა-**რ**-უ, ზონა-**ბ**-უ, ზონ-**ტ**-უ „მე თვით“
 და-**ვ**, და-**რ**, და-**ბ**, და-**თ** „ეს“³.

ამ ჩვენებათა მიხედვით ცხადი ხდება, რომ ხუნძური **ა** (II კლ.), არჩიბული **რ** || **დ** (II კლ.), ლაკური **რ** || **დ** (II კლ.), დარგული **რ** || **დ** (II და IV კლ.) და ხუნძური (აგრეთვე, ანდიური) **რ** (IV კლ.) წარმოგვიდგენენ ყველა იმ რგოლს, რომლითაც გაშუამავლებულია **ა**-II კლასისა ხუნძურში და **რ**-IV კლასისა იმავე ენაში.

მეორე კლასის **ა** ნიშანი ხუნძურ ენაში ფონეტიკური ვარიანტია მეოთხე კლასის ნიშნისა **რ** (თავის მხრივ ეს უკანასკნელი **დ**-ს ბგერინაცვალი ჩანს); ქალის კლას-ნიშანი ნივთის კლას-ნიშნის მოზიარე გამოდის.

ეგვევ დასტურდება ხუნძური ბრუნების შემდეგი ფაქტითაც: აქ ერთგავის წარმოებისას ერთმანეთს უპირისპირდება პირველი გრამატიკული კლასი და ნივთის გრამატიკული კლასი; მეორე გრამატიკული კლასი კი ამ უკანასკნელის მოზიარე გამოდის:

სახ. დო-**ვ** OH, $\underbrace{\text{დო-**ა** , დო-**ბ**}}_{\text{დო-ლ}^{\text{ა}}}$, — „ის“
 ერგ. დოსა

1 , § 9, გვ. 14.
 2 ,, § 9, გვ. 8; აგრეთვე გვ. 72.
 3 , გვ. 6, 29, 41, 43.

კითხვით ნაცვალსახელში ში-ვ „ვინ?“ (I კლ.), ში-ფ „ვინ?“ (II კლ.), ში-ბ „რა?“ (III კლ.) ერგატივი საზიაროა I და II გრამატიკ. კლასებისათვის:

ლ'ჰი-ცაა („ვინ“) — საუნ-ცაა („რამ“)

აქ რეინტერპრეტაციაა მომხდარი: ქალი, როგორც ადამიანი, ვინ სახელს დაუკავშირდა; წინათ საუნ-ცაა-ს („რამ“) მოზიარე, ახლა ლ'ჰი-ცაა-ს მოზიარე გახდა.; საკუთარი ერგატივი არც მანამდის ჰქონია, არც ამჟამად აქვს. II გრამატიკული კლასის მეორეულობა ამ ფაქტითაც დასტურდება.

ქართველურმა ენებმა ამჟამად არც სქესის გარჩევა იციან, არც კლასებისა, მაგრამ ისტორიულად ამ ენებშიც გვქონია გრამატიკული კლასები; ნივთის კლასის ნიშნებად მოგვეპოვება: **ს, ლ, ნ, დ, რ, ბ**; ადამიანის კლასის ნიშნად კი მხოლოდ **მ** გვაქვს; ეს უკანასკნელი იგივე ოდენობაა, რაც მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა **ვ || უ**¹. რაღა უდრის მეორე გრამატიკული კლასის ნიშანს **ფ**-ს? არაფერი, — არც ქართულში, არც რომელსამე სხვა ქართველურ ენაში. ეს ნიშანი არც ქალისათვის, არც ნივთის კატეგორიის სახელთათვის არა ჩანს და ეს მაშინ, როდესაც შენახულია **მ, დ, რ, ბ**.

ქართველურ ენათა ჩვენებას თუ მივყვებით, უნდა დავასკვნათ: ადამიანთა კლასი გაუდიფერენცირებელი ყოფილა; ქალი **ვინ კლასში** შედიოდა მამაკაცთან ერთად: ეს ძველი ვითარება ასახულია ქართველურ ენებში².

ამრიგად, ისტორიული სურათი კლასთა განვითარებისა კლას-ნიშანთა მიხედვით ასე წარმოდგინდება (ღირებულებათა დასაფხუვრებით):

- I პერიოდი: a) **ვ** კლასი ადამიანისა
 b) **ბ** კლასი ნივთისა
 c) **რ** (**|| დ**) კლასი ნივთისა

- II პერიოდი: a) **ვ** კლასი მამაკაცისა
 b) **ბ** კლასი ნივთისა
 c) **რ** კლასი ნივთისა
 d) **ფ** (**რ**) კლასი ქალისა

¹ იხ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 257-261.

² საინტერესოა აფხაზურის ჩვენება: ადამიანის კლასი გაუდიფერენცირებულადაა წარმოდგენილი პირველ პირში (ს-), მეორე და მესამე პირში კი დიფერენციაცია მომხდარი ფაქტია.

ამჟამად ეს ურთიერთობა ჩვენ სხვაგვარად წარმოგვიდგენია: **რ** კლასი ხუნძურში მოშლილია; ნივთის კლასთაგან მხოლოდ **ბ** კლასი შემოგვრჩა; **რ** კლასის ვარიანტი **ა** კლასი **ვ** კლასთან, სახელდობრ, მის გვერდით, მოექცა და ქმნის შთაბეჭდილებას თითქოს სქესის თვალსაზრისით ჩამოყალიბებული ოდენობა იყოს:

- III პერიოდი: a) **ვ** კლასი მამაკაცისა { ადამიანის კატეგორიის
 b) **ა** კლასი ქალისა { ქვეკლასები
 c) **ბ** კლასი ნივთისა
 d) **რ** კლასი ნივთისა¹

ცვლილება თვალსაჩინოა: **ა** კლასი **ბ** კლასის „ქვევით“ კი არ დგას ღირებულებათა იერარქიის თვალსაზრისით, არამედ „ზევით“; **ა** კლასი ადამიანთა კლასში შედის, როგორც მისი გამონაყოფი.

ესაა რეინტერპრეტაციის შედეგი, წინანდელთან შედარებით უფრო ახალი თვალსაზრისის შესაბამისად დალაგებული სქემა. ისტორიულ ვითარებას იგი შეესაბამება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ადამიანისა (პიროვნების) და ნივთის კლასები გარჩეულია, და ეს ნიშანდობლივია იბერიულ-კავკასიური ენებისათვის.

ამ სქემის განმარტება კი, როგორც „მამრობითი“, „მდედრობითი“ და „საშუალო“ სქესისა, ისეთი თვალსაზრისის შეტანა იქნებოდა, რაც სრულებით უცხოა შესასწავლი სინამდვილისათვის.

სახელი

სახელთა ბრუნება

§ 63. ბრუნვათა შედგენილობა. ბრუნვათა სისტემა ხუნძურში ისევე, როგორც დაღესტნური ჯგუფის სხვა ენებსა და ნახური ჯგუფის ენებში, საკმაოდ განვითარებულია. ამ მხრივ ზემოხსენებული ენები არსებითად განსხვავდებიან აფხაზურ-ადიღური ენებისაგან, რომელთაგანაც პირველში სახელი სრულიად უცვლელია ბრუნვათა მიხედვით¹, ხოლო მეორეში გარჩეულია სულ ორი ძირითადი ბრუნვის ფორმა: ერთი — სახელობითისათვის („პირდაპირი ბრუნვა“), მეორე — საზიარო ერგატივ-ნათესაობით-მიცემითისათვის... („ირიბი ბრუნვა“)².

¹ ქ. ლ. მ. თ. თ. ძე, ბრუნების საკითხი აფხაზურში, ენიმკის მოამბე, XII, 1942.

² გ. რ. გ. ა. ვ. ა., ქვემო-ადიღურის ბრუნვათა საკითხისათვის, ენიმკის მოამბე, IV, 1938.

ხუნძური ენის ბრუნვათა შორის უნდა განვასხვავოთ:

- ა. ძირითადი ბრუნვები და
- ბ. ადგილობითი (ლოკატიური) ბრუნვები.

ადგილობითი (ლოკატიური) ბრუნვები ეტოლება ქართველურ ენათა თანდებულის (სახლში სახლსა შინა... ხეზე ხესა ზედა...), ინდოევროპულ ენათა წინდებულის (... ..) ბრუნვებს და გამოხატავენ კონკრეტულ სივრცობრივ მიმართებებს; ძირითადი ბრუნვები კი გამოხატავენ განყენებულ მიმართებებს (სივრცის გარეშე)¹.

ძირითადი ბრუნვებია:

- | | | |
|----------------|-----------|----------|
| 1. სახელობითი | [ვაცა | „ძმა“ |
| 2. ერგატივი | ვაცასა | „ძმამ“ |
| 3. ნათესაობითი | ვაცასაჟულ | „ძმისა“ |
| 4. მიცემითი | ვაცასაჟე | „ძმასა“] |

შენიშვნა 1. ერგატივი (ერგატიული ბრუნვა), რომელიც გარდამავალი ზმნის რეალურ სუბიექტს გამოხატავს (უდრის ქართულში მოთხოვნი ბრუნვას: კაც-მა), სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნება სხვა ტერმინებითაც; ესენია: ინსტრუქტივი (ა. შიფნერი)², აქტივი ანუ აქტიური (ა. შიფნერი, პ. შუხარდტი³, ლ. ჟირკოვი⁴), მოქმედებითი (პ. უსლარი)⁵; ერგატივის ხმარობს ა. დირი⁶; ხუნძურ სასკოლო გრამატიკაში აქტივი გამოიყენება⁷.

ერგატივიცა და აქტივიც მოქმედს, ე. ი. მოქმედი პირის აღმნიშვნელ ბრუნვას, ნიშნავს. პირველი ტერმინი ნაწარმოებია ბერძნული ფუძიდან, მეორე — ლათინურიდან.

შენიშვნა 2. პ. უსლარს ძირითად ბრუნვათა შორის აღნიშნული აქვს კიდევ ორი ბრუნვა: კავშირებითი (): ვაცაგუნ „ძმითურთ“, „ძმასთან ერთად“ () და შედარებითი

¹ ბრუნვათა ამ ორ ჯგუფს ხუნძურში (და დაღესტნის სხვა ენებშიც) განარჩევდა ჯერ კიდევ პ. უსლარი (. . . გვ. 36, § 29).

² A. Schiefner, Versuch, გვ. 17, § 73.

³ H. Schuchardt, Über den passiven Charakter des Transitivs...

⁴ გვ. 92.

⁵ გვ. 37.

⁶ A. Dirr, Einführung...

⁷ I.

() : ვაცა-ჭან „მასავით“, „როგორც ძმა“ ()¹... მაგრამ ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს ნაწილაკოვან წარმოებასთან (და არა ბრუნვის ფორმასთან): -გ უ ნ და -ჭ ა ნ ნაწილაკებია, რომლებიც შეიძლება დაერთოს სათანადო სახელს სხვადასხვა ბრუნვაში.

ხუნძური ენის ბრუნვათა შედგენილობისათვის დამახასიათებელია აკუზატივის (ბრალდებითი ბრუნვის) უქონლობა. ეს ბრუნვა ისევე უცხოა ხუნძურისათვის, როგორც სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისათვის. აკუზატივის ადგილას (გარდამავალი ზმნის რეალური — უახლოესი — ობიექტის გამოსახატავად) იხმარება ყოველთვის სახელობითი ბრუნვა (შდრ. ქართულში: აკუზატივის ადგილას იხმარება სახელობითი და მიცემითი ბრ.).

აკუზატივის უქონლობა და ერგატიული ბრუნვის ქონა ხუნძურის, როგორც იბერიულ-კავკასიური ენის, მორფოლოგიის ნიშანდობლივი ფაქტია.

ხუნძურში გვაკლია მოქმედებითიც, როგორც ცალკე ბრუნვა. მის მაგივრობას ჩვეულებრივ ეწევა ერგატივი. შემთხვევით არ უწოდებია პ. უსლარს ერგატიული ბრუნვისათვის მოქმედებითი (). მაგრამ ერგატივი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციას შეიძლება ასრულებდეს მხოლოდ ნივთის კლასის სახელებში. აქ ერგატივი — გარდა მოქმედი პირისა — მოქმედების იარაღსაც შეიძლება გამოხატავდეს (იხ. ქვემოთ). ადამიანის სახელებში კი ერგატივი მხოლოდ მოქმედ პირს გამოხატავს. ამიტომ ერგატივის ძირითად და ზოგად მნიშვნელობად, როგორც ადამიანის, ისე ნივთის სახელებში, უნდა მივიჩნიოთ მოქმედი პირის აღნიშვნა.

ხუნძურ წინადადებაში: ინსაუცაა შოშტოცაა წულყოტანა „მამამ ნაჯახით შეშა დაჭრა“ ინსაუცაა ერგატიულ ბრუნვაშია და მოქმედ პირს აღნიშნავს („მამამ“), შოშტოცაა აგრეთვე ერგატიულ ბრუნვაშია და მოქმედების იარაღს აღნიშნავს („ნაჯახით“).

ხუნძური ერგატივი არაა ირიბი ბრუნვა. ერგატივის ირიბ ბრუნვად ვერ მივიჩნევთ იმის გამო, რომ ამ ერგატივის დაკისრებული აქვს მოქმედებითის მაგივრობის გაწევა: ხუნძური სახელობითი აკუზატივის მაგივრობასაც შეიძლება ეწეოდეს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ იძლევა იმის საბაბს, რომ ეს სახელობითი აკუზატივად ან, საერთოდ, ირიბ ბრუნვად იქნეს მიჩნეული.

ადგილობით ბრუნვათა შედგენილობა ქვემოთ ცალკე იქნება გათვალისწინებული.

¹, გვ. 37, § 32, 33; შდრ. გვ. 40, §§ 37.

§ 64. საბრუნებელი სახელის ფუძე. ზოგადად ფუძის მაგივრობას ეწევა სახელობითი ბრუნვა: სახელი ამ ბრუნვაში წარმოდგენილია უბრუნვისნიშნოდ, ე. ი. გაუფორმებელი ფუძის სახით (რომელიც შეიძლება ბოლოვდებოდეს თანხმოვანზეცა და ხმოვანზეც): ვაცა „ძმა“, ძაცა „და“, ვას „ვაჟიშვილი“, ძას „ქალიშვილი“, ებელ „დედა“, ემენ „მამა“, ჰალტუჯან „მუშა“, ჰოქრ „ურემი“, ოც „ხარი“, ჰობრ „წისკვილი“, ჰამპ „ვირი“, წე „თხა“, რუყ „სახლი“, წა „ცეცხლი“ და ა. შ.

ისეთ შემთხვევებში, როცა სახელობითი ფუძეს კლას-ნიშანი მოუდის ბოლოში (ჰა-ვ „ეს“... დო-ვ „ის“...), ეს ნიშანი არ შეადგენს ფუძის კუთვნილებას და არ გაჰყვება სხვა ბრუნვებში; ფუძე ასეთ შემთხვევებში უდრის სახელობითს კლას-ნიშნის გარეშე (ჰა- „ეს“... დო- „ის“...).

ფუძემ ბრუნების პროცესში შეიძლება ცვლილებები განიცადოს (იხ. ქვ.).

§ 65. ბრუნვათა დაბოლოებანი. სახელობითის შესახებ უკვე ითქვა, რომ მას ბრუნვის ნიშანი არა აქვს: სახელის ფუძე და სახელობითი ბრუნვის ფორმა ჩვეულებრივ ერთმანეთს ფარავენ. დანარჩენ ბრუნვებს თავ-თავისი ნიშნები აქვს. ეს ნიშნები დაბოლოებებია.

ნათესაობითის ნიშანია **-ლ**, რომელიც ამ ბრუნვას მხოლოდობითშიც აქვს და მრავლობითშიც. ამ **-ლ**-ს — გარკვეულ შემთხვევებში — ხმოვანიც შეიძლება უძღოდეს: **-ულ** (იხ. აქვე ქვემოთ — § 66, შენიშვნა 2.). პირთა (I და II პ.) და უკუქცევით ნაცვალსახელებში ნათესაობით ბრუნვას დაბოლოებად აქვს **-რ**; ეს **-რ** წარმოშობით გრამატიკული კლასის ნიშანია, ამჟამად გაქვავებული (§§ 130, 132).

მიცემითის ნიშანია **-ე** (დიალექტებში იგი შეიძლება დავიწროვდეს და **-ი**-დ იქცეს). ამ **-ე**-ს შეიძლება წინ უძღოდეს **ჲ** (**-ჲე**), რომელიც გაქვავებული კლას-ნიშანია (§ 90); გარკვეულ შემთხვევებში ამ **ჲ**-ს წინ შეიძლება თავი იჩინოს **ი** ხმოვანმაც (**-იჲე**) (იხ. აქვე ქვემოთ: § 66, შენიშვნა 3.). მიცემითის ნიშანიც ისევე, როგორც ნათესაობითისა, საერთოა მხოლოდობითსა და მრავლობითში.

ერგატივის რამდენიმე დაბოლოება აქვს, განსხვავებული სახელთა სხვადასხვა კატეგორიებისა და რიცხვის მიხედვით (აგრეთვე დიალექტების მიხედვით).

სამწერლო ხუნძურ ენაში ერგატიულ ბრუნვას დაბოლოებად შეიძლება ჰქონდეს: ა) *მხოლოდობით რიცხვში*: 1. **-(ა)სა**, 2. **-(ა)ლ'ა**, 3. **-ცაა** (სამხრ. დიალ. **-და**, **-ლ'ა** || **ლ'აა**); ბ) *მრავლობით რიცხვში*: 4. **-(ა)-ზ** (ჩრდ. დიალ. **-ცაა**).

§ 66. ერგატივის ადგილი ბრუნებაში. ერგატივის დაბოლოებათა გათვალისწინების შემდეგ გასათვალისწინებელია სათანადო დაბოლოების მქონე ერგატივის ადგილი ბრუნებაში, ამ ბრუნვასთან ნათესაობითისა და მიცემითის მიმართება. ამ მხრივ მდგომარეობა ასეთია:

ა) ერგატივის დაბოლოებანი **-(ა)სა**, **-(ა)ლ'ა** (მხოლოდობით რიცხვში) და **-(ა)ზ** (მრავლობით რიცხვში) ყოველთვის გადაჰყვებიან საბრუნებელი სახელის ფუძეს ნათესაობითსა და მიცემითში:

ერგ. — (ა)სა ¹	— (ა)ლ'ა	— (ა)ზ
ნათ. — (ა)სა-ულ	— (ა)ლ'ა-ულ	— (ა)ზ-ულ
მიც. — (ა)სა-ე	— (ა)ლ'ა-ე	— (ა)ზ-ე

ბ) ერგატივის დაბოლოება **-ცა** (მხოლოდობით რიცხვში) არასდროს არ გადაჰყვება ფუძეს ნათესაობითსა და მიცემითში; ეს დაბოლოება მართოდენ ერგატიულ ბრუნვაშია:

ერგ. — ცა
ნათ. — ლ
მიც. — ე

შენიშვნა 1. ერგატივის **-(ა)სა**, **-(ა)ლ'ა**, **-(ა)ზ** დაბოლოებათაგან თითოეულს აქვს ორი სახე: უხმოვნო (**-სა**, **-ლ'ა**, **-ზ**) და ხმოვნისანი (**-ასა**, **-ალ'ა**, **-აზ**).

ხმოვნისანი **-ასა**, **-ალ'ა**, **-აზ** დაბოლოებათა წინ თავს იჩენს ნახევარხმოვანი **ა**, როცა ფუძე, რომელსაც ასეთი დაბოლოებანი ერთვინან, ბოლოხმოვნისანი (ჩი-ა-ა-სა „კაცმა“... ჭუჭუ-ა-ა-ლ'ა „ქალმა“... ჩუ-ა-ა-ლ'ა „ცხენმა“... ჩუ-ა-ა-ზ „ცხენებმა“...), ასეთ შემთხვევაში **ა** ხმოვანთგასაყარს წარმოადგენს.

შენიშვნა 2. ნათესაობითის **-ლ** ნიშანს, როგორც ზემოთ ითქვა, შეიძლება წინ უძღოდეს **-უ**-ხმოვანი (**-ულ**). ნათესაობითის ფორმაში ეს **-უ** ხმოვანი თავს იჩენს ყოველთვის, როცა ამ ბრუნვაში ფუძეს გადაჰყვება ერგატივის დაბოლოება (ამ დაბოლოების მომდევნოდ): **-(ა)სა-ულ**; **-(ა)ლ'ა-ულ**, **-(ა)ზ-ულ** (იხ. ზემოთ სქემა).

შენიშვნა 3. როცა ერგატივის სათანადო დაბოლოება ფუძეს მიცემითშიც გადაჰყვება, მას მიცემითის ნიშანი **-ე** ჩვეულებრივ უშუალოდ დაერთვის: **-(ა)სა-ე**, **-(ა)ლ'ა-ე**, **-(ა)ზ-ე** (იხ. ზემოთ სქემა). მაგრამ ასეთ შემთხვევებში მიცემითის ფორმაში ერგატივის დაბოლოებასთან ზოგჯერ შეიძლება თავი იჩინოს **ი** ხმოვანმაც: **-(ა)სა-ი-ე**,

¹ — (მოკლე სწორი ხაზი) აღნიშნავს საბრუნებელი სახელის ფუძეს.

-(ა)ლ'ა-**ო**-**ე**, -(ა)ზ'-**ო**-**ე**. აქ **ე** გაქვევებული კლას-ნიშანია (§ 90), ხოლო წინამავალი **-ო**- შესაძლოა ნათესაობით ბრ. ნიშნის თანმხლებ **უ** ხმოვანს უკავშირდებოდეს და ამ უკანასკნელისაგან იყოს მიღებული (ასიმილაციით): -(ა)სა-**ო**-**ე** < -(ა)სა-**უ**-**ე** (შდრ. ნათ. -(ა)სა-**უ**-**ლ** და ა. შ¹).

§ 67. მრავლობითი რიცხვის ნიშნები არსებით სახელებში.

ბრუნვის ნიშნები მიმოვიხილეთ. გვრჩება მრავლობითი რიცხვის მაჩვენებლები.

სახელობითს ბრუნვის ნიშანი არც მრავლობით რიცხვში აქვს. ფუძეს აქ მარტო რიცხვის — მრავლობითობის — მაჩვენებლები დაერთვის. არსებით სახელებში მრავლობით რიცხვს რიგი სუფიქსები აწარმოებს; ესენია:

-ალ: ვაცა „ძმა“ — ვაცა-**ალ**, ძაცა „და“ — ძაცა-**ალ**, ჩუ „ცხენი“ — ჩუ-**ე**-**ალ** (**-ე** ხმოვანთგამყარია), ბაწ „მგელი“ — ბაწ-**ალ**, ქვერ „ხელი“ — ქვერ-**ალ**, ქილიშა „თითი“ — ქილშა-**ალ**...

-ულ: ემენ „მამა“ — უმუმ-**ულ**, ებელ „დედა“ — ულბ-**ულ**, ქეთო „კატა“ — ქუთ-**ულ**, ჰამა „სახედარი“ — ჰამ-**ულ**, ხანყარ „ხანჯალი“ — ხუნყარ-**ულ**, ბეტერ „თავი“ — ბუტრ-**ულ**...

-დულ: ცერ „მელა“ — ცურ-**დულ**, ტეჭ „ყვავილი“ — ტუჭ-**დულ**, ხაერ „ბალახი“ — ხურ-**დულ**, ლ'არ „რქა“ — ლ'ურ-**დულ**, ქეჭ „ლექი“, „სიმღერა“ — ქუჭ-**დულ**... ამ ტიპის მრავლობითს პარალელურად **-ალ** სუფიქსიანი წარმოებაც მოუდის: ცურ-**დულ** || ცერ-**ალ** „მელიები“, ტუჭ-**დულ** || ტეჭ-**ალ** „ყვავილები“, ლ'ურ-**დულ** || ლ'არ-**ალ** „რქები“... ეს პარალელური ფორმა (**-ალ** სუფიქსიანი) მეორეული უნდა იყოს (ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში — იხ. ქვემოთ).

-ბი: ჩაუჭა „თევზი“ — ჩაუჭ-**ბი**, ნუწა „კარი“ — ნუწ-**ბი**, გაზა „წერაქვი“ — გუზ-**ბი**, გოზო „ნიკარტი“ — გუზ-**ბი**, ღვეტ „ხე“ — ღუტ-**ბი**, შიშა „ბოთლი“ — შუშ-**ბი**, ვენ „მწყემსი“ — მუნ-**ბი** (§ || 8)... **-ბი** სუფიქსმა შეიძლება დაკარგოს **ბ** (და დაემთხვეს პირველადს **-ი** სუფიქსს — იხ. ქვემოთ); ეს მოსდის ამ სუფიქსს ფუძისეული ბაგისმიერი თანხმოვნის მომდევნოდ: გამა „გემი“ — გუმ-**ი** გუმ-**ბი**, ვაბა „ქოთან“ — ვუბ-**ი** ვუბ-**ბი**... ასეთ მაგალითებში რომ **-ი** **-ბი**, ეს აშკარაა იმ ცვლილებების მიხედვით ფუძეში, რაც **-ბი** სუფიქსს შეეძლო გამოეწვია: ეს სუფიქსი (კერძოდ, ამ სუფიქსის ბაგისმიერი თანხმოვანი **ბ**) ყოველთვის იმსგავსებს ფუძისეულ ხმოვანს (**უ** ხმოვნად აქცევს ყველა სხვა ხმოვანს) (იხ. ზემოთ მაგალითები), მაშინ, როდესაც **-ი** სუფიქსი ასეთ ცვლილებას ფუძეში არ იწვევს (შდრ. ქვემოთ პირველადი **-ი** სუფიქსიანი მაგალითები).

¹ ამის შესახებ: ტ. გ. უ. დ. ა. ვ. ა, მიცემითი ბრუნვის შესახებ ხუნძურში, იკე, XII.

-აბი: რაში „სიტყვა“ — რაშ-აბი, გალი „ნაბიჯი“ — გალ-აბი, ტყურუ „კლდე“ — ტყურ-აბი, მატუ „სარკე“ — მატ-აბი, როსა „ქმარი“ — როსა-აბ¹... ჭუჭუ „ქალი“, „ცოლი“ — რუჩა-აბი (მრავლობითში სულ სხვა ფუძეა: რუჩა-¹).

-ზაბი: ჰალმალ „ამხანაგი“ — ჰალმალ-ზაბი, ჰუდულ „მეგობარი“ — ჰუდულ-ზაბი, ვაცაშალ „ბიძაშვილი“ (ვაჟი) — ვაცაშალ-ზაბი, დაცაშალ „ბიძაშვილი“ (ქალი) — დაცაშალ-ზაბი, მადოჰალ „მეზობელი“ — მადოჰალ-ზაბი... ეს სუფიქსი პროდუქციულია პროფესიის ან თანამდებობის აღმნიშვნელ სიტყვებში: მინისტერ „მინისტრი“ — მინისტერ-ზაბი, უჩითელ „მასწავლებელი“ — უჩითელ-ზაბი, ფირსიდათელ „თავმჯდომარე“ — ფირსიდათელ-ზაბი...

-ზალ: ხურ „ყანა“ — ხურ-ზალ, რუყ „სახლი“ — რუყ-ზალ... (ამ სიტყვებში პარალელურად შეიძლება გვქონდეს **-ზაბი** სუფიქსიც: ხურ-ზაბი, რუყ-ზაბი), ლალ „მონა“ — ლალ-ზალ (|| ლალ-ზაბი)...

-ი: ტინჭ „ნაშიერი“ — ტანჭ-ი, ჰინჭა „ჩიტი“ — ჰანჭა-ი, (პარალელურად გვხვდება **-ალ** სუფიქსითაც: ტანჭა-ალ, ჰანჭა-ალ), ტუჩერ „ბატკანი“ — ტაშ-ი... ჩი „კაცი“ — ჩაშ-ი (შ ფონეტიკურად განვითარებული ჩანს), პარალელურად შეიძლება **-ალ** სუფიქსითაც: ჩი-დ-ალ (-დ- ხმოვანთგასაყარია)... შაქა „ძროხა“ — შაჩ-ი (შაქ-ი).

-ნი (ერთადერთ სიტყვაში): წაე „თხა“ — წა-ნი.

სხვადასხვა სუფიქსების ხმარებას სხვადასხვა სახელებში ამჟამად გარკვეული საფუძველი არ უჩანს: გაუგებარია, რატომ გვაქვს, მაგალ., ერთის მხრივ, ბაწ-ალ „მგლები“ (**-ალ** სუფიქსით), ხოლო, მეორე მხრივ, ცურ-დულ „მელიები“ (**-დულ** სუფიქსით), ჩაუშ-ბი „თევზები“ (**-ბი** სუფიქსით), ჰანჭა-ი „ჩიტები“ (**-ი** სუფიქსით) და ა. შ.

ყველაზე ხშირად მაინც **-ალ** გვხვდება. ამ სუფიქსს ემჩნევა ხმარების არის გაფართოების ტენდენცია: იგი შეიძლება გვქონდეს სხვა სუფიქსების პარალელურადაც (მაგალითები იხ. ზემოთ). სამხრულ დიალექტებში ეს ტენდენცია კიდევ უფრო ძლიერია.

შენიშვნა. სამხრულ დიალექტებში **-ბი**, **-ზაბი** სუფიქსებს შეიძლება ახლდეს **-ლ**-ც: **-ბი-ლ**, **-ზა-ბი-ლ** (ლუტ-ბილ „ხეები“... რუყ-ზაბი-ლ „სახლები“... შდრ. ჩრდ.-ხუნდ. ლუტ-ბი... რუყ-ზაბი...). ეს ვარიანტები შეიძლება უძველესი იყოს, თუ **-ლ** ამ სუფიქსებზე გვიან დართული არაა (ორმაგი წარმოება).

¹ ეს ფუძე ქართულშიც გვაქვს (სემანტიკური გადახრით): მ-რუშ-ე || ი-მ-რუშ-ა... (იხ. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 149).

შედგენილობის მიხედვით მრავლობითის საწარმოებელი სუფიქსები ზოგი შედარებით მარტივია, ზოგიც რთული. შედარებით მარტივია: **-ალ**, **-ულ** (უკანასკნელი პირველის ვარიანტი ჩანს), **-ი**; რთულია: **-ზ-ალ** (შდრ. **-ალ**), **-დ-ულ** (შდრ. **-ულ**), **-ბ-ი**, **ნ-ი** (შდრ. **-ი**), **ა-ბ-ი**, **-ზ-ა-ბ-ი**.

რთულ სუფიქსთა შედგენილობაში ყურადღებას მიიქცევენ სხვადასხვა თანხმონითი ელემენტები: **ბ**, **დ**, **ზ**, **ნ**¹; ამათგან **ზ** შეიძლება **დ**-ს ფონტიკურ ვარიანტად ვცნოთ (**-ზ-ალ** **-დ-ალ**, **-ზაბი** **-დაბი**).

მრავლობითი რიცხვის მაჩვენებლები ზემოაღნიშნული სახით სახელობით ბრუნვაში გვაქვს. დანარჩენ ბრუნვებში ისინი სახეს იცვლიან. იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ იცვლება თითოეული მათგანი, შევუდაროთ ერთმანეთს მრავლობითის სახელობითისა და ერგატივის ფორმები (ნათესაობითი და მიცემითი ერგატივისაგან იწარმოება საერთო წესის მიხედვით):

მრ. სახ.

მრ. ერგ.

-ალ
ვაც-ალ „ძმები“
ძაც-ალ „დეები“
განჭ-ალ „ქვები“

-ა-ზ
ვაც-ა-ზ
ძაც-ა-ზ
განჭ-ა-ზ...

შენიშვნა. **-ალ** სუფიქსი იშვიათად მთლიანად შეიძლება გაცვეს ფუძეს ყველა ბრუნვაში; ლ'იმ-**ალ** „ბავშვები“ — ერგ. ლ'იმ-**ალ**-**ა-ზ** (|| ლ'იმ-**ალ**-**ა**-**ც**-**ა**), ნათ. ლ'იმ-**ალ**-**ა-ზ**-**ულ**, მიც. ლ'იმ-**ალ**-**ა-ზ**-**ე**.

-ულ:

-უ-ზ:

უმტმ-ულ „მამები“
ულბ-ულ „დედები“
ქუთ-ულ „კატები“

უმტმ-უ-ზ
ულბ-უ-ზ
ქუთ-უ-ზ...

-დულ:

დუ-ზ

ცტრ-დულ „მელიები“
ტტჰ-დულ „ყვავილები“
ლტრ-დულ „რქები“

ცტრ-დუ-ზ
ტტჰ-დუ-ზ
ლტრ-დუ-ზ

¹ ანალოგიური რთული შედგენილობის სუფიქსები მრავლობითი რიცხვისა დაღესტნის სხვა ენებშიც გვაქვს. იხ.: . . . ,

, 1948: . . . , . . . (იკვ, VIII, 1956, გვ. 391-397). . . . , . . . , (იკვ, IX-X, 1958).

-ბი:		-ბ-უ-ზ:
ლუტ-ბრ	„ხეები“	ლუტ-ბ-უ-ზ
ჩაუმ-ბრ	„თევზები“	ჩაუმ-ბ-უ-ზ
ნუწა-ბრ	„კარები“	ნუწა-ბ-უ-ზ...

შენიშვნა. -ბ-უ-ზ -ბ-ა-ზ (ლუტ-ბ-უ-ზ ლუტ-ბ-ა-ზ „ხე-ებმა“...), რაც სუფიქსული (ა) ხმოვნის ფუძისეულ (უ) ხმოვანთან შეგუებით შეიძლება აიხსნას¹ (შდრ. ქვემოთ: -აბ-ა-ზ).

-აბი, -აბ:		-აბ-ა-ზ:
რამ-აბი	„სიტყვები“	რამ-აბ-ა-ზ
წაუნწარ-აბი	„ჭიანჭველები“	წაუნწარ-აბ-ა-ზ
როსა-აბ ¹	„ქმრები“	როსა-აბ-ა-ზ

შენიშვნა. თავისებურებას იჩენენ: ჰაბრ „ძაღვები“, ცაბრ „კბილები“ — ერგ. ჰ-აბ-ზ-ა-ზ (|| ჰ-აბ-ზ-ა-ცა), ც-აბ-ზ-ა-ზ (ც-აბ-ზ-ა-ცა) „კბილებმა“.

-ზაბი:		-ზაბ-ა-ზ:
პლმალ-ზაბი	„ამხანაგები“	პლმალ-ზაბ-ა-ზ
ჰულტლ-ზაბი	„მეგობრები“	ჰულტლ-ზაბ-ა-ზ
მნდოჰალ-ზაბი	„მეზობლები“	მნდოჰალ-ზაბ-ა-ზ...

-ზალ (-ზაბი):		-ზაბ-ა-ზ:
რუყ-ზალ (რუყ-ზაბი)	„სახლები“	რუყ-ზაბ-ა-ზ
ხტრ-ზალ (ხტრ-ზაბი)	„ყანები“	ხტრ-ზაბ-ა-ზ

-ი:		-ა-ზ:
ტანჭ-რ	„ნაშეირები“	ტანჭ-ა-ზ
ჰანჭა-რ	„ჩიტები“	ჰანჭა-ა-ზ
ჩამ-ი	„კაცები“	ჩამ-ა-ზ...

შენიშვნა. ჭაჩ-ი „ძროხები“ ერგატივში გაიყოლებს -ი სუფიქსს: ჭაჩ-ი-ა-ზ „ძროხებმა“ (ა ხმოვანთგასაყარია).

-ნი:		-ნ-ა-ზ:
წა-ნი	„თხები“	წა-ნ-ა-ზ

¹, გვ., 114-115.

როგორც აქედან ჩანს, **-ალ**, **-ულ**, **-დულ** სუფიქსებს **ლ** ერგატივში არ გაჰყვებათ, მის ადგილს იკავებს ერგატივის დაბოლოება **-ზ** (**-ა-ზ**, **-უ-ზ**, **-დუ-ზ**), ხოლო დანარჩენი სუფიქსები, რომლებიც **ი** ხმოვანზეა დაბოლოებული (**-ბი**, **-აბი**, **-ზაბი**) ან ოდენ **ი** ხმოვანია (**-ი**), ამ ხმოვნის ადგილას დაერთავენ ერგატივში **-ა-ზ** დაბოლოებას (როცა ფუძეში **უ** ხმოვანია, **-ა-ზ -უ-ზ**: ლუტ-ბ-უ-ზ ლუტ-ბ-ა-ზ „ხეებმა“...).

§ 68. მრავლობითი რიცხვის წარმოება ნაცვალსახელებსა და ზედსართავ სახელებში. მრავლობითობის მაჩვენებელთა ის ნაირ-გვარობა, რაც დამახასიათებელია არსებითი სახელებისთვის, უცხოა ნაცვალსახელებისა და ზედსართავი სახელებისათვის. ნაცვალსახელებსა (ჩვენებითი, კითხვითი, უკუქცევითი) და ზედსართავებში მრავლობითის ნიშნად ერთად-ერთი **-(ა)ლ** სუფიქსი გვაქვს (შდრ. იგივე სუფიქსი მრავლობითის ერთ-ერთ ნიშნად არსებით სახელებში). ეს სუფიქსი აღნიშნულ სახელებში მხოლოდობითი რიცხვის კლას-ნიშნის ადგილს იკავებს. შდრ., მაგალ., ჩვე-ნებით ნაცვალსახელებში: *მხ. რ.* ჰა-ვ, ჰა-დ, ჰა-ბ „ეს“ — *მრ. რ.* ჰა-ლ „ესენი“... ზედსართავ სახელში: *მხ. რ.* ჰიტინ-ა-ვ, ჰიტინ-ა-დ, ჰიტინ-ა-ბ პატარა“ — *მრ. რ.* ჰიტინ-ა-ლ „პატარები“... (მრავლობითში კლასები გაურჩეველია). ასეა ეს ყველა სახელში, რომელიც კი მხოლოდობითში სუფიქსად კლას-ნიშანს დაერთავს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველად ასეთ სახელებში მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელი დაერთვოდა კლას-ნიშნის შემდეგ, ე. ი. კლას-ნიშნის ფუძეს მხოლოდობითიდან მრავლობითშიც გაჰყვებოდა და, მაშასადამე, კლასები მრავლობითშიც იყო გარჩეული (ისევე, როგორც ეს ამჟამად ანდიურ ენაშია; შდრ.: *მხ. რ.* ჰო-ვ, ჰო-დ, ჰო-ბ, ჰო-რ „ეს“ — *მრ. რ.* ჰო-ვ-ულ, ჰო-დ-ილ, ჰო-ბ-ულ, ჰო-რ-ულ „ესენი“). სათანადო კლას-ნიშანი აქ ფუძეს მრავლობითშიც გაჰყვება რიცხვის ნიშნის წინ). მაშინაც ასეთ სახელებში საკუთრივ მრავლობითის ნიშნად ერთი სუფიქსი გვექნებოდა [ის, რაც ამჟამადაც: **-(ა)ლ**].

დანარჩენ ბრუნვებში **-ლ**-ს ადგილს **-ზ** იკავებს (ისევე, როგორც არსებით სახელებშიც): ჰა-ლ „ესენი“ — *ერგ.* ჰა-ზ „ამათ“... ჰიტინ-ა-ლ „პატარები“ — *ერგ.* ჰიტინ-ა-ზ „პატარებმა“...

პირის ნაცვალსახელებს რიცხვი გარჩეული აქვთ სხვადასხვა ფუძის გამოყენებით მხოლოდობითსა და მრავლობითში (და არა მრავლობითობის სპეციალური ფორმანტით), ამავე საშუალებით პირველი პირი მრავლობითი რიცხვისა განარჩევს ინკლუზიურსა და ექსკლუზიურ ვარიანტებს.

§ 69. ბრუნების ტიპები მხოლოდობითა და მრავლობითში (ერგატივის დაბოლოებათა შესაბამისად). ბრუნება, როგორც მორფოლოგიური პროცესი, ერთი გვექნებოდა ხუნძურში, ყველა სახელს რომ ბრუნვის ერთი და იგივე ნიშნები ჰქონოდა¹. მაგრამ, როგორც ვნახეთ, სახელობითი უბრუნვისნიშნა, ნათესაობითსა და მიცემითს თითო ნიშანი აქვთ, მაგრამ განსხვავებულია ერგატივის დაბოლოებები.

თუ სახელობითის, ნათესაობითისა და მიცემითის დაბოლოებათა მიხედვით არსებითად ერთი ბრუნება გვექნებოდა, ერგატივის მიხედვით კი გასარჩევი იქნება ბრუნების იმდენი ტიპი, რამდენიც მორფოლოგიურად განსხვავებული დაბოლოებაც გვაქვს ამ ბრუნვაში: სამი — მხოლოდობით რიცხვში: 1) **-(ა)სა** ტიპი, 2) **-(ა)ლ'ა** ტიპი, 3) **-ცა** ტიპი და ერთიც — მრავლობით რიცხვში: 4) **-(ა)ზ** ტიპი.

§ 70. ორფუძიანი და ერთფუძიანი ბრუნება. მეორე მხრივ, თუ მხედველობაში მივიღებთ ბრუნების პროცესსაც (ბრუნებათა კლასიფიკაციისას არსებითია სწორედ იმ პროცესის ერთგვარობა, რასაც ბრუნება ეწოდება), ამ პროცესის თვალსაზრისით ხუნძურში მთავარია ნათესაობითისა და მიცემითის მიმართება ერგატივთან.

ჩვენ ვნახეთ (§ 66), რომ მხოლოდობითი რიცხვის ერგატივის დაბოლოებანი **-(ა)სა**, **-(ა)ლ'ა** ყოველთვის გადაჰყვება საბრუნებელი სახელის ფუძეს ნათესაობითსა და მიცემითში, ხოლო ერგატივის დაბოლოება **-ცა** არ გადაჰყვება ფუძეს არც ნათესაობითში და არც მიცემითში.

პირველ შემთხვევაში, ე. ი. როცა ერგატივში გვაქვს **-(ა)სა**, **-(ა)ლ'ა** დაბოლოებანი, რომლებიც გადაჰყვებიან ფუძეს ნათესაობითსა და მიცემითში, ერგატივის ფორმას ფუძედ იყენებენ ნათესაობითი და მიცემითი (თვით ერგატივს კი სახელობითთან საზიარო ფუძე აქვს). მაშასადამე, ბრუნების პროცესში თავს იჩენს ახალი (მეორე) ფუძე, რომელიც ერგატივის ფორმას ემთხვევა მთლიანად; ასეთი ბრუნება **ორფუძიანი ბრუნება** იქნება:

სახ.	ვაცა „ძმა“	} პირველი ფუძე: ვაცა- მეორე ფუძე: ვაცა-ასა-
ერგ.	ვაცა-ასა	
ნათ.	ვაცა-ასა-ულ	
მიც.	ვაცა-ასა-ე	

¹ შდრ.: ქართულში ბრუნება, როგორც მორფოლოგიური პროცესი, ერთია: ამ ერთი ბრუნების ფარგლებში განარჩევენ რამდენიმე სახეობას, რასაც იძლევა ფონეტიკური პროცესები.

სახ.	დაცა „და“	} პირველი ფუძე: დაცა- მეორე ფუძე: დაცა-აღ-
ერგ.	დაცა-აღ-	
ნათ.	დაცა-აღ-ულ	
მიც.	დაცა-აღ-ე	

მეორე შემთხვევაში, ე. ი. როცა ერგატივის დაბოლოებად აქვს **-ცა**, რომელიც არ გადაჰყვება ფუძეს ნათესაობითსა და მიცემითში, ნათესაობითი და მიცემითი იყენებენ არა ერგატივის ფორმას მთლიანად, არამედ იმავე ფუძეს, რომელიც ერგატივშიც გვაქვს (**-ცა** დაბოლოების წინ); ასეთი ბრუნება ერთფუძიანი იქნება:

სახ.	ბო „ჯარი“; „თემი“	} ფუძე: ბო-
ერგ.	ბო-ცა	
ნათ.	ბო-ლ	
მიც.	ბო-მ-ე	

შენიშვნა. ბრუნებისას სახელის ფუძე შეიძლება შეიცვალოს ფონეტიკურად (ასეთ ცვლილებებს ფართო გასაქანი აქვს სწორედ ერთფუძიანი ბრუნების დროს). ბრუნებათა კლასიფიკაცია ორფუძიანად და ერთფუძიანად კი მხედველობაში იღებს არა ფონეტიკურ ცვლილებებს და ამ ნიადაგზე ფუძეთა ვარიაციებს, არამედ, როგორც ვნახეთ, იმას, გადაჰყვება თუ არა ერგატივის სათანადო დაბოლოება ნათესაობითსა და მიცემითში ანუ, სხვანაირად, გამოიყენება თუ არა ერგატივის ფორმა ახალ ფუძედ ბრუნების პროცესში; მაშასადამე, კლასიფიკაციის პრინციპი მორფოლოგიურია (ბრუნებათა წარმოებას ეხება).

თუ მხოლოდით რიცხვში შეიძლება გვექონდეს როგორც ორფუძიანი, ისე ერთფუძიანი ბრუნება (იხ. ზემოთ), მრავლობითში ერთი ბრუნება, ორფუძიანი ბრუნება, გვექნება: მრავლობითის ერგატივის დაბოლოება **-(ა)ზ** ყოველთვის გადაჰყვება საბრუნებელი სახელის ფუძეს ნათესაობითსა და მიცემითში:

სახ.	ვაცა-აღ „ძმები“
ერგ.	ვაცა-აზ
ნათ.	ვაცა-აზ-ულ
მიც.	ვაცა-აზ-ე

ხუნძურ ბრუნებათა კლასიფიკაცია ორფუძიანად და ერთფუძიანად ყურადღების ცენტრში აქცევს სპეციფიკურ მოვლენას: ერგატივის ფორმა მთლიანად გამოიყენება თუ არა ნათესაობითისა და მიცემითის წარმოები-

სათვის. გარკვეული ბრუნვის ფორმის ფუძედ გამოყენება სხვა ბრუნვათა წარმოებისათვის იმდენად თავისებური მოვლენაა¹, რომ იგი სისტემატური ანალიზის პროცესში არ შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული².

აქვე შეიძლება ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზეც, თუ **რა სახელები ბრუნების რა და რა ტიპებს განარჩევენ.**

ბრუნების ყველა ზემოაღნიშნულ ტიპს განარჩევენ მარტო საზოგადო არსებითი სახელები: მხოლოდობით რიცხვში ამ სახელებს ერგატივში შეიძლება ჰქონდეს სამივე დაბოლოება: **-(ა)სა**, **-(ა)ლ'**, **-ცა**; მაშასადამე, ბრუნების პროცესის თვალსაზრისით, აქ გვექნება როგორც ორფუძიანი ბრუნება ერგატივში **-(ა)სა**, **-(ა)ლ'** დაბოლოებით, ისე ერთფუძიანი ბრუნება ერგატივში **-ცა** დაბოლოებით.

ზედსართავი, რიცხვითი სახელები, მიმღობები, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები შეიძლება ვაბრუნოთ მხოლოდ ორფუძიანი ბრუნების მიხედვით [ერგატივში **-(ა)სა**, **-(ა)ლ'** დაბოლოებებით], ხოლო საკუთარი არსებითი სახელები, პირთა (1, 2 პ.), კითხვითი და უკუქცევითი ნაცვალსახელები — მხოლოდ ერთფუძიანი ბრუნების მიხედვით (ერგატივში **-ცა** დაბოლოებით).

§ 71. ბრუნების ტიპები ა. შიფნერთან, პ. უსლართან, ლ. ჟირკოვთან. ა. შიფნერი ბრუნების ტიპებს ხუნძურში გამოყოფს მხოლოდობითის ნათესაობითის წარმოებიდან ამოსვლით. იგი მიუთითებს „სუსტ“ (უფრო ახალ) და „ძლიერ“ (უფრო ძველ) ბრუნებათა ტიპებზე. „სუსტი“ ბრუნების ნათესაობითს დაერთვის **ა** ხმოვნის მეშვეობით **-საულ** და **-ლ'ულ**, ხოლო „ძლიერი“ ბრუნების ნათესაობითს — **-ლ**; მასთან, „ძლიერი“ ბრუნებისათვის დამახასიათებელი შეიძლება იყოს ფუძისეულ ხმოვანთა ცვლა³.

ხუნძურ ბრუნებათა კლასიფიკაცია ნათესაობითის წარმოებიდან ამოსვლით მიზანშეწონილი ვერ იქნებოდა, თუ არაა გარკვეული ნათესაობითის დამოკიდებულება ერგატივთან. ა. შიფნერის მიერ ნაჩვენები **-საულ**

¹ ქართულშიც რომ ნათესაობითისა და მიცემითის წარმოებისათვის ერგატივის ფორმა ყოფილყო (როგორც ხუნძურში), გვექნებოდა: ერგ, **კაც-მან**, ნათ. **კაც-მან-ის**, მიც. **კაც-მან-ს...**

² ორფუძიან და ერთფუძიან ბრუნებათა გარჩევა დამახასიათებელია დადესტნის სხვა ენებისათვისაც და ნახური ჯგუფის ენებისათვის, ქართველური ენებიდან — სვანურისათვის. იხ. არნ. ჩიქობავა, სვანური მოთხრობითი ბრუნვის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში. თსუ შრომები, ტ. XVIII, 1941.

³ A. Schiefner, Versuch, გვ. 14-15, §§ 54-62. ტერმინები „სუსტი“ და „ძლიერი“ ა. შიფნერს აღებული აქვს გერმანული გრამატიკული ლიტერატურიდან.

და -ლ'ულ ნათესაობით ბრუნვაში კი გვაქვს, მაგრამ ესენი მთლიანად არ არიან ბრუნვის ნიშნები: -სა და -ლ'უ ერგატივშიც გვექნება. ამის გათვალისწინებით ა. შიფნერის „სუსტი“ ბრუნება იქნება ორფუძიანი ბრუნება, „ძლიერი“ ბრუნება — ერთფუძიანი.

ბ. უსლარის კლასიფიკაცია ერგატივის (ბ. უსლარის ტერმინოლოგიით „მოქმედებითი ბრ.“) დაბოლოებათა სხვაობაზეა დაფუძნებული¹. ბ. უსლარის დამსახურებაა, რომ ერგატივის ადგილი გაირკვა ხუნძურ ბრუნებაში.

ა. დირი უცვლელად იღებს ბ. უსლარის კლასიფიკაციას და მიუთითებს, რომ „ყველაზე მნიშვნელოვანი ბრუნვაა ერგატივი“².

ერგატივის დაბოლოებათა მიხედვითაა გამოყოფილი ბრუნების ტიპები ხუნძურ სასკოლო გრამატიკაში მ. საიდოვისა³.

ერგატივის დაბოლოებათა სხვაობაზე და ამ სხვაობის გარკვეულ გაგებაზეა დამყარებული ლ. ჟირკოვის კლასიფიკაციაც. ლ. ჟირკოვს გარჩეული აქვს ორი ბრუნება: 1) „ცოცხალი“ () — -(ა)სა, -(ა)ლ'უ დაბოლოებით ერგატივში და 2) „არქაული“ () -ცა დაბოლოებით ერგატივში⁴.

თავი რომ დავანებოთ ტერმინოლოგიურ უხერხულობას („არქაულს“ ვერ დაუპირისპირდება „ცოცხალი“, რამდენადაც „არქაულიც“ ხომ ცოცხალია). -ცა დაბოლოება არ შეიძლება არქაულად მივიჩნიოთ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით).

აღსანიშნავია, რომ ლ. ჟირკოვის გაგება ამ მხრივ სავსებით ემთხვევა ა. შიფნერის გაგებას. ა. შიფნერიც, როგორც ვნახეთ, ორ ბრუნებას („სუსტსა“ და „ძლიერს“) გამოყოფდა (ოღონდ ა. შიფნერი ნათესაობითის წარმოებიდან ამოდიოდა); ამასთან, ერთი, ე. წ. „ძლიერი“, ბრუნება, რომელიც ლ. ჟირკოვთან უდრის „არქაულ“ ბრუნებას, ა. შიფნერსაც უძველესად მიაჩნდა (მეორე, ე. წ. „სუსტ“, ბრუნებასთან შედარებით, რომელიც ლ. ჟირკოვთან „ცოცხალ“ ბრუნებას უდრის).

§ 72. საზოგადო არსებით სახელთა ბრუნების ნიმუშები.

საზოგადო არსებითი სახელები, როგორც ზემოთ ითქვა, განარჩევენ ერგატივის დაბოლოების მიხედვით, ბრუნების სამ ტიპს მხოლოდობით რიცხვში და ერთს — მრავლობით რიცხვში.

¹ გვ. 40-49, §§ 38-45.

² A. D i r r, Einführung...

³ I. გვ. 46-52, §§ 23-31.

⁴ გვ. 89-91; მისივე გვ. 166-167.

ა) მხოლოებითი რიცხვი

1) -(ა)ს დაბოლოებით ერგატივიში

სახ. ვაცა	ვას	ვაცაშალ
„ძმა“	„ვაჟიშვილი“	„ბიძაშვილი (ვაჟი)“
ერგ. ვაცა-ასა	ვას-ასა	ვაცაშალ-ასა
ნათ. ვაცა-ასა-ულ	ვას-ასა-ულ	ვაცაშალ-ასა-ულ
მიც. ვაცა-ასა-ე	ვას-ასა-ე	ვაცაშალ-ასა-ე

2) -(ა)ლ დაბოლოებით ერგატივიში

სახ. დაცა	დას	დაცაშალ
„და“	„ქალიშვილი“	„ბიძაშვილი (ქალი)“
ერგ. დაცა-აღა	დას-აღა	დაცაშალ-აღა
ნათ. დაცა-აღა-ულ	დას-აღა-ულ	დაცაშალ-აღა-ულ
მიც. დაცა-აღა-ე	დას-აღა-ე	დაცაშალ-აღა-ე

3) -ცა დაბოლოებით ერგატივიში

სახ. ოც	ბაწ	წად
„ხარი“	„მგელი“	„წვიმა“
ერგ. ოც-ო-ცა	ბიწ-ი-ცა	წად-ა-ცა
ნათ. ოც-ო-ლ	ბიწ-ი-ლ	წად-ა-ლ
მიც. ოც-ო-მე	ბიწ-ი-მე	წად-ა-მე

ბ) მრავლობითი რიცხვი

4) -(ა)ზ დაბოლოებით ერგატივიში

სახ. ვაცა-ალ	ვას-ალ	ვაცაშალ-ზაბი
„ძმები“	„ვაჟიშვილები“	„ბიძაშვილები (ვაჟები)“
ერგ. ვაცა-აზ	ვას-აზ	ვაცაშალ-ზაბ-აზ
ნათ. ვაცა-აზულ	ვას-აზულ	ვაცაშალ-ზაბ-აზ-ულ
მიც. ვაცა-აზ-ე	ვას-აზ-ე	ვაცაშალ-ზაბ-აზ-ე

სახ. დაცა-ალ	დას-ალ	დაცაშალ-ზაბი
„დეები“	„ქალიშვილები“	„ბიძაშვილები (ქალები)“
ერგ. დაცა-აზ	დას-აზ	დაცაშალ-ზაბ-აზ
ნათ. დაცა-აზ-ულ	დას-აზ-ულ	დაცაშალ-ზაბ-აზ-ულ
მიც. დაცა-აზ-ე	დას-აზ-ე	დაცაშალ-ზაბ-აზ-ე

სახ. ოც-ალ	ბაწ-ალ	წად-ალ
„ხარები“	„მგლები“	„წვიმები“
ერგ. ოც-აზ	ბაწ-აზ	წად-აზ
ნათ. ოც-აზ-ულ	ბაწ-აზ-ულ	წად-აზ-ულ
მიც. ოც-აზ-ე	ბაწ-აზ-ე	წად-აზ-ე

§ 73. როდის რა დაბოლოება აქვს ერგატივში საზოგადო არსებით სახელს? მხედველობაში გვაქვს, ცხადია, ერგატივი მხოლოდობითი რიცხვისა: განსხვავება აქ იჩენს თავს (მრავლობითში კი ერგატივს სამწერლო ხუნძურში ერთი დაბოლოება აქვს).

ერგატივის დაბოლოებები მხოლოდობით რიცხვში განსხვავებულია ძირითადად საბრუნებელი სახელის გრამატიკული კლასების შესაბამისად.

1) **-(ა)ს** დაბოლოება ერგატივს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ I გრამატიკ. კლასის სახელებში: ვაცა „ძმა“ — ვაცა-ასა, ვას „ვაჟიშვილი“ — ვას-ასა, ვაცაშალ „ბიძაშვილი (ვაჟი)“ — ვაცაშალ-ასა, როსა „ქმარი“ — როსა-ასა, ღურც „სიძე“ — ღურც-ასა, ვეხ „მწყემსი“ — ვეხ-ასა, ჩი „კაცი“ — ჩი-დასა, ქოლხოზჩი „კოლმეურნე“ — ქოლხოზჩი-დასა, ბირგადირ „ბრიგადირი“ — ბირგადირ-ასა და ა. შ.

2) **-(ა)ლ** დაბოლოებას ერგატივში დაირთავენ II გრამატიკ. კლასის სახელები: დაცა „და“ — დაც-ალ, დას „ქალიშვილი“ — დას-ალ, ებელ „დედა“ — ებელ-ალ, დაცაშალ „ბიძაშვილი (ქალი)“ — დაცაშალ-ალ, ნუს „რძალი“ — ნუს-ალ, ჭაუყუ „ქალი“, „ცოლი“ — ჭაუყუ-დალ, ქოლხოზჭაუყუ „კოლმეურნე (ქალი)“ — ქოლხოზჭაუყუ-დალ და ა. შ.

-(ა)ლ დაბოლოება ერგატივს შეიძლება ჰქონდეს III გრამატიკ. კლასის სახელებშიც (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

მაგრამ არ დასტურდება არც ერთი მაგალითი **-(ა)ლ** დაბოლოების ხმარებისა I გრამატიკ. კლასის სახელებში ისევე, როგორც არც **-(ა)ს** დაბოლოების გამოყენებისა II (და III) გრამატიკ. კლასის სახელებში. ამ მხრივ **-(ა)ს** და **-(ა)ლ** დაბოლოებები მკვეთრად დაპირისპირებული — კ ო რ ე ლ ა ც ი უ რ ი — ფორმანტებია და არასოდეს არ ირევა ერთმანეთში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ისეთი საზოგადო არსებითი სახელები, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით შეიძლება განეკუთვნებოდეს როგორც I-ს, ისე II გრამატიკ. კლასს (ეს იმისდა მიხედვით, მხედველობაშია მამაკაცი თუ ქალი), ერგატივში დაირთავენ შესაბამისად განსხვავებულ დაბოლოებებს; შდრ.: მადოჰალ „მეზობელი“ (*მამაკაცი ან ქალი*) — ერგ. მადოჰალ-ასა „მეზობელმა (*მამაკაცმა*)“ ან მადოჰალ-ალს „მეზობელმა (*ქალმა*)“; ჰალმალ „ამხანაგი (*მამაკაცი ან ქალი*)“ — ერგ. ჰალმალ-ასა „ამხანაგმა (*მამაკაცმა*)“ ან ჰალმალ-ალს „ამხანაგმა (*ქალმა*)“; ჰობოლ „სტუმარი (*მამაკაცი ან ქალი*)“ — ერგ. ჰობოლ-ასა „სტუმარმა (*მამაკაცმა*)“ ან ჰობოლ-ალს „სტუმარმა (*ქალმა*)“ და ა. შ.

როგორც I, ისე II გრამატიკ. კლასის სახელებს ერგატივში ზოგჯერ -ცა დაბოლოებაც შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ სათანადო მაგალითები აღნიშნულ სახელებში იშვიათია (იხ. ქვემოთ: § 74).

3) -ცა დაბოლოებას ერგატივში ფართოდ იყენებენ III გრამატიკ. კლასის სახელები: ოც „ხარი“ — ოც-ო-ცა, ჩუ „ცხენი“ — ჩო-ცა, ბაწ „მგელი“ — ბაწ-ი-ცა, ცი „დათვი“ — ცი-ცა, წყე „თხა“ — წყე-ცა; ცერ „მელა“ — ცარ-ა-ცა, ნუს „დანა“ — ნოს-ო-ცა, შამტი „ნაჯახი“ — შომტ-ო-ცა, წულ „შეშა“ — წულ-ა-ცა, წაღ „წვიმა“ — წაღ-ა-ცა, ბაყ „მზე“ — ბაყ-უ-ცა, რატჸ „მიწა“ — რატჸ-უ-ცა და ა. შ.

მაგრამ III გრამატიკ. კლასის ყველა იმ საზოგადო სახელს, რომელსაც -ცა დაბოლოება აქვს ერგატივში, პარალელურად შესაძლებელია -(ა)ლ' დაბოლოებაც ჰქონდეს. გარდა ამისა, არა ერთი სახელი III გრამატიკ. კლასისა ერგატივში დაირთავს მხოლოდ -(ა)ლ' დაბოლოებას (დაწვრილებით იხ. ქვემოთ: § 75).

ამრიგად, ის მეტ-ნაკლები ერთგვარობა, რაც ერგატივის წარმოებისას ახასიათებს I და II კლასის სახელებს, III კლასის სახელებში არ დასტურდება.

§ 74. გამონაკლისები ერგატივის წარმოების მხრივ I და II გრამატ. კლასთა საზოგადო არსებით სახელებში. გამონაკლისის სახით ზოგი სახელი I და II გრამატიკ. კლასებისა ერგატივში -ცა დაბოლოებას დაირთავს:

1. ლაღ „მონა“, „ტყვე“ — ერგ. ლაღ-ი-ცა.
2. ლ'ადი „ცოლი“ — ერგ. ლ'ად-უ-ცა || ლ'ადი-ა-ლ', ბიქა (ძვ.) „ბეგის ცოლი“ — ერგ. ბიქა-ცა || ბიქა-ა-ლ'.
3. ნათესაური ურთიერთობების ისეთი სახელები, რომლებიც ჩვეულებრივ მიმართვისას (მოფერებით) იხმარება, ერგატივში ყველა -ცა დაბოლოებას იღებს: დადა „მამა“, „მამიკო“ — ერგ. დადა-ცა, ბაბა „დედა“, „დედიკო“ — ერგ. დადა-ცა, კოდო „ბებია“, „ბებიკო“ — ერგ. კოდო-ცა, კუდადა „ბაბუა“ — ერგ. კუდადა-ცა, დაცი „ძია“ — ერგ. დაცი-ცა, ადა „დეიდა“, „ბიცოლა“ — ერგ. ადა-ცა. ეს სახელები იბრუნვის ისე, როგორც საკუთარი სახელები (მდრ. § 82).
4. ემენ „მამა“ სახელის ბრუნება: საბ. ემენ — ერგ. ინსა-უ-ცა, ნათ. ინსა-ულ, მიც. ინსა-უ-ა-ე.

როგორც აქედან ჩანს, I გრამატიკ. კლასის ეს სახელი ერგატივში დაირთავს -ცა დაბოლოებას, რომელიც, საერთო წესის თანახმად, არ გადაჰყვება ნათესაობითსა და მიცემითში.

მეორე მხრივ, ფუძეს ერგატივსა, ნათესაობითსა და მიცემითში გამოეყოფა -სა-ც. ეს -სა აქ, ცხადია, იგივე ფორმანტია, რაც I გრამატიკ. კლასის სახელებში ერგატივის ჩვეულებრივი დაბოლოება და სათანადო ფუძეს ნათესაობითსა და მიცემითშიც გადაჰყვება (განსხვავება ხმოვნით ელემენ-

ტშია: -ა-სა || -სა; შდრ.: ვაცა-**ასა** „მამა“ — ინ-სა-უ-ცაა „მამამ“, ვაცა-**ასა**-ულ „ძმისა“ — ინ-სა-ულ „მამისა“, ვაცა-**ასა**-ე „ძმასა“ — ინ-სა-უ-ე-ე „მამასა“).

ახლანდელი ნორმების მიხედვით ინ-სა-უ-ცაა („მამამ“) ორმაგი ნიშნის მქონე ერგატივის ფორმა გამოდის (-სა, -ცაა)¹.

ემენ „მამა“ სახელის ბრუნებისას ცვლილებები ხდება ფუძეშიც, რაც ფონეტიკურ ნიადაგზე პოვებს ახსნას; სახელდობრ: საბ. ემენ იმენ — რეგრესული ასიმილაციით: ფუძის თავკიდური ხმოვანი **ი**, რომელიც სახელობით ბრუნვაში ასიმილირებულია მომდევნო მარცვლის — მახვილიან — **ე** ხმოვანთან, უცვლელად დაცულია ერგატივ-ნათესაობით მიცემითში, სადაც ფუძეს მასიმილირებული ხმოვანი (მთელი მარცვალი -**ენ**) მოკვეცილი აქვს (შდრ. ინ-სა-უ-ცაა „მამამ“); მაგრამ მეორე მხრივ, ერგატივ-ნათესაობით მიცემითში შეცვლილია ფუძისეული თანხმოვანი (**მ ნ**), რაც მომდევნო თანხმოვნის გავლენით აიხსნება; ინ-სა-უ-ცაა იმ-სა-უცაა „მამამ“ (§ 43)...

შ ე ნ ი შ ე ნ ა. სახელობითის ფუძის თავკიდური ხმოვანი ე (ი) შეიძლება — ანალოგიით — სხვა ბრუნვებშიც გავრცელდეს: საბ. ემენ (იმენ) „მამა“ — ერგ. ენ-სა-უ-ცაა (ზოგჯერ ეს ვარიანტიც გვხვდება ინ-სა-უ-ცაა ვარიანტთან ერთად). ისიც შეიძლება, რომ „ირიბ ბრუნვათა“ ფუძე სახელობითში დამკვიდრდეს: ინსაო || ენსაო „მამა“ (დასტურდება ჰიდურში).

§ 75. ერგატივის -ცაა და -(ა)ლ'ს დაბოლოებათა ხვედრითი წონა III გრამატ. კლასის საზოგადო არსებით სახელებში. III გრამატიკ. კლასის იმ საზოგადო არსებით სახელებს, რომელთაც -ცაა დაბოლოება აქვთ ერგატივში, პარალელურად შეიძლება ჰქონდეთ -(ა)ლ'ს დაბოლოებაც. მასთან, -ცაა დაბოლოების შეცვლა -(ა)ლ'ს დაბოლოებით არავითარ გავლენას არ ახდენს მნიშვნელობაზე: წა ა და ცა ა (|| წა ა და ლ' ა) ხვეზა-ბუნა ხურ „წვიმამ გააფუჭა ყანა“; ასევე: ოცოცაა || ოცალ'ს „ხარმა“, ჩოცაა || ჩუდალ'ს „ცხენმა“, ბაწიცაა || ბაწალ'ს „მეღმა“, ნოსოცაა || ნუსალ'ს „დანამ“ და ა. შ. შესაბამისი პარალელური ფორმები გვექნება ნათესაობითსა

¹ ანდიურ ენებში ხუნძ. ინ-სა-უ-ცაა („მამამ“) ტიპის ერგატივის ფორმა ჩვეულებრივია; შდრ.: იმა-შა-უ-დი „მამამ“... ვაცი-შა-უ-დი „ძმამ“... ჰეკვა-შა-უ-დი „კაცმა“ და ა. შ. — აქ ერგატივში გვაქვს -შა- (შდრ. ხუნძ. -სა-) და -დი (ხუნძ. -ცაა-ს მ ო რ ფ ო - ლ ო გ ი უ რ ი ეკვივალენტი); ამათგან პირველი (-შა-) გადაჰყვება ფუძეს ნათესაობითსა და მიცემითში (ისევე, როგორც ხუნძ. -სა), ხოლო მეორე (-დი) მხოლოდ ერგატივშია, როგორც ამ ბრუნვის ნიშანი (ისევე, როგორც ხუნძ. -ცაა). ასე, რომ ხუნძ. ინ-სა-უ-ცაა („მამამ“) და ანდ. იმა-შა-უ-დი („მამამ“) აგებულიებით სავსებით ფარავენ ერთმანეთს. ოლონდ, ანდიურ ენებში ასეთი წარმოება ნ ო რ მ ა ა, ხუნძურში — ა ნ ო მ ა ლ ი ა.

და მიცემითში: ნათ. წადალ || წადალ'ულ „წვიმისა“, ოცოლ || ოცალ'ულ „ხარისა“, ბაწილ || ბაწალ'ულ „მგლისა“... მიც. წადადე || წადალ'ე „წვიმისა“, ოცოდე || ოცალ'ე „ხარისა“, ბაწიდე || ბაწალ'ე „მგელსა“...

ამ პარალელურად შესაძლო ვარიანტებიდან უპირატესად იხმარება **-ცა** დაბოლოებიანი ფორმა ერგატივში (და შესაბამისი ფორმები ნათესაობითსა და მიცემითში).

მაგრამ, ამისდა მიუხედავად, **-(ა)ლ'ზ** დაბოლოება III გრამატ. კლასის საზოგადო არსებით სახელებში ამჟამად უფრო პროდუქტიულია, ვინემ **-ცა**; ამას მოწმობს შემდეგი:

არა ერთი საზოგადო არსებითი სახელი III გრამატ. კლასისა ამჟამად იყენებს მხოლოდ **-(ა)ლ'ზ** დაბოლოებას, რომელიც **-ცა** დაბოლოებით არ შეიძლება შევცვალოთ. მაშასადამე, პარალელური წარმოება აქ გამოირიცხებულია.

ასეთებია, პირველ ყოვლისა, ახალი სიტყვები, კერძოდ, ახალი ტერმინები და ბოლო დროს ნასესხები სიტყვები რუსული ენიდან (თუ სხვა ენებიდან რუსული ენის მეშვეობით); ისეთი სიტყვები, როგორიცაა: სოციოალიზმ, ქოლხოზ, სოვხოზ, მაშინა და მრავალი სხვა ერგატივში დაირთავს **-(ა)ლ'ზ** დაბოლოებას (და ეს დაბოლოება ფუძეს შერჩება ნათესაობითსა და მიცემითში): ქოლხოზ „კოლმეურნეობა“ — ერგ. ქოლხოზ-ალ'ზ (ნათ. ქოლხოზ-ალ'ზ-ულ, მიც. ქოლხოზ-ალ'ე)... ქოლხოზ-ალ'ზ როსოლ' წიდაბ ჰამამ ბანა „კოლმეურნეობამ“ („ქოლხოზმა“) აულში ახალი აბანო აავო“¹ ... სოვხოზ-ალ'ზ ფაჩალიწალ'ე ჭემერაბ ტორშელ ტოლა „საბჭოთა მეურნეობა („სოვხოზი“) სახელმწიფოს ბევრ მარცვლეულს აძლევს“² ... მინისთერსთვო-დ-ალ'ზ... მაჰმუდოვასე ფადარქა ტუნა „სამინისტრომ („მინისთერსთვო“)... მაჰმუდოვი დაასაჩუქრა“³...

შენიშვნა. ძველად ნასესხებ სიტყვებში III კლასისა (არაბულიდან, თურქულიდან...) **-ცა** დაბოლოება ერგატივში შეუძლებელი არ არის: ხანყარ „ხანჯალი“ — ერგ. ხონყრო-ცა... **-(ა)ლ'ზ** დაბოლოებიანი წარმოება აქ ფაკულტატიურია: ხანყარ-ალ'ზ „ხანჯალმა“...

-ცა დაბოლოებას არ დაირთავს არც საკუთარი ლექსიკური ფონდის რიგი საზოგადო არსებითი სახელი III გრამატ. კლასისა. პ. უსლარი საგანგებოდ ჩამოთვლის ასეთ სახელებს; ესენია:

¹ . . . , გვ. 69.

² . . . , I I . . . , გვ. 106.

³ გაზ. „ . . . “ 7. IX. 1955.

ა) ნაზმნარი არსებითი სახელები (მასდარის ფორმით), როგორცაა: ჰაბი „კეთება“, ვიტი „გაგზავნა“ და ა. შ. — ერგატივში იხმარება: ჰაბი-ა-ლ^ბ „კეთებამ“, ვიტი-ა-ლ^ბ „გაგზავნამ“ და ა. შ. თუმცა, ზოგ ასეთ სახელში, თუ ის გასუბსტანტივებულია, გვექნება -ცა დაბოლოება: რაყი „სიმშილი“ — რაყუცა || რაყუდალ^ბ, როხი „სიხარული“ — როხუცა || როხიდალ^ბ...

ბ) -ლ^ბ სუფიქსიანი აბსტრაქტული სახელები: ვაცაალ^ბ „ძმობა“, ჰალმალ^ბ „ამხანაგობა“, დუშმანლ^ბ „მტრობა“... ერგატივში გვექნება: ვაცაალ^ბ-ა-ლ^ბ „ძმობამ“, ჰალმალ^ბ-ა-ლ^ბ „ამხანაგობამ“, დუშმანლ^ბ-ა-ლ^ბ „მტრობამ“...

გ) ზოგი პირველადი (არანაწარმოები) სახელიც, როგორცაა: ყო „დღე“, ყო „რამე“, „ნივთი“, ცა „კბილი“, ბი „სისხლი“, ტო „ხიდი“, ყუნ-ყრა „წერო“, რუყ „სახლი“, მაჰ „სუნი“, ტი „ალო“ და ბევრი სხვა; ერგატივში გვექნება: ყო-ა-ლ^ბ „დღემ“, ყო-ა-ლ^ბ „რამემ“, „ნივთმა“, ცა-ა-ლ^ბ „კბილმა“, რუყ-ა-ლ^ბ „სახლმა“ და ა. შ. ყოველ შემთხვევაში, ასეა ეს ჩრდილო-ხუნძურის ჭირკეულ თქმაში (პ. უსლარის მოწმობით). სხვაგან კი (როგორც ამას პ. უსლარიც აღნიშნავს) ასეთ შემთხვევებშიც -(ა)ლ^ბ დაბოლოების პარალელურად შეუძლებელი არ არის გვექნდეს -ცა დაბოლოებაც.

რაზე მიუთითებენ ზემოაღნიშნული ფაქტები?

ახალ ნასესხებ სიტყვებში -(ა)ლ^ბ დაბოლოების ხმარება, როგორც ზემოთ ითქვა, იმაზე მიუთითებს, რომ ამჟამად ხუნძური ენისათვის პროდუქტიულია ეს დაბოლოება (და არა -ცა დაბოლოება)¹. ტენდენცია, რომელმაც ახალ სიტყვებში -(ა)ლ^ბ დაბოლოების გაბატონება გამოიწვია, ჩანს, უფრო ადრე დაწყებულია საკუთარი ფონდის — ძველ — სიტყვებში (III გრამატ. კლასისა), თუმცა აქ -(ა)ლ^ბ დაბოლოებას საბოლოოდ ჯერ კიდევ ვერ განუდევნია -ცა დაბოლოება.

არის შემთხვევები, როცა საკუთარი ფონდის ზოგ სიტყვას (III კლასისა) პარალელური ფორმები (-ცა || -ალ^ბ დაბოლოებებით) ერგატივში არ მოეპოვება (იხმარება მხოლოდ -ალ^ბ დაბოლოებიანი ფორმა), მაგრამ შესაბამისი პარალელური ფორმები გარჩეულია ნათესაობითსა და მიცემითში: შდრ.: ყო „დღე“ — ერგ. ყო-ა-ლ^ბ, მ ა გ რ ა მ: ნათ. ყო-ა-ლ^ბ-ულ || ყო-ლ, მიც. ყო-ა-ლ^ბ-ე || ყო-ა-ე... როხ^ბ „ტყე“ — ერგ. როხ^ბ-ალ^ბ, მაგრამ: ნათ. როხ^ბ-ალ^ბ-ულ || როხ^ბ-ო-ლ, მიც. როხ^ბ-ალ^ბ-ე || როხ^ბ-ო-ა-ე... რალ^ბ „ზღვა“ — ერგ. რალ^ბ-ა-ლ^ბ, ნათ. რალ^ბ-ა-ლ^ბ-ულ || რალ^ბ-ა-ლ, მიც. რალ^ბ-ა-ლ^ბ-ე || რალ^ბ-ა-ა-ე...

¹ არსებითად ეს ფაქტია ამოსავალი ლ. ჟირკოვისათვის, როცა იგი -ცა დაბოლოებას „არქაულს“ უწოდებს.

ასეთ შემთხვევებში შესაბამისი პარალელური ფორმები ძველად, ცხადია, ერგატივშიც უნდა გვქონოდა (ყო-ა-აღ' || ყო-ცაა „დღემ“, როხ'-აღ' || როხ'-ო-ცაა „ტყემ“, რალ'-ად-აღ' || რალ'-დ-ა-ცაა „ზღვამ“...)¹

რა გამართლება აქვს ერთი და იმავე საზოგადო არსებითი სახელის (III გრამატ. კლასისა) პარალელურად ორი სხვადასხვა ტიპის მიხედვით ბრუნებას? ერგატიულ ბრუნვაში პარალელურ ფორმათა შორის (წად-აღ' || წად-ა-ცაა „წვიმამ“ და ა. შ.), როგორც ზემოთაც ითქვა, სხვაობა მნიშვნელობის მიხედვით არ დასტურდება; არც მიცემითის შესაბამის ფორმათა შორის (წად-აღ'-ე || წად-ა-ე „წვიმასა“) ჩანს ამ მხრივ რაიმე განსხვავება².

ერთად-ერთი განსხვავება, რაც შესაბამის პარალელურ ფორმათა გამოყენების მხრივ შეიმჩნევა ნათესაობით ბრუნვაში, მდგომარეობს შემდეგში: როცა ნათესაობითის ფორმას ზედსართავის მნიშვნელობა აქვს, მაშინ ამ ბრუნვის პარალელური ფორმებიდან გამოიყენება არა ორივე, არამედ, როგორც წესი, გარკვეული ფორმა; შდრ. წად „წვიმა“ — ნათ. წად-აღ'-ულ || წად-ა-ლ „წვიმისა“ (), მაგრამ (ზედსართავის მნიშვნელობით): წად-ა-ლ ყო „წვიმიანი“ () დღე“... ბაწ „მგელი“ — ნათ. ბაწ-აღ'-ულ || ბაწ-ი-ლ „მგლისა“ (), მაგრამ (ზედსართავის მნიშვნელობით): ბაწ-ი-ლ ჭამალ „მგლური“ () ხასიათი³...

აღნიშნული ფაქტი უნდა გვანიშნებდეს იმ ფუნქციურ სხვაობაზე, რაც პარალელურ ფორმათა შორის უნდა გვქონოდა ძველად თვით ნათესაობით ბრუნვაში; სახელდობრ:

ნათესაობითის ფორმა, რომელიც ზედსართავის როლშიც გამოიყენებოდა (წად-ა-ლ „წვიმისა“... ბაწ-ი-ლ „მგლისა“...), თავის მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო უფრო ზოგადი, განუსაზღვრელი, ხოლო მეორე ფორმა (წად-აღ'-ულ „წვიმისა“... ბაწ-აღ'-ულ „მგლისა“...) — კონკრეტული, განსაზღვრული.

¹ ლ. ჟირკოვის ლექსიკონში ყო(აი)-ცაა „დღემ“, როხ'-ი-ცაა || როხ'-ო-ცაა „ტყემ“ რეალურადაც არის დადასტურებული.

² ამ ბრუნვებში პარალელურად შესაძლო ფორმათა შესახებ პ. უსლარი შენიშნავს: " (. , , გვ. 49).

³ ამ ფაქტს პირველად ყურადღება მიაქცია პ. უსლარმა. პ. უსლარი, კერძოდ, აღნიშნავს: "

2-

... შემდეგ მოყვანილია საილუსტრაციო მაგალითები, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ, როცა თვითონ ნათესაობითში (კუთვნილების გამოსახატავად) ორივე ფორმა იხმარება, ზედსართავის როლში კი გამოიყენება ყოველთვის ნათესაობითის გარკვეული („მეორე ნიმუშის“) ფორმა (იხ. , , § 81, გვ. 89-90).

ანალოგიური განსხვავება შესაბამის პარალელურ ფორმათა შორის დანარჩენ ბრუნვებშიც (კერძოდ, ერგატივსა და მიცემითში) შეიძლება ვივარაუდოთ.

ამგვარი ვარაუდი გასაგებს გახდიდა, თუ რატომ არის, რომ ერთი და იგივე საზოგადო არსებითი სახელი შეიძლება ვაბრუნოთ ორი სხვადასხვა ტიპის მიხედვით.

ეს ეხება III გრამატიკ. კლასის საზოგადო არსებით სახელებს, რომელთა უმრავლესობას პარალელური ფორმები სათანადო ბრუნვებში დღემდის შერჩენია.

I და II გრამატიკ. კლასების საზოგადო არსებითი სახელები კი, როგორც ვნახეთ, ამჟამად ჩვეულებრივ მხოლოდ ერთი გარკვეული ტიპის მიხედვით იბრუნვიან. მაგრამ ძველად ამ სახელებშიც არ უნდა ყოფილიყო შეუძლებელი ორი სხვადასხვა (განუსაზღვრელი და განსაზღვრული) ტიპის მიხედვით ბრუნება. ის, რაც III გრამატიკ. კლასის საზოგადო არსებით სახელებში ჩვენს თვალწინ ხდება (ისტორ. განსაზღვრული ტიპის ბრუნების გაბატონება), I და II გრამატიკ. კლასების საზოგადო არსებით სახელებში, ჩანს, უფრო ადრეა მომხდარი: პარალელური ფორმები ამ სახელებში ამჟამად იშვიათია: შადამ-ასა-ულ || შადამ-ი-ლ „ადამიანისა“, ლა-დი-ა-ლ-ულ || ლა-დი-ულ „ცოლისა“, ჩი-ა-ასა || ჩი-ა-ა-ცაა „კაცმა“...

განსაზღვრულ და განუსაზღვრელ ბრუნებათა გარჩევა იბერიულ-კავკასიურ რიგ ენაში ფაქტია (მაგალ., ადიღეურ ენაში¹... ძველ ქართულში...).

§ 76. ფუძის ცვლილებები საზოგადო არსებით სახელთა ბრუნების პროცესში. პირველი და მეორე ტიპის ბრუნებისას (-ასა და -ალა დაბოლოებებით ერგატივში) საბრუნებელი სახელის ფუძე არავითარ ცვლილებას არ განიცდის: რა სახეც აქვს ფუძეს სახელობით ბრუნვაში, იგივე ექნება ერგატივსა და დანარჩენ ბრუნვებში (სათანადო ბრუნვის ნიშნების წინ): *სახ. ვაცა „ძმა“ — ერგ. ვაცა-ასა... სახ. მაცა „და“ — ერგ. მაცა-ალა... (იხ. ზემოთ ბრუნების ნიმუშები).*

ცვლილებებს ფუძეში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მესამე ტიპის ბრუნებისას (-ცაა დაბოლოებით ერგატივში). ამ ტიპის ბრუნების თავისებურება ამ მხრივ თვალსაჩინო გახდება, როცა კი სათანადო სახელს (III გრამატიკ. კლასისა) პარალელურად ვაბრუნებთ მეორე და მესამე ტიპის მიხედვით (ამგვარი შესაძლებლობის შესახებ ზემოთ გვქონდა აღნიშნული); *შდრ.: სახ. ბეტერ „თავი“ — ერგ. ბეტერ-ალა || ბოტრო-ცაა... სახ. ტეპ „ყვავილი“ — ერგ. ტეპ-ალა || ტოპო-ცაა... სახ. ცერ „მელა“ — ერგ. ცერ-ალა || ცარა-ცაა... სახ. ხანჯარ „ხანჯალი“ — ერგ. ხანჯარ-ალა || ხონჯრო-ცაა... —*

¹ გ. როგავა, ქვემო-ადიღეურის ბრუნვათა საკითხისათვის, ენიმკი-ს მოამბე, IV₃, 1938.

ერგატივის ამ პარალელური ფორმებიდან, როგორც ჩანს, პირველის (-აღ დაბოლოებიანის) ფუძე უცვლელად უდრის სახელობითის ფუძეს, მეორის (-ცა დაბოლოებიანის) ფუძე კი განსხვავებულია სახელობითის ფუძისაგან.

ცვლილებები ფუძეში სხვადასხვაგვარი შეიძლება გვქონდეს (იხ. ქვემოთ). წინასწარ იმის გათვალისწინება, თუ, სახელდობრ, რა ხასიათის ცვლილება შეიძლება მოუვიდეს ამა თუ იმ ფუძეს ბრუნების პროცესში, არ ხერხდება. მხედველობაში იღებენ რა ამ სირთულეს, ხუნძურ ლექსიკონებში სათანადო არსებითი სახელი მოჰყავთ გარდა მხოლოობითის სახელობითის ფორმისა (რომელიც სალექსიკონო ერთეულია), აგრეთვე ფორმით (თუ ფორმებით), რომელსაც ფუძე შეიძლება განსხვავებული ჰქონდეს რაიმე მხრივ.

§ 77. ე. წ. „ჩანართი“ თანხმოვანი. ასეთად ყველაზე ხშირად გვხვდება -ღ- თანხმოვანი. იგი შეიძლება გვქონდეს ნათესაობითსა და მიცემითში, ზოგჯერ ერგატივშიც; შდრ.¹:

- სახ. რახ „რძე“ — ერგ. რახღ-ა-ცაა, ნათ. რახღ-ა-ღ, მიც. რახღ-ა-ღ-ე;
- სახ. შაქა „ძროხა“ — ერგ. შაქღ-ა-ცაა, ნათ. შაქღ-ა-ღ, მიც. შაქღ-ა-ღ-ე;
- სახ. შაზო „თოვლი“ — ერგ. შაზღ-ა-ცაა) || შაზ-უ-ცაა, ნათ. შაზღ-ა-ღ (|| შაზ-უ-ღ), მიც. შაზღ-ა-ღ-ე (|| შაზ-უ-ღ-ე);
- სახ. წიერ „ყინული“, „შუშა“ — ერგ. წიერღ-ა-ცაა (|| წიერ-ო-ცაა), ნათ. წიერღ-ა-ღ (|| წიერ-ო-ღ), მიც. წიერღ-ა-ღ-ე (|| წიერ-ო-ღ-ე);
- სახ. როსო „აული“ — ერგ. როსტ-ა-ცაა, ნათ. როსტ-ა-ღ, მიც. როსტ-ა-ღ-ე (ტ ღ);
- სახ. ბი „სისხლი“, ერგ. ბი-ცაა; ნათ. ბიღ-უ-ღ (|| ბი-ღ), მიც. ბიღ-უ-ღ-ე (|| ბი-ღ-ე);
- სახ. ბო „ჯარი“ — ნათ. ბოღ-უ-ღ (|| ბო-ღ), მიც. ბოღ-უ-ღ-ე (|| ბო-ღ-ე);
- სახ. ჩუ „ცხენი“, ერგ. ჩო-ცაა — ნათ. ჩოღ-უ-ღ (|| ჩო-ღ), მიც. ჩოღ-უ-ღ-ე (|| ჩო-ღ-ე);
- სახ. შანკო „ქათამი“, ერგ. შანკ-ი-ცაა — ნათ. შანკოღ-ა-ღ (|| შანკ-ი-ღ), მიც. შანკოღ-ა-ღ-ე (|| შანკ-ი-ღ-ე);
- სახ. წა „ცეცხლი“ — ერგ. წაღ-უ-ცაა (|| წე-ცაა), ნათ. წაღ-უ-ღ (|| წე-ღ), მიც. წაღ-უ-ღ-ე (|| წე-ღ-ე);
- სახ. ტხო „ხილი“, ერგ. ტხო-ცაა — ნათ. ტხოღ-უ-ღ (|| ტხო-ღ), მიც. ტხოღ-უ-ღ-ე (|| ტხო-ღ-ე);
- სახ. რატხა „ძვალი“, ერგ. როტხო-ცაა — ნათ. რატხაღ-უ-ღ (|| როტხო-ღ), მიც. რატხაღ-უ-ღ-ე (|| როტხო-ღ-ე)...

¹ სათანადო მაგალითები აღნიშნული აქვთ ჯერ კიდევ ა. შ ი ფ ნ ე რ ს ა (Versuch, § 58) და პ. უ ს ლ ა რ ს (. . . გვ. 58-59).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ერგატივსა, ნათესაობითსა და მიცემითში ზოგჯერ პარალელური ფორმებიც გვაქვს, იმის მიხედვით დაირთავს თუ არა ფუძე **დ** თანხმოვანს (ჩოდ-უ-ლ || ჩო-ლ „ცხენისა“... წად-უ-ცაა || წე-ცაა „ცეცხლმა“, წად-უ-ლ || წე-ლ „ცეცხლისა“... — იხ. ზემოთ მაგალითები). ეს იმაზე მიუთითებს, რომ **-დ-** სათანადო შემთხვევებში არ არის მუდმივი ინგრედიენტი ფუძისა.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა **დ** თანხმოვანს ერგატივსა და მისგან მოყოლებულ ბრუნვებში სახელობითის ფუძის **ნ** თანხმოვნის ადგილი უკავია; შდრ.:

სახ. ცაინ „ნადველი“, „ბოღმა“ — ერგ. ცაიდ-ა-ცაა, ნათ. ცაიდ-ა-ლ, მიც. ცაიდ-ა-მ-ე;

სახ. წაუნ „არწივი“ — ერგ. წაუნდ-უ-ცაა, ნათ. წაუნდ-უ-ლ, მიც. წაუნდ-უ-მ-ე;

სახ. წონ „თესლი“ — ერგ. წუნდ-უ-ცაა, ნათ. წუნდ-უ-ლ, მიც. წუნდ-უ-მ-ე;

სახ. ლაინ „წყალი“ — ნათ. ლაიდ-ა-ლ || ლაად-ა-ლ (|| ლაე-ლ)...

ერთ სიტყვაში **დ**-ს **ბ**-ს ადგილიც უკავია: სახ. ზობ „ცა“ — ნათ. ზოდ-უ-ლ, მიც. ზოდ-უ-მ-ე.

ასეთ შემთხვევებში თითქოს თანხმოვანთა მონაცვლეობას აქვს ადგილი: **ნ || დ, ბ || დ**; უფრო სავარაუდებელია, რომ **ნ** და **ბ** თანხმოვნები დაკარგული იყოს **დ**-ს წინ (წაუნ „არწივი“ — წაუნდ-ულ წაუნდულ... ზობ „ცა“ — ზოდულ ზობდულ...), როგორც ამას პ. უსლარი ფიქრობს¹ (წაუნდულ... ზობდულ... ფორმები რეალურადაც არის დამოწმებული ლ. ჟირკოვის ლექსიკონში)².

ნათესაობითის (და მიცემითის) ფუძეში ზოგჯერ შეიძლება გვქონდეს **ზ** თანხმოვანიც (ასეთი ფუძეები, პ. უსლარის დაკვირვებით, ყველა სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელია³): ბერ „თვალი“ — ბერზულ, მინ „ყური“ — მინზ-ულ, ქვერ „ხელი“ — ქვერზ-ულ, ქერენ „მკერდი“ — ქარანზ-ულ, მულ „ზურგი“ — მულზ-ალ (ამ ფუძეს **ზ** ერგატივშიც ექნება: მულზ ა ცა ა).

ეს **ზ დ**-ს ფონეტიკური ვარიანტი ჩანს. სამხრ.-ხუნძურის ზოგ კილოთქმაში ამოსავალი **დ** თანხმოვნიანი ვარიანტი რეალურადაც გვაქვს: ყარაბ. ბერდულ, ანწუხ. ბელდულ „თვალისა“... ა. შიფნერს დამოწმებული აქვს ბერზულ და პარალელურად ბერდულ ვარიანტიც⁴.

¹ გვ. 58.

² , გვ. 139-144.

³ გვ. 58.

⁴ A. Schifner, Versuch, გვ. 49.

რ უნდა იყოს **დ** თანხმოვანი ნათესაობითის, მიცემითისა და — ზოგჯერ — ერგატივის ფუძეში, როცა იგი გვაკლია სახელობითის ფუძეში? არაიშვიათად ეს **დ** ფუძის კუთვნილება ჩანს. ამას სხვა ენებთან შედარება მოწმობს; შდრ., მაგალ.:

ხუნდ. წა (ნათ. წად-უ-ლ) — ახვახ. ჭარი, ლაჯ. წუ (ნათ. წარ-ა-ლ) „ცეცხლი“;

ხუნდ. წავა (ნათ. წავად-უ-ლ) — ახვახ. წავარი, ბავკალ. წავარა „ვარსკვლავი“;

ხუნდ. შან-კო [ნათ. შან-კოდ-ა-ლ; ფუძეა: -კო- -კოდ(ა)] — კაპუჭ. გუდა, რუთ. ქათ, წახ. კათჲ..., აფხაზ. ა-კუტგ..., ყაბარდ. გედ „ქათამი“ (ქართ. გელი)¹.

ასეთ შემთხვევებში ივარაუდება, რომ **დ** დაკარგულია სახელობითის ფუძის ბოლოში (შდრ. ლათინურში: cor cord „გული“, ნათ. cord-is).

მაგრამ ყველა **დ** ასეთი წარმოშობისა არ უნდა იყოს: ზოგჯერ იგი შესაძლოა იყოს ერგატივის ძველი ნიშანი და ერგატივიდან — ფუძეს გადმოყოლილი ნათესაობითსა და მიცემითში (იხ. § 88). ზოგჯერაც იგი ანალოგიით შეიძლება იყოს განვითარებული (უფრო ხშირად ხმოვანზე გათავებულ ფუძეებთან).

§ 78. დამაკავშირებელი ხმოვანი. მესამე ტიპის ბრუნებისას ერგატივსა, ნათესაობითსა და მიცემითში ამ ბრუნვათა ნიშნების წინ და ფუძის ბოლოში თავს იჩენს ესა თუ ის ხმოვანი, რომელსაც ფუძისა და ბრუნვის ნიშნის დამაკავშირებელ ხმოვანს უწოდებენ.

ასეთი ხმოვანი ჩვეულებრივ უცვლელად მეორდება სამსავე ზემოხსენებულ ბრუნვაში: ბაწ „მგელი“ — ერგ. ბაწ-ი-ცაა, ნათ. ბაწ-ი-ლ, მიც. ბაწ-ი-დ-ე... (ამიტომ ქვემოთ სათანადო მაგალითები საკმარისია მოვიყვანოთ ერთ-ერთი ზემოხსენებული ბრუნვის ფორმით, კერძოდ, ერგატივის ფორმით).

იმის წინასწარ გათვალისწინება, თუ როდის რა დამაკავშირებელი ხმოვანი გვექნება, სახელობითის ფუძიდან ამოსვლით არ ხერხდება, რაც მესამე ტიპის ბრუნების (ანუ ერთფუძიანი ბრუნების) ერთ-ერთ სიძნელეს შეადგენს.

1) სახელობითის ფუძე თუ თანხმოვანზეა გათავებული, ასეთ ფუძესთან ერგატივსა, ნათესაობითსა და მიცემითში ყოველთვის იჩენს თავს ესა თუ ის დამაკავშირებელი ხმოვანი:

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 613-614; არნ. ჩიქობავა, ერგატივის წარმოქმნის ისტორიისათვის ხუნძურში, იკე, II. გვ. 100.

ა: წაღ „წვიმა“ — წაღ-ა-ცაა, ლ'არ „ხევი“ „ნაკადული“ — ლ'არ-ა-ცაა, ჰან „ხორცი“ — ჰან-ა-ცაა, წაღ „მათრახი“ — წაღ-ა-ცაა, ყულ „ცოცხი“ — ყულ-ა-ცაა, გულურ „ხაფანგი“ — გულურ-ა-ცაა, ჩაყალ „ტურა“ — ჩაყალ-ა-ცაა...

ი: ბაწ „მგელი“ — ბაწ-ი-ცაა, შანკ „კურდღელი“ — შანკ-ი-ცაა, ჩედ „პური“ — ჩად-ი-ცაა, მიჭა „ჭინჭარი“ — მიჭა-ი-ცაა, ფიჯ „ხილი“ — ფიჯ-ი-ცაა, მიქა „მუნა“ — მიქა-ი-ცაა, წ'აგ „ქვაბი“ — წ'აგ-ი-ცაა, ჰად „ცაცხვი“ — ჰად-ი-ცაა, გამაჭ „ქვა“ — გამაჭ-ი-ცაა, ბურუტ „თიკანი“ — ბურტ-ი-ცაა, ბორონ „გველი“ — ბორონ-ი-ცაა, ქილიშა „თითი“ — ქილიშა-ი-ცაა...

უ: ბაყ „მზე“ — ბაყ-უ-ცაა, კალ „პირი“ — კალ-უ-ცაა, მახა „რკინა“ — მახა-უ-ცაა, რად „ომი“ — რად-უ-ცაა. ჰურ „მტვერი“ — ჰურ-უ-ცაა, ნახ „ერბო“ — ნახ-უ-ცაა, იცა „წყარო“ — იცა-უ-ცაა, ნაკა „ღრუბელი“ — ნაკა-უ-ცაა, რატე „მიწა“ — რატე-უ-ცაა, მეჭერ „მთა“ — მეჭერ-უ-ცაა...

ო: ნუს „დანა“ - ნოს-ო-ცაა, ტეკ „ყვავილი“ — ტოკ-ო-ცაა, ტუტ „ბუზი“ — ტოტ-ო-ცაა, ღვეტ „ხე“ — ღოტ-ო-ცაა (ღვო-ტ-ო-ცაა), ჰეტ „რწყილი“ — ჰოტ-ო-ცაა, ბელ „ბარი“ — ბოლ-ო-ცაა, ხეჩ „შუბი“ — ხოჩ-ო-ცაა, ბეტერ „თავი“ — ბოტერ-ო-ცაა, რენ'ედ „ჯოგი“ — რონ'ედ-ო-ცაა, ნ'იბილ „გვერდი“ — ნ'ოლბ-ო-ცაა.

ე (მეტად იშვიათად): რაკ „გული“ — რეკ-ე-ცაა.

2) თუ სახელობითში ფუძე ხმოვანზეა გათავებული, ასეთ შემთხვევაში:

ა) სათანადო ბოლოკიდური ხმოვანი ფუძეს შეიძლება უცვლელად გაჰყვეს დანარჩენ ბრუნვებშიც და მაშინ დამაკავშირებელი ხმოვანი აღარ გვექნება; მდრ.: ბო „თემი“; „ჯარი“ — ბო-ცაა, ტხო „ხიდი“ — ტხო-ცაა, ბოლ'ო „კიბე“ — ბოლ'ო-ცაა... წ'აე „თხა“ — წ'აე-ცაა... ცი „დათვი“ — ცი-ცაა, ბი „სისხლი“ — ბი-ცაა, ბუტა „ნაწილი“ — ბუტა-ცაა, ბიქა „ბევის ცოლი“ (მოდველ.) — ბიქა-ცაა... ტხურუ „კლდე“ — ტხურუ-ცაა...

შ ე ნ ი შ ე ნ ა. იშვიათად შეიძლება ფუძის ბოლოკიდური ხმოვანიც გვექონდეს და ასეთ ხმოვანზე დართული დამაკავშირებელი ხმოვანიც.: ში „ცხვარი“ — ში-ე-ა-ცაა (ე ხმოვანთ გასაყარია).

ბ) სახელობითის ფუძის ბოლოკიდურ ამა თუ იმ ხმოვანს დანარჩენ ბრუნვებში შეიძლება ცვლიდეს დამაკავშირებელი ესა თუ ის ხმოვანი; მდრ.: რაში „სიტყვა“ — რაში-უ-ცაა, ბართი „ულაყი“ — ბართ-უ-ცა, შორჯი „საზღვარი“ — შორჯ-უ-ცაა, სალი „სილა“ — სალ-უ-ცაა, ჰალტი „მუშაობა“ — ჰალტ-უ-ცაა, როტეი „სიყვარული“ — როტე-უ-ცაა... პოწო „თაფლი“ — პოწო-უ-ცაა, შაზო „თოვლი“ — შაზ-უ-ცაა, || შაზდ-ა-ცაა, ქეთო „კატა“ — ქათ-ი-ცაა, ქოშო „ლეკვი“ — ქაშ-ი-ცაა, ღედო „ყვავი“ — ღად-ი-ცაა, შანკო „ქათამი“ — შანკ-ი-ცაა, ჰოქო „ურემი“ — ჰაქ-ი-ცაა, პოლო „ცერცვი“ — ჰალ-ი-ცაა, ჰელექო „მამალი“ — ჰელექ-ი-ცაა... ჩაუშა „თევზი“ — ჩაუშ-ი-ცაა,

ჰამა „სახელდარი“ — ჰამ-ი-ცაა, ნუწა „კარი“ — ნუწა-ი-ცაა, გამა „გემი“ — გამ-ი-ცაა, ვაბა „ქოთანი“ — ვაბ-ი-ცაა... ჰეტე „ფეხი“ — ჰატ-ი-ცაა... შაშტი „ნაჯახი“ — შაშტი-ო-ცაა, ჩალი „ლობე“ — ჩოლ-ო-ცაა, ჰური „ქარი“ — ჰორ-ო-ცაა, ჰუბი „სვეტი“ — ჰობ-ო-ცაა... ლაგა „ორგანო“ — ლოგ-ო-ცაა, რასა „გობი“ — როს-ო-ცაა... ქექე „ძუძუ“ — ქოქ-ო-ცაა...

ისეთ შემთხვევებში, როცა თანხმოვანზე გათავებულ სახელობითის ფუძეს დანარჩენ ბრუნვებში დამაკავშირებელი ხმოვანი ახლავს, შეუძლებელი არ არის, ასეთი ხმოვანი იყოს ფუძისეული ხმოვანი, მოკვეცილი სახელობით ბრუნვაში (ღ ი ა პ ო ზ ი ც ი ა შ ი) და შემონახული დანარჩენ ბრუნვებში (ბრუნვის ნიშნების წინ, — დახურულ პოზიციაში). ხუნძურის შედარება ახლო მონათესავე ენებთან (კერძოდ, ანდიურ ენებთან) რიგს შემთხვევაში, მართლაც, იძლევა ამგვარი ვარაუდის რეალურ საფუძველს (იხ. § 21). ასეთი ვარაუდი გასაგებს გახდიდა დამაკავშირებელ ხმოვანთა ნაირ-ნაირობას სხვადასხვა ფუძეებთან (როგორც ზემოთ ვნახეთ, დამაკავშირებელ ხმოვანად შეიძლება გვექონდეს ყველა ხმოვანი). ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ყველა დამაკავშირებელი ხმოვანი ასეთი წარმოშობისაა: რიგ ფუძესთან — თანხმოვანზე გათავებულთან — იგი შეიძლება ანალოგიითაც იყოს განვითარებული.

მაგრამ მაინც აუხსნელი რჩება, რატომაა, რომ ზოგჯერ დამაკავშირებელი ხმოვანი (ერგატივისა და მისგან მოყოლებულ ბრუნვებში) მაშინაც იჩენს თავს, როცა სახელობითში ფუძე ხმოვანზეა გათავებული (ჰოქო „ურემი“, ჩუშა „თევზი“... — ერგ. ჰაქ-ი-ცაა, ჩუშ-ი-ცაა... — იხ. ზემოთ 2 მუხლის ბ პუნქტში მოყვანილი მაგალითები).

§ 79. ხმოვანთა ცვლა ფუძის შიგნით („შინაგანი ფლექსია“).

განსხვავებამ ფუძეში შეიძლება თავი იჩინოს შინაგანი ხმოვნის ცვლის შედეგადაც.

ა) მხოლოდობით რიცხვში ასეთი განსხვავება შეიძლება გვექონდეს სახელობითსა და ყველა დანარჩენ ბრუნვას შორის (ერგატივ-ნათესაობით-მიცემითს კი ფუძის შინაგანი ხმოვანი ყოველთვის საერთო აქვს):

ა — ო: ლაგა „სხეული“ — ლოგ-ო-ლ¹, რატა „ძვალი“ — როტ-ო-ლ, შაშტი — „ნაჯახი“ — შაშტი-ო-ლ, მალი „კიბე“ (გადასატანი) — მო-ლ-ო-ლ, ჩალი „მესერი“ — ჩოლ-ო-ლ, ხანყარ „ხანჯალი“ — ხანყარ-ო-ლ, ტალურ „ქუდი“ — ტოდრ-ო-ლ, ცალურ „განჯინა“, „კარადა“ — ცოდრ-ო-ლ...

¹ შესადარებლად მოყვანილია სახელობითი და — დანარჩენი ბრუნვებიდან — მხოლოდ ნათესაობითი, რაკი ერგატივი და მიცემითი ფუძის შინაგანი ხმოვნის მიხედვით ნათესაობითთან განსხვავებას არ იძლევა (შდრ.: ლაგა „სხეული“ — ერგ. ლოგ-ო-ცაა, ნ ა თ. ლოგ-ო-ლ, მი ც. ლოგ-ო-მ-ე...).

ა — ე: რაკ „გული“ — რეკ-ე-ლ.

ე — ა: ცერ „მელა“ — ცარ-ა-ლ, ხერ „ბალახი“, „თივა“ — ხა-რ-ი-ლ, ჩედ „პური“ — ჩად-ი-ლ, ჰეპ „კალათი“ — ჰაპ-ი-ლ, გელ „ციცხვი“ — გალ-ი-ლ, ლეჟ „მკლავი“ — ლაჟ-ა-ლ, ქვენ „საჭმელი“ — ქვან-ი-ლ (შდრ. ქვან-ა-ზე „ჭამა“), ყედ „კედელი“ — ყად-ა-ლ, ლედო „ყვავი“ — ლად-ი-ლ ქეთო „კატა“ — ქათ-ი-ლ... **-ელ || -ალ:** როხელ „სინხარული“ — როხალ-ი-ლ, რექელ „ნატეხი“ — რექალ-ი-ლ, ყელ „დაძლევა“, „მორევა“ — ყალ-ი-ლ, ჰონელ „სუნთქვა“ — ჰონალ-ი-ლ, ტოპელ „წვერი“, „მწვერვალი“ — ტოპალ-ი-ლ, როკელ „ბინდი“, „მწუხრი“ — როკალ-ი-ლ, ხასელ „ზამთარი“ — ხასალ-ი-ლ, ლამელ „წელიწადი“ — ლამალ-ი-ლ...

ე — ო: ტეპ „ყვავილი“ — ტოპ-ო-ლ, ლვეტ „ხე“ — ლოტ-ო-ლ (ლვოტ-ო-ლ), ფერ „ხახვი“ — ფორ-ო-ლ, ჩენ „მუცელი“ — ჩონ-ო-ლ, ქეპ „სიმღერა“, „ლექსი“ — ქოპ-ო-ლ, ბელ „ბარი“ — ბოლ-ო-ლ, ლელ „სელი“ — ლოლ-ო-ლ, ბეტერ „თავი“ — ბოტრ-ო-ლ, ტენსაერ „წარბი“ — ტონსარ-ო-ლ...

ი — ა: ჰინჰა „ჩიტი“ — ჰანჰ-ი-ლ, ტინჰ „ნაშიერი“ — ტანჰ-ი-ლ, ტეჰერ „ბატკანი“ — ტაჰრ-ი-ლ...

ი — ო: ტილი „უნაგირი“ — ტილი-ო-ლ, წიბილ „ყურძენი“ — წილი-ბ-ო-ლ, ტიბილ „ძირი“ — ტილი-ბ-ო-ლ, მიჩილ „ვაზის სარი“ — მიჩილი-ო-ლ, რიდი „შრატე“, „წაქა“ — რიდი-ო-ლ, ჟინი „რანდა“ — ჟინ-ო-ლ...

ო — ა: ჰოქო „ურემი“ — ჰაქ-ი-ლ, ჰობო „წისქვილი“ — ჰაბ-ი-ლ, სორდო „ღამე“ — სარდ-ი-ლ, ქოშო „ლეკვი“ — ქაშ-ი-ლ, ჭორთო „ჩვარი“ — ჭართ-ი-ლ, თორშო „ბურთი“ — თარშ-ი-ლ, ჩოხატო „ქალის თავსაბურავი“ — ჩახატ-ი-ლ, ჰოლო „ცერცვი“ — ჰალ-ი-ლ...

უ — ო: ნუს „დანა“ — ნოს-ო-ლ, ტუტ „ბუზი“ — ტოტ-ო-ლ, მუს „უკანა კბილი“ — მოს-ო-ლ, მუპ „მარცვალი“ — მოპ-ო-ლ, ჰური „ქარი“ — ჰორ-ო-ლ...

ბ) მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ რ ი ც ხ ვ შ ი ბ რ უ ნ ვ ა თ ა შ ო რ ი ს გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ფ უ ძ ი ს უ ი ნ ა გ ა ნ ი ხ მ ო ვ ნ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ ა რ დ ა ს ტ უ რ დ ე ბ ა (რ ა ხ მ ო ვ ა ნ ი ც ა ქ ე ს ფ უ ძ ე ს სა ხ ე ლ ო ბ ი თ შ ი, ი გ ი ვ ე ე ქ ნ ე ბ ა დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ბ რ უ ნ ვ ე ბ შ ი ც). მ ა გ რ ა მ ა ს ე თ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა გ ვ ქ ო ნ დ ე ს მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი ს ფ ო რ მ ა თ ა შ ე პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ი ს ა ს მ ს ო ლ ო ბ ი თ ი ს ფ ო რ მ ე ბ თ ა ნ :

ა — უ: ხანყარ (ხანყარ-ო-ლ) „ხანჯალი“ — ხანყარ-ულ¹, ბაჩა (ბაჩა-ო-ლ) „ფარი“ — ბუჩ-ულ, ღადარო (ღადარ-ი-ლ) „ღანგარი“ — ღუდარ-ულ, ხაბარ (ხარბ-ი-ლ) „ამბავი“, „ხაბარი“ — ხაურბ-ულ || ხარბ-ალ...

ე — უ: ტეპ (ტოპ-ო-ლ) „ყვავილი“ — ტუპ-დულ, ქეპ (ქოპ-ო-ლ) „სიმღერა“, „ლექსი“ — ქუჭ-დულ, დეწ (დოწ-ო-ლ) „მაშა“, „გაზი“ — ღუწ-დულ, შეკ (შოკ-ო-ლ) „კუთი“ — შუკ-დულ, შეყერ (შოყ-ო-ლ) „ყელი“ — შუყერ-ულ, ბეტერ (ბოტრ-ო-ლ) „თავი“ — ბუტრ-ულ, ტუნსაერ (ტონსარ-ო-ლ) „წარბი“ — ტუნსარ-ულ, ჰეტ (ჰოტ-ო-ლ) „რწყილი“ — ჰუტ-ულ...

ხერ (ხარ-ი-ლ) „ბალახი“, „თივა“ — ხურ-დულ, ცერ (ცარ-ა-ლ) „მელა“ — ცურ-დულ, ქეთო (ქათ-ი-ლ) „კატა“ — ქუთ-ულ, დედო (დად-ი-ლ) „ყვავი“ — ღუდ-ულ, ჰეპ (ჰაპ-ი-ლ) „კალათი“ — ჰუპ-დულ, მეგეყ (მაგყ-ი-ლ) „წვერი“ — მუგეყ-ულ...

ა — ე: ბეჩე (ბაჩ-ი-ლ) „ხბო“, „ბოჩოლა“ — ბაჩ-ალ, ჩედ (ჩად-ი-ლ) „პური“ — ჩად-ალ, ჩეხ (ჩოხ-ო-ლ) „მუცელი“ — ჩახ-ალ || ჩეხ-ალ, ტეშერ (ტაშრ-ი-ლ) „ბატკანი“ — ტაშ-ი-...

ი — ა: ტილი (ტოლ-ო-ლ) „უნაგირი“ — ტალ-ალ, ტიბილ (ტოლბ-ო-ლ) „ძირი“ — ტალბ-ალ, ხიბილ (ხოლბ-ო-ლ) „გვერი“ — ხალბ-ალ, მიქი (მაქა-ი-ლ || მიქიდულ) „მტრედი“ — მაქა-ალ...

ჭინჭა (ჭანჭა-ი-ლ) „ჩიტი“ — ჭანჭა-ი || ჭანჭა-ალ, ტინჭ (ტანჭ-ი-ლ) „ნაშიერი“ — ტანჭ-ი || ტანჭ-ალ...

ო — ა: ჰოქო (ჰაქ-ი-ლ) „ურემი“ — ჰაქ-ალ, ხონო (ხან-ი-ლ) „კვერცხი“ — ხან-ალ, სორდო (სარდ-ი-ლ) „ღამე“ — სარდ-ალ, ჰობოლ „სტუმარი“ — ჰალბ-ალ, ჰობო (ჰაბ-ი-ლ) „წისქვილი“ — ჰაბ-ალ, ქოშო (ქაშ-ი-ლ) „ლეკვი“ — ქაშ-ალ || ქუშ-ულ...

ცალკე უნდა აღინიშნოს **-ბი** სუფიქსიან მრავლობითის ფორმებში ფუძის შინაგან ხმოვნად **უ**-ს ქონა მხოლოდობითის ფუძის ყველა სხვა ხმოვნის (**ა, ე, ი, ო**) ადგილას: ლავა (ლოვ-ო-ლ) „სხელი“ — ლუვ-ბი, რატა (როტა-ო-ლ) „ძვალი“ — რუტა-ბი, შიშა „ბოთლი“, „შუშა“ — შუშ-ბი, ტყვა „ნალი“ — ტუყ-ბი (ტუყ-ბი), ქექე (ქოქ-ო-ლ) „ძუძუ“ — ქუქ-ბი, ღვეტ (ღოტ-ო-ლ ღვოტ-ო-ლ) „ხე“ — ღუტ-ბი (ღვუტ-ბი), გოზო „ნისკარტი“ — გუზ-ბი || გა-ზ-ალ...

¹ შესადარებლად მოყვანილია მხოლოდობითის სახელობითი (ფრჩხილებში ნაჩვენებია მხოლოდობითისავე ნათესაობითის ფორმაც) და მრავლობითის სახელობითი; მრავლობითის დანარჩენი ბრუნვები არ მოგვყავს, რაკი ისინი ფუძისეული ხმოვნის მიხედვით სახელობითთან განსხვავებას არ იძლევიან; შდრ.: ს ა ხ. ხანყარულ „ხანჯლები“, ე რ გ. ხანყარუზ, ნ ა თ. ხანყარუზულ, მი ც. ხანყარუზე...

ამრიგად, საზოგადო არსებით სახელთა ბრუნების მთელ პროცესში (მხოლოობითსა და მრავლობითში) განსხვავებამ ფუძის შინაგანი ხმოვნის მიხედვით შეიძლება თავი იჩინოს: ა) მხოლოობით რიცხვში — სახელობითსა და დანარჩენ ბრუნვათა შორის (მესამე ტიპის ბრუნებისას), ბ) მრავლობითის ფორმათა დაპირისპირებისას მხოლოობითის შესაბამის ფორმებთან. თვით მრავლობითში ბრუნვათა შორის განსხვავება ამ მხრივ არ დასტურდება.

ამავე დროს არის ისეთი შემთხვევებიც (მასთან, არც ისე იშვიათად), როცა შინაგანი ხმოვანი ფუძეს უცვლელად გაჰყვება მხოლოობითისა და მრავლობითის ფორმებში.

პ. უსლარი შეეცადა ფუძისეულ ხმოვანთა ცვლილებები ბრუნების პროცესში დაეგუფებინა მხოლოობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფუძის სხვადასხვა ტიპების მიხედვით (ერთმარცვლიანები, ორმარცვლიანები; თანხმოვანზე გათავებულები, ხმოვანზე გათავებულები)¹, მაგრამ, როგორც ამას პ. უსლარისავე მაგალითებიც მოწმობენ, ასეთი ცვლილებები ფუძისა დაკავშირებული არ არის იმასთან, თუ რა ტიპს განეკუთვნება სათანადო ფუძე მხოლოობითის სახელობითში: აქედან ამოსვლით იმის წინასწარ გათვალისწინება, თუ რა ხასიათის ცვლილება მოუვა ფუძეს (ან, საერთოდ, შეიცვლება თუ არა იგი) დანარჩენ ბრუნვებში (მხოლოობითისა და მრავლობითი რიცხვისა), არ ხერხდება.

ლ. ჟირკოვი, ხაზს უსვამს რა ამ სირთულეს, ფუძის ცვლილებებს ხუნძური ბრუნების პროცესში განიხილავს, როგორც „შინაგანი ფლექსიის“ გამოვლინებას მსგავსად არაბული ენის შინაგანი ფლექსიის² (შდრ. არაბ. კათალა „მოკლა“, კუთილა „მოკლულ იქნა“, უკთულ „მოკალ!“ და ა. შ.).

მაგრამ ხუნძურში (არაბულისაგან განსხვავებით, რომელიც ტიპური ფლექსიური ენაა) სათანადო ფორმები პარადიგმაში გარჩეულია, პირველ ყოვლისა, ფუძეზე დართული ფორმანტების (ბრუნვისა და რიცხვის ნიშნების)

¹, § 47, 53.

უფრო ადრე ა. შიფნერი ფუძისეულ ხმოვანთა ცვლილებებს ბრუნების პროცესში განიხილავდა უმთავრესად ფონეტიკური პროცესების თვალსაზრისით (Versuch, § 54-57).

² ლ. ჟირკოვი, კერძოდ, აღნიშნავს: "

...
 ,
 .
 ,
 ,
 " (.
 გვ. 102-103. და გვ. 118, § 73).

მეშვეობით, მასთან, დამოუკიდებლად იმისგან, იცვლება თუ არა ფუძეში ხმოვანი¹.

მეორე მხრივ, მთელ რიგ შემთხვევაში ხმოვანთა ცვლილებები ფუძეში, რასაც ადგილი აქვს ხუნძური ბრუნების პროცესში, ადვილად ასახსნელია წმინდა ფონეტიკურ ნიადაგზე.

დიდი წილი ასეთი ცვლილებისა შედეგია ასიმილაციისა, კერძოდ, რეგრესული ასიმილაციისა, ასიმილატორ ხმოვნად, რომელიც ფუძის შინაგან ხმოვანს იმსგავსებს, მხოლოდობით რიცხვში გვევლინება დამაკავშირებელი ხმოვანი (რომელიც, როგორც ვიცით, საერთო ელემენტია ერგატივ-ნათესაობით-მიცემითში), ხოლო მრავლობითი რიცხვის ფორმებში — მრავლობითობის სუფიქსული ხმოვანი (ტეჰ „ყვავილი“ — ტოჰ-ო-ლ ტეჰ-ო-ლ „ყვავილისა“ — ტუჰ-დულ ტეჰ-დულ „ყვავილები“... ხანყარ „ხანჯალი“ — ხანყარ-ო-ლ ხანყარ-ო-ლ „ხანჯლისა“ — ხანყარ-ულ ხანყარ-ულ „ხანჯლები“...); ასიმილაცია შეიძლება გამოიწვიოს ფორმანტისეულმა თანხმოვანმაც: -ბი სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის ფორმებში რომ ფუძის შინაგანი ხმოვანი ყოველთვის უ არის (მხოლოდობითის ფუძის ყველა სხვა ხმოვნის ნაცვლად: ლაგა „სხელი“ — ლუგ-ბი „სხეულები“... — იხ. ზემოთ), ეს სუფიქსისეული წყვილბაგისმიერი თანხმოვნის გავლენის შედეგი ჩანს (ასიმილაცია ხმოვნისა თანხმოვანთან წარმოების ადგილის მიხედვით).

სხვაობა ფუძის შინაგანი ხმოვნის მიხედვით შეიძლება წარმოშვას ფუძისეული ხმოვნის ამოღებამაც გარკვეულ ფორმებში (ქილშა „თითი — ქილშა-რ-ლ ქილშა-ი-ლ „თითისა“ — ქილშა-ალ ქილშა-ალ „თითები“... რალ'ად „ზღვა“ — რალ'დ-ა-ლ რალ'ად-ალ „ზღვისა“... — ხმოვნის ამოღების მიზეზის შესახებ იხ. § 19).

ზოგჯერ ხმოვანიც შეიძლება ამოღებულ იქნეს და ასიმილაციაც მოხდეს: საანგარ „სანგარი“ — საანგრ-ო-ლ „სანგრისა“ — საუნგრ-ულ „სანგრები“... ბეტერ „თავი“ — ბოტრ-ო-ლ „თავისა“ — ბუტრ-ულ „თავები“...².

როცა ფუძის შინაგანი ხმოვნის მიხედვით ფორმათა შორის განსხვავება იჩენს თავს, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა შემთხვევაში ხმოვანი პირველადი სახით დაცულია მხოლოდობითის სახელობით ბრუნვაში (სახე-

¹ ამას ითვალისწინებს ე. ლევი, როცა იგი ფუძისეულ ხმოვანთა ცვლილებებს ხუნძური ბრუნების პროცესში მიიჩნევს, როგორც „ფლექსიის დამხმარე საშუალებას“ (...Albaut, als ein Mittel oder wenigstens ein Hilfsmittel der Flexion"); იხ. მისი: Versuch einer Charakteristik des Awarischen mit Exkursen zur Sprachtheorie (Berlin, 1953, გვ. 8).

² ხმოვანთა ასიმილაციისა და ამოღების შემთხვევებზე ხუნძური ბრუნების პროცესში ყურადღებას ამახვილებდა ჯერ კიდევ ა. შიფნერი. ა. შიფნერის შემდეგ კი არც პ. უსლარს და არც ლ. ჟირკოვს ხსენებული ფონეტიკური მოვლენებისათვის არ მიუქცევიათ ყურადღება.

ლის „საწყის ფორმაში“), ხოლო შეცვლილია დანარჩენ („ნაწარმოებ“) ფორმებში: არაიშვიათად პირიქითაც შეიძლება იყოს (შდრ., მაგალ., ხონო ხანო „კვერცხი“ — ხან-ი-ლ „კვერცხისა“, ხან-ალ „კვერცხები“... — აქ ხმოვანი შეცვლილია — ასიმილაციის შედეგად — სახელობით ბრუნვაში, ხოლო დანარჩენ — „ნაწარმოებ“ — ფორმებში კი შემონახულია პირველადი სახით).

ხმოვნის ცვლილება ხდება სათანადო ფორმებში, სადაც კი ასეთი ცვლილებისათვის საჭირო პირობებია. ასეთ პირობათა განსხვავება შესაბამისად განსაზღვრავს განსხვავებასაც სათანადო ფორმებს შორის ფუძის შინაგანი ხმოვნის მიხედვით; ასე, მხოლოდობითი რიცხვის სახელობითსა და დანარჩენ ბრუნვებს (ერგატივ-ნათესაობით-მიცემითს) შინაგანი ხმოვანი განსხვავებული შეიძლება ჰქონდეთ, რამდენადაც ამ ფორმებში თავს იჩენს განსხვავებული ფონეტიკური პირობები; მეორე მხრივ, იმავე რიცხვის ერგატივ-ნათესაობით-მიცემითში ფუძის შინაგანი ხმოვანი ყოველთვის ერთნაირად იცვლება (ან ერთნაირად უცვლელია), რაკი ამ ბრუნვებში საამისოდ ერთნაირი ფონეტიკური პირობებია (ერთნაირ პირობებს აქ ქმნის, კერძოდ, ერთი და იგივე დამაკავშირებელი ხმოვანი და მახვილის ერთნაირი მდგომარეობა. — უკანასკნელის შესახებ იხ. ქვემოთ); ასევე შეიძლება ითქვას მრავლობითი რიცხვის ბრუნვათა შესახებაც.

ფუძისეულ ხმოვანთა ცვლილებები ხუნძური ბრუნების პროცესში ფონეტიკური ხასიათის მოვლენაა, მასთან, უმთავრესად, კომბინატორული ხასიათისა. ყველა ცალკეულ შემთხვევაში (სიტყვაში) სათანადო ცვლილების მიზეზი შესაძლოა ხელშესახები არ იყოს, მაგრამ ცვლილებათა ზოგადი ტიპები მაინც ადვილად ასახსნელია; შდრ., მაგალ.: ხმოვანთმონაცვლეობანი ე — ა, ი — ა აუხსნელია სიტყვებში: ცერ „მელა“ — ცარალ „მელისა“, ჩედ „პური“ — ჩადილ „პურისა“¹...; ჰინჭა „ჩიტი“ — ჰანჭა-ი-ლ „ჩიტისა“, ლჷინ „წყალი“ — ლჷადალ „წყლისა“...; მაგრამ სხვა სიტყვებში იგი ასიმილაციით იხსნება: ბეჩე (ბაჩე) „ხბო“ — ბაჩილ „ხბოსი“, ტეჷჷერ (ტაჷჷერ) „ბატკანი“ — ტაჷჷრილ „ბატკნისა“...; მიჷი (მაჷი) „მტრედი“ — მაჷილ „მტრედისა“...

¹ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ისეთ შემთხვევებში, როცა ხუნძურში გვაქვს ხმოვანთმონაცვლეობა ე || ა, ახლო მონათესავე ენათა ჩვენება ხშირად ა ხმოვანს უჭერს მხარს; შდრ.: ხუნძ. ცერ (ნათ. ცარ-ალ) — ბოთლიხ., ლოდობ., ტინდ. სარი, ბაგვალ. სარ, ანდ. სორ სარ „მელა“... ხუნძ. ლედო (ნათ. ლად-ი-ლ) — ლოდ. ლანდი, ანდ. ლანნი (ლანდი) „ყვავი“ და ა. შ. ამან შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ხუნძურში ცვლილება მომხდარია სახელობითი ბრუნვის ფუძეში: ცერ ცარ (ნათ. ცარ-ალ) „მელა“ და ა. შ.

§ 80. მახვილისათვის ბრუნების პროცესში. მახვილთან დაკავშირებით ბრუნების პროცესში გასათვალისწინებელია:

ა) მხოლოდობით რიცხვში — პირველი და მეორე ტიპის ბრუნებისას (ე. ი. ორფუძიანი ბრუნებისას) მახვილი სიტყვაში ადგილს არ იცვლის: ფუძის რა ხმოვანზეცაა მახვილი სახელობით ბრუნვაში, იმავეზე რჩება დანარჩენ ბრუნვებშიც (ერგატივსა, ნათესაობითსა და მიცემითში):

სახ. ვაცა „ძმა“ — *ერგ.* ვცა-ასა, *ნათ.* ვცა-ასა-ულ, *მიც.* ვცა-ასა-ე;

სახ. ჰლმალ „ამხანაგი“ — *ერგ.* ჰლმალ-ასა, *ნათ.* ჰლმალ-ასა-ულ, *მიც.* ჰლმალ-ასა-ე;

სახ. ვცაჭალ „ბიძაშვილი“ (*ვაჟი*) — *ერგ.* ვცაჭალ-ასა, *ნათ.* ვცაჭალ-ასა-ულ, *მიც.* ვცაჭალ-ასა-ე;

სახ. ვატანდ „სიმაში“ „მამამთილი“ — *ერგ.* ვატანდ-ასა, *ნათ.* ვატანდ-ასა-ულ, *მიც.* ვატანდ-ასა-ე;

სახ. დაცა „და“ — *ერგ.* დცა-აღ, *ნათ.* დცა-აღ-ულ, *მიც.* დცა-აღ-ე;

სახ. ჰლმალ „ამხანაგი“ (*ქალი*) — *ერგ.* ჰლმალ-აღ, *ნათ.* ჰლმალ-აღ-ულ, *მიც.* ჰლმალ-აღ-ე;

სახ. დცაჭალ „ბიძაშვილი“ (*ქალი*) — *ერგ.* დცაჭალ-აღ, *ნათ.* დცაჭალ-აღ-ულ, *მიც.* დცაჭალ-აღ-ე;

სახ. დატანდ „სიდედრი“ „დედამთილი“ — *ერგ.* დატანდ-აღ, *ნათ.* დატანდ-აღ-ულ, *მიც.* დატანდ-აღ-ე...

მახვილის მოძრაობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მესამე ტიპის ბრუნებისას (ე. ი. ერთფუძიანი ბრუნებისას, — **-ცა** დაბოლოებით ერგატივში).

ყველა შემთხვევა მახვილის მოძრაობისა, რაც ამ ბრუნებისას დასტურდება, ერთი ტიპისაა: მახვილი სახელობითის ფუძის სათანადო ხმოვნიდან (თავიდან პირველი ან მეორე მარცვლისა) დანარჩენ ბრუნვათა ფორმებში დამაკავშირებელ ხმოვანზე გადადის; შდრ.:

სახ. წად „წვიმა“ — *ერგ.* წად-ნ-ცა; *ნათ.* წად-ნ-ლ, *მიც.* წად-ნ-ე;

სახ. ბაყ „მზე“ — *ერგ.* ბაყ-ჟ-ცა, *ნათ.* ბაყ-ჟ-ლ, *მიც.* ბაყ-ჟ-ე;

სახ. ჰურ „მტვერი“ — *ერგ.* ჰურ-ჟ-ცა, *ნათ.* ჰურ-ჟ-ლ, *მიც.* ჰურ-ჟ-ე;

სახ. ჰეჰ „კალათი“ — *ერგ.* ჰაჰ-რ-ცა, *ნათ.* ჰაჰ-რ-ლ, *მიც.* ჰაჰ-რ-ე;

სახ. ჰან „ხორცი“ — *ერგ.* ჰან-ნ-ცა, *ნათ.* ჰან-ნ-ლ, *მიც.* ჰან-ნ-ე;

სახ. ღწლო „ყვავი“ — *ერგ.* ღად-რ-ცა, *ნათ.* ღად-რ-ლ, *მიც.* ღად-რ-ე;

სახ. ქწთო „კატა“ — *ერგ.* ქათ-რ-ცა, *ნათ.* ქათ-რ-ლ, *მიც.* ქათ-რ-ე;

სახ. ბურტტ „თიკანი“ — *ერგ.* ბურტ-რ-ცა, *ნათ.* ბურტ-რ-ლ, *მიც.* ბურტ-რ-ე;

სახ. განჭ „ქვა“ — *ერგ.* განჭ-რ-ცა, *ნათ.* განჭ-რ-ლ, *მიც.* განჭ-რ-ე...

მესამე ტიპის ბრუნების ზემოაღნიშნული თავისებურება მახვილის მოძრაობის მხრივ თვალსაჩინო გახდება, თუ ამ ბრუნების სათანადო სახელს პარალელურად ვაბრუნებთ მეორე ტიპის მიხედვითაც (-აღბ დაბოლოებით ერგატივში), რომლის ფორმებში მახვილი უძრავად რჩება ფუძისეულ ხმოვანზე; შდრ.:

სახ. წაღ „წვიმა“ — ერგ. წაღ-ა-ცაა || წაღ-აღბ, ნათ. წაღ-ა-ღ || წაღ-აღბ-ულ, მიც. წაღ-ა-ღ-ე || წაღ-აღბ-ე...

სახ. ქეთო „კატა“ — ერგ. ქათ-რ-ცაა || ქეთო-ღ-აღბ, ნათ. ქათ-რ-ღ || ქეთო-ღ-აღბ-ულ, მიც. ქათ-რ-ღ-ე || ქეთო-ღაღბ-ე...

სახ. ხაიჭარ „ხაიჭალი“ — ერგ. ხაიჭარ-რ-ცაა || ხაიჭარ-აღბ, ნათ. ხაიჭარ-რ-ღ || ხაიჭარ-აღბ-ულ, მიც. ხაიჭარ-რ-ღ-ე || ხაიჭარ-აღბ-ე...

ზოგი სახელი მახვილის ადგილს არც მესამე ტიპის ბრუნებისას იცვლის; ესენია მუდმივ მახვილიანი სიტყვები, რომლებიც მახვილს ყველა ბრუნვაში ფუძის ერთსა და იმავე ხმოვანზე ინარჩუნებენ; შდრ.:

სახ. ბაწ „მგელი“ — ერგ. ბაწ-ი-ცაა, ნათ. ბაწ-ი-ღ, მიც. ბაწ-ი-ღ-ე;

სახ. ბოლ'რნ „ლორი“ — ერგ. ბოლ'რნ-ი-ცაა, ნათ. ბოლ'რნ-ი-ღ, მიც. ბოლ'რნ-ი-ღ-ე;

სახ. ლემავ „ცხვარი“ (დედალი) — ერგ. ლემავ-უ-ცაა (უფრო ბუნებრივია: ლემავ-აღბ), ნათ. ლემავ-გ-ულ, მიც. ლემავ-უ-ღ-ე...

ბ) მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ რ ი ც ხ ვ შ ი მახვილი ყველა ბრუნვაში ერთსა და იმავე მარცვალზე რჩება (განსხვავება მახვილის ადგილის მიხედვით ბრუნვათა შორის აქ არ დასტურდება); შდრ.:

სახ. ვაცაღ „ძმები“ — ერგ. ვაცაზ, ნათ. ვაცაზულ, მიც. ვაცაზე;

სახ. დაცაღ „ღები“ — ერგ. დაცაზ, ნათ. დაცაზულ, მიც. დაცაზე;

სახ. უმუმულ „მამები“ — ერგ. უმუმუზ, ნათ. უმუმუზულ, მიც. უმუმუზე;

სახ. ქუთულ „კატები“ — ერგ. ქუთუზ, ნათ. ქუთუზულ, მიც. ქუთუზე;

სახ. განჭალ „ქვეები“ — ერგ. განჭაზ, ნათ. განჭაზულ, მიც. განჭაზე;

სახ. ლუტბრ „ხეები“ — ერგ. ლუტბუზ, ნათ. ლუტბუზულ, მიც. ლუტბუზე...

მეორე მხრივ, ხშირია შემთხვევა, როცა განსხვავება მახვილის მიხედვით პარადიგმაში თავს იჩენს მხოლოობითისა და მრავლობითის ფორმათა შორის.

მარტო ის ფაქტიც, რომ მხოლოობითი რიცხვის ბრუნვათა ფორმებში მახვილი შეიძლება მოძრავი იყოს (იხ. ზემოთ), ხოლო მრავლობითისაში — არა, თავისთავად იძლევა განსხვავებას მხოლოობითისა და მრავლობითის გარკვეულ ფორმათა შორის მახვილის ადგილის მიხედვით.

შეიმჩნევა ზოგჯერ გარკვეული თანმიმდევრობაც მახვილის ადგილის განსხვავების მხრივ მხოლოობითისა და მრავლობითის ბრუნვათა შორის: არაიშვიათად მრავლობითის ფორმებში მახვილი თავიდან პირველ მარცვალზეა, ხოლო მხოლოობითის შესაბამის ფორმებში — თავიდან მეორეზე; შდრ.:

სახ. გამაჭქ „ქვა“, *ერგ.* განჭრცა, *ნათ.* განჭრლ, *მიც.* განჭრდე — *სახ.* განჭალ „ქვები“, *ერგ.* განჭაზ, *ნათ.* განჭაზულ, *მიც.* განჭაზე;

სახ. ხაანყარ „ხანჯალი“, *ერგ.* ხაონყარცა, *ნათ.* ხაონხარლ, *მიც.* ხაონყარდე — *სახ.* ხაუნყარულ „ხანჯლები“, *ერგ.* ხაუნყარუზ, *ნათ.* ხაუნყარულ, *მიც.* ხაუნყარუზე;

სახ. ქალთ „ქალაღი“, „წერილი“, *ერგ.* ქალთრცა, *ნათ.* ქალთრლ, *მიც.* ქალთრდე — *სახ.* ქალთალ „ქალაღები“, „წერილები“, *ერგ.* ქალთაზ, *ნათ.* ქალთაზულ, *მიც.* ქალთაზე;

სახ. განშმა „კამეჩი“, *ერგ.* განშმრცა, *ნათ.* განშმრლ, *მიც.* განშმრდე — *სახ.* განშმალ „კამეჩები“, *ერგ.* განშმაზ, *ნათ.* განშმაზულ, *მიც.* განშმაზე;

სახ. ბეტრ „თავი“, *ერგ.* ბოტრრცა, *ნათ.* ბოტრრლ, *მიც.* ბოტრრდე — *სახ.* ბეტრულ „თავები“, *ერგ.* ბეტრუზ, *ნათ.* ბეტრულ, *მიც.* ბეტრუზე;

სახ. გაბტრ „კისერი“, *ერგ.* გორბრცა, *ნათ.* გორბრლ, *მიც.* გორბრდე — *სახ.* გარბალ „კისრები“, *ერგ.* გარბაზ, *ნათ.* გარბაზულ, *მიც.* გარბაზე;

სახ. ჰაფარა „მატლი“, *ერგ.* ჰარფრცა, *ნათ.* ჰარფრლ, *მიც.* ჰარფრდე — *სახ.* ჰტრფულ „მატლები“, *ერგ.* ჰტრფუზ, *ნათ.* ჰტრფულ, *მიც.* ჰტრფუზე...
ჰტრფუზე...

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ასეთი განსხვავება მახვილის ადგილის მიხედვით გამოიყენება მხოლოობითისა და მრავლობითის ომონიმურ ფორმათა გასარჩევად; შდრ.: წაღალ „წვიმისა“ — წაღალ „წვიმები“, ლარალ „ხევისა“, „ნაკადულისა“ — ლარალ „ხევები“, „ნაკადულები“; მუჭრულ „მთისა“ — მუჭრულ „მთები“; გუღრალ „ხაფანგისა“ — გუღრალ „ხაფანგები“; ტულალ „ღვიძლისა“ — ტულალ „ღვიძლები“...¹.

ასეთ შემთხვევებშიც მხოლოობითის ფორმებში მახვილი თავიდან მეორე მარცვალზეა, ხოლო მრავლობითის ფორმებში — თავიდან პირველ მარცვალზე. მასთან, აქაც — ამ ომონიმურ ფორმებშიც — მახვილის ადგილი არსებითად რიცხვს გაგვარჩევინებს: იგივე განსხვავება მახვილის მიხედვით მხოლოობითისა და მრავლობითის ფორმებს შორის, როგორც ზემოთ ვნახეთ, მაშინაც შეიძლება გვქონდეს, როცა სათანადო ფორმები გარეგნულად არ ემთხვევიან ერთმანეთს.

¹ სათანადო ფაქტები აღნიშნული აქვს ჯერ კიდევ პ. უსლარს.

ამრიგად, მახვილი ზემოაღნიშნულ შემთხვევებში გამოიყენება ერთ-ერთ საშუალებად ბრუნვათა ფორმების დასაპირისპირებლად რიცხვის მიხედვით (ცალკეულ შემთხვევებში კი ერთადერთ საშუალებადაც, — როცა მხოლოდობითისა და მრავლობითის ფორმები ზოგჯერ ემთხვევა ერთმანეთს).

რა საფუძველი უნდა ჰქონდეს მახვილის ასეთი მნიშვნელობით გამოყენებას ბრუნების სისტემაში?

მახვილთან დაკავშირებით თავის ადგილას აღნიშნული გვქონდა, რომ ხუნძურში შეიმჩნევა ტენდენცია მახვილის თანდათან მიახლოებისა სიტყვის დასაწყისთან (§§ 19, 20).

ამ ფონეტიკური პროცესის გრამატიზაციად უნდა მივიჩნიოთ მახვილის ადგილის მიხედვით ფორმათა დაპირისპირების ზემოაღნიშნული ფაქტები (მახვილის ადგილის სიტყვის დასაწყისთან მიახლოების სხვადასხვა საფეხური სათანადო შემთხვევებში გამოყენებული იქნა გარკვეული გრამატიკული მნიშვნელობით).

ზემოაღნიშნული განსხვავება მახვილის ადგილის მიხედვით მხოლოდობითისა და მრავლობითის ფორმებს შორის ყოველთვის არ დასტურდება. ჯერ ერთი, არის მუდმივ მახვილიანი სახელებიც, რომლებიც მახვილს, როგორც მხოლოდობითის, ისე მრავლობითის ყველა ფორმაში ერთსა და იმავე მარცვალზე ინარჩუნებენ (სახ. ბოლ'რნ „ლორი“, ერგ. ბოლ'რნცაა, ნათ. ბოლ'რნილ, მიც. ბოლ'რნიდე; სახ. ბოლ'რნალ „ლორები“, ერგ. ბოლ'რნაზ, ნათ. ბოლ'რ-ნაზულ, მიც. ბოლ'რნაზე...). გარდა ამისა, ზოგ სახელს მახვილი მრავლობითი რიცხვის ფორმებშიც შეიძლება ჰქონდეს თავიდან მეორე მარცვლის ხმოვანზეც — ფუძისეულზე (რალ'ად-ალ „ზღვები“ და ა. შ.) ანდა ფორმანტისეულზე (ჰამ-ულ „სახედრები“..., ჩუშ-ბი „თევზები“...).

მრავლობითობის საწარმოებელი ფორმანტებიდან **-ბი** სუფიქსი მუდამ მახვილიანია, **-ზაბი** — მუდამ უმახვილო, დანარჩენები (**-ალ**, **-ულ**, **-აბი**...) შეიძლება იყოს მახვილიანიცა და უმახვილოც.

§ 81. ფუძისეულ თანხმოვანთა ცვლა ბრუნების პროცესში.

თანხმოვანთა ცვლილებებიდან, რომელთანაც ბრუნების პროცესში შეიძლება დაკავშირებული იყოს შესაბამისი განსხვავება ფუძეთა შორის, გასათვალისწინებელია (აღვნიშნავთ უმთავრესს):

ა) ფუძისეული ბაგისმიერი **მ** თანხმოვნის გადასვლა **ნ**-ში, რაც, როგორც ვიცით (§ 43), შეიძლება მოხდეს აბსოლუტურ ბოლოში ან თანხმოვნის წინ:

სახ. წა**ნ** (წა**მ**) „მარილი“ — ერგ. წა**მ**-უ-ცაა, ნათ. წა**მ**-უ-ლ, მიც. წა**მ**-უ-ე-ე...

სახ. ტა**მ**ახ „ფოთოლი“ — ერგ. ტა**ნ**ხ-ი-ცაა (ტა**მ**ხ-ი-ცაა), ნათ. ტა**ნ**ხ-ი-ლ (ტა**მ**ხ-ი-ლ), მიც. ტა**ნ**ხ-ი-ე-ე (ტა**მ**ხ-ი-ე-ე)...

ბ) ფუძეში ხმოვნის ამოღების შედეგად ერთად თავმოყრილ თანხმოვანთა გადასმა.

სახ. გა**ბ**ურ „კისერი“ — ერგ. გო**რ**ბ-ო-ცაა (გო**ბ**რ-ო-ცაა), ნათ. გო**რ**ბ-ო-ლ (გო**ბ**რ-ო-ლ) და ა. შ. (თუ რა თანხმოვნები შეიძლება გადაისვას, ამის შესახებ იხ. § 54).

გ) ბაგისმიერი **გ**-ს დაკარგვა სათანადო ფორმებში, როცა ამ თანხმოვნის უშუალო მომდევნოდ შეიძლება აღმოჩნდეს სხვა რომელიმე ბაგისმიერი ბგერა (ხმოვანი ან თანხმოვანი):

სახ. ღ**ვ**ეტ „ხე“ — ერგ. ღო**ტ**-ო-ცაა (ღ**ვ**ო**ტ**-ო-ცაა), ნათ. ღო**ტ**-ო-ლ (ღ**ვ**ო**ტ**-ო-ლ), მიც. ღო**ტ**-ო-ე-ე (ღ**ვ**ო**ტ**-ო-ე-ე); მრ. სახ. ღუ**ტ**-ბი (ღვუ**ტ**-ბი) „ხეები“ და ა. შ.; მხ. სახ. ტი**ყ**ვა „ნალი“ — მრ. სახ. ტუ**ყ**-ბი (ტუ**ყ**-ბი) „ნალები“ და ა. შ. (§ 55);

დ) ორმარცვლიან ფუძეთა ბოლოკიდური **-ენ**-ის მოკვეცა:

სახ. რო**კ**ენ „ნემსი“ — ერგ. რო**კ**ა-ცაა, ნათ. რო**კ**ა-დ-ულ... მრ. სახ. რო**კ**-ბი;

სახ. ბო**ს**ენ „ლოგინი“ — ერგ. ბო**ს**ა-ცაა, ნათ. ბო**ს**ა-დ-ულ... მრ. სახ. ბო**ს**-ბი;

სახ. რუ**ხ**ენ „ბაწარი“, „საბელი“ — ერგ. რუ**ხ**ა-ცაა, ნათ. რუ**ხ**ა-დ-ულ... მრ. სახ. რუ**ხ**-ბი;

სახ. ხო**ლ**ჩენ „ხმალი“ — ერგ. ხო**ლ**ჩა-ცაა, ნათ. ხო**ლ**ჩა-დ-ულ... მრ. სახ. ხო**ლ**ჩ-ბი;

სახ. თუ**ქ**ენ (|| თო**ქ**ენ) „დუქანი“ — ერგ. თუ**ქ**ა-ცაა, ნათ. თუ**ქ**ა-დ-ულ... მრ. სახ. თუ**ქ**-ბი...

შენიშვნა. როგორც მაგალითებიდან ჩანს, ასეთ სახელებს ერგატივში **-ცაა** დაბოლოების წინ **ა** ხმოვანი აქვთ (რო**კ**ა**ა**-ცაა „ნემსმა“...), ნათესაობითში კი ამ **ა**-ს ყოველთვის ახლავს „ჩანართი“ **დ** (რო**კ**ა**ა**-**დ**-ულ „ნემსი“...); საფიქრებელია, ეს **ა** სახელობითის ფუძის **ე**-ს მონაცვლე იყოს (**-ენ** || **-ან**): რო**კ**ენ „ნემსი“ — ერგ. რო**კ**ა**ა**-ცაა რო**კ**ა**ან**-ცაა (რო**კ**ა**ან**-ი-ცაა), მდრ. ქერ**ენ** „მკერდი“ — ერგ. ქარ**ან**-ცაა, ნათ. ქარ**ან**-ზ-ულ ქარ**ან**-დ-ულ... სადაც **ნ**-ც შემონახულია.

§ 82. საკუთარ სახელთა ბრუნება. ადამიანის საკუთარი სახელე-
ბი იბრუნვის მესამე ტიპის მიხედვით (-ცა დაბოლოებით ერგატივში)
განურჩევლად იმისა, სათანადო საკუთარი სახელი მამაკაცისაა, თუ ქალი-
სა, ე. ი. განეკუთვნება I კლასს, თუ II კლასს (შდრ. საზოგადო არსებით
სახელთა ბრუნების სხვადასხვა ტიპები — შესაბამისად კლასებისა).

საკუთარ სახელთა ბრუნების ნიმუშები

ა) მამაკაცის საკუთარი სახელები

სახ.	შამრლ „შამილი“	აღდემირ „აიდემირი“	ჭუმპარ „ომარი“
ერგ.	შამრლ-ი-ცაა	აღდემირ-ი-ცაა	ჭუმპარ-ი-ცაა
ნათ.	შამრლ-ი-ლ	აღდემირ-ი-ლ	ჭუმპარ-ი-ლ
მიც.	შამრლ-ი-დე	აღდემირ-ი-დე	ჭუმპარ-ი-დე

ბ) ქალის საკუთარი სახელები

სახ.	ფატრმათ „ფატმანი“	ხადრჟათ „ხადიჟათი“	მესენდო „მესედო“ ¹
ერგ.	ფატრმათ-ი-ცაა	ხადრჟათ-ი-ცაა	მესენდო-ცაა
ნათ.	ფატრმათ-ი-ლ	ხადრჟათ-ი-ლ	მესენდო-ლ
მიც.	ფატრმათ-ი-დე	ხადრჟათ-ი-დე	მესენდო-დე

ადამიანის საკუთარ სახელად ზოგჯერ გვხვდება საზოგადო არსებითი
სახელიც. საკუთარ სახელთა როლში ასეთი სახელები შესაბამისად იცვლიან
ბრუნების ტიპს; შდრ.: ყებედ „მჭედელი“ (საზოგადო არსებითი სახელის
მნიშვნელობით) — ერგ. ყებედ-ასა, მაგრამ: ყებედ „ყებედი“ (საკუთარი არ-
სებ. სახელი) — ერგ. ყებედ-ი-ცაა...; ცავევენ „წინამძღოლი“ (საზოგადო
არსებ. სახელი) — ერგ. ცავევენ-ასა, მაგრამ: ცავევენ (საკუთარი არსებ.
სახელი) — ერგ. ცავევენ-ი-ცაა...; ყადი ძვ. „მოსამართლე“ (საზოგადო არ-
სებ. სახელი) — ერგ. ყადი-დე-ასა... მაგრამ: ყადი „ყადი“ (საკუთარი არსებ.
სახელი) — ერგ. ყადი-ცაა...; ვერლუ „ქორი“ (საზოგადო არსებ. სახელი) —
ერგ. ვერლუ-დე-ალა...; მაგრამ ვერლუ (საკუთარი არსებ. სახელი) — ერგ.
ვერლუ-ცაა...².

¹ შდრ. მ ე ს ე დ „ოქრო“.

² გვ. 47.

თუ საკუთარი სახელი ზედსართავის ფორმის მქონეა (დაირთავს კლასების მიხედვით შესაბამისად განსხვავებულ სუფიქსებს: **-ავ**, **-აფ**), მაშინ იგი იბრუნვის ზედსართავის მსგავსად: ჰაჟიფ-ავ (*მამაკ.*), ლაჩენილ-ავ¹ (*მამაკ.*), მამალ-ავ (*მამაკ.*), ხადდაყ-აფ (*ქალი*)... — ერგ. ჰიჟი-ფ-ასა, ლაჩენილ-ასა, მამალ-ასა, ხადდაყ-აღ'ა...²

მესამე ტიპის ბრუნების საზოგადო არსებითი სახელებისაგან განსხვავებით საკუთარი სახელები არ შეიძლება პარალელურად მეორე ტიპის მიხედვითაც (**-აღ'** დაბოლოებით ერგატივში) ვაბრუნოთ (შდრ.: მესამე ტიპის ბრუნების ყოველი საზოგადო არსებითი სახელი — ნივთის კლასისა — პარალელურად შეიძლება ვაბრუნოთ მეორე ტიპის მიხედვითაც: ოც-ო-ცა || ოც-აღ'ა „ხარმა“...).

საკუთარ სახელთა ბრუნებისას ფუძე ბრუნების პროცესში არავითარ ცვლილებას არ განიცდის (შდრ. მესამე ტიპის ბრუნებისას საზოგადო არსებით სახელთა ფუძეში რიგ ცვლილებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი).

დამაკავშირებელი ხმოვანიც (ერგატივსა და მისგან მოყოლებულ ბრუნებში) სტანდარტული სახისაა საკუთარ სახელებში: მუდამ **-ი**- ხმოვანი გვაქვს (შამილი-ი-ცა... ფატიმათ-ი-ცა...); ხოლო როცა სახელობითის ფუძე ხმოვანზე ბოლოვდება, სათანადო ბოლოკიდური ხმოვანი შერჩება ფუძეს დანარჩენ ბრუნებშიც და დამაკავშირებელი ხმოვანი ასეთ შემთხვევებში აღარ გვექნება (მესედო — მესედო-ცა...).

მახვილის ადგილი უცვლელია საკუთარ სახელთა ბრუნების პროცესში.

§ 83. გვარის სახელთა ბრუნება.

გვარის სახელები ხუნძურში ახალია. ამჟამად ასეთი სახელები იწარმოება სქესის მიხედვით განსხვავებული რუსული სუფიქსების დართვით საკუთარ სახელებზე (ჩვეულებრივ, მამის სახელზე): შუმარ-ოვ „ომაროვი (*მამაკ.*)“ — შუმარ-ოვა „ომაროვი (*ქალი*)“, საშიდ-ოვ „საიდოვი (*მამაკ.*)“ — საშიდ-ოვა „საიდოვი (*ქალი*)“, ჰამზათ-ოვ „ჰამზათოვი (*მამაკ.*)“ — ჰამზათ-ოვა „ჰამზათოვი (*ქალი*)“... ასე ნაწარმოები გვარის სახელები იბრუნვის შესაბამისად პირველი ან მეორე ტიპის მიხედვით (**-ასა** დაბოლოებით ან **-აღ'** დაბოლოებით ერგატივში):

სახ.	შუმაროვ	შუმაროვა
ერგ.	შუმაროვ-ასა	შუმაროვ-აღ'
ნათ.	შუმაროვ-ასა-ულ	შუმაროვ-აღ'-ულ
მიც.	შუმაროვ-ასა-ე	შუმაროვ-აღ'-ე

¹ შდრ. ლაჩენ „შეგარდენი“ (ლაჩენ-ი-ლ-ავ „შეგარდენისაფ“).
² გვ. 47.

ასევე იბრუნვის რუსული გვარებიც, რომელთაც სქესის მიხედვით განსხვავებული წარმოება აქვთ: დავილოვ — *ერგ*. დავილოვ-ასა, ჩეხოვ — *ერგ*. ჩეხოვ-ასა... მაგრამ: დავილოვა — *ერგ*. დავილოვ-ალ'ა, ჩეხოვა — *ერგ*. ჩეხოვ-ალ'ა, ქრუფსკადა — *ერგ*. ქრუფსკადალ'ა და ა. შ.

გვარის ასეთ სახელებში რაკი გარჩევა სქესის (კლასის) მიხედვით სახელობით ბრუნვაში თვალსაჩინოდ არის გამოხატული, ამიტომ ასეთი გარჩევა შესაბამისად გატარებულია დანარჩენ ბრუნვებშიც.

მეორე მხრივ, ისეთი გვარები, როგორიცაა: მარქს, ლენინ, ფუშქინ, დარვინ... (აგრეთვე ყველა ქართული გვარი), რომელთა სახელობითში სქესის მიხედვით გარჩევა თვალსაჩინოდ არ არის გამოხატული (შდრ. ზემოთ -*ოვ* — *-ოვა*...სუფიქსებიანი გვარები), იბრუნვის *-ცა* დაბოლოებით, ე. ი. როგორც საკუთარი სახელები (განურჩევლად სქესისა); შდრ.:

სახ.	მარქს	ფუშქინ	გურამიშვილი
ერგ.	მარქს-ი-ცაა	ფუშქინ-ი-ცაა	გურამიშვილი-ცაა
ნათ.	მარქს-ი-ლ	ფუშქინ-ი-ლ	გურამიშვილი-ლ
მიც.	მარქს-ი-მ-ე	ფუშქინ-ი-მ-ე	გურამიშვილი-მ-ე

არსებით სახელთა ბრუნების თავისებურებანი დიალექტებში

§ 84. -დ დაბოლოება მხოლოებითი რიცხვის ერგატივისა სა-მხრულ-ხუნძურში. ზემოთ განხილული გვქონდა არსებით (საზოგადო და საკუთარ) სახელთა ბრუნება სამწერლო ხუნძურში. განვიხილოთ ძირითადი თავისებურებანი აღნიშნულ სახელთა ბრუნების მხრივ დიალექტებში.

-(ა)სა და *-(ა)ლ'ა* დაბოლოებები ერგატივში ყველა დიალექტში გვაქვს. ამ დაბოლოებათა მიხედვით დიალექტთა შორის არავითარი სხვაობა არ შეიმჩნევა. მხედველობაში არ მიიღება ჭარულში *-(ა)ლ'ა* *-(ა)ჰაჰა*, რაც წმინდა ფონეტიკური მოვლენაა ლატერალურ თანხმოვანთა ცვლილებებთან დაკავშირებული ამ დიალექტში. ეს გვაფიქრებინებს, რომ *-(ა)სა* და *-(ა)ლ'ა* ხუნძური ენის დიალექტთა საერთო კუთვნილება და ამდენადვე უძველესი ფორმანტებია. არ შეიძლება ეგვევ ითქვას *-ცა* დაბოლოების შესახებაც: ეს დაბოლოება სრულიად უცხოა სამხრული დიალექტებისათვის (კერძოდ, ჭარულისა, ანწუხურისა და ჰიდურ-ანდალალურ-ყარახურისათვის). *-ცა*-ს ადგილი აქ მეტწილ შემთხვევაში *-დ*-ს უჭირავს.

აღნიშნულ დიალექტებში -დ ერგატიული ბრუნვის ნიშნად გამოიყენება:

ა) III გრამატიკ. კლასის საზოგადო არსებით სახელებში მხოლ. რი-ცხვისა: ჩუ || ჩო „ცხენი“ — ჩო-დ, ბაწ „მგელი“ — ბაწი-დ, ცერ || სერ „მელა“ — ცარად || სარად, ბაყ „მზე“ — ბაყუ-დ || ბუყუ-დ, წაღ „წვიმა“ — წაღა-დ...

შენიშვნა 1. -დ-ს პარალელურად შესაძლოა გვქონდეს -(ა)ლ': ბაწი-დ || ბაწ-ალ' „მგელმა“... წაღა-დ || წაღ-ალ' „წვიმამ“... — ეს ისევე, როგორც სამწერლო ხუნძურსა და ჩრდილო-ხუნძურში -ცა-ს პარალელურად -ალ' დაბოლოებაც შეიძლება გვქონდეს (შდრ.: ჩრდ.-ხუნძ. ბაწი-ცა || ბაწ-ალ' „მგელმა“... წაღა-ცა || წაღ-ალ' „წვიმამ“...).

შენიშვნა 2. სამხრულ დიალექტებში -დ დაბოლოება ერგატივის ნიშნად გამოჩნდის სახით ისევე შეიძლება გვქონდეს I და II გრამატიკ. კლასების საზოგადო არსებით სახელებშიც, როგორც — სამწერლო ხუნძურსა და ჩრდ.-ხუნძურში -ცა დაბოლოება: ინსაუ-დ || ემცაუ-დ „მამამ“... ბაბა-დ „დედამ“ (მოფერებ.) დედე-დ „მამამ“ (მოფერებ.)... (შდრ. ჩრდ. ხუნძ.: ინსაუ-ცა... ბაბა-ცა, დადა-ცა...).

ბ) ადამიანის საკუთარ სახელებში — როგორც I და II გრამატიკ. კლასისა: შამილ „შამილი“ — შამილი-დ... ფატიმათ „ფატიმანი“ — ფატიმათი-დ...

შენიშვნა. გვარის აღმნიშვნელ ისეთ სახელებში, რომლებიც დაბოლოებათა მიხედვით განარჩევენ სქესს (ჭუმაროვ — ჭუმაროვა...), სამხრულ-ხუნძურშიც — ისევე, როგორც ჩრდილო-ხუნძურში — ერგატივი შესაბამისად განსხვავებულ დაბოლოებებს იყენებს (ჭუმაროვა-სხ — ჭუმაროვ-ალ').

ამრიგად დ-ს სამხრ.-ხუნძურში არსებითად იგივე გამოყენება აქვს, რაც -ცა-ს ჩრდილო-ხუნძურში (და სამწერლო ენაში).

შენიშვნა. იშვიათად (გარკვეულ გამოთქმებში) -დ ფორმანტი სამწერლო ხუნძურ ენაშიც იჩენს თავს, მაგრამ სათანადო ფორმას აქ ყოველთვის მოქმედებითი ბრუნვის მნიშვნელობა აქვს: ბი-დ ბელ'არაბ „სისხლით შეღებილი“... ღარდი-დ ჭუწიზე „შეიარაღება“ („იარაღით აღჭურვა“) ¹... გუდრა-დ ქაურაბ „ხაფანგში გაბმული“ („ხაფანგით დაჭერილი“) ²...

¹ . . . , . . . , გვ. 110.
² . . . I. . . , გვ. 52.

§ 85. -ცა დაბოლოება მრავლობითი რიცხვის ერგატივის ნიშნად ჩრდილო-ხუნძურში. მრავლობითი რიცხვის ერგატივის ნიშნად სამწერლო ხუნძურში, როგორც ვნახეთ, გამოიყენება -(ა)ზ. ეგვე დაბოლოება აქვს მრავლობითი რიცხვის ერგატივს სამხრულ-ხუნძურშიც.

ჩრდილო-ხუნძურში (ხუნძახურში) კი -(ა)ზ დაბოლოების ადგილი არსებით სახელებში -ცა დაბოლოებას უჭირავს: ვაცა-ცა ძმებმა“, დაცა-ცა „დებმა“, ჩუდა-ცა „ცხენებმა“, ცურდუ-ცა „მელიებმა“, ბაწა-ცა „მგლებმა“ და ა. შ. (შდრ. სამწერლო ხუნძურში [და სამხრულ-ხუნძურში]: ვაცაზ, დაცაზ, ჩუდაზ, ცურდუზ, ბაწაზ და ა. შ.).

ამავე დროს, -ცა დაბოლოება ერგატივისათვის ჩრდილო-ხუნძურს გამოყენებული აქვს მხოლოდობით რიცხვშიც (III გრამატიკ. კლასის სახელებში): ჩო-ცა „ცხენმა“, ბაწი-ცა „მგელმა“... ამ შემთხვევაში სამწერლო ხუნძური ჩრდილო-ხუნძურს მიჰყვება, სამხრულ-ხუნძური კი ორივეს სცილდება: აქ ამ -ცა-ს ნაცვლად, როგორც ზემოთ ვნახეთ, -დ გვაქვს.

ამრიგად, ერგატივის ამ ნიშნების მიხედვით ხუნძურ დიალექტთა შორის შემდეგი მიმართებები გვაქვს: ა) მხოლოდობით რიცხვში. ჩრდ.-ხუნდ. და სამწერლო ხუნდ. -ცა — სამხრ.-ხუნდ. -დ; ბ) მრავლობით რიცხვში: ჩრდ.-ხუნდ. -ცა — სამხრ.-ხუნდ. და სამწერლო ხუნდ. -(ა)ზ.

§ 86. როგორია ისტორიული ურთიერთობა ჩრდილო-ხუნძურის -ცა და სამხრ.-ხუნძურის -ზ ფორმანტებისა მრავლობითი რიცხვის ერგატივის ნიშნად? თავდაპირველად -(ა)ზ ფორმანტი უნდა გვეკონოდა ჩრდ.-ხუნძურშიც. ამას მოწმობს შემდეგი:

სამხრ.-ხუნძურში (და სამწერლო ხუნძურ ენაში) -(ა)ზ ფორმანტი ერგატივისა გადაჰყვება სახელს ნათესაობითსა და მიცემითში: ერგ. ვაცა-ა-ზ „ძმებმა“, ნათ. ვაცა-ა-ზ-ულ, მიც. ვაცა-ა-ზ-ე.

ჩრდ.-ხუნძურში ერგატივს -(ა)ზ დაბოლოების ადგილას -ცა აქვს, მაგრამ ნათესაობითსა და მიცემითში აქაც იგივე ფორმები გვაქვს, რაც სამხრ.-ხუნძურში (და სამწერლო ხუნძურ ენაში); შდრ.: ერგ. ვაცა-ა-ცა „ძმებმა“ — მაგრამ: ნათ. ვაცა-ა-ზ-ულ, მიც. ვაცა-ა-ზ-ე; ერგ. ჩუდა-ა-ცა „ცხენებმა“ — მაგრამ: ნათ. ჩუდა-ა-ზ-ულ, მიც. ჩუდა-ა-ზ-ე...

ნათესაობითმა და მიცემითმა შემოგვინახეს ცნობა, რომ ერგატივში წინათ ჩრდ.-ხუნძურშიც -(ა)ზ ყოფილა (ვაცა-ა-ზ... ჩუდა-ა-ზ...). შემდეგ კი -(ა)ზ დაბოლოება ერგატივში ხმარებიდან გამოუდევნია -ცა დაბოლოებას, მაგრამ ერგატივისაგან ნაწარმოებ — ნათესაობითისა და მიცემითის — ფორმებში ძველი ვითარების კვალი დაცულია.

ამრიგად, -ცა მრავლობითის ერგატივში მეორეულია, -(ა)ზ — უწინარესი.

ეს -(ა)ზ დღემდის დაუცავს თვით ჩრდ.-ხუნძურში ჩვენებით ნაცვალ-სახელებს: ა-ზ „ამათ“... დო-ზ „მათ“... აგრეთვე ზედსართავ სახელებს (-ცა დაბოლოების პარალელურად): კუდი-ა-ცა || კუდი-ა-ზ „დღემმა“... ჰიტინ-ა-ცა || ჰიტინ-ა-ზ „პატარებმა“... ამკარაა, რომ ამ პარალელური ფორმებიდან -ცა დაბოლოებიანი ფორმები მეორეულია.¹

§ 87. რა მიმართებაშია მრავლობითის ერგატივის -ზ მხოლო-ბითის -დ-სთან? წარმომოხილეთ ეს ერთი და იგივე ოდენობა ჩანს: **ზ დ.** ამგვარი ფონეტიკური პროცესი ცნობილია ხუნძურში, კერძოდ, ინფინიტივის წარმოებიდან: წალიზე წალიდე „სწავლა“...

რომ, მართლაც, ამ გზით შეიძლებოდა მიგველო **ზ** ფორმანტი ერგატივისა, ამას მოწმობს თვით სახელთა ბრუნების მონაცემებიც: ბერზულ ბერდულ (მდრ. ყარაბ. ბერდულ, ანწუბ. ბელდულ) „თვალისა“, ქვერზულ ქვერდულ (ყარაბ. ქვერდულ, ანწუბ. ქველდულ) „ხელისა“... აქ **ზ (დ)** ერგატივის ფორმანტია, შემონახული ნათესაობითის ფორმაში. რომ ნათესაობითში დადასტურებული ეს **ზ (დ)** ერგატივისეულია, ამას მოწმობს ქვერ-დ ფორმა, რომელიც სამხრულ-ხუნძურში ერგატივის ფუნქციით შეიძლება გვექონდეს („ხელმა“, „ხელით“).

მაგრამ, როცა ამავე ფონეტიკურ გადასვლას (**დ ზ**) ვვარაუდობთ მრავლობითი რიცხვის ერგატივში (ვა^აცა^აზ ვა^აცა^ად „ძმებმა“...), აქ გასათვალისწინებელია მიზეზი ამგვარი გადასვლისა. ინფინიტივის ფორმებში ამას მომდევნო ხმოვანი იწვევს.

მრავლობითი რიცხვის ერგატივში -დ ფორმანტსაც, რომელმაც, ივარაუდება, **ზ** მოგვცა, ხმოვანი უნდა ხლებოდა, — მასთან, ისეთი ხმოვანი, რომელსაც შეეძლო **დ** ექცია **ზ**-დ (პალატალიზაციის ნიადაგზე). ამ მხრივ ჩვენ ყურადღებას მიიქცევს ანდიურ ენებში -დი სუფიქსი ერგატივის ნიშნად (მდრ. ანდ. იმული „მამამ“, იმობა-დი „მამებმა“... — აქ -დი მხოლოობითშიცა გვაქვს და მრავლობითშიც. ესაა ამოსავალი ვითარება). მაგრამ რაკი ხუნძურში **დ ზ** მრავლობითში მომხდარა და მხოლოობითში არა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ საფეხურზე **დ** ფორმანტს ხმოვანი მრავლობითში ახლდა, მხოლოობითში კი არა?²

¹ გვ. 87.

² ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი ანდიური ენის, ჭამალალურის, ჩვენება: აქ ერგატივს მხოლოობითში შეიძლება -დ (დი) სუფიქსი ჰქონდეს, მრავლობითში კი -დი (მდრ. ვაჰუ-დ „ვაჟიშვილმა“ — ვაჰე-დი „ვაჟიშვილებმა“). , , 1949, გვ. 41, § 11.

-ზ-ს გენეზისის თვალსაზრისით დამახასიათებელია უახლესი ფორმაციის რამდენიმე ფაქტიც: ხუნძურ დიალექტებში -დ გამოყენებულია მრავლობითის ერგატივისათვის: ანწუბ. ჰუმუ-ზ-უ-დ „სახედრებმა“... მურწმი-ზ-უ-დ „ჯორებმა“... ჭობ. წან-ზ-ად, ყარახ. ცან-ზ-ა-დ „თხებმა“...

მრავლობითის ერგატივს აქ -ზ-ა-დ, ზ-უ-დ მოუდის მაწარმოებლად. ამათგან ზ ერგატივის ჩვეულებრივი ფორმანტია, მაგრამ დ-ც ერგატივისაა. შეიძლება -დ მერე იყოს დართული, მაგრამ აქ უფრო საინტერესოა თვით შესაძლებლობა მხოლოდობითის ერგატივის -დ ნიშნის გამოყენებისა მრავლობითის ერგატივში (რაც ამ შემთხვევაში ფაქტია).

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: მრავლობითი რიცხვის -ზ ისტორიულად იგივეა, რაც მხოლოდობითი რიცხვის ერგატივის -დ. მაშასადამე, -დ ფორმანტი ძველად საერთო გვექონია ერგატივისათვის მხოლოდობითსა და მრავლობითში (ისევე, როგორც ამჟამად -ცაა ფორმანტი ჩრდილო-ხუნძურში საერთოა ორსავე რიცხვში. — იხ. ზემოთ).

§ 88. როგორია ერგატივის -დ და -ცაა ფორმანტების ისტორიული ურთიერთობა? მრავლობითის ერგატივის საწარმოებლად ჩრდ.-ხუნძურშიც ძველად ზ იხმარებოდა (ცაა მეორეულია); მასთან, ზ, როგორც ვნახეთ, თავის მხრივ, მომდინარეობს დ-საგან (იხ. ზემოთ). ამით გარკვეულია, ისიც, თუ როგორია -ცაა და დ-ს ურთიერთობა მრავლობითი რიცხვის ერგატივის ნიშნად: -დ ისტორიულად უპირატესია, -ცაა მერე იჭერს მის ადგილს.

მეორე მხრივ, -ცაა როგორც ვიცით, ჩრდილო-ხუნძურს მხოლოდობითის ერგატივშიც აქვს, სამხრულ-ხუნძურში კი მისი ადგილი დ-ს უჭირავს. გასარკვევი რჩება ამ ფორმანტების ურთიერთობა.

-ცაა ფორმანტთან შედარებით -დ ფორმანტის ისტორიულ უწინარესობაზე მიუთითებს შემდეგი გარემოება:

-ცაა ფორმანტით ერგატივის წარმოებისას ჩრდილო-ხუნძურში არა ერთ საზოგადო სახელს ნათესაობითის დაბოლოების წინ შეიძლება აღმოაჩნდეს -დ:

სახ.	ჩუ „ცხენი“	ბო „ჯარი“; „თემი“
ერგ.	ჩო-ცაა	ბო-ცაა
ნათ.	ჩო-ლ ჩო-დ-ულ	ბო-ლ ბო-დ-ულ

შდრ. სამხრ.-ხუნძურში:

სახ.	ჩუ „ცხენი“	ბო „ჯარი“; „თემი“
ერგ.	ჩო-დ	ბო-დ
ნათ.	ჩო-დ-ულ	ბო-დ-ულ

სამხრ.-ხუნძურის ჩვენება ნათელია: **-დ** ნათესაობითში სხვა არაფერია, თუ არ ერგატივის **-დ** დაბოლოება, გადმოყოლილი ფუძეს ნათესაობითში.

ჩრდ.-ხუნძური ნათესაობითი ემთხვევა სამხრ.-ხუნძურისას: ჩო-**დ**-ულ („ცხენისა“)... ბო-**დ**-ულ („ჯარისა“) — ორივეში გვაქვს, მაგრამ განსხვავებულია ერგატივის ფორმა: სამხრ.-ხუნძურში **-დ** გვაქვს ამ ბრუნვის დაბოლოებად, ჩრდ.-ხუნძურში — **-ცა**. მაგრამ ასეა ეს ამჟამად. წინათ ჩრდ.-ხუნძურშიც **-დ** უნდა გვქონოდა ერგატივის დაბოლოებად. მხოლოობითის ნათესაობითის ფორმა ამას ისევე უეჭველს ხდის, როგორც მრავლობითის ნათესაობითის ფორმები ამჟღავნებენ იმას, რომ აქ ძველად ერგატივი **-ზ** ფორმანტი იწარმოებოდა; შდრ.:

<i>ჩრდ.-ხუნძ.</i>	<i>სამხრ.-ხუნძ.</i>
ერგ. ვაცა- ცა „ძებმა“	ერგ. ვაცა- ა-ზ
ნათ. ვაცა- ა-ზ -ულ	ნათ. ვაცა- ა-ზ -ულ

ამის მსგავსი ვითარებაა მხოლოობით რიცხვშიც:

<i>ჩრდ.-ხუნძ.</i>	<i>სამხრ.-ხუნძ.</i>
ერგ. ჩო- ცა „ცხენმა“	ერგ. ჩო- დ
ნათ. ჩო- ლ ჩო- დ -ულ	ნათ. ჩო- დ -ულ

დასკვნა: მხოლოობითის ერგატივს **-დ** ჰქონია ჩრდილო-ხუნძურშიც და შემდეგ მის ადგილას **-ცა** დამკვიდრებულა (ისევე, როგორც მრავლობითში ჯერ **-ზ** **-დ** იყო ერგატივის ნიშანი და მერე მისი ადგილი **-ცა**-მ დაიკავა).

ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს ეს იმ სახელებში, რომელთა ნათესაობითში **დ** წარმოჩნდება ამ ჯერად¹. მაგრამ ყოველთვის ნათესაობითი **დ**-ს არ გამოგვივლენს. ამით განსხვავდება მრავლობითის ვითარებისაგან მხოლოობითის ვითარება. ეს განსხვავება იმით შეიძლება აიხსნას, რომ მხოლოობითის ერგატივში **-ცა** უფრო ადრეა დამკვიდრებული, ვინემ მრავლობითის ერგატივში. მაინც პრინციპული ღირებულება აქვს ფაქტს, რომ **-დ** სუფიქსი ერგატიულ ბრუნვას მრავლობითშიც აწარმოებდა და მხოლოობითშიც, სანამ **-ცა** სუფიქსი დაფუძნდებოდა ამ ფუნქციით.

ამრიგად, **-დ** საერთო-ხუნძური და, მასთან, უძველესი ფორმანტია ერგატიული ბრუნვისა².

¹ ნათესაობითის დაბოლოების წინ წარმოჩენილი **-დ** ზოგჯერ შეიძლება იყოს ფუძის კუთვნილებაც მოკვეცილი სახელობითში (§ 77).

² ეს **-დ** თავის შესატყვისს პოულობს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში; შდრ. ერგატივის (და მოქმედებითის) ნიშნად იგივე **დ** (|| **ლ, რ, ნ**) დადესტნის სხვა ენებში, ერგატივისა (და ვითარებითის) ნიშნად **დ** ქართველურ ენებში, კერძოდ, სვანურში (არ ნ. ჩიქობავა, ერგატივის წარმოქმნის ისტორიისათვის ხუნძურში, იკე, IV, გვ. 106-113).

§ 89. -ლ'ა || -ლ'ა დაბოლოება მხოლოობითი რიცხვის ერგატივის ნიშნად სოღრათლურში. სამხრულ-ხუნძურის ერთ-ერთ თქმაში, სახელდობრ, სოღრათლურში¹, ერგატივის ნიშნად -ლ'ა დაბოლოებაც დასტურდება. აქ იგი იხმარება იმ საზოგადო არსებით სახელებში მხოლოობითი რიცხვისა და ადამიანის საკუთარ სახელებში, სადაც კი ჩრდილო-ხუნძური (და სამწერლო ხუნძური) იყენებს -ცა დაბოლოებას, ხოლო სამხრულ-ხუნძურის დანარჩენი კილო-თქმები -დ დაბოლოებას; შდრ.:

<i>ჩრდ.-ხუნდ.</i>	<i>ანწუხ., პიდ., ყარახ., ჭობ.</i>	<i>სოღრათ.</i>	
ჩო-ცაა	ჩო-დ	ჩო-ლ'ა	„ცხენმა“
ცი-ცაა	ცი-დ სი-დ	ცი-ლ'ა	„დათვმა“
ბურხი-ცაა	ბურხი-დ	ბურხი-ლ'ა	„გველმა“
წე-ცაა წუდუ-ცაა	წუდუ-დ	წუდუ-ლ'ა	„ცეცხლმა“
ცარა-ცაა	ცარა-დ სარა-დ	ცარა-ლ'ა	„მელამ“
ჰაქი-ცაა	ჰაქი-დ ჰიქი-დ	ჰიქი-ლ'ა	„ურემმა“
ლადი-ცაა	ლადი-დ ლიდი-დ	ლიდი-ლ'ა	„ყვავმა“
ინსაუ-ცაა	ემსაუ-დ ემცაუ-დ	ემსაუ-ლ'ა	„მამამ“

და ა. შ.²

ეს -ლ'ა დაბოლოება ერთი შეხედვით გვაგონებს -(ა)ლ'ს, რომელიც ერგატივის დაბოლოებაა, როგორც ჩრდილოურ-, ისე სამხრულ-ხუნძურში II (და III) გრამატიკ. კლასის სახელებში. მაგრამ -(ა)ლ' დაბოლოება ერგატივისათვის გვაქვს სოღრათლურშიც, სადაც იგი იმავე სახელებში გამოიყენება, რა სახელებშიც მას სხვა დიალექტები იყენებენ (ებელ-ალ' „დედამ“ და ა. შ.); მაშასადამე:

ა) *ჩრდ.-ხუნდ.* (და *სამწერ. ხუნდ.*) -ცაა — *ანწუხ., პიდ., ყარახ., ჭობ.* -დ — *სოღრათ. -ლ'ა;*

ბ) *ჩრდ.-ხუნდ.* (და *სამწერ. ხუნდ.*) -(ა)ლ'ს — *ანწუხ., პიდ., ყარახ., ჭობ.* -(ა)ლ'ს — *სოღრათ. -(ა)ლ'ს.*

აქედან ირკვევა, რომ -(ა)ლ'ს და -ლ'ა სხვადასხვა ფორმანტებია და არა — ერთი და იგივე.

რა წარმოშობისაა მაშინ ეს -ლ'ა ფორმანტი სოღრათლურ თქმაში და რა მიმართებაშია იგი -ცაა და -დ ფორმანტებთან?

-ლ'ა ფორმანტი სხვა სამხრულმა კილო-თქმებმა არსებით სახელთა ერგატივის ნიშნად არ იცის, მაგრამ პირის ნაცვალსახელებში ერგატივის იგი — გარდა სოღრათლურისა — სხვაგანაც აწარმოებს; შდრ.: *სოღრათ.*

¹ სოღრათლური ანდალალურის ერთ-ერთი თქმაა.

²

დი-ლ'ა, ჭობ., დი-ლ'ა ჰიდ. დი-ლ'ა || ი-ლ'ა, ჭარ. დი-ჰაჰა დი-ლ'ა „მე“; სოღრათ. დუ-ლ'ა, ჭობ. დუ-ლ'ა || უ-ლ'ა, ჭარ. დუ-ჰაჰა დუ-ლ'ა „შენ“... (§ 134).

საყურადღებოა ანწუხურის ჩვენება. ანწუხურ დიალექტში ამ ნაცვალსახელებში ერგატივისათვის -ლ'ა (-ლ') გამოიყენება: დი-ლ'(ა) „მე“; დუ-ლ'(ა) „შენ“... ანწუხურის ეს -ლ'(ა) და სოღრათლურისა და სხვა ზემოაღნიშნულ თქმათა -ლ'ა ერთი და იგივე ფორმანტია. მასთან პირველადი უნდა იყოს სწორედ -ლ'ა, ხოლო მისი ფონეტიკური ვარიანტი — -ლ'ა; ლ'ა -ლ'ა სოღრათლურში — აგრეთვე ჭობურსა და ჰიდურში — აიხსნება ამ თქმებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ფონეტიკური კანონზომიერებით: ლ' -ლ' (§ 46).

პირის ნაცვალსახელებში -ლ'ა || -ლ'ა ფორმანტის სიახლე ერგატივისათვის ეჭვს არ იწვევს: თვით ერგატივი, განსხვავებული სახელობითი საგან, მეორეულია ამ სახელებში.

რაც შეეხება საზოგადო არსებით სახელებში ამ ფორმანტის გამოყენებას, რაც მხოლოდ სოღრათლურისათვის არის დამახასიათებელი, ესეც მეორეულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ძველად სოღრათლურში მის ადგილას -დ უნდა გვქონოდა (ისევე, როგორც ამჟამად სამხრულ-ხუნძურის დანარჩენ კილო-თქმებში).

ყურადღებას იქცევს ერგატივის -ლ'ა (-ლ'ა) სუფიქსის სრული მსგავსება ერთ-ერთი ადგილობითი (resp. დაშორებითი) ბრუნვის ფორმანტთან; შდრ.: განჭი-ლ'ა (განჭი-ლ'ა) „ქვიდან“, ზედმიწ. „ქვა-შიით“ (§ 91). ერგატივი ამ შემთხვევაში ჩანს, იყენებს ადგილობითი (დაშორებითი) ბრუნვის ფორმას.

§ 90. მიცემითი ბრუნვის თავისებურება ანწუხურში. მიცემითი

ბრუნვის ნიშანი -ე არის. ფონეტიკურ ნიადაგზე მან შეიძლება ი-ს სახე მიიღოს, მაგრამ ეს არ იქნება ახალი ფორმანტი.

მიცემითის ე-ს (|| ი-ს) შეიძლება წინ უსწრებდეს ე: ჩო-ე-ე „ცხენსა“, ბო-ე-ე „ჯარსა“, ბაწი-ე-ე „მგელსა“... შამილი-ე-ე „შამილსა“, ფატიმათი-ე-ე „ფატიმათსა“. ეს ე თავს იჩენს მესამე ტიპის ბრუნებისას. პირველი და მეორე ტიპის ბრუნებისას ე არსებით და ზედსართავ სახელთა მიცემითის დაბოლოების წინ ჩვეულებრივ არა ჩანს: ვაცასა-ე „ძმასა“... დცაალ'ა-ე „დასა“... მაგრამ შეუძლებელი არ არის გვქონდეს (ბარალელურად) ვაცასა-ი-ე-ე... დცაალ'ა-ი-ე-ე... ფორმებიც. სწორედ ეს ვარიანტებია ამოსავალი: ვაცასაიდე ვაცას[იე]ე... დცაალ'აიდე დცაალ'ა [იე]ე...

ე მიცემითის ფორმაში (-ე დაბოლოების წინ) გრამატიკული კლასის გაქვავებული ნიშანია. ამას გვაჩვენებს ანწუხური დიალექტი, სადაც მიცემითის -ე-ს შეიძლება უსწრებდეს ყველა გრამატიკული კლასის ნიშანი:

ვ, ღ, ზ და მრავლობითი რიცხვის ნიშანი **რ**. ეს იმისდა მიხედვით, თუ რა გრამატიკ. კლასისაა წინადადებაში ის სახელი, რომელსაც ზმნა ეთანხმება (ეს იქნება რეალური ობიექტი — სახელობით ბრუნვაში დასმული). ცვალებადი კლას-ნიშნების მქონე მიცემითი ბრუნვა იმ ზმნასთან შეიძლება დაგვჭირდეს, რომელსაც რეალური სუბიექტი დაესმის მიცემითში ან ირიბი ობიექტი აქვს მიცემითში.

მაგალითები კლას-ნიშნების მქონე მიცემითი ბრუნვისა ანწუხური დიალექტიდან:

შამილი- ვ -ე	ვაცა ვატანა	„შამილს ძმა უყვარს“
შამილი- ღ -ე	დაცა დატანა	„შამილს და უყვარს“
შამილი- ზ -ე	ვატან ბატანა	„შამილს სამშობლო უყვარს“
შამილი- რ -ე	ვაცაალ რატანა	„შამილს ძმები უყვარს“

სამწერლო ხუნძურში (აგრეთვე ჩრდილო-ხუნძურსა და სამხრულ-ხუნძურის სხვა დიალექტებში) ანწუხური ოთხი ვარიანტის ნაცვლად გვექნება ერთი ვარიანტი მიცემითი ბრუნვისა და ეს ვარიანტი აქ განზოგადებული მნიშვნელობით იხმარება; შდრ.:

შამილი- ღ -ე	ვაცა ვოტულა	„შამილს ძმა უყვარს“
შამილი- ღ -ე	დაცა დოტულა	„შამილს და უყვარს“
შამილი- ღ -ე	ვატან ბოტულა	„შამილს სამშობლო უყვარს“
შამილი- ღ -ე	ვაცაალ როტულა	„შამილს ძმები უყვარს“

ზემოთ მოყვანილ წინადადებაში მიცემითი ბრუნვა რეალურ სუბიექტს აღნიშნავს და მასში წარმოდგენილია სახელობით ბრუნვაში დასმული რეალური ობიექტის კლასი (და რიცხვი).

ასევე გარჩეული იქნება მიცემითი ბრუნვა კლასების მიხედვით, როცა იგი ირიბ ობიექტს აღნიშნავს. ასეთ შემთხვევაშიც მიცემითის ფორმაში წარმოდგენილი იქნება კლასი (და რიცხვი) სახელობითში დასმული რეალური ობიექტისა; მაგალ.: ტურის ფარჩაჰასა კუდა ვაცაასიბე სო დეჰინ, ტოროსა ვაცაასიბე სო მუტუ, ტინა ვაცაასიბე სო შინ „მისცა მეფემ უფრო ძმას ერთი ხალიჩა, საშულ ძმას ერთი სარკე, უმცროს ძმას ერთი ვაშლი“.

აქ ვაცაასიბე-ე („ძმასა“) სამსავე შემთხვევაში **-ბ-** კლას-ნიშნითაა: სამსავე შემთხვევაში მას ეფარდება ნივთის კლასის სახელი. თუ რეალურ ობიექტს ვცვლით კლასში (და რიცხვში), შესაბამისად შეიცვლება ირიბი ობიექტის ფორმა — მიცემითი ბრუნვა: ვაცაასი-**ვ**-ე, ვაცაასი-**ღ**-ე, ვაცაასი-**რ**-ე... მაგალ.: ჰედე დას ტეზინანა ბიშუფუ ტინა ვაცაასი-**ღ**-ე „ეს ქალიშვილი უნდა მიეცეს (მისთხოვდეს) ყველაზე უმცროს ძმას“... ბაბად ჯიზანაზირე შინალ ტური „დედამ ბავშვებს ვაშლები მისცა“...

ბაბად შანაკირე ჰანალ თური ბავზი „დედამ ქათამს კვერცხები დაუ-
დლო გამოსაჩეკად“...

ხუნძურის სხვა დიალექტებში ასეთი ვარიანტები სხვაგან არ გვაქვს, მაგრამ ახლო მონათესავე ანდიურ ენაში ამჟამადაც კარგადაა გარჩეული გრამატიკული კლას-ნიშნებიანი მიცემითის ყველა ვარიანტი (ანდიურში გრამატიკ. კლას-ნიშნებიანი ნათესაობითიც გვაქვს); შდრ.:

ინულ დუ-ვ ვოცაი? დი-ვ-ო წინნოსაუ, ინუბოლო ჰედევ

„სადაა შენი ძმა? მე არ ვიცი, სადაა ის“

ინულ დუ-ჟ ვოცაი? დი-ჟ-ო წინნოსაუ, ინუბოლო ჰედევ

„სადაა შენი და? მე არ ვიცი, სადაა ის“

ინულ დუ-ბ კოთუ? დი-ბ-ო წინნოსაუ, ინუბოლო ჰედევ

„სადაა შენი ცხენი? მე არ ვიცი, სადაა ის“

ინულ დუ-რ ხუჩა? დი-რ-ო წინნოსაუ, ინუბოლო ჰედევ

„სადაა შენი წიგნი? მე არ ვიცი, სადაა ის“⁴

ანდიურში ოთხი გრამატიკ. კლასია გარჩეული და ოთხივე კლასის ნიშანი დაჩნდება ბრუნვის ფორმაში: დი-**ვ**-ო, დი-**ჟ**-ო, დი-**ბ**-ო, დი-**რ**-ო „მე“... შდრ. ანწუხ.: დი-**ვ**-ე, დი-**ჟ**-ე, დი-**ბ**-ე, დი-**რ**-ე განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მეოთხე ვარიანტი **რ** ნიშნით ანწუხურში მრავლობით რიცხვზე მიუთითებს, ანდიურში კი იგივე ნიშანი IV გრამატიკ. კლასს აღნიშნავს. ეს განსხვავება მეორეულია: მრავლობითის ნიშანი **რ** ანწუხურში (ხუნძურში) ხომ წარმოშობით წინათ არსებული IV გრამატიკ. კლასის ნიშანია.

განზოგადებული მნიშვნელობით მიცემითში ანწუხური იყენებს **ბ** კლას-ნიშნიან ვარიანტს: შ ა მ ი ლ ი - **ბ** - ე „შამილსა“... ვ ა ც ა ს ა ი - **ბ** - ე „ძმასა“ (პარადიგმის ერთეულად, როცა მიცემითი ბრუნვა კონტექსტს გარეშე აღებული, ეს ვარიანტი გამოიყენება). სხვა დიალექტებში ანალოგიური გამოყენება უნდა ჰქონოდა **ჟ** კლას-ნიშნიან ვარიანტს: შ ა მ ი ლ ი - **ჟ** - ე... ვ ა ც ა ს ა ი - **ჟ** - ე...: აქ ეს ვარიანტი შემოგვრჩა, როცა სხვა სამი მოიშალა.

რატომ აღმოჩნდა განზოგადებული მნიშვნელობის მიცემითში **ჟ** კლას-ნიშანი?

ანწუხურში რომ განზოგადებულია **ბ** კლას-ნიშნიანი ვარიანტი, ეს გასაგებია, რამდენადაც III გრამატიკული კლასის ფორმა სხვა შემთხვევაშიც იჩენს განზოგადების ტენდენციას (განყენებული მნიშვნელობით ეს კლასია ხოლმე აღჭურვილი): „ყოფნა“ () = **ბ**-უკინე (თუმცა, გვაქვს: **ვ**-უკინე, **ჟ**-უკინე, **რ**-უკინე ვარიანტებიც); „ტყეში“ = როხ¹-**ბ** (თუმცა, გვაქვს: როხ¹-**ვ**, როხ¹-**ჟ**, როხ¹-**რ** ვარიანტებიც სათანადო კონტექსტებში).

¹ „გვ. 11.

რატომ დაირღვა ეს წესი მიცემითის შემთხვევაში და რატომ **ა** კლას-ნიშნის ვარიანტი შემოგვრჩა ზოგადი მნიშვნელობით და არა **ბ** ნივთის კლას-კატეგორიის ნიშნით? ნამდვილად კი პრინციპი ნივთის კლას-კატეგორიის ნიშნის განზოგადებისა აქაც უნდა იყოს დაცული: ჩანს, **ა** იყო იმხანად ნივთის კატეგორიის კლას-ნიშანი, ალბათ, IV გრამატიკული კლას-ნიშანი: **ა რ**.

შამილი-**ა**-ე „შამილსა“, მასასადამე, იმავე რიგის წარმოებაა, როგორც **რ**-ოტი „სიყვარული“, **რ**-ეცა „ქება“, **რ**-ად „ბრძოლა“... დი-**რ** „ჩემი“ (§ 61).

ამას გრამატიკულ კლასთა ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს: შამილი-**ა**-ე ტიპის წარმოებაში დოკუმენტირებულია **ა** ფორმანტი, როგორც ნივთის კატეგორიის ნიშანი (ამჟამად კი II გრამატიკ. კლასის — „მდედრ. სქესის“ — ნიშნად ქცეული).

ადგილობითი ბრუნვები

§ 91. ადგილობით ბრუნვათა წყებები და მათში შემავალი ბრუნვები. როგორც აღნიშნული გვქონდა (§ 63), ხუნძურ ბრუნვათა შორის გასარჩევია ძირითადი და ადგილობითი ბრუნვები. ძირითადი ბრუნვები მიმოვიხილეთ. განვიხილოთ ახლა ადგილობითი ბრუნვები.

ადგილობითი ბრუნვები ხუნძურში ხუთ წყებას (სერია¹) ქმნის. თითოეულ წყებაში სამ-სამი ბრუნვაა:

1. ადგილობითი — Locativus (სად?)
2. მიმართულებითი — Allativus (საითკენ?)
3. დაშორებითი — Elativus (საიდან?)

თითოეულ წყებაში შემავალი ეს ბრუნვები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: მდგომარეობის (პ. უსლარის ტერმინოლოგიით:) (სად?) გამომხატველი ბრუნვები (ანუ სტატიკური ბრუნვები) და მოძრაობის (საითკენ? საიდან?) გამომხატველი ბრუნვები (ანუ დინამიკური ბრუნვები). მოძრაობის გამომხატველი ბრუნვები ინარჩუნებენ იმავე კონკრეტულ მნიშვნელობებს, რაც მდგომარეობის გამომხატველ ბრუნვებს აქვთ (მდრ., მაგალ.: სად? — „ქვაზე“, „ქვის ქვეშ“ და ა. შ. საითკენ? — „ქვაზე-კენ“, „ქვის-ქვეშ-კენ“ და ა. შ.; საიდან? — „ქვაზე-ით“, „ქვის-ქვეშ-ით“ და ა. შ.).

¹ „სერიას“ ხმარობს ლ. ჟირკოვი.

მაჩვენებლები და მნიშვნელობები. მდგომარეობის გამო-
მხატველ ადგილობით ბრუნვათა მაჩვენებლები განსხვავებულია წყებათა
მიხედვით:

წყება	მაჩვენებელი	მნიშვნელობა
I	- და	„-ზე“
II	- ან	„-თან“
III	- ტ	„-ქვეშ“
IV	- ში	„-ში“
V	კლას-ნიშანი (- ვ , - მ , - ბ) ან რიცხვის ნიშანი (- რ)	„-ში“

შენიშვნა 1. IV და V წყების ადგილობითი ბრუნვა —
ორივე — გამოხატავს მდგომარეობას საგნის შიგნით, მაგრამ V წყე-
ბისა — ისეთი საგნის შიგნით, რომელსაც აქვს შინაგანი სიცალიერე
რისამე დასატევედ („სახლში“, „ორმოში“, „ქვაბში“, „სკივრში“, „ჯი-
ბეში“ და ა. შ.). ხოლო IV წყებისა — ისეთი საგნის შიგნით, რომე-
ლიც მოკლებულია ასეთ სიცალიერეს და წარმოადგენს მთლიან მა-
სას („წყალში“, „ქვაში“, „მიწაში“, „ქვიშაში“ და ა. შ. — აგრეთვე:
„აულში“, „ჯოგში“...).

შენიშვნა 2. ადგილობით ბრუნვათა ზემოთ ნაჩვენები
მნიშვნელობები ძირითადია (და პირველადი). ცალკეულ შემთხვევებ-
ში შეიძლება გვექნოდეს სემანტიკური გადახრებიც; შდრ., მაგალ.:
განჭი-და „ქვაზე“, ლოტო-და „ხეზე“... მაგრამ ასევეა ნაწარმოები:
შქოლალ-და „სკოლაში“, ზედმიწ. „სკოლაზე“, მოსქვიალ-და „მოს-
კოვში“, ზედმიწ. „მოსკოვზე“, ბაზარალ-და „ბაზარში“, ზედმიწ. „ბა-
ზარზე“ () და ა. შ.; განჭი-ტ „ქვის ქვეშ“..., მაგრამ ასევე:
ახი-ტ „ბაღში“, ზედმიწ. „ბაღის ქვეშ“: ალბათ, მხედველობაშია
ხეხილი, რომელიც ბაღში დგას, — „ბაღში“ ანუ „ხეხილის ქვეშ“
(პ. უსლარის ახსნით).

გარდა ამისა, ადგილობითმა ბრუნვებმა ხუნძურში (ისევე, რო-
გორც თანდებულიანებმა — ქართულში, წინდებულიანებმა — რუ-
სულში) შეიძლება გამოხატონ დროც და სხვადასხვა საგარემოებო
მნიშვნელობები.

ადგილობითი ბრუნვის ფორმამ გარკვეულ ზმნებთან შეიძლება
რეალური სუბიექტიც (ან ირიბი ობიექტი) აღნიშნოს (ვაკუას-და ა
ბინულა ჩუ „ძმა ხედავს ცხენს“... დიცა ჰიყანა დოსა-და „მე
კვითხე მას“...); ასეთ შემთხვევებში ადგილობითი ბრუნვა ძირითადი
ბრუნვის მსგავსად გამოხატავს განყენებულ მიმართებას (სივრცის გა-
რეშე), მაგრამ ამოსავალი — ლოკატიური — მნიშვნელობა სათანა-
დო შემთხვევებში მაინც ადვილად გასათვალისწინებელია.

მოძრაობის გამომხატველ ბრუნვათა ნიშნები საერთოა სხვადასხვა წყებებში: მიმართულებითის ნიშანია **-ე**, დაშორებითისა — **-საა** (I და V წყ.) და მისი — ფონეტიკურად გამარტივებული — ვარიანტი **-ა** (II - IV წყ.). ეს ნიშნები უშუალოდ დაერთვის ადგილობითი ბრუნვის ამა თუ იმ ფორმას, განსხვავებულს წყებათა მიხედვით.

ადგილობითი ბრუნვების დაბოლოებათა სქემა

წყებები		ბრუნვები		
		ადგილობითი	მიმართულებითი	დაშორებითი
I	„-ზე“	-და	-დ-ე	-და-საა
II	„-თან“	-ჱ	-ჱ-ე	-ჱ-ა
III	„-ქვეშ“	-ტჸ	-ტჸ-ე	-ტჸ-ა
IV	„-ში“	-ლ'	-ლ'-ე	-ლ'-ა
V	„-ში“	-ბ (კლას-ნიშანი)	-ბ-ე	-საა

ბრუნების ნიმუშები

I წყება

ადგილ.	განჭი-და	„ქვაზე“
მიმართ.	განჭი-დ-ე	
დაშორ.	განჭი-და-საა	

II წყება

ადგილ.	განჭი-ჱ	„ქვასთან“
მიმართ.	განჭი-ჱ-ე	
დაშორ.	განჭი-ჱ-ა	

III წყება

ადგილ.	განჭი-ტჸ	„ქვის ქვეშ“
მიმართ.	განჭი-ტჸ-ე	
დაშორ.	განჭი-ტჸ-ა	

IV წყება

ადგილ.	განჭი-ლ'	„ქვაში“ ¹
მიმართ.	განჭი-ლ'-ე	
დაშორ.	განჭი-ლ'-ა	

V წყება

ადგილ.	როყო-ვ (-ჲ, -ბ; -რ)	„სახლში“
მიმართ.	როყო-ვ-ე (-ჲ-ე, -ბ-ე; -რ-ე)	
დაშორ.	როყო-საჲ	

შენიშვნა 1. V წყების ფორმებში კლას-ნიშნები (და მრ. რიცხვის ნიშანი) ისევე იცვლება, როგორც, საერთოდ, ზმნისართებში (ზმნის შესაბამისად): ვაცო როყო-ვ ვ-უგო „ძმა სახლში არის“, იაცო როყო-ჲ ჲ-იგო „და სახლში არის“, ლ'იმერ როყო-ბ ბ-უგო „ბავშვი სახლში არის“; ვაცალ როყო-რ რ-უგო „ძმები სახლში არიან“... ვაცო როყო-ვ-ე ვ-აჭანა „ძმა სახლში მოვიდა“, იაცო როყო-ჲ-ე ჲ-აჭანა „და სახლში მოვიდა“ და ა. შ.

დაშორებითი ბრუნვა კლასებს არ განარჩევს: ვაცო როყო-საჲ ვ-აჭანა „ძმა სახლიდან მოვიდა“, ძაცო როყო-საჲ ჲ-აჭანა „და სახლიდან მოვიდა“ და ა. შ.

შენიშვნა 2. დიალექტებში ადგილობით ბრუნვათა ზოგი ნიშანი განიცდის ფონეტიკური ხასიათის ცვლილებებს (სათანადო დიალექტისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ კანონზომიერებათა შესაბამისად): **-ჭ -ხ, -ლ' ლ'ჲ** (ჰიდურ-ანდალალურ-ყარახულ-ში)... კლას-ნიშანთა (უმთავრესად, -ვ, -ჲ) გაუჩინარება V წყების ადგილ. ბრუნვის ფორმებში (როყო როყო-ვ, როყო-ჲ...), რაც სათანადო კილო-თქმებში (სამხრულ-ხუნძურისა) დიფთონგთა გამარტივების ტენდენციით აიხსნება (§ 26).

მრავლობით რიცხვში I - IV წყების ადგილობით ბრუნვებს იგივე მნიშვნელობები აქვთ, რაც მხოლოდობითში (შდრ.: განჭი-და „ქვაზე“ — განჭაზ-და „ქვებზე“... განჭი-ჭ — „ქვასთან“ — განჭაზუ-ჭ „ქვებთან“... განჭი-ტჲ „ქვის ქვეშ“ — განჭაზუ-ტჲ „ქვების ქვეშ“... განჭი-ლ' „ქვაში“ — განჭაზუ-ლ')

¹ სამწერლო ხუნძურ ენაში ადგილ. ბრუნვის **-ლ'** ფორმანტის ნაცვლად **-ლ'** () იწერება. ამის მიზეზი შემდეგია: აფრიკატი ლატერალი **ლ'**, როგორც ვიცით, ანბანში წარმოდგენილი არ არის, მის ნაცვლად წერენ მაგარ სპირანტ **ლ'ჲ**-ს, მაგრამ რაკი ფორმანტებში საერთოდ თანხმოვნის სიმაგრეს არ გამოხატავენ, ამიტომ ხმარობენ არამაგარ **ლ'**-ს: განჭი-ლ' (I -) „ქვაში“ (ნაცვლად ამისა: განჭი-ლ').

„ქვებში“... — განსხვავება რიცხვის მიხედვით აქ საწარმოებელ ფუძეში და-
ჩნდება). საბრუნებელი სახელის რიცხვის მიხედვით განსხვავებული მაჩვე-
ნებლები აქვს მხოლოდ V წყების ადგილობით ბრუნვას. ეს ბრუნვა მხო-
ლოდობით რიცხვში დაბოლოებად კლას-ნიშანს იყენებს (იხ. ზემოთ), მრავ-
ლობითში კი იმავე დაბოლოებას, რასაც — I წყების ადგილობითი ბრუნვა
(მდრ.: როხ^ნობ „ტყეში“ — როხ^აზ-და „ტყეებში“, ყვატი-ბ „ქუჩაში“ —
ყვატაზ-და || ყუტბუზ-და „ქუჩებში“. ზოდი-ბ „ცაში“ — ზობალაზ-და „ცა-
თა შინა“, მოყრო-ბ „ყელში“ — შუყრუზ-და „ყელებში“...) ან უფრო ხში-
რად იმავე დაბოლოებას, რასაც — II წყების ადგილობითი ბრუნვა (მდრ.:
როყო-ბ „სახლში“ — რუყზაბა^რუ^რ-ჯ „სახლებში“, ბუკნი-ბ „კუთხეში“ —
ბუკნაზუ-ჯ „კუთხეებში“, ქესენი-ბ „ჯიბეში“ — ქესებაზუ-ჯ „ჯიბეებში“...).

ამრიგად, V წყების ადგილობითი ბრუნვა მრავლობით რიცხვში მო-
კლებულია საკუთარ დაბოლოებას (იყენებს I ან II წყ. დაბოლოებებს).

-ტა ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ი ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა . I წყების ად-
გილობით ბრუნვას **-და**- დაბოლოების პარალელურად შეიძლება ჰქონდეს
-ტა-ც, მასთან, უფრო კონკრეტული მნიშვნელობით, ვინემ ეს აქვს **-და**-ს:
-ტა გამოხატავს მდებარეობას საგნის ჰორიზონტალურ ზედაპირზე
(მაშინ, როდესაც **-და**, ამ მხრივ, უფრო ზოგადი მნიშვნელობისაა: შეიძლე-
ბა გამოხატავდეს მდებარეობას ვერტიკალურ ზედაპირზეც). ამ კონ-
კრეტული მნიშვნელობით **-ტა** დაბოლოება (*მიმართ. -ტე, დაშორებ. -ტა-სა*)
მიღებული ჩანს ტად („ზედ“, „ზემოთ“) ზმნისართისაგან, რომლის ხმა-
რება **-და** დაბოლოებიან ადგილობით ბრუნვასთან ჩვეულებრივია: განჭი-და
ტად „ქვაზე“, *ზედმიწ. „ქვაზე ზედ“ (ჰორიზონტალურ ზედაპირზე)*; აქედანაა
შერწყმით მიღებული: განჭი-ტა (განჭი-^რდა^რ ტა^რდ^რ)... შერწყმული და
შეურწყმელი ვარიანტები პარალელურადაც შეიძლება გვქონდეს: ადგილ.
განჭი-ტა || განჭი-და ტად, *მიმართ. განჭი-ტე || განჭი-და ტადე, დაშორ.*
განჭი-ტა-სა || განჭი-და ტასა...¹.

-ხაუნ ნაწილაკი მიმართულებითისა და დაშორებ-
ბითის ფორმებთან. -ხაუნ ნაწილაკი გამოხატავს მოძრაობას გარკვე-
ული მხრით (მიმართულებით): საითკენმე ან საიდანმე (შესაბამისად იმისა,
დაერთვის იგი მიმართულებითის თუ დაშორებითის ფორმებს): განჭი-დე-
ხაუნ „ქვის მხრითკენ (მიმართულებით)“, *ზედმიწ. „ქვა-ზე-კენ მხრით“ —*
განჭი-და-სა-ხაუნ „ქვის მხრიდან“, *ზედმიწ. „ქვა-ზე-ით მხრიდან“...*

¹ მდრ.: . . . „გვ. 69; აგრეთვე: . . .
(იხ. . . . „გვ. 27); . . .
. (იკე, VIII, 1956).

წინდებული კი თავისი ადგილმდებარეობის გამო იშვიათად თუ შეუხორცდება სახელს; ამიტომ წინდებულის ბრუნვები ინდოევროპულ ენებში არასდროს არ ირევა ძირითად ბრუნვებში.

რალაა მოძრაობის გამომხატველ ბრუნვათა ნიშნები, რომლებიც მდგომარეობის გამომხატველ ფორმანტებს (ისტორიულად თანდებულებს) დაერთვის? ისინიც თანდებულებია (და, მაშასადამე, მათი შემცველი ფორმები — ე. წ. „ორთანდებულის ფორმები“) თუ სხვა წარმოშობის ფორმანტები?

მოძრაობის გამომხატველი ბრუნვებიდან მიმართულებითი ბრუნვის ნიშანი -ე ჩვენ ყურადღებას წარმართავს მიცემითი ბრუნვის -ე ნიშნისაკენ (ვაცასა-ე „ძმას“, განჭი-ე-ე „ქვას“...). მიმართულებითი ბრუნვა აქ მიცემითი ბრუნვის ნიშანს იყენებს. მდგომარეობის გამომხატველ სათანადო ადგილობითი ბრუნვის ფორმაზე მიცემითი ბრუნვის ნიშნის დართვით, ჩანს, გამოიხატება მიმართულება მოცემულ სივრცობლივ ფარგლებში (განჭი-ე „ქვასთან“ განჭი-ე-ე „ქვასთან-კენ“, ზედმიწ. „ქვასთან-ს“, განჭი-ტე „ქვის ქვეშ“ განჭი-ტე-ე „ქვის-ქვეშ-კენ“, ზედმიწ. „ქვის ქვეშ-ს“ და ა. შ.).

ძირითადი ბრუნვის რომელიმე ნიშანი რომ თანდებულის ფორმას დაერთოს, ეს შეუძლებელი არ არის (შდრ. ხევსურულსა და ფშაურში: ცხენ-ზე-ით... საფლავ-ში-ით..., სადაც თანდებულის ფორმებს ბრუნვის ნიშანი -ით დაერთვის)¹.

მოძრაობის გამომხატველ მეორე, დაშორებით, ბრუნვას, როგორც ვნახეთ, ორი სუფიქსი აწარმოებს: -საა (I და V წყებებში) და -ა (II, III, IV წყებებში). ეს ორი სუფიქსი არ წარმოადგენს მორფოლოგიურად განსხვავებულ ფორმანტებს: ვარიაციები დაკავშირებულია განსხვავებულ ფონეტიკურ პირობებთან: -საა სათანადო წყებებში ყოველთვის ხმოვნის მომდევნოდ გვაქვს (განჭი-და-საა... როყო-საა...), -ა — თანხმოვნის მომდევნოდ და ასეთ პოზიციაში -ა -საა (განჭი-ე-ა განჭი-ე-საა, განჭი-ტე-ა

განჭი-ტე-საა, განჭი-ლ'-ა განჭი-ლ'-საა). სამხრულ-ხუნძურის ზოგ კილო-თქმას -საა სუფიქსი დაშორებითი ბრუნვის ნიშნად გაუმარტივებლად შემოუნახავს ყველა წყებაში; მაგალ., ანწუხურ დიალექტში განჭი-და-საა „ქვა-ზე-ით“, რუყი-საა „სახლ-ში-ით“ ფორმებთან ერთად ასევე ბუნებრივია განჭი-ე-საა, განჭი-ტე-საა, განჭი-ლ'-საა ფორმებიც (ნაცვლად ჩრდ.-ხუნძურისა და სამწერლო ენის განჭი-ე-ა, განჭი-ტე-ა, განჭი-ლ'-ა ფორმებისა)².

¹ ვ. თოფურია, დასახ. შრ. გვ. 327-328.

² შდრ. . . . , გვ. 89.

შ. მიქაილოვის აზრით, განჭი-ე-საა, განჭი-ტე-საა, განჭი-ლ'-საა... ფორმები მეორეულია განჭი-ე-ა, განჭი-ტე-ა, განჭი-ლ'-ა... ფორმებთან შედარებით.

დამორებითი ბრუნვის ნიშანი **-ხა** (|| **-ა**) წარმოშობით სიტყვა-წარმოებითი ფორმანტი ჩანს. მსგავსი ფორმანტი გამოიყენება, კერძოდ, ზმნისართებისაგან ზედსართავ სახელთა წარმოებისას (შდრ.: ჟაჟა „დღეს“ — ჟაჟა-საჟ-ბ „დღევანდელი“, ცჟებე „წინ“ — ცჟებე-საჟ-ბ „წინა“, „წინანდელი“ — §§ 116, 117)...

ამრიგად: ა) მდგომარეობის (სივრცეში ადგილ-მდებარეობის) გამომხატველ ადგილობით ბრუნვათა საწარმოებელი ფორმანტები წარმოშობით თანდებულებია, ბ) მოძრაობის გამომხატველი ბრუნვებიდან მიმართულებითი იყენებს მიცემითის ნიშანს (**-ე**), დამორებითი — სიტყვათწარმოებით სუფიქსს (**-ხა**).

§ 93. ადგილობით ბრუნვათა საწარმოებელი ფუძე. მოძრაობის გამომხატველ ბრუნვათათვის, როგორც ვნახეთ, ამოსავალია მდგომარეობის გამომხატველი ბრუნვები. რა არის ამოსავალი თვით მდგომარეობის გამომხატველ ადგილობით ბრუნვათა წარმოებისათვის?

წარმოების მხრივ ადგილობითი ბრუნვები გარკვეულ მიმართებაშია ძირითად ბრუნვებთან. ახლანდელ ვითარებას თუ დავემყარებით, სურათი, ამ მხრივ, ასეთია:

1) ორფუძიანი ბრუნების დროს, ე. ი. როცა ერგატივის დაბოლოებებად გვაქვს: **-(ა)ხა**, **-(ა)ლ'ა** (ძხოლ. რიცხვში) და **-(ა)ზ** (მრავლ. რიცხვში):

ა) | წყების ადგილობითი ბრუნვა იწარმოება უშუალოდ ერგატივისაგან; შდრ.:

ა) ვაცა „ძმა“ — ერგ. ვაცა-ასა ადგ. / ვაცა-ასა-და; ვენ' „მწყემსი“ — ერგ. ვენ'-ასა ადგ. / ვენ'-ასა-და;

ბ) დაცა „და“ — ერგ. დაცა-ალ'ა ადგ. / დაცა-ალ-და (დაცა-ალ'ა-და); ებელ „დედა“ — ერგ. ებელ-ალ'ა ადგ. / ებელ-ალ-და (ებელ-ალ'ა-და); მაშინ(ა) „მანქანა“ — ერგ. მაშინ-ალ'ა ადგ. / მაშინ-ალ-და (მაშინ-ალ'ა-და)...

შენიშვნა. როგორც მაგალითებიდან ჩანს, ადგილობითი ბრუნვის **-და** სუფიქსი როცა ერგატივის **-ალ'ა** დაბოლოებას დაერთვის, ამ უკანასკნელში **ლ'ა ლ** (-ალ'ა-და ალ-და: დაცა-ალ'ა-და დაცა-ალ-და). ასეთი ცვლილება ფონეტიკური ხასიათისა გვაქვს ჩრდილო-ხუნძურში (და სამწერლო ხუნძურ ენაში). ანდალალურ თქმებში სათანადო შემთხვევებში ერგატივის **-ალ'ა** დაბოლოების **ლ'ა** ლატერალური თანხმოვანი დაცულია უცვლელად, მაგრამ დაკარგულია ადგილობითი ბრუნვის სუფიქსისეული **დ**- თანხმოვანი (-ალ'ა-და -ალ'ა-ა: დაცა-ალ'ა-და დაცა-ალ'ა-ა); ანწუხურ დიალექტში ორივე ფორმანტი შენახულია უცვლელად (-ალ'ა-და: დაცა-ალ'ა-და).

c) ვაცა-ალ „ძმები“ — ერგ. ვაცა-აზ ადგ. / ვაცა-აზ-და; მაცა-ალ „დეები“ — ერგ. მაცა-აზ ადგ. / მაცა-აზ-და; მაშინ-ალ „მანქანები“ — ერგ. მაშინ-აზ ადგ. / მაშინ-აზ-და...

ბ) დანარჩენ წყებათა (II - V) ადგილობითი ბრუნვები იწარმოება არა უშუალოდ ერგატივის ფორმისაგან, არამედ ნათესაობითის ფორმისაგან - **ლ** დაბოლოების მოკვეციტ; შდრ.:

a) ვაცა „ძმა“ — ერგ. ვაცა-ასა, ნათ. ვაცა-ასა-**უ**-ლ ადგ. // ვაცა-ასა-**უ**-ჭ, ადგ. /// ვაცა-ასა-**უ**-ტა, ადგ. IV ვაცა-ასა-**უ**-ლ'; ვენ^წ „მწყემსი“ — ერგ. ვენ^წ-ასა, ნათ. ვენ^წ-ასა-**უ**-ლ ადგ. // ვენ^წ-ასა-**უ**-ჭ, ადგ. /// ვენ^წ-ასა-**უ**-ტა, ადგ. IV ვენ^წ-ასა-**უ**-ლ';

b) მაცა „და“ — ერგ. მაცა-ალ^ა, ნათ. მაცა-ალ^ა-**უ**-ლ ადგ. // მაცა-ალ^ა-**უ**-ჭ, ადგ. /// -**უ**-ტა, ადგ. IV მაცა-ალ^ა-**უ**-ლ'; ისთაქან „ჭიქა“ — ერგ. ისთაქან-ალ^ა, ნათ. ისთაქან-ალ^ა-**უ**-ლ ადგ. // ისთაქან-ალ^ა-**უ**-ჭ, ადგ. /// ისთაქან-ალ^ა-**უ**-ტა, ადგ. IV ისთაქან-ალ^ა-**უ**-ლ', ადგ. V ისთაქან-ალ^ა-**უ**-ბ;

c) ვაცაალ „ძმები“ — ერგ. ვაცა-აზ, ნათ. ვაცა-აზ-**უ**-ლ ადგ. // ვაცა-აზ-**უ**-ჭ, ადგ. /// ვაცა-აზ-**უ**-ტა, ადგ. IV ვაცა-აზ-**უ**-ლ'; მაცაალ „დეები“ — ერგ. მაცა-აზ, ნათ. მაცა-აზ-**უ**-ლ ადგ. // მაცა-აზ-**უ**-ჭ, ადგ. /// მაცა-აზ-**უ**-ტა, ადგ. IV მაცა-აზ-**უ**-ლ'...

რ ი თ ა ი ხ ს ნ ე ბ ა გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ბ რ უ ნ - ვ ა თ ა შ ო რ ი ს ა მ ო ს ა ვ ა ლ ი ფ უ ძ ი ს მ ხ რ ი ვ (ორფუძიანი ბრუნებისას)? რატომ I წყების ადგილობითი ბრუნვა ერგატივს ემყარება უშუალოდ, ხოლო დანარჩენი წყებებისა — ნათესაობითს (ყოველ შემთხვევაში, იმ ფუძეს, რაც ნათესაობითში **ლ** დაბოლოების წინ არის)? ეს მოითხოვს პასუხს მით უფრო, რომ, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, ერთფუძიანი ბრუნების დროს მსგავსი განსხვავება არ დასტურდება.

ამის მიზეზი ფონეტიკური ჩანს. წმინდა ფონეტიკური თვალსაზრისით აღნიშნული განსხვავება ამოსავალ ფუძეთა შორის იმაში მდგომარეობს, რომ I წყების ადგილობითი ბრუნვის ფუძეში ყოველთვის გვაკლია ბოლოკიდური ხმოვანი **უ**, რომელიც მუდამ გვაქვს დანარჩენ წყებათა ადგილობით ბრუნვათა ფუძეში; შდრ.: ადგ. / ვაცა-ასა-და (ფუძეა: ვაცა-ასა-) — ადგ. // ვაცა-ასა-უჭ, ადგ. /// ვაცა-ასა-უ-ტა და ა. შ. (ფუძეა: ვაცა-ასა-**უ**-).

ეს ფონეტიკური განსხვავება ამოსავალ ფუძეში დაკავშირებული ჩანს ფონეტიკური ხასიათის იმ განსხვავებასთან, რაც ადგილობით ბრუნვათა სუფიქსებს შორისაც გვაქვს: I წყების ადგილობითი ბრუნვის სუფიქსი (-**და**) ხმოვანს შეიცავს, ხოლო დანარჩენი წყებებისა — ოდენტანხმოვნებს (-**ჭ**, **ტა**, **-ლ'**, **-ბ**).

ხმოვნის შემცველი **-და** სუფიქსის წინ კი შეიძლება დაკარგულად (ამოვარდნილად) ვივარაუდოთ ის ვიწრო და უშახველო **უ** ხმოვანი, რომელიც შემონახულია ოდენტანხმოვნიანი სუფიქსების (**-ჭ**, **-ტ** და ა. შ.) წინ.

თუ ეს ასეა, მაშინ ყველა წყების ადგილობით ბრუნვათათვის ამოსავალი ყოფილა ერთი და იგივე ფუძე (ეს ფუძე ძირითადი ბრუნვებიდან ამჟამად ნათესაობითში გვაქვს **-ლ** დაბოლოების წინ); ამრიგად:

a) ვაცა „ძმა“ — ადგ. / ვაცა-ასა-და ვაცა-ასა-**უ**-და, ადგ. // ვაცა-ასა-**უ**-ჭ, ადგ. /// ვაცა-ასა-**უ**-ტ და ა. შ. (შდრ. ნათ. ვაცა-ასა-**უ**-ლ);

b) ძაცა „და“ — ადგ. / ძაცა-ალ-და (ძაცა-ალ'ა-და) ძაცა-ალ'ა-**უ**-და, ადგ. // ძაცა-ალ'ა-**უ**-ჭ, ადგ. /// ძაცა-ალ'ა-**უ**-ტ და ა. შ. (შდრ. ნათ. ძაცა-ალ'ა-**უ**-ლ);

c) ვაც-აალ „ძმები“ — ადგ. / ვაც-აზ-და ვაც-აზ-**უ**-და, ადგ. // ვაც-აზ-**უ**-ჭ, ადგ. /// ვაც-აზ-**უ**-ტ და ა. შ. (შდრ. ნათ. ვაც-აზ-**უ**-ლ).

2) ერთ ფუძიანი ბრუნების დროს (**-ცა** || *სამზრ.-ხუნდ.* **-დ** დაბოლოებით ერგატივში) ხუთივე წყების ადგილობით ბრუნვათათვის გამოიყენება ერთი და იგივე ამოსავალი ფუძე, რომელიც საერთოა ერგატივ-ნათესაობით-მიცემითის ფუძესთან (ზოგი განსხვავების შესახებ იხ. ქვემოთ); ამ ბრუნვათა დაბოლოების ადგილს იმავე ფუძესთან ადგილობით ბრუნვათა ფორმანტები იჭერს; შდრ.:

ძირითადი ბრუნვები

სახ.	გამაჭ „ქვა“	ბოტა „თავლა“
ერგ.	განჭ-ი-ცა	ბოტა-ო-ცა
ნათ.	განჭ-ი-ლ	ბოტა-ო-ლ
მიც.	განჭ-ი-ე	ბოტა-ო-ე

ადგილობითი ბრუნვები

I	განჭ-ი-და	ბოტა-ო-და
II	განჭ-ი-ჭ	ბოტა-ო-ჭ
III	განჭ-ი-ტ	ბოტა-ო-ტ
IV	განჭ-ი-ლ'	_____
V	_____	ბოტა-ო-ბ

ცვლილებები ადგილობრით ბრუნვათა საწარმოებელ ფუძეში ერთფუძიანი ბრუნებისას

ა) ერთფუძიანი ბრუნებისას | წყების ადგილობრითი ბრუნვის ფორმაში **-და** სუფიქსის წინ ზოგჯერ შეიძლება დაიკარგოს (ამოვარდეს) საწარმოებელი ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი (დანარჩენ წყებათა ადგილობრით ბრუნვათა ფორმებში კი სათანადო ხმოვანი ყოველთვის დაცულია); შდრ.:

ტურუ „კლდე“, *ერგ.* ტურუ-ცა, *ნათ.* ტურუ-ლ, *მიც.* ტურუ-დე — ადგ. / ტურ-და ტურუ-და; შდრ. ადგ. // ტურუ-ჯ, ადგ. /// ტურუ-ტ, ადგ. IV ტურუ-ლ';

მორ „მდინარე“, *ერგ.* მორ-უ-ცა || მურ-უ-ცა და ა. შ. — ადგ. // მორ-და მორ-უ-და; შდრ. ადგ. // მორ-უ-ჯ || მურ-უ-ჯ და ა. შ.

რალ „ომი“, *ერგ.* რალ-უ-ცა და ა. შ. — ადგ. / რალ-და რალ-უ-და; შდრ. ადგ. // რალ-უ-ჯ და ა. შ.

მეჭერ „მთა“, *ნათ.* მაჭარ-უ-ლ და ა. შ. — ადგ. / მაჭარ-და მაჭარ-უ-და; შდრ. ადგ. // მაჭარ-უ-ჯ და ა. შ.

სალი „სილა“, *ერგ.* სალ-უ-ცა და ა. შ. — ადგ. / სალ-და სალ-უ-და; შდრ. ადგ. // სალ-უ-ჯ და ა. შ.

ბაყ „მზე“, *ერგ.* ბაყ-უ-ცა და ა. შ. — ადგ. / ბაყ-და ბაყ-უ-და (ბაყდებუსა ბაყუდებუსა „მზესუმზირა“); შდრ. ადგ. // ბაყ-უ-ჯ და ა. შ.

კალტუ „ზღურბლი“ *ერგ.* კალტ-უ-ცა და ა. შ. — ადგ. / კალტ-ა (კალტ-და) კალტ-უ-და; შდრ. ადგ. // კალტ-უ-ჯ და ა. შ.

ხაერ „ბალახი“, *ერგ.* ხაარ-ო-ცა, *ნათ.* ხაარ-ო-ლ, *მიც.* ხაარ-ო-დე — ადგ. / ხაარ-და ხაარ-ო-და (ხაარდა ქვანაზე „ძოვნა“, *ზედმიწ.* „ბალახზე ჭამა“); შდრ. ადგ. // ხაარ-ო-ჯ, ადგ. /// ხაარ-ო-ტ, ადგ. IV ხაარ-ო-ლ';

ლ'არკ „კვალი“, *ერგ.* ლ'არკ-ო-ცა და ა. შ. — ადგ. / ლ'არკ-და ლ'არკ-ო-და (ვილ'ანილა ლ'არკდა ხაადუე „უვლია კვალზე მიყოლებით“); შდრ. ადგ. // ლ'არკ-ო-ჯ და ა. შ.

ტოხ „სახურავი“, *ერგ.* ტოხ-ო-ცა და ა. შ. ადგ. / ტოხ-და || ტოხ-ტა ტოხ-ო-და || ტოხ-ო-ტა; შდრ. ადგ. // ტოხ-ო-ჯ და ა. შ.

ყველა შემთხვევაში, როცა ერთფუძიანი ბრუნებისას **-და** სუფიქსი უშუალოდ თანხმოვანს მოსდევს, ამ სუფიქსის წინ ხმოვანია დაკარგული (ამოვარდნილი). მასთან, თუ მაგალითებს დავაკვირდებით (იხ. ზემოთ), ვნახავთ, რომ სათანადო შემთხვევებში დაკარგულია ვიწრო ხმოვნები: **უ, ი**; დანარჩენი ხმოვნები კი (**ა, ე, ო**) ჩვეულებრივ ძლებენ.

ვიწრო **უ** ხმოვნის დაკარგვა (ამოვარდნა) **-და** სუფიქსის წინ ზემოთ ნაგარაუდები გვქონდა ორფუძიანი ბრუნების დროსაც (ვაცა-ასა-და ვაცა-ასა-უ-და „ძმაზე“...).

ბ) V წყების ადგილობითი ბრუნვის ფორმაში ამ ბრუნვის დაბოლოებასა (კლას-ნიშანს) და საწარმოებელ ფუძეს შორის არაიშვიათად თავს იჩენს **-ნი**- ელემენტი (დანარჩენ წყებათა ადგილობით ბრუნვებში ეს ელემენტი არა ჩანს): ღამასა „სკივრი“ (ნათ. ღანსა-ი-ლ) — ადგ. V ღანსა-ი-ნი-ბ „სკივრში“, ხაგ „ქვაბი“ (ნათ. ხაგ-ი-ლ) — ადგ. / ხაგ-ი-ნი-ბ „ქვაბში“, ჩეხ „მუცელი“ (ნათ. ჩოხ-ო-ლ) — ადგ. V ჩოხ-ო-ნი-ბ „მუცელში“, შერეტ „თუნგი“ (ნათ. შერტ-ი-ლ) — ადგ. V შერტი-ნი-ბ „თუნგში“, დონკ „ორმო“ (ნათ. დონკ-ი-ლ) — ადგ. V დონკ-ნი-ბ (დონკ-ი-ნი-ბ) „ორმოში“, ჰეკ „კალათი“ (ნათ. ჰაკ-ი-ლ) — ადგ. V ჰაკ-ი-ნი-ბ „კალათში“, შინ „ყური“ (ნათ. შინზ-უ-ლ) — ადგ. V შინზუ-ნი-ბ „ყურში“ და ა. შ. ეგვევ **-ნი**- ელემენტი გამოიყოფა ნაცვალსახელური წარმოშობის ადგილის ზმნისართებში, რომელთაც აგრეთვე V წყების ადგილობითი ბრუნვის ფორმა აქვთ: ჰა-ნი-ბ „აქ“ (შდრ. ჰა-ბ „ეს“), ჰე-ნი-ბ „მანდ“ (შდრ. ჰე-ბ „ეგ“), ჟა-ნი-ბ „შიგნით“ (შდრ. ჟი-ბ „თვით“) **-ნი**- ელემენტის წარმომავლობა გაურკვეველია.

§ 94. ძირითად და ადგილობით ბრუნვათა დაბოლოებების საერთო სქემა. ადგილობით ბრუნვათა ძირითად ბრუნვებთან მიმართების სრულად გასათვალისწინებლად მოგვყავს ძირითად და ადგილობით ბრუნვათა დაბოლოებების საერთო **სქემა** (ბრუნების ტიპების მიხედვით):

ა) ო რ ფ უ ძ ი ა ნ ი ბ რ უ ნ ე ბ ა

ძირითადი ბრუნვები

სახ.	—	—	—
ერგ.	— (ა)სა	— (ა)ლ'ა	— (ა)ზ
ნათ.	— (ა)სა-უ-ლ	— (ა)ლ'ა-უ-ლ	— (ა)ზ-უ-ლ
მიც.	— (ა)სა-ე	— (ა)ლ'ა-ე	— (ა)ზ-ე

ადგილობითი ბრუნვები

I	— (ა)სა-და	— (ა)ლ-და	-(ა)ლ'ა-და	— (ა)ზ-და
	-(ა)სა-უ-და	-(ა)ლ'ა-უ-და		-(ა)ზ-უ-და
II	— (ა)სა-უ-ვ	— (ა)ლ'ა-უ-ვ		— (ა)ზ-უ-ვ
III	— (ა)სა-უ-ტა	— (ა)ლ'ა-უ-ტა		— (ა)ზ-უ-ტა
IV	— (ა)სა-უ-ლ'	— (ა)ლ'ა-უ-ლ'		— (ა)ზ-უ-ლ'
V	—	— (ა)ლ'ა-უ-ბ		—

ბ) ერთფუძიანი ბრუნება

ძირითადი ბრუნვები

სახ.	—
ერგ.	— ცა
ნათ.	— ლ
მიც.	— დ-ე

ადგილობრივი ბრუნვები

I	— და
II	— ჳ
III	— ტ ^ა
IV	— ლ'
V	— (ნი)-ბ

§ 95. -ხ სუფიქსი მიმართულებითი ბრუნვის ნიშნად. მიმართულებით ბრუნვას სამწერლო ხუნძურში (და ჩრდილო-ხუნძურში), როგორც ვნახეთ, -ე აწარმოებს. ეს -ე (ისევე, როგორც მიცემითი ბრუნვის -ე) შეიძლება დავიწროვდეს და -ი-დ იქცეს (სამხრულ-ხუნძურის კილო-თქმებში).

ერთ-ერთ სამხრულ დიალექტში, ანწუხურში, კი მიმართულებითის ნიშნად სულ სხვა ფორმანტი, -ხ სუფიქსი, დასტურდება; იგი დაერთვის ადგილობრივი ბრუნვის ფორმას: ადგ. განჭი-და II განჭი-ტა „ქვა-ზე“...
მიმართ. განჭი-და-ხ II განჭი-ტა-ხ „ქვა-ზე-კენ“...

მიმართულებითი ბრუნვის -ე ნიშანი სამწერლო-ხუნძურისა (და სათანადო დიალექტებისა) ჩვენ მიცემითი ბრუნვის -ე ნიშანს დაუკავშირეთ¹.

რაც შეეხება მიმართულებითი ბრუნვის -ხ ნიშანს ანწუხურ დიალექტში, იგი მიცემითის ნიშანს არ უკავშირდება (მიცემითის ნიშანი ანწუხურშიც -ე არის).

ეგევე -ხ ნიშანი ანწუხურში შუალობითი ბრუნვისათვისაც არის ნახმარი (იხ. ქვემოთ).

¹ ასეთი კავშირი ამ ორი ბრუნვის ნიშანთა შორის დასტურდება სხვა ენებშიც; შდრ., მაგალ., ლაკურში: მიცემითის ნიშანია -ხ (ჭირა-ხ „კედელს“) და მიმართულებითისაც — -ხ (ჭირა-დ-ხ „კედელ-ზე-კენ“... ჭირა-ვ-ხ „კედელ-ში-კენ“...). იხ. . . ., . . . ; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ბრუნების სისტემისათვის ლაკურ ენაში.

§ 96. შუალობითი (გავლითი) ბრუნვა (Translativus). ადგილობით ბრუნვათა თითოეულ წყებაში ჩვენ აღნიშნული გვქონდა სამ-სამი ბრუნვა: ერთი — საგნის მდგომარეობის გამომხატველი (საკუთრივ ადგილობითი ბრუნვა, — წარმოშობით თანდებულისანი ფორმა) და ორი — მოძრაობის გამომხატველი (მიმართულებითი და დაშორებითი) ბრუნვა.

პ. უსლარი (ჭირკეულის მონაცემების მიხედვით აღნიშნავს მეოთხე ბრუნვასაც; ესაა შუალობითი (გავლითი) ბრუნვა (პ. უსლარის ტერმინით " ")); იგი გამოხატავს მოძრაობას რისამე გავლით, გამჭოლ (, durch). მისი ნიშანია **-ნ**¹, რომელიც დაერთვის სათანადო წყების დაშორებითი ბრუნვის მზამზარეულ ფორმას:

I	დაშორ.	-და-საა	შუალ.	-და-საა-ნ
II	„	-ჯ-ა	„	-ჯ-ა-ნ
III	„	-ტჰ-ა	„	-ტჰ-ა-ნ
IV	„	-ლ'-ა	„	-ლ'-ა-ნ
V	„	-საა	„	-საა-ნ

მაგალითები: დაშორ. / განჭი-და-საა „ქვაზე-ით“ განჭი-და-საა-ნ „ქვაზე გადავლით“, დაშორ. // განჭი-ჯ-ა „ქვას-თან-ით“ შუალ. განჭი-ჯ-ა-ნ „ქვას-თან გავლით“, დაშორ. /// განჭი-ტჰ-ა „ქვის-ქვეშ-ით“ შუალ. განჭი-ტჰ-ა-ნ „ქვის-ქვეშ გავლით“, დაშორ. IV განჭი-ლ'-ა „ქვაში-ით“ შუალ. განჭი-ლ'-ა-ნ „ქვა-ში გავლით“, „ქვაში გამჭოლ“, დაშორ. V როყო-საა „სახლში-ით“ შუალ. როყო-საა-ნ „სახლში გავლით“.

სამწერლო ხუნძურ ენაში შუალობითი არაა გარჩეული დაშორებითისაგან. ორივე მნიშვნელობით ერთი და იგივე ფორმა (დაშორებითის ფორმა) იხმარება. მაგრამ საინტერესოა, რომ სამწერლო ხუნძურშიც დაშორებით ბრუნვაში პარალელურად შეიძლება გვქონდეს ისეთი ფორმა, რომელიც სათანადო თქმაში (კერძოდ, ჭირკეულში) შუალობითი ბრუნვის ფორმას უდრის: განჭი-და-საა || განჭი-და-საა-ნ „ქვას-თან-ით“, განჭი-ტჰ-ა || განჭი-ტჰ-ა-ნ „ქვის ქვეშ-ით“ და ა. შ. ამ პარალელურად შესაძლო ფორმა-

¹ შუალობითი ბრუნვის ეს **-ნ** ნიშანი ჩვენს ყურადღებას წარმართავს ლაკურში მიცემითის **-ნ** დაბოლოებისაკენ (რომელიც იქ მიმართულებითის ნიშნადაც გვევლინება).

თა შორის მნიშვნელობის მიხედვით განსხვავება ამჟამად ჩვეულებრივ არ დასტურდება, რაც, შეიძლება ვივარაუდოთ, მეორეულია¹.

ან წუხურ დიალექტში შუალობითი ბრუნვა კარგადაა გარჩეული დაშორებითისაგან. შუალობითის ნიშნად აქ გამოიყენება -ხ. მაგრამ ეგვე ნიშანი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ანწუხურში მიმართულებითსაც აწარმოებს; განსხვავებას ამოსავალი ფორმები ქმნიან: მიმართულებითის ნიშნად -ხ დაერთვის უშუალოდ ადგილობითი ბრუნვის სათანადო ფორმას (ადგ. განჭი-და „ქვაზე“ მიმართ. განჭი-და-ხ „ქვა-ზე-კენ“...), ხოლო იგივე -ხ შუალობითი ბრუნვის ნიშნად დაერთვის დაშორებითის ფორმას (ადგ. განჭი-და „ქვა-ზე“ დაშორ. განჭი-და-სა „ქვაზე-ით“ შუალ. განჭი-და-სა-ხ „ქვაზე გადავლით“...).

§ 97. გეოგრაფიული სახელები (ტოპონიმია) ადგილობითი ბრუნვის ფორმით. ხუნძური აულების, თემების სახელები ჩვეულებრივ ადგილობითი ბრუნვის ამა თუ იმ ფორმას წარმოადგენს.

ასეთ სახელებში ხუთივე წყების ადგილობით ბრუნვათა დაბოლოებებს ვპოვებთ:

- და: წადა, ბაწადა, შობოდა, წუმადა, თაჰადა, ჭარადა, ლანდა... (მდრ. განჭი-და „ქვაზე“);
- ტა: ანსალტა, სალტა, შამილტა, ლ'არატა, კარატა... (მდრ. ტონტა „სახურავზე“);
- ჯ: ხუნზაჯ, ანსაჟჯ, ბოლ'იჯ, ჭოჯ, ყარაჯ, ტოჯ, სიფჟჯ, ბაყლ'უჯ, შობოჯ... (მდრ. განჭი-ჯ „ქვასთან“);
- ტხ: წილიტხ, ყუდუტხ, დამსუტხ, წობოტხ... (მდრ. განჭი-ტხ „ქვის ქვეშ“);
- ლ': ჰიდალ', სუდრალ' ღოლოლ'... (მდრ. განჭი-ლ' „ქვაში“);
- ბ (კლას-ნიშანი): ღუნი-ბ, ყაჰი-ბ, ჭიკა-ბ, შანდი-¹ბ, ტინდი-¹ბ, ჰარაკუნი-ბ, კოპორი-ბ... (მდრ. როყო-ბ „სახლში“).

მიმართულებითისა და დაშორებითის შესაბამისი ფორმებიც ასეთ სახელებს საერთო წესით აქვთ ნაწარმოები; მდრ.:

ადგ.	წადა...	ხუნზაჯ...	წილიტხ...	ჰიდალ'...	ღუნი-ბ
მიმართ.	წადე...	ხუნზაჯე...	წილიტხე...	ჰიდალ'ე...	ღუნი-ბ-ე
დაშორ.	წადასა...	ხუნზაჯა...	წილიტხა...	ჰიდალ'ა...	ღუნი-სა

¹ ლ. ყირკოვი წერს: " — , Transl. (= Translativus) — ? , Transl. — Elat., — Elat. — " (. , - . . [.] , გვ. 165).
 მ. საიდოვის სასკოლო გრამატიკაში -ხ სუფიქსიანი ფორმები ნაჩვენებია, როგორც დაშორებითი ბრუნვის პარალელური ფორმები (. , I. . . გვ. 57-58).

ღირ ვაცა ვუგო წადა... ხუნზაჯ... წილიტა... ჰიდალ'... ღუნი-გ „ჩემი ძმა არის წადაში... ხუნძახში... წილიტლში... ჰიდათლში... ღუნიბში“ (ადგ. ბრ.);

ღირ ვაცა ანა წადე... ხუნზაჯე... წილიტე... ჰიდალ'ე... ღუნი-ვ-ე „ჩემი ძმა წავიდა წადაში... ხუნძახში... წილიტლში... ჰიდათლში... ღუნიბში“ (მიმართ. ბრ.);

ღირ ვაცა ვაჭანა წადასა... ხუნზაჯა... წილიტა... ჰიდალ'ა... ღუნი-სა „ჩემი ძმა მოვიდა წადიდან... ხუნძახიდან... წილიტლიდან... ჰიდათლიდან... ღუნიბიდან“ (დაშორ. ბრ.).

ამოსავალ ფუძეთა მნიშვნელობა (ეტიმოლოგია) ხშირად ნათელი არ არის, მაგრამ ზოგჯერ ესეც ადვილად გასათვალისწინებელია; ასე, მაგალ., ადგილის სახელი ტოჯ „ტლოხი“ ნაწარმოები ჩანს არსებითი სახელისაგან ტოჯ „ხიდი“ (ტოჯ „ხიდთან“), ადგილის სახელი სალტა — არსებითი სახელისაგან სალი „ქვიშა“, „სილა“ (სალტა „ქვიშაზე“, „სილაზე“)¹, ადგილის სახელი ლ'არატა — არსებითი სახელისაგან ლ'არ „ხევი“, „ნაკადული“ (ლ'არატა „ხევიზე“, „ნაკადულზე“)...

დამატებითი ცნობები ბრუნვათა შესახებ

§ 98. -და-ლ'უნ სუფიქსიანი ფორმა მოქმედებითი ბრუნვის მნიშვნელობით. მოქმედებითი ბრუნვის მნიშვნელობით, როგორც აღნიშნული გვქონდა (§ 63), ჩვეულებრივ ერგატივი იხმარება. ამავე დროს არის სხვა ფორმაც, რომელსაც იგივე მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. ესაა ფორმა **-დალ'უნ** სუფიქსით. ძირითადი და ამოსავალი მნიშვნელობაა ამ ფორმისა: „რისამე მეშვეობით“, „საშუალებით“. მოქმედებითი ბრუნვის ზოგადი მნიშვნელობით მისი ხმარება, რაც, განსაკუთრებით, წიგნური მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი, ახალი (და რამდენადმე ხელოვნურიც) ჩანს.

მაგალითები **-დალ'უნ** სუფიქსიანი ფორმების ხმარებისა: საუნ-დალ'უნ ნელ'ედა ბიხ'ულეზ? „რით ვხედავთ ჩვენ?“ ნელ'ედა ბერაზ დალ'უნ ბიხ'ულა „ჩვენ თვალებით ვხედავთ“... ნელ'ედა მუნ დუზ დალ'უნ რაჭულა „ჩვენ ყურებით ვისმენთ“²... ქოლხოზნიქაზ ჰალტი მაშინა ლ დალ'უნ ჰაბულა „კოლმეურნეები სამუშაოს მანქანით ასრულებენ“... ქვერაზ დალ'უნ ჰალტულა „ხელებით მუშაობს“... ჰარტალ ჰარფაზ დალ'უნ ვალა „ბგერებს ასოებით წერენ“...

¹ პ. უსლარის ეტიმოლოგიით.

² ეს მაგალითები ამოღებულია წიგნიდან: . . . , I (2), 1951, გვ. 29.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ხუნძური (და მთის იბერიულ-კავკასიური სხვა ენები) უახლოვდება იმ ენათა ტიპს, რომელთაც ე. სეპირის ტერმინი რომ ვიხმაროთ, „სადერივაციო ცნებების“ გამოხატვა არ ეხერხებათ. ეს მით უფრო, რომ ხუნძური სახელი „სარელაციო ფორმებით“ (დამოკიდებულების, ურთიერთობის აღმნიშვნელი აფიქსებით) საკმაოდ მდიდარია.

სახელთა წარმოების მთავარი საშუალებაა ხუნძურში აფიქსაცია, კერძოდ, სუფიქსაცია; გარკვეულ როლს თამაშობს კომპოზიციაც (ფუძეთა შედგენა)¹.

§ 101. კომპოზიტების წარმოება. ა) შეერთებითი კომპო-

ზიტები (composita copulativa). ასეთ კომპოზიტებს ვიღებთ ორი სხვადასხვა ან ერთნაირი ფუძის უბრალო შეერთებით (კავშირის ან რაიმე შემავრთებელი ხმოვნის გარეშე): ებელ-ემენ „დედ-მამა“, როსა-ლ'ადი „ცოლ-ქმარი“ (ზედმიწ. „ქმარ-ცოლი“), სორდო-ყო „დე-ღამე“ (ზედმიწ. „ღამე-დე“), ბერ-კალ „პირისახე“ (ზედმიწ. „თვალ-პირი“; შდრ. ხევსურ. თოლ-პირი), როხ-მეჭერ „ტყე-მთა“, ზობ-რატი „ქვეყანა“, „სამყარო“ (ზედმიწ. „ცა-მიწა“), ჭარაც-მესედ „ოქრო-ვერცხლი“ (ზედმიწ. „ვერცხლი-ოქრო“), ტიყვა-მაჟ „ნალ-ლურსმანი“..., ქვას-ქვას „ბამბა“ (ქვას „მატყელი“).

ბ) განსაზღვრებითი კომპოზიტები (composita determinativa):

1) არსებითი სახელი მსაზღვრელად: ა) მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაში: ვარანი-ჰინჭა „სირაქლემა“ (ზედმიწ. „აქლემ-ჩიტი [-სირი]“), დას-ბერ „გუგა (თვალისა)“ (დას „ქალიშვილი“, ბერ „თვალი“)...; ბ) მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაში (ბრუნვის დაბოლოება -ლ ხშირად იკარგვის): ჰაქი-ბერ „ურმის თვალი“ (ჰოქო, ნათ. ჰაქილ „ურემი“, ბერ „თვალი“), წაორო-ბერალ „სათვალეები“ (ზედმიწ. „შუშის თვალეები“: წაერ, ნათ. წაოროლ „შუშა“, ბერ, მრ. ბერალ „თვალი“), ბიდუ-რინ „ძარღვი“, „სისხლის მილი“ (ბი, ნათ. ბიდულ „სისხლი“, რინ „მილი“), განჭი-ტურჩი „ქვანახშირი“ (ზედმიწ. „ქვის-ნახშირი“: გამიჭ, ნათ. განჭილ „ქვა“ ტურჩი „ნახშირი“)...; ც) მსაზღვრელი ადგილობით ბრუნვაში: ბაყდებუსა „მზესუმზირა“ (ბაყ „მზე“, მიმართ. ბრ. ბაყდე „მზისკენ“, ბუსა „ბრუნია“; შდრ. ბუსინე „მობრუნება“), წაოროსა-როლ „სიმინდი“ (ზედმიწ. „კახეთიდან

¹ ა. შიფნერის, პ. უსლარის, ლ. ყირკოვის, მ. საიდოვის შრომებში შენიშნულია სახელთა წარმოების ის საშუალებები, რაც აქ განიხილება. მასალად აღებულია აქაც სამწერლო ხუნძური (და მისი ფუძე-დიალექტი). დიალექტური თავისებურებანი დამატებით ძიებას მოითხოვს.

სიტყვაწარმოებას ხუნძურში სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ლ. ყირკოვმა (. . . , I, 1948, გვ. 19-40).

ანუ კახური ხორბალი“: წაორო(ბ) „კახეთი“, დაშორებ. ბრ. წაოროსა „კახეთიდან“, როლ' „ხორბალი“)...

2) ზედსართავი სახელი მსაზღვრელად: ვაპა-ხონო „ხილა“ (ზედმიწ. „თეთრი კვერცხი“), ჭეჭერ-ჭინჭა „ჭკა“ (ფრინვ.) (ზედმიწ. „შავი ჩიტი“), ჭეჭერ-ჭაფან, ჭეჭერ-ბოწი „მსხვილფეხა რქოსანი საქონელი“ (ზედმიწ. „შავი საქონელი“), ჩარ-ღედო „კაჭკაჭი“ (ზედმიწ. „ჭრელი ყვავი“), ტერენ-ჩედ „ლავაში“ (ზედმიწ. „თხელი პური“), რჭიტინ-ჭილიშა „ნეკი“ (ზედმიწ. „პატარა თითით“), ვაპილ-ბილ „ლილა“ (ზედმიწ. „ლურჯი ინა“)¹...

ზედსართავი სახელი კომპოზიტის წევრად გვევლინება ყოველთვის ფუძის სახით: ვაპა- „თეთრ-“ (და არა: ვაპა-აბ „თეთრ-ი“)... ჭეჭერ- „შავ-“ (და არა: ჭეჭერ-აბ „შავ-ი“)... ტერენ- „წვრილ-“, „თხელ-“ (და არა: ტერენ-აბ „წვრილ-ი“, „თხელ-ი“)... გაფორმებული ზედსართავი არსებითის მსაზღვრელად კომპოზიტს ვერ მოგვცემს: ჭეჭერ-აბ ჭინჭა იქნებოდა ყოველი ჩიტი, რომელიც შავია, მაგრამ: ჭეჭერ-აბ ჭინჭა — გარკვეული, კონკრეტული სახეა ჩიტისა (იხ. ზემოთ); ასევე: ჭეჭერ-აბ ჭაფან — ყოველი ცხოველი, რომელიც შავი ფერისაა, მაგრამ: ჭეჭერ-აბ ჭაფან — გარკვეული სახეობა შინაური ცხოველისა, საქონლისა (იხ. ზემოთ).

ცალკე აღსანიშნავია ისეთი კომპოზიტები, რომლებშიც ზედსართავი სახელი განსაზღვრებად მოსდევს არსებით სახელს: მიწალ-კოდო „ულვაშა“, „დიდულვაშებიანი“ (ზედმიწ. „ულვაშებ-დიდი“), მეგეჟ-კოდო „დიდწვერია-ნი“ (ზედმიწ. „წვერ-დიდი“), მეჭერ-ხაალათ „გრძელცხვირა“ (ზედმიწ. „ცხვირ-გრძელი“)... რას-ტერენ, რას-ჭერენ „ნაზმარტყლიანი“ (ზედმიწ. „მატყლ-ნაზი“)...

ასეთ კომპოზიტებშიც ზედსართავი სახელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი.

3) რიცხვითი სახელი მსაზღვრელად: ლ'აბ-ჭინ „სამყურა“, ლ'აბ-ბოკონ „სამყუთხედი“ (ზედმიწ. „სამყუთხე“), იჭკალ „მორიელი“ (ზედმიწ. „ცხრა-პირა“), კი-ღეჟ „მხარი“ (ზედმიწ. „ორი წინამხარი“), ანტარატა „ანკრატლი“ (თემის სახელია) (ზედმიწ. „მედი მიწა, ადგილი“), უნყარატა „უნკრატლი“ (თემის სახელია) (ზედმიწ. „ოთხი მიწა, ადგილი“)...

რიცხვითი სახელები კომპოზიტებში გვევლინება -გო ნაწილაკის გარეშე (როცა დამოუკიდებლად ადებული რიცხვითი სახელი, -გო ნაწილაკს დაირთავს: კიგო „ორი“, ლ'აბგო „სამი“ და ა. შ.); -გო ნაწილაკიანი

¹ კომპოზიტებში შემავალი ფუძეები აქ ყველგან დეფისით არის ერთმანეთისაგან გამოყოფილი (რათა ფუძეთა შედგენილობა ნათელი იყოს).

რიცხვითი სახელი არსებითის მსაზღვრელად კომპოზიტს არ იძლევა; შდრ.: ლ'აბგო ბოკონ „სამი კუთხე“ — ლ'აბ-ბოკონ „სამკუთხედი“... ლ'აბგო შინ „სამი ყური“ — ლ'აბ-შინ „სამყურა“...

გ) ზმნისართიანი კომპოზიტები (*composita adverbialia*): შოდო-ნაკ „ნისლი“ (შოდო- „ძირს“, „დაბლა“, ნაკ „ღრუბელი“), ცუბე-რაში „წინასიტყვაობა“ (*ზედმიწ.* „წინ-სიტყვა“), ნავა-რუყ „საკუჭნაო“ (*ზედმიწ.* „უკანა ოთახი“), ნავ-ბაკ „სალათავია“ (თემის სახელია) (*ზედმიწ.* „უკანა მხარე“), ტად-ჰობო „ზედა დოლაბი“ (წისქვილის ქვა, რომელიც ფქვავს), ღორტ-ჰობო „ქვეშა დოლაბი“ (ღორტ „ქვევით“), ცუბე-ბიდ „წინსაფარი“, ცერე-ყა(დ) „გუმინწინ“ (ცერე „წინ“, ყად „დლით“, „დლისით“; შდრ. ყო „დღე“).

შენიშვნა. ცერე-ყა(დ) „გუმინწინ“ (*ზედმიწ.* „წინდლით“) კომპოზიტის წევრ ცერ-რ-ე „წინ“ ზმნისართში, რომელიც აქ განსაზღვრების როლშია, გამოიყოფა -რ-, როგორც გაქვავებული კლას-ნიშანი ისტორიულად არსებული IV კლასისა (§ 61). ჩანს, ყო „დღე“, რომელიც ამ კომპოზიტში საზღვრულის როლშია, განეკუთვნებოდა ძველად IV კლასს.

კომპოზიტის მეორე კომპონენტი -ყა(დ) ერგატის ფორმა ჩანს (-დ სუფიქსით ნაწარმოები), რომელსაც აქ მოქმედებითი ბრუნვის მნიშვნელობა აქვს („დლით“, „დლისით“).

§ 102. მოქმედი პირის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება. მოქმე-

დი პირის სახელს (*nomen agentis*) აწარმოებს სუფიქსები: 1) -ჯან, 2) -ჰან, 3) -ჩი.

1) მოქმედი პირის სახელები -ჯან სუფიქსით. -ჯან სუფიქსი შეიძლება დაერთოს: a) არსებით სახელებს: რალ'და-ჯან „მეზღვაური“ (რალ'ად „ზღვა“), ჩანა-ჯან „მონადირე“ (ჩან „ნადირი“), შიდა-ჯან „მეცხვარე“ (ში „ცხვარი“), ტოლო-ჯან „მეუნაგირე“ (ტოლი „უნაგირი“), შააში-ჯან „მეთუნე“, „მექოთნე“ (შაეშ „ქოთანი“, „თუნის ნაწარმი“), ხურუ-ჯან „მიწის მოქმედი“ (ხურ „ყანა“), ქოჭო-ჯან „მომღერალი“, „პოეტი“ (ქეჭ „სიმღერა“, „ლექსი“)... b) ზმნურ ფუძეს: წაღლო-ჯან „მოსწავლე“ (წაღლეზე „სწავლა“), მალ'უ-ჯან „დამრიგებელი“, „მასწავლებელი“ (მალ'იზე „დარიგება“, „სწავლება“), ლ'ედო-ჯან „მცურავი“ (ლ'ე-დეზე „ცურვა“), ვეცარუ-ჯან „მთიბველი“ (ვეცარიზე „თიბვა“), ტურდუ-ჯან „მოცეკვავე“ (ტურდიზე „ცეკვა“), ფუდარუ-ჯან „ბაქია“, „ტრაბახა“ (ფუდარიზე „ბერვა“, „ტრაბახი“), გარგადუ-ჯან „მრავალმეტყველი“, „ყბელი“ (გარგადიზე „ბერვი“ ლაპარაკი)... c) ზმნისართს (იშვიათად): ცე-ვე-ჯან „წინამძღოლი“ (ცე-ვე-ე „წინ“), ჰორტო-ჯან „შუამავალი“ (ჰორტო-„შუა“ „შე“).

-ჯან სუფიქსი მრავლობით რიცხვში **-ჯა-ბი** სახეს იღებს: ჰალტუ-ჯან „მუშა“ — ჰალტუ-ჯაბი „მუშები“... რალ’და-ჯან „მეზღვაური“ — რალ’და-ჯაბი „მეზღვაურები“... ჰორტო-ჯან „შუამავალი“ — ჰორტო-ჯაბი „შუამავლები“...

-ჯან (მრავლ. -ჯაბი) სუფიქსი დაერთვის იმ ფუძეს, რომელიც არსებით სახელებს გამოყენებული აქვთ ერგატივ-ნათესაობით-მიცემითში (და არა სახელობითში); შდრ. შეჟ „თუნის ნაწარმი“, ნათ. შაჟი-ი-ლ შაჟი-ი-ჯან „მეთუნე“... ტილი „უნაგირი“, ნათ. ტოლ-ო-ლ ტოლ-ო-ჯან „მეუნაგირე“... ხურ „ყანა“, ნათ. ხურ-უ-ლ ხურ-უ-ჯან „მიწის მოქმედი“... რალ’ად „ზღვა“, ნათ. რალ’-დ-ა-ლ რალ’-დ-ა-ჯან „მეზღვაური“... (ფუძეთა მიხედვით სხვაობა აქ ცხადყოფს იმას, თუ რა ფუძეა ამოსავალი: შაჟი-ჯან... ტოლ-ო-ჯან... ხურ-უ-ჯან... რალ’-დ-ა-ჯან... ფორმებში ამოსავალი ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი, რომელსაც **-ჯან** სუფიქსი უშუალოდ დაერთვის, ის ხმოვანია, რომელიც ერგ.-ნათ.-მიცემითში დამაკავშირებელი ხმოვნის როლში გვევლინება).

ზმნური ფუძისაგან წარმოებისას უშუალოდ ამოსავალია მასდარის ფორმა. საწარმოებელი ფუძე კი აქაც იგივეა, რაც არსებით სახელებში; შდრ. ინფ. ლ’ედეზე „ცურვა“ — მასდ. ლ’ედე[ა] (ნათ. ლ’ედ-ო-ლ „ცურვისა“) ლ’ედო-ჯან „მცურავი“... ინფ. ჰალტიზე „მუშაობა“ — მასდ. ჰალტი (ნათ. ჰალტ-უ-ლ) ჰალტ-უ-ჯან „მუშა“... ინფ. ტურდიზე „ცეკვა“ — მასდ. ტურდი (ნათ. ტურდ-უ-ლ) ტურდ-უ-ჯან „მოცეკვავი“... ინფ. ვეცარიზე „თიბვა“ — მასდ. ვეცარი (ნათ. ვეცარ-უ-ლ) ვეცარ-უ-ჯან „მთიბველი“ და ა. შ.

შენიშვნა. მასდარი ამჟამად ჩვეულებრივ იბრუნვის მეორე ტიპის მიხედვით (**-ალ’** დაბოლოებით ერგატივში: ჰაბი-ა-ალ’ „კეთება“ და ა. შ.)¹.

-ჯან სუფიქსიანი წარმოება ცხადყოფს, რომ მასდარის ბრუნება მესამე ტიპის მიხედვით (**-ცა** დაბოლოებით ერგატივში) ძველად უფრო ხშირი მოვლენა უნდა ყოფილიყო (ამაზე მიუთითებს ამოსავალი ფუძეები **-ჯან** სუფიქსიანი ფორმებისა).

სიტყვაწარმოებითი **-ჯან** სუფიქსი წარმოშობით II წყების შუალობითი ბრუნვის (ტრანსლატივის) ფორმანტი ჩანს: **-ჯ-ა-ნ** (შდრ. განჭი-ჯ-ა-ნ „ქვასთან გავლით“)². ამგვარ გაგებას მხარს უჭერს იმ ფუძის რაობაც, რომელსაც **-ჯან** დაერთვის (იხ. ზემოთ).

¹, § 46, გვ. 49.

², გვ. 187; მისივე, („“, I, 1948, გვ. 27).

2) მოქმედი პირის სახელები -ჰან სუფიქსით. **-ჰან** სუფიქსი შედარებით ნაკლებ პროდუქტიულია. იგი დაერთვის მხოლოდ არსებით სახელებს: ჰაბი-ჰან „მეწისქვილე“ (შდრ. ჰობო, ნათ. ჰაბი-ილ „წისქვილი“), ბოგო-ჰან „მზარეული“ (ბოგ „დღე-ღამის“ ულუფა“, ნათ. ბოგო-ლ)... ბეტერ-ჰან „პატრონი“, „მფლობელი“ (ამ სიტყვაში **-ჰან** უშუალოდ სახელობითის ფუძესაა დართული; შდრ. ბეტერ „თავი“).

3) მოქმედი პირის სახელები -**ჩი** სუფიქსით. ამ სუფიქსით წარმოება საკმაოდ პროდუქტიულია. დაერთვის იგი არსებით სახელთა სახელობითი ბრუნვის ფუძეს: ზაჰმათ-ჩი „მშრომელი“ (ზაჰმათ „გარჯა“, „შრომა“), ქოლხოზ-ჩი „კოლმეურნე“ (ქოლხოზ „კოლმეურნეობა“), ვულუჯ-ჩი „მოსამსახურე“ (ვულუჯ „სამსახური“), ფასტან-ჩი „მეზოსტნე“ (ფასტან „ბოსტანი“), ჩაქმა-ჩი „მეჩემე“ (ჩაქმა „ჩემე“), თოქენ-ჩი „მედუქნე“ (თოქენ „დუქანი“)... ასევეა ნაწარმოები: შოლოვან-ჩი „ვაჟკაცი“; „ჭაბუკი“ (შოლოვან „მოზვერი“, რომელიც, თავის მხრივ, ნაწარმოებია **-ვან** სუფიქსით ჭელ [ნათ. შოლო-ლ] „ასაკი“ სახელისაგან [შდრ. ჭეზე „ზრდა“])¹.

-ჩი სუფიქსი მხოლოდობით რიცხვში გვაქვს, მრავლობითში გვექნება **-ჩაში**: ზაჰმათ-ჩაში „მშრომელები“, ქოლხოზ-ჩაში „კოლმეურნეები“, ვულუჯ-ჩაში „მოსამსახურეები“...

-ჩი (-ჩაში) სუფიქსის რაობა ნათელია: იგი წარმოშობით დამოუკიდებელი სიტყვაა; შდრ.: ჩი (მრ. რ. ჩაში) „კაცი“².

შენიშვნა. *ხუნდ.* **-ჩი** სუფიქსის ბგერითი მსგავსება თურქული ენის ანალოგიურ სუფიქსთან (თურქ. კაუკ-ჩი „მენავე“, თულუხ-ჩი...) შემთხვევითია: ძირითადი და ამოსავალი სახე თურქული სუფიქსისა **-ჯი** არის (-ჩი ასიმილაციის შედეგად მიიღება); მერე: თურქ. -ჯი (ჩი) ეტიმოლოგიურად გაურკვეველი ოდენობაა, ხოლო *ხუნდ.* **-ჩი**, როგორც ზემოთ ვნახეთ, დამოუკიდებელი სიტყვაა წარმოშობით და „კაცს“ ნიშნავს.

-ჩი სუფიქსის გვერდით ამჟამად ფეხს იკიდებს **-ჭაუყუ**: ქოლხოზ-ჭაუყუ „კოლმეურნე ქალი“ — მრ. ქოლხოზ-რუჩაბი „კოლმეურნე ქალები“... ვულუჯ-ჭაუყუ „მოსამსახურე ქალი“ — მრ. ვულუჯ-რუჩაბი „მოსამსახურე ქალები“...

-ჭაუყუ (მრ. -რუჩაბი) აგრეთვე დამოუკიდებელი სიტყვისაგან მოდის; შდრ. ჭაუყუ (მრ. რუჩაბი) „ქალი“.

¹ II, გვ. 165.

² შდრ. ანალოგიური წარმოება ქართულში: მუშა-კაცი, მამა-კაცი...; გერმანულში -mann (მრ. leute, männer) დამოუკიდებელი სიტყვისაგან Mann (მრ. Leute, Männer) „კაცი“.

§ 103. იარაღის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება. იარაღის აღმნიშვნელ სახელთა საწარმოებლად იხმარება **-რო** (-ა-რო, -დ-ე-რო || -დ-ი-რო): ყოტარო „საჭრისი“ (ყოტიზე „ჭრა“), ვუჯადერო || ვუჯა-დირო „ხერხი“ (ვუჯაზე „ხერხვა“), ბორხაარო „ოწინარი“, „ბერკეტი“ (ბორხაიზე „აწევა“), ბორლ'არო „ბურღი“ (ბორლ'იზე „გახვრეტა“), ყადერო „საკინძი“ (ყაზე „შეკვრა“, „მოჭერა“...), ხა-დერო „მოსაგები“ (კვერცხი, კოჭი) (ხაზე „მოგება“), წადერო „სასწორის ფიალა“, წადერაბი (მრ.) „სასწორი“ (წაზე „წევა“), ქვალქვადერო „მაქო (საქსოვისა)“ (ქვალქვადიზე „წაბიძგება“, „მოძრაობაში მოყვანა“).

წარმოების მიხედვით ამავე რიგს განეკუთვნება, თუმცა ფუნქცია სხვა უჩანს: უნჭუდერო „ხველება“ (უნჭუდიზე „ხველება“), ფონწერო || ფონწორო „ბუშტი“ (ფონწეზე „გაბერვა“).

ყველგან ამოსავალი ზმნური ფუძე გამოდის **-დ** ელემენტი, რომელიც ზოგჯერ თავს იჩენს ამ სუფიქსში, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამოსავალი ფუძე განგრძობითი მოქმედების გამომხატველია.

§ 104. დანიშნულების სახელთა წარმოება -ყო ელემენტით. სპეციალური ფორმანტი დანიშნულების აღსანიშნავად არ მოგვეპოვება. საამისოდ აღწერითი წარმოებაა: მიმღეობის ფორმას დაერთვის დამოუკიდებელი სიტყვა **ყო** „რამე“, „ნივთი“: რახ¹ ტოლებ-ყო „რძის ჩასასხმელი რამე“, — „სარძევე“ (რახ² „რძე“, ტოლებ მიმღ. აწმ. ტეზე „ჩასხმა“ ზმნისა), წან ბალებ-ყო „მარილის ჩასაყრელი რამე“, — „სამარილე“, ჩირაჯ ლ'ოლებ-ყო „სანთლის დასადები რამე“, — „სასანთლე“, ჰომერ ბაწუენებ-ყო „პირის საწმენდი რამე“, — „პირსახოცი“, ჰეყოლებ-ყო „სასმელი რამე“, ქვანალებ-ყო „საჭმელი რამე“ და ა. შ.

ასეთი წარმოებისას მიმღეობა არსებით სახელად არის ქცეული: **ყო** ელემენტით იგი სხვა სახელის მსაზღვრელად არ შეიძლება გვქონდეს; მდრ.: ჰეყოლებ ლ'ინ „სასმელი წყალი“ — ჰეყოლებ-ყო „სასმელი რამე“, სასმელი (საერთოდ), როგორც არსებითი სახელი.

§ 105. კნინობითობის აღნიშვნის შემთხვევები. კნინობითი ფორმები არაა გავრცელებული ხუნძურ ენაში. სიპატარავე რაიმე საგნისა აღწერითად შეიძლება გამოიხატოს: ჰიტინაბ რუყ „პატარა სახლი“...

რამდენსამე სიტყვაში მაინც ვპოვებთ კნინობითობის საწარმოებელ სუფიქსებს:

-აქო: ვაცაქო „ძამიკო“ (ვაცა „ძმა“), დაცაქო „დაიკო“ (დაცა „და“), ლალაქო „ქოჩორი“ (ლალ „ნაწნავი“);

-იკო || -კო: დასიკო „დედოფალა“, „თოჯინა — გოგონას გამოსახულებით“ (დას „ქალიშვილი“), ვასიკო „თოჯინა — ვაჟის გამოსახულებით“ (ვას „ვაჟიშვილი“), რასაანკო (მრ. რასაანკაბი) „სათამაშო“: ღიმალაზულ რასაანკაბი „საბავშვო (ბავშვთა) სათამაშოები“ (ბასაანდიზე „თამაში“), ბიცანკო „გამოცანა“ (ბიციენე „თქმა“).

§ 106. აბსტრაქტულ სახელთა წარმოება. აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად იხმარება **-ლი**. ეს სუფიქსი ხუნძურში პროდუქტიულია. იგი აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს არსებით და ზედსართავ სახელთაგან, ზმნისაგან, ზმნისართისაგან.

ა) არსებითი სახელისაგან: ვაცა „ძმა“ — ვაცა-ლი „ძმობა“, ჰუდულ „მეგობარი“ — ჰუდულ-ლი „მეგობრობა“, ჰალმალ „ამხანაგი“ — ჰალმალ-ლი „ამხანაგობა“, ებელ „დედა“ — ებელ-ლი „დედობა“, თუშმან „მეტერი“ — თუშმან-ლი „მეტრობა“, შაქ „ეჭვი“ — შაქ-ლი „ეჭვობა“, ახივან „მებაღე“ — ახივან-ლი „მებაღეობა“, ფასტანჩი „მეხოსტენი“ — ფასტანჩი-ლი „მეხოსტენობა“, ბეტერჰან „პატრონი“, „მფლობელი“, „მესაკუთრე“ — ბეტერჰან-ლი „პატრონობა“, „საკუთრება“... რასა „გობი“ — რასა-ლი „ტაფობი“ (*ზედმიწ.* „გობივით ადგილი“... „გობობა“)... აბსტრაქტულობის **-ლი** სუფიქსი გვაქვს სიტყვაში ხასალივ-ლი „შემოდგომა“; ხასალივ-, რომელსაც აქ **-ლი** სუფიქსი დაერთვის, ადგილობითი ბრუნვის ფორმაა ხასელ „ზამთარი“ სახელისა; ამრიგად: ხასელ „ზამთარი“ ხასალივ-ლი „ზამთართან“ ხასალივ-ლი „შემოდგომა“ (*ეტიმოლოგ.* „ზამთართან-ობა“).

არსებითი სახელისაგან ნაწარმოებმა აბსტრაქტულმა სახელმა შეიძლება კრებითი მნიშვნელობაც გამოხატოს (ასეთ შემთხვევებში მას კონკრეტული გაგება ექნება): ჰალმალ-ლი, „ამხანაგობა“ (= „ამხანაგები“), სთუდენ¹-ლი „სტუდენტობა“ (= „სტუდენტები“, მადუჰალ-ლი, „მეზობლობა“ (= მეზობლები)... მაჰარულ-ლი, „ხუნძობა“ (= „ხუნძები“), ჰანდალ-ლი „ანდალალობა“ (= „ანდალალები“)...

ბ) ზედსართავი სახელისაგან: ხალათ-აბ „გრძელი“ — ხალათ¹-ლი „სიგრძე“, ბორხათ-აბ „მალაღი“ — ბორხათ¹-ლი „სიმალღე“, ჰეჰერ-აბ „შავი“ — ჰეჰერ-ლი „სიშავე“, რიკად-აბ „შორი“ — რიკად¹-ლი „სიშორე“, ლიკ-აბ „კარგი“ — ლიკ-ლი „სიკარგე“, „სიკეთე“, ქვეშ-აბ „ცუდი“ — ქვეშ-ლი „სიციუდე“, „სიიავე“, თოხა-აბ „უდარდელი“ — თოხა-ლი „უდარდელობა“, ხერ-აბ „ბებერი“, „მოხუცი“ — ხერ-ლი „სიბერე“, „მოხუცებულობა“, წოდორ-აბ „ფრთხილი“ — წოდორ-ლი „სიფრთხილე“, კუბ-აბ „შავგვრემანი“ — კუბ-ლი „შავგვრემანობა“, ტოჰ-აბ „მწარე“ — ტოჰ-ლი „სიმწარე“, ჰედერ-აბ „ვიწრო“ — ჰედერ-ლი „სივიწროვე“, ჩობორ-აბ

„მკვრივი“ — ჩაობორ-ლი „სიმკვრივე“, წი-ღ-აბ „ახალი“ — წი-ლი „სიახლე“, ტოპილ-აბ „ყვითელი“ — ტოპოლ-ლი „სიყვითლე“, ხეხა-აბ „სწრაფი“, „მალი“ — ხეხა-ლი „სისწრაფე“, წეკ-აბ „მჟავე“, „უმწიფარი“ — წეკ-ლი „სიმჟავე“, ბიდუყ-აბ „სისხლნაკლული“ — ბიდუყ-ლი „სისხლნაკლულობა“...

ყველგან აქ, როგორც ვხედავთ, ამოსავალია გაუფორმებელი ფუძე ზედსართავისა (კლას-ნიშნის გარეშე): წი-, რომელიც ამოსავალია წი-ლი („სიახლე“) აბსტრაქტული სახელის წარმოებისათვის, უდრის ქართულ ფუძეს „ახალ“-ს. გაფორმებული ზედსართავი — წი-ღ-აბ „ახალი“... ხერ-აბ „ბებერი“, „ძველი“... ხალათ-აბ „გრძელი“... ბიდუყ-აბ „სისხლნაკლული“... — განყენებულობის სუფიქსს არ დაირთავს (წი-ღ-აბ-ლი... ხერ-აბ-ლი და მისთ. არ შეიძლება გვქონდეს).

გ) რიცხვითი სახელისაგან ცო „ერთი“ — ცო-ლი „ერთობა“, კიგო „ორი“ — კი-ლი „ორობა“...

რიცხვით სახელს **-ლი** სუფიქსი **-გო** ნაწილაკის გარეშე დაერთვის (კი-გო „ორი“ — კი-ლი და არა: კი-გო-ლი...).

დ) ზმნისაგან: ბუგო „არის“ — ბუგო-ლი „ყოფნა“, „არსებობა“ („არსობა“), „ქონა“, „ყოლა“, ჰეჭო „არ არის“ — ჰეჭო-ლი „არყოფნა“, „არარსებობა“ (*ხედმიწ.* „არარისობა“), „უქონლობა“, „უყოლობა“...

ბუგო-ლი და ჰეჭო-ლი (საპირისპირო მნიშვნელობებით: „ქონა“ — „არქონა“) აღწერთად აწარმოებენ მთელ რიგ აბსტრაქტულ ცნებებს: ფაჟდა ბუგო-ლი „სარგებლობის ქონა“, „სარგებლიანობა“ — ფაჟდა ჰეჭო-ლი „სარგებლობის უქონლობა“... ლაჟ ჰეჭო-ლი „ცოდნის უქონლობა“, „უცოდინარობა“...

ტეჭო „არ მისცა“ — ტეჭო-ლი „მიუცემლობა“ (ნალი ტეჭო-ლი „ვალის მიუცემლობა, გადაუხდელობა“), ბიჟინჭო „არ გაიზარდა, არ გაიხარა“ — ბიჟინჭო-ლი (ჰეჩ ბიჟინჭო-ლი „ვაშლის მოყვასავლიანობა“...).

ე) ზმნისართისაგან შოდო-ბ „ძირს“, „დაბლა“ — შოდო-ბ-ლი „დაბლობი“, ჟანი-ბ „მიგნით“ — ჟანი-ბ-ლი „მიგა ნაწილი“ („მიგნითობა“), „მიგნეულობა“... ტად „ზედ“, „ზემოთ“ — ტად-ლი „უფროსობა“, „ბატონობა“ (ტად-ლი ბოტუღეჟ ჩი „უფროსობის მოყვარული კაცი“, — „კარიერისტი“).

-ლი სუფიქსის რაობის შესახებ. აბსტრაქტულობის **-ლი** სუფიქსი მასდართული წარმოშობისაა. ხალა-თ-ლი „სიგრძე“... ხერ-ლი „სიბერე“... ცო-ლი „ერთობა“... ებე-ლ-ლი „დედობა“... წარმოშობით ხალა-თ-ლი-ზე „დაგრძელება“ (), ხერ-ლი-ზე „დაბერება“, „მოხუცად გახდომა“... ებე-ლ-ლი-ზე „დედად გახდომა“... ცო-ლი-ზე „გაერთიანება“... ნასახელარ ზმნათა მასდარის ფორმებია. ნასახელარ ზმნებს აქ აწარ-

მოებს -ლ' ი ზე „გახდომა“ (, werden), რომელიც ამჟამად მხოლოდ ენკლიტიკურად იხმარება (ძველად დამოუკიდებლადაც უნდა ხმარებულყო). ამ ლ'იზე მეშველი ზმნის მასდარია ლ'ი¹ (შდრ. ბაქიზე „დანთება“ ზმნისაგან მასდარის ფორმა: ბ ა ქ ი. მასდარის წარმოების შესახებ იხ. თავის ადგილას).

§ 107. სადაურობის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება. სადაურობის სახელები, ზედსართავ სახელთა მსგავსად, დაირთავენ მხოლოდობით რიცხვში შესაბამის კლას-ნიშნებს (**ვ, მ, ბ**), მრავლობითში კლას-ნიშნებს რიცხვის ნიშანი (-**ლ**) ცვლის.

სადაურობის აღსანიშნავად შეიძლება გვქონდეს კლას-ნიშნიანი შემდეგი სუფიქსები: 1) **-ა-ვ, -ა-მ, -ა-ბ; მრ. -ა-ლ**, 2) **-ე-ვ, -ე-მ, -ე-ბ; მრ. -ე-ლ**, 3) **-სა-ვ, -სა-მ, -სა-ბ, მრ. -სა-ლ**. ამათგან 2) და 3) დაერთვის სათანადო ადგილის სახელს (გეოგრაფიულ სახელს), ხოლო 1) შეიძლება დაერთოს ადგილის სახელსაც და ხალხის აღმნიშვნელ ფუძესაც.

1) **-ა-ვ²** სუფიქსი სადაურობის აღმნიშვნელ სახელებში: ავარ-ავ „ხუნდი“, ავარიელი“ (მაჭარულ-ავ-ის სინონიმი; — იხ. ქვ.), შურუს-ავ „რუსი“, ნემს-ავ „გერმანელი“, გურუი-მ-ავ „ქართველი“, ბურთი-მ-ავ „ჩაჩანი“, შარაბი-მ-ავ „არაბი“... — საწარმოებელი ფუძე, რომელსაც აქ **-ა-ვ** სუფიქსი დაერთვის, უდრის ხალხის აღმნიშვნელ ფუძეს: ავარ-, შურუს- („რუს“-), ნემს-, გურუი-, ბურთი-, შარაბ...

ცალკე უნდა გამოიყოს: ჭამალ-ავ „ჭამალაღელი“, ბაგვალ-ავ „ბაგვალაღელი“, შანდალ-ავ „ანდალაღელი“, ყარალ-ავ „ყარახელი“, კარალ-ავ „კარატელი“, მაჭარულ-ავ „ხუნდი“...

შენიშვნა: მაჭარულ-ავ („ხუნდი“) ამოსავლად იყენებს, როგორც ეს სხვაგანაც გვქონდა აღნიშნული, მეჭერ („მთა“) სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: მეჭერ „მთა“ — მაჭარულ- „მთისა“ მაჭარულ-ავ „მთისაღ“, „მთისიელი“, „მთიელი“. ასევე შეიძლებოდა ნათესაობითისაგან ნაწარმოებად მიგვეჩინა ფორმები: ჭამალ-ავ „ჭამალაღელი“, ბაგვალ-ავ „ბაგვალაღელი“, შანდალ-ავ „ანდალაღელი“, ყარალ-ავ „ყარახელი“, კარალ-ავ „კარატელი“, რომ ნათელი ყოფი-

¹ შდრ. ქართულში: აბსტრაქტულ ცნებათა საწარმოებელი -ობა სუფიქსი (ძმ-ობ-ა) მასდარული წარმოშობისაა (იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 131, §166).

² საწარმოებელი სუფიქსები და მათი შემცველი ფორმები მოგვეყავს | გრამატიკული კლას-ნიშნით (-**ვ**).

ლიყო საწარმოებელ ფუძეთა ეტიმოლოგია (სახელდობრ, თუ რა სახელის ნათესაობითის ფორმაა?). ისე კი ჭამ-ა-ლ, ბაგე-ა-ლ, შანდ-ა-ლ, ყარ-ა-ლ, კარ-ა-ლ, რომელთაც **-აგ** სუფიქსი დაერთვის, გარეგნულად ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს გვაგონებენ (შდრ. წად-ა-ლ „წვიმისა“).

-აგ სუფიქსი ზოგჯერ შეიძლება ადგილის სახელსაც დაერთოს; შდრ. (მოგვეყავს ჯერ ადგილის სახელი, შემდეგ მისგან ნაწარმოები სადაურობის სახელი): გუბეჩი „კუბაჩი“ — გუბეჩი-ა-გ „კუბაჩელი“; ლ'არაჟი „ვაკე ადგილი“ (ასე უწოდებენ, კერძოდ, ყუმიკებით დასახლებულ ტერიტორიას) — ლ'არაჟი-ა-გ „ვაკელი“; „ვაკე ადგილის მცხოვრები“ (კერძოდ, „ყუმიკი“), ჭოვ „ჭოხი“ — ჭოვი-ა-გ „ჭოხელი“; ტოვ „ტლოხი“ — ტოვი-ა-გ „ტლოხელი“...

2) **-ეგ** სუფიქსი სადაურობის აღმნიშვნელ სახელეზში. ეს სუფიქსი დაერთვის გეოგრაფიულ (ადგილის აღმნიშვნელ) სახელებს; შდრ.: ხუნზაჟ „ხუნძახი“ — ხუნზაჟ-ე-გ „ხუნძახელი“, ბოლი-ვ „ბოთლინი“ — ბოლი-ვ-ე-გ „ბოთლიხელი“, ანსაჟ „ანწუხი“ — ანსაჟ-ე-გ „ანწუხელი“... ასევე: სიდეჟ — სიდეჟ-ე-გ, მოჰოჟ — მოჰოჟ-ე-გ, ღონოჟ — ღონოჟ-ე-გ... ჰიდალ — ჰიდალ-ე-გ, სულრალ — სულრალ-ე-გ, ჰიჰალ — ჰიჰალ-ე-გ... ღამსუტ — ღამსუტ-ე-გ, წობოტ — წობოტ-ე-გ, წილიტ — წილიტ-ე-გ...

3) **-სეგ** სუფიქსი სადაურობის აღმნიშვნელ სახელეზში. ეს სუფიქსიც ისევე, როგორც **-ეგ** (იხ. ზემოთ), გეოგრაფიულ (ადგილის აღმნიშვნელ) სახელებს დაერთვის: შანდი(ბ) „ანდი“ — შანდი-სე-გ „ანდიელი“, ტინდი(ბ) „ტინდი“ — ტინდი-სე-გ, გენუ-ბ „გიმირი“ (შამილის სამშობლო აული) — გენუ-სე-გ „გიმირელი“, ჰიკა(ბ) „ჰირკეი“ — ჰიკა-სე-გ „ჰირკეელი“... ასევე: ყაჰიბ — ყაჰიბ-სე-გ... წადა — წადა-სე-გ, სალტა — სალტა-სე-გ, ონსოქოლო (აული, სადაც ლეკებს ტყვედ ჰყავდათ დ. გურამიშვილი; შინდის ჯოხებს აკეთებენ) — ონსოქოლო-სე-გ, რულჟა — რულჟა-სე-გ, კოჰორი(ბ) — კოჰორი-სე-გ, წარგაბი — წარგაბი-სე-გ, ბუწრა — ბუწრა-სე-გ, ბატაჟი — ბატაჟი-სე-გ...

ამრიგად, როგორც **-ეგ**, ისე **-სეგ** სადაურობის აღმნიშვნელ სახელებს გეოგრაფიული სახელებისაგან აწარმოებენ.

-ეგ აწარმოებს სადაურობის სახელებს ისეთი გეოგრაფიული სახელებისაგან, რომელთაც დაბოლოებად აქვთ ლოკატივის ნიშნები (წარმოშობით თანდებულები): **-ჯ**, **-ლ'** და **ტ**. ეს დაბოლოებები გადაჰყვება გეოგრაფიულ სახელებს სადაურობის აღმნიშვნელ სახელთა ფორმებში და ვიღებთ: **-ჯ-ე-გ** (ხუნზაჟ: ხუნზა-ჯ-ე-გ „ხუნძახელი“...), **-ლ'-ე-გ** (ჰიდალ: ჰიდალ-ლ'-ე-გ „ჰიდალელი“...), **-ტ-ე-გ** (წილი-ტ: წილი-ტ-ე-გ „წილიტელი“...).

-სიე-ვ ისეთ გეოგრაფიულ სახელებს დაერთვის, რომელთაც დაბოლოებად აქვთ ლოკატივის ნიშნები: **-და**, **-ტა** და **-ბ** (კლას-ნიშანი, რომელიც ხშირად შეიძლება დაიკარგოს). ამათგან **-და** და **-ტა** გეოგრაფიულ სახელებს სადაურობის სახელთა ფორმებშიც გადაჰყვება და ვიღებთ: **-და-სიე-ვ** (ბაწადა: ბაწა-და-სიე-ვ „ბაწადელი“...), **-ტა-სიე-ვ** (ანსაალ-ტა: ანსაალ-ტა-სიე-ვ „ანსაალტელი“; -ბ (კლას-ნიშანი) კი ყოველთვის ეკვეცება (ჭანდი-ბ: ჭანდი-სიე-ვ „ანდიელი“... ლუნი-ბ: ლუნი-სიე-ვ „ლუნიბელი“...).

აღნიშნული სხვაობა **-ე-ვ** და **-სიე-ვ** ფორმანტთა გამოყენების მხრივ ანალოგიური ჩანს იმისა, რაც დაშორებითი (საიდან?) ბრუნვის წარმოებიდან ვიცით: ამ ბრუნვას აწარმოებს **-ა** სუფიქსი, როცა ლოკატივის ნიშნებად გვაქვს: **-ჭ**, **-ლ'**, **-ტა** (**-ჭ**; **-ჭ-ა**, **-ლ'**: **-ლ'-ა**, **-ტა**: **-ტა-ა**), და **-საა** — როცა ლოკატივის ნიშნებია: **-და** || **-ტა** და კლას-ნიშანი **-ბ** (**-და**: **-და-საა**, **-ტა**: **-ტა-საა**, **-ბ**: **-საა**).

ამრიგად, დაშორებითი ბრუნვის ნიშნებსა და სადაურობის აღმნიშვნელ სახელთა საწარმოებელ ფორმანტებს შორის შემდეგი მიმართება მყარდება: დაშორებითი ბრუნვის **-ა**: **-საა** = სადაურობის საწარმოებელი **-ე-ვ**: **-სიე-ვ**.

დაშორებითი ბრუნვის წარმოებასთან დაკავშირებით ჩვენ ვივარაუდეთ, რომ სხვაობა **-ა** და **-საა** ფორმანტთა შორის მეორეულია: **-ა**, რომელიც ლოკატივის მხოლოდ ოდენ თანხმოვნიან დაბოლოებათა (**-ჭ**, **-ლ'**, **-ტა**) შემდეგ გვაქვს, სხვა არაფერია თუ არ **-საა**-ს ფონეტიკურად გამარტივებული ვარიანტი (§ 92).

ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანალოგიური სხვაობა სადაურობის **-ე-ვ** და **-სიე-ვ** ფორმანტთა შორისაც (**სა** ელემენტის ქონა-არქონის მიხედვით) მეორეულია და **-ე-ვ** **-სიე-ვ**. მართლაც, **-ე-ვ**, როგორც ზემოთ ვნახეთ, სავსებით იმავე ფონეტიკურ გარემოში (თანხმოვნის შემდეგ) იჩენს თავს, რაშიც **-ა** დაშორებითი ბრუნვისა.

თუ ეს ასეა, მაშინ დაშორებითი ბრუნვისა და სადაურობის ფორმანტებს შორის ერთწევროვანი შეფარდება გვექნება: დაშორებითი ბრუნვის **-საა** (ა): სადაურობის **-სიე-ვ** (-ე-ვ).

ამრიგად, სადაურობის აღსანიშნავად გვრჩება ორი ფორმანტი: **-ა-ვ** და **-სიე-ვ** (|| -ე-ვ).

ეს კი იგივე ფორმანტებია, რაც ზედსართავ სახელებს აწარმოებს (ზედსართავთა წარმოების შესახებ იხ. § 117); შდრ.:

-ა-ვ: ჭურუს-ავ „რუსი“ — ზედსართ. ლ'იკ-ავ „კარგი“... ჭოვიძ-ავ „ჭოხელი“... — ზედსართ. კუდიძ-ავ „დიდი“..., მაჭარულ-ავ „ხუნდი“ (**-ავ** სუფიქსი აქ ნათესაობითის ფორმას — მაჭარულ-ლ „მთისა“ — დაერთვის) — მესედილ-ა-ბ „ოქროსი“ „ „ (**-ა-ბ** სუფიქსი აქ დაერთვის ნათესაობითის — მესედილ-ი-ლ „ოქროსი“ — ფორმას)..;

-სე-ვ: შანდი-სე-ვ „ანდიელი“... — ზედსართ. უყაყ-სე-ვ „დღევანდელი“. ამრიგად, სადაურობის აღმნიშვნელ სახელებს ზედსართავებთან საერთო საწარმოებელი ფორმანტები აღმოაჩნდა.

§ 108. სადაურობის აღმნიშვნელ (ეთნიკურ) სახელთა თავისებურებანი მრავლობითში. ხუნძური ზოგი ეთნიკური სახელი, რომელსაც კრებსითი მნიშვნელობა აქვს (აღნიშნავს სათანადო თემის, აულის მცხოვრებთა ერთობლიობას), მრავლობითობის სპეციალური ფორმანტის გარეშეც შეიძლება გვქონდეს (გამოიყენება შიშველი ფუძე): ხაუნზ- „ხუნძახელები“ (ხუნძახის თემის მცხოვრებნი), ჰიდ- „ჰიდათლელები“, ყეჰ- „ყაჰიბელები“, რუდეჟ- „რუდეჟელები“, ბეწ- „ბაწადელები“, ბეტჟეჟ- „ბატლაიჭელები“... ზოგი მრავლობითის ფორმანტსაც შეიძლება დაირთავდეს: შანდ-ალ „ანდიელები“ (ანდის თემის მცხოვრებნი), ანსა-ალ „ონსოქოლოელები“, ჭაჯ-ალ „ჭოხელები“, სულ-ულ „სულრათლელები“... მნიშვნელობის მიხედვით შესაბამისი რაიმე განსხვავება მრავლობითობის ფორმანტის მქონე და ასეთი ფორმანტის არმქონე სახელთა შორის არ შეიმჩნევა (უფორმანტო ხაუნზ ისევე აღნიშნავს ხუნზახის თემის მცხოვრებთ, როგორც ფორმანტიანი შანდალ — ანდის თემის მცხოვრებთ).

ბრუნების მხრივ ეს სახელები (დამოუკიდებლად იმისა, აქვთ მრავლობითობის ფორმანტი თუ არა) შემდეგ თავისებურებებს იჩენენ:

ა) ერგატივიდან მოყოლებული ფუძეზე დაირთავენ **-დერ** სუფიქსს, რომელსაც მოსდევს დამაკავშირებელ ხმოვნად **-ი-**, ხოლო ამ უკანასკნელს — ბრუნვათა დაბოლოებები;

ბ) ერგატივიში ბრუნვის ნიშნად იყენებენ **-ცა** (სამხრ.-ხუნძურში **-დ**) დაბოლოებას.

ბრუნების ნიმუშები

სახ. ხაუნზ	ჰიდ	ყეჰ
„ხუნძახელები“	„ჰიდათლელები“	„ყაჰიბელები“
ერგ. ხაუნ-დერ-ი-ცაა	ჰი-დერ-ი-ცაა	ყეჰ-დერ-ი-ცაა
ნათ. ხაუნ-დერ-ი-ლ	ჰი-დერ-ი-ლ	ყეჰ-დერ-ი-ლ
მიც. ხაუნ-დერ-ი-დე	ჰი-დერ-ი-დე	ყეჰ-დერ-ი-დე
სახ. შანდ-ალ	ანსა-ალ	ჭაჯ-ალ
„ანდიელები“	„ონსოქოლოელები“	„ჭოხელები“
ერგ. შანდა-დერ-ი-ცაა	ანსაა-დერ-ი-ცაა	ჭაჯა-დერ-ი-ცაა
ნათ. შანდა-დერ-ი-ლ	ანსაა-დერ-ი-ლ	ჭაჯა-დერ-ი-ლ
მიც. შანდა-დერ-ი-დე	ანსაა-დერ-ი-დე	ჭაჯა-დერ-ი-დე

შენიშვნა 1. **-დერ** სუფიქსის **დ** თანხმოვნითი ელემენტი ფუძეს (შეხორცებულად) ზოგჯერ სახელობითშიც შეიძლება აღმოჩნდეს: ხუნ-**ზ** ხუნ-**დ** „ხუნძახელები“ (შდრ. ხუნ-დერ-ი-ცაა „ხუნძახელებმა“...), ჰი-**დ** „ჰიდათლელები“ (შდრ. ჰი-დერ-ი-ცაა „ჰიდათლელებმა“...)¹.

შენიშვნა 2. წარმომავლობის სახელები („ხუნძახელი“... „ჰიდათლელი“), რომლებიც იწარმოებიან სათანადო ადგილის (თემის, აულის) სახელისაგან, მხოლოდობით რიცხვში დაირთავენ კლასნიშნებს, მრავლობითში — რიცხვის ნიშანს: ხუნზავე-ვ, ხუნზავე-დ „ხუნძახელი“, მრ. რ. ხუნზავე-ლ „ხუნძახელები“ (§ 107). იბრუნვიან ასეთი სახელები ისევე, როგორც ყველა სახელი, რომელიც სუფიქსად კლასნიშანს დაირთავს; ხუნზავე-ვ „ხუნძახელი (მამაკაცი)“ — ერგ. ხუნზავე-სა... ხუნზავე-დ „ხუნძახელი (ქალი)“ — ერგ. ხუნზავე-ლ... ხუნზავე-ლ „ხუნძახელები“ — ერგ. ხუნზავე-ზ...

ხუნ-**ზ**- და ხუნ-**ზ**-**ა**-**ვე**-**ლ** „ხუნძახელები“ ორივეს მრავლობითის შინაარსი აქვს, ოღონდ პირველი, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, კრებითი მნიშვნელობისაა (ხუნძახის თემის მცხოვრებთა ერთობლიობა).

ორი საზოგადო არსებითი სახელი (ჰობოლ „სტუმარი“ და ლალ „მონა“) მრავლობით რიცხვში ისევე იბრუნვის, როგორც ეთნიკური სახელები; შდრ.:

სახ. ჰალბ-ალ „სტუმრები“ — ერგ. ჰალბა-დერ-ი-ცაა, ნათ. ჰალბა-დერ-ი-ლ, მიც. ჰალბა-დერ-ი-დ-ე,

სახ. ლალზალ „მონები“ — ერგ. ლალზა-დერ-ი-ცაა, ნათ. ლალზადერ-ი-ლ, მიც. ლალზა-დერ-ი-დ-ე.

§ 109. უქმარისობის (უქონლობის) -ყ სუფიქსი. ეს სუფიქსი დაერთვის არსებით სახელებს და გამოხატავს რისამე სიმცირეს, არასაკმარაოდენობას, ნაკლებობას (სემანტიკური გადახრით — უქონლობასაც). ამ სუფიქსის მქონე ფუძეები ჩვეულებრივ ზედსართავის საწარმოებლად გამოიყენება: წიან „მარილი“ — წიამუ-ყ: წიამუ-ყ-აბ „მცირე-მარილიანი“, „მარილ-ნაკლები“ („უმარილო“)... ტჰერ „ფერი“ — ტჰერუ-ყ: ტჰერუ-ყ-აბ „ფერმკრთალი“ („უფერული“)...

¹ შდრ.: ლ. ყირკოვის აზრით, ხუნზ „ხუნძახელები“ — ერგ. ხუნდერ-ი-ცაა ხუნზ-დერ-ი-ცაა „ხუნძახელებმა“... ჰიდ „ჰიდათლელები“ — ჰი-დერ-ი-ცაა ჰიდ-დერ-ი-ცაა „ჰიდათლელებმა“; იხ. [. . .] გვ. 171.

ამავე ფუძეებისაგან შეიძლება ვაწარმოოთ აბსტრაქტული არსებითი სახელებიც **-ლი** სუფიქსით: წიან „მარილი“ — წიამუ-ყ-: წიამუ-ყ-ლი „მცირემარილიანობა“ („უმარილობა“), რახ¹ „რძე“ — რახ¹-და-ყ-: რახ¹-და-ყ-ლი „მცირერძიანობა“ („ურძეობა“), ტჷერ „ფერი“ — ტჷერუ-ყ-: ტჷერუ-ყ-ლი „ფერმკრთალობა“ („უფერულობა“), ხურ „ყანა“ — ხურუ-ყ-: ხურუ-ყ-ლი „მცირემოსავლიანობა“, „მოუსავლიანობა“ (*ზედმიწ.* „უყანობა“)...

ამოსავალი ფუძე, რომელსაც **-ყ** სუფიქსი დაერთვის, უდრის იმ ფუძეს არსებითი სახელისას, რომელიც გვაქვს ერგატივ ნათესაობით-მიცემითში (და არა სახელობითში); უდრ.: წიამ (ნათ. წიამ-უ-ლ) „მარილი“ — წიამ-უ-ყ-; რახ¹ (ნათ. რახ¹-და-ლ) „რძე“ — რახ¹-და-ყ-; ლ¹ინ (ნათ. ლ¹-და-ლ — ლ¹-და-ყ-...

შენიშვნა. რისამე სრული უქონლობა აღწერით იწარმოება (სათანადო სახელს დაერთვის ჰეჰე-ბ, *მიძღ.* ჰეჰო „არ არის“ მეშველი ზმნისა): წიან ჰეჰე-ბ „მარილის უქონელი“, „უმარილო“... ფადა ჰეჰე-ბ „სარგებლის უქონელი“, „უსარგებლო“... მეგეჰ ჰეჰე-ვ „უწვერო“... (უდრ.: წიან ბუგე-ბ „მარილის მქონე“, „მარილიანი“... ფადა ბუგე-ბ „სარგებლის მქონე“, „სარგებლიანი“, მეგეჰ ბუგე-ვ „წვერიანი“... — დადებითს მნიშვნელობას გადმოგვცემს ბუგე-ბ, *მიძღ.* ბუგო „არის“ მეშველი ზმნისა).

§ 110. -შალ სუფიქსი ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელ სახელებში. ნათესაური ურთიერთობის ზოგ სახელს აწარმოებს სუფიქსი **-შალ**¹: ვაცა-შალ „ბიძაშვილი ვაჟი“ (უდრ. ვაცა „ძმა“), დაცა-შალ „ბიძაშვილი ქალი“ (უდრ. დაცა „და“), იმ-შალ „ბიძა“ (უდრ. ემენ იმენ „მამა“). ეგევე სუფიქსი უნდა გვქონდეს სიტყვაში: ცაუნა-შალ „გარეთა ბიძაშვილი“, **-შალ** სუფიქსის ვარიანტი ჩანს **-ყალ**: უნ-ყალ „ბიცოლა“

-შალ (|| **-ყალ**) სუფიქსიანი არსებითი სახელები მრავლობითი რიცხვის ნიშნად დაირთავენ **-ზაბი** სუფიქსს: ვაცაშალ-ზაბი „ბიძაშვილები“... იმშალ-ზაბი „ბიძები“... უნყალ-ზაბი „ბიცოლები“...

§ 111. გასუბსტანტივებული მასდარი -ელ || -ენ სუფიქსებით. მოიპოვება გასუბსტანტივებულ მასდართა წყება, რომელთა მაწარმოებლად აქვთ **-ელ || -ენ** სუფიქსები. მაგალითები (შესადარებლად მოგვყავს შესაბამისი ზმნური ფორმებიც — ჯერ ინფინიტივისა, შემდეგ მასდარისა, რომლებიც ყველგან ფრჩხილებშია ჩასმული):

¹ ლ. ყირკოვის განმარტებით შალ — „...“, („...“); იხ. „...“, „...“ გვ. 185.

-ელ: ურღელ „ფიქრი“ (ურღიზე, ურღი), ხველ „სიკვდილი“ (ხვეზე, ხვეღ), როხელ „სინარული“ (ბოხიზე, ბოხი), რექელ „ნატეხი“, „ნამსხვრევი“ (ბექიზე, ბექი „გატყდომა“, „გატეხა“), რეყელ „მშვიდობა“, „ზავი“ (რეყეზე, რეყეღ „შერიგება“), რეტელ „ტანსაცმელი“ (რეტინე, რეტინ „ჩაცმა“), ჰეყელ „სასმელი“ (ჰეყეზე, ჰეყეღ „სმა“), რეგელ „საწოლი“ (ბეგიზე, ბეგი „წოლა“), რეშელ „თავისუფალი დრო“ (რეშიზე, რეში „დროს ქონა“), რათელ „ქონება“ (ბათიზე, ბათი „პოვნა“), ლელ „ჩასადები“, „ბუღელ“, „ქარქაში“ (ლელზე, ლელღ „დება“), ტალელ „სარქველი“, „თავსახურავი“: ღანსილ ტალელ „სკივრის სარქველი“ (ტად ლელზე „დადება“, ტაშელ „ნაკეთობა“ (ტაშინე, ტაშინ „გათავება“), რიტელ „ვაკე“, „დაბლობი“ (ბიტზე, ბიტი „გასწორება“). ლელშელ „ბოლო“, „დასასრული“ (ლელშიზე, ლელში „გათავება“), მელ „საკი“ (მელზე, მელღ „ზრდა“). ჭელ „მიზანი“ (ჭელზე, ჭელღ „დგომა“), ლელშელ „ჭრილობა“ (ლელშიზე, ლელში „დაჭრა“), როკელ „ბინდი“, „მწუხრი“ (როკინე, როკინ „დაბინდება“, „შებინდება“), სვერელ „ქცევა (უქცევს)“, „კილო“, „დიალექტი“ (სვერინე, სვერი „ტრიალი“, „ბრუნვა“), -ცელ: ხარი-ცელ „ცელი“ (ბეციზე, ბეცი „თიბვა“, ცელვა“), რუჰელ „სიცივე“, „ყინვა“ (ბუჰიზე, ბუჰი „გაცივება“, „გაყინვა“), რუჰელ „სიცივე“, „წვა“ (ბუჰიზე, ბუჰი „გაცხელება“)...

-ენ: რიკენ „რიცხვი“, „რაოდენობა“ (რიკინე, რიკინ „თვლა“), რეწენ „გადასახადი“, „გამოსასყიდი თანხა“ (ბეწიზე, ბეწი „გადახდა“), რორწენ „ღარი“ (რორწინე, რორწინ „გამოდარება“), როცენ „საზომი“, „ზომა“ (ბოცინე, ბოცინ „გაზომვა“), რუხენ „თოკი“, „საბელი“ (ბოხინე, ბოხინ „მიბმა“), რელენ „მსგავსება“ (რელინე, რელინ „მსგავს-ყოფნა“), როჰენ „განთიადი“ (როჰინე, როჰინ „გათენება“), რელენ „საღებავი“ (ბელინე, ბელინ „ღებვა“)...

-ენ შედარებით იშვიათია, **-ელ** ხშირია; უფრო ძველი უნდა იყოს **-ენ** სუფიქსი.

გასუბსტანტივებული მასდარის საწარმოებლად ხუნძურს სხვა საშუალებებიც მოეპოვება (დაწვრილებით იხ. მასდარის წარმოებასთან დაკავშირებით).

§ 112. არსებით სახელთა წარმოება კლას-ნიშნებით. სიტყვაწარ-

მოებითი მნიშვნელობით გრამატიკული კლას-ნიშნებიც შეიძლება იქნეს გამოყენებული.

კლას-ნიშნების მონაცვლეობა ერთსა და იმავე ფუძესთან გაგვარჩევინებს ლექსიკურ მნიშვნელობებს: ვ-აცა „ძმა — დ-აცა „და“; ვ-ას „ვაჟიშვილი“ — დ-ას „ქალიშვილი“ — ბ-ასი „მოზვერი“; ვ-ატხად „სიმაჰრი“ — დ-ატხად „სიდედრი“...

მრავლობით რიცხვში ასეთ სახელებს შესაბამისი კლას-ნიშანი უცვლელად გადაჰყვება (ვ-აცა „ძმა“ — ვ-აცალ „ძმები“, დ-აცა „და“ — დ-აცალ „დეები“, ბ-ასი „მოზვერი“ — ბ-უსბი „მოზვერები“, ვ-ატხად „სიმაჰრი“ — ვ-ატხადზაბი „სიმაჰრები“, დ-ატხად „სიდედრი“ — დ-ატხადზაბი „სიდედრები“).

ზედსართავი სახელი

§ 113. ზედსართავის ფუძე და გასაფორმებელი სუფიქსები.

პირველადი (ვითარებითი) ზედსართავი სახელი შეიძლება იყოს გაფორმებული და გაუფორმებელი. უკანასკნელი უდრის ზედსართავის ფუძეს (რომელიც შეიძლება ბოლოვდებოდეს თანხმოვანზე ან ხმოვანზე): ლ'იკ- (|| ლ'ი-) „კარგ-“, ქვეშ- „ცუდ-“, ჰიტინ- „პატარა-“, კოდო- „დიდ-“, ვაჰ- „თეთრ-“, ჰეჰერ- „შავ-“, ხალათ- „მოკლე-“, ყოყ- „გრძელ-“, ტერენ- „წვრილ-“, ჰაჰა- „მსხვილ-“, თამახ- „რბილ-“, შაულა- „მაგარ-“, დაჰ- „ცოტა-“, ჰემერ- „ბევრ-“, ტუტ- „მსუბუქ-“, ბაკ- „მძიმე-“, წი- „ახალ-“, ბასრა- „ძველ-“, ხერ- „მოხუც-“, ხინ- „თბილ-“, ტარა- „მსუქან-“... ზოგ ფუძეში პრეფიქსად გრამატიკული კლას-ნიშანიც (და რიცხვის ნიშანი) შეიძლება გვექონდეს: ვ-ორხათ- (დ-ორხათ, ბ-ორხათ; მრ. რ-ორხათ-) „მაღალ-“, ვ-აწად (დ-აწად, ბ-აწად; მრ. რ-აწად-) „სუფთა“, „წმინდა“, ვ-იცაათ- (დ-იცაათ-, ბ-იცაათ-; მრ. რ-იცაათ-) „სქელ-“...

ვითარებითი ზედსართავის ფუძეს ისევე, როგორც ძველ ქართულში, ზმნისართის გაგება აქვს (ზმნის შინაარსს განმარტავს: აღნიშნავს მოქმედების თვისებას)¹: ლ'იკ-... ბერცინ-... ქვეშ-... ჰაბულა „კარგად... ლამაზად... ცუდად აკეთებს“... ხინ ბუგო „თბილა“ (ზედმიწ. „თბილ არს“)... ტუტ ბუგო „მსუბუქია“ (ზედმიწ. „სუბუქ არს“)... წოდორ ვუჟა „ფრთხილად იყავ!“ (ზედმიწ. „ფრთხილ იყავ!“)... ლ'იკ ვუჟა „კარგად იყავ!“ (ზედმიწ. „კარგ იყავ!“)... წულ ჰაჰა ბიჰუნ ბუგო „შეშა მსხვილად (ზედმიწ. „მსხვილ“) დაჭრილია“...

არსებითი სახელის მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავი სახელი ჩვეულებრივ გაფორმებულია ფუძეზე კლას-კატეგორიის მიხედვით განსხვავებული სუფიქსების დართვით: მხ. რ.: -ავ (I კლ.), -აფ (II კლ.), -აბ (III კლ.); მრ. რ.: -ალ (I-III კლ.); შდრ.:

ლ'იკ- — ლ'იკ-ავ, ლ'იკ-აფ, ლ'იკ-აბ „კარგი“ (მრ. რ. ლ'იკ-ალ);

ჰიტინ- — ჰიტინ-ავ, ჰიტინ-აფ, ჰიტინ-აბ „პატარა“, „უმცროსი“ (მრ. რ. ჰიტინ-ალ);

ხერ- — ხერ-ავ, ხერ-აფ, ხერ-აბ „მოხუცი“, „ბებერი“ (მრ. რ. ხერ-ალ);

ვაჰ- — ვაჰ-ავ, ვაჰ-აფ, ვაჰ-აბ „თეთრი“ (მრ. რ. ვაჰ-ალ);

ჰეჰერ- — ჰეჰერ-ავ, ჰეჰერ-აფ, ჰეჰერ-აბ „შავი“ (მრ. რ. ჰეჰერ-ალ);

ვ-აწად-, დ-აწად-, ბ-აწად- (მრ. რ. რ-აწად-) — ვ-აწად -ავ, დ-აწად-აფ, ბ-აწად-აბ „სუფთა, წმინდა“ (მრ. რ. რ-აწად-ალ);

ვ-იცაათ-, დ-იცაათ-, ბ-იცაათ- (მრ. რ. რ-იცაათ-) — ვ-იცაათ-ავ, დ-იცაათ-აფ, ბ-იცაათ-აბ „სქელი“ (მრ. რ. რ-იცაათ-ალ).

¹ შდრ. ძვ. ქართულში: სცა მას ძლიერ -.

როცა ზედსართავის გამაფორმებელი სუფიქსები ხმოვანზე გათავებულ ფუძეს დაერთვის, ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანსა და სუფიქსის თავკიდურ ხმოვანს შორის ჩნდება **ფ** (ხმოვანთგასაყარად): წი- „ახალ-“ — წი-ფ-აბ „ახალი“¹... ხმოვანთგასაყარმა **ფ**-მ შეიძლება დაიმსგავსოს ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი: ჭაჭა — ჭაჭა-ფ-აბ (ჭაჭა-ფ-აბ), „მსხვილი“... შაულა- — შაული-ფ-აბ (შაულა-ფ-აბ) „მაგარი“... ტარა- — ტარი-ფ-აბ (ტარა-ფ-აბ) მსუქანი“... ბატა- — ბატი-ფ-აბ (ბატა-ფ-აბ) „განსხვავებული“... ლამა- — ლამი-ფ-აბ (ლამა-ფ-აბ) „თხელი“... კოდრ- — კული-ფ-აბ (კული-ფ-აბ) დიდი“...

ყურადღებას იქცევს ზედსართავი სახელის სუფიქსთა (**-ავ**, **-აფ**, **-აბ**; **-აღ**) სრული მსგავსება ჩვენებითი ნაცვალსახელის ფორმებთან (შდრ. ა-ვ, ა-ფ, ა-ბ „ეს“, ა-ღ „ესენი“). ეს მსგავსება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ზედსართავის სუფიქსები ხუნძურში წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელის მზამზარეული ფორმები უნდა იყვნენ² (ამას რიგი ენის ისტორიაში აქვს ანალოგია).

ჩვენებითი ნაცვალსახელი ჯერ მსაზღვრელ ნაწევრად უნდა ყოფილიყო გამოყენებული არსებით სახელთან: ლ'იკ ა-ვ ვას „კარგ- ეს(ე) „ვაჟი“, ლ'იკ ა-ფ დას „კარგ- ეს(ე) „ქალიშვილი“, ლ'იკ ა-ბ ჩუ „კარგ- ეს(ე) „ცხენი“... ვ-აწად ა-ვ ვას „სუფთა ეს(ე) „ვაჟი“, ფ-აწად ა-ფ დას „სუფთა ეს(ე) ქალიშვილი“, ბ-აწად ა-ბ რუყ „სუფთა ეს(ე) სახლი“ და ა. შ. შემდეგ კი ჩვენებითი ნაცვალსახელი შერწყმია მის წინ მდგომ ზედსართავ სახელს: ლ'იკ-ავ ვას „კარგი ვაჟიშვილი“ (*ზედმიწ.* „კარგ-ეს(ე) „ვაჟიშვილი“), ლ'იკ-აფ დას „კარგი ქალიშვილი“, ლ'იკ-აბ ჩუ „კარგი ცხენი“... ვ-აწად-ავ ვას „სუფთა ვაჟიშვილი“, ფ-აწად-აფ დას „სუფთა ქალიშვილი“, ბ-აწად-აბ რუყ „სუფთა სახლი“...

კლას-კატეგორიის მიხედვით ცვალეზადი ჩვენებითი ნაცვალსახელის შერწყმით ზედსართავის ფუძესთან საზღვრული არსებითი სახელის კლასი (და რიცხვი) ზედსართავის დაბოლოებებში პოვებს ასახვას (ლ'იკ-ავ ვას „კარგი ვაჟი“, ლ'იკ-აფ დას „კარგი ქალიშვილი“...); ისეთ ზედსართავში კი, რომელსაც ფუძეში კლას-ნიშანი პრეფიქსადაც ჰქონდა (სანამ მას ჩვენებითი ნაცვალსახელი შეერწყმოდა), საზღვრული სახელის კლასი (და რიცხვი) ამ-

¹ სიმარტივისათვის გაფორმებული ზედსართავი მოგვყავს ერთ-ერთი კლასის ფორმით (III კლასის ფორმით, -აბ სუფიქსით).

² . . . , I, 1935; არნ. ჩიქობავა, ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში, ენიკი-ს მოამბე, XII, 1942, გვ. 33; . . . , 1949, გვ. 150; . . . I . . . , I, 1958, გვ. 84; ბეს. კიკვიძე, ზედსართავი სახელი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 71, 1958, გვ. 99.

ჟამად ო რ მ ა გ ა დ ა ისახება — პრეფიქსითაც და სუფიქსითაც (ვ-აწად-ავ ვას „სუფთა ვაჟი“; დ-აწად-ად მას „სუფთა ქალიშვილი“...). ასეთ ზედსართავ სახელში კლას-ნიშანი პრეფიქსი და კლას-ნიშანი სუფიქსი რომ სხვადასხვა წარმოშობისაა (მიუხედავად მათი ფუნქციური ერთობისა), ამას ისიც მოწმობს, რომ პირველი ზედსართავს გაჰყვება ყველა ნაწარმოებ ფორმაში, მეორე, როგორც ფუძის გამაფორმებელი სუფიქსი, შორდება ფუძეს ნაწარმოებ ფორმებში (შდრ. ბ-აწად-აბ „სუფთა“ — ბ-აწად-ლ'იზე „გასუფთავება“ [ბ-აწა^ად^ა-ლ'ანა „გასუფთავდა“] — ბ-აწა^ად^ა-ლ'ი „სისუფთავე“...; ლ'იკ-აბ „კარგი“ — ლ'იკ-ლ'იზე „კარგად გახდომა“ — ლ'იკ-ლ'ი „სიკარგე“, „სიკეთე“...).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. მსაზღვრელის როლში გამოყენებული შეიძლება იყოს გაუფორმებელი ზედსართავიც (ე. ი. ზედსართავის ფუძე: ჭეჭერ- „შავ-“... ტერენ- „წვრილ-“... ბ-აწად- „სუფთა-“...). გაუფორმებელი ზედსართავი მსაზღვრელის როლში გამოდის, როგორც წესი, კომპოზიტებში (იხ. § 101) და, აგრეთვე, მსაზღვრელ-საზღვრულის ისეთ წყვილებში, რომელთა ერთეულებს შორის კავშირი რამდენადმე მყარია და, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ მოპოვებული (მსაზღვრელ-საზღვრულის ასეთი წყვილებიც არსებითად კომპოზიტებია): ჭეჭერ-რალად „შავი ზღვა“, (ზედმიწ. „შავ-ზღვა“), ბეწ-ჰორ „ბნელი მდინარე“ (= „ყარაყოფსუ“ — მდინარის სახელწოდ.), შისაინ-ჰარაც „წვრილი ფული“, „ხურდა“...

გარდა ამისა, გაუფორმებელი ზედსართავის ხმარებას გაფორმებულის ნაცვლად შეიძლება ჰქონდეს გარკვეული სტილისტიკური ნიუანსი. პოეზიაში გაუფორმებელი ზედსართავის ხმარება მსაზღვრელად უფრო ხშირია, ვინემ პროზაში¹.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. გაუფორმებელ ზედსართავს სპეციალურ ლიტერატურაში უწოდებენ ზოგჯერ „მოკლე ფორმას“, ხოლო გაფორმებულს — „სრულ ფორმას“². მოკლე ფორმა ფუძეა ზედსართავისა (ამდენად იგი ფორმა არ არის).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. გაფორმებულ ზედსართავში კლას-ნიშანი პრეფიქსი (როცა იგი მოიპოვება ფუძეში) და კლას-ნიშანი სუფიქსი, როგორც ზემოთ აღნიშნული გვქონდა, ორივე მიუთითებს ერთსა და იმავე საზღვრულ არსებით სახელზე (ვ-აწად-ავ ვას „სუფთა ვაჟიშვი-

¹ . . . , გვ. 149-176; ბეს. კიკვიძე, ზედსართავი სახელი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 71, გვ. 99-100.

² . . . , გვ. 150.

ლი“...). გარკვეულ შემთხვევებში კი პრეფიქსი და სუფიქსი შეიძლება სხვადასხვა სახელებზეც მიუთითებდეს; შდრ.: რეტელ ბ-აწაღ-ავ ვას „ტანსაცმელ-სუფთა ვაჟი“, რეტელ ბ-აწაღ-ად მას „ტანსაცმელ-სუფთა ქალიშვილი“..., გაბურ ბ-ორხათ-ავ ვას „კისერ-მაღალი ვაჟი“, გაბურ ბ-ორხათ-ად მას „კისერ-მაღალი ქალიშვილი“... — მსაზღვრელ ზედსართავ სახელთან აქ არსებითად ორი საზღვრული სახელია დაკავშირებული: ერთი წინ უსწრებს მას, მეორე — მოსდევს; პირველი აღინიშნება პრეფიქსით, მეორე — სუფიქსით.

§ 114. ზედსართავის წარმოება არსებითი სახელის ფუძისაგან.

ზედსართავი სახელი შეიძლება ვაწარმოოთ არსებითი სახელის ფუძეზე **-ავ, -აჲ, -აბ, -ალ** სუფიქსების დართვით: ზიდან „ზიანი“ — ზიდან-აბ¹ „სა-ზიანი“, „მავენე“, ბაჰარჩი „ვაჟკაცი“, „გმირი“ — ბაჰარჩი-აბ „ვაჟკაცი“, „გმირული“, ლითერათურა „ლიტერატურა“ — ლითერათური-აბ „ლიტერატურული“, თათუ „გემო“ — თათუ-აბ „გემრიელი“, ვატან „სამშობლო“ — ვატანი-აბ „მშობლიური“, „სამამულო“ (ვატანი-აბ რალ „სამამულო ომი“), ჭელმუ „მეცნიერება“ — ჭელმი-აბ „მეცნიერული“, „სამეცნიერო“ (ჭელმი-აბ თეორიდა „მეცნიერული თეორია“... ჭელმი-აბ ჰალტუჟან „მეცნიერი მუშაკი“), აგრონომ „აგრონომი“ — აგრონომი-აბ „აგრონომიული“, ფედაგოგ „პედაგოგი“ — ფედაგოგი-აბ „პედაგოგიური“, ფოლითიქა „პოლიტიკა“ — ფოლითიქი-აბ „პოლიტიკური“ და ა. შ. ასეთი წარმოება ჩვეულებრივია სამწერლო ხუნძურში.

ეგვევ სუფიქსი დაერთვის უკმარობის (უქონლობის) აღმნიშვნელ წარმოებას (-ყ სუფიქსიანს): წამუ-ყ — წამუ-ყ-აბ „მარილნაკლული, მცირე მარილიანი (უმარილო)“, ლ'ადა-ყ — ლ'ადა-ყ-აბ „მცირე წყლიანი (უწყლო)“, ტერუ-ყ — ტერუ-ყ-აბ „ფერმკრთალი“ (უფერული)“, ჰანა-ყ — ჰანა-ყ-აბ „მცირეხორციანი“, „გამხდარი“...

უხვად რისამე მქონებლობის აღსანიშნავად არსებითი სახელის ფუძეს დაერთვის იმავე (**-აბ**) სუფიქსიანი -ჰალ-აბ (|| ჰალ-აბ): წან-ჰალ-აბ (|| წან-ჰალ-აბ) „ბევრ-მარილიანი“, „მლაშე“, ლ'ინ-ჰალ-აბ „ბევრ-წყლიანი“, რეჰელ-ჰალ-აბ „ნესტიანი“...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა . მიმართებითი ზედსართავის წარმოებისას (ისევე, როგორც ვითარებითი [პირველადი] ზედსართავის წარმოებისას) **-ავ, -აჲ, -აბ, -ალ** სუფიქსებს წინ ჩაერთვის ხმოვანთვასაყარად **ჲ** (როცა საწარმოებელი ფუძე ხმოვანზე ბოლოვდება: ბაჰარჩი — ბაჰარჩი-ჲ-აბ...).

¹ სიმარტივისათვის ზედსართავის ფორმები მოგვყავს მხოლოდ **-აბ** სუფიქსით (მესამე კლასის ნიშნით).

ხმოვანთგასაყარმა **ღ**-მ შეიძლება დაიმსგავსოს ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი (ლითერათურა — ლითერათური-ღ-აბ ლითერათურა-ღ-აბ... საწარმოებელ ფუძეში ხმოვანი **ი** ზოგჯერ ანალოგიითაც შეიძლება გაჩნდეს: აგრონომ — აგრონომი-ღ-აბ...).

§ 115. ნანათესაობითარი ზედსართავის წარმოება. ქართულის (და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა) მსგავსად ხუნძურში ჩვეულებრივია ნათესაობითი ბრუნვის გამოყენება მსაზღვრელად: წაღ-ა-ლ ყო „წვიმიანი ღღე“ (ზედმიწ. „წვიმის ღღე“), შაქღ-ა-ლ რახ¹ „ძროხის რძე“, შარც-უ-ლ საშათ „ვერცხლის საათი, მესეღ-ი-ლ ბაღრიჩ „ოქროს ბეჭედი“, განჭილ რუყ „ქვის სახლი“, ქარანზულ უნთი „გულ-მკერდის ავადმყოფობა“ („ჭლე-ქი“), ბაყულ უნთი „მზის ავადმყოფობა („ციება“)...

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ა 1. პ. უსლარი აღნიშნავს: ერთი არაა — მხოლოობითის ნათესაობითია აღებული მსაზღვრელად თუ მრავლობითისაო; შდრ.: ჭუყუდალ²ულ რეტელ „ქალის ტანსაცმელი“ (

) — რუჩაბაზულ რეტელ „ქალთა ტანსაცმელი“ (

)¹... ამა თუ იმ კერძო შემთხვევაში სტილისტიკური ნიუანსი, მართლაც, შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ არსებითად ორივეს ფუნქცია, როგორც მსაზღვრელისა, ერთია.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ა 2. III გრამატიკ. კლასის არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის შესაძლო პარალელური ფორმებიდან (მეორე და მესამე ტიპის ბრუნების მიხედვით: წადალ²ულ || წადალ „წვიმისა“... ოცალ²ულ || ოცოლ „ხარისა“... მესედალ²ულ || მესედილ „ოქროსი“...) ზედსართავის მნიშვნელობით გვაქვს, როგორც წესი, მესამე ტიპის ბრუნების ფორმა (წადალ... ოცოლ... მესედილ...)².

მაგრამ თუ არსებით სახელს ნათესაობითში აქვს ერთადერთი შესაძლო ფორმა (პირველი ან მეორე ტიპის ბრუნების შესაბამისი), მაშინ ნათესაობითის სათანადო ფორმის გამოყენება ზედსართავის ფუნქციით, ცხადია, შეუძლებელი არ იქნება.

¹ „ - , „ :

.

“ (. , . .. გვ. 88, § 81).

² . , . .. გვ. 81, § 89.

ნათესაობითის ფორმას შეიძლება დაერთოს ზედსართავის სუფიქსებიც (-ავ, -ად, -აბ; -ალ) და მივიღოთ პირველადი ზედსართავის მორფოლოგიური სინტაქსური ფუნქციის მქონე მსაზღვრელი; შდრ.:

ბაყ „მზე“ — ნათ. ბაყულ: ბაყულ-აბ „მზიური“;

ბოკონ „კუთხე“ — ნათ. ბუკნილ: ბუკნილ-აბ „კუთხური“;

მესედ „ოქრო“ — ნათ. მესედილ: მესედილ-აბ „ოქროსი“ ();

სოციდალიზმ „სოციდალიზმი“ — ნათ. სოციდალიზმალ'ჟულ: სოციდალიზმალ'ჟულ-აბ სისტემა „სოციალისტური სისტემა“);

ოქთაბრ „ოქტომბერი“ — ნათ. ოქთაბრალ'ჟულ: ოქთაბრალ'ჟულ-აბ „ოქტომბრისა“ (: კუდიდაბ ოქთაბრალ'ჟულაბ სოციდალიზმალ'ჟულაბ რევილდუცია „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევილდუცია“);

ისტორიდა „ისტორია“ — ნათ. ისტორიდალ'ჟულ: ისტორიდალ'ჟულ-აბ „ისტორიული“;

ვაცა „ძმა“ — ნათ. ვაცაასულ: ვაცაასულ-აბ „ძმური“;

ემენ „მამა“ — ნათ. ინსაულ: ინსაულ-აბ „მამობრივი“ (ინსაულაბ როტიი „მამობრივი სიყვარული“);

ებელ „დედა“ — ნათ. ებელალ'ჟულ: ებელალ'ჟულ-აბ „დედობრივი“ (ებელალ'ჟულ-აბ როტიი „დედობრივი სიყვარული“)...

ასეთი წარმოება ფართოდაა გამოყენებული (ზუნძური ენის ექსპრესიული შესაძლებლობისათვის იგი აქტუალური მნიშვნელობისაა).

პრინციპში ხსენებული წარმოება მოგვაგონებს ძვ. ქართულის ნანათესაობითარ სახელობითს (ხისაჲ, ძმისაჲ, მამისაჲ...).

იგივე სუფიქსები ზედსართავი სახელისა შეიძლება დაერთოს ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებსაც: შდრ.: დირ „ჩემი“ — დირ-აბ, დურ „შენი“ — დურ-აბ, ნეჟერ „ჩვენი“ (ექსკლუზ.) — ნეჟერ-აბ, ნელ'ერ „ჩვენი“ (ინკლუზ.) — ნელ'ერ-აბ, ნოჟორ „თქვენი“ — ნოჟორ-აბ, დოსაულ „მისი“ (/ კლ.) — დოსაულ-აბ, დოლ'ჟულ „მისი“ (II-III კლ.) — დოლ'ჟულ-აბ, დოზულ „მათი“ — დოზულ-აბ და ა. შ.

დირ — დირ-აბ („ჩემი“)... დურ — დურ-აბ („შენი“)... ფორმათა შორის მნიშვნელობის მიხედვით თვალსაჩინო სხვაობა არა გვაქვს.

დირ-აბ („ჩემი“)... დურ-აბ („შენი“)... ზედსართავი წარმოებაა ნაცვალსახელის ნათესაობითის ფორმისაგან ისევე, როგორც ინსაულ-აბ (მამობრივი“, „მამისაჲ“)... ბუკნილ-აბ („კუთხური“, „კუთხისაჲ“)... — არსებითი სახელის ნათესაობითის ფორმისაგან.

§ 116. -საე სუფიქსი ზედსართავის საწარმოებლად. -საე (გრამატიკული.კლას-კატეგორიისა და რიცხვის ნიშნებით: -საე-ვ, -საე-დ, -საე-ბ,

-საე-ლ) ზედსართავს აწარმოებს ზმნისართისაგან; შდრ.: ჟაყა „დღეს“ — ჟაყა-საე-ბ „დღევანდელი“, სონ „გუშინ“ — სონი-საე-ბ „გუშინდელი“ (სო-

ნისებ რახ¹ „გუშინდელი რძე“), მეთერ „ხვალ“ — მეთერი-სებ-ბ „ხვალინდელი“ (მეთერისებ ყო „ხვალინდელი დღე“); ცებ-ბ-ე „წინ“ — ცებებ-სებ-ბ „წინა“ () და აქედან: ტოცებებ-სებ-ბ „პირველი“ (*ზედმიწ.* „ყველაზე წინა“), ნავ „უკან“ — ნავი-სებ-ბ „უკანა“ (), ხადუ-ბ „შემდეგ“ () — ხადუ-სებ-ბ „შემდეგი“, „მომდევნო“, ასაკო-ბ „ახლო“ — ასაკო-სებ-ბ „მახლობელი“...

ზოგჯერ პარალელური წარმოება გვაქვს (-ა-ბ || -სებ-ბ სუფიქსებით); ნავი-ბ-აბ || ნავი-სებ-ბ „უკანა“, რიკად-აბ || რიკადა-სებ-ბ „შორეული“ (რიკად¹ „შორს“), ჭემერ-აბ || ჭემერი-სებ-ბ „ბევრი“, „მრავალი“ (განსხვავება მნიშვნელობის მხრივ სტილისტიკური ხასიათისა შეიძლება იყოს).

-სებ- სუფიქსი შეიძლება დაერთოს ზმნასაც (ინფინიტივის ფორმით): წალიზებ-სებ-ბ „სასწავლო“, „საკითხავი“, წალიზებ-სებ-ბ ტხ¹ „სასწავლო [ან საკითხავი] „წიგნი“... და სახელსაც (მიცემითის ფორმით). დუნ „მე“ — მიც. დიდე: დიდე-სებ-ბ „ჩემთვის რგანკუთვნილი რამე“... მუნ „შენ“ — მიც. დუდე: დუდე-სებ-ბ „შენთვის რგანკუთვნილი რამე“... შალი „ალი“ — მიც. შალიდე-სებ-ბ „ალისთვის რგანკუთვნილი რამე“ (შალიდე-სებ-ბ ტალურ ბუგო ჰაბ „ალისთვის-ი ქუდი არის ეს“)¹...

-სებ- სუფიქსი სადაურობის აღმნიშვნელ სახელებსაც აწარმოებს: ლუნი-სებ-ვ „ლუნიბელი“, შანდი-სებ-ვ „ანდიელი“, წადა-სებ-ვ „წადელი“... წარმოება ზედსართაულია (§ 107).

§ 117. ზედსართავთა სუფიქსების შესახებ. ამრიგად, ხუნძურში ზედსართავთა საწარმოებლად ორი სხვადასხვა სუფიქსი გვაქვს: 1) -ავ, -აბ, -აბ (*მრ. რ. -აბ*) და 2) -სებ-ვ, -სებ-ბ, -სებ-ლ (*მრ. რ. -სებ-ლ*). ამათგან უკანასკნელი მხოლოდ მიმართებით ზედსართავს აწარმოებს (ყაყა-სებ-ბ „დღევანდელი“...), პირველი კი გამოიყენება, როგორც ვითარებითი (პირველადი) ზედსართავის გასაფორმებლად (ჭეჭერ- „შავ-“: ჭეჭერ-აბ „შავ-ი“), ისე მიმართებითის საწარმოებლად (ბაჰარჩი „გმირი“ ბაჰარჩი-ბ-აბ „გმირული“... ბაყულ „მზისა“ ბაყულ-აბ „მზიური“...). პირველი წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელის მზამზარეულ ფორმად მიიჩნევა (იხ. § 113).

რაც შეეხება -სებ სუფიქსს იგი მხოლოდ ხუნძურში არა გვაქვს. ეგევე სუფიქსი (სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებით; -სი, -სი...) გამოიყენება ზედსართავის (და მიმღობის) საწარმოებლად ანდიურ-დიდოურ ენებშიც (შდრ., მაგალ., ან დ ი უ რ შ ი: სედუ-სი „წინა“, ქუთალოგუ-სი „ძლიერი“, კოთულოგუ-სი „ცხენიანი“... იპირ-სი „მკეთებელი“ [მიმდ. აწმ.]).

¹ . , I. . გვ. 78.

ლაკურ ენაში ზედსართავთა საწარმოებლად ფართო გამოყენება აქვს -სა სუფიქსს, რომელიც ამ ენაში ვითარებით ზედსართავსაც დაერთვის: ათილ-საა „სველი“, წაყ-საა „ძლიერი“, ქუტასაა „მოკლე“¹....

§ 118. რთული ზედსართავი სახელები. გვხვდება რთული ზედსართავი სახელები, რომელთა პირველ კომპონენტად არსებითი სახელი შეიძლება იყოს: შაზო-ჯაჭ-აბ „თოვლივით თეთრი“, (შაზო „თოვლი“; ჯაჭ-აბ „თეთრი“), ლაჭ-ჭეჭერ-აბ „ჭვარტლივით შავი“ (ლაჭ „ჭვარტლი“, „მური“; ჭეჭერ-აბ „შავი“): ლაჭ-ჭეჭერ-აბ სორდო „ჭვარტლივით შავი ღამე“... ბილ-ბაჭარ-აბ „ინასავით წითელი“ (ბილ. „ინა“, ბაჭარ-აბ „წითელი“), ხერ-ჭურჩინ-აბ „ბალახივით მწვანე“ (ხერ „ბალახი“; ჭურჩინ-აბ „მწვანე“)... პირველ კომპონენტად შეიძლება გვქონდეს ზედსართავი სახელიც (ფუძის სახით ანუ გაუფორმებლად): ბეწ-ბაჭარ-აბ „მუქი წითელი“, ზედმიწ. „მუქ-წითელი“ (ბეწ-აბ „ბნელი“, ბაჭარ-აბ „წითელი“). ბეწ-ჯაჭილ-აბ „მუქი ლურჯი“ (ბეწ-აბ „ბნელი“, ჯაჭილ-აბ „ლურჯი“)...

ფუძეგაორკეცებულები ზედსართავები: ბატი-ბატიდ-აბ „სხვადასხვა“, კუდი-კუდიდ-ალ „დიდ-დიდნი“, წიდა-წიდალ „ახალ-ახალნი“ (წიდა-წიდალ ხაბარალ „ახალ-ახალი ამბები“), ტერ-ტერ-აბ „ფერად-ფერადი“, „ნაირ-ნაირი“, ჩარ-ჩარ-აბ „ჭრელ-ჭრელი“... — ფუძის გაორკეცებისას კლას-ნიშანი და მრავლ. რიცხვის ნიშანი დაერთვის მეორე ფუძეს (პირველს — არა).

§ 119. ზედსართავის ხარისხების გამოხატვა. უფროობითი ხარისხის მნიშვნელობით ზედსართავი სახელი I წყების დაშორებით ბრუნვაში სვამს იმ სახელს, რომელთან შედარებითაც მეორე სახელი მეტ თვისებას ამჟღავნებს (თვით ზედსართავს ხარისხის ფორმა არა აქვს): შდრ.:

კუდიდ-ა-ბ რუყ „დიდი სახლი“ — ნეჟერ რუყ ნოჟორ რუყალ-დასა კუდიდ-ა-ბ ბუგო „ჩვენი სახლი თქვენ სახლზე (ზედმიწ. სახლისაგან) დიდი არის“;

ლ'იკ-ად დაცო „კარგი და“ — დაცო ვაცასადასა ლ'იკ-ად დიგო „და ძმაზე (ზედმიწ. ძმისაგან) კარგი არის“;

ქვეშ-აბ ბაკ „ცუდი ადგილი“ — ჰელდასა ქვეშ-აბ ბაკ „მასზე (ზედმიწ. მისგან) ცუდი ადგილი“.

¹, § 44, გვ. 48; XI., I, 1955, § 33, გვ. 49.

ხუნდ.-ანდიურ და ლაკურ ენათა ხსენებულ სუფიქსთა კავშირზე მიუთითებს ა. ბოკარიოვი (.,, გვ. 167).

„უდიდესი“, „უკეთესი“, „უარესი“... წარმოება ხუნძურისათვის უცხოა; ხარისხები ამ ენაში მორფოლოგიურ კატეგორიას არ ქმნიან.

მსგავსებების (შეთანასწორების) აღსანიშნავად გამოიყენება რიგინაწილაკი, რომლებიც დაერთვის შესადარებელ სახელს; ესენია: **-ჭან** (ზედსართაული სუფიქსებით: -ჭან-ა-ბ, -ჭან-ა-ბ-საე-ბ) „-ვით“, „ისე, როგორც“...: „-ოდენა“ (სიდიდის მიხედვით), -ჭად-ა-ბ „მსგავსი“, „ისეთი, როგორც“... მაჭა-ა-ბ (სიტყვისაგან მაჭ „სუნი“) — ესეც მსგავსებას გამოხატავს რაიმე თვისების მიხედვით; მაგალითები:

ვაჯიგი **დაცა-ჭან** ლაიკ-ავ ვუგო, „ძმაც დასავით (ისე, როგორც და) „კარგი არის“... ოც გამუშა-ჭან კულიძა-ბ ჰეჭო „ხარი კამეჩივით დიდი არ არის“... რუყ-ჭანასაე-ბ „სახლისოდენა“... ზარჭანასაე-ბ „მუშტისოდენა“...

მოწა-ჭად-ა-ბ „მთვარის მსგავსი“, „მთვარესავით“... ოც-მაჭ-ავ (|| ოც-ჭადავ) ჩი „ხარავით კაცი“...

ზედსართავ სახელებთან ხმარებული -ჭად-ა-ბ, -მაჭ-ა-ბ (იხ. ზემოთ) და, აგრეთვე, -ტყერ-ა-ბ (სიტყვისაგან ტყერ „ფერი“) გამოხატავენ თვისებას უფრო ნაკლები ოდენობით¹ (ვინემ ეს უამნაწილაკებო ზედსართავის დადებითი ხარისხით გამოხატება). ასეთ წარმოებას ზედსართავისა ოდნობითი ხარისხის მნიშვნელობა აქვს; მაგალითები:

ბაჭარ-ა-ბ „წითელი“ — ბაჭარ-ტყერ-ა-ბ || ბაჭარ-მაჭ-ა-ბ || ბაჭარ-ჭად-ა-ბ „მოწითალო“, ჯაჭ-ა-ბ „თეთრი“ — ჯაჭ-ტყერ-ა-ბ || ჯაჭ-მაჭ-ა-ბ || ჯაჭ-ჭად-ა-ბ „მოთეთრო“...

ჰუცინ-ა-ბ „ტკბილი“ — ჰუცინ-მაჭ-ა-ბ „მოტკბო“, წყეკ-ა-ბ „მეყავე“ — წყეკ-მაჭ-ა-ბ „მომეყავო“, ჰავ-ავ „სულელი“ — ჰავ-მაჭ-ავ „მოსულელი“, სოჭ-ა-ბ „უხეში“ — სოჭ-მაჭ-ა-ბ „ოდნავ უხეში“...

მნიშვნელობის გასაძლიერებლად (აღმატებითი ხარისხის მნიშვნელობით) სათანადო ზედსართავთან იხმარება სიტყვები: წყყ „ძლიერ“, „ძალიან“, ჭემერ „მეტად“, „ბევრად“, ვ-იშუენ (დ-იშუენ, ბ-იშუენ, მრ. რ. რ-იშუენ) „ყველაზე უფრო“, გამორჩევით“ (წარმოშობით აბსოლუტივის ფორმა ვ-იშიზე „გამორჩევა“ ზმნისა): წყყ ლაიკ-ავ „ძალიან კარგი“... ჭემერ ლაიკ-ავ „მეტად კარგი“... ვ-იშუენ ლაიკ-ავ „ყველაზე კარგი“, „გამორჩევით კარგი“...

§ 120. ზედსართავი სახელის ბრუნება. ა) ზედსართავის ბრუნება არსებითთან ერთად. როცა ზედსართავი სახელი არსებითს ახლავს (მსაზღვრელად), ის არ იცვლება ბრუნვათა მიხედვით. ასეთ შემთხვევაში ზედსართავი სახელი წინ უსწრებს არსებით სახელს და უთანხმდება მას გრამატიკ. კლასსა და რიცხვში (ბრუნვაში — არა); მაგალითი:

¹ პ. უსლარის ტერმინით: „
§ 82).

“(. . . გვ. 90,

სახ.	ჰიტინ-ავ ვაცა „პატარა (უმცროსი) ძმა“	ჰიტინ-აფ დაცა „პატარა (უმცროსი) და“
ერგ.	ჰიტინ-ავ ვაცასა	ჰიტინ-აფ დაცაალ ^ა
ნათ.	ჰიტინ-ავ ვაცასაჟულ	ჰიტინ-აფ დაცაალ ^ა ჟულ
მიც.	ჰიტინ-ავ ვაცასაჟე	ჰიტინ-აფ დაცაალაჟე
სახ.	ჰიტინ-აბ ჩუ „პატარა ცხენი“	ჰიტინ-ალ ვაცაალ „პატარა (უმცროსი) ძმები“
ერგ.	ჰიტინ-აბ ჩოცაა	ჰიტინ-ალ ვაცააზ
ნათ.	ჰიტინ-აბ ჩოლ	ჰიტინ-ალ ვაცააზჟულ
მიც.	ჰიტინ-აბ ჩოჟე	ჰიტინ-ალ ვაცააზჟე

ზედსართავის უბრუნველობა არსებით სახელთან მისი ხმარებისას არ უნდა იყოს არქაული მოვლენა.

ხუნძურში ამ შემთხვევაში იგივე ვითარება უნდა გვქონდეს, რაც ქართველური ენებიდან ამჟამად ზანურისათვის არის დამახასიათებელი (შდრ. ჭან.: დიდი ოხორი „დიდი სახლი“ — ერგ. დიდი ოხორიქ, ნათ. დიდი ოხორიშ, მიც. დიდი ოხორის და ა. შ. — სახელობითის ფორმა მსაზღვრელი ზედსართავი სახელისა აქ უცვლელად მეორდება სხვა ბრუნვებში, რაც მეორეულია. ამას მოწმობს ქართული ენის ჩვენება)¹. ხუნძურის ახლო მონათესავე ზოგ ენაში (კერძოდ, დიდოურ ენებში) მსაზღვრელი ზედსართავი სახელი არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას მაინც განარჩევს ორ ფორმას („ირიბ ბრუნვათა“ საზიარო ფორმას სახელობითისაგან²; მსაზღვრელი სახელის ბრუნვაცვალების მოშლა აქ ბოლომდის არაა გატარებული).

მსაზღვრელის სახელის მოდუნება საზღვრულ არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას საერთო მოვლენაა იბერიულ-კავკასიურ ენებში³.

ბ) ზედსართავის ბრუნება არსებითი სახელისაგან დამოუკიდებლად. ზედსართავი სახელი იბრუნვის, როცა იგი არსებითი სახელისაგან დამოუკიდებლად იხმარება.

მხოლოდობით რიცხვში ზედსართავი სახელი ბრუნების ორ ტიპს განარჩევს. ერგატივში მას ორი დაბოლოება შეიძლება ჰქონდეს (შესაბამისად კლასებისა): ა(ა)ს^ა (I კლ.) და -(ა)ლ^ა (II და III კლ.); მესამე ტიპის

¹ არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 68.

² . . . , ივე, VII, 1956, გვ. 409-412. . . . () , 1959, გვ. 275.

³ ამ ტენდენციის ზოგადი საფუძვლის შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, ზემოთ დასახ. შრ., გვ. 70-71.

ბრუნება (-ცა დაბოლოებით ერგატივში) უცხოა ზედსართავი სახელებისათვის. მრავლობით რიცხვში ერგატივის დაბოლოებაა -(ა)ზ (I-III კლ.); ბრუნების ნიმუშები:

სახ.	ჰიტრნ-ა-ვ „პატარა“ (I კლ.)	ჰიტრნ-ა-დ, ჰიტრნ-ა-ბ „პატარა“ (II კლ.) „პატარა“ (III კლ.)	ჰიტრნ-ა-ლ „პატარები“
ერგ.	ჰიტრნ-ა-სა	ჰიტრნ-ა-ლ'ა	ჰიტრნ-ა-ზ
ნათ.	ჰიტრნ-ა-სა-ულ	ჰიტრნ-ა-ლ'ა-ულ	ჰიტრნ-ა-ზ-ულ
მიც.	ჰიტრნ-ა-სა-ე	ჰიტრნ-ა-ლ'ა-ე	ჰიტრნ-ა-ზ-ე

ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ე ბ ი

ადგ. I	ჰიტრნ-ასა-და	ჰიტრნ-ალ-და	ჰიტრნ-აზ-და
ადგ. II	ჰიტრნ-ასა-უ-ვ	ჰიტრნ-ალ'ა-უ-ვ	ჰიტრნ-აზ-უ-ვ
ადგ. III	ჰიტრნ-ასა-უ-ტა	ჰიტრნ-ალ'ა-უ-ტა	ჰიტრნ-აზ-უ-ტა და ა. შ.

სახ.	ხადტ-საე-ვ „მომღევნო“ (I კლ.)	ხადტ-საე-დ, ხადტ-საე-ბ „მომღევნო“ (II კლ.), „მომღევნო“ (III კლ.)	ხადტ-საე-ლ „მომღევნოები“
ერგ.	ხადტ-საე-სა	ხადტ-საე-ლ'ა	ხადტ-საე-ზ
ნათ.	ხადტ-საე-სა-ულ	ხადტ-საე-ლ'ა-ულ	ხადტ-საე-ზ-ულ
მიც.	ხადტ-საე-სა-ე	ხადტ-საე-ლ'ა-ე	ხადტ-საე-ზ-ე

ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ე ბ ი

ადგ. I	ხადტ-საე-სა-და	ხადტ-საე-ლ-და	ხადტ-საე-ზ-და
ადგ. II	ხადტ-საე-სა-უ-ვ	ხადტ-საე-ლ'ა-უ-ვ	ხადტ-საე-ზ-უ-ვ
ადგ. III	ხადტ-საე-სა-უ-ტა	ხადტ-საე-ლ'ა-უ-ტა	ხადტ-საე-ზ-უ-ტა და ა. შ.

სუფიქსისეული კლას-ნიშნები (და მრავლ. რიცხვის ნიშანი) ზედსართავ სახელს სახელობითი ბრუნვიდან არ გადაჰყვება დანარჩენ ბრუნვებში (არც მაშინ, როცა ზედსართავის საწარმოებლად -ა-ვ, -ა-დ, -ა-ბ, -ა-ლ სუფიქსებია და არც მაშინაც, როცა -საე-ვ, -საე-დ, -საე-ბ, -საელ სუფიქსებია). კლას-ნიშნებსა (და მრავლ. რიცხვის ნიშანს) ერგატივში ცვლის ამ ბრუნვის შესაბამისად განსხვავებული დაბოლოებები, რომლებიც ფუძეს სხვა ბრუნვებშიც გადაჰყვება.

კლას-ნიშანი (და მრავლ. რიცხვის ნიშანი) პრეფიქსად (როცა იგი ფუძეში გვაქვს) უცვლელად გაჰყვება ზედსართავ სახელს ყველა ბრუნვაში; შდრ.:

სახ. ვ-აწად-ა-ვ „სუფთა“, „წმინდა“ — ერგ. ვ-აწად-ა-სა... სახ. დ-აწად-ად — ერგ. დ-აწად-ა-ლ'ა... სახ. ბ-აწად-ა-ბ — ერგ. ბ-აწად-ა-ლ'ა... სახ. რ-აწად-ა-ლ — ერგ. რ-აწად-ა-ზ...

ფუძე ზედსართავისა უცვლელია ბრუნების პროცესში. მახვილის ადგილიც ფუძის სათანადო ხმოვანზე უძრავად რჩება ყველა ბრუნვაში (ისევე, როგორც პირველი და მეორე ტიპის ბრუნებისას — არსებით სახელებში).

§ 121. სუფიქსის გაორკეცება ზედსართავ სახელში. დამოუკიდებლად ხმარებულ ყოველ ზედსართავს შეიძლება ჰქონდეს გაორკეცებული სუფიქსები: -ავ-ავ, -ად-ად, -აბ-აბ, -ალ-ალ; შდრ.:

ჰიტინ-ავ-ავ, ჰიტინ-ად-ად, ჰიტინ-აბ-აბ „პატარა (უმცროსი)“, მრ. რ. ჰიტინ-ალ-ალ;

კუდი-დ-ავ-ავ, კუდი-დ-ად-ად, კუდი-დ-აბ-აბ „დიდი (უფროსი)“, მრ. რ. კუდი-დ-ალ-ალ;

ლ'იკ-ავ-ავ, ლ'იკ-ად-ად, ლ'იკ-აბ-აბ „კარგი“, მრ. რ. ლ'იკ-ალ-ალ;

ვ-აწად-ავ-ავ, დ-აწად-ად-ად, ბ-აწად-აბ-აბ „სუფთა“, „წმინდა“, მრ. რ. რ-აწად-ალ-ალ...

ამგვარად ნაწარმოები ზედსართავი სახელი გასუბსტანტივებულია; შდრ.: კუდი-დ-ავ „დიდი“ — gross, grand (ზედსართ.) — კუდი-დ-ავ-ავ „ის ვინც დიდია“ — der Grosse, le grand (სუბსტანტ.)¹.

გასუბსტანტივებული ზედსართავის ბრუნება:

სახ.	ჰიტინ-ავ-ავ	ჰიტინ-ად-ად
ერგ.	ჰიტინ-ავ-ასა	ჰიტინ-ად-ალ'ა
ნათ.	ჰიტინ-ავ-ასა-ულ	ჰიტინ-ად-ალ'ა-ულ
მიც.	ჰიტინ-ავ-ასა-ე	ჰიტინ-ად-ალ'ა-ე
სახ.	ჰიტინ-აბ-აბ	ჰიტინ-ალ-ალ
ერგ.	ჰიტინ-აბ-ალ'ა	ჰიტინ-ალ-აზ
ნათ.	ჰიტინ-აბ-ალ'ა-ულ	ჰიტინ-ალ-აზ-ულ
მიც.	ჰიტინ-აბ-ალ'ა-ე	ჰიტინ-ალ-აზ-ე

¹ „დირ ვაცა ვუგო კუდიდავ — ჩემი ძმა არის დიდი mon frère est grand — კუდი-დ-ავ-ავ ვუგო დირ ვაცა — დიდი არის ჩემი ძმა, დიდი რომ არის, ჩემი ძმა le grand est mon frère“ (. გვ. 86, § 77). პ. უსლარი განმარტავს: „დირ ვაცა ვუგო კუდიდავ : დირ ვაცა ვუგო კუდიდავ,“ (იქვე, გვ. 87).

ისეთი ზედსართავი სახელები, რომელთაც მაწარმოებლად აქვთ **-სიე**, ასეთ შემთხვევაში ხელმეორედ დაირთავენ ამავე სუფიქსს:

ხადუ-საე-საე-ვ (ერვ ხადუ-საე-საე-სა), ხადუ-საე-საე-დ (ერვ. ხადუ-საე-საე-ლ^ბ), ხადუ-საე-საე-ბ (ერვ. ხადუ-საე-საე-ლ^ბ) „მემდეგი“, „მომდევნო“, მრ. რ. ხადუ-საე-საე-ლ (ერვ. ხადუ-საე-საე-ზ)...

რიცხვითი სახელი

§ 122. რაოდენობითი რიცხვითი სახელები:

ა) 1 – 10

1 — ცო	6 — ანლ'გო
2 — კრგო	7 — ანტაგო
3 — ლ'აბგო	8 — მრტაგო
4 — უნყო	9 — რჭგო
5 — შაჟგო	10 — ანწგო

რიცხვით სახელს ყველას, გარდა **ცო**-სი („ერთი“), დართული აქვს **-გო** ნაწილაკი. უნყო-ში („ოთხი“) -გო ნაწილაკის თანხმობითი ელემენტი **გ** დაკარგულია: უნყო უნყო, ანწუხურ დიალექტში **-გო** ნაწილაკი ამ სახელშიც მთლიანად დაცულია და ნაწილაკის **გ** თანხმობის უშუალო მეზობლად ფუძისეული თანხმობანი ყ გამჟღერებულია: უნგო (უნყო) „ოთხი“.

სწრაფი თვლის დროს რიცხვით სახელებს **-გო** ნაწილაკი შეიძლება მოშორდეს: ცო, კი, ლ'აბ, უნყო, შაჟ, ანლ' და ა. შ.

კომპოზიტებში რიცხვითი სახელები (მსაზღვრელის როლში) -გო ნაწილაკის გარეშე გვევლინება: ლ'აბ-ბოკონ „სამკუთხედი“ (§ 101)...

ზმნისართად გამოყენებული რიცხვითი სახელები აგრეთვე **-გო** ნაწილაკის გარეშეა: კი ყოტანა „ორად () გაჭრა“... ლ'აბ ყოტანა „სამად გაჭრა“... (მდრ. კიგო ყოტანა „ორი [რამე] გაჭრა“... ლ'აბგო ყოტანა „სამი [რამე] გაჭრა“...).

სიტყვაწარმოებისას რიცხვითი სახელი აღებულია **-გო** ნაწილაკის გარეშე: კი-ლ'იზე (და არა: კიგო-ლ'იზე) „გაორმაგება“, „გაორკეცება“... კი-აბილებ „მეორე“, კი-წულ „ორჯერ“ და ა. შ.

-გო ნაწილაკი ზოგჯერ გაგვარჩევინებს რიცხვით სახელს იმავე ფუძის შემცველი სხვა სახელისაგან; მდრ.: ანტა-გო „შვიდი“ — ანტა „(მთელი) კვირა: შვიდეული, შვიდი დღე“ ().

რიცხვით სახელებში **-გო** ნაწილაკი ამ სახელთა ფუძის მაწარმოებელია.

შენიშვნა. ხუნძ. **-გო** ნაწილაკის ადგილას მონათესავე ენებში სხვადასხვა ნაწილაკებსა და ფორმანტებს ვპოვებთ; შდრ. ანდიურ ენებში: **-გუ**, **-და** (ანდ. ჰე-გუ, ბოთლიხ., ლოდობ. კე-და „ორი“), დიდოურში **-ნა** (ყა-ნა „ორი“), ლაკურში **-ვა**, **-რა**, **-მა** (შესაბამისად კლასებისა: კი-ვა, კი-რა, კი-მა „ორი“)... აფხაზურში: **-ბა**, **მგ**¹ (შესაბამისად კლასებისა ხუ-ბა, ხუმგ „ხუთი“...).

ბ) 11 — 19:

- | | |
|--------------------|--------------------|
| 11 — ანწილა-ცო | 16 — ანწილა-ანლ'გო |
| 12 — ანწილა-კიგო | 17 — ანწილა-ანტჰგო |
| 13 — ანწილა-ლ'აბგო | 18 — ანწილა-მიტჰგო |
| 14 — ანწილა-უნყო | 19 — ანწილა-იჭგო |
| 15 — ანწილა-შაუგო | |

11—19 რიცხვით სახელთა საწარმოებლად აღებულია ანწილა და მას დაერთვის ერთეულის აღმნიშვნელი სახელები (1—9) ყოველგვარი ცვლილების გარეშე.

შენიშვნა. პ. უსლარს ფიქსირებული აქვს ანწილა (ორი **ლ**-თი): ანწილა ცო, ანწილა კიგო და ა. შ².

მ. საიდოვის სასკოლო გრამატიკაში³ და, აგრეთვე, „რუსულ-ხუნძურ ლექსიკონში“⁴ მ. საიდოვისა და შ. მიქაილოვისა ნაჩვენებია ანწილა ვარიანტი (ერთი **ლ**-თი). ჩვენც ეს ვარიანტი მოგვყავს.

უეჭველია, რომ ანწილა (|| ანწილა)-ს, რომელსაც ერთეულების (1—9) აღმნიშვნელი სახელები დაერთვის, კავშირი აქვს „ათის“ აღმნიშვნელ ანწი - (ანწ-გო) ფუძესთან.

ლ. ჟირკოვის ახსნით, ეს ფორმა წარმოშობით | წყების ადგილობითი ბრუნვის ფორმაა **-და** (-,ზე“) სუფიქსით ნაწარმოები: ანწილა ანწილ - და (ანწილ'-და) „ათზე“⁵. ამისდა მიხედვით, ანწილა (|| ან-

¹ ხუნძურ რიცხვით სახელთა **-გო** ნაწილაკის შესახებ პ. უსლარი შენიშნავს: „ გო, „ (. „ გვ. 110, § 110).

² „ გვ. 110, § 109.

³ I. „ გვ. 94.

⁴ - „ გვ. 336

⁵ „ გვ. 152.

პ. უსლარიც ანწილა ფორმას განმარტავს, როგორც „ათზე“ (.), და მას „უწესო ფორმად“ მიიჩნევს (. „ § 111, გვ. 112).

წილა) ცო — 11, ანწილა (|| ანწილა) კიგო — 12 და ა. შ. იქნება: „ათზე ერთი“, „ათზე ორი“ და ა. შ. (შდრ. ქვემოთ: ლ'ებერალდა ცო — 31 [„ოცდაათზე ერთი“]... კიყოდალდა ცო — 41 [„ორმოცზე ერთი“]... ნუ-სიდალდა ცო — 101 [„ასზე ერთი“])...

ზოგ სამხრულ დიალექტში (მაგალ., ანწუხურში) ანწილა-ს ნაცვლად იტყვიან ანწიტა:

- 10 — ანწიტა-სო || შო
- 12 — ანწიტა-კიგუ
- 13 — ანწიტა-თაბგუ
- 14 — ანწიტა-უნჰგუ და ა. შ.

ანწიტა ადგილობითი ბრუნვის ფორმაა ანწ- („ათი“) სახელისა: ანწ-ი-ტა „ათზე“. ეს ფორმა ადგილობითი ბრუნვისა მესამე ტიპის ბრუნების (ანუ ერთ ფუძიანი ბრუნების) შესაბამისი ფორმაა (შდრ. განჭიტა „ქვაზე“). ამრიგად, ანწიტა სო — 11, ანწიტა კიგუ — 12 და ა. შ. ნიშნავს: „ათზე ერთი“, „ათზე ორი“ და ა. შ.

გ) 20 — ყრგო

ეს რიცხვითი სახელი მარტივი ყო- ფუძისა და -გო ნაწილაკის შემცველია.

დ) 21 — 29:

- | | |
|------------------|-----------------|
| 21 — ყოლრ-ცო | 26 — ყოლო-ანღგო |
| 22 — ყოლო-კიგო | 27 — ყოლო-ანტგო |
| 23 — ყოლო-ლ'აბგო | 28 — ყოლო-მიტგო |
| 24 — ყოლო-უნყო | 29 — ყოლო-იჭგო |
| 25 — ყოლო-შაუგო | |

ყოლრ, რომელსაც აქ ერთეულების აღმნიშვნელი სახელები დაერთვის, ყო- ფუძისა და -ლო სუფიქსის შემცველია. -ლო იგივე -ლა უნდა იყოს, რაც ანწი-ლა-ში (იხ. ზემოთ) გვაქვს. აქ იგი ფუძისეულ ხმოვანთანაა შეგუებული და ო-დ ქცეული.

ჭარულ დიალექტში ამოსავალი ყო-ლა ვარიანტი ფაქტია:

- 21 — ყოლა-ცო
- 22 — ყოლა-კიგუ
- 23 — ყოლა-ჰაბგუ და ა. შ.

ანწუხური დიალექტი ყოლო (|| ყოლა)-ს ნაცვლად იყენებს ყოტა ფორმას:

- 21 — ყოტა-სო || შო
- 22 — ყოტა-კიგუ
- 23 — ყოტა-თაბგუ და ა. შ.

ანწუხ. ყო-ტა ადგილობითი ბრუნვის ფორმაა ყო- „ოცი“ სახელისა და ნიშნავს: „ოცზე“; შდრ. ანწუხურშივე: ანწიტა „ათზე“ (იხ. ზემოთ). ამრიგად, ანწუხ. ყოტა-სო — 21, ყოტა-კიგუ — 22 და ა. შ. ნიშნავს: „ოცზე ერთი“, „ოცზე ორი“ და ა. შ..

ე) 30 — ლებტრგო

ამ რიცხვითი სახელისაგან -გო ნაწილაკის ჩამოშორებით ვიღებთ ლებტერ- ფუძეს. ამ ფუძის კავშირი ლ'აბ („სამი“) ფუძესთან უეჭველია: ლებტერ ლ'აბტერ (ასიმილაციით). გაურკვეველი რჩება ამ ფუძეში -ერ სუფიქსის რაობა.

ვ) 31 — 39:

- | | |
|-----------------------|-----------------------|
| 31 — ლებტრალდა-ცო | 36 — ლებტრალდა-ანლ'გო |
| 32 — ლებტრალდა-კიგო | 37 — ლებტრალდა-ანტ'გო |
| 33 — ლებტრალდა-ლ'აბგო | 38 — ლებტრალდა-მიტ'გო |
| 34 — ლებტრალდა-უნყო | 39 — ლებტრალდა-იჭგო |
| 35 — ლებტრალდა-შოუგო | |

ლებტრალდა, რომელსაც აქ ერთეულების აღმნიშვნელი სახელები დაერთვის, სხვა არაფერია, თუ არ ადგილობითი ბრუნვის ფორმა -და („ზე“) სუფიქსით ნაწარმოები (ბრუნების მეორე ტიპის შესაბამისად) ლებტერ-ალ-და ლებტერ-ალ'ა-და „ოცდაათზე“ (შდრ. ჩუდალდა ჩუდა-ალ'ა-და „ცხენზე“).

ამრიგად, ლებტრალდა ცო — 31, ლებტრალდა კიგო — 32 და ა. შ. ეს ნიშნავს: „ოცდაათზე ერთი“, „ოცდაათზე ორი“ და ა. შ.

ანწუხურ დიალექტშიც ამ შემთხვევაში იხმარება -და სუფიქსიანი ადგილობითი ბრუნვა (მეორე ბრუნებისა): თებტერ-ალ-და სო — 31 და ა. შ. (შდრ. ამავე დიალექტში: ანწი-ტა სო — 11... ყო-ტა სო — 21... — ამ შემთხვევაში კი იხმარება -ტა სუფიქსიანი ადგილობითი ბრუნვის ფორმა, მასთან, მესამე ტიპის ბრუნების შესაბამისი).

ზ) 40 — 99:

40 — კიყრგო	70 — ლ'აბყრმალდა-ანწგო
41 — კიყრმალდა-ცო	71 — ლ'აბყრმალდა-ანწილა-ცო
42 — კიყრმალდა-კიგო	80 — უნ'ყ'რგო
50 — კიყრმალდა-ანწგო	81 — უნ'ყ'ყრმალდა-ცო
51 — კიყრმალდა-ანწილა-ცო	90 — უნ'ყ'ყრმალდა-ანწგო
60 — ლ'აბყრგო	91 — უნ'ყ'ყრმალდა-ანწილა-ცო
61 — ლ'აბყრმალდა-ცო	99 — უნ'ყ'ყრმალდა-ანწილა-იჭგო

რიცხვითი სახელები „40“, „60“, „80“ ასეთი შედგენილობისაა: 40 — კი-ყოგო = „ორ-ოცი“ (2×20), 60 — ლ'აბ-ყოგო = „სამ-ოცი“ (3×20), 80 — უნ'ყ'-ყოგო = „ოთხ-ოცი“ (4×20).

ამ რიცხვით სახელთა ადგილობრივი ბრუნვის ფორმებს (კიყოფ-აღ-და [კიყოფ-აღ'აღა] „ოროცზე“, ლ'აბყოფ-აღ-და [ლ'აბყოფ-აღ'აღა] „სამოცზე“, უნ'ყ'ყოფ-აღ-და [უნ'ყ'ყოფ-აღ'აღა] „ოთხოცზე“) დაერთვის რიცხვითი სახელები 1 — 19 და ვიღებთ შესაბამის რიცხვით სახელებს: 41 — კიყოფაღ-და-ცო = „ოროცზე ერთი“... 51 — კიყოფაღ-და-ანწილა-ცო = „ოროცზე თერთმეტი“... 61 — ლ'აბყოფაღ-და-ცო = „სამოცზე ერთი“... 71 — ლ'აბყოფაღ-და-ანწილა-ცო = „სამოცზე თერთმეტი“... 91 — უნ'ყ'ყოფაღ-და-ანწილა-ცო = „ოთხოცზე თერთმეტი“...

თ) 100 — 1000:

100 — ნუსგო	601 — ანლ'ნუსიფაღ-და-ცო
101 — ნუსრმაღ-და-ცო	700 — ანტანუსგო
200 — კრნუსგო	701 — ანტანუსიფაღ-და-ცო
201 — კინუსიფაღ-და-ცო	800 — მრტანუსგო
300 — ლ'აბნუსგო	801 — მიტანუსიფაღ-და-ცო
301 — ლ'აბნუსიფაღ-და-ცო	900 — რჭნუსგო
400 — უნყნუსგო	901 — იჭნუსიფაღ-და-ცო
401 — უნყნუსიფაღ-და-ცო	1000 — აზარგო
500 — შაუნუსგო	1001 — აზარაღ-და-ცო
501 — შაუნუსიფაღ-და-ცო	1959 — აზარაღ-და-იჭნუსიფაღ-და-კოყოფაღ-და-ანწილა-იჭგო
600 — ანლ'ნუსგო	

„ასის“ აღსანიშნავად ცალკე ფუძე გვაქვს: ნუს (-გო ნაწილაკით: ნუს-გო).

რიცხვითი სახელები „200“, „300“, „400“ და ა. შ. იმავე შედგენილობისაა, როგორც ქართულში: 200 — კი-ნუსგო = „ორ-ასი“, 300 — ლ'აბ-ნუსგო = „სამ-ასი“, 400 — უნყ-ნუსგო = „ოთხ-ასი“ და ა. შ. ხუნძ.

რიცხვითი სახელი -გო ნაწილაკის გარეშე *ქართ.* რიცხვითი სახელის ფუძის ფარდია; შდრ.: *ხუნდ.* კი - (კი-ნუსგო) — *ქართ.* ორ-(ორ-ასი); *ხუნდ.* ლ'აბ- (ლ'აბ-ნუსგო) — *ქართ.* სამ-(სამ-ასი); *ხუნდ.* უნყ- (უნყ-ნუსგო) — *ქართ.* ოთხ - (ოთხ-ასი) და ა. შ. ხუნდურში ისევე შეუძლებელია გვქონდეს: კიგო-ნუსგო (200), ლ'აბგო-ნუსგო (300) და ა. შ., როგორც ქართულში — ორასი (200), სამასი (300) და ა. შ.

ასევეა ნაწარმოები: კი-ყოგო, ლ'აბ-ყოგო (და არა: კიგო-ყოგო, ლ'აბ-გო-ყოგო) და ა. შ. (იხ. ზემოთ) შდრ. *ქართ.* „ორ-მეოცი“, „სამ-მეოცი“).

ნუსიდალდა (რომელსაც დაერთვის რიცხვითი სახელები 1—99) იგივე წარმოებაა, რაც ლ'ებერალდა „ოცდაათზე“, კიყოდალდა „ორმოცზე“, ლ'აბ-ყოდალდა „სამოცზე“ და ა. შ. (იხ. ზემოთ რიცხვითი სახელები: 40—99); მაშასადამე, ნუსიდალდა = „ასზე“ (ნუსიდალდა-ცო = „ასზე ერთი“...).

აზარ-გო „ათასი“ სპარსულიდან ნასესხები აზარ- ფუძეა, *ხუნდ.* -გო ნაწილაკით გაფორმებული.

1001 — აზარალდა-ცო = „ათასზე ერთი“ და ა. შ.

2000 — კი-აზარგო = „ორ-ათასი“, 3000 — ლ'აბ-აზარგო = „სამ-ათასი“... 200.000 — კი-ნუს-აზარგო = „ორ-ას-ათასი“ (შდრ. *ქართ.* ორი ათასი, სამი ათასი... ორ-ასი ათასი...).

§ 123. თვლის სისტემა. როგორც ვნახეთ, 40-დან მოყოლებული ასამდის თვლა ოცობითია. ლ'ებერგო (30) ოცობით სისტემას არ განეკუთვნება, რაკი იგი ლ'აბ „სამ“-ფუძეს უკავშირდება (თუმცა, „ათის“ აღმნიშვნელი ფუძე მასში არა ჩანს; რაც შეეხება -ერ ელემენტს, რომელიც ლ'ებერგო [ლ'აბერგო]-ში გამოიყოფა ლ'აბ- „სამ“ ფუძესთან შეპირისპირებით, მისი რაობა, როგორც ეს ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, გაურკვეველია).

მაშასადამე, თვლის სისტემა — მთლიანად — ნარევია.

ზოგ თქმაში თვლის ათობითი სისტემა ბოლომდისაა გატარებული; კერძოდ, აულ დურანგის მეტყველებაში¹:

- 40 — უნყწალი
- (41 — უნყწალიდალდა-ცო)
- 50 — შაუწალი
- (51 — შაუწალიდალდა-ცო)
- 60 — ანლწალი
- 70 — ანტაწალი
- 80 — მიტაწალი
- 90 — იჭწალი

¹ დანართი: გვ. 173.

- წალი, რომელიც აქ ერთეულების აღმნიშვნელ სახელებს დაერთვის, უნდა აღნიშნავდეს „ათეულს“ (შდრ. ანწ- „ათი“).

თავისებურია სისტემა ჭარულ კილოში¹:

20 — ყოგუ	60 — იხ-წილ
30 — ჰებერგუ (ლ'ებერგუ)	70 — იკ-წილ
40 — კიყოგო	80 — მო-წილ
50 — ხო-წილ	90 — დოჭილ დოჭ-წილ.

აქ 40 ოცობითი სისტემის მიხედვითაა (კი-ყოგო „ორ-ოცი“) ნაწარმოები, მაგრამ 50-დან მოყოლებული სისტემა ათობითი ჩანს, თუმცა გაუგებარი რჩება, თუ რა არის მამრავლად გამოყენებული (ჩანს: ხო — 5, იხ — 6, იკ — 7, მო — 8, დოჭ — 9, მაგრამ ასეთი რიცხვითი სახელები ცალკე აღებული — ჭარულს არ მოეპოვება; შდრ. შუგუ — 5, ანჰჰგუ — 6, ანკჰგუ — 7, მიკჰგუ — 8, იჭგუ — 9).

§ 124. რაოდენობითი რიცხვითი სახელი არსებით სახელთან ერთად. რაოდენობითი რიცხვითი სახელი არსებით სახელის მსაზღვრელის როლში -გო ნაწილაკიანია (თუ კომპოზიტს არ ვიღებთ). არსებით სახელი ყველა რიცხვით სახელთან მხოლოდობით რიცხვში დაისმის (როგორც ქართულში): კიგო ჰალმად „ორი ამხანაგი“... ლ'აბგო ვაცუ „სამი ძმა“... შუგო დაცუ „ხუთი და“... ანწგო ჩუ „ათი ცხენი“... (თუ შენაერთი კომპოზიტს იძლევა, -გო ნაწილაკი რიცხვით სახელს აღარ ექნება: ლ'აბჰინ „სამყურა“... კინუსგო „ორ-ასი“...).

რაოდენობითი რიცხვითი სახელი არსებით სახელთან ერთად ხმარებისას კლას-ნიშანს არ დაირთავს და, მაშასადამე, შეთანხმებას არსებით სახელთან კლასში ადგილი არა აქვს (იხ. ზემოთ მაგალითები). ამით რიცხვითი სახელი განსხვავდება მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავი სახელისაგან, რომელიც უთანხმდება არსებით სახელს კლასში (და რიცხვში).

რაც შეეხება შეთანხმებას ბრუნვაში, რიცხვითი სახელი არსებით სახელთან ერთად ხმარებისას ისევე უცვლელია ბრუნვათა მიხედვით, როგორც ზედსართავი სახელი (და ყველა სხვა სახელი მსაზღვრელის როლში):

სახ.	ლ'აბგო ვაცუ „სამი ძმა“
ერგ.	ლ'აბგო ვაცაასჷ
ნათ.	ლ'აბგო ვაცაასჷლ
მიც.	ლ'აბგო ვაცაასჷ

¹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, საანგარიშო მოხსენება ჭარულ კილოზე მუშაობისა...

§ 125. რაოდენობითი რიცხვითი სახელი არსებითი სახელისაგან დამოუკიდებლად.

რაოდენობითი რიცხვითი სახელი, როცა იგი წინადადებაში არსებითი სახელისაგან დამოუკიდებლად არის ნახმარი, დაირთავს კლასების (და რიცხვის) მიხედვით განსხვავებულ სუფიქსებს: **-ავ**, **-აჲ**, **-აბ**; **-ალ** (ე. ი. იმავე სუფიქსებს, რასაც ზედსართავი სახელის ფუძე დაირთავს): ცოდ-ავ, ცოდ-აჲ, ცოდ-აბ „ერთი“ (ძრ. ცოდ-ალ); კიგოდ-ავ, კიგოდ-აჲ, კიგოდ-აბ „ორი“ (ძრ. კიგოდ-ალ); ლ'აბგოდ-ავ, ლ'აბგოდ-აჲ, ლ'აბგოდ-აბ „სამი“ (ძრ. ლ'აბგოდ-ალ); უწყოდ-ავ, უწყოდ-აჲ, უწყოდ-აბ „ოთხი“ (ძრ. უწყოდ-ალ)... ანწგოდ-ავ, ანწგოდ-აჲ, ანწგოდ-აბ „ათი“ (ძრ. ანწგოდ-ალ) და ა. შ. (-აჲ აქ ყველგან ხმოვანთგასაყარია).

ასეთი რიცხვითი სახელი იბრუნვის (როგორც ზედსართავი სახელი) შესაბამისად კლასებისა და რიცხვისა:

სახ.	კიგოდ-ავ	<u>კიგოდ-აჲ</u> კიგოდ-აბ	კიგოდ-ალ
ერგ.	კიგოდ-ა-სა	კიგოდ-ა-ლ'ა	კიგოდ-ა-ზ
ნათ.	კიგოდ-ა-სა-ულ	კიგოდ-ა-ლ'ა-ულ	კიგოდ-ა-ზ-ულ
მიც.	კიგოდ-ა-სა-ე	კიგოდ-ა-ლ'ა-ე	კიგოდ-ა-ზ-ე

კიგოდ-ავ (-აჲ, -აბ, -ალ) მხოლოდ იმით განსხვავდება კიგოდ-საგან, რომ პირველი დამოუკიდებლად იხმარება (გასუბსტანტივებულია); შდრ.: კიგოდ-ავ ვაჭანა „ორი მოვიდა“ (კიგოდ-ალ რაჭანა „ორნი მოვიდნენ“) — კიგოდ ვაჭა ვაჭანა „ორი ძმა მოვიდა“ (არ ითქმის: კიგოდ-ავ ვაჭა ვაჭანა).

მაშასადამე, რიცხვითი სახელის ამ ფორმებს შორის იგივე განსხვავებაა, რაც ზედსართავის ჰიტინ-ავ და ჰიტინ-ავ-ავ („პატარა“) ფორმებს შორის გვაქვს (ჰიტინ-ავ და კი-გოდ ორივე მსაზღვრელად შეიძლება გვქონდეს, ხოლო ჰიტინ-ავ-ავ და კიგოდ-ავ — ორივე დამოუკიდებლად იხმარება). შესაბამისობაა ფუძეთა მიხედვითაც; შდრ.: კი- „ორ-“ (-გოდ ნაწილაკის გარეშე) — ჰიტინ- „პატარა-“ (-ავ სუფიქსის გარეშე). აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ **-გოდ** ნაწილაკი რიცხვითი სახელის ფუძესთან იმავე მიმართებაშია, როგორშიც **-ავ** სუფიქსი — ზედსართავის ფუძესთან.

შენიშვნა. რიცხვითი სახელი შეიძლება დამოუკიდებლად იხმარებისას არ დაირთავდეს **-ავ** სუფიქსს (მაგალ., თვლის დროს: კიგოდ — 2, ლ'აბგოდ — 3 და ა. შ.), მაგრამ ასეთ შემთხვევებში სათანადოდ არსებითი სახელი (მაგალ., თვლისას იმ საგანთა სახელი, რომელთაც ითვლიან) ყოველთვის იგულისხმება.

§ 126. კრებითი რიცხვითი სახელები. იგივე **-ავ** (-აფ, -აბ, -ალ) ზედსართაული სუფიქსი, რომელიც დამოუკიდებლად ხმარებულ რაოდენობით რიცხვით სახელს დაერთვის (**-გო** ნაწილაკის შემდეგ), შეიძლება ფუძესაც მოჰყვეს (**-გო** ნაწილაკის წინ) და მაშინ სათანადო რიცხვით სახელს კრებითი მნიშვნელობა ექნება; შდრ.:

კიგო „ორი“ — კიფ-ავ-გო, კიფ-აფ-გო, კიფ-აბ-გო „ორივე“, *მრ.* კიფ-ალ-გო „ორნივე“ (-ფ- ხმოვანთვასაყარია, რომელიც ყოველთვის იჩენს თავს, როცა ფუძე ხმოვანზეა გათავებული; შდრ. ქვემოთ);

ლ'აბგო „სამი“ — ლ'აბ-ავ-გო, ლ'აბ-აფ-გო, ლ'აბ-აბ-გო „სამივე“,
; *მრ.* ლ'აბ-ალ-გო;

უნყო (უნყ-გო) „ოთხი“ — უნყ-ავ-გო, უნყ-აფ-გო, უნყ-აბ-გო „ოთხივე“; *მრ.* უნყ-ალ-გო...

ანწგო „ათი“ — ანწ-ავ-გო, ანწ-აფ-გო, ანწ-აბ-გო, „ათივე“; *მრ.* ანწ-ალ-გო...

ასეთი რიცხვითი სახელი შეიძლება იხმარებოდეს როგორც დამოუკიდებლად (ლ'აბ-ავ-გო ვაჭანა „სამივე მოვიდა“...), ისე მსაზღვრელადაც (ლ'აბ-ავ-გო ვაცა ვაჭანა „სამივე ძმა მოვიდა“...).

მრავლობითი რიცხვის ფორმა (კიფ-ალ-გო, ლ'ა-აბ-ალ-გო...) მაშინ იხმარება, როცა მხედველობაშია სხვადასხვა გრამატიკ. კლასის საგნები (მაგალ., მამაკაცები და ქალები). კიფ-ალ-გო რ-აჭანა „ორივენი მოვიდნენ“ (მამაკაციც და ქალიც). მხოლოდ ერთი რომელიმე კლასის ფარგლებში კრებით რიცხვით სახელს მხოლოდობითის ფორმა ექნება: კიფ-ავ-გო ვაჭანა (I კლ.), კიფ-აფ-გო ვაჭანა (II კლ.) კიფ-აბ-გო ბაჭანა (III კლ.) „ორივე მოვიდა“.

კრებითი რიცხვითი სახელი ბრუნებისას ბრუნვის ნიშნებს უშუალოდ ფუძეზე (**-გო** ნაწილაკის წინ) დაირთავს:

ლ'აბ-ავ-გო (I კლ.) — *ერგ.* ლ'აბ-ასა-გო, *ნათ.* ლ'აბ-ასა-ულ-გო, *მიც.* ლ'აბ-ასა-ე-გო; *აღვ.* I ლ'აბ-ასა-და-გო, *აღვ.* II ლ'აბ-ასა-უ-გო და ა. შ.

ლ'აბ-აფ-გო (II კლ.), ლ'აბ-აბ-გო (III კლ.) — *ერგ.* ლ'აბ-ალ'ა-გო, *ნათ.* ლ'აბ-ალ'ა-ულ-გო,, *მიც.* ლ'აბ-ალ'ა-ე-გო; *აღვ.* I ლ'აბ-ალ-და-გო, *აღვ.* II ლ'აბ-ალ'ა-უ-გო და ა. შ.

ლ'აბ-ალ-გო (*მრ.* რ.) — *ერგ.* ლ'აბ-აზ-გო, *ნათ.* ლ'აბ-აზ-ულ-გო, *მიც.* ლ'აბ-აზ-ე-გო; *აღვ.* I ლ'აბ-აზ-და-გო, *აღვ.* II ლ'აბ-აზ-უ-გო და ა. შ.

§ 127. რიგობითი რიცხვითი სახელები. რიგობითი რიცხვითი სახელები აღწერილად იწარმოება: რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეს დაერთვის ა ბ ი ზ ე („თქმა“) ზმნის მყოფადის მიმღეობა: აბილ-ე-ვ (I კლ.), აბილ-ე-ფ (II კლ.), აბილ-ე-ბ (III კლ.), აბილ-ე-ლ (*მრ.* რ.); შდრ. (მაგალითები მოგვყავს მხოლ. რიცხვის III კლ. ფორმით):

კიგო „ორი“ — კი-აბილ-ე-ბ „მეორე“ (*ზედმიწ.* „ორ-სათქმელი“);
 ლ'აბგო „სამი“ — ლ'აბ-აბილ-ე-ბ „მესამე“ (*ზედმიწ.* „სამ-სათქმელი“);
 უნყო „ოთხი“ — უნყ-აბილ-ე-ბ „მეოთხე“ (*ზედმიწ.* „ოთხ-სათქმელი“)
 და ა. შ.

თავისებურია „პირველი“: ტოცაე-ვ-ე-საე-ვ (I კლ.), ტოცაე-დ-ე-საე-დ (II კლ.), ტოცაე-ბ-ე-საე-ბ (III კლ.), ტოცაე-რ-ე-საე-ლ (*მრ. რ.*): იგი ნაწარმოებია ზმნისართისაგან ცაე-ვ-ე „წინ“ (*ზედსართ.* ცაე-ვ-ე-საე-ვ „წინა“ ტო-ცაე-ვ-ე-საე-ვ „პირველი“, *ზედმიწ.* „ყველაზე წინა“).

აღწერითად ნაწარმოები ცო-აბილ-ე-ბ „პირველი“, *ზედმიწ.* „ერთ-სათქმელი“ (რიცხვითი სახელისაგან ცო „ერთი“) იხმარება უმთავრესად რთულ რიცხვით სახელებთან: ანწილა ცო-აბილ-ე-ბ „მეთერთმეტე“, ყოლო ცო-აბილ-ე-ბ „ორმოცდაპირველი“ და ა. შ.

§ 128. წილობითი რიცხვითი სახელები. წილობით რიცხვითი სა-

ხელად გამოიყენება დამოუკიდებელი სიტყვა: ბუტა „ნაწილი“, რომელიც დაერთვის რაოდენობითი რიცხვითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, რომელსაც, თავის მხრივ, შეიძლება ზედსართაული -ა-ბ (II -ე-ბ) სუფიქსიც ახლდეს; *მდრ.*:

ლ'აბგო „სამი“ — ლ'აბილ (ლ'აბილ-აბ¹) ბუტა „მესამედი“ (*ზედმიწ.* „სამის ნაწილი“);

უნყო „ოთხი“ — უნყილ (უნყილ-აბ) ბუტა „მეოთხედი“ (*ზედმიწ.* „ოთხის ნაწილი“);

შაუგო „ხუთი“ — შაუგილ (შაუგილ-აბ) ბუტა „მეხუთედი“ (*ზედმიწ.* „ხუთის ნაწილი“)...

ანწგო „ათი“ — ანწილ (ანწილ-აბ) ბუტა „მეათედი“ (*ზედმიწ.* „ათის ნაწილი“)...

წარმოება, როგორც ჩანს, აღწერითია. ამგვარი წარმოების დროს ყურადღებას იქცევს რიცხვითი სახელის ფორმა (ლ'აბილ, უნყილ, შაუგილ... ანწილ...). ესაა, როგორც ზემოთ ითქვა, ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (ლ'აბ-ი-ლ „სამისა“, უნყ-ი-ლ „ოთხისა“, შაუ-ი-ლ „ხუთისა“... ანწ-ი-ლ „ათისა“... [*მდრ.*: განჭ-ი-ლ „ქვისა“, ბაწ-ი-ლ „მგლისა“...]), ხოლო პარალელურად ხმარებული ფორმა ზედსართაული -ა-ბ სუფიქსით (ლ'აბ-ი-ლ-აბ, უნყ-ი-ლ-აბ და ა. შ.) სხვა არაფერია თუ არ ნანათესაობითარი ზედსართავი (*მდრ.* ბუკნ-ი-ლ „კუთხისა“ ბუკნ-ი-ლ-აბ „კუთხური“...). რიცხვითი სახელი ნათესაობითის ფორმით (და მისგან ნაწარმოები ზედსართავის

¹ პ. უსლარი და ლ. ჟირკოვი -**ე-ბ** სუფიქსიან ფორმებს აღნიშნავენ: ლ'აბილ (ლ'აბილ-ე-ბ) ბუტა „მესამედი“ (. გვ. 114, § 114; გვ. 178).

ფორმით) აქ ბუტა („ნაწილი“) სახელის მსაზღვრელია (ლ'აბ-ი-ლ || ლ'აბ-ი-ლ-აბ ბუტა „სამის ნაწილი“ — „მესამედი“, უნყ-ი-ლ || უნყ-ი-ლ-აბ ბუტა „ოთხის ნაწილი“, — „მეოთხედი“...).

ნათესაობითი ბრუნვის აღნიშნული ფორმა საინტერესოა, რამდენადაც ცალკე აღებული რაოდენობითი რიცხვითი სახელი ამჟამად ნათესაობითს ასე არ აწარმოებს; შდრ.: ლ'აბგოა-ასა-ულ (I კლ.), ლ'აბგოა-ალ'ა-ულ (II-III კლ.) „სამისა“, უნყგოა-ასა-ულ (I კლ.), უნყგოა-ალ'ა-ულ (II-III კლ.) „ოთხისა“ და ა. შ. — ნათესაობითის ეს — ამჟამად გაბატონებული — ფორმები ორფუძიანი ბრუნების შესაბამისი ფორმებია (განსხვავებული გრამატიკ. კლასების მიხედვით); ეს მაშინ, როდესაც ლ'აბი-ლ „სამისა“, უნყ-ი-ლ „ოთხისა“ და ა. შ., რომელიც ზემოაღნიშნული — აღწერითი — წარმოებისას იჩენს თავს, აგრეთვე ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა, მაგრამ ერთფუძიანი ბრუნების შესაბამისი ფორმა (რომელიც გრამატიკ. კლასების მიხედვით გაუარჩეველია).

„ნახევარის“ მნიშვნელობით ცალკე სიტყვაა: ბა(რ)შაად-, ბა(რ)შაად-აბ || ბაშაად-აბ.

§ 129. ფუძეგაორკეცებული რიცხვითი სახელები. ცო-ცო „თითო“, კი-კი „ორ-ორი“, ლ'აბ-ლ'აბ „სამ-სამი“... ანწ-ანწ „ათ-ათი“ რთულ რიცხვით სახელებში მეორდება ერთეულის აღმნიშვნელი ფუძეები (-გო ნაწილაკის გარეშე): ანწილა ცო-ცო „თერთმეტ-თერთმეტი“... ყოლო შაუ-შაუ „ოცდახუთ-ოცდახუთი“...

ნაცვალსახელი

§ 130. პირის ნაცვალსახელები. პირის ნაცვალსახელებია: დუნ „მე“, მუნ „შენ“, ნიყ „ჩვენ“ (*ექსკლუზიური*), ნილ „ჩვენ“ (*ინკლუზიური*), ნუყ „თქვენ“. მესამე პირისათვის იყენებენ ჩვენებით ნაცვალსახელს.

პირის ნაცვალსახელები ყველა სხვა ნაცვალსახელისაგან განსხვავებით გრამატიკულ კლასებს არ განარჩევენ (არ დაირთავენ კლას-ნიშნებს).

პირის ნაცვალსახელთა ბრუნება

სახ.	დუნ	მუნ	ნიყ	ნილ	ნუყ
ერგ.	დრ-ცაა	დუ-ცაა	ნეყ-ე-ცაა	ნელ'-ე-ცაა	ნოყ-რ-ცაა
ნათ.	დრ-რ	დუ-რ	ნეყ-ე-რ	ნელ'-ე-რ	ნოყ-რ-რ
მიც.	დრ-მ-ე	დუ-მ-ე	ნეყ-ე-მ-ე	ნელ'-ე-მ-ე	ნოყ-რ-მ-ე
ადგ. I	დრ-და	დუ-და	ნეყ-ე-და	ნელ'-ე-და	ნოყ-რ-და
ადგ. II	დრ-ჴ	დუ-ჴ	ნეყ-ე-ჴ	ნელ'-ე-ჴ	ნოყ-რ-ჴ
					და ა. შ.

შენიშვნები და განმარტებები:

1. სახელობით ბრუნვაში დუნ („მე“) და მუნ („შენ“) გარჩეულია თავკიდური (ძირეული) თანხმობის მიხედვით. ეს განსხვავება დანარჩენ ბრუნვებში მოშლილია, განსხვავებას აქ ხმოვნითი ელემენტი ამყარებს (დ-ი-ცაა — დ-უ-ცაა...).

2. დუნ („მე“) და მუნ („შენ“) ნაცვალსახელთა ბოლოკიდური ნ თანხმობანი, რომელიც ფუძეს სახელობითი ბრუნვიდან არ გადაჰყვება დანარჩენ ბრუნვებში, ძირეული არ უნდა იყოს, ამ ნ-ს ძველად ხმოვანიც უნდა ზღებოდა (შდრ. ატვაბ. დენე „მე“, მენე „შენ“... ჯართ. მენ(ა), შენ(ა)...)

3. მრავლობითის სახელობითში პირველი და მეორე პირები დაპირისპირებულია ერთმანეთთან ხმოვნითი ელემენტის მიხედვით: ნიჟ („ჩვენ“ — ექსკლუზ.) — ნუჟ „თქვენ“; შდრ. მხოლოდობითი რიცხვის პირველ და მეორე პირებს შორის ანალოგიური დაპირისპირება ერგატივსა და მისგან მოყოლებულ ბრუნვებში: დ-ი-ცაა („მე“) — დ-უ-ცაა („შენ“).

ექსკლუზიური და ინკლუზიური ვარიანტები მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელისა ერთმანეთს უპირისპირდება ძირეული თანხმობის მიხედვით ნიჟ (ექსკლ.) — ნილ (ინკლუზ.) „ჩვენ“.

ნიჟ, ნილ, ნუჟ ნაცვალსახელთა ფუძისეული ხმოვნის შეცვლა ერგატივსა და მისგან მოყოლებულ ბრუნვებში ასიმილაციის შედეგია (ნეჟ-ე-ცაა ნიჟ-ე-ცაა... ნელ-ე-ცაა ნილ-ე-ცაა... ნოჟ-რ-ცაა ნუჟ-რ-ცაა... — მახვილიანი დამაკავშირებელი ხმოვანი იმსგავსებს უმახვილო ფუძისეულ ხმოვანს).

შენიშვნა. სამწერლო ხუნძურის ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით ნიჟ, ნილ, ნუჟ ნაცვალსახელთა ფუძისეული ხმოვანი უცვლელად იწერება დანარჩენ ბრუნვებშიც (ნიჟეცაა, ნილეცაა, ნუჟეცაა).

4. ნათესაობითის ნიშნად პირის ნაცვალსახელებს აქვთ -რ (დი-რ, დუ-რ, ნეჟ-ე-რ, ნელ-ე-რ, ნოჟ-ო-რ). ეს -რ, როგორც ვიცით (§ 61), წარმოშობით — ისტორიულად არსებული — IV გრამატიკული კლასის ნიშანია; ძველად ნათესაობითის ფორმაში უნდა გვექონოდა დანარჩენი კლასების ნიშნებიც (ცვალეზადი შესაბამისად საზღვრული სახელის გრამატიკ. კლასებისა): *დი-ვ ვაცა „ჩემი ძმა“, *დი-ფ ფაცა „ჩემი და“ და ა. შ.

შენიშვნა. ეგვე -რ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ჩანს სიტყვაში: ჩიფ-ა-რ „სხვისი“ (ეტიმოლოგ. „რომელიდაც კაცისა“; შდრ. ჩი „კაცი“).

5. მიცემითი ბრუნვის **-ე** დაბოლოებას რომ წინ **-ი** უძღვის (დი-ე-ე, დუ-ე-ე, ნეჟ-ე-ე, ნელ'-ე-ე, ნოჟ-ო-ე-ე), ესეც გაქვავებული კლას-ნიშანია (შდრ. ქვემოთ ანწუხური დიალექტის ჩვენება).

6. დ ი ა ლ ე ქ ტ უ რ ი თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ე ბ ი დ ა ნ ალსანიშნავია:

ა) მრავლობითი რიცხვის მეორე პირისათვის სამხრ.-ხუნძურის კილო-თქმებში მუჟ გვაქვს. ეს ვარიანტი უნდა იყოს ამოსავალი ჩრდ.-ხუნძ. (და სამწ. ხუნძ.) ნუჟ-ისათვის: ნუჟ მუჟ (ა. შიფნერი¹);

ბ) სამხრ.-ხუნძურის ზოგ თქმაში (მაგალ., ჭარული კილოს თალურ თქმაში, აგრეთვე ჭარადის რაიონის ზოგი აულის [მაგალ., აულ წინების] მეტყველებაში) მრავლობითი რიცხვის პირველ პირში ნაცვლად ორი ვარიანტისა — ნიჟ (*ექსკლ.*) და ნილ' (*ინკლუზ.*) „ჩვენ“ — გარჩეულია ერთი ვარიანტი: ნიჟ „ჩვენ“ (*ზოგადი მნიშვნელობით*);

გ) თვალსაჩინოა სხვაობა ერგატივის დაბოლოებების მიხედვით; შდრ.: ჩრდ.-ხუნძ. (და სამწერ. ხუნძ.) **-ცა** (დი-ცა, დუ-ცა, ნეჟ-ე-ცა, ნელ'-ე-ცა, ნოჟ-ო-ცა) — ანწუხ. **-ლ'ა** || **-ლ'**: დი-ლ'(ა), დულ'(ა), ნეჟ-ე-ლ'(ა), ნელ'-ე-ლ'(ა), მუჟ-ე-ლ'(ა); ანდალ. (*ჭობ.-სოღრათლ.*) **ლ'ა ლ'ა** (§ 46): დი-ლ'ა, დუ-ლ'ა, ნეჟ-ე-ლ'ა, ნელ'ა-ე-ლ'ა, მუჟ-ე-ლ'ა; ჰიდ. **ლ'ა ლ'ა** (§ 46) მხოლოდობით რიცხვში, **-დ** მრავლობითში: დი-ლ'ა || ი-ლ'ა, დუ-ლ'ა || ულ'ა, ნეჟ-ე-დ, ნელ'ა-ე-დ, ნუჟ-ე-დ; ჭარ. **-ჰჰჰა ლ'ა -ლ'ა** (§ 48) მხოლოდობითში, **-დ** მრავლობითში: დი-ჰჰჰა, დუ-ჰჰჰა, ნეჟ-ე-დ, ნეჰჰჰე-დ, მოჟ-ო-დ;

ზოგგან (მაგალ., კოპორიბ-სა და ყაპიბ-ში) ერგატივი არაა გარჩეული სახელობითისაგან (*მრავლობით რიცხვში*); ნიჟ, ნილ' „ჩვენ“, ნუჟ „თქვენ“ სახელობითიცაა და ერგატივიც, რაც არქაული მოვლენაა: წინათ არც მხოლოდობითი რიცხვის პირის ნაცვალსახელებს უნდა ჰქონოდა ერგატივი სახელობითისაგან გარჩეული (შდრ. ქართულში: მე, შენ, ჩვენ, თქვენ — სახელობითისთვისაც იხმარება და ერგატივისთვისაც; ანალოგიური ვითარება გვაქვს დაღესტნის სხვა ენებშიც).

დ) ანწუხურ დიალექტში პირის ნაცვალსახელთა (ისევე, როგორც სხვა სახელთა) მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილია გრამატიკ. კლასების (და რიცხვის) ცოცხალი (ცვალებადი) ნიშნები: დი-ვ-ე, დი-ე-ე, დი-ბ-ე, დი-რ-ე; დუ-ვ-ე, დუ-ე-ე, დუ-ბ-ე, დუ-რ-ე...

¹ შდრ. რ. ერკერტთან: „მეორე პირი მრავლობითისა მუჟ ახალი წარმოება ჩანს მხოლოდობითის მუნ-ის („შენ“) მიხედვით“-ო (იხ. Die Sprachen des kaukasischen Stammes, ნაწ. II, გვ. 177).

§ 131. კითხვითი ნაცვალსახელები. კითხვითი ნაცვალსახელებია: ში-ვ (I კლ.) „ვინ?“ ში-დ (II კლ.) „ვინ?“ ში-ბ (III კლ.) „რა?“, მრ. რ. ში-ალ.

კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნება

სახ.	ში-ვ, ში-დ „ვინ?“	ში-ბ „რა?“;	ში-ალ (მრ. რ.)
ერგ.	ლ'ი-ცაა	საუნ-ცაა	ლ'ი-ცაა
ნათ.	ლ'ი-ლ	საუნ-დ-უ-ლ	ლ'ი-ლ
მიც.	ლ'ი-დ-ე	საუნ-დ-უ-დ-ე	ლ'ი-დ-ე
ადგ. I	ლ'ი-და	საუნ-და	ლ'ი-და
ადგ. II	ლ'ი-ჲ	საუნ-დ-უ-ჲ	ლ'ი-ჲ და ა. შ.

1. კითხვით ნაცვალსახელებს სახელობით ბრუნვაში საერთო-ფუძე (ში-) აქვთ გამოყენებული, განსხვავებულია ფუძეს დართული გრამატიკული კლასის ნიშნები. დანარჩენ ბრუნვებში საერთო ფუძეს ცვლის სხვადასხვა ფუძეები: ლ'ი- („ვინ“ ნაცვალსახელისათვის) და საუნ- („რა“ ნაცვალსახელისათვის).

2. საუნ- ფუძე თავისი აგებულებით გვაგონებს პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა ფუძეებს; შდრ.:
დუნ („მე“) — მუნ („შენ“) — საუნ- („რა“).

3. ნათესაობითა და მიცემითში საუნ- ფუძეს დაერთვის -დ: საუნ-დ: ეს -დ ძველად ერგატივიშიც უნდა გვქონოდა (აქედან უნდა იყოს იგი ფუძეს გადმოყოლილი ნათესაობითა და მიცემითში). სამხრულ-ხუნძურში -დ ერგატივიშიც გვაქვს, როგორც ამ ბრუნვის ნიშანი (იხ. ქვ. 7).

4. სახელობით ბრუნვაში „ვინ“ ნაცვალსახელი გარჩეულია კლასების („სქესების“) მიხედვით: ში-ვ (I კლ.) „ვინ“ (მამაკაცი) — ში-დ (II კლ.) „ვინ“ (ქალი). ერგატივიდან მოყოლებული კი ორივე კლასი საზიარო ფორმას იყენებს (ერგ. ლ'ი-ცაა „ვინ“ და ა. შ. — ითქმის როგორც მამაკაცის, ისე ქალის მიმართ). ეს ფაქტი იმ დროის გადმონაშთი უნდა იყოს, როცა I და II კლასები დიფერენცირებული არ იყო, გარჩეული იყო ადამიანის კლასი, რომელშიც შედიოდა მამაკაციც (ადამიანი მამრობითი სქესისა) და ქალიც (ადამიანი მდედრობითი სქესისა). ერგატივიდან მოყოლებული ხუნძური კითხვითი ნაცვალსახელები სემასიოლოგიურად ისევეა დიფერენცირებული, როგორც ქართულში „ვინ“ და „რა“ (ლ'ი-ცაა „ვინ“ — საუნ-ცაა „რა“: პირველი იხმარება ადამიანის მიმართ განურჩევლად სქესისა, მეორე ყველა დანარჩენის — ცოცხალი არსების, ნივთის თუ მოვლენის — მიმართ; შდრ.

რუსულში სულ სხვაგვარი დაპირისპირებაა „ — „ — „ კითხვითი ნაცვალსახელების მნიშვნელობათა).

5. ერგატივისა და დანარჩენ ბრუნვათა ჩვენება უძველესი ჩანს სახელობითისაზე იმ მხრივაც, რომ აქ მნიშვნელობები („ვინ“ — „რა“) გარჩეულია ფუძეების მიხედვით (ლ'აი-ცაა „ვინ“ — საუნ-ცაა „რამ“); სახელობით ბრუნვაში კი ერთი და იმავე (ში-ი) ფუძის ხმარება მეორეული უნდა იყოს. ეს საერთო ფუძე სახელობითისა წარმოშობით შეიძლება მივიჩნიოთ „ვინ“ ნაცვალსახელის (ლ'აი-ი) ფუძის ფონეტიკურ ვარიანტად, რომელიც შემდეგ „რა“ ნაცვალსახელისათვისაც იქნა გამოყენებული; სქემატურად:

ერგ.-ნათ.-მიც. ლ'აი- („ვინ“) — საუნ- („რა“)

სახელობითი ში- ში-

სახელობითში მოიშალა სხვაობა ფუძეთა მიხედვით, მნიშვნელობებს გრამატიკული კლასის ნიშნები გვარჩევენებს: ში-ვ (I კლ.), ში-დ (II კლ.) „ვინ?“ — ში-ბ (III კლ.) „რა?“.

საუნ- ფუძის სიძველეს „რა“ ნაცვალსახელისათვის მონათესავე ენათა ჩვენებაც უჭერს მხარს; შდრ.: ხუნძ. საუნ-, ლაჟ. სა- (ნათ. საა-ლ), დარგ. სი- (ერგ. სი-ლი), ბაცბ. სტენ-, ადიღ. სგდ (ყაბარდ. სეთ) „რა“ და — შე-სადლოა — ქართ. *სა- (სა-ნა-მდის, სა-და...).

ბ. მრავლობით რიცხვს სახელობით ბრუნვაში საკუთარი ფორმა აქვს: შაალ („ვინები“ ან „რაები“), მაგრამ დანარჩენ ბრუნვებში იგი საკუთარ ფორმებს მოკლებულია: იყენებს მხოლოლობითის ფორმებს (როცა ადამიანი ივარაუდება: ლ'აი-ცაა „ვინ“, „ვინებმა“, ძვ. ქართ. „ვიეთა“...).

სახელობითის ფორმა მრავლობითისა (შაალ) გვიანდელი წარმოება ჩანს (ძველად მრავლობითის საკუთარი ფორმა კითხვით ნაცვალსახელებს არც სახელობითში უნდა ჰქონოდა; შდრ. ქართ. „ვინ“, „რა“ — ორსავე რიცხვში გამოიყენება; „ვინები“, „რაები“ || „რანი“ ახალი წარმოებაა).

7. დ ი ა ლ ე ქ ტ უ რ ი თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ე ბ ი დ ა ნ კითხვითი ნაცვალსახელთა ბრუნებისას მთავარია:

ა) ერგატივის ნიშნად -დ-ს ხმარება სამხრ.-ხუნძურ კილო-თქმებში (ჩრდ.-ხუნძ. სამწ. ხუნძურის -ცა-ს ადგილას): ლ'აი-დ „ვინ?“ — საუნ-დ || საუნ-დ-უ-დ „რამ?“ (ძველად, ჩრდ.-ხუნძურშიც -დ უნდა გვქონოდა -ცა-ს ადგილას, რასაც მოწმობს ნათესაობითისა და მიცემითის ფორმები „რა“ ნაცვალსახელისა: საუნ-დ-უ-ლ „რისა“, საუნ-დ-უ-დ-ე „რასა“ — იხ. ზემოთ: 3).

ბ) ანწუხურ დიალექტში კითხვით ნაცვალსახელთა მიცემითის ფორმებში გრამატიკ. კლასის ნიშნები (და მრ. რიცხვის ნიშანი) ისევეა წარმოდგენილი, როგორც სხვა სახელებში (იხ. სქემა: გვ. 219).

გ) ჰიდურში კითხვითი ნაცვალსახელი ში-ბ („რა“) ბრუნებისას ფუძეს არ ცვლის: სახ. ში-ბ, ერგ. შიბ-ალ'ა, ნათ. შიბ-ალ'ა-ულ, მიც. შიბ-ალ'ა-ე..., რაც მეორეულია: შედეგია სახელობითის ფუძის (-ბ კლას-ნიშნთან ერთად!) გავრცელებისა დანარჩენ ბრუნებში. მაგრამ „ვინ“ ნაცვალსახელი ჰიდურშიც ფუძეცვალდება: სახ. შო ში-ვ (§ 26), ში-დ „ვინ“ — ერგ. ლ'ი-დ და ა. შ. (იხ. სქემა: გვ. 218).

ჭოხურში „რა“ ნაცვალსახელის ფუძეში (ერგატივიდან მოყოლებული) -სა-ს პარალელურად ში-ც შეიძლება გვქონდეს: საუნდ'უდი' || შუნდ'უდი' „რამ“ და ა. შ., რაც სახელობითის ში თანხმოვნის ფუძის ანალოგიის შედეგია (იხ. სქემა: გვ. 218).

§ 132. უკუქცევითი ნაცვალსახელი. უკუქცევითი ნაცვალსახელი

ისევე, როგორც კითხვითი და ჩვენებითი ნაცვალსახელები, სახელობით ბრუნვაში დაირთავს გრამატიკული კლასებისა და მრ. რიცხვის ნიშნებს: ჟი-ვ (I კლ.), ჟი-დ (II კლ.), ჟი-ბ (III კლ.); ჟალ (მრ. რ.) „თვითონ“. ეს ნაცვალსახელი მესამე პირს აღნიშნავს („ის თვითონ“). უკუქცევითობას ზოგადად (ყველა პირისათვის) გამოხატავს -გო ნაწილაკი, რომელიც ასეთი მნიშვნელობით შეიძლება დაერთოს როგორც ამ ნაცვალსახელს, ისე სხვა ნაცვალსახელებსაც (§ 136).

უკუქცევითი ნაცვალსახელის ბრუნება

სახ.	ჟი-ვ, ჟი-დ, ჟი-ბ;	ჟალ
ერგ.	ჟინ-ცაა	ჟოდ-ო-ცაა ჟუდ-ე-ცაა
ნათ.	ჟინ-დ-ი-რ	ჟოდ-ო-რ ჟუდ-ე-რ
მიც.	ჟინ-დ-ი-დ-ე	ჟოდ-ო-დ-ე ჟუდ-ე-დ-ე
ადგ. I	ჟინ-და	ჟოდ-ო-და ჟუდ-ე-და
ადგ. II	ჟინ-დ-ი-ჯ	ჟოდ-ო-ჯ ჟუდ-ე-ჯ

და ა. შ.

1. სახელობითში ფუძეს კლას-ნიშნები დაერთვის, მაგრამ დანარჩენ ბრუნებში განსხვავება კლასების მიხედვით არაფრით არ არის გამოხატული. ზოგ დიალექტში კი ეს ფუძისეულ (ან დამაკავშირებელ) ხმოვანთა მონაცვლეობით ხერხდება; შდრ., მაგალ.:

ჭარულში:	სახ.	ჟი-ვ	ჟი-დ, ჟი-ბ
	ერგ.	ჟენ-ე-დ	ჟუნ-ჟ-დ
ჰიდურში:	სახ.	ჟი-ვ	ჟი-დ, ჟი-ბ
	ერგ.	ჟენ-დ	ჟუნ-დ

2. ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება უკუქცევით ნაცვალსახელში იგივეა, რაც პირის ნაცვალსახელებში: **-რ**. ეს **-რ** აქაც გაქვავებული კლას-ნიშანია.

ზოგ დიალექტში **-რ**-ს ადგილას **-ლ** გვაქვს; შდრ.: ჭარ. ჟენ-ელ (I კლ.), ჟუნ-უ-ლ (II-III კლ.) „თავისი“, მაგრამ: ჟედ-ე-რ (მრ. რ.) „თავიანთი“ (მრავლობითის ნათესაობითში ისევე **-რ** არის“), ანწუხ. დინ-ელ „თავისი“. მაგრამ: უდ-ე-რ „თავიანთი“ (მრავლობითის ნათესაობითს აქაც **-რ** დაუცავს!). ეს **-ლ** შეიძლება იყოს **-რ**-ს ფონეტიკური ვარიანტი, თუ იგი სხვა სახელთა ნათესაობითი ბრუნვის **-ლ** დაბოლოების ანალოგიით არ არის **-რ**-სთან შენაცვლებული.

3. მხოლოდობითი რიცხვის ერგატივის ჟინ- ფუძე ბოლოკიდური თანხმოვნისა და, საერთოდ, ფუძის აგებულების მიხედვით გვავიწესებს დუნ („მე“), მუნ („მენ“) და საუნ- („რა“) ნაცვალსახელურ ფუძეებს.

სახელობითში ფუძეს **ნ** თანხმოვანი აკლია: **ჟი**-.

ნათესაობითსა და მიცემითში ჟინ- ფუძეს დაერთვის **-დ**: ჟინ-დ- (შდრ. საუნ- „რა“ ნაცვალსახელის ფუძეზე დართული იგივე **-დ** თანხმოვანი იმავე ბრუნვებში: საუნ-დ- იხ. § 131). დიალექტებში ეს **-დ** ფუძეს ერგატივშიც შეიძლება ჰქონდეს, როგორც ამ ბრუნვის დაბოლოება; შდრ. ჰიდ. ჟენ-დ || ჟუნ-დ, ჭარ. ჟენ-ე-დ || ჟუნ-უ-დ (იხ. ზემოთ: 1).

4. მრავლობითი რიცხვის ერგატივსა, ნათესაობითსა და მიცემითში გამოიყენება ჟუდ- (ჟუდ-ე-) || ჟოდ- (ჟოდ-ო-) ფუძე.

5. ანწუხურ დიალექტში ამ ნაცვალსახელის ძირეული თანხმოვანი **ჟ** **ჟი**: დი ჟი- || დინ-, ჟინ-, მრ. რ. უდ- ჟუდ- ჟუდ (იხ. ბრუნვების ნიმუშები: გვ. 220).

6. თვალსაჩინო სხვაობას აქვს ადგილი დიალექტთა შორის ერგატივის დაბოლოების მიხედვით: ჩრდ.-ხუნდ. **-ცა**, ანწუხ. **-ლ'**, ჰიდ., ჭარ. **-დ**; ანწუხური დიალექტი მიცემითის ფორმაში კლასებისა და მრ. რიცხვის ნიშნებს განარჩევს; ნათესაობითის წარმოებისას განსხვავება დიალექტთა შორის აღნიშნული გვექონდა ზემოთ (იხ. 2).

§ 133. ჩვენებითი ნაცვალსახელები. ჩვენებით ნაცვალსახელებს — ყველას — დაერთვის მხოლ. რიცხვში შესაბამისი კლას-ნიშანი (**-გ**, **-მ**, **-ბ**), მრავლობითში — რიცხვის ნიშანი (**-ლ**): ჰა-გ, ჰა-მ, ჰა-ბ; „ეს“, მრ. რ. ჰა-ლ „ესენი“... (ამის წინასწარ გათვალისწინებით ქვემოთ ჩვენებითი ნაცვალსახელები სიმარტივისათვის მოყვანილი იქნება I გრამატიკ. კლასის ფორმით, — კლას-ნიშნით: **-გ**):

1) ა-გ „ეს“ (პირველ პირთან ახლო მყოფი); პარალელურად იხმარება აგრეთვე: ჰა-გ „ეს“;

2) ე-გ „ეგ“ (მეორე პირთან ახლო მყოფი); პარალელურად იხმარება აგრეთვე: ჰე-გ „ეგ“;

3) ა) ღო-ვ „ის (როგორც პირველი, ისე მეორე პირისაგან მოშორებით მყოფი); ამისგან გარჩეულია კიდევ ორი ვარიანტი:

ბ) ღო-ვ „ის“ (დაბალ ადგილას მყოფი) და

გ) ლ'ო-ვ „ის“ (მაღალ ადგილას მყოფი).

გორაკზე მდგარი გორაკის ძირას მყოფის შესახებ იტყვის: ღო-ვ, ხოლო, თუ პირუტყუ შემთხვევაა, — ლ'ო-ვ.

რაც შეეხება ღო-ვ ვარიანტს, მას ხმარობენ მაშინ, როცა მიმთითებელი და მისათითებელი ორივე თანაბარი სიმაღლის ადგილზეა (ვთქვათ, ორივე გორაკზეა ან ორივე გორაკის ძირასაა).

ამ სამი ვარიანტიდან (ღო-ვ, ღო-ვ, ლ'ო-ვ) პირველი გამოიყენება ზოგადი (ნეიტრალური) მნიშვნელობითაც (სივრცისგან განყენებულად) შესაძენ პირის ნაცვალსახელის როლში: დუნ ვაჭანა „მე მოვედი“, მუნ ვაჭანა „შენ მოხვედი“, **ღო-ვ** ვაჭანა „ის მოვიდა“...

ჩვენებითი ნაცვალსახელთა ბრუნება

ყველა ჩვენებითი ნაცვალსახელი ერთნაირად იბრუნვის. სანიმუშოდ ვაბრუნოთ ა-ვ „ეს“, ე-ვ „ეგ“ და ღო-ვ „ის“ ნაცვალსახელები.

სახ.	ა-ვ	ა-დ, ა-ბ „ეს“	ა-ლ „ესენი“
ერგ.	ა-სა	ა-ლ'ა	ა-ზ
ნათ.	ა-სა-უ-ლ	ა-ლ'ა-უ-ლ	ა-ზ-უ-ლ
მიც.	ა-სა-ი-დ-ე	ა-ლ'ა-ი-დ-ე	ა-ზ-ი-დ-ე
ადგ. I	ა-სა-და	ა-ლ-და	ა-ზ-და
ადგ. II	ა-სა-უ-ჭ	ა-ლ'ა-უ-ჭ	ა-ზ-უ-ჭ და ა. შ.

სახ.	ე-ვ	ე-დ, ე-ბ „ეგ“	ე-ლ „ეგენი“
ერგ.	ე-სა	ე-ლ'ა	ე-ზ
ნათ.	ე-სა-უ-ლ	ე-ლ'ა-უ-ლ	ე-ზ-უ-ლ
მიც.	ე-სა-ი-დ-ე	ე-ლ'ა-ი-დ-ე	ე-ზ-ი-დ-ე
ადგ. I	ე-სა-და	ე-ლ-და	ე-ზ-და
ადგ. II	ე-სა-უ-ჭ	ე-ლ'ა-უ-ჭ	ე-ზ-უ-ჭ და ა. შ.

სახ.	ღო-ვ	ღო-დ, ღო-ბ „ის“	ღო-ლ „ისინი“
ერგ.	ღო-სა	ღო-ლ'ა	ღო-ზ
ნათ.	ღრ-სა-უ-ლ	ღრ-ლ'ა-უ-ლ	ღრ-ზ-უ-ლ
მიც.	ღრ-სა-ი-დ-ე	ღრ-ლ'ა-ი-დ-ე	ღრ-ზ-ი-დ-ე
ადგ. I	ღრ-სა-და	ღრ-ლ-და	ღრ-ზ-და
ადგ. II	ღრ-სა-უ-ჭ	ღრ-ლ'ა-უ-ჭ	ღრ-ზ-უ-ჭ და ა. შ.

1. ა-ვ || ჰა-ვ... ე-ვ || ჰე-ვ... დო-ვ... დო-ვ... ლ'ო-ვ (მნიშვნელობები იხ. ზემოთ) მარტივ ფუძეებიანი ჩვენებითი ნაცვალსახელებია. ამათგან პირველი ორის ფუძე შეიძლება დაერთოს სამი უკანასკნელის (მესამე პირის ჩვენებით ნაცვალსახელთა) ფუძეებს და მოგვცეს: **ჰ'ა-და-ვ**, **ჰ'ა-ლა-ვ**, **ჰ'ა-ლ'ა-ვ**... — **ჰ'ე-დე-ვ**, **ჰ'ე-ლე-ვ**, **ჰ'ე-ლ'ე-ვ** — „აი ეს“... (შდრ. მეგრ. ა-თე-ნა — ე-თინა).

შედგენილ ფუძეებიან ჩვენებით ნაცვალსახელთა მეორე კომპონენტის ხმოვნითი ელემენტი შეგუებულია პირველის ხმოვნით ელემენტთან: რა ხმოვანიცაა პირველ კომპონენტში, იგივე გვაქვს მეორეშიც (იხ. ზემოთ მაგალითები).

2. პირველ კომპონენტად **ჰა**-ს პარალელურად შეიძლება გვქონდეს **ჰუ**-ც (თუმცა ეს უკანასკნელი დამოუკიდებლად არ იხმარება): ჰუ-დე-ვ... ჰუ-ლე-ვ... ჰულ'უ-ვ... „აი ეს“. ჭოხურ კილოკავში შედგენილ ჩვენებით ნაცვალსახელთა პირველ კომპონენტად **ჰა**-ს ნაცვლად დასტურდება **ჰი**- || **-ი** : **ჰ'ი**და-ვ... **ჰ'ი**-ლა-ვ...

3. მესამე პირის მარტივ ფუძიან ჩვენებით ნაცვალსახელებს სამხრულ დიალექტებში ხმოვნით ელემენტად **ა** აქვთ (ნაცვლად ჩრდ.-ხუნძურის **ო** ხმოვნისა): და-ვ, ლა-ვ, ლ'ა-ვ (ფონეტიკ. ვარიანტებით: ანწუბ. თა-ვ, ჭარ. ჰა-ვ და ა. შ.). საფიქრებელია, ეს **ა** ხმოვნიანი ვარიანტებია ამოსავალი ჩრდ.-ხუნძურის **ო** ხმოვნიანი ვარიანტებისათვის (დო-ვ და-ვ, დოვ და-ვ, ლ'ო-ვ ლ'ა-ვ).

4. ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნებისას დიალექტებში არსებითი ხასიათის თავისებურებები არ შეიმჩნევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კლას-ნიშნებიან მიცემით ბრუნვას ანწუხურ დიალექტში (დასაი-ვ-ე, დასაი-დე, დასაი-ბ-ე; დასაი-რ-ე „მას“ — შდრ. ჩრდ.-ხუნძურში: დოსაი-დე „მას“ — გაქვავებული კლას-ნიშნით **-ე**).

ბრუნვათა დაბოლოებები ყველა დიალექტში ერთი და იგივეა (განსხვავება ფონეტიკური პროცესების შედეგია); სახელდობრ:

მხოლოდობითი რიცხვის ერგატიულ ბრუნვას ორი დაბოლოება აქვს: **-სა** და **-ლ'ა** (ჭარულ დიალექტში **-ლ'ა** ჰჰჰჰ); ამათგან პირველი (**-სა**) სახელობითი **-ვ** კლას-ნიშნის ადგილს იკავებს, ხოლო მეორე (**-ლ'ა**) სახელობითის **-ე** და **-ბ** კლას-ნიშნების ადგილს: საბ. ა-ვ „ეს“ — ერგ. ა-სა, სახ. ა-ე, ა-ბ „ეს“ — ერგ. ა-ლ'ა.

ჩვენებითი ნაცვალსახელისათვის უცხოა **-ცა** (დიალექტ. **-დ**) დაბოლოება ერგატივში.

მრავლობითი რიცხვის ერგატივში **-ზ** დაბოლოებაა, რომელსაც სახელობითის **-ლ**-ს (მრავლობითი რიცხვის ნიშნის) ადგილი უკავია (საბ. ა-ლ „ესენი“ — ერგ. ა-ზ).

ერგატივის ამ დაბოლოებებს დაერთვის ნათესაობითში: **-უ-ლ** (-სა-უ-ლ, -ლ^ა-**უ-ლ**, -ზ-უ-ლ), მიცემითში: -ი-**ე** || -ე (-სა-ი-**ე**, -ლ^ა-ი-**ე**; -ზ-ი-**ე** || -სა-**ე**, -ლ^ა-**ე**, -ზ-**ე**¹). საკუთრივ ნათესაობითის ნიშანია **-ლ**, საკუთრივ მიცემითისა — **-ე** (§ 65).

5. ერგატივის ნიშნები **-სა**, **-ლ^ა**, **-ზ** ისევე, როგორც სახელობით ბრუნვაში კლას-ნიშნები **-ვ**, **-მ**, **-ბ** და მრავლობითი რიცხვის ნიშანი **ლ**, ჩვენებით ნაცვალსახელებში მარტივი სახისაა (ოდენ თანხმოვნებია).

შენიშვნა. მარტივი სახე აქვს კლას-ნიშნებს კითხვითსა და უკუქცევით ნაცვალსახელებშიც (ში-**ვ**, ში-**მ** „ვინ“, ში-**ბ** „რა“, ჟი-**ვ**, ჟი-**მ**, ჟი-**ბ** „თვით“). (§§ 131, 132).

მაგრამ საზოგადო არსებით სახელებსა და ზედსართავ სახელებში ერგატივის ნიშნები **-ა-სა**; **-ა-ლ^ა**, **-ა-ზ**, მრავლობითი რიცხვის ნიშანი **-ა-ლ**, აგრეთვე ზედსართავი სახელის კლას-ნიშნებიანი **-ა-ვ**, **-ა-მ**, **-ა-ბ** სუფიქსები რთული შედგენილობის ფორმანტებია (შეიცავენ იმავე თანხმოვნით ელემენტს, რაც ჩვენებით ნაცვალსახელებში გვაქვს, და ხმოვნით ელემენტსაც). ეს ფორმანტები საზოგადო არსებითსა და ზედსართავ სახელებში სავსებით ფარავენ ერთ-ერთი ჩვენებითი ნაცვალსახელის შესაბამის სრულ ფორმებს; შდრ.:

	ჩვენებ. ნაცვალსახ.	ზედსართ. სახ.	არსებ. სახ.
სახ.	ავ — „ <i>ეს</i> “ (I კლ.)	ჰიტინ- ავ „ <i>პატარა</i> “ (I კლ.)	ვაცა „ <i>მა</i> “ (I კლ.)
ერგ.	ასა	ჰიტინ- ასა	ვაცა- ასა
ნათ.	ასაულ	ჰიტინ- ასაულ	ვაცა- ასაულ
მიც.	ასა[იფ]	ჰიტინ- ასა[იფ]	ვაცა- ასა[იფ]
სახ.	ამ „ <i>ეს</i> “ (II კლ.)	ჰიტინ- ამ „ <i>პატარა</i> “ (II კლ.)	მაცა „ <i>და</i> “ (II კლ.)
ერგ.	ალ^ა	ჰიტინ- ალ^ა	მაცა- ალ^ა
ნათ.	ალ^აულ	ჰიტინ- ალ^აულ	მაცა- ალ^აულ
მიც.	ალ^ა[იფ]	ჰიტინ- ალ^ა[იფ]	მაცა- ალ^ა[იფ]

¹ გამარტივებული ვარიანტები გვხვდება ჰიდურში. ლ. ჟორჯოს ეს ფონეტიკურად გამარტივებული ვარიანტები ნაჩვენებია აქვს სამწერლო ხუნძური ენისთვისაც: დოსაე, დოლ^აე „მას“, დოზე „მათ“ (ნაცვლად დოსაიფე, დოლ^აიფე „მას“ დოზიფე „მათ“ ვარიანტებისა). (იხ. დანართი:, გვ. 175). პ. უსლარსა და მ. საიდოვს კი აღნიშნული აქვთ გაუმარტივებელი ვარიანტები (.,, გვ. 95, 99;, I., გვ. 102).

სახ.	აბ „ებს“ (III კლ.)	ჰიტინ- აბ „პატარა“ (III კლ.)	ბაწ „მგელი“ (III კლ.)
ერგ.	ალ ^ზ	ჰიტინ- ალ ^ზ	ბაწ- ალ ^ზ ბაწიცაა
ნათ.	ალ ^{ჟულ}	ჰიტინ- ალ ^{ჟულ}	ბაწ- ალ ^{ჟულ} ბაწილ
მიც.	ალ ^{ზ[იფ]} ე	ჰიტინ- ალ ^{ზ[იფ]} ე	ბაწ- ალ ^{ზ[იფ]} ე ბაწიფე
სახ.	ალ — „ესენი“	ჰიტინ- ალ „პატარები“	ვაცა- ალ „ძმები“
ერგ.	აზ	ჰიტინ- აზ	ვაცა- აზ
ნათ.	აზულ	ჰიტინ- აზულ	ვაცა- აზულ
მიც.	აზ ^[იფ] ე	ჰიტინ- აზ ^[იფ] ე	ვაცა- აზ ^[იფ] ე

როგორც შედარებიდან ჩანს, ზედსართავ სახელებსა და საზოგადო არსებით სახელებს გამოყენებული აქვთ ჩვენებითი ნაცვალსახელის მზამზარეული ფორმები: ის, რაც ფორმებია ჩვენებითი ნაცვალსახელისა, ზედსართავებსა და არსებით სახელებში ფორმანტთა როლში გვევლინება¹. ერთადერთი განსხვავება საზოგადო არსებით სახელებსა და ზედსართავებს შორის — მათი ფორმანტების ჩვენებითი ნაცვალსახელის შესაბამის ფორმებთან მიმართების თვალსაზრისით — თავს იჩენს მხოლოდითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში: აქ საზოგადო არსებითი სახელები წარმოდგენილია ფუძის სახით (გაუფორმებლად: ვაცა- „ძმა“, დაცა- „და“, ბაწ- „მგელი“) მაშინ, როდესაც ზედსართავი სახელი გაფორმებულია (ჰიტინ-ავ, ჰიტინ-აფ, ჰიტინ-აბ „პატარა“).

ჩვენებითი ნაცვალსახელი, ივარაუდება, ჯერ გამოიყენებოდა (ამა თუ იმ ფორმით) სათანადო სახელთან მსაზღვრელი ნაწევრის როლში, შემდეგ ეს ნაწევარი — ენკლიტიკურად ხმარებული — შერწყმია სახელს, რომლის დაბოლოებები ჩვენებითი ნაცვალსახელის ფორმათა შესაბამისი გამხდარა.

ნაწევარი შეიძლებოდა დართვოდა საზოგადო სახელებს; არ შეიძლებოდა დართვოდა საკუთარ სახელებს, პირის ნაცვალსახელებს... თვით საზოგადო სახელებს ნაწევარი მაშინ დაერთვოდა, როცა იგი განსაზღვრული იქნებოდა. განუსაზღვრელად აღებული იგივე საზოგადო სახელი არ დაირთავდა მსაზღვრელ ნაწევარს და ასეთ შემთხვევაში მას საკუთარი (და არა ნაცვალსახელური) ფორმები ექნებოდა. ახლანდელი მესამე ტიპის ბრუნება (ანუ ერთფუძიანი ბრუნება) ესაა ორგანული (უნაწევრო) ბრუნება. ზოგი

¹ ამ ფაქტზე ყურადღება მიქცეულია სპეციალურ ლიტერატურაში. იხ.:
 , 1935; არნ.
 ჩიქობავა, ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში, ენიმკის მოამბე, XII, 1942, გვ. 33;
 შდრ. აგრეთვე: ევგ. ჯეირანიშვილი, სახელთა ბრუნება წახურულში, იკე, XII, 1961;
 ბეს. კიკვიძე, ზედსართავი სახელი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 71,
 1958, გვ. 99.

საზოგადო სახელი, როგორც ვიცით (§ 75), დღესაც შეიძლება ვაბრუნოთ ორი სხვადასხვა ტიპის მიხედვით; შდრ.: ერგ. ბაწი-ცაა „მგელმა“, ნათ. ბაწი-ლ და ა. შ. (ორგანული [უნაწევრო], ისტორ. განუსაზღვრელი ბრუნება) — ერგ. ბაწ-ალა „მგელმა“, ნათ. ბაწ-ალა-ულ და ა. შ. (ნაცვალსახე-ლური, ისტორ. განსაზღვრული ბრუნება)¹.

§ 134. პირის, კითხვით, უკუქცევით და ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნების ნიმუშები დიალექტთა მონაცემების მიხედვით²

პირის ნაცვალსახელები

ხუნძახურ-ჭირკეული

სახ.	დუნ	მუნ	ნიჟ	ნილ'	ნუჟ
	„მე“	„შენ“	„ჩვენ“ (ექსკლ.)	„ჩვენ“ (ინკლ.)	„თქვენ“
ერგ.	დიცაა	დუცაა	ნეჟეცაა	ნელ'ეცაა	ნოჟოცაა
ნათ.	ღირ	დურ	ნეჟერ	ნელ'ერ	ნოჟორ
მიც.	ღიმე	დუმე	ნეჟემე	ნელ'ემე	ნოჟომე

ჭოხური

სახ.	დუნ	მუნ	ნიჟ	ნილ'ა	მუჟ
ერგ.	ღილ'აა	დულ'აა	ნეჟელ'აა	ნელ'ელ'აა	მუჟელ'აა
ნათ.	ღირ	დურ	ნეჟერ	ნელ'ერ	მუჟერ
მიც.	ღიმე	დუმე	ნეჟემე	ნელ'ემე	მუჟემე

პიდური

სახ.	დუნ	მუნ	ნიჟ	ნილ'ა	ნუჟ
ერგ.	ღილ'აა	დულ'აა	ნეჟედ	ნელ'ედ	ნუჟედ
	ილ'აა	ულ'აა			
ნათ.	ღირ	დურ	ნეჟერ	ნელ'ერ	ნუჟერ
მიც.	დე	დუმე	ნეჟემე	ნელ'ემე	ნუჟემე
	(დიმე)	(დუმე)	(ნეჟემე)	(ნელ'ემე)	(ნუჟემე)

¹ ილ. ცერცვაძე, სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ხუნძახურ-ანდიურ ენებში (მოხსენდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების სხდომას 19.XI.1957 წ.).

² არნ. ჩიქობავა, ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძახურში, ენიმკის მოამბე, XII, 1942.

ანწუხური

სახ.	დუნ	მუნ	ნიჟ	ნილ'	მუჟ
ერგ.	დილ'(ა)	დულ'(ა)	ნეჟელ'(ა)	ნელ'ელ'(ა)	მუჟელ'(ა)
ნათ.	ღირ	ღურ	ნეჟერ	ნელ'ერ	მუჟერ
მიც.	ღი-გ-ე	ღუ-გ-ე	ნეჟე-გ-ე	ნელ'ე-გ-ე	მუჟე-გ-ე
	ღი-მ-ე	ღუ-მ-ე	ნეჟე-მ-ე	ნელ'ე-მ-ე	მუჟე-მ-ე
	ღი-ბ-ე	ღუ-ბ-ე	ნეჟე-ბ-ე	ნელ'ე-ბ-ე	მუჟე-ბ-ე
	ღი-რ-ე	ღუ-რ-ე	ნეჟე-რ-ე	ნელ'ე-რ-ე	მუჟე-რ-ე

ჭარული

სახ.	დუნ	მუნ	ნიჟ	ნიჰჰჰ	მუჟ
ერგ.	დიჰჰჰა	დუჰჰჰა	ნეჟედ	ნეჰჰჰედ	მოჟოდ
ნათ.	ღირ	ღურ	ნეჟერ	ნეჰჰჰერ	მოჟორ
მიც.	ღიდ	ღუდ	ნეჟედ	ნეჰჰჰედ	მოჟოდ

კითხვითი ნაცვალსახელები

ხუნძურ-ჭირკეული

სახ.	შაივ, შაიდ „ვინ?“	შიბ „რა?“
ერგ.	ლ'აივა	საუნვა
ნათ.	ლ'აილ	საუნდულ
მიც.	ლ'აიდე	საუნდუდე

ჰიდური

სახ.	შაო (შაივ), შაიდ „ვინ?“	შიბ „რა?“
ერგ.	ლ'აიდ	შიბალ'
ნათ.	ლ'აილ	შიბალ'ულ
მიც.	ლ'აი (ლ'აიდე)	შიბალ'დე

ჭობური

სახ.	შაუვ'ი' (შაივ), შაუდ'ი' „ვინ?“	შაუბ'ი' „რა?“
ერგ.	ლ'აიდ'ი'	საუნდ'ული' შაუნდ'ული'
ნათ.	ლ'აილ	საუნდული' შაუნდული'
მიც.	ლ'აიდე	საუნდუდე' შაუნდუდე'

ანწუხური

სახ.	შაუ (I-II კლ.) „ვინ?“	შიბ „რა?“
ერგ.	ლ'აიცაა	საუნდულ
ნათ.	ლ'აილ	საუნდულ
მიც.	ლ'აი-ვ-ე	საუნ-დ-უ-ვ-ე
	ლ'აი-დ-ე	საუნ-დ-უ-დ-ე
	ლ'აი-ბ-ე	საუნ-დ-უ-ბ-ე
	ლ'აი-რ-ე	საუნ-დ-უ-რ-ე

ჭარული

სახ.	შივ, შიი „ვინ?“	შიებ „რა?“
ერგ.	ჰმჰმიდ	საუნდულ
ნათ.	ჰმჰმილ	საუნდულ
მიც.	ჰმჰმიე	საუნდუმე

უკუქცევეთი ნაცვალსახელები

ხუნძახურ-ჭირკეული

სახ.	შივ, შიი შიბ	მრ. რ. ჟალ „თვითონ“
ერგ.	ჟინცაა	ჟოდოცაა
ნათ.	ჟინდირ	ჟოდორ
მიც.	ჟინდიე	ჟოდომე

ჰიდური

სახ.	ჟივ, ჟიი	ჟიბ	მრ. რ. ჟალ
ერგ.	ჟენდ	ჟუნდ	ჟუდედ
ნათ.	ჟენერ	ჟუნერ	ჟუდერ
მიც.	ჟენე (ჟენედე)	ჟუნე (ჟუნედე)	ჟუდე (ჟუდედე)

ანწუხური

სახ.	მი-ვ, მი-მ, მი-ბ	მრ. რ.	ვალ							
ერგ.	მინელ'		უდელ'							
ნათ.	მინელ		უდერ							
მიც.	<table> <tr> <td rowspan="3">}</td> <td>მინე-ვ-ე</td> <td>უდ-ე-ვ-ე</td> </tr> <tr> <td>მინე-მ-ე</td> <td>უდ-ე-მ-ე</td> </tr> <tr> <td>მინე-ბ-ე</td> <td>უდ-ე-ბ-ე</td> </tr> </table>	}	მინე-ვ-ე	უდ-ე-ვ-ე	მინე-მ-ე	უდ-ე-მ-ე	მინე-ბ-ე	უდ-ე-ბ-ე		უდ-ე-რ-ე
}	მინე-ვ-ე		უდ-ე-ვ-ე							
	მინე-მ-ე		უდ-ე-მ-ე							
	მინე-ბ-ე	უდ-ე-ბ-ე								

ჭარული

სახ.	ჟივ, ჟიმ	ჟიბ	მრ. რ.	ჟალ		ჟი-ლ
ერგ.	ჟენელ	ჟუნულ		ჟაზ		ჟუდელ
ნათ.	ჟენელ	ჟუნულ		ჟაზულ		ჟედერ
მიც.	ჟენემ	ჟუნუმ		ჟაზი		ჟედემ

ჩვენებითი ნაცვალსახელები

ხუნძურ-ჭირკული

სახ.	დოვ	დომ, დობ „ის“	მრ. რ.	დოლ
ერგ.	დოსა	დოლ'ა		დოზ
ნათ.	დოსაულ	დოლ'აულ		დოზულ
მიც.	დოსაიმე	დოლ'აიმე		დოზიმე

ჭიდური

სახ.	დო	დვემ, დვამ „ის“	მრ. რ.	დვალ
ერგ.	დვასა	დვალ'ა		დვაზ
ნათ.	დვასაულ	დვალ'აულ		დვაზულ
მიც.	დვასაე	დვალ'აე		დვაზე

ჭობური

სახ.	იდავ	იდაფ, იდაბ „ის“	მრ. რ.	იდალ
ერგ.	იდასა	იდალ ^ა		იდაზ
ნათ.	იდასაჟულ	იდალ ^ა ჟულ		იდაზჟულ
მიც.	იდასაჟე	იდალ ^ა ჟე		იდაზჟე

ანწუხური

სახ.	დავ	დაფ, დაბ „ის“	მრ. რ.	დალ
ერგ.	დასა	დალ ^ა		დაზ
ნათ.	დასაჟულ	დალ ^ა ჟულ		დაზჟულ
მიც.	{	და-სა-ი-ვ-ე	დალ ^ა -ი-ვ-ე	და-ზ-ი-ვ-ე
		და-სა-ი-ფ-ე	დალ ^ა -ი-ფ-ე	და-ზ-ი-ფ-ე
		და-სა-ი-ბ-ე	დალ ^ა -ი-ბ-ე	და-ზ-ი-ბ-ე
		და-სა-ი-რ-ე	დალ ^ა -ი-რ-ე	და-ზ-ი-რ-ე

ჭარული

სახ.	ღავ	ღაფ, ღაბ „ის“	მრ. რ.	ღალ
ერგ.	ღასა	ღაჭაჭა		ღაზ
ნათ.	ღუსაჟულ	ღუჭაჭაჟულ		ღუზჟულ
მიც.	ღუსაჟე	ღუჭაჭაჟე		ღუზჟე

§ 135. კუთვნილებითი ნაცვალსახელები.

სათანადო ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმა კუთვნილებითი ნაცვალსახელის როლში გამოდის: ღირ „ჩემი“, ღურ „შენი“, ნეჟერ „ჩვენი“ (*ექსკლუზ.*), ნელ'ერ „ჩვენი“ (*ინკლუზ.*), ნოჟორ „თქვენი“, დოსაჟულ (I კლ.), დოლ'ჟულ (II-III კლ.) „მისი, დოზჟულ „მათი“... ღ'აილ „ვისი?“ სჟუნდულ „რისა?“.

კუთვნილებითმა ნაცვალსახელმა შეიძლება დაირთოს ზედსართაული სუფიქსები: -ავ, -აფ, -აბ, -ალ: ღირ-ავ „ჩემი“... ღურ-ავ „შენი“... და ა. შ.: ღირ ვაცა || ღირ-ავ ვაცა „ჩემი ძმა“, ღირ მაცა || ღირ-აფ მაცა „ჩემი და“, ღირ ჩუ || ღირ-აბ ჩუ „ჩემი ცხენი“, ღირ ვაცაალ || ღირ-ალ ვაცალ „ჩემი ძმები“... (შდრ. ოცოლ ტონ || ოცოლ-აბ ტონ „ხარის ტყავი“. — იხ. § 115).

კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნება

კუთვნილებითი ნაცვალსახელი იბრუნვის იმგვარადვე, როგორც ზედსართავი სახელი:

სახ.	დირ-(ავ)	დირ-(ად), დირ-(აბ)	დირ-(ალ)	„ჩემი“
ერგ.	დირ-ასა	დირ-ალ'ა	დირ-აზ	
ნათ.	დირ-ასა-ულ	დირ-ალ'ა-ულ	დირ-აზ-ულ	
მიც.	დირ-ასა-ე	დირ-ალ'ა-ე	დირ-აზ-ე	

ზედსართავი სუფიქსის ხელმეორედ დართვით (-ავ-ავ, -ად-ად, -აბ-აბ, -ალ-ალ) ვიღებთ გასუბსტანტივებულ კუთვნილებით ნაცვალსახელს (შდრ. § 121).

დირ-ავ-ავ (I კლ.), „ჩემი“, — „ის, ვინც ჩემია“¹ — ერგ. დირ-ავ-ასა, ნათ. დირ-ავ-ასა-ულ, მიც. დირ-ავ-ასა-ე;

დირ-ად-ად (II კლ.) დირ-აბ-აბ (III კლ.) „ჩემი“, — „ის, ვინც ან რაც ჩემია“ — ერგ. დირ-ად-ალ'ა, დირ-აბ-ალ'ა, ნათ. დირ-ად-ალ'ა-ულ, დირ-აბ-ალ'ა-ულ, მიც. დირ-ად-ალ'ა-ე, დირ-აბ-ალ'ა-ე;

დირ-ალ-ალ (ძრ. რ.) „ჩემები“ (დირალალ რუგო ჰალ ჩუჟალ „ჩემები არიან ეს ცხენები“) — ერგ. დირ-ალ-აზ, ნათ. დირ-ალ-აზ-ულ, მიც. დირ-ალ-აზ-ე.

§ 136. ნაწილაკიანი ნაცვალსახელები. 1) -გო ნაწილაკიანი ნაცვალსახელები: ა) -გო ნაწილაკი პირის ნაცვალსახელებთან. პირის ნაცვალსახელებს ეს ნაწილაკი ანიჭებს უკუქცევით შინაარსს („მე თვითონ“, „შენ თვითონ“... ან „მე-ვე“, „შენ-ვე“...); დაერთვის ბრუნვის დაბოლოების შემდეგ.

დუნ-გო „მე თვითონ“ — ერგ. დიცაა-გო, ნათ. დირ-გო, მიც. დიდე-გო; ადგ. | დიდა-გო და ა. შ.

მუნ-გო „შენ თვითონ“, „შენვე“ — ერგ. დუცაა-გო, ნათ. დურ-გო, მიც. დუდე-გო; ადგ. | დუდა-გო...

ნიჟ-გო „ჩვენ თვითონ“, „ჩვენვე“ (ექსკლუზ.) — ერგ. ნეჟეცაა-გო, ნათ. ნეჟერ-გო, მიც. ნეჟედე-გო; ადგ. | ნეჟედა-გო...

ნილ'გო „ჩვენ თვითონ“, „ჩვენვე“ (ინკლ.) — ერგ. ნელ'ეცაა-გო, ნათ. ნელ'ერ-გო, მიც. ნელ'ედე-გო; ადგ. | ნელ'ედა-გო...

¹ შდრ. გერმანულში: Meinige (der, die, das).

ნუჟ-გო „თქვენ თვითონ“, „თქვენვე“ — ერგ.ნოჟოცა-გო, ნათ. ნო-ჟორ-გო, მიც. ნოჟოდე-გო, აღგ. | ნოჟოდა-გო...

ბ) -გო ნაწილაკი ჩვენებით ნაცვალსახელებთან აღნიშნავს: „სწორედ რეს“ („რ ო“) „ეგვე“ („რ ო“):

ჰავ, ჰად, ჰაბ „ეს“, ჰალ „ესენი“ — ჰავ-გო (ერგ. ჰასა-გო, ნათ. ჰასაულ-გო...), ჰად-გო, ჰაბ-გო (ერგ. ჰალა-გო, ნათ. ჰალაულ-გო...), ჰალ-გო (ერგ. ჰაზ-გო, ნათ. ჰაზ-ულ-გო...);

დოვ, დოდ, დობ „ის“, დოლ „ისინი“ — დოვ-გო (ერგ. დოსა-გო, ნათ. დოსაულ-გო...), დოდ-გო, დობ-გო (ერგ. დოლა-გო, ნათ. დოლაულ-გო...), დოლ-გო (ერგ. დოზ-გო, ნათ. დოზულ-გო და ა. შ.).

დამოუკიდებლად ხმარებისას -გო ნაწილაკიან ჩვენებით ნაცვალსახელს შეიძლება დაერთოს სახელობითში ზედსართაული -ავ, -ად, -აბ, -ალ სუფიქსები, ხოლო დანარჩენ ბრუნვებში — შესაბამისი ბრუნვის ნიშნები; ასეთ შემთხვევებში ნაწილაკი შეხორცებულია ნაცვალსახელს (ბრუნვის ნიშნები დაერთვის ნაწილაკის შემდეგ და არ ნაწილაკის წინ); შდრ.: დო-ვ-გო-დ-ავ (ერგ. დო-ვ-გო-დ-ასა, ნათ. დო-ვ-გო-დ-ასა-ულ...), დო-დ-გო-დ-ად (ერგ. დო-დ-გო-დ-ალა, ნათ. დო-დ-გო-დ-ალა-ულ...), დო-ბ-გო-დ-აბ (ერგ. დო-ბ-გო-დ-ალა, ნათ. დო-ბ-გო-დ-ალა-ულ...), დო-ლ-გო-დ-ალ (ერგ. დო-ლ-გო-დ-აზ, ნათ. დო-ლ-გო-დ-აზ-ულ...); ჰა-ვ-გო-დ-ავ (ერგ. ჰა-ვ-გო-დ-ასა, ნათ. ჰა-ვ-გო-დ-ასა-ულ...) და ა. შ.

გ) -გო ნაწილაკი მესამე პირის უკუქცევით ნაცვალსახელებთან. -გო ნაწილაკი შეიძლება დაერთოს მესამე პირის უკუქცევით ნაცვალსახელსაც: ჟი-ვ, ჟი-დ, ჟი-ბ, ჟალ — ჟი-ვ-გო, ჟი-დ-გო, ჟი-ბ-გო — ერგ. ჟინ-ცა-გო, ნათ. ჟინდირ-გო, მიც. ჟინდიდე-გო; აღგ. | ჟინ-და-გო... მრ. რ.: ჟალ-გო — ერგ. ჟოდოცა-გო, ნათ. ჟოდორ-გო, მიც. ჟოდოდე-გო; აღგ. | ჟოდოდა-გო...

-გო ნაწილაკის გარეშე ეს ნაცვალსახელი იხმარება მხოლოდ მესამე პირში (ჟი-ვ „ის თვითონ“), -გო ნაწილაკით კი იგი სამსავე პირში შეიძლება ვინმართ: ჟი-ვ-გო რდუნ ვაჭანა „რმე თვითონ მოვედი“, ჟი-ვ-გო რმუნ ვაჭანა „რშენ თვითონ მოხვედი“ ჟი-ვ-გო რდოვ ვაჭანა „რის თვითონ მოვიდა“... ჟალ-გო რნიჟ რაჭანა „რჩვენ თვითონ მოვედი“ და ა. შ.

-გო ნაწილაკიანი უკუქცევითი ნაცვალსახელი შეიძლება შეცვალოს -გო ნაწილაკიანმა პირის ნაცვალსახელმა: ჟი-ვ-გო რდუნ ვაჭანა || რდუნგო ვაჭანა „რმე თვითონ მოვედი“... ჟი-ვ-გო რმუნ ა || რმუნგო ა „რშენ თვითონ წადი!“ ჟინ-ცა-გო რდიცა ჰაბულა || რდიცა-გო ჰაბულა „რმე თვითონ გავაკეთე“... და ა. შ.

დ) **-გო** ნაწილაკიანი კითხვითი ნაცვალსახელები. კითხვით ნაცვალსახელებზე -გო ნაწილაკის დართვით ვიღებთ განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს.

ში-ვ-გო, ში-დ-გო „ვინმე“ — *ერგ.* ლ'იცა-გო, *ნათ.* ლ'ილ-გო, *მიც.* ლ'იდე-გო; *აღვ.* | ლ'იდა-გო...

ში-ბ-გო „რამე“ — *ერგ.* საუნცა-გო, *ნათ.* საუნდულ-გო, *მიც.* საუნდუდე-გო; *აღვ.* | საუნდა-გო...

-გო ნაწილაკიანი კითხვით ნაცვალსახელებს (ანუ განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს) უარყოფით წინადადებაში (ზმნასთან უარყოფით ფორმაში) უარყოფითი ნაცვალსახელის მნიშვნელობა აქვს: როყოფ ში-ვ-გო ჰეჰო „სახლში არავინ არ არის“ (*ზედმიწ.* „სახლში ვინმე არ არის“)... ლ'იცა-გო ჰაბულარო ჰებ „არავინ არ აკეთებს ამას“ (*ზედმიწ.* „ვინმე არ აკეთებს ამას“); ში-ბ-გო ლ'ალარო დოსადა „არაფერი არ იცის მან“ (*ზედმიწ.* „რამე არ იცის მან“)!...

2) **-ალი-გო ნაწილაკიანი ნაცვალსახელები.** ეს ნაწილაკი რთულია და შეიცავს -ალი და -გო ნაწილაკებს. დაერთვის იგი კითხვით ნაცვალსახელებს და აწარმოებს მათგან განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს („ვიდაც“, „რალაც“); *შდრ.*:

ში-ვ (I კლ.), ში-დ (II კლ.) „ვინ“ — ში-ვ-ალი-გო (I კლ.), ში-დ-ალი-გო (II კლ.) „ვიდაც“, *ერგ.* ლ'იცა-დ-ალი-გო; *ნათ.* ლ'ილ-ალი-გო, *მიც.* ლ'იდე-დ-ალი-გო; *აღვ.* | ლ'იდა-დ-ალი-გო; ში-ბ (III კლ.) „რა“ — ში-ბ-ალი-გო „რალაც“, *ერგ.* საუნცა-დ-ალი-გო, *ნათ.* საუნდულ-ალი-გო, *მიც.* საუნდუდე-დ-ალი-გო; *აღვ.* | საუნდა-დ-ალი-გო...

-ალი-გო ნაწილაკი დაერთვის ყოველთვის ბრუნვის ნიშნის შემდეგ.

3) **ნი-გი ნაწილაკიანი ნაცვალსახელები.** ეს ნაწილაკიც რთულია და შეიცავს -ნი და -გი ნაწილაკებს. ესეც კითხვით ნაცვალსახელებს დაერთვის (ბრუნვის ნიშნის შემდეგ) და აწარმოებს მათგან აბსოლუტურ ნაცვალსახელებს („ვინც [ან რაც] გინდა იყოს“ — „...“):

ში-ვ-ნი-გი (I კლ.), ში-დ-ნი-გი (II კლ.) „ვინც არ უნდა იყოს“ — *ერგ.* ლ'იცა-ნი-გი. *ნათ.* ლ'ილ-ნი-გი, *მიც.* ლ'იდე-ნი-გი; *აღვ.* | ლ'იდა-ნი-გი...

ში-ვ-ნი-გი (III კლ.) „რაც არ უნდა იყოს“ — *ერგ.* საუნცა-ნი-გი, *ნათ.* საუნდულ-ნი-გი, *მიც.* საუნდუდე-ნი-გი; *აღვ.* | საუნდა-ნი-გი...

¹ ეს დამახასიათებელია სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისათვისაც (*შდრ.*, მაგალ., მეგრულში: თის მუთუნი ვა უჩქუ „მან რამე არ იცის“...). იხ. დ. იმნაიშვილი, უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნისარტები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, IV, 1953.

-ნიგი ნაწილაკი შეიძლება მეშველ ზმნას ახლდეს. მაშინ იგი ნაცვალსახელთან აღარ იხმარება: საუნცა-ნიგი ჰაბე! || საუნცა ბუგო-ნიგი ჰაბე! „რითაც გინდა (რითაც გინდა იყოს), გააკეთე!“¹... მრავლობით რიცხვში -ნიგი ჩვეულებრივ მეშველ ზმნას ახლავს და არა ნაცვალსახელს: შალ რუგო-ნიგი აჰე! „ვინც არ უნდა იყვნენ, დაუძახე!“

§ 137. დანარჩენი ნაცვალსახელები. გარდა ზემოაღნიშნულისა (§§ 130, 133, 135, 136), გვაქვს კიდევ სხვა — უმთავრესად — ნაწარმოები ნაცვალსახელები. მოვიყვანოთ ზოგი მათგანი.

ქინ-ავ, ქინ-აჲ, ქინ-აბ (მრ. ქინ-ალ) „რომელი“, „როგორი“ (მდრ. ზმნს. ქინ „როგორ“). ეს ნაცვალსახელი თავისი წარმოებით ზედსართავი სახელია (მდრ. ლ'იკ-ავ „კარგი“, ზმნს. ლ'იკ- „კარგად“); იბრუნვის ისევე, როგორც ზედსართავი სახელი: ქინ-ავ — ერგ. ქინ-ასა, ნათ. ქინ-ასა-ულ და ა. შ.; ქინ-აჲ, ქინ-აბ — ერგ. ქინ-ალ'ა და ა. შ. მისგან იწარმოება: ა) -გო ნაწილაკის დართვით: ქინ-ავ-გო „ყოველი“. „ყველა“ — (ქინავგო ხოლვე „ყოველი მოკვდავია“ — ერგ. ქინ-ასა-გო, ნათ. ქინ-ასა-ულ-გო და ა. შ.

შენიშვნა. ქინ-ავ („რომელი, „როგორი“) ნაცვალსახელში იგივე ფუძე უნდა გვქონდეს, რაც ქი-ვ („სად“), ქი-და („როდის“) სიტყვებში (მდრ. აგრეთვე: ქი-ჰან „რამდენი“ — იხ. ქვ.). ქი- || ქინ-ნაცვალსახელური საერთო ფუძე ჩანს.

შიბ, შიბ-აჲ, შიბ-აბ „ყოველი“, „თითოეული“. ეს ნაცვალსახელი ნაწარმოებია კითხვითი ნაცვალსახელისაგან (შიბ- „რა“) ზედსართავი (-ავ, -აჲ, -აბ) სუფიქსებით; იბრუნვის როგორც ზედსართავი სახელი: შიბ-ავ — ერგ. შიბ-ასა... შიბ-აჲ, შიბ-აბ (შიბ-აბ ყოდალ'ა „ყოველ დღე“...) — ერგ. შიბალ'ა და ა. შ. გვხვდება პარალელური ფორმებიც, რომლებიც ამოსავლად იყენებს ში- ფუძეს (კლას-ნიშნის გარეშე) ან კიდევ შინ- ფუძეს: ში-აჲ-ავ (ერგ. ში-აჲ-ასა...), ში-აჲ-აჲ, ში-აჲ-აბ (ერგ. ში-აჲ-ალ'ა...) ან კიდევ: შინ-ავ (ერგ. შინ-ასა...), შინ-აჲ, შინ-აბ (ერგ. შინ-ალ'ა...). ში-აჲ-ავ და შინ-ავ ვარიანტებს შორის განსხვავება მნიშვნელობის მიხედვით არა გვაქვს.

ტოლ-გო (-გო ნაწილაკიანი) „ყველა“, „ყველაფერი“: ტოლგო დუნიდალალ'ულ ფროლეთარალ, ცოლ'ე ნუჟ! „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ტოლგო ლ'ალა დოსადა „ყველაფერი იცის მან“... დამოუ-

¹ გვ. 109, § 108.

კიდებლად ხმარებისას (როცა არსებითი სახელის გარეშეა, გასუბსტანტივებულია) დაირთავს მრავლობითი რიცხვის -ალ სუფიქსს: ტოლგო-მ-ალ (ტოლგო-მ-ალ რაჭანა „ყველანი მოვიდნენ“) — ერგ. ტოლგო-მ-აზ და ა. შ. -გო ნაწილაკი აქ შეხორცებულია ფუძეს, მაგრამ შეიძლება იგი სუფიქსის შემდეგაც დაერთოს: ტოლ-აბ-გო „სულ ყველა“, „სულ ყველაფერი“ — ერგ. ტოლალ-გო და ა. შ. (იგივე წარმოებაა, რაც ლ-აბ-გო „სამივე“ უნყ-აბ-გო „ოთხივე“... — იხ. კრებითი რიცხვითი სახელები: § 126).

ჩამ (|| ჩან) „რამდენი“ — ზედსართაული სუფიქსებით: ჩამ-ავ (ერგ. ჩამ-ასა...), ჩამ-ად, ჩამ-აბ (ერგ. ჩამ-ალ-ა...)...

ქიჭან „რამდენი“, „რაოდენ“, „რაზომ“ — ზედსართაული სუფიქსებით: ქიჭან-ავ (ერგ. ქიჭან-ასა), ქიჭან-ად, ქიჭან-აბ (ერგ. ქიჭან-ალ-ა). ეს ნაცვალსახელი შედგენილია ქი- ფუძისა (შდრ. ქი-ბ „სად“, ქი-და „როდის“...) და -ჭან ნაწილაკისაგან.

შენიშვნა. ქიჭან- იმით განსხვავდება ჩამ || ჩან (იხ. ზემოთ) ნაცვალსახელისაგან, რომ პირველი აღნიშნავს ზოგად ოდენობას (ქიჭან მეხა „რამდენი [რა] დრო?“...), მეორე კი იხმარება ისეთი საგნების მიმართ, რომლებიც დაითვლება (ჩან ყო „რამდენი დღე?“ ჩან ვაცა „რამდენი ძმა?“...)¹.

ცო „ერთი“ იხმარება განუსაზღვრელი ნაცვალსახელის მნიშვნელობითაც: ვუკანილა ცო ფაჩაჰჰ „ყოფილა ერთი (= რომელიღაც) მეფე“... ცო ჩი „ერთი (= ვიღაც) კაცი“... ცო ჟო „ერთი რამე (= რაღაც)“...

ცოგი „სხვა“ (ზედმიწ. „ერთი-ც“) შედგენილია ცო („ერთი“) რიცხვითი სახელისა და -გი („ც“) ნაწილაკისაგან; ზედსართაული სუფიქსებით: ცოგი-მ-ავ (ერგ. ცოგი-მ-ასა), ცოგი-მ-ად, ცოგი-მ-აბ (ერგ. ცოგი-მ-ალ-ა); ცოგი-მ-ალ (ერგ. ცოგი-მ-აზ)...

ჩვენებით ნაცვალსახელებს (§ 133) შეიძლება დაერთოს -ჭან (ზედსართაული სუფიქსებით: ჭან-აბ, ჭანა-საე-ბ), -ჭად (-ჭან-აბ), -ჭადინ (-ჭადინ-აბ), -ჭადინ- (-ჭადინ-აბ), -დინ (-დინ-აბ) ნაწილაკები და მივიღოთ თვისების აღმნიშვნელი ჩვენებითი ნაცვალსახელები („ასეთი“, „ისეთი“... — შესაბამისად ნაწილაკისა და ნაცვალსახელის მნიშვნელობებისა), რომლებიც წინადადებაში ზედსართავის ნაცვლად იხმარება; წარმოებაც ასეთი ნაცვალსახელებისა ზედსართაულია (დაირთავენ კლას-ნიშნიან

¹ გვ. 105-106.

სუფიქსებს: -ავ, -აფ, -აბ, *მრ.* -ალ; -საე-ვ, -საე-ფ, -საე-ბ, *მრ.* -საე-ლ); მაგალითები (სიმარტივისათვის მოგვყავს III კლასის ნიშნით: -აბ, -საე-ბ):

-ჭან-: რკა-ბ „ეს“ — რკა-ბ-ჭან-აბ „ამოდენა“, „ამხელა“, რკე-ბ „ეგ“ — რკე-ბ-ჭან-აბ „მაგოდენა“, დო-ბ „ის“ — დო-ბ-ჭან-აბ „ამოდენა“; ასევე (შესაბამისად): დო-ბ „ის“ (*დაბლა მყოფი*) — დო-ბ-ჭან-აბ, ლ’ო-ბ „ის“ (*მაღლა მყოფი*) — ლ’ო-ბ-ჭან-აბ, რკადა-ბ „აი ეს“ — ჰადა-ბ-ჭან-აბ, ჰადა-ბ „აი ის“ (*დაბლა მყოფი*) — ჰადა-ბ-ჭან-აბ, ჰაღა-ბ „ის“ (*მაღლა მყოფი*) — ჰაღა-ბ-ჭან-აბ; პარალელურად შეიძლება გვექონდეს იგივე ნაწილაკი ზედსართაული -საე-ბ სუფიქსითაც: ჭანა-საე-ბ (ეს უკანასკნელი, თითქოს, უფრო ზუსტ მსგავსებას გამოხატავს): ჰა-ბ „ეს“ — ჰა-ბ-ჭანა-საე-ბ „ზუსტად ამოდენა“...

-ჭად-: რკა-ბ „ეს“ — რკა-ბ-ჭად-აბ „ასეთი“, „ამგვარი“ (*რამე თვისების მიხედვით*), რკე-ბ „ეგ“ — რკე-ბ-ჭად-აბ „ეგეთი“, დო-ბ „ის“ — დო-ბ-ჭად-აბ „ისეთი“ და ა. შ. პარალელურად შეიძლება -ჭადინ-აბ, -ჰადინ-აბ ნაწილაკებითაც: ჰა-ბ-ჭადინ-აბ „ასეთი“, ჰე-ბ-ჭადინ-აბ „ეგეთი“, დო-ბ-ჭადინ-აბ „ისეთი“ და ა. შ. -ჰადინ-აბ: ჰა-ბ „ეს“ — რკა-ბ-ჰადინ-აბ „ზუსტად ასეთი“ და ა. შ.

-დინ-: რკა-ბ „ეს“ — რკა-ბ-დინ-აბ „ასეთი“ (*ზოგადი თვისების მიხედვით*), რკე-ბ — რკე-ბ-დინ-აბ „ეგეთი“, დო-ბ „ის“ — დო-ბ-დინ-აბ „ისეთი“ და ა. შ. (-დინ-აბ დაერთვის ნაცვალსახელის უკლას-ნიშნო ფუძეს)¹.

ზედსართაული -აბ სუფიქსის გარეშე სათანადო ფორმები ვითარებითი ზმნისართის როლში გამოიყენება; შდრ.: ჰა-დინ-აბ „ასეთი“ (ჰადინ-აბ ჩუ „ასეთი ცხენი“) — ჰა-დინ- *ზმნს.* „ასე“ (ჰადინ ვგაგე „ასე ნუ წერ!“); ჰა-ბ-ჭან-აბ „ამოდენა“, „ამხელა“ — ჰა-ბ-ჭან *ზმნს.* „ასე (დიდად)“; ჰა-ბ-ჭადინ-აბ „ასეთი“ — ჰა-ბ-ჭადინ *ზმნს.* „ამგვარად“ და ა. შ.

ეს ნაცვალსახელები ისევე გაფორმებული, როგორც ზედსართავი სახელები (შდრ. ლ’იკ-აბ „კარგი“ — ჰადინ-აბ „ასეთი“; ლ’იკ- „კარგად“ — ჰადინ- „ასე“) და ისევე იბრუნვიან, როგორც ზედსართავი სახელები:

სახ. ჰადინ-ავ, ჰადინ-აფ, ჰადინ-აბ, ჰადინ-ალ „ასეთი“ — *ერგ.* ჰადინ-ასა, ჰადინ-ალ’ა; ჰადინ-აზ — *ნათ.* ჰადინ-ასა-ულ, ჰადინ-ალ’ა-ულ, ჰადინ-აზ-ულ და ა. შ.

¹ დაწვრილებით:, § 97, გვ. 102-103.

მსაზღვრელ-საზღვრული

§ 138. მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნება. მსაზღვრელად შეიძლება იყოს სახელობითი ბრუნვა:

- ა) ზედსართავი სახელისა: ჰიტინ-ავ ვაცა „პატარა (უმცროსი) ძმა“...
- ბ) რიცხვითი სახელისა: კიგო ვაცა „ორი ძმა“...
- გ) ნაცვალსახელისა: ჰა-ვ ჩი „ეს კაცი“...
- დ) არსებითი სახელისა: დას ზადან „ქალიშვილი ადამიანი (= მანდილოსანი)“...
- ე) მიმღობისა: უნევ ჩი „მიმავალი კაცი“...

მსაზღვრელად შეიძლება იყოს ნათესაობითი ბრუნვაც: ვაცასაჟულ ვას „ძმის ვაჟიშვილი“... ზაქდალ რახზ „ძროხის რძე“...

როგორც ეს ზედსართავის ბრუნებასთან დაკავშირებით გვქონდა აღნიშნული (§ 120), მსაზღვრელი ზედსართავი სახელი წინ უსწრებს საზღვრულ არსებით სახელს და არ იცვლება ბრუნვათა მიხედვით. ასევე ითქმის მსაზღვრელად გამოყენებული ყველა სხვა სახელის შესახებაც.

მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნებისას მსაზღვრელი, — იქნება იგი ზედსართავი, თუ სხვა სახელი, — ბრუნვაში საზღვრულს არ ეთანხმება, მაგრამ რიცხვში კი ეთანხმება იმ შემთხვევაში, თუ მსაზღვრელი კლას-ნიშნინია.

მხოლოობითი რიცხვი

სახ.	ჰა-ვ	ღირ	ჰიტინ-ავ	ვაცასაჟულ	ვას
					„ამ ჩემი უმცროსი ძმის ვაჟიშვილი“
ერგ.	ჰა-ვ	ღირ	ჰიტინ-ავ	ვაცასაჟულ	ვას - ასა
ნათ.	ჰა-ვ	ღირ	ჰიტინ-ავ	ვაცასაჟულ	ვას - ასა - ულ
მიც.	ჰა-ვ	ღირ	ჰიტინ-ავ	ვაცასაჟულ	ვას - ასა - ე

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ჰა-ლ	ღირ	ჰიტინ-ალ	ვაცაზულ	ვასალ
					„ამ ჩემი უმცროსი ძმების ვაჟიშვილები“
ერგ.	ჰა-ლ	ღირ	ჰიტინ-ალ	ვაცაზულ	ვას - აზ
ნათ.	ჰა-ლ	ღირ	ჰიტინ-ალ	ვაცაზულ	ვას - აზ - ულ
მიც.	ჰა-ლ	ღირ	ჰიტინ-ალ	ვაცაზულ	ვას - აზ - ე

ძველი მოვლენაა თუ ახალი მსაზღვრელი სახელის საზღვრულთან შეუთანხმებლობა ბრუნვაში (მსაზღვრელის უბრუნებლობა საზღვრულთან), ამის შესახებ მსჯელობა გვქონდა ზევით (§ 120).

ზ მ ნ ა

§ 139. ზოგადი. ხუნძურ ზმნას არ შეუძლია მორფოლოგიური საშუალებით აღნიშნოს პირი (პირველი, მეორე, მესამე) მასთან დაკავშირებული სახელებისა — არც სუბიექტისა და არც ობიექტისა, მაგრამ შეუძლია აჩვენოს გრამატიკული კლასი (და რიცხვი) სუბიექტისა, ობიექტისა.

ზმნის უღვლილება ხუნძურში გულისხმობს ცვლას დრო-კილოთა მიხედვით და სათანადო კილოსა და დროში გრამატიკული კლასის (და რიცხვის) მიხედვით.

დრო-კილოთა ფორმებით ხუნძური ზმნა საკმაოდ მდიდარია და ნაირფეროვანი.

გაირჩევა ინფინიტივისა და მასდარის, აბსოლუტივისა და მიმღობის ფორმებიც, რომლებიც დრო-კილოთა ფორმებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უღვლილების სისტემაში.

დაპირისპირება გარდაუვალი და გარდამავალი ზმნებისა სათანადო შემთხვევებში გამოიხატება, როგორც სინტაქსურად (ზმნასთან დაკავშირებული სუბიექტ-ობიექტის ბრუნვათა მიხედვით), ისე მორფოლოგიურად (ზმნის ცვლისას გრამატიკული კლასისა და რიცხვის მიხედვით). გვარები (მოქმედებითი, ვნებითი) არ გაირჩევა.

ზმნა პრევერბს არ დაირთავს და, მაშასადამე, ამ საშუალებით ვერ გამოხატავს მოქმედების მიმართულებას (ან პროცესს) სივრცეში (ამ მნიშვნელობით გამოიყენება ადგილობითი ბრუნვის ფორმები სახელისა).

მორფოლოგიური ელემენტები ზმნაში შეიძლება გვექონდეს პრეფიქსადაც და სუფიქსადაც. პრეფიქსით აღინიშნება გრამატიკული კლასი (და რიცხვი), სუფიქსით — ყველა დანარჩენი კატეგორია.

§ 140. ზმნის უღვლილება გრამატიკული კლასების მიხედვით. როგორც აღნიშნული გვექონდა, პირთა მიხედვით ხუნძური ზმნა არ იცვლება. ასეა ეს არა მხოლოდ სამწერლო ხუნძურ ენაში, არამედ დიალექტებშიც. ერთადერთ გამონაკლისს შეადგენს ჭარული კილო, სადაც ზმნას პირის კატეგორიაც აქვს (§ 141).

ამა თუ იმ ნაკვთში ზმნა უცვლელია პირთა მიხედვით, მაგრამ იცვლება გრამატიკული კლასების მიხედვით.

როგორც ვიცით (§ 57), მხოლოდობით რიცხვში გარჩეულია სამი კლასი; კლას-ნიშნები (I—ვ, II—ფ, III—ბ) ზმნაში პრეფიქსებად წარმოგვიდგება (შეიძლება ჩართულიც იყოს ფუძის შიგნით, როცა სათანადო ფუძე, ივარაუდება, შედგენილია).

სამივე პირისათვის ერთი და იგივე ფორმა გვაქვს (ნაცვალსახელის დაუთრველად პირი არ გაირკვევა), მაგრამ, მეორე მხრივ, თითოეული პირისთვის იმდენი ფორმა დაგვჭირდება, რამდენიც გრამატიკული კლასია გარჩეული:

დუნ	{	ვ-უგო	(I კლ.)	}	„მე ვარ“
		დ-იგო	(II კლ.)		
		ბ-უგო	(III კლ.)		

მუნ	{	ვ-უგო	(I კლ.)	}	„შენ ხარ“
		დ-იგო	(II კლ.)		
		ბ-უგო	(III კლ.)		

დო-ვ	ვ-უგო	(I კლ.)	}	„ის არის“
დო-დ	დ-იგო	(II კლ.)		
დო-ბ	ბ-უგო	(III კლ.)		

დუნ	{	ვ-აჭუნა	(I კლ.)	}	„მე მოვდივარ“
		დ-აჭუნა	(II კლ.)		
		ბ-აჭუნა	(III კლ.)		

მუნ	{	ვ-აჭუნა	(I კლ.)	}	„შენ მოდიხარ“
		დ-აჭუნა	(II კლ.)		
		ბ-აჭუნა	(III კლ.)		

დო-ვ	ვ-აჭუნა	(I კლ.)	}	„ის მოდის“
დო-დ	დ-აჭუნა	(II კლ.)		
დო-ბ	ბ-აჭუნა	(III კლ.)		

ამრიგად, უღვლილება ხუნძურში კლასოვანია. შდრ. სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში: ქართველურ ენებში, ადიღეურში, უდურში... უღვლილება პიროვანია; აფხაზურში, ლაკურში, დარგულში, ტაბასარანულში... უღვლილება კლასოვან-პიროვანია (ზმნა იცვლება ერთსა და იმავე დროს კლასებისა და პირების მიხედვით). კლასოვანი უღვლილება, გარდა ხუნძური ენისა, გვაქვს ანდიურ-დილოურ ენებში, ჩაჩნურში. კლასოვანი უღვლილების ტიპი იბერიულ-კავკასიურ ენებში პიროვანსა და კლასოვან-პიროვანზე უფრო ძველია.

§ 141. კლასოვან-პიროვანი უღვლილება ჭარულ დიალექტში.

როგორც ზემოთ ითქვა, ხუნძურის ერთ-ერთი დიალექტი, ჭარული, უღვლილების თვალსაზრისით თავისებურებას იჩენს სხვა დიალექტებთან შედარებით: მასში ზმნას პირის კატეგორიაც აქვს.

აქ ერთი ფორმა გვაქვს პირველი პირისათვის, მეორე ფორმა — მეორე და მესამე პირებისათვის (კლასების მიხედვით კი ზმნა ისევე იცვლება, როგორც სხვა დიალექტებში):

I კლ.

დუნ	ვუგავ	„მე ვარ“	დუნ	ვერავ	„მე მოვედი“
მუნ	ვუგუ	„შენ ხარ“	მუნ	ვერი	„შენ მოხვედი“
დავ	ვუგუ	„ის არის“	დავ	ვერი	„ის მოვიდა“

II კლ.

დუნ	ფუგაფ	„მე ვარ“	დუნ	ფერაფ	„მე მოვედი“
მუნ	ფუგუ	„შენ ხარ“	მუნ	ფერი	„შენ მოხვედი“
დაფ	ფუგუ	„ის არის“	დაფ	ფერი	„ის მოვიდა“

III კლ.

დუნ	ბუგაბ	„მე ვარ“	დუნ	ბერაბ	„მე მოვედი“
მუნ	ბუგუ	„შენ ხარ“	მუნ	ბერი	„შენ მოხვედი“
დაბ	ბუგუ	„ის არის“	დაბ	ბერი	„ის მოვიდა“

მრ. რ. (I-III კლ.)

ნიჟ	რუგალ	„ჩვენ ვართ“	ნიჟ	რერალ	„ჩვენ მოვედით“
მუჟ	რუგუ	„თქვენ ხართ“	მუჟ	რერი	„თქვენ მოხვედით“
დალ	რუგუ	„ისინი არიან“	დალ	რერი	„ისინი მოვიდნენ“

როგორც აქედან ჩანს, პირველი პირის გარჩევა მეორე და მესამე პირებისაგან იმას ემყარება, რომ პირველ პირში ზმნა დაირთავს სუფიქსად კლას-ნიშანს (მრავლობით რიცხვში — რიცხვის ნიშანს). მთლიანად კი პირველი პირისათვის მიმღობის ფორმა ჩანს განკუთვნილი: ვუგავ (I კლ.), ფუგაფ (II კლ.), ბუგაბ (III კლ.) „მყოფი“; რუგალ (მრ. რ.) „მყოფნი“... ვერავ (I კლ.), ფერაფ (II კლ.), ბერაბ (III კლ.) „მოსული“, რერალ (მრ. რ.) „მოსულნი“ (მდრ. იჰაჰაჰ ვუგავ ჩი „აქ მყოფი კაცი“... ვერავ ჩი „მოსული კაცი“...).

ყველა ნაკვთში პირები არაა გარჩეული. ზმნა პირებს განარჩევს ნამყო ძირითადას და აწმყო კონკრეტულში, მაგრამ აწმყო ზოგადას და მყოფადში პირები გაურჩეველია: აქ ყველა პირში ერთი და იგივე ფორმა იხმარება (ესაა მიმღეობის ფორმა, ე. ი. ის ფორმა, რაც პირთა გარჩევის შემთხვევაში მხოლოდ პირველ პირშია გამოყენებული; შდრ.: ღუნ ვოყანავ „მე ვარ ხოლმე“, მუნ ვოყანავ „შენ ხარ ხოლმე“, დავ ვოყანავ „ის არის ხოლმე“, [I კლ.]; ღუნ დოყანავ „მე ვარ ხოლმე“, მუნ დოყანავ „შენ ხარ ხოლმე“, დავ დოყანავ „ის არის ხოლმე“ [II კლ.] და ა. შ.).

არც ჭარულის ყველა თქმა განარჩევს პირებს: არ განარჩევს პირებს არც ერთ ნაკვთში ჭარულის ბელაქნურ-ყაბახოლური თქმა; შდრ.:

ჭ ა რ ი

ბ ე ლ ა ქ ა ნ - ყ ა ბ ა ხ ი ლ ი

ღუნ ვერავ
მუნ ვერი
დავ ვერი

ღუნ ვერი „მე მოვედი“
მუნ ვერი „შენ მოხვედი“
დავ ვერი „ის მოვიდა“

ღუნ ვუგავ
მუნ ვუგუ
დავ ვუგუ

ღუნ ვუგუ „მე ვარ“
მუნ ვუგუ „შენ ხარ“
დავ ვუგუ „ის არის“

როგორც აქედან ჩანს, ის ფორმა, რაც ჭარში მეორე და მესამე პირებშია გამოყენებული, ბელაქან-ყაბახოლში სამივე პირში იხმარება.

პირთა გარჩევის სიახლე და მეორეულობა ჭარულის სათანადო თქმებში უქველია.

§ 142. კლას-ნიშნის და უკლას-ნიშნო ზმნები. გრამატიკული კლასების მიხედვით იცვლება არა ყოველი ზმნა, არამედ ისეთები, რომელთაც ფუძეში კლას-ნიშანი აქვთ (ე. ი. კლას-ნიშნის ზმნები). კლას-ნიშნის ზმნების მაგალითები (მოგვეყავს III კლასის ნიშნით: ბ-):

ბ-უგო „არის“, ბ-უკინე „ყოფნა“, ბ-აჭინე „მოსვლა“, ბ-ასაანდიზე „თამაშობა“, ბ-ექერიზე „რბენა“, ბ-ალარიზე „განძრევა“, ბ-უსინე „დაბრუნება“, ბ-ახინე „ასვლა“, ბ-აჯინე „ადგომა“, ბ-ეგინე „დაწოლა“, ბ-ოსინე „აღება“, „ყიდვა“, ბ-იჩინე „გაყიდვა“, ბ-ეცინე „ქება“, ბ-ოტინე „სიყვარული“, ბ-იხინე „ხედვა“, „ნახვა“, ბ-ათინე „პოვნა“, ბ-აჩინე „მოყვანა“, ბ-აჩინე „მოტანა“, ბ-ეტინე „ხვნა“, ჰა-ბ-იზე „კეთება“...

ზმნის ფუძეს კლას-ნიშანი როცა აქვს, შერჩება იგი ყველა ნაწარმოებ ფორმამში (მის გარეშე სათანადო ფუძე არ იხმარება).

ამავე დროს გვაქვს ისეთი ზმნებიც, რომელთა ფუძეში არ მოიპოვება კლას-ნიშანი; უკლას-ნიშნო ზმნების მაგალითებია:

ინე „წასვლა“ კანწიზე „ხტომა“, ჭეზე „დგომა“, თირიზე „ტრიალი“, ხვეზე „მოკვდომა“, ჰალტიზე „მუშაობა“, ქვანაზე „ჭამა“, ჰეყეზე „სმა“, ლილიზე „მკა“, ლაზე „ცოდნა“, ჭვანზე „მოკვლა“, ვვანზე „წერა“, წაალიზე „წაკითხვა“, „სწავლა“, ჰიყიზე „შეკითხვა“, ტეზე „დასხმა“, თეზე „დატოვება“, ლეზე „დადება“, ტეზე „მიცემა“, ყოტიზე „ჭრა“, ტაბიზე „ცემა“, აჰიზე „ყვირილი“, წეზე „ავსება“ და სხვ. უკლას-ნიშნო ზმნები გაცილებით მეტია კლას-ნიშნიანებზე. ასეთი ზმნები მოკლებულია საშუალებას იცვალოს კლასების მიხედვით:

ვაცუ უნა... კანწულა... ჭოლა „ძა მიდის... ხტის... დგას“...
 დაცუ უნა... კანწულა... ჭოლა „და მიდის... ხტის... დგას“...
 ჩუ უნა... კანწულა... ჭოლა „ცხენი მიდის... ხტის... დგას“...

დალესტნის სხვა ენებშიც (და ნახური ჯგუფის ენებშიც), რომელთაც გარჩეული აქვთ გრამატიკული კლასები, კლას ნიშნიანებთან ერთად, უკლას-ნიშნო ზმნებიც საკმაოდ ბევრია.

კლას-ნიშნის მომდევნო ხმოვნის შესახებ. კლას-ნიშნიან ზმნებში კლას-ნიშანს (პრეფიქსს) ყოველთვის მოსდევს ესა თუ ის ხმოვანი, რომელიც ფუძეს განეკუთვნება: ზმნის ფორმაცვალებისას იგი არავითარ მონაწილეობას არ იღებს, უცვლელი რჩება მის წინ მდგომ ცვალებად კლას-ნიშნებთან (მხედველობაში არ მიიღება ფონეტიკური ხასიათის ცვლილება, რაც ზოგჯერ ასეთი ხმოვნის კლას-ნიშანთან დამსგავსებამ შეიძლება გამოიწვიოს, კერძოდ, **ფ-უ ფ-ი**); შდრ.::

ფ-აჭუნა,	ფ-აჭუნა,	ბ-აჭუნა	„მოდის“
ფ-აჯუნა,	ფ-აჯუნა,	ბ-აჯუნა	„დგება“
ფ-ახუნა,	ფ-ახუნა,	ბ-ახუნა	„ადის“...
ფ-ეგულა,	ფ-ეგულა,	ბ-ეგულა	„წვება“
ფ-ეცაულა,	ფ-ეცაულა,	ბ-ეცაულა	„აქებს“
ფ-ექერულა,	ფ-ექერულა,	ბ-ექერულა	„რბის“...
ფ-ინულა,	ფ-ინულა,	ბ-ინულა	„ხედავს“
ფ-იტულა,	ფ-იტულა,	ბ-იტულა	„გზავნის“
ფ-იშაულა,	ფ-იშაულა,	ბ-იშაულა	„ირჩევს“...

ვ-ოტჷულა,	ფ-ოტჷულა,	ბ-ოტჷულა	„უყვარს“
ვ-ორჷუნა,	ფ-ორჷუნა,	ბ-ორჷუნა	„ფრინავს“
ვ-ორთულა,	ფ-ორთულა,	ბ-ორთულა	„ვარდება“...

ვ-უგო,	ფ-იგო	ფ-უგო,	ბ-უგო	„არის“
ვ-უჷანა,	ფ-იჷანა	ფ-უჷანა,	ბ-უჷანა	„იყო“
ვ-უჷანა,	ფ-ისჷანა	ფ-უჷანა,	ბ-უჷანა	„დაბრუნდა“...

კლას-ნიშნის მომდევნო ხმოვანი (ამჟამად ფუძისეული!) ისტორიულად არ უნდა შეადგენდეს ძირის (მარტივი ფუძის) კუთვნილებას (როგორც ეს ივარაუდება სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში)¹. ზოგ ენაში ასეთი ხმოვნები ზმნის ფუძეში გარკვეულ მორფოლოგიურ ფუნქციას ასრულებენ: გამოხატავენ ასპექტს (მაგალ., დარგულში), მრავლ. რიცხვს (ანდიურში).

შ ე ნ ი შ ე ა: კლას-ნიშნის (პრეფიქსს) ხმოვანი მოსდევს ზედსართავისა და არსებითი სახელის ფუძეშიც: ვ-აწაღ- „სუფთა“, „წმინდა“... ვ-აცჷ „ძმა“, ფ-აცჷ „და“, რ-აკ „გული“... აქაც იგი ისტორიულად, ივარაუდება, არ შეადგენს ძირის კუთვნილებას.

§ 143. მრავლობითი რიცხვი ზმნის უღვლილებაში. გრამატიკულ

კლასებს ზმნა მხოლოდობით რიცხვში განარჩევს. მრავლობითში სამივე კლასისათვის გამოიყენება საერთო ფორმა რ-პრეფიქსით, რომელიც მრავლობითობის ნიშანია (პირების მიხედვით ზმნა არც მრავლობითში იცვლება); შდრ.:

ვ-უგო (I კლ.)	„ვარ“, „ხარ“, „არის“	} რ-უგო (I-III კლ.)
ფ-იგო (II კლ.)	„ „ „	
ბ-უგო (III კლ.)	„ „ „	
		} „ვართ“, „ხართ“, „არიან“

ვ-აჷუნა (I კლ.)	„მოვდივარ“, „მოდიხარ“, „მოდის“	} რ-აჷუნა (I-III კლ.)
ფ-აჷუნა (II კლ.)	„ „ „	
ბ-აჷუნა (III კლ.)	„ „ „	
		} „მოვდივართ“, „მოდიხართ“, „მოდინ“

¹ N. T r o u b e t z k o y, Notes sur les désinences du verbe dans les langues tchéchénolesgbiennes (Caucasiques – orientales). Bull. de la Societé de Linguistique de Paris, t. 29, fase. 3 (88), Paris, 1929; არნ: ჩ ი ჭ ო ბ ა ვ ა, გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში, აკადემიის მოამბე, V, №4, 1944; . . . , " II, 1954.

გრამატიკული კლასების განხილვისას (§ 61) ნაჩვენები იყო, რომ **რ-** წარმოშობით კლას-ნიშანია, IV კლასის ნიშანი.

სხვანაირად რომ ვთქვათ, წინათ მრავლობითი რიცხვი, გარჩეული მხოლოდობითისაგან ამ **რ-** პრეფიქსით ხუნძურს არ უნდა ჰქონოდა. რა ფორმაც მხოლოდობითში იყო, მრავლობითშიც იგივე უნდა გვექონოდა: ვ-უგო, დ-იგო, ბ-უგო, რ-უგო იქნებოდა I, II, III, IV კლ. ფორმები, როგორც მხოლოდობითში („ვარ“, „ხარ“, „არის“), ისე მრავლობითში („ვართ“, „ხართ“, „არიან“). თუ პირთა გარჩევა ამჟამად ნაცვალსახელებს ეკისრება, წინათ რიცხვის (მრავლობითობის) ჩვენებაც შეუძლებელი არ იყო ნაცვალსახელებს ჰქონოდათ დაკისრებული.

ამჟამად **რ** მხოლოდობითში აღარ იხმარება, იგი განზოგადებულადაა გამოყენებული მრავლობითში როგორც რიცხვის ნიშანი, მაგრამ მრავლობითობის ჩვენება რომ მას იმთავითვე არ ეკისრებოდა, ამას შემდეგი გარემოებაც ცხადყოფს: თუ ზმნა მხოლოდობითში გრამატიკულ კლასებს არ განასხვავებს, მას არც მრავლობითის ფორმა აღმოაჩნდება და პირუკუ: მრავლობითი რიცხვი რომ აღნიშნოს ზმნამ, იგი კლასების მიხედვითაც უნდა იცვლებოდეს.

უკლას-ნიშნო ზმნები, რომლებიც მხოლოდობითში მოკლებული არიან საშუალებას იცვალონ ფორმები კლასების მიხედვით, მრავლობითშიც უცვლელი რჩებიან (არ დაირთავენ რიცხვის ნიშანს); ე. ი., ასეთ ზმნებს სათანადო ნაკვეთში ექნებათ ერთად-ერთი ფორმა, საზიარო სამივე კლასისა და ორივე რიცხვისათვის (და, ცხადია, სამივე პირისათვის, რამდენადაც ზმნა პირთა მიხედვით, საერთოდ, უცვლელია):

უ ნ ა	{	„მივდივარ“, „მიდიხარ“, „მიდის“	}	I-III კლ.
		„მივდივართ“, „მიდიხართ“, „მიდიან“		
თ ი რ უ ლ ა	{	„ვტრიალებ“, „ტრიალებ“, „ტრიალებს“	}	I-III კლ.
		„ვტრიალებთ“, „ტრიალებთ“, „ტრიალებენ“		
ჭ ო ლ ა	{	„ვდგავარ“, „დგახარ“, „დგას“	}	I-III კლ.
		„ვდგავართ“, „დგახართ“, „დგანან“		
კ ა ლ ა ლ ა	{	„ვლაპარაკობ“, „ლაპარაკობ“, „ლაპარაკობს“	}	I-III კლ.
		„ვლაპარაკობთ“, „ლაპარაკობთ“, „ლაპარაკობენ“		

ზმნაში მრავლობითობის აღნიშვნის პრინციპებიც იგივეა, რაც გრამატიკული კლასების აღნიშვნისა (იხ. ქვემოთ).

§ 144. გრამატიკული კლასებისა და მრავლობითობის აღნიშვნის პრინციპები ზმნაში: სუბიექტური და ობიექტური უღვლილება. რამდენი და რის კლასი შეიძლება იყოს აღნიშნული ხუნძური ზმნის ფორმაში?

ხუნძური ზმნის ფორმაში შეიძლება იყოს აღნიშნული მხოლოდ ერთი კლასი, ე. ი. **ხუნძური ზმნა ერთკლასოვანია** (მონოპერსონალურია). ორი და, მით უფრო, სამი კლასი ზმნის უღვლილებაში არ შეიძლება აღინიშნოს (სხვა მდგომარეობაა მიმღობაში: აქ ორი კლასის აღნიშვნა ჩვეულებრივია, მაგრამ მიმღობა ნაზმნარი ზედსართავი სახელია და არა ზმნის ფორმა; მიმღობის შესახებ იხ. თავის ადგილას).

ზმნაში აღინიშნება **სუბიექტის** კლასი, თუ ზმნა გარდაუვალია, და **ობიექტისა**, თუ ზმნა გარდამავალია.

ვ-უგო (I კლ.), დ-იგო (II კლ.), ბ-უგო (III კლ.) „არის“... ვ-აჭუნა (I კლ.), დ-აჭუნა (II კლ.), ბ-აჭუნა (III კლ.) „მოდის“... ვ-ასაანდულა (I კლ.), დ-ასაანდულა (II კლ.), ბ-ასაანდულა (III კლ.) „თამაშობს“ — გარდაუვალი ზმნეზია: მათთან დაკავშირებულია ერთი სახელი და ეს სახელი შეიძლება იყოს მხოლოდ სუბიექტი. ზმნაშიც მისი კლასია აღნიშნული.

სხვა მდგომარეობაა გარდამავალ ზმნაში.

ასე, მაგ., ბ-ეცაულა „აქებს“ ზმნასთან შინაარსობლივ დაკავშირებულია ორი სახელი: ვინც აქებს და ვისაც (ან რასაც) აქებენ. ამათგან ზმნაში აღნიშნულია ის, ვისაც (ან რასაც) აქებენ; მას **რეალურ ობიექტს (RO)** ვუწოდებთ (შეიძლებაოდა გვეთქვა — საერთოდ — ობიექტი ან „გრამატიკული ობიექტით“, მაგრამ ეს უხერხულობას გამოიწვევდა: ზოგი ამ ობიექტში ხედავს „გრამატიკულ სუბიექტს“, რაკი ზმნა სწორედ ამ სახელს ეთანხმება).

როგორღაა აღნიშნული **რეალური სუბიექტი (RS)?** გარდამავალ ბ-ეცაულა „აქებს“ ზმნაში იგი აღუნიშვნელი რჩება: ვიცით, თუ რა კლასის საგანს აქებენ, მაგრამ არ ვიცით, თუ რა კლასს ეკუთვნის მაქებარი.

საგებებით იგივე ვითარებაა ზმნაში მრავლობითობის აღნიშვნის მხრივაც: გარდაუვალ ზმნაში აღინიშნება მრავლობითი რიცხვი რეალური სუბიექტისა, გარდამავალში — რეალური ობიექტისა; აღუნიშვნელი რჩება მრავლობითი რიცხვი გარდამავალი ზმნის რეალური სუბიექტისა.

ამრიგად, ზმნაში გრამატიკული კლასებისა და რიცხვის აღნიშვნის თვალსაზრისით გასარჩევია უღვლილების ორი ტიპი:

ა) **სუბიექტური უღვლილება** (რეალური სუბიექტის კლასისა და რიცხვის მიხედვით) გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ზ მ ნ ე შ ი:

ვას	ვ-აჭუნა	„ვაჟიშვილი მოდის“
დას	დ-აჭუნა	„ქალიშვილი მოდის“
ჩუ	ბ-აჭუნა	„ცხენი მოდის“
ვასალ	რ-აჭუნა	„ვაჟიშვილები მოდიან“

ვას	ვ-ექერულა	„ვაჟიშვილი მირბის“
დას	დ-ექერულა	„ქალიშვილი მირბის“
ჩუ	ბ-ექერულა	„ცხენი მირბის“
ვასალ	რ-ექერულა	„ვაჟიშვილები მირბიან“

ბ) **ობიექტური უღვლილება** (რეალური ობიექტის კლასისა და რიცხვის მიხედვით) გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ზ მ ნ ე ბ შ ი:

RS	RO		
ინსაუცა	ვას	ვ-ეცაულა	„მამა ვაჟიშვილს აქებს“
ინსაუცა	დას	დ-ეცაულა	„მამა ქალიშვილს აქებს“
ინსაუცა	ჩუ	ბ-ეცაულა	„მამა ცხენს აქებს“
ინსაუცა	ვასალ	რ-ეცაულა	„მამა ვაჟიშვილებს აქებს“

ინსაუცა	ვას	ვ-აჩუნა	„მამას ვაჟიშვილი მოჰყავს“ ¹
ინსაუცა	დას	დ-აჩუნა	„მამას ქალიშვილი მოჰყავს“
ინსაუცა	ჩუ	ბ-აჩუნა	„მამას ცხენი მოჰყავს“
ინსაუცა	ვასალ	რ-აჩუნა	„მამას ვაჟიშვილები მოჰყავს“

გარდაუვალი ზმნის რეალური სუბიექტი სახელობითში დაისმის (ვ-აჭუნა ვას „მოდის ვაჟიშვილი“; სახელობითში დაისმის აგრეთვე რეალური ობიექტი გარდამავალი ზმნისა (ვ-ეცაულა ინსაუცა ვას „აქებს მამა ვაჟიშვილს“, ზედმიწ. „აქებს მამამ ვაჟიშვილი“).

მაშასადამე, სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი — იქნება იგი რეალური სუბიექტი (გარდაუვალი ზმნისა), თუ რეალური ობიექტი (გარდამავალი ზმნისა) — ყოველთვის აღინიშნება ზმნაში; აღუნიშვნელი რჩება რეალური სუბიექტი გარდამავალი ზმნისა, ე. ი., ერგატიულ ბრუნვაში დასმული სახელი.

ხუნძურ ზმნასთან რეალური სუბიექტი შეიძლება გვექონდეს აგრეთვე მიცემითსა, ნათესაობითსა და ადგილობითში; რეალური ობიექტი კი აქაც სახელობითში იქნება. ასეთ შემთხვევებშიც ზმნაში აღინიშნება სახელობითი ბრუნვა და არა მიცემითი, ნათესაობითი და ადგილობითი; შდრ.:

რეალური სუბიექტი მიცემით ბრუნვაშია, რეალური ობიექტი — სახელობითში:

RS	RO		
ინსაუდე	ვას	ვ-ოტაულა	„მამას ვაჟიშვილი უყვარს“
ინსაუდე	დას	დ-ოტაულა	„მამას ქალიშვილი უყვარს“
ინსაუდე	ჩუ	ბ-ოტაულა	„მამას ცხენი უყვარს“
ინსაუდე	ვასალ	რ-ოტაულა	„მამას ვაჟიშვილები უყვარს“

¹ ხუნძ. ვ-აჩუნა გარდამავალია, ქართ. მოჰყავს — გარდაუვალი, ამიტომ ხუნძ. ვ-აჩუნა უფრო უღრის ძვ. ქართულის „მოიყვანებს“ ზმნას.

რეალური სუბიექტი ნათესაობით ბრუნვაშია, რეალური ობიექტი — სახელობითში:

RS	RO		
ინსულ	ვას	ვ-უგო	„მამას ვაჟიშვილი ჰყავს“ <i>ზედმიწ.</i> „მამის ვაჟიშვილი არის“
ინსულ	დას	დ-იგო	„მამას ქალიშვილი ჰყავს“
ინსულ	ჩუ	ბ-უგო	„მამას ცხენი ჰყავს“
ინსულ	ვასალ	რ-უგო	„მამას ვაჟიშვილები ჰყავს“

რეალური სუბიექტი ადგილობით ბრუნვაშია, რეალური ობიექტი — სახელობითში:

RS	RO		
ინსაუდა	ვას	ვ-ინ ^ა ულა	„მამა ვაჟიშვილს ხედავს“ <i>ზედმიწ.</i> „მამისდა ვაჟიშვილი ჩანს“
ინსაუდა	დას	დ-ინ ^ა ულა	„მამა ქალიშვილს ხედავს“
ინსაუდა	ჩუ	ბ-ინ ^ა ულა	„მამა ცხენს ხედავს“
ინსაუდა	ვასალ	რ-ინ ^ა ულა	„მამა ვაჟიშვილებს ხედავს“

§ 145. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები. ხუნძური ზმნა ქმნის ხუთი სახის კონსტრუქციას იმისდა მიხედვით, თუ რა ბრუნვაშია დასმული რეალური სუბიექტი; ესენია:

1. ნომინატიური (სახელობითიანი) კონსტრუქცია:
ვაცა ვუგო... ვაჭუნა... უნა... ჭოლა... კალ'ალა „ძმა არის... მოდის... მიდის... დვას... ლაპარაკობს“...
2. ერგატიული (მოთხრობითიანი) კონსტრუქცია:
ვაცაა სა ჩუ ბოსანა „ძმამ ცხენი იყიდა“... ინსაუცაა წულ ყოტანა „მამამ შეშა გაჭრა“... ებელალ'ა გორდე ბუყანა „დედამ პერანგი შეკერა“...
3. დატიური (მიცემითიანი) კონსტრუქცია:
ვაცაა საე ჩუ ბოტულა „ძმას ცხენი უყვარს“.
4. პოსესიური (ნათესაობითიანი) კონსტრუქცია:
ვაცაა საულ ჩუ ბუგო „ძმას ცხენი ჰყავს“, *ზედმიწ.* „ძმისა ცხენი არის“.
5. ლოკატიური (ადგილობითიანი) კონსტრუქცია:
ვაცაა სადა ჩუ ბინ^აულა „ძმა ცხენს ხედავს“, *ზედმიწ.* „ძმისდა ცხენი ჩანს“... ვაცაა სადა ჰარატე რაჭულა „ძმას ხმა ესმის“, *ზედმიწ.* „ძმისდა ხმა ისმის“... ვაცაა სადა ვვაზე ლ'ალა „ძმამ წერა იცის“, *ზედმიწ.* „ძმისდა წერა ცნობილია“...

ზმნათა დიდი უმეტესობა ნომინატიურ და ერგატიულ კონსტრუქციებს მოითხოვს. ნომინატიური კონსტრუქცია გარდაუვალი ზმნისაა, ერგატიული — გარდამავლისა.

დანარჩენი სამი კონსტრუქცია ძველი კონსტრუქციებია; ისინი ეფარდებიან ქართული ენის ინვერსიულ ზმნებს და გარდაუვალი ზმნისეული კონსტრუქციებია.

ბ უ გ ო („არის“), რომელიც პოსესიურ კონსტრუქციაში „აქვს“ („ჰყავს“) მნიშვნელობით იხმარება, მაინც მეშველი ზმნაა და, მაშადასამე, გარდაუვალი ზმნაა.

ბ ო ტ ო უ ლ ა (დიდე)... ბ ი ხ ო უ ლ ა (დიდა) ზმნათა ქართული ეკვივალენტები იქნება: „მ ი ყ ვ ა რ ს (მე) ი ვ ი“... „მ ი ჩ ს (მე) ი ვ ი“... თუმცა, ქართულში ინვერსიულობა მეტადაა საგრძნობი, ვინემ ხუნძურის შესატყვის ზმნებში.

§ 146. გარდამავლობა და გვარი. გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარის უნდა იყოს. ასეთი ვარაუდი ბუნებრივია ინდო-ევროპული ენების მიხედვით. ამ ენებში თვით გარდამავლობა გვარის მიხედვით ირკვევა: თუ მოქმედებითი გვარია და, მაშასადამე, პირდაპირი ობიექტი დაესმის (აკუზატივში), ზმნა გარდამავალია. ქართულში, მართალია, გარდამავალი მოქმედებით გვარზე არაა დამოკიდებული (პირუკუ, მოქმედებითი გვარის თუა ზმნა, გარდამავალიც იქნება), მაგრამ მაინც გარდამავლობასა და გვარს შორის გარკვეული კავშირი ივარაუდება.

ხუნძური გარდამავალი ზმნა მოქმედებით გვარს არ გულისხმობს. არც მოქმედებითი გვარი და არც მისი საპირისპირო ვნებითი ხუნძურმა გარდამავალმა ზმნამ არ იცის.

ასეთ პირობებში სხვაობა გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნებს შორის, ცხადია, ისე მკვეთრი ვერ იქნება (რამდენადაც მორფოლოგიურ-სინტაქსურ ურთიერთობას ეხება საქმე), როგორც იქნებოდა გვართა გარჩევის შემთხვევაში.

გარდამავალი ზმნა, როცა მას რეალური სუბიექტიც უზის და რეალური ობიექტიც, ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის, მაგრამ იმავე ზმნას შეიძლება უკავშირდებოდეს ერთი სახელი სახელობით ბრუნვაში. პირველ შემთხვევაში ზმნა მოქმედებითი გვარის შინაარსს ეტოლება, მეორეში — ვნებითისას (თვით ზმნა კი არც მოქმედებითია და არც ვნებითი); შდრ.:
 ვაცაასა ვიშა ბექანა „მამ ბოთლი გატეხა“ — ვიშა ბექანა „ბოთლი გატყდა“...

ქასირასა ბილეთ ბიჩულა „მოლარე ბილეთს ყიდის“ — ბილეთ ქასალდა ბიჩულა „ბილეთი სალაროში იყიდება“...

ხასაალ წარაზულ ბეტერალდა ნეჟეცა კუდიმაბ ჰარფ ჯვალა „საკუთარ სახელთა დასაწყისში (თავში) ჩვენ დიდ ასოს ვწერთ“ — ხასაალ წარაზულ ბეტერალდა ქიდაგო კუდიმაბ ჰარფ ჯვალა „საკუთარ სახელთა დასაწყისში ყოველთვის დიდი ასო იწერება“...

დოზ ჩედ ბიტულა „ისინი პურს (ი)ყოფენ“ — იჭგო ლაბიდე ბიტულა „ცხრა სამზე იყოფა“;

ებელალა ვას ჰავუნა „დედამ ბავშვი დაბადა (შვა)“ — ვას ჰავუნა „ვაჟი დაიბადა (იშვა)“;

ყო ბაქანა დიცა დოსიდე „მე მას რამე ვაჩვენე (გამოვუჩინე“), ე. ი. „ქრთამი მივეცი“ — ლინ ბაქანა ჰანიბ „წყალი გამოჩნდა აქ“¹;

დიცა რეჰანა დოსიდა თუმანკ „მე ვესროლე (ვტყორცნე) მას თოფი“ — დიდა რეჰანა გამაჭ „მე მომხვდა ქვა“²...

დიცა ბახანა რუყ „მე დავანგრეე სახლი“ — შამილილ ნიზამ ბიხანა ლუნიბ „შამილის წესწყობილება დაინგრა ლუნიბში“³...

დოსა ჰვანა ჟინდირგო დუშმან „მან მოკლა თავისი მტერი“ — დოვ ჰვანა რაღდა „ის მოკლა ომში“...

ინსატუცა წულ ყოტანა „მამამ შეშა გაჭრა“ — წად ხეჟო ყოტანა „წვიმა ჩქარა შეწყდა“ („მოიჭრა“, „ალიკვეთა“)...

ხუნძური ბეჰანა თავის-თავად არც „გატყდა“-ა და არც „გატეხა“; ასევე: ბიჩანა არც „გაიყიდა“ და არც „გაყიდა“... ეგვევითქმის: ჯვალა („წერს“, „იწერება“), ბიტულა („ყოფს“, „ყოფა“)... ზმნათა შესახებ.

ამგვარად, გარდამავალი ზმნა გვარებს არ განასხვავებს. არც გარდაუვალ ზმნებში შეიმჩნევა სხვაობა გვარის მიხედვით (შდრ. ქვემოთ). გვართა განუსხვავებლობა ხუნძური ზმნის ერთი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა.

გვარების გაურჩევლობა გარდამავლობა-გარდაუვლობაზეც ახდენს გავლენას: გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნას შორის სხვაობა ხუნძურში, როგორც ზემოთაც ვთქვით, გაცილებით უფრო მცირეა, ვინემ ევროპულ ენებში და — თუნდაც — ვინემ ქართულში.

ქართული „გატეხა“ („გაყიდა“, „წერს“...) ყოველთვის გარდამავალია, „გატყდა“ („გაიყიდა“, „იწერება“...) — ყოველთვის გარდაუვალი. ხუნძური ბეჰანა (ბიჩანა, ჯვალა...) გარდამავალია, თუ (რეალური სუბიექტის გარდა) რეალური ობიექტიც მოეპოვება და გარდაუვალი, თუ მხოლოდ ერთი სახელი, რეალური სუბიექტი, უკავშირდება.

¹, [III], 38.

² იქვე, გვ. 174.

³ იქვე, გვ. 104.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ბეჭანა (ბიჩანა, ჯვალა...) მხოლოდ ერგატიულ კონსტრუქციას კი არ ქმნის, არამედ ნომინატიურსაც.

გარდამავალი ზმნა ხუნძურში არ ქმნის **სტაბილურ** კონსტრუქციას; **ხუნძურში ერგატიული კონსტრუქცია** პრინციპში **ლაბილურია**. კონსტრუქციის ლაბილურობა ასახავს გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის დაპირისპირების სისუსტეს.

ბაჭინე „მოსვლა“ და ინე „წასვლა“ ჩვეულებრივ გარდაუვალი ზმნებია.

ამ ზმნებს — აღნიშნული მნიშვნელობით — რეალური სუბიექტი სახელობითი დაესმის: ვაცა ვაჭანა „მა მოვიდა“... ძაცა ანა „და წავიდა“...

მაგრამ ორივე ზმნა შეიძლება გარდამავალი მნიშვნელობითაც იქნეს გამოყენებული — რეალური ობიექტით სახელობით ბრუნვაში და რეალური სუბიექტით ერგატივში. მაშინ პირველს „მოყვანა“, „მოტანა“ და მეორეს „წაყვანა“, „წაღება“ მნიშვნელობა ექნება.

მაშასადამე, ზმნის მნიშვნელობას აქ გვარჩევინებს სინტაქსური კონსტრუქციები (ერთსა და იმავე ზმნასთან); შდრ.:

ემენ ვაჭანა „მამა მოვიდა“ (გრდუვ.) — ინსაუცაა ჰობოლ ვაჭანა „მამამ სტუმარი მოიყვანა“ (გრდმ.); ინსაუცაა როხოსაა წულ ბაჭანა „მამამ ტყიდან შეშა მოიტანა“ (გრდმ.).

ემენ ანა „მამა წავიდა“ (გრდუვ.) — ინსაუცაა როხოვე ვასანა „მამამ ტყეში ვაყიშვილი წაიყვანა“ (გრდმ.) — შურუცაა წულ ანა „მდინარემ შეშა წაიღო“ (გრდმ.)...

§ 147. გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავლის წარმოება. გარდაუვალი (ან ლაბილური კონსტრუქციის გარდამავალი) ზმნისაგან შეიძლება ვაწარმოოთ გარდამავალი ზმნა სტაბილური კონსტრუქციისა. ეს დაკავშირებულია კაუზატივის წარმოებასთან (კაუზატივის წარმოების შესახებ იხ. § 180).

იგივე საშუალება, რაც უშუალო გზის ზმნისაგან შუალობითი გზის ზმნას აწარმოებს, იხმარება გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალი ზმნის საწარმოებლადაც: ბეგანა „დაწვა“, ტიყანა „დაიძინა“, ბორჭანა „გაიღვიძა“, ბაჯანა „ადგა“, ბექერანა „გაიქცა“, ჰანა „დადგა“, „გაჩერდა“, შოდოჭანა „დაჯდა“ და ა. შ. გარდაუვალი ზმნებისაგან ისევეა ნაწარმოები ბევიზაბუნა „დააწვინა“, ტიყიზაბუნა „დააძინა“, ბორჭიზაბუნა „გააღვიძა“, ბაჯინაბუნა „ააყენა“, ბექერიზაბუნა „გააქცია“, ჰეზაბუნა „დააყენა“, „გააჩერა“, შოდოჭეზაბუნა „დასვა“ („დააჯინა“) და ა. შ. გარდაუვალი ზმნები, როგორც მაგ., ყოტანა „გაჭრა“ — ამ უშუალო გზის გარდამავალი ზმნისაგან — შუალობითი გზის ყოტიზაბუნა „გააჭრევინა“ ზმნა.

ამგვარად ნაწარმოები გარდამავალი ზმნა ყოველთვის ერგატივში და-
ისვამს რეალურ სუბიექტს და სახელობითში რეალურ ობიექტს:

ბეგიზაბუნა დოსა დობ „დააწვინა მან იგი“ (უნთარავ ჩი ნეყეცაა
დივანალდა ვეგიზავუნა „ავადმყოფი კაცი ჩვენ დივანზე დავაწვინეთ“);

ტიჟიზაბუნა დოსა დობ „დააძინა მან იგი“;

ბაკინაბუნა დოსა დობ „ააყენა მან ის“...

ასეთ ზმნათა კონსტრუქცია ყოველთვის ერგატიულია და ეს კონ-
სტრუქცია აქ სტაბილურია.

წარმოების თვალსაზრისით ბეგიზაბუნა „დააწვინა“, ტიჟიზა-
ბუნა „დააძინა“ და ა. შ. (ნაწარმოებნი ბეგანა „დაწვა“, ტიჟანა
„დაიძინა“ და ა. შ. ზმნებისაგან), თუმცა, კაუზატივის ფორმებია, მაგრამ
შინაარსის მიხედვით ისინი შესაბამის გარდაუვალ ზმნებს უპირისპირდები-
ან, როგორც მხოლოდ გარდამავალი ზმნები უშუალო გზისა.
მათვე შეიძლება ჰქონდეს შუალობითი გზის (კაუზატიური) მნიშვნელობაც;
ეს იმ შემთხვევაში, თუ კონსტრუქციაში, გარდა ერგატივში დასმული რეა-
ლური სუბიექტისა და სახელობითში დასმული რეალური (პირდაპირი)
ობიექტისა, ჩაერთვის ის პირიც, რომელსაც აიძულებენ მოქმედების შე-
სრულებას (ირიბი ობიექტი ადგილობით ბრუნვაში); შდრ.:

1. ბეგანა დობ „დაწვა ის“ (გარდაუვალი).
2. ბეგიზაბუნა დოსა დობ „დააწვინა მან ის“ (გარდამავალი
უშუალო გზისა).
3. ბეგიზაბუნა დოსა დობ დოსადა „დააწვენინა მან ის მას“
(გარდამავალი შუალობითი გზისა).

წარმოების თვალსაზრისით აქ გარჩეულია მხოლოდ ორი ვარიანტი:
ბეგანა და მისგან ნაწარმოები ბეგიზაბუნა. უკანასკნელის ორი
სხვადასხვა მნიშვნელობა (იხ. ზემოთ: 2-3) ირიბი ობიექტის ქონა-არქონას
ემყარება.

გარდამავალი ზმნების წარმოება კაუზატივის მეშვეობით ასევე პრო-
დუქტიულია ნასახელარ გარდაუვალ ზმნათაგან; შდრ.:

ცოლანა დობ „გაერთიანდა ის“ — ცოლიზაბუნა დოსა
დობ „გააერთიანა ის მან“;

ხალა¹ლანა დობ „დაგრძელდა ის“ — ხალა¹ლიზა-
ბუნა დოსა დობ „დააგრძელა მან იგი“;

ყოყლანა დობ „დამოკლდა ის“ — ყოყლიზაბუნა დოსა
დობ „დაამოკლა მან იგი“;

შულალანა დობ „განმტკიცდა, გამაგრდა ის“ (ჰუდულლი
შულალანა „მეგობრობა განმტკიცდა“) — შულალიზაბუნა დოსა
დობ „განამტკიცა მან იგი“;

ჭ აჭ ალ ან ა დობ „გამსხვილდა იგი“ — ჭ აჭ ალ იზ აბ უნ ა დოს დობ „განამსხვილა მან იგი“;

აქ ნასახელარ გარდაუვალ ზმნას უპირისპირდება მისგან ნაწარმოები კაუზატივი, როგორც გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნა — გარდაუვალი ვნებითი გვარის ზმნას: ცოლ ან ა „გაერთიანდა“ (ვნებ.) — ცოლ იზ აბ უნ ა „გააერთიანა“ (მოქმედ.), ყოყლ ან ა „დამოკლდა“ (ვნებ.) — ყოყლ იზ აბ უნ ა „დაამოკლა“ (მოქმედ.)...

მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბება, ჩანს, კაუზატივს უკავშირდება, და ეს მარტოოდენ ზუნძურს როდი ახასიათებს. ანალოგიური ვითარება გვაქვს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც (კერძოდ, ქართულშიც).

§ 148. საუღვლებელი ერთეულების შესახებ (ზოგადად). უღვლილება გრამატიკული კლასისა და რიცხვის მიხედვით გათვალისწინებული გვაქვს (§§ 140-144). გასათვალისწინებელი გვრჩება თვით საუღვლებელი ერთეულები (ნაკვებები), რომელთა შიგნით ზმნა იცვლება გრამატიკული კლასისა და რიცხვის მიხედვით.

წარმოების მიხედვით ეს ერთეულები შეიძლება იყოს მარტივი (სინთეზურად ნაწარმოები) ან აღწერითი (ანალიზურად ნაწარმოები). მარტივს გარკვეული სუფიქსი დაერთვის, აღწერითში მეშველი ზმნაც იღებს მონაწილეობას.

მარტივი ერთეულები თავის მხრივ შეიძლება იყოს ძირითადი და ნაწარმოები. ძირითადი ერთეულები უშუალოდ ზმნის ფუნქსიან იწარმოება, ნაწარმოები ერთეულები კი ამა თუ იმ ძირითადი ერთეულისაგან.

ბუნებრივია, ჯერ განვიხილოთ მარტივი ძირითადი ერთეულები, შემდეგ — მარტივი ნაწარმოები ერთეულები, მარტივი ერთეულების შემდეგ კი — აღწერითი ფორმები.

§ 149. საუღვლებელი ზმნის ფუძე. ზმნის ფუძეს ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე ვპოვებთ:

ასე, ყო ტ უ ლ ა „ჭრის“ ზმნის ფუძეა ყო ტ-; მდრ.: ყოტ-ულა „ჭრის“, ყოტ-ილა „გაჭრის“, ყოტ-ანა „გაჭრა“, ყოტ-ე „გაჭერ!“ და ა. შ.

ჭ ა ლ ტ უ ლ ა „იმუშაობს“ ზმნის ფუძეა ჭ ა ლ ტ-; მდრ.: ჭალტ-ულა „იმუშაობს“, ჭალტ-ილა „იმუშავენს“, ჭალტ-ანა „იმუშავა“, ჭალტ-ე „იმუშავე!“ და ა. შ.

წააღულა „სწავლობს“, „კითხულობს“ ზმნის ფუძეა წააღ-; შდრ.: წააღ-ულა „სწავლობს“, „კითხულობს“, წააღ-ილა „ისწავლის“, წაიკითხავს“, წააღ-ანა „ისწავლა“, „წაიკითხა“, წააღ-ე „ისწავლე!“ „წაიკითხე!“ და ა. შ.

ქვანაღა „ჭამს“ ზმნის ფუძეა ქვანაღ-; შდრ.: ქვანაღ-ლა „ჭამს“, ქვანაღ-ლა „შეჭამს“, ქვანაღ-ნა „შეჭამა“, ქვანაღ-ღ „ჭამე!“ და ა. შ.

ჭვალა „კლავს“ ზმნის ფუძეა ჭვა-; შდრ.: ჭვა-ლა „კლავს“, ჭვა-ლა „მოკლავს“, ჭვა-ნა „მოკლა“, ჭვა-ღ „მოკალ!“ და ა. შ.

ფულა „უბერავს“ ზმნის ფუძეა ფუ-; შდრ.: ფუ-ლა „უბერავს“, ფუ-ლა (|| ფუ-ღლა) „დაუბერავს“, ფუ-ნა „დაუბერა“, ფუ-ღ „დაბერე!“ და ა. შ.

ტოლოლა „კაზმავს (ცხენსა)“ ზმნის ფუძეა ტოლო-; შდრ.: ტოლო-ლა „კაზმავს“, ტოლო-ლა (|| ტოლო-ელა) „შეკაზმავს“, ტოლო-ლა-ნა (ტოლო-ანა) „შეკაზმა“, ტოლო-ღ „შეკაზმე!“ და ა. შ.

ლოლა „დებს“ ზმნის ფუძეა ლ-; შდრ.: ლ-ოლა „დებს“ ლ-ელა „დადებს“, ლ-უნა „დადო“, ლ-ე „დადე!“ და ა. შ.

ტოლა „ასხამს“ ზმნის ფუძეა ტ-; შდრ.: ტ-ოლა „ასხამს“, ტ-ელა „დაასხამს“, ტ-უნა „დაასხა“, ტ-ე „დაასხი!“ და ა. შ.

როგორც აქ მოყვანილი ტიპობრივი მაგალითებიდან ჩანს, საუღვლე-ბელი ზმნის ფუძე შეიძლება ბოლოვდებოდეს თანხმოვანზეც და ხმოვანზეც (მაგალითები იხ. ზემოთ).

ფუძის დაბოლოებას (კერძოდ, ბოლოთანხმოვნიათა თუ ბოლოხმოვნიათა ფუძე) გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ფორმათა წარმოებისას¹.

შენიშვნა. იშვიათად ზმნის ფორმა შეიძლება შეიცავდეს ოდენ ცვლებად ფორმანტებს და ფუძე არ გვქონდეს (დაკარგული იყოს): ინე „წასვლა“, უნა „მიდის“, ანა „წავიდა“, ინა „წავა“ და ა. შ. (შდრ. იგივე ფორმანტები ფუძესთან: რეტ-ინე „ჩაცმა“, რეტ-უნა „იცვამს“, რეტ-ანა „ჩაიცვა“, რეტ-ინა „ჩაიცვამს“ და ა. შ.).

როგორც ვიცით, ზმნის ფუძეს შეიძლება ჰქონდეს გრამატიკული კლასის ნიშანიც, რომელიც იცვლება სათანადო ნაკვთის შიგნით ზმნასთან დაკავშირებული სახელის (სუბიექტის ან ობიექტის) კლასის შესაბამისად (§ 144).

თვით საუღვლეებელ ერთეულთა წარმოების თვალსაზრისით კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, კლას-ნიშნიათა ზმნა, თუ უკლას-ნიშნო.

¹ ბოლოთანხმოვნიან და ბოლოხმოვნიან ფუძეებს ზმნის ფორმათა წარმოებისას განარჩევდა ჯერ კიდევ ა. შ ი ფ ნ ე რ ი (Versuch 90-92).

§ 150. ფორმანტა აგებულება: თემატური ხმოვანი და დაბოლოება. ყველაზე სადაა ბრძანებითის (II კ.) საწარმოებელი ფორმანტი: იგი ოდენ ხმოვანია (§ 159).

დანარჩენ ძირითად ერთეულთა ფორმანტები რთული აგებულებისაა: შეიცავენ დაბოლოებებსა და მათ წინამავალ — არაფუძისეულ — ხმოვნებს, რომელთაც დამაკავშირებელი ან თემატური ხმოვნები¹ შეიძლება ვუწოდოთ.

საუღვლებელი ზმნის ფუძეს უშუალოდ თემატური ხმოვანი მოსდევს, ამ უკანასკნელს — დაბოლოება.

ბრძანებითის ფორმანტის შესახებ ზემოთ ნათქვამი გვაქვს, რომ იგი ოდენ ხმოვნის შემცველია. ეს ოდენ ხმოვნიანი ფორმანტი სხვა ნაკვთა ფორმანტების თემატური ხმოვნის ფარდი ჩანს. თუ ეს ასეა, მაშინ ბრძანებითის ფორმანტი ოდენ თემატური ხმოვნის შემცველი იქნება.

ფორმანტთა აღნიშნული კომპონენტები (თემატური ხმოვნები და დაბოლოებები) რომ უფრო ნათლად გვქონდეს წარმოდგენილი, სანიმუშოდ გავაანალიზოთ ასეთი ფორმანტების მქონე რამდენიმე ძირითადი ფორმა; შდრ.:

- ყოტ-უ-ლა „ჭრის“
- ყოტ-ი-ლა „გაჭრის“
- ყოტ-ა-ნა „გაჭრა“

— აქ ყოტ- ფუძეს (თანხმოვანზე გათავებულს) ერთვის: ა) თემატური ხმოვნები: **-უ-** (აწმყოში), **-ი-** (მყოფადში), **-ა-** (ნამყოში), ბ) დაბოლოებები: **-ლა** (აწმყოსა და მყოფადში), **-ნა** (ნამყოში); სამივე ნაკვთს თემატური ხმოვანი თავ-თავისი აქვს, მაგრამ დაბოლოება ორ მათგანში (აწმყოსა და მყოფადში) საერთოა.

- რეტ-უ-ნა „იცვამს“
- რეტ-ი-ნა „ჩაიცვამს“
- რეტ-ა-ნა „ჩაიცვა“

¹ ჯერ კიდევ ა. შიფნერი განარჩევდა ზმნის საწარმოებელ ფორმანტთა შემადგენლობაში დაბოლოებასა და მის წინამავალ არაფუძისეულ ხმოვანს, რომელსაც იგი უწოდებს „დამაკავშირებელ ხმოვანს“ (Bindevocal). იხ. Schiefner, Versuch, §§ 90-92, 100-101).

დაბოლოების წინამავალ ხმოვანს „თემატურს“ უწოდებს ნ. ტრუბეტკოი (იხ. N. Trubetzkoy, Notes sur les désinences du verbe dans les langues tchéchéno-lesghiennes...). ჩვენც ამ ტერმინს ვხმარობთ (პირობით). თემატურ ხმოვანთა და დაბოლოებათა ისტორიული რაობა გასარკვევია.

— აქ რეტ- ფუძესთან დაბოლოება სამივე ნაკვეთში საერთოა (-ნა), თემატური ხმოვნები კი იგივეა და ისევე განსხვავებული, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში.

ყოტ-უ-ლა „ჭრის“ და რეტ-უ-ნა „იცვამს“ (ასევე: ყოტ-ი-ლა „გაჭრის“ და რეტ-ი-ნა „ჩაიცვამს“) ფორმათა შეპირისპირება ცხადყოფს, რომ ერთსა და იმავე თემატურ ხმოვანთან (ერთი და იმავე ნაკვეთისა) შეიძლება გვქონდეს სხვადასხვა დაბოლოება და, ამავე დროს, სხვადასხვა თემატურ ხმოვანთან (სხვადასხვა ნაკვეთისა) — ერთი და იგივე დაბოლოება.

დაბოლოებასთან ერთად თემატური ხმოვანი გვაქვს ბოლოთანხმოვნიან ფუძესთან. ბოლოხმოვნიან ფუძეს დაბოლოება ჩვეულებრივ უშუალოდ დაერთვის (თემატური ხმოვანი ასეთ ფუძესთან, ივარაუდება, დაკარგულია).

თემატური ხმოვნის არქონა (ბოლოხმოვნიან ფუძესთან), ბუნებრივია, იწვევს საერთო დაბოლოების მქონე ფორმათა შორის განსხვავების მოშლას; შდრ.: ჯვა-ლა „წერს“ — ჯვა-ლა „დაწერს“... (მაგრამ ყოტ-უ-ლა „ჭრის“ — ყოტ-ი-ლა „გაჭრის“...).

§ 151. შესაძლო ფონეტიკური ცვლილებები უღვლილების პროცესში (ფუძესა და ფორმანტებში). ფონეტიკური ხასიათის ცვლილებებს უღვლილების პროცესში ფუძისა და საწარმოებელ ფორმანტთა ურთიერთობა განსაზღვრავს. ეს ურთიერთობა, კერძოდ, ფუძისა და მომდევნო თემატური ხმოვნების ურთიერთობას გულისხმობს. ფორმანტის მეორე კომპონენტი, დაბოლოება, ფუძეზე არ მოქმედებს და არც ფუძე — მასზე.

ა) აღნიშნული გვქონდა (§ 150), რომ ბოლოხმოვნიან ფუძეს დაბოლოება ჩვეულებრივ თემატური ხმოვნის გარეშე დაერთვის. მიზეზი ფონეტიკური ჩანს: თემატური ხმოვნის დასუსტება-დაკარგვა (ჩავარდნა) დაბოლოებასა და ბოლოხმოვნიან ფუძეს შორის. იშვიათად თემატური ხმოვანი დაბოლოების წინ ბოლოხმოვნიან ფუძესთანაც შეიძლება შემოგვრჩეს (დასუსტებული სახით — § 153). თემატურ ხმოვანზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ბოლოთანხმოვნიანმა ფუძემაც. აღსანიშნავია, კერძოდ, ბოლოკიდური ბაგისმიერი თანხმოვნის (ბ, მ) მიერ ნამყოს თემატური ხმოვნის დამსგავსების შემთხვევები: ა უ (§ 157).

ბ) თვით ფუძე უღვლილების პროცესში არსებითი ხასიათის ცვლილებას არ განიცდის. ერთადერთი, რაც ამ მხრივ გასათვალისწინებელია, ესაა ფუძის ბოლოკიდური გ თანხმოვნის დაკარგვა სათანადო ფორმებში მომდევნო თემატურ ო და უ ხმოვანთა გავლენით: ხვ-ე-ზე „მოკვდომა“, ხვ-ე-ლა „მოკვდება“, ხვ-ა-ნა „მოკვდა“... მაგრამ: ხ-ო-ლა ხვ-ო-ლა „კვდება“, ხ-უ-ნ ხვ-უ-ნ „მოკვდა-რა“... (ეს ფონეტიკური პროცესი მხოლოდ უღვლილების პროცესისათვის არ არის დამახასიათებელი. — § 55).

როგორც ჩანს, უფრო აქტიურია ფუძე: იგი მეტ გავლენას ახდენს საწარმოებელ ფორმანტზე, ვინემ ეს უკანასკნელი პირველზე. ეს თვალსაჩინოა ფუძის ბოლოკიდური ხმოვნისა და თემატური ხმოვნის ურთიერთობისას: სათანადო შემთხვევებში ზიანდება თემატური ხმოვანი და არა ფუძისეული.

საერთოდ, ფონეტიკური ცვლილებები უღვლილების პროცესში გაცილებით სუსტია, ვინემ ბრუნების პროცესში. ბრუნების პროცესში ფართო გასაქანი აქვს, კერძოდ, ხმოვანთა ცვლილებებს ფუძის შიგნით („ფუძის ფლექსია“), რაც უცხოა უღვლილების პროცესისათვის.

ფუძისა და საწარმოებელ ფორმანტთა შესახებ წინასწარი ცნობების შემდეგ თვით უღვლილების სქემები უნდა ჩამოვაყალიბოთ.

§ 152. ინფინიტივი, როგორც ზმნის „საწყისი ფორმა“ (სალექსიკონო ერთეული). ხუნძური ზმნის „საწყისი ფორმაღ“ და სალექსიკონო ერთეულად ინფინიტივი მიიჩნევა (ისევე, როგორც სახელისათვის — სახელობითი ბრუნვა).

ა. შიფერისა და ბ. უსლარის ლექსიკონებში (ხუნძური ენის შესახებ მათ შრომებს რომ ერთვის) და ლ. ყირკოვის „ხუნძურ-რუსულ ლექსიკონში“ ზმნები ინფინიტივის ფორმითაა წარმოდგენილი. „რუსულ-ხუნძურ ლექსიკონშიც“ (მ. საიდოვისა და შ. მიქაილოვისა) რუსული ზმნის სალექსიკონო ერთეულის, ინფინიტივის, შესატყვისად ხუნძურშიც ინფინიტივის ფორმაა შერჩეული (— ჰაბიზე, — ქვანაზე...).

ინფინიტივი ხუნძურში ზმნის სხვა ფორმებთან შედარებით ყველაზე ზოგადი, განუსაზღვრელი, ფორმაა: იგი არ გამოხატავს გარკვეულ დროს ან კილოს, თუმცა გრამატიკული კლასის (და რიცხვის) მიხედვით ისევე იცვლება, როგორც ზმნური სხვა ფორმები (იხ. ქვ.).

განუსაზღვრელი შინაარსი (ზემოაღნიშნული გაგებით) მასდარის ფორმასაც აქვს. მასთან, მასდარი (მოქმედების სახელი) ინფინიტივზე უძველესიკაა (ისტორიულად ინფინიტივი მასდარისაგან არის ნაწარმოები), მაგრამ მასდარს მოეპოვება სახელის ისეთი კატეგორია, როგორიცაა ბრუნვის კატეგორია: მასდარი ნაზმნარი არსებითი სახელია¹.

ინფინიტივს ხუნძურში უწოდებენ ზოგჯერ „მიზნობრივ ფორმასაც“² (ხუნძურ სასკოლო გრამატიკაში იხმარება ტერმინი: მურადიჰაბ გლაგოლ „მიზნობრივი ზმნა“³): მხედველობაში მიიღება ინფინიტივის ძირითადი სინ-

¹ ხუნძურ სასკოლო გრამატიკაში ზმნის „საწყისი ფორმაღ“ მასდარი მიიჩნევა (იხ. . . . I . . .); ხუნძური ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც ზმნები მასდარის ფორმით არის წარმოდგენილი (. . . . I . . . , 1955).

² გვ. 218.

³ I . . . გვ. 138, § 67.

ტაქსური ფუნქცია (მიზნის გარემოების გამოხატვა): წულ ყო ტ ი ზ ე ანა „ვეშის საჭრელად (ზედმიწ. ძვ. ქართ. შეშა ჭ რ ა დ¹) წავიდა“...

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ ინფინიტივი ისევე იცვლება გრამატიკული კლასის (და რიცხვის) მიხედვით, როგორც სხვა საუღვლებელი ერთეულები (დრო-კილოთა ფორმები): ინფინიტივშიც გარდაუვალი ზმნისა აღინიშნება გრამატიკული კლასი (და რიცხვი) რეალური სუბიექტისა, გარდამავალი ზმნისაში — რეალური ობიექტისა; სინტაქსური კონსტრუქციაც (სუბიექტ-ობიექტის ბრუნვათა მიხედვით) ინფინიტივისა ზმნისებურიცაა; შდრ.:

ა) გარდაუვალი ზმნა:

ვაცო ვ-აჭანა „ძმა მოვიდა“, დაცო დ-აჭანა „და მოვიდა“, ჩუ ბ-აჭანა „ცხენი მოვიდა“, ვაცაალ რ-აჭანა „ძმები მოვიდნენ“... — ინფინიტ.: ვ-აცო ვ-აჭინე „ძმის (ზედმიწ. ძმა) მოსვლა“, დაცო დ-აჭინე „დის (ზედმიწ. და) მოსვლა“, ჩუ ბ-აჭინე „ცხენის (ზედმიწ. ცხენი) მოსვლა“, ვაცაალ რ-აჭინე „ძმების (ზედმიწ. ძმები) მოსვლა“...

ბ) გარდამავალი ზმნა:

ვაცო ვ-ეცაანა „ძმა აქო“, დაცო დ-ეცაანა „და აქო“, ჩუ ბ-ეცაანა „ცხენი აქო“, ვაცაალ რ-ეცაანა „ძმები აქო“... — ინფინიტ.: ვაცო ვ-ეცაიზე „ძმის (ზედმიწ. ძმა) ქება“, დაცო დ-ეცაიზე „დის (ზედმიწ. და) ქება“, ჩუ ბ-ეცაიზე „ცხენის (ზედმიწ. ცხენი) ქება“, ვაცაალ რ-ეცაიზე „ძმების (ზედმიწ. ძმები) ქება“...

მაშასადამე, ინფინიტივი ხუნძურში ისეთივე საუღვლებელი ერთეულია, როგორც დრო-კილოთა („წმინდა ზმნური“) ფორმები.

§ 153. ინფინიტივის წარმოება. სამწერლო ხუნძურში (და მის საყრდენ დიალექტში) ინფინიტივს ორი დაბოლოება აქვს: **-ზე** და **-ნე**. მნიშვნელობის მიხედვით რაიმე განსხვავება **-ზე** და **-ნე** დაბოლოებიან ფორმათა შორის არ შეიმჩნევა. ზმნათა უმრავლესობას **-ზე** მოუდის.

თანხმოვანზე გათავებულ ფუძეებს ორივე ეს დაბოლოება ერთვის **-ი**-ან **-ე**- თემატური ხმოვნის მეშვეობით:

-ი-ზე: ჰაბ-ი-ზე „კეთება“, ყოტ-ი-ზე „ჭრა“, ბოს-ი-ზე „აღება“, „ყიდვა“, ბაქ-ი-ზე „დანთება“, ბათ-ი-ზე „პოვნა“, ბინ-ი-ზე „ნახვა“, „ხედვა“, ჰარ-ი-ზე „თხოვნა“, ბოტ-ი-ზე „სიყვარული“, ჰიყ-ი-ზე „შეკითხვა“...;

¹ როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ინფინიტივი ისახებოდა, მაგრამ მას განვითარება არ მისცემია.

-ე-ზე: ტ-ე-ზე „მიცემა“, თ-ე-ზე „დატოვება“, ტ-ე-ზე „დასხმა“, წ-ე-ზე „ავსება“, ხვ-ე-ზე „მოკვდომა“, ჯვ-ე-ზე „დაკვლა“, ლ-ედ-ე-ზე „ცურვა“, ჰყე-ე-ზე „სმა“, „დაღევა“, ყეჩ-ე-ზე „მოწყურება“...;

-ი-ნე: ბაჭ-ი-ნე „მოსვლა“, ბუკ-ი-ნე „ყოფნა“, ბუსა-ი-ნე „დაბრუნება“, ბახ-ი-ნე „ასვლა“, ბორჟ-ი-ნე „ფრენა“, ლ-უჰ-ი-ნე „შესვლა“, ბაჩ-ი-ნე „მოყვანა“, ქვ-ი-ნე „შეჭმა“, ბელ-ი-ნე „მოხარშვა“, „შეღებვა“...;

-ე-ნე (იშვიათად): კოჩ-ე-ნე „დავიწყება“, რელა-ე-ნე „დაშვება“.

ხმოვნით გათავებულ ფუძეებს დაბოლოება ჩვეულებრივ უშუალოდ დაერთვის (თემატური ხმოვანი დაბოლოებასა და ფუძეს შორის გვაკლია):

-ზე: ლა-ზე „ცოდნა“, ჯვა-ზე „წერა“, ჰვა-ზე „მოკვლა“, ბა-ზე „ცვენა“, „ყრა“, ქვანა-ზე „ჭამა“, კალ-აზე „ლაპარაკი“, ყაჭა-ზე „მომზადება“, „მორთვა“... ტოლო-ზე „შეკაზმვა (ცხენისა)“, „უნაგირის დადგმა“, თოლო-ზე „გახნა (ტანსაცმლისა)“, წაორო-ზე „გაყინვა“... ფუ-ზე „ბერვა“, ხაუ-ზე „ხვრება“...

შენიშვნა 1. ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებთან (უმთავრესად ერთმარცვლიანებთან) ინფინიტის **-ზე** დაბოლოების წინ შეიძლება თავი იჩინოს **-მ**, რომელიც ფონეტიკურად დასუსტებული თემატური ხმოვანია (**მ ი**): ჰვა-ზე || ჰვა-მ-ზე „მოკვლა“, ლა-ზე || ლა-მ-ზე „ცოდნა“, წა-ზე || წა-მ-ზე „წევა“... ფუ-ზე || ფუ-მ-ზე „ბერვა“, ხაუ-ზე || ხაუ-მ-ზე „ხვრება“...

შენიშვნა 2. ხმოვნით დაბოლოებულ ფუძესთან **-ნე** დაბოლოება ინფინიტის იმ შემთხვევაში არ გვხვდება.

§ 154. დრო და კილო.

გარჩეულია დროები: აწმყო, ნამყო და მყოფადი. კილოებიდან ძირითადია: თხრობითი, ბრძანებითი და ნატვრითი. გაირჩევა პირობითისა (შედგობითითა და დათმობითით) და პირობით-ნატვრითის ფორმებიც, მაგრამ ეს „კილოები“ წარმოადგენს რთული წინადადების აგების საშუალებას (და ამდენადვე სინტაქსურ-სტილისტიკურ საშუალებას) და არა ისეთსავე მორფოლოგიურ ერთეულებს, როგორცაა თხრობითი, ბრძანებითი და ნატვრითი. მასთან, იწარმოებიან ისინი თხრობითი კილოს ფორმებისაგან ნაწილაკების დართვით.

წარმოების მიხედვით დრო-კილოთა ფორმები შეიძლება იყოს მარტივიც (სინთეზური) და აღწერითიც (ანალიზური). აღწერითი ფორმები გარკვეულ დროში (კილოში) დამატებით ამა თუ იმ კონკრეტულ მნიშვნელობასაც გამოხატავენ. შესაბამის მარტივ ფორმებს კი (სათანადო დროსა და კილოში) ამ მხრივ უფრო ზოგადი (აბსტრაქტული) მნიშვნელობა აქვთ. აღწერითი ფორმები მეორეულია. უძველესია მარტივი წარმოების ფორმები.

§ 155. მარტივი აწმყო (აწმყო ზოგადი). მარტივი აწმყოს (ანუ აწმყო ზოგადს) აწარმოებს ფორმანტები: **-უ-ლა, -ო-ლა; -უ-ნა, -ო-ნა.**

როგორც აქედან ჩანს, აწმყოს დაბოლოებად შეიძლება გვქონდეს: **-ლა** ან **-ნა**, თემატურ ხმოვნად კი: **-უ-** ან **-ო-**.

დაბოლოებასთან ერთად თემატური ხმოვანი ბოლოთანხმოვნიან ფუძეს დაერთვის. ბოლოხმოვნიან ფუძესთან გვექნება მხოლოდ დაბოლოება (**-ლა**) თემატური ხმოვნის გარეშე.

-ლა და **-ნა** დაბოლოებათა მონაცვლეობა აწმყოს საწარმოებელ ფორმანტებში გარკვეულ შეფარდებაშია **-ზე**-სა და **-ნე**-ს მონაცვლეობასთან ინფინიტივში:

ინფინიტივი -ზე — აწმყო -ლა

ინფინიტივი -ნე — აწმყო -ნა

ასევე ითქმის დაბოლოებათა წინამავალი თემატური ხმოვნების შესახებაც (ამ მხრივაც გარკვეული შეფარდებაა):

ინფინიტივი -ი — აწმყო -უ

ინფინიტივი -ე — აწმყო -ო

ამრიგად, ფორმანტთა ორივე კომპონენტის მიხედვით ვიღებთ შეფარდებებს:

ა) *ინფინიტივი -ი-ზე — აწმყო -უ-ლა:*

ყოტ-ი-ზე „ჭრა“ — ყოტ-უ-ლა, ბოს-ი-ზე „აღება“ — „ყიდვა“ — ბოს-უ-ლა, ჰაბ-ი-ზე „კეთება“ — ჰაბ-უ-ლა, ბაქ-ი-ზე „დანთება“ — ბაქ-უ-ლა...

ბ) *ინფინიტივი -ე-ზე — აწმყო -ო-ლა:*

ჰეყ-ე-ზე „დაღება“, „სმა“ — ჰეყ-ო-ლა, ტე-ე-ზე „მიცემა“, „მოცემა“ — ტე-ო-ლა, თ-ე-ზე „დატოვება“ — თ-ო-ლა, ლ'-ე-ზე „დადება“ — ლ'-ო-ლა...

გ) *ინფინიტივი -ი-ზე — აწმყო -უ-ნა:*

ბუკ-ი-ნე „ყოფნა“ — ბუკ-უ-ნა, ბაჭ-ი-ნე „მოსვლა“ — ბაჭ-უ-ნა, ი-ნე „წასვლა“ უ-ნა, ბუსა-ი-ნე „დაბრუნება“ — ბუსა-უ-ნა, ბახ-ი-ნე „ასვლა“ — ბახ-უ-ნა...

დ) *ინფინიტივი -ე-ზე — აწმყო -ო-ნა:*

კოჩ-ე-ნე „დავიწყება“ — კოჩ-ო-ნა, რელ'ა-ე-ნე „დამსგავსება“ — რელ'ა-ო-ნა.

ბოლოხმოვნიან ფუძესთან ინფინიტივშიცა და აწმყოშიც მხოლოდ დაბოლოება გვექნება. ამ მხრივაც გარკვეული შეფარდებაა:

ე) ინფინიტივი **-ზე** — აწმყო **-ლა**:

ქვანა-ზე „ჭამა“ — ქვანა-ლა, კალა-ზე „ლაპარაკი“ — კალა-ლა, ლა-ზე „ცოდნა“ — ლა-ლა, ტოლო-ზე „შეკაზმვა (ცხენისა)“ — ტოლო-ლა, ფუ-ზე „შეუბერვა“ — ფუ-ლა...

შენიშვნა. ბოლოხმოვნიან ფუძესთან ინფინიტივში არ დასტურდება **-ნე** დაბოლოება და შესაბამისად არც აწმყოში — მოსალოდნელი **-ნა** დაბოლოება.

მარტივი აწმყო გამოხატავს მოქმედებას, რომელიც საერთოდ ხდება (აწმყო ზოგადი). ამ მნიშვნელობით მას უპირისპირდება აღწერიითი აწმყო, რომელიც მხოლოდ ლაპარაკის მომენტში (ამ წუთას) მიმდინარე მოქმედებას აღნიშნავს (აწმყო კონკრეტული).

§ 156. მარტივი მყოფადი. მარტივ მყოფადს აწარმოებს ფორმანტები: **-ი-ლა, -ე-ლა; -ი-ნა, -ე-ნა.**

აქ იგივე დაბოლოებები გვაქვს, რაც — აწმყოში (**-ლა, -ნა**) და იგივე თემატური ხმოვნები, რაც — ინფინიტივში (**-ი-, -ე-**). მაშასადამე, მყოფადს განასხვავებს აწმყოსაგან მხოლოდ თემატური ხმოვანი, ინფინიტივისაგან — მხოლოდ დაბოლოება.

ამრიგად, დაბოლოებათა მიხედვით ინფინიტივთან მყოფადი იმავე შეფარდებაშია, რაშიც აწმყო:

ინფინიტივი **-ზე** — მყოფადი **-ლა** (შდრ. აწმ. **-ლა**)
 ინფინიტივი **-ნე** — მყოფადი **-ნა** (შდრ. აწმ. **-ნა**)

თემატური ხმოვნების მიხედვით კი ფარდობა მყოფადისა ინფინიტივთან იგივეობრივია:

ინფინიტივი **-ი-** — მყოფადი **-ი-** (შდრ. აწმ. **-უ-**)
 ინფინიტივი **-ე-** — მყოფადი **-ე-** (შდრ. აწმ. **-ო-**)

ფორმანტთა ორივე კომპონენტის (თემატური ხმოვნისა და დაბოლოების) მიხედვით კი ვიღებთ შეფარდებებს:

ა) ინფინიტივი **-ი-ზე** — მყოფადი **-ი-ლა**:

ყოტ-ი-ზე „ჭრა“ — ყოტ-ი-ლა, ბოს-ი-ზე „აღება“, „ყიდვა“ — ბოს-ი-ლა, ჰაბ-ი-ზე „კეთება“ — ჰაბ-ი-ლა, ბაქ-ი-ზე „დანთება“ — ბაქ-ი-ლა, ბიჩ-ი-ზე „გაყიდვა“ — ბიჩ-ი-ლა...

ბ) ინფინიტივი **-ე-ზე** — მყოფადი **-ე-ლა**:

ჰეყ-ე-ზე „დალევა“, „სმა“ — ჰეყ-ე-ლა, ტე-ე-ზე „მიცემა“ — ტე-ე-ლა, თ-ე-ზე „დატოვება“ — თ-ე-ლა, ლ'-ე-ზე „დადება“ — ლ'-ე-ლა, ტ-ე-ზე „დასხმა“ — ტ-ე-ლა...

გ) ინფინიტივი **-ი-ნე** — მყოფადი **-ი-ნა**:

ბუკ-ი-ნე „ყოფნა“ — ბუკ-ი-ნა, ბაჭ-ი-ნე „მოსვლა“ — ბაჭ-ი-ნა, ი-ნე „წასვლა“ — ი-ნა, ბუსა-ი-ნე „დაბრუნება“ - ბუსა-ი-ნა, ბახ-ი-ნე „ასვლა“ — ბახ-ი-ნა...

დ) ინფინიტივი **-ე-ნე** — მყოფადი **-ე-ნა**:

კოჩ-ე-ნე „დავიწყება“ — კოჩ-ე-ნა, რელ'-ე-ნე „დამსგავსება“ — რელ'-ე-ნა...

ბოლო ხმის მქონიან ფუძეებთან ინფინიტივიზაცია და მყოფადშიც მხოლოდ დაბოლოებები გვექნება (თემატური ხმოვნის გარეშე); თემატური ხმოვნის არქონა კი იწვევს განსხვავების მოშლას მყოფადსა და აწმყოს ფორმათა შორის (რაკი ამ ორ ნაკვთს საერთო დაბოლოება აქვს):

ე) ინფინიტივი **-ზე** — მყოფადი **-ლა**:

ქვანა-ზე „ჭამა“ — ქვანა-ლა (შდრ. აწმ. ქვანა-ლა), კალ'-ა-ზე „ლაპარაკი“ — კალ'-ა-ლა (შდრ. აწმ. კალ'-ა-ლა), ლ'-ა-ზე „ცოდნა“ — ლ'-ა-ლა (შდრ. აწმ. ლ'-ა-ლა), წა-ზე „წევა“ — წა-ლა (შდრ. აწმ. წა-ლა)...

შენიშვნა. ისეთ შემთხვევებში, როცა ინფინიტივში ზოგ ბოლოხმოვნის ფუძესთან თემატური ხმოვანი **ი** დასუსტებული სახით შემონახულია, მყოფადშიც ამ მხრივ იგივე ვითარება შეიძლება გვექონდეს (მაშინ მყოფადი აწმყოს აღარ დაემთხვევა); შდრ. ფუ-ზე || ფუ-**ი**-ზე „მებერვა“ — ფუ-ლა || ფუ-**ი**-ლა (შდრ. აწმ. ფუ-ლა), წაუ-ზე || წაუ-**ი**-ზე „წურვა“ — წაუ-ლა || წაუ-**ი**-ლა (შდრ. აწმ. წაუ-ლა).

მარტივი მყოფადი აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მოქმედება მასზე ლაპარაკის შემდეგ მოხდება. მას უპირისპირდება აღწერიითი მყოფადი, რომელიც, გარდა დროული შინაარსისა, დამატებით გარკვეულ მოდალურ ნიუანსსაც გამოხატავს.

§ 157. მარტივი ნამყო (ნამყო ძირითადი). მარტივ ნამყოს ერთადერთი დაბოლოება აქვს: **-ნა**. ამ დაბოლოებასთან შეიძლება გვექონდეს თემატური ხმოვანი **-ა** ან **-უ**. ამრიგად, ნამყოს სრული ფორმანტები: **-ანა**, **-უნა**. ამათგან ძირითადი ჩანს **-ანა** (**-ა** თემატურ ხმოვნიანი) ფორმანტი.

დაბოლოება **-ნა** ნამყოს მოუდის მაშინაც, როცა ინფინიტივში **-ზე** დაბოლოებაა (აწმყოსა და მყოფადში **-ლა**) და იმ შემთხვევაშიც, როცა ინფინიტივში **-ნე** დაბოლოებაა (აწმყოსა და მყოფადში **-ნა**); ასევე: თემატური ხმოვანი **-ა** ნამყოში შეიძლება გვექონდეს მაშინაც, როცა ასეთ ხმოვნად ინფინიტივში **-ი** არის (აწმყოში **-უ**, მყოფადში **-ი**) და მაშინაც, როცა **-ე** არის (აწმყოში **-ო**, მყოფადში **-ე**). ამრიგად, ნამყოს წარმოებაში არ არის უკუფენილი ის სხვაობა, რაც ინფინიტივის (აგრეთვე აწმყოს, მყოფადის) წარმოებისას დასტურდება, დაბოლოებისა და თემატური ხმოვნის მიხედვით.

შდრ.:

ა) ინფინიტივი **-ი-ზე** — ნამყო **-ანა**:

ყოტ-ი-ზე „ჭრა“ — ყოტ-ანა, ბოს-ი-ზე „აღება“ — „ყიდვა“ — ბოს-ანა, ბაქ-ი-ზე „დანთება“ — ბაქ-ანა, კანწ-ი-ზე „ხტომა“ — კანწ-ანა, ბიჩ-ი-ზე „გაყიდვა“ — ბიჩ-ანა...

ინფინიტივში **-ი-ზე** ფორმანტიან ისეთ ზმნებში, რომელთა ფუძე ბაგისმიერ თანხმოვანზე თავდება, ნამყოს საწარმოებელი **-ანა** ფორმანტის ადგილი ზოგ ზმნაში შეიძლება დაიჭიროს **-უნა** ფორმანტმა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთ შემთხვევებში **-უნა** **-ანა** წინამავალი ფუძისეული ბაგისმიერი თანხმოვნის (**მ, ბ**) გავლენით:

ტამ-ი-ზე „დაფენა“ — ტამ-უნა, ჭამ-ი-ზე „ღეჭვა“ — ჭამ-უნა, ქამ-ი-ზე „დაკლება“ — ქამ-უნა, ჯამ-ი-ზე „მოტაცება“ — ჯამ-უნა, ტაბ-ი-ზე „დარტყმა“ — ტაბ-უნა, აბ-ი-ზე „თქმა“ — აბ-უნა, ჰაბ-ი-ზე „კეთება“ — ჰაბ-უნა.

შენიშვნა. ჰაბ-ი-ზე „კეთება“ ზმნის ფუძის ბოლოში **-ბ** კლას-ნიშანია (III კლ.). ნამყოში **-უნა** ფორმანტი ამ ზმნას განზოგადებულად აქვს გამოყენებული დანარჩენი კლას-ნიშნების (აგრეთვე მრავლობითი რიცხვის ნიშნის) მომდევნოდაც: ჰაგ-უნა, ჰაგ-უნა, ჰაბ-უნა, ჰარ-უნა.

გამონაკლისს შეადგენს სამიოდე ზმნა: ჟემ-ი-ზე „შემოხვევა“ — ჟემ-ანა, ხამ-ი-ზე „ლანძღვა“ — ხამ-ანა, სემ-ი-ზე „განრისხება“ — სემ-ანა.

ბ) ინფინიტივი **-ე-ზე** — ნამყო **-ანა**:

ჰეყ-ე-ზე „სმა“, „დაღევა“ — ჰეყ-ანა, ლჷედ-ე-ზე „ცურვა“ — ლჷედ-ანა, თ-ე-ზე „დატოვება“ — თ-ანა, ჭ-ე-ზე „დგომა“ — ჭ-ანა...

ინფინიტივში **-ე-ზე** ფორმანტიან ისეთ ზმნებში, რომელთაც ცალ-თანხმოვნიანი (ან ლაბიალიზებულ კომპლექსიანი) ფუძე აქვთ, ნამყოს საწარმოებელ ფორმანტად შეიძლება იყოს **-უ-ნა** (მოსალოდნელი **-ა-ნა** ფორმანტის ნაცვლად):

ტა-ე-ზე „მიცემა“ — ტა-უ-ნა, ლ'-ე-ზე „დადება“ — ლ'-უ-ნა, წ-ე-ზე „ავსება“ — წ-უ-ნა, ტ-ე-ზე „დასხმა“ — ტ-უ-ნა, მ-ე-ზე „ზრდა“ — მ-უ-ნა, ქვ-ე-ზე „დაჭერა“ — ქა-უ-ნა (ქვ-უ-ნა), ჯვ-ე-ზე „დაკვლა“ — ჯ-უ-ნა (ჯვ-უ-ნა)... მაგრამ: თ-ე-ზე „დატოვება“ — თ-ა-ნა, ჭა-ე-ზე „დგომა“ — ჭა-ა-ნა, ქა-ე-ზე „მოხვედრა“ — ქა-ა-ნა, ხვ-ე-ზე „მოკვდომა“ — ხვ-ა-ნა, შვ-ე-ზე „მოღწევა“, „მოსვლა“ — შვ-ა-ნა, კვ-ე-ზე „შეძლება“ — კვ-ა-ნა (აქ იმავე პირობებში **-ა-ნა** ფორმანტი გვაქვს).

-ა-ნა ფორმანტის **-უ-ნა** ფორმანტით შეცვლის მიზეზი ზემოაღნიშნულ მაგალითებში ცხადი არ არის.

გ) ინფინიტივი **-ი-ნე** — ნამყო **-ა-ნა**:

ბუკ-ი-ნე „ყოფნა“ — ბუკ-ა-ნა, ბაჭ-ი-ნე „მოსვლა“ — ბაჭ-ა-ნა, ბახ-ი-ნე „ასვლა“ — ბახ-ა-ნა, ი-ნე „წასვლა“ — ა-ნა, ლ'უჭ-ი-ნე „შესვლა“ — ლ'უჭ-ა-ნა...

დ) ინფინიტივი **-ე-ნე** — ნამყო **-ა-ნა**:

კოჩ-ე-ნე „დავიწყება“ — კოჩ-ა-ნა, რელ'-ე-ნე „დამსგავსება“ — რელ'-ა-ნა...

ბოლოვნიანი ფუძეებს დართული ნამყო საწარმოებელი ფორმანტი, ისევე, როგორც სხვა ნაკვთებისაც, შეიცავს მხოლოდ დაბოლოებას თემატური ხმოვნის გარეშე:

ქვანა-ზე „ჭამა“ — ქვანა-ნა, კალ'-ა-ზე „ლაპარაკი“ — კალ'-ა-ნა, ჭვა-ზე „მოკვლა“ — ჭვა-ნა, ლ'-ა-ზე „ცოდნა“ — ლ'-ა-ნა..., ხაუ-ზე (|| ხაუძ-ზე) „ხვრება“ — ხაუ-ნა... ტოლო-ზე „შეკაზმვა“ - ტოლო-ნა...

შენიშვნა 1. შეიძლება გვეფიქრა, რომ **ა** ხმოვნით დაბოლოებულ ფუძიან ზმნებს (ქვანა-ზე „ჭამა“, კალ'-ა-ზე „ლაპარაკი“, ჭვა-ზე „მოკვლა“ და მისთ.) ნამყოში დაკარგული აქვთ ფუძისეული ბოლოკიდური (ა) ხმოვანი და არა ფორმანტისეული თემატური (**-ა-**) ხმოვანი (ქვანა-ა-ნა „შეჭამა“ და არა: ქვანა-ნა [*ქვანა-ა-ნა]...). მაგრამ, როგორც ამას სხვა ნაკვთების ჩვენება მოწმობს, ბოლოვნიანი ფუძეებთან იკარგვის თემატური ხმოვანი და არა ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი (მაშასადამე, ქვანა-ნა „შეჭამა“ და არა: ქვან-ა-ნა...).

შენიშვნა 2. **ა** ბოლოხმოვნიან ფუძეებს ნამყოში ბოლოკიდური ხმოვნის ადგილას შეიძლება დაერთოს თემატური ხმოვანი **-ა**: ტოლო-ზე „შეკაზმვა“ (ცხენისა) — ტოლო-ნა || ტოლ-**ა**-ნა, წაორო-ზე „გაყინვა“ — წაორო-ნა || წაორ-**ა**-ნა...

მარტივი ნამყო (ნამყო ძირითადი) მიუთითებს ზოგადად წარსულში მომხდარ მოქმედებაზე, რომელიც შეწყვეტილია მასზე საუბრის მომენტამდე: იმის აღუნიშვნელად დასრულებულია სათანადო მოქმედება თუ დაუსრულებელი. ამ დამატებით (ასპექტობრივ) ნიუანსებს ნამყოში აღწერილი ფორმები გამოხატავენ.

§ 158. აბსოლუტივი ნამყოსი. ნამყოს აბსოლუტივისათვის დამახასიათებელია დაბოლოება **-ნ**, რომელსაც ბოლოთანხმოვნიან ფუძესთან შეიძლება ახლდეს თემატურ ხმოვანად **-უ-** ან **-ო-**; მაშასადამე, ნამყოს აბსოლუტივის საწარმოებელი ფორმანტებია (დაბოლოებითა და თემატური ხმოვნით): **-უ-ნ**, **-ო-ნ**.

ნამყოს აბსოლუტივისა და ინფინიტივის ფორმათა შეფარდება ასეთია:

1) როცა ინფინიტივში გვაქვს **-ი-ზე** და **-ი-ნე** ფორმანტები (ე. ი., ფორმანტები **-ი-** თემატური ხმოვნით), ნამყოს აბსოლუტივში გვექნება **-უ-ნ**; შდრ.:

ა) ინფინიტივი **-ი-ზე** — აბსოლუტ. ნამ. **-უ-ნ**:

ყოტ-ი-ზე „ჭრა“ — ყოტ-უ-ნ, ჰაბ-ი-ზე „კეთება“ — ჰაბ-უ-ნ, ბაქ-ი-ზე „დანთება“ — ბაქ-უ-ნ, ბოს-ი-ზე „აღება“, „ყიდვა“ — ბოს-უ-ნ...

ბ) ინფინიტივი **-ი-ნე** — აბსოლუტ. ნამ. **-უ-ნ**:

ბუკ-ი-ნე „ყოფნა“ — ბუკ-უ-ნ, ბაჭ-ი-ნე „მოსვლა“ — ბაჭ-უ-ნ, ბახ-ი-ნე „ასვლა“ — ბახ-უ-ნ, ლ'უჰ-ი-ნე „შესვლა“ — ლ'უჰ-უ-ნ, ბუ-სა-ი-ნე „დაბრუნება“ — ბუსა-უ-ნ...

2) როცა ინფინიტივში გვაქვს **-ე-ზე** და **-ე-ნე** ფორმანტები (ე. ი., ფორმანტები **-ე-** თემატური ხმოვნით), ნამყოს აბსოლუტივში შეიძლება გვექონდეს **-უ-ნ** ან **-ო-ნ**; მასთან: **-უ-ნ** დაერთვის ზმნებს, რომლებიც ინფინიტივის ფორმაში ორმარცვლიანებია¹ (ასეთ ზმნათა ფუძეები ცალთანხმოვნიანი ან ლაბიალიზებულ კომპლექსიანი იქნება), **-ო-ნ** — ისეთ ზმნებს, რომლებიც ინფინიტივის ფორმაში ორზე მეტ მარცვლიანებია¹; შდრ.:

ა) თ-ე-ზე „დატოვება“ — თ-უ-ნ, ლ'-ე-ზე „დადება“ — ლ'-უ-ნ, ტ-ე-ზე „დასხმა“ — ტ-უ-ნ, წ-ე-ზე „ავსება“ — წ-უ-ნ, ტე-ე-ზე „მიცემა“ — ტე-უ-ნ, ქვ-ე-ზე „დაჭერა“ — ქვ-უ-ნ (ქვ-უ-ნ), ხვ-ე-ზე „მოკვდომა“ — ხ-უ-ნ (ხვ-უ-ნ)...

¹ პ. უსლარის დაკვირვებით.

ბ) ჰეყ-ე-ზე „დალევა“ — „სმა“ — ჰეყ-ო-ნ, ლ'ედ-ე-ზე „ცურვა“ — ლ'ედ-ო-ნ, ეჩი-ე-ზე „მოწყურება“ — ეჩი-ო-ნ...

კოჩ-ე-ზე „დავიწყება“ — კოჩ-ო-ნ, რელ'ე-ზე „დამსგავსება“ — რელ'ო-ნ...

ბოლოხმოვნიან ფუძეს დაბოლოება (-ბ) დაერთვის თემატური ხმოვნის გარეშე:

ქვანა-ზე „ჭამა“ — ქვანა-ნ, კალ'ა-ზე „ლაპარაკი“ — კალ'ა-ნ, ლ'ა-ზე „ცოდნა“ — ლ'ა-ნ, ტოლო-ზე „შეკაზმვა (ცხენისა)“ — ტოლო-ნ, წაუ-ზე (|| წაუ-მ-ზე) „წურვა“ — წაუ-ნ...

§ 159. ბრძანებითი (|| პ.). როგორც აღნიშნული გვექონდა (§ 150), ბრძანებითის საწარმოებელი ნიშანი თავისი აგებულებით ყველაზე სადაა: იგი ოდენ ხმოვანია.

ბრძანებითის ნიშნებია: -ე და -ა. ორივე ნიშანი ბრძანებითისა შეიძლება გვექონდეს როგორც ინფინიტივში -ზე დაბოლოებიან, ისე -ნე დაბოლოებიან ზმნებში. ბოლოხმოვნიან ფუძეებთან ბრძანებითის ნიშნად გვაქვს -ა, რომელიც ფონეტიკური ცვლილების შედეგად (ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის გავლენით) -ე-საგან არის მიღებული: **ა (ი) ე**.

ბრძანებითის ფორმათა მაგალითები საწარმოებელ ნიშანთა მიხედვით (შესადარებლად მოგვყავს ინფინიტივის ფორმებიც):

-ე: ჰაბ-ი-ზე „კეთება“ — ჰაბ-ე! ყოტ-ი-ზე „ჭრა“ — ყოტ-ე! ბო-ს-ი-ზე „აღება“, „ყიდვა“ — ბოს-ე! ბაქ-ი-ზე „დანთება“ — ბაქ-ე! წაალ-ი-ზე „წაკითხვა“, „სწავლა“ — წაალ-ე! ჰალტ-ი-ზე „მუშაობა“ — ჰალტ-ე! კანწ-ი-ზე „ხტომა“ — კანწ-ე! ტე-ე-ზე „მიცემა“ — ტე-ე! თ-ე-ზე „დატოვება“ — თ-ე!..

ბაჩ-ი-ზე „მოყვანა“ — ბაჩ-ე! ბელ'-ი-ზე „მოხარშვა“ — ბელ'-ე! ბაწა-ი-ზე „გაწმენდა“, „გასუფთავება“ — ბაწა-ე!..

-ა (ი) ე: ლ'ა-ზე „ცოდნა“ — ლ'ა-ა! ჰვა-ზე „მოკვლა“ — ჰვა-ა! ქვანა-ზე „ჭამა“ — ქვანა-ა! კალ'ა-ზე „ლაპარაკი“ — კალ'ა-ა! ვვა-ზე „წერა“ — ვვა-ა! ტოლო-ზე „შეკაზმვა (ცხენისა)“ — ტოლო-ა! თოლო-ზე „გახდა (ტანსაცმლისა)“ — თოლო-ა! ფუ-რ'ა-ზე „შებენება“ — ფუ-ა! თუ-რ'ა-ზე „გადაფურთხება“ — თუ-ა!..

-ა: ბორთ-ი-ზე „წმინდობა“ — ბორთ-ა! ხე-ე-ზე „მოკვდომა“ — ხე-ა! ჰე-ე-ზე „დგომა“ — ჰე-ა!..

ბუკ-ი-ზე „ყოფნა“ — ბუკ-ა! ბაჭ-ი-ზე „მოსვლა“ — ბაჭ-ა! ლ'უ-ჰ-ი-ზე „შესვლა“ — ლ'უ-ჰ-ა! ბორჟ-ი-ზე „ფრენა“ — ბორჟ-ა! კოჩ-ე-ზე „დავიწყება“ — კოჩ-ა!..

-ა გარდაუვალ ზმნებში ჩანს გამოყენებული (იხ. ზემოთ მაგალითები), მაგრამ ე (|| -ა) შეიძლება გვექონდეს, როგორც გარდამავალ ზმნებში (ჰაბ-ე დუცა ჰალტი „გააკეთე შენ საქმე!“ ყოტ-ე დუცა წულ „გაჭერ შენ

შემა!“ ბაქ-ე ღუცაა წა „დაანთე შენ ცეცხლი!“ ჯვა-მ ღუცაა ქალათ „დაწე-რე შენ წერილი!“ ჭვა-მ ღუცაა ბაწ „მოკალ შენ მგელი!“..), ისე გარდაუვალშიც (კანწ-ე მუნ „გადახტი შენ!“ ჰალტ-ე მუნ „იმუშავე შენ!“ კალ‘ა-მ მუნ „თქვი, ილაპარაკე შენ!..“).

ბრძანებითის ნიშანთა დიფერენცირებული გამოყენება (გარდამავლობა-გარდაუვალობის თვალსაზრისით) უფრო თანმიმდევრულია ზმნებში, რომელთაც ინფინიტივში **-ნე** დაბოლოება აქვთ; შდრ.: გრდმ.: ბაჩ-ინე „მოყვანა“ — ბაჩ-ე „მოიყვანე!“ ბელ’-ინე „მოხარშვა“ — ბელ’-ე „მოხარშე!“.. — გრდმ.: ბუკ-ინე „ყოფნა“ — ბუკ-ა „იყავე!“ ბაჭ-ინე „მოსვლა“ — ბაჭ-ა „მოდი!“, ლ’უჰ-ინე „შესვლა“ — ლ’უჰ-ა „შედი!“..

განსხვავება ამ მხრივ ზოგჯერ თავს იჩენს ერთსა და იმავე ზმნასთანაც; შდრ.¹:

ჩუკ-ინე „გატყავება“, „ტყავის გაძრობა“: ჩუკ-ე ტონ „გააძვრე ტყავი!“ „გაატყავე!“ (მაგალ. დაკლული ცხვარი) — ჩუკ-ა ღურ ჰომერ „გატყავდა (გადაიყვლიდა) შენი სახე!“ (წყევლა).

ბახ-ინე „წაცხება“, „წასმა“: ბახ-ე ნახ ჩეღალდა „წააცხე კარაქი პურს!“ — ბახ-ა ჰაშე ჰასა-და „წაეცხოს მას ტალახი!“ (წყევლა).

ბელ’-ინე „მოხარშვა“: ბელ’-ე ჰან „მოხარშე ხორცი!“ — ბელ’-ა, ჰან „მოიხარშე, ხორცი!“

ბიჭ-ინე „გააბობა“: წულ ბიჭ-ე „გააბე შემა!“ — ბიჭ-ა, ღამასა „გაიბე (გაიღე), სკივრო!“..

შენიშვნა. კაუზატიურ ზმნებს ბრძანებითის ნიშნად ერთი ნიშანი აქვს, შესაბამისი იმ მეშველი ზმნის (ჰაბიზე „კეთება“) ბრძანებითის ფორმისა, რომელიც კაუზატივს აწარმოებს (შდრ.: ყოტ-ე „გაჭერ!“ ტიყ-ა „დაიძინე!“... მაგრამ: ყოტიზე ჰაბ-ე || ყოტიზაბ-ე „გააჭრევენ!“ ტიყიზე ჰაბ-ე || ტიყიზაბ-ე „დააძინე!“ „დააძინებინე!“..).

ბრძანებითის შესარბილებლად ბრძანებითის ფორმას დაერთვის ნაწილაკი **-მა**: ტჷ-ე „მომეცე!“ — ტჷ-ე-მა „აბა, მომეცი!“ (- !), ვექერ-ე „გაიქეცე!“ — ვექერ-ე-მა „აბა, გაიქეცე!“ ბიც-ე „გვიამბე!“ — ბიც-ე-მა „აბა, ერთი გვიამბე!..“

¹ სათანადო მაგალითები აღნიშნული აქვს პ. უსლარს (. , გვ. 177, § 153).
იხ. აგრეთვე: , , გვ. 45.

§ 160. ზმნის ძირითად ფორმათა სქემები უღვლილების ტიპების მიხედვით. იმ სხვაობაზე დამყარებით, რაც სათანადო ნაკვთა წარმოების მიხედვით იჩენს თავს (სხვადასხვა ზმნებში), გასარჩევია უღვლილების შესაბამისი ტიპები.

უღვლილებათა ტიპების გასარჩევად შეიძლება ამოვიდეთ ინფინიტივის წარმოებიდან იმ შეფარდების გათვალისწინებით, რაც ინფინიტივსა და დანარჩენ ნაკვთა ფორმებს შორის მქლავდება.

ინფინიტივს, როგორც ვხედავთ (§ 153), ორი დაბოლოება აქვს: **-ზე** და **-ნე**; ორივე დაბოლოებას შეიძლება უძლოდეს თემატური ხმოვნები: **-ი** (**-ი-ზე**, **-ი-ნე**) და **-ე** (**-ე-ზე**, **-ე-ნე**).

თუ დაბოლოებათა მიხედვით გარჩეული გვექნება უღვლილების ტიპები¹ (პირველი ტიპი — **-ზე** დაბოლოებით, მეორე ტიპი — **-ნე** დაბოლოებით), თემატური ხმოვნების შესაბამისად გასარჩევი იქნება თითოეული ტიპის შიგნით ქვეტიპები (პირველი ქვეტიპი — **-ი** თემატური ხმოვნით, მეორე ქვეტიპი — **-ე** თემატური ხმოვნით).

დაბოლოებასთან ერთად თემატური ხმოვანი, როგორც ვნახეთ, ყოველთვის გვაქვს ბოლოთან ხმოვნიან ფუძესთან. ბოლო ხმოვნიან ფუძეს კი დაბოლოება ჩვეულებრივ თემატური ხმოვნის გარეშე დაერთვის და, მასთან, არც ვარიაციები დაბოლოების მიხედვით ასეთ ფუძეებთან არ დასტურდება (ყველა ზმნას სათანადო ნაკვთში ერთად-ერთი დაბოლოება მოუდის, კერძოდ, ინფინიტივში — მხოლოდ **-ზე** დაბოლოება). ამრიგად, უღვლილების განსხვავებული ტიპები (დაბოლოებათა მიხედვით) და ქვეტიპები თითოეული ტიპის შიგნით (თემატური ხმოვნების მიხედვით) თან-ხმოვნით დაბოლოებულ ფუძიან ზმნებშია გარჩეული. ხმოვნით დაბოლოებულ ფუძიან ზმნებში კი არსებითად ერთი უღვლილება გვაქვს (**-ზე** დაბოლოებით ინფინიტივში).

ჩვენ ვნახეთ, რომ ინფინიტივის ფორმებთან გარკვეულ შეფარდებას ამქლავებენ აწმყოსა და მყოფადის ფორმები, ნაწილობრივ ნამყოსა და ნამყოს აბსოლუტივის ფორმებიც.

ბრძანებითის ფორმებიც არ არის ერთნაირი ყველა ზმნაში, მაგრამ სხვაობა ამ მხრივ ზმნათა შორის დაკავშირებული არაა უღვლილების იმ ტიპებთან, რასაც დანარჩენ ძირითად ნაკვთა წარმოება გაგვარჩევინებს (ამიტომ ბრძანებითის ფორმები ქვემოთ, ძირითად ფორმათა სქემებში, შეტანილი არ არის. — იხ. § 159).

ქვემოთ მოგვყავს ინფინიტივის, აწმყოს, მყოფადის, ნამყოსა და ნამყოს აბსოლუტივის ფორმები უღვლილების ტიპების შესაბამისად.

¹ ინფინიტივის დაბოლოებათა მიხედვით უღვლილების ტიპები გარჩეული აქვთ პ. უსლარს, ლ. ყირკოვს.

1) ბოლოთანმოვნიანი ფუძეები

A) პირველი უღვლილე ბა (-ზე დაბოლოებით ინფინიტივში)

a) პირველი ქვეტიპი (-ი თემატური ხმოვნით ინფინიტივში)

ინფინიტივი	-ი-ზე
აწმყო	-უ-ლა
მყოფადი	-ი-ლა
ნამყო	-ა-ნა (-უ-ნა)
აბსოლუტივი ნამ.	-უ-ნ

ინფ. ყოტ-ი-ზე „ჭრა“ — აწმ. ყოტ-უ-ლა, მყოფ. ყოტ-ი-ლა, ნამ. ყოტ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ყოტ-უ-ნ;

ინფ. წაღ-ი-ზე „სწავლა“, „წაქითხვა“ — აწმ. წაღ-უ-ლა, მყოფ. წაღ-ი-ლა, ნამ. წაღ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. წაღ-უ-ნ;

ინფ. ბაქ-ი-ზე „დანთება“ — აწმ. ბაქ-უ-ლა, მყოფ. ბაქ-ი-ლა, ნამ. ბაქ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბაქ-უ-ნ;

ინფ. ბოს-ი-ზე „აღება“, „ყიდვა“ — აწმ. ბოს-უ-ლა, მყოფ. ბოს-ი-ლა, ნამ. ბოს-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბოს-უ-ნ;

ინფ. ბეტ-ი-ზე „ხვნა“ — აწმ. ბეტ-უ-ლა, მყოფ. ბეტ-ი-ლა, ნამ. ბეტ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბეტ-უ-ნ;

ინფ. ბიჩ-ი-ზე „გაყიდვა“ — აწმ. ბიჩ-უ-ლა, მყოფ. ბიჩ-ი-ლა, ნამ. ბიჩ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბიჩ-უ-ნ;

ინფ. ბეც-ი-ზე „გაყიდვა“ — აწმ. ბეც-უ-ლა, მყოფ. ბეც-ი-ლა, ნამ. ბეც-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბეც-უ-ნ;

ინფ. ბეც-ი-ზე „ქება“ — აწმ. ბეც-უ-ლა, მყოფ. ბეც-ი-ლა, ნამ. ბეც-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბეც-უ-ნ;

ინფ. ბექ-ი-ზე „გატეხა“ — აწმ. ბექ-უ-ლა, მყოფ. ბექ-ი-ლა, ნამ. ბექ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბექ-უ-ნ;

ინფ. ბიჭ-ი-ზე „გაპობა“ — აწმ. ბიჭ-უ-ლა, მყოფ. ბიჭ-ი-ლა, ნამ. ბიჭ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბიჭ-უ-ნ;

ინფ. ბეჟ-ი-ზე „მეწვა“, „გამოცხობა“ — აწმ. ბეჟ-უ-ლა, მყოფ. ბეჟ-ი-ლა, ნამ. ბეჟ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბეჟ-უ-ნ;

ინფ. ბიჭ-ი-ზე „გაგება“ — აწმ. ბიჭ-უ-ლა, მყოფ. ბიჭ-ი-ლა, ნამ. ბიჭ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბიჭ-უ-ნ;

ინფ. ბინ-ი-ზე „ხედვა“, „ნახვა“ — აწმ. ბინ-უ-ლა, მყოფ. ბინ-ი-ლა, ნამ. ბინ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბინ-უ-ნ;

ინფ. ბოტ-ი-ზე „სიყვარული“ — აწმ. ბოტ-უ-ლა, მყოფ. ბოტ-ი-ლა, ნამ. ბოტ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბოტ-უ-ნ;

ინფ. ბეჭა-ი-ზე „წველა“ — აწმ. ბეჭა-უ-ლა, მყოფ. ბეჭა-ი-ლა, ნამ. ბეჭა-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბეჭა-უ-ნ;

ინფ. ჩურ-ი-ზე „ბანა“, „რეცხვა“ — აწმ. ჩურ-უ-ლა, მყოფ. ჩურ-ი-ლა, ნამ. ჩურ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ჩურ-უ-ნ;

ინფ. ლ'ილ'-ი-ზე „მკა“ — აწმ. ლ'ილ'-უ-ლა, მყოფ. ლ'ილ'-ი-ლა, ნამ. ლ'ილ'-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ლ'ილ'-უ-ნ;

ინფ. აჭ-ი-ზე „ყვირილი“, „დახილი“ — აწმ. აჭ-უ-ლა, მყოფ. აჭ-ი-ლა, ნამ. აჭ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. აჭ-უ-ნ;

ინფ. წუნ-ი-ზე „დაცვა“, „შენახვა“ — აწმ. წუნ-უ-ლა, მყოფ. წუნ-ი-ლა, ნამ. წუნ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. წუნ-უ-ნ;

ინფ. ხაუტ-ი-ზე „დარჩენა“ — აწმ. ხაუტ-უ-ლა, მყოფ. ხაუტ-ი-ლა, ნამ. ხაუტ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ხაუტ-უ-ნ;

ინფ. ტიყ-ი-ზე „დაძინება“ — აწმ. ტიყ-უ-ლა, მყოფ. ტიყ-ი-ლა, ნამ. ტიყ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ტიყ-უ-ნ...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ნამყოს თემატური ხმოვანი **-ა-** შეიძლება შეცვალოს **-უმ (-ა-ნა -უ-ნა)** წინამავალი ბაგისმიერი თანხმოვნის (**მ, ბ**) ზეგავლენით (§ 157).

ბ) მეორე ქვეტიპი (-ე- თემატური ხმოვნით ინფინიტივში)

ინფინიტივი	-ე-ზე
აწმყო	-ო-ლა
მყოფადი	-ე-ლა
ნამყო	-ა-ნა, -უ-ნა
აბსოლუტივი ნამ.	-უ-ნ, -ო-ნ

ინფ. თ-ე-ზე „დატოვება“ — აწმ. თ-ო-ლა, მყოფ. თ-ე-ლა, ნამ. თ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. თ-უ-ნ;

ინფ. ჭა-ე-ზე „დგომა“ — აწმ. ჭა-ო-ლა, მყოფ. ჭა-ე-ლა, ნამ. ჭა-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ჭა-უ-ნ;

ინფ. ქა-ე-ზე „მოხვედრა“ — აწმ. ქა-ო-ლა, მყოფ. ქა-ე-ლა, ნამ. ქა-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ქა-უ-ნ;

ინფ. ხვ-ე-ზე „მოკვდომა“ — აწმ. ხ-ო-ლა (ხვ-ო-ლა), მყოფ. ხვ-ე-ლა, ნამ. ხვ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ხ-უ-ნ (ხვ-უ-ნ);

ინფ. შავ-ე-ზე „მოსვლა“, „მოღწევა“ — აწმ. შა-ო-ლა (შავ-ო-ლა), მყოფ. შავ-ე-ლა, ნამ. შავ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. შა-უ-ნ (შავ-უ-ნ);

ინფ. კვ-ე-ზე „შეძლება“ — აწმ. კ-ო-ლა (კვ-ო-ლა), მყოფ. კვ-ე-ლა, ნამ. კვ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. კ-უ-ნ (კვ-უ-ნ);

ინფ. ტე-ე-ზე „მიცემა“ — აწმ. ტე-ო-ლა, მყოფ. ტე-ე-ლა, ნამ. ტე-უ-ნა, აბსოლუტ. ნამ. ტე-უ-ნ;

ინფ. ლ'-ზე „დადება“ — აწმ. ლ'-ო-ლა, მყოფ. ლ'-ე-ლა, ნამ. ლ'-უ-
ნა, აბსოლუტ. ნამ. ლ'-უ-ნ;

ინფ. წ'-ზე „ავსება“ — აწმ. წ'-ო-ლა, მყოფ. წ'-ე-ლა, ნამ. წ'-უ-ნა,
აბსოლუტ. ნამ. წ'-უ-ნ;

ინფ. ტ'-ზე „დასხმა“ — აწმ. ტ'-ო-ლა, მყოფ. ტ'-ე-ლა, ნამ. ტ'-უ-ნა,
აბსოლუტ. ნამ. ტ'-უ-ნ;

ინფ. შ'-ზე „ზრდა“ — აწმ. შ'-ო-ლა, მყოფ. შ'-ე-ლა, ნამ. შ'-უ-ნა,
აბსოლუტ. ნამ. შ'-უ-ნ;

ინფ. ქვე-ზე „დაჭერა“ — აწმ. ქვ-ო-ლა (ქვე-ო-ლა), მყოფ. ქვე-ე-
ლა, ნამ. ქვ-უ-ნა (ქვე-უ-ნა), აბსოლუტ. ნამ. ქვ-უ-ნ (ქვე-უ-ნ);

ინფ. ვვ-ზე „დაკვლა“ — აწმ. ვვ-ო-ლა (ვვ-ო-ლა), მყოფ. ვვ-ე-ლა,
ნამ. ვვ-უ-ნა (ვვ-უ-ნა), აბსოლუტ. ნამ. ვვ-უ-ნ (ვვ-უ-ნ);

ინფ. ჰეყ-ზე „დაღევა“, „სმა“ — აწმ. ჰეყ-ო-ლა, მყოფ. ჰეყ-ე-ლა,
ნამ. ჰეყ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ჰეყ-ო-ნ;

ინფ. ყეჩ-ზე „მოწყურება“ - აწმ. ყეჩ-ო-ლა, მყოფ. ყეჩ-ე-ლა, ნამ.
ყეჩ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ყეჩ-ო-ნ;

ინფ. ლ'ედ-ზე „ცურვა“ — აწმ. ლ'ედ-ო-ლა, მყოფ. ლ'ედ-ე-ლა,
ნამ. ლ'ედ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ლ'ედ-ო-ნ...

შენიშვნა. ნამყოსა და ნამყოს აბსოლუტივში თემატური ხმოვნების ვარიაციების შესახებ (ნამყოში: -ა-ნა || -უ-ნა, ნამყოს აბსოლუტივში: -უ-ნ || -ო-ნ) (იხ. §§ 157, 158).

B) მეორე უღვლილება (-ნე დაბოლოებით ინფინიტივიში)

a) პირველი ქვეტიპი (-ი- თემატური ხმოვნით ინფინიტივში)

ინფინიტივი	-ი-ნე
აწმყო	-უ-ნა
მყოფადი	-ი-ნა
ნამყო	-ა-ნა
აბსოლუტივი ნამყო	-უ-ნ

ინფ. ბუკ-ი-ნე „ყოფნა“ — აწმ. ბუკ-უ-ნა, მყოფ. ბუკ-ი-ნა, ნამ. ბუკ-ა-ნა,
აბსოლუტ. ნამ. ბუკ-უ-ნ;

ინფ. ბაჭ-ი-ნე „მოსვლა“ — აწმ. ბაჭ-უ-ნა, მყოფ. ბაჭ-ი-ნა, ნამ. ბაჭ-ა-ნა,
აბსოლუტ. ნამ. ბაჭ-უ-ნ;

ინფ. ბახ-ი-ნე „ასვლა“ — აწმ. ბახ-უ-ნა, მყოფ. ბახ-ი-ნა, ნამ. ბახ-ა-ნა,
აბსოლუტ. ნამ. ბახ-უ-ნ;

ინფ. ლ'უჰ-ი-ნე „შესვლა“ — აწმ. ლ'უჰ-უ-ნა, მყოფ. ლ'უჰ-ი-ნა, ნამ. ლ'უჰ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ლ'უჰ-უ-ნე;

ინფ. ბუსა-ი-ნე „დაბრუნება“ — აწმ. ბუსა-უ-ნა, მყოფ. ბუსა-ი-ნა, ნამ. ბუსა-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბუსა-უ-ნე;

ინფ. რეტ-ი-ნე „ჩაცმა“ — აწმ. რეტ-უ-ნა, მყოფ. რეტ-ი-ნა, ნამ. რეტ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. რეტ-უ-ნე;

ინფ. ბორჟ-ი-ნე „ფრენა“ — აწმ. ბორჟ-უ-ნა, მყოფ. ბორჟ-ი-ნა, ნამ. ბორჟ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბორჟ-უ-ნე;

ინფ. ბელ'-ი-ნე „ხარშვა“ — აწმ. ბელ'-უ-ნა, მყოფ. ბელ'-ი-ნა, ნამ. ბელ'-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბელ'-უ-ნე;

ინფ. ბუკა-ი-ნე „დაჭმუჭვნა“; „ჭმუხვნა“ — აწმ. ბუკა-უ-ნა, მყოფ. ბუკა-ი-ნა, ნამ. ბუკა-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბუკა-უ-ნე;

ინფ. ბიც-ი-ნე „მბობა“ (უამბობს) — აწმ. ბიც-უ-ნა, მყოფ. ბიც-ი-ნა, ნამ. ბიც-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბიც-უ-ნე;

ინფ. ტერხ'-ი-ნე „დამალვა“ — აწმ. ტერხ'-უ-ნა, მყოფ. ტერხ'-ი-ნა, ნამ. ტერხ'-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ტერხ'-უ-ნე;

ინფ. ბაჯ-ი-ნე „ადგომა“ — აწმ. ბაჯ-უ-ნა, მყოფ. ბაჯ-ი-ნა, ნამ. ბაჯ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბაჯ-უ-ნე;

ინფ. ხა-ი-ნე „დაფქვა“ — აწმ. ხა-უ-ნა, მყოფ. ხა-ი-ნა, ნამ. ხა-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ხა-უ-ნე;

ინფ. ყ-ი-ნე „დამარცხება“ — აწმ. ყ-უ-ნა, მყოფ. ყ-ი-ნა, ნამ. ყ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ყ-უ-ნე;

ინფ. ქვ-ი-ნე „შეჭმა“ — აწმ. ქ-უ-ნა (ქვ-უ-ნა), მყოფ. ქვ-ი-ნა, ნამ. ქვ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ქ-უ-ნ (ქვ-უნ);

ინფ. საფ-ი-ნე „ჩაქრობა“ — აწმ. სა-უ-ნა (საფ-უ-ნა), მყოფ. საფ-ი-ნა, ნამ. საფ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. საუნ საფ-უ-ნ)...

b) მეორე ქვეტიპი (-ე- თემატური ხმოვნით ინფინიტივში)

ინფინიტივი	-ე-ნე
აწმყო	-ო-ნა
მყოფადი	-ე-ნა
ნამყო	-ა-ნა
აბსოლუტივი ნამ.	-ო-ნ

ინფ. კოჩ-ე-ნე „დავიწყება“ — აწმ. კოჩ-ო-ნა, მყოფ. კოჩ-ე-ნა, ნამ. კოჩ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. კოჩ-ო-ნ;

ინფ. რელ'ა-ე-ნე „მსგავსება“ (ჭგავს) — აწმ. რელ'ა-ო-ნა, მყოფ. რელ'ა-ე-ნა, ნამ. რელ'ა-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. რელ'ა-ო-ნ.

2) ბოლოხმოვნის ფუძეები

ბოლოხმოვნიან ფუძეებს იგივე დაბოლოებები დაერთვის, რაც ბოლოთანხმოვნიანებს — პირველი ტიპის უღვლილების ზმნებში. მასთან, რაკი თემატური ხმოვნები ბოლოხმოვნიან ფუძეებთან ჩვეულებრივ გვაკლია, უღვლილების ქვეტიბებიც (თემატური ხმოვნების მიხედვით) აქ აღარ გაირჩევა.

ბოლოხმოვნიანი ფუძეები შეიძლება დავაჯგუფოთ იმის მიხედვით, თუ რა ხმოვანი გვაქვს ფუძის ბოლოკიდურად.

ფუძის ბოლოკიდურ ხმოვნებად შეიძლება გვქონდეს: ა (ყველაზე ხშირად), უ, ო. არა ჩანს ი და ე. ამის მიზეზი უნდა იყოს ფუძისეული ბოლოკიდური ი და ე ხმოვანთა აღრევა ფორმანტისეულ თავკიდურ (ანუ თემატურ) ი და ე ხმოვნებში (მეტაანალიზის შედეგად)¹. ანალოგიური პროცესი შეიმჩნევა ო-ზე დაბოლოებულ ფუძიან ზმნებშიც (იხ. ქვემოთ).

ა ბოლოხმოვნიანი ფუძეები:

ინფინიტივი	(ა)-ზე ²
აწმყო	(ა)-ლა
მყოფადი	(ა)-ლა
ნამყო	(ა)-ნა
აბსოლუტივი ნამ.	(ა)-ნ

ინფ. ლა-ზე „ცოდნა“ — აწმ. ლა-ლა, მყოფ. ლა-ლა, ნამ. ლა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ლა-ნ;

ინფ. ბა-ზე „ცვენა“, „ყრა“ — აწმ. ბა-ლა, მყოფ. ბა-ლა, ნამ. ბა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბა-ნ;

ინფ. ხა-ზე „თესვა“ — აწმ. ხა-ლა, მყოფ. ხა-ლა, ნამ. ხა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ხა-ნ;

ინფ. წა-ზე „წევა“ — აწმ. წა-ლა, მყოფ. წა-ლა, ნამ. წა-ნა, აბსოლუტ. ნამ. წა-ნ;

ინფ. ჰვა-ზე „მოკვლა“ — აწმ. ჰვა-ლა, მყოფ. ჰვა-ლა, ნამ. ჰვა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ჰვა-ნ;

ინფ. ვვა-ზე „წერა“ — აწმ. ვვა-ლა, მყოფ. ვვა-ლა, ნამ. ვვა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ვვა-ნ;

¹ შდრ. ქართულში სახელის ფუძის ბოლოკიდურად ი ხმოვნის არქონა, რაც შედეგია ფუძისეული ბოლოკიდური ი ხმოვნის აღრევისა სახელობითის -ი ნიშანში (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. 1953, გვ. 67; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. გვ. 3-5).

² ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი — აქაც და ქვემოთაც — ჩასმულია ფრჩხილებში.

ინფ. კვა-ზე „პარსვა“ — აწმ. კვა-ლა, მყოფ. კვა-ლა, ნამ. კვა-ნა, აბსოლუტ. ნამ. კვა-ნ;

ინფ. ქვანა-ზე „ჭამა“ — აწმ. ქვანა-ლა, მყოფ. ქვანა-ლა, ნამ. ქვანა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ქვანა-ნ;

ინფ. კალ'ა-ზე „ლაპარაკი“ — აწმ. კალ'ა-ლა, მყოფ. კალ'ა-ლა, ნამ. კალ'ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. კალ'ა-ნ;

ინფ. ქვაჩა-ზე „გაცევა“ — აწმ. ქვაჩა-ლა, მყოფ. ქვაჩა-ლა, ნამ. ქვაჩა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ქვაჩა-ნ;

ინფ. ტეპა-ზე „ყვევა“ — აწმ. ტეპა-ლა, მყოფ. ტეპა-ლა, ნამ. ტეპა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ტეპა-ნ;

ინფ. ლ'ალ'ა-ზე „მორწყვა“ — აწმ. ლ'ალ'ა-ლა, მყოფ. ლ'ალ'ა-ლა, ნამ. ლ'ალ'ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ლ'ალ'ა-ნ;

ინფ. ღუღა-ზე „ქუხილი“ — აწმ. ღუღა-ლა, მყოფ. ღუღა-ლა, ნამ. ღუღა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ღუღა-ნ;

ინფ. ბეჩა-ზე „გაშვება“ — აწმ. ბეჩა-ლა, მყოფ. ბეჩა-ლა, ნამ. ბეჩა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბეჩა-ნ;

ინფ. ყაჭა-ზე „მომზადება“; „მორთვა“ — აწმ. ყაჭა-ლა, მყოფ. ყაჭა-ლა, ნამ. ყაჭა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ყაჭა-ნ...

ა ბოლოხმოვნისანი ფუძეები:

ინფინიტივი	(ო)-ზე
აწმყო	(ო)-ლა
მყოფადი	(ო)-ლა (-ე-ლა)
ნამყო	(ო)-ნა (-ა-ნა)
აბსოლუტივი ნამ.	(ო)-ნ

ინფ. წაორო-ზე „გაყინვა“ — აწმ. წაორო-ლა, მყოფ. წაორო-ლა, ნამ. წაორო-ნა, აბსოლუტ. ნამ. წაორო-ნ;

ინფ. ტოლო-ზე „შეკაზმვა“ — აწმ. ტოლო-ლა, მყოფ. ტოლო-ლა, ნამ. ტოლო-ნა, აბსოლუტ. ნამ. ტოლო-ნ;

ინფ. თოლო-ზე „გახდა“ — აწმ. თოლო-ლა, მყოფ. თოლო-ლა, ნამ. თოლო-ნა, აბსოლუტ. ნამ. თოლო-ნ;

ინფ. ჰორო-ზე „გასივება“ — აწმ. ჰორო-ლა, მყოფ. ჰორო-ლა, ნამ. ჰორო-ნა, აბსოლუტ. ნამ. ჰორო-ნ;

ინფ. ხოხო-ზე „დაძველება“, „გაცვეთა“ — აწმ. ხოხო-ლა, მყოფ. ხოხო-ლა, ნამ. ხოხო-ნა, აბსოლუტ. ნამ. ხოხო-ნ;

ინფ. სორო-ზე „კანკალი“, „ცახცახი“ — აწმ. სორო-ლა, მყოფ. სორო-ლა, ნამ. სორო-ნა, აბსოლუტ. ნამ. სორო-ნ...

შენიშვნა 1. მყოფადსა და ნამყოში ფუძის ბოლოკიდური **ო** ხმოვნის ნაცვლად პარალელურად შეიძლება გვქონდეს შესაბამისი თემატური ხმოვნები (მყოფადში — **ე**, ნამყოში — **ა**): *მყოფ.* ტოლო**ლ**-ლა || ტოლო**ე**-ლა „შეკაზმავს“, წორო**ლ**-ლა || წორო**ე**-ლა „გაყინავს“, „გაიყინება“, ჰორო**ლ**-ლა || ჰორო**ე**-ლა „გასივდება“... ნამყო: ტოლო**ლ**-ნა || ტოლო**ა**-ნა „შეკაზმა“, წორო**ლ**-ნა || წორო**ა**-ნა „გაყინა“, „გაიყინა“, ჰორო**ლ**-ნა || ჰორო**ა**-ნა „გასივდა“... პ. უსლარს ნამყოში ორივე ვარიანტი მოჰყავს, მყოფადში კი მხოლოდ ერთი ვარიანტი (თემატური ხმოვნით: ტოლო**ე**-ლა და ა. შ.)¹, მ. საიდოვის სასკოლო გრამატიკაში მყოფადშიცა და ნამყოშიც მოყვანილია ათემატური ვარიანტები (ტოლო**ლ**-ლა... ტოლო**ო**-ნა...)²: სამწერლო ხუნძურში ეს ვარიანტებია უპირატესად ხმარებული.

ფუძის ბოლოკიდური **ო** ხმოვნის თემატური ხმოვნით შენაცვლების ზემოაღნიშნული მაგალითები (მყოფადსა და ნამყოში) ანალოგიით უნდა აიხსნას: ასეთ შემთხვევებში, ჩანს, ფუძისეული ხმოვანი გაიგება (მეტანალიზის შედეგად) როგორც გარკვეული ნაკვთის, კერძოდ, აწმყოს, თემატური ხმოვანი (შდრ. **ო**- აწმყოს თემატურ ხმოვნად: ჰეყ**ო**-ლა „სვამს“...) და ამიტომ მას სხვა ნაკვთებში ენაცვლება შესაბამისი თემატური ხმოვნები (შდრ.: ჰეყ**ო**-ლა „სვამს“, ჰეყ**ე**-ლა „შესვამს“, ჰეყ**ა**-ნა „შესვა“... და ამის ანალოგიით: ტოლო**ლ**-ლა „კაზმავს“, ტოლო**ე**-ლა (|| ტოლო**ლ**-ლა) „შეკაზმავს“, ტოლო**ა**-ნა (|| ტოლო**ლ**-ნა) „შეკაზმა“... ჰეყო**ლ**ა-ში **ო**- თემატური ხმოვანია, ხოლო ტოლო**ლ**ლა-ში — ფუძისეული, მაგრამ გაგებულა თემატურ ხმოვნად (პირველის ანალოგიით)³.

შენიშვნა 2. **ო** ხმოვნით დაბოლოებული ფუძის მქონე რიგი ზმნა ნასახელარია; მასთან, ბოლოკიდური **ო** ხმოვანიც ამოსავალი სახელის კუთვნილება ჩანს (კერძოდ, ის ხმოვანი, რომელიც სახელის ფუძეს დამაკავშირებელ ხმოვნად დაერთვის „ირიბ ბრუნვებში“); შდრ.:⁴ ტოლო**ლ**-ზე „შეკაზმვა (ცხენისა)“ (ტოილი „უნაგირი“, ნათ. ტოლო**ლ**-ლ), წორო**ო**-ზე „გაყინვა“ (წაერ „ყინული“, ნათ. წორო**ო**-ლ),

¹ გვ. 192.

² გვ. 120, 121.

³ შდრ. ქართულში სახელის ფუძისეული ბოლოკიდური **ო** ხმოვნის სახელობითის ნიშნად გაგების მაგალითები (აკაკი — აკაკ-მა...).

⁴ ცალკეული მაგალითები აღნიშნული აქვთ ა. შიფნერსა (Versuch, § 94) და პ. უსლარს (.).

ჰორო-ზე „გასივება“, „ამობურცვა“, „ამობერვა“ (ჰური „ქარი“, ნათ. ჰორ-ო-ლ), სორო-ზე „კანკალი“, „ცახცახი“ (სირი „ციება“, „ციებ-ცხელება“ ნათ. სორ-ო-ლ), თოლო-ზე „გახდა ტანსაცმლისა“ (თალა(?) „ძარცვა“, ნათ. თოლ-ო-ლ)...

უ ბოლოხმოვნისანი ფუძეები:

ინფინიტივი	(უ)-ზე
აწმყო	(უ)-ლა
მყოფადი	(უ)-ლა
ნამყო	(უ)-ნა
აბსოლუტივი ნამ.	(უ)-ნ

ინფ. ფუ-ზე „ბერვა“ — აწმ. ფუ-ლა, მყოფ. ფუ-ლა, ნამ. ფუ-ნა, აბსოლუტ. ნამ. ფუ-ნ;

ინფ. თუ-ზე „ფურთხება“ — აწმ. თუ-ლა, მყოფ. თუ-ლა, ნამ. თუ-ნა, აბსოლუტ. ნამ. თუ-ნ;

ინფ. წუ-ზე „წურვა“ — აწმ. წუ-ლა, მყოფ. წუ-ლა, ნამ. წუ-ნა, აბსოლუტ. ნამ. წუ-ნ;

ინფ. ხუ-ზე „ხგრება“ — აწმ. ხუ-ლა, მყოფ. ხუ-ლა, ნამ. ხუ-ნა, აბსოლუტ. ნამ. ხუ-ნ,

ინფ. ჩუ-ზე „დასველება“ — აწმ. ჩუ-ლა, მყოფ. ჩუ-ლა, ნამ. ჩუ-ნა, აბსოლუტ. ნამ. ჩუ-ნ;

ინფ. სუ-ზე „დაჭრა“ () — აწმ. სუ-ლა, მყოფ. სუ-ლა, ნამ. სუ-ნა, აბსოლუტ. ნამ. სუ-ნ...

შენიშვნა. ინფინიტივსა და მყოფადში ფუძესა და დაბოლოებას შორის პარალელურად შეიძლება გვქონდეს -**ფ**-. ინფ. ფუ-ზე || ფუ-**ფ**-ზე „ბერვა“ — მყოფ. ფუ-ლა || ფუ-**ფ**-ლა; ინფ. თუ-ზე || თუ-**ფ**-ზე „ფურთხება“ — მყოფ. თუ-ლა || თუ-**ფ**-ლა; ინფ. წუ-ზე || წუ-**ფ**-ზე „წურვა“ — მყოფ. წუ-ლა || წუ-**ფ**-ლა და ა. შ. ამ პარალელურად შესაძლო ვარიანტებიდან პ. უსლარს მოჰყავს მეორე ვარიანტები (ფუ-**ფ**-ზე... ფუ-**ფ**-ლა...)¹, მ. საიდოვს — პირველი ვარიანტები (ფუ-ზე... ფუ-ლა)²: ამჟამად სამწერლო ხუნძურში ეს ვარიანტებია უპირატესად ხმარებული.

¹ გვ.193, §166.

² I. გვ. 120, 139.

ზემოაღნიშნულ მაგალითებში -**მ**- დასუსტებული თემატური **ი** ხმოვანია (ინფინიტივისა და მყოფადისა). ეს მაგალითები კარგად გვითვალისწინებს თემატური ხმოვნის დასუსტება-დაკარგვის საფეხურებს ბოლოხმოვნიან ფუძესთან: ფუ-ზე || ფუ-**მ**-ზე (ფუ-**ი**-ზე) „ბერვა“... ფუ-ლა || ფუ-**მ**-ლა (ფუ-**ი**-ლა) „შეუბერავს“.

ცხრილები

ქვემოთ მოგვყავს ცხრილები მარტივ ძირითად ნაკვთთა ა) და ბოლო-ებათა, ბ) თემატური ხმოვნებისა და გ) საწარმოებელი სრული ფორმანტებისა (დაბოლოებებითა და თემატური ხმოვნებით) ფუძეებისა და უღვლილების ტიპებისა და ქვეტიპების მიხედვით.

ა) დაბოლოებები

	I	II
ინფინიტივი	-ზე	-ნე
აწმყო	-ლა	-ნა
მყოფადი	-ლა	-ნა
ნამყო	-ნა	
აბსოლუტივი ნამ.	-ნ	

ბ) თემატური ხმოვნები

	1	2
ინფინიტივი	-ი	-ე-
აწმყო	-უ-	-ო-
მყოფადი	-ი-	-ე-
ნამყო	-ა- (-უ-)	-ა- (-უ-)
აბსოლუტივი ნამ.	-უ-	-უ- (-ო-)

გ) საწარმოებელი ფორმატები (დაბლოებებითა და თემატური ხმოვნებით) ფუძეებისა და უღვლილების ტიპებისა და ქვეტიპების¹ მიხედვით

	ბოლოთანხმოვნიანი ფუძეები				ბოლოხმოვნიანი ფუძეები
	I		II		
	1	2	1	2	
ინფინიტივი	-ი-ზე	-ე-ზე	-ი-ნე	-ე-ნე	-ზე
აწმყო	-უ-ლა	-ო-ლა	-უ-ნა	-ო-ნა	-ლა
მყოფადი	-ი-ლა	-ე-ლა	-ი-ნა	-ე-ნა	-ლა
ნამყო	-ა-ნა (-უ-ნა)	-ა-ნა (-უ-ნა)	-ა-ნა	-ა-ნა	-ნა
აბსოლუტ. ნამ.	-უ-ნ	-უ-ნ -ო-ნ	-უ-ნ	-ო-ნ	-ნ

§ 161. მახვილისათვის უღვლილების პროცესში.

უღვლილების პროცესში მახვილის ადგილი უცვლელია (მუდმივია): იგი რჩება სათანადო მარცვალზე (თავიდან პირველზე ან მეორეზე) პარადიგმის ერთეულებში (როგორც სხვადასხვა ნაკვეთა ფორმებში, ისე სათანადო ნაკვეთის შიგნით სხვადასხვა კლასისა და რიცხვის ფორმებში). რა მარცვალზეცაა მახვილი ინფინიტივის ფორმაში, იმავეზე რჩება დანარჩენ ფორმებშიც; შდრ.:

ინფ. ყრტ-ი-ზე „ჭრა“ — აწმ. ყრტ-უ-ლა, მყოფ. ყრტ-ი-ლა, ნამ. ყრტ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ყრტ-უ-ნ, ბრძანებ. ყრტ-ე;

ინფ. ბაქ-ი-ზე „დანთება“ — აწმ. ბაქ-უ-ლა, მყოფ. ბაქ-ი-ლა, ნამ. ბაქ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბაქ-უ-ნ, ბრძანებ. ბაქ-ე;

ინფ. ბაჭ-ინე „მოსვლა“ — აწმ. ბაჭ-უ-ნა, მყოფ. ბაჭ-ი-ნა, ნამ. ბაჭ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბაჭ-უ-ნ, ბრძანებ. ბაჭ-ა;

ინფ. ბაკრ-ი-ზე „შეგროვება“ — აწმ. ბაკრ-უ-ლა, მყოფ. ბაკრ-ი-ლა, ნამ. ბაკრ-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ბაკრ-უ-ნ, ბრძანებ. ბაკრ-ე;

ინფ. ქვან-ზე „ჭამა“ — აწმ. ქვან-ლა, მყოფ. ქვან-ლა, ნამ. ქვან-ნა, აბსოლუტ. ნამ. ქვან-ნ, ბრძანებ. ქვან-ე;

¹ ცხრილში უღვლილების ტიპები (დაბლოებათა მიხედვით) აღნიშნულია რომაული ციფრებით, ქვეტიპები (თემატური ხმოვნების მიხედვით) — არაბული ციფრებით.

ინფ. თ-ქ-ზე „დატოვება“ — *აწმ.* თ-რ-ლა, *მყოფ.* თ-ქ-ლა, *ნამ.* თ-ან-ა, *აბსოლუტ.* *ნამ.* თ-უ-ნ, *ბრძანებ.* თ-ე;

ინფ. ჰეყ-ქ-ზე „დაღევა“, „სმა“ — *აწმ.* ჰეყ-რ-ლა, *მყოფ.* ჰეყ-ქ-ლა, *ნამ.* ჰეყ-ან-ა, *აბსოლუტ.* *ნამ.* ჰეყ-რ-ნ, *ბრძანებ.* ჰეყ-ქ;

ინფ. ლ'ედ-ქ-ზე „ცურვა“ — *აწმ.* ლ'ედ-რ-ლა, *მყოფ.* ლ'ედ-ქ-ლა, *ნამ.* ლ'ედ-ან-ა, *აბსოლუტ.* *ნამ.* ლ'ედ-რ-ნ; *ბრძანებ.* ლ'ედ-ქ;

ინფ. კოჩ-ქ-ზე „დავიწყება“ — *აწმ.* კოჩ-რ-ნა, *მყოფ.* კოჩ-ქ-ნა, *ნამ.* კოჩ-ან-ა, *აბსოლუტ.* *ნამ.* კოჩ-რ-ნ, *ბრძანებ.* კოჩ-ან;

ინფ. ქვ-რ-ზე „შეჭმა“ — *აწმ.* ქ-უ-ნა (ქვ-უ-ნა), *მყოფ.* ქვ-რ-ნა, *ნამ.* ქვ-ან-ა, *აბსოლუტ.* *ნამ.* ქ-უ-ნ (ქვ-უ-ნ), *ბრძანებ.* ქვ-ან;

ინფ. სავ-რ-ზე „ჩაქრობა“ — *აწმ.* სავ-უ-ნა (სავ-უ-ნა), *მყოფ.* სავ-რ-ნა, *ნამ.* სავ-ან-ა, *აბსოლუტ.* *ნამ.* სავ-უ-ნ (სავ-უ-ნ), *ბრძანებ.* სავ-ან;

ინფ. ჰაბ-რ-ზე „კეთება“ — *აწმ.* ჰაბ-უ-ლა, *მყოფ.* ჰაბ-რ-ლა, *ნამ.* ჰაბ-უ-ნა, *აბსოლუტ.* *ნამ.* ჰაბ-უ-ნ, *ბრძანებ.* ჰაბ-ქ...

როგორც აქ მოყვანილი ტიპობრივი მაგალითებიდან ჩანს, ზმნის ფორმებში მახვილი შეიძლება გვექონდეს ფუძისეულ ან თემატურ ხმოვანზე (ორსავე შემთხვევაში თავიდან პირველ ან მეორე მარცვალზე), მაგრამ იგი არასდროს არა გვაქვს დაბოლოებაზე (დაბოლოება ყველა უმახვილოა იმისდა მიუხედავად, თუ მერამდენე მარცვალს შეადგენს იგი სათანადო ფორმებში). მასთან, ირკვევა, რომ ისეთ ზმნებში, რომელთაც ინფინიტივში აქვთ **ე** თემატური ხმოვანი, მახვილი, როგორც წესი, თემატურ ხმოვანზეა (როგორც ინფინიტივში, ისე დანარჩენ ფორმებში — შესაბამის თემატურ ხმოვანზე) და არა ფუძისეულ ხმოვანზე; ხოლო ინფინიტივში **-ი**-თემატურ ხმოვანიან ზმნებს მახვილი შეიძლება ჰქონდეს როგორც ფუძისეულს, ისე თემატურ ხმოვანზე (იხ. ზემოთ მოყვანილი მაგალითები).

§ 162. ზმნის ძირითად ფორმათა წარმოების თავისებურებანი დიალექტებში. ზმნის უღვლილება გრამატიკული კლასებისა და რიცხვის მიხედვით ხუნძურ დიალექტებში არსებითი ხასიათის თავისებურებებს არ ამჟღავნებს. ერთად-ერთ განსხვავებას, როგორც ვნახეთ, ჭარული კილო ადასტურებს: აქ ზმნა სათანადო ნაკვთში პირთა მიხედვითაც იცვლება (§ 141).

მაგრამ თვით საუღვლებელ ერთეულთა (ნაკვთთა) წარმოების მხრივ ხუნძურ დიალექტებში თვალსაჩინო თავისებურებებს ვპოვებთ. აღვთსხავთ ძირითად თავისებურებებს.

1) ინფინიტივის დიალექტური ვარიაციები

ა) **-ზი** დაბოლოება ანწუხურსა და ჭარულში

ანწუხურმა და ჭარულმა ინფინიტივის ერთად-ერთი დაბოლოება იცის: **-ზი**. ეს **-ზი**, ცხადია, იგივე **-ზე** არის, რაც ჩრდ.-ხუნძურსა და სამწერლო ხუნძურში ინფინიტივის ერთ-ერთი დაბოლოებაა. **-ზე -ზი** აიხსნება ფონეტიკურ ნიადაგზე (სიტყვის ბოლოს ხმოვნის დავიწროებით, რაც საერთოდ ახასიათებს აღნიშნულ დიალექტებს — § 22).

ისეთ შემთხვევებშიც, როცა ჩრდ.-ხუნძურსა და სამწერლო ენაში **-ნე** დაბოლოება გვაქვს, ანწუხურსა და ჭარულში **-ზი** დაბოლოებაა, ოღონდ ამ **-ზი** დაბოლოების წინ ზოგჯერ **-ნე** დაბოლოების კვალიც იგრძნობა (**-ნ-ს** სახით: **-ნ-ზი**); შდრ. სენ-ზი: ჩრდ. ხუნძ. სავ-ი-ნე) „ჩაქრობა“, ქინ-ზი ჩრდ.-ხუნძ. ქვ-ი-ნე) „შეჭმა“, რეკენ-ზი, ჭარ. რიკინ-ზი (ჩრდ.-ხუნძ. რეკ-ი-ნე) „შეჯდომა“ (ცხენზე და მისთ.)...

-ზი დაბოლოების წინ ანწუხურსა და ჭარულში ყოველთვის გვაკლია (ჩავარდნილია) თემატური **-ი-** ხმოვანი, რომელიც თანხმოვანზე გათავებულ ფუძეებთან გვაქვს ჩრდ.-ხუნძურში: ბაქ-ზი (ჩრდ.-ხუნძ. ბაქ-ი-ზე) „დანთება“, აჭ-ზი (ჩრდ.-ხუნძ. აჭ-ი-ზე) „ყვირილი“, ყუტ-ზი (ჩრდ.-ხუნძ. ყუტ-ი-ზე) „ჭრა“... მაგრამ დაბოლოების წინამავალი **-ე-** თემატური ხმოვანი (მუდამ მახვილიანი) — დაცულია: ტე-ე-ზე, ჭარ. კაკე-ე-ზი (ჩრდ.-ხუნძ. ტე-ე-ზი) „მიცემა“, თ-ე-ზი (ჩრდ.-ხუნძ. თ-ე-ზე) „დატოვება“...

ბ) **-დე** დაბოლოება ანდალალურში

ანდალალურშიც (ჭოხის, ქუდალიბის, სოღრათლის, მანას-აულის... მეტყვ.) ინფინიტივს ერთი დაბოლოება აქვს, მაგრამ არა **-ზე** (ან **-ზი**), არამედ **-დე**¹: ჰარ-დე „თქმა“, ბაქ-დე „დანთება“, ტე-ე-დე „მიცემა“, ბაჩ-დე „მოყვანა“, ბახ-დე (ბაჯ-დე — 51) „ადგომა“, ქვენ-დე „ჭამა“... როგორც მაგალითებიდან ჩანს, ანდალალურშიც (ისევე, როგორც ანწუხურსა და ჭარულში) ინფინიტივის დაბოლოების წინ **-ი-** თემატური ხმოვანი დაკარგულია (ბაქ-დე ბაქ-ი-დე [შდრ. ჩრდ.-ხუნძ. ბაქ-ი-ზე] „დანთება“ და ა. შ.), **-ე-** თემატური ხმოვანი კი აქაც დაცულია (ტე-ე-დე „მიცემა“...).

ანდალალურის **-დე** დაბოლოებასთან გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს **-ზე** (**-ზი**) დაბოლოებას ჩრდ.-ხუნძურისა (და სამწერლო ხუნძურისა), ანწუხურისა, ჭარულისა. ეს კავშირი ასე წარმოიდგინება:

¹ ეს დაბოლოება, აღქმული **-დი-**ს სახით, ჭოხურში დადასტურებული აქვს ნ. მარს (. . . , . . . , 1917, 5, გვ. 21).

-დე **-*ძე** **-ზე** (**|| -ზი**)

-ე (**|| -ი**) ხმოვნის წინ **ღ** თანხმოვანი გააფრიატების შედეგად (პალატალიზაციის გზით) მოგვცემდა **ძ**-ს (ქართულში ამგვარი პროცესის ილუსტრაციაა: **დევს ძევს...**), მაგრამ რაკი **ძ** აფრიატი ხუნძურმა დაკარგა, ამ უკანასკნელთან შენაცვლებით მივიღეთ სპირანტი **ზ**¹.

გ) **-ლე** დაბოლოება ჰიდურსა და ყარახულში

ჰიდურსა და ყარახულის ზოგ თქმაში (კერძოდ, აულ ჭუნტიბის მეტყვე.) ინფინიტივს დაბოლოებად აქვს **-ლე**: ბაქ-ლე „დანთება“, ყოტ-ლე „ჭრა“, ჰალტ-ლე „მუშაობა“, ჰა-ლე (**ლ**-ლე — § 45) „ცოდნა“, ბოკ-ლე (ყარახ.) „ყოფნა“...

ჰიდურში **-ლე** დაბოლოებასთან ერთად **-ნე** დაბოლოებაც შეიმჩნევა (იშვიათად): ბუშ-ნე (**||** ბუშ-ლე) „ყოფნა“, რეკ-ე-ნე „მეჯდომა“ (ცხენზე და მისთ.)...

-ლე დაბოლოების წინ ჰიდურშიცა და ყარახულშიც ისევე გვაკლია (ჩავარდნილია) თემატური **-ი**- ხმოვანი, როგორც ანწუხურისა და ჰარულის **-ზი** დაბოლოებისა და ანდალალურის **-დე** დაბოლოების წინ. **-ე**- თემატური ხმოვანი კი სათანადო შემთხვევებში აქაც დაცულია (ტე-ე-ლე „მიცემა“, ჰე-ე-ლე „მოკვდომა“...).

ამრიგად, ინფინიტივის დაბოლოებებად ხუნძურ დიალექტებში გვაქვს:

-ზე (**|| -ზი**), **-ნე**, **-დე**, **-ლე**

ამათგან **-ზე** (**-ზი**), როგორც ზემოთ ვნახეთ, **-დე**-ს ფონეტიკური ვარიანტია. ამის მხედველობაში მიღებით გვრჩება სამი ვარიანტი:

-დე (**-ზე** **|| -ზი**), **-ნე**, **-ლე**

აქედან **-დე** და **-ლე** უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც სხვადასხვა დიალექტური ვარიანტები, ხოლო **-ნე** სათანადო დიალექტში შეიძლება თანაარსებობდეს ერთ-ერთ მეორე ვარიანტთან (შდრ. სხვადასხვა ზმნებში: *ჩრდ.-ხუნდ.*: **-ზე** [**-დე**] და **-ნე**, *ჰიდურში*: **-ლე** და **-ნე**).

2) **აწმყოს (აწმყო ზოგადის) წარმოების თავისებურებანი**. ჩრდ.-ხუნძურსა და სამწერლო ხუნძურში მარტივ აწმყოს (ანუ აწმყო ზოგადს), როგორც ვნახეთ (§ 154), ორი დაბოლოება შეიძლება ჰქონდეს (სხვადასხვა ზმნებში): **-ლა** (უფრო ხშირად) და **-ნა** (შედარებით იშვიათად).

¹ არნ. ჩიქობავა, ინფინიტივის დიალექტური ვარიაციები ხუნძურში. ენიმკი-ს მოამბე, I, 1937.

სამხრ.-ხუნძურში განსხვავება ზმნათა შორის აწმყოს დაბოლოების მიხედვით არ დასტურდება: აქ სათანადო კილოსა თუ თქმაში ყველა ზმნას აწმყოში ერთი დაბოლოება აქვს. განსხვავება თავს იჩენს კილო-თქმებს შორის.

ა) **-ნა** დაბოლოება ჰიდურსა, ყარახულსა, ანწუხურსა და ჭარულში

სამხრ.-ხუნძურის კილო-თქმათა უმრავლესობა, — კერძოდ, ჰიდური, ყარახული, ანწუხური, ჭარული, — მარტივი აწმყოსათვის იყენებს **-ნა** დაბოლოებას (ჩრდ.-ხუნძურის **-ლა** და **-ნა** დაბოლოებათა ნაცვლად); შდრ.:

ჩრდ.-ხუნძ. ჰალტ-უ-ლა — *ყარახ.* ჰალტ-ა-ნა, *ჰიდ.* ჰალტ-ი-ნა, *ანწუხ.* ჰალტ-ი-ნა, *ჭარ.* ჰალტ-ნა- „მუშაობს“;

ჩრდ.-ხუნძ. ბეტე-უ-ლა — *ყარახ.* ბეტე-ა-ნა, *ჰიდ.* ბეტე-ი-ნა, *ანწუხ.* ბეტე-ი-ნა, *ჭარ.* ბეკად-ნა „ხნავს“;

ჩრდ.-ხუნძ. ბექერ-უ-ლა — *ყარახ.* ბექერ-ა-ნა, *ჰიდ.* ბექერ-ი-ნა, *ანწუხ.* ბექერ-ი-ნა, *ჭარ.* ბექერ-ნა „რბის“;

ჩრდ.-ხუნძ. ბაქ-უ-ლა — *ყარახ.* ბაქ-ა-ნა, *ჰიდ.* ბაქ-ი-ნა, *ანწუხ.* ბაქ-ი-ნა, *ჭარ.* ბაქ-ნა „ანთებს“;

ჩრდ.-ხუნძ. ჩურ-უ-ლა — *ყარახ.* ჩურ-ა-ნა, *ჰიდ.* ჩურ-ი-ნა, *ანწუხ.* ჩურ-ი-ნა, *ჭარ.* ჩურ-ნა „ბანს“, „რეცხავს“;

ჩრდ.-ხუნძ. ყოტ-უ-ლა — *ყარახ.* ყოტ-ა-ნა, *ჰიდ.* ყოტ-ი-ნა, *ანწუხ.* ყუტ-ი-ნა, *ჭარ.* ყუტ-ნა „ჭრის“;

ჩრდ.-ხუნძ. ბიტე-უ-ლა — *ყარახ.* ბიტე-ა-ნა, *ჰიდ.* ბიტე-ი-ნა, *ანწუხ.* ბიტე-ი-ნა, *ჭარ.* ბიკად-ნა „ყოფს“, „ანაწილებს“;

ჩრდ.-ხუნძ. ბეცალ-უ-ლა — *ყარახ.* ბეცალ-ა-ნა, *ჰიდ.* ბეცალ-ი-ნა, *ანწუხ.* ბეცოთ-ი-ნა, *ჭარ.* ბეცაჰ-ა-ნა „ბრმავდება“;

ჩრდ.-ხუნძ. შინყლ-უ-ლა — *ყარახ.* შინყლ-ა-ნა, *ჰიდ.* შინყლ-ი-ნა, *ანწუხ.* შინყთ-ი-ნა, *ჭარ.* შინყჰ-ა-ნა „ყრუვდება“;

ჩრდ.-ხუნძ. რეკ-უ-ნა — *ყარახ.* რიკ-ა-ნა, *ჰიდ.* რაკ-ა-ნა, *ანწუხ.* რეკ-ა-ნა, *ჭარ.* რეკ-ა-ნა „ჯდება“ (ცხენზე და მისთ);

ჩრდ.-ხუნძ. ლალ ტამ-უ-ლა — *ყარახ.* ლალ ტამ-ა-ნა, *ჰიდ.* ლალ ტამ-ი-ნა, *ანწუხ.* ლალ ტამ-ი-ნა (|| ბოყ-ი-ნა), *ჭარ.* ლალ ტამ-ნა „კალოს ლეწავს“;

ჩრდ.-ხუნძ. ბუკ-უ-ნა — *ყარახ.* ბოკ-ა-ნა, *ჰიდ.* ბაჰ-ა-ნა, *ანწუხ.* ბეჰ-ი-ნა, *ჭარ.* ბოყ-ა-ნა „არის [ხოლომე]“;

ჩრდ.-ხუნძ. ჰაბ-უ-ლა — *ყარახ.* ჰაბუ-ნა, *ჰიდ.* ჰუბუ-ნა, *ანწუხ.* ჰუბუ-ნა, *ჭარ.* ჰუბუ-ნა „აკეთებს“;

შენიშვნა. *ჩრდ.-ხუნდ.* ჰაბ-უ-ლა („აკეთებს“) ზმნის ფუძეა: ჰა-ბ- (-ბ- კლას-ნიშანია), რომელსაც აწმყოში ერთვის თემატური ხმოვანი **-უ-** და დაბოლოება **-ლა** (შდრ.: ჰაბ-იზე „აკეთება“, ჰაბ-უ-ლა „აკეთებს“, ჰაბ-ი-ლა „გააკეთებს“, ჰაბ-უ-ნა ჰაბ-ა-ნა „გააკეთა“...); სამხრ.-ხუნდურში ამ ზმნის ფუძე ბოლოხმოვანიანია (ათემატურია): **უ** (რომელიც ჩრდ.-ხუნდურში თემატური ხმოვანია) აქ ფუძესაა შემტკიცებული და უცვლელია ნაკვთთა მიხედვით.

ჩრდ.-ხუნდ. ჰეყ-ო-ლა — *ყარაბ.* ყ-ა-ნა, *ჰიდ.* ყ-ა-ნა, *ანწუბ.* ყ-ა-ნა, *ჭარ.* ყ-ა-ნა „სვამს“;

ჩრდ.-ხუნდ. ჰა-ო-ლა — *ყარაბ.* ჩა-ა-ნა, *ჰიდ.* ჰა-ა-ნა, *ანწუბ.* ჰა-ა-ნა, *ჭარ.* ჰა-ა-ნა „დგას“;

ჩრდ.-ხუნდ. ტა-ო-ლა — *ყარაბ.* ტა-უ-ნა, *ჰიდ.* ტა-უ-ნა, *ანწუბ.* ტა-უ-ნა, *ჭარ.* კდკდ-უ-ნა „აძლევს“;

ჩრდ.-ხუნდ. ლ'-ო-ლა — *ყარაბ.* ჰ-უ-ნა, *ჰიდ.* ლ'-უ-ნა, *ანწუბ.* თ-უ-ნა, *ჭარ.* ჰდ-უ-ნა „დებს“;

ჩრდ.-ხუნდ. თ-ო-ლა — *ყარაბ.* თ-ა-ნა, *ჰიდ.* თ-ა-ნა, *ანწუბ.* თ-ა-ნა, *ჭარ.* თ-ა-ნა „ტოვებს“;

ჩრდ.-ხუნდ. უ-ნა — *ყარაბ.* ო-ნა ვ-ა-ნა, *ჰიდ.* ა-ნა, *ანწუბ.* ტვ-ა-ნა, *ჭარ.* კვ-ა-ნა „მიდის“;

ჩრდ.-ხუნდ. ქა-ო-ლა — *ყარაბ.* ქა-უ-ნა, *ჰიდ.* ხ'-უ-ნა, *ანწუბ.* ხ'-უ-ნა, *ჭარ.* ხ'-უ-ნა „იჭერს“;

ჩრდ.-ხუნდ. ჰვა-ლა — *ყარაბ.* ჰვა-ნა, *ჰიდ.* ჰვა-ნა, *ანწუბ.* ჰვა-ნა, *ჭარ.* ჰა-ნა „კლავს“;

ჩრდ.-ხუნდ. წაორო-ლა — *ყარაბ.* ცაორო-ნა, *ჰიდ.* წაორო-ნა, *ანწუბ.* წაორო-ნა „ყინავს“;

ჩრდ.-ხუნდ. ლ'-ა-ლა — *ყარაბ.* ჰა-ნა, *ჰიდ.* ლ'-ა-ნა, *ანწუბ.* თა-ნა, *ჭარ.* ჰდა-ნა „იცის“.

ბ) **-მა** დაბოლოება ჭოხურში

ჭოხური ერთად-ერთი სამხრ.-ხუნდური თქმაა, რომელსაც აწმყოს დაბოლოებად **-მა** მოეპოვება (შდრ.: სამხ.-ხუნდურის სხვა კილო-თქმებში **-ნა** — იხ. ზემოთ): ჰალტ-ა-მა „მუშაობს“, ბეტა-ა-მა „ხნავს“... ბოს-ა-მა „იღებს“, „ყიდულობს“; ბაქ-ა-მა „ანთებს“, ჩურ-ა-მა „ბანს“, „რეცხავს“, ყოტ-ა-მა „ჭრის“, ბიტა-ა-მა „ყოფს“, „ანაწილებს“... რაკ-ა-მა „ჯდება“ (ცხენზე და მისთ.), ლალ ტამ-ა-მა „კალოს ლეწავს“, ბუც-ა-მა „არის (ხოლმე)“, ჰუბუ-მა „აკეთებს“, ყ-ა-მა „სვამს“, ჰა-ა-მა „დგას“, ტა-უ-მა „აძლევს“, ჰ-უ-მა

„დებს“, თ-ა-მა „ტოვებს“, ვ-ა-მა „მიდის“, ქ-უ-მა „იჭერს“, ჭვა-მა „კლავს“, ქვამ-მა (ქვან-მა) „ჭამს“...ჰა-მა „იცის“ (შესაბამისი ფორმები სამხრ.-ხუნძურის სხვა კილო-თქმებსა და ჩრდ.-ხუნძურში იხ. ზემოთ).

სამხრ.-ხუნძურ კილო-თქმათა ზოგად კონტექსტში ჭოხუტი **-მა** მეორეული ჩანს: **-მა -ნა**. ასეთი ცვლილება აწმყოს დაბოლოებაში (**ნ მ**) გამოიყენება ჭოხურში, როგორც ერთადერთი საშუალება აწმყოს ფორმათა გასარჩევად ნამყოს ფორმებისაგან (ნამყოში **-ნა** დაბოლოება გვაქვს — იხ. ქვ.).

გ) **-დალა** დაბოლოება სოღრათლურში

აწმყოს დაბოლოებად სოღრათლურში **-დალა** სუფიქსი გვაქვს¹: ჰალტ-დალა (|| ჰალტ-ტალა) „მუშაობს“ (შდრ.: ჩრდ.-ხუნძ. ჰალტ-უ-ლა — ყარახ. ჰალტ-ა-ნა, ქობ. ჰალტ-ა-მა, ჰიდ., ანწუხ. ჰალტ-ი-ნა, ჭარ. ჰალტ-ნა), ბეჟ-დალა „ხნავს“... ბოს-დალა „ყიდულობს“, ბაქ-დალა „ანთებს“... რუკონ-დალა „ყდება“ (ცხენზე და მისთ.)... ბუკ-დალა „არის (ხოლმე)“, ჰაბუ-დალა „აკეთებს“, ყ-ო-დალა „სვამს“... ონ-დალა „მიდის“, ჭვა-დალა „კლავს“, ლ'ა-დალა „იცის“, ტ-ო-დულა (ამ ზმნაში დაბოლოებად **-დულა** გვაქვს!) „აძლევს“, ჰარ-დალა „თხოვს“...

-დალა რთული ფორმანტი ჩანს (**-დ-ა-ლა || -დ-უ-ლა**): უნდა შეიცავდეს **-ლა** დაბოლოებას (შდრ. ჩრდ.-ხუნძ. **-ლა** აწმყოს დაბოლოებად) წინამავალი თემატური ხმოვნით (**-ა-ლა || -უ-ლა**) და **-დ** სუფიქსს, რომელიც წარმოშობით უნდა იყოს მოქმედების განგრძობითობის საწარმოებელი სუფიქსი (შდრ.: ჩრდ.-ხუნძ. ჰარ-დ-ე-ზე „თხოვნა“, „ხვეწა“ — აწმყო ჰარ-დ-ო-ლა „თხოულობს“, „ხვეწება“... — § 183). ფუძის საწარმოებელი ეს **-დ** სუფიქსი სოღრათლურს, ჩანს, განზოგადებულად (ყველა ზმნისათვის) აქვს გამოყენებული აწმყოს მაწარმოებლად (მეტაანალიზის შედეგად).

-დალა დაბოლოება სოღრათლურში დადებით აწმყოს დაერთვის. უარყოფით აწმყოში კი (უარყოფითობის საწარმოებელი **-რო** სუფიქსის წინ — იხ. § 173) გვაქვს არა ეს (**-დალა**) დაბოლოება, არამედ **-ნა** (ე. ი. იგივე დაბოლოება, რაც აწმყოს, — როგორც დადებითს ისე უარყოფითს, — დაერთვის სამხრ.-ხუნძურის სხვა კილო-თქმებში: ყარახულსა, ჰიდურსა, ანწუხურსა და ჭარულში); შდრ.: სოღრათლ. ჭვა-დალა „კლავს“ (დადებ.), მაგრამ: ჭვა-ნა-რო „არ კლავს“ (უარყოფითი) — ყარახ., ჰიდ., ანწუხ., ჭარ. ჭვა-ნა „კლავს“ (დადებ.), ჭვა-ნა-რო (|| ჭვა-ნა-რუ) „არ კლავს“ (უარყოფითი)...

¹ სოღრათლურის შესახებ: . . .

უარყოფით აწმყოს ჩვენება მოწმობს, რომ დადებით აწმყოში **-დალა** დაბოლოება მეორეულია სოლრათლურში. ძველად სოლრათლურშიც აწმყოს დაბოლოებად (დადებით ფორმაშიც!) უნდა გვაქონოდა **-ნა** (ისევე, როგორც ამჟამადაც — სამხრ.-ხუნძურის სხვა კილო-თქმებში. — იხ. ზემოთ).

დ) აწმყოს თემატურ ხმოვანთა ვარიანტები
სამხრ.-ხუნძურში

აწმყოს წარმოება სამხრ.-ხუნძურში ჩრდილოურთან შედარებით განსხვავებას იძლევა დაბოლოების წინამავალი თემატური ხმოვნის მიხედვითაც. ზოგი განსხვავება ამ მხრივ გვაქვს თვით სამხრ.-ხუნძურის კილო-თქმათა შორისაც. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება გამოდგეს იგივე მაგალითები, რომლებიც ზემოთ იყო მოყვანილი (სხვადასხვა კილო-თქმებიდან) აწმყოს დაბოლოების ვარიანტთა გასათვალისწინებლად (იხ. ზემოთ: **ა — გ** პუნქტებში მოყვანილი მაგალითები. — სათანადო მაგალითებში აწმყოს თემატური ხმოვანი, როცა კი იგი დაბოლოების წინ გვაქვს, ყოველთვის გამოყოფილია). აქ შეიძლება დავასკვნათ:

ჩრდ.-ხუნძურში (და სამწერლო ხუნძურ ენაში) აწმყოს თემატურ ხმოვნად, როგორც ვიცით (§ 154), გვაქვს: **-უ** (**-უ-ლა, -უ-ნა**) ან **-ო** (**-ო-ლა, -ო-ნა**).

სამხრ.-ხუნძურის კილო-თქმათა უმრავლესობამ არც ერთი ეს ხმოვანი აწმყოს თემატურ ხმოვნად არ იცის. აქ მათი ადგილი სულ სხვა ხმოვნებს უკავია; შერ.::

ა) ჩრდ.-ხუნძ. **-უ** (ყოტ-უ-ლა „ჭრის“, ბაქ-უ-ლა, „ანთებს“, რეტ-უ-ნა „იცვამს“...) — ჭობ. **-ა** (ყოტ-ა-მა „ჭრის“, ბაქ-ა-მა, „ანთებს“, რელჟ-ა-მა „იცვამს“...) — ჰიდ. **-ო** (ყოტ-ი-ნა „ჭრის“, ბაქ-ი-ნა „ანთებს“...) ან **-ა** (რეტ-ა-ნა „იცვამს“...) — ანწუხ. **-ო** (ყოტ-ი-ნა „ჭრის“, ბაქ-ი-ნა „ანთებს“...) ან **-ა** (რეტ-ა-ნა „იცვამს“) — ჭარ. **-ო**(ნოლი)- **-ო** (ყოტ-ნა ყუტ-ი-ნა „ჭრის“, ბაქ-ნა ბაქ-ი-ნა „ანთებს“...) ან **-ა** (რეკა-ნა „იცვამს“...);

ბ) ჩრდ.-ხუნძ. **-ო** (ტო-ო-ლა „აძლევს“, ქო-ო-ლა „იჭერს“, ჭო-ო-ლა „დგას“, თ-ო-ლა „ტოვებს“...) — ჭობ. **-უ** (ტო-უ-მა „აძლევს“, ქო-უ-მა „იჭერს“...) ან **-ა** (ჭო-ა-მა „დგას“, თ-ა-მა „ტოვებს“...) — ყარაბ. **-უ** (ტო-უნა „აძლევს“, ქო-უნა „იჭერს“...) ან **-ა** (ჩო-ა-ნა „დგას“, თ-ა-ნა „ტოვებს“... — ჰიდ. **-უ** (ტო-უნა „აძლევს“, ხ-უნა „იჭერს“...) ან **-ა** (ჭო-ა-ნა „დგას“, თ-ა-ნა „ტოვებს“...) — ჭარ. **-უ** (კაქა-უნა „აძლევს“, ხ-უნა „იჭერს“...) ან **-ა** (ჭო-ა-ნა „დგას“, თ-ა-ნა „ტოვებს“...).

აწმყოს საწარმოებელი სრული ფორმანტები (დაბოლოებითა და წინამავალი არაფუძისეული — თემატური — ხმოვნით) გვაძლევს შეფარდებებს:

ა) ჩ რ დ . - ხ უ ნ დ .	-უ-ლა (-უ-ნა)
ჭობ.	-ა-მა
ყარახ.	-ა-ნა
ჰიდ.	-ო-ნა, -ა-ნა
ანწუხ.	-ო-ნა, -ა-ნა
ჭარ.	-ნა (-ო-ნა), -ა-ნა
ბ) ჩ რ დ . - ხ უ ნ დ .	-ო-ლა (-ო-ნა)
ჭობ.	-უ-მა, -ა-მა
ყარახ.	} -უ-ნა, -ა-ნა
ჰიდ.	
ანწუხ.	
ჭარ.	

ამრიგად, სამხრ.-ხუნძურში აწმყოს თემატურ ხმოვნებად შეიძლება გვექონდეს: ა) ჰ ი დ უ რ ს ა და ა ნ წ უ ხ უ რ შ ი : -ო-, -ა-, -უ- (ჭ ა რ უ ლ შ ი : 0[ნოლი] -ო-, -ა-, -უ-); ბ) ჭ ო ხ უ რ ს ა და ყ ა რ ა ხ უ ლ შ ი (ჭუნტიბურში): -ა-, -უ- (აქ არა ჩანს -ო-: ისეთ შემთხვევებშიც, როცა სამხრ.-ხუნძურის სხვა კილო-თქმებში -ო- გვაქვს [იხ. ზემოთ], აქ -ა- გვექნება).

აღნიშნული ხმოვნები (-ო-, -ა-, -უ-), მართალია, აწმყოს ფუძეში გვაქვს, მაგრამ ყველა მათგანი მხოლოდ აწმყოსთვის არ არის ნიშანდობლივი.

ამ ხმოვნებიდან -ა- და -უ- თვით სამხრ.-ხუნძურში სათანადო ზმნებს ნამყოშიც (ნამყო ძირითადში) ექნებათ (იხ. ქვ). მეორე მხრივ, ეგვე ხმოვნები, როგორც ვიცით (§ 157), ნამყოს ფუძეს ჩრდ.-ხუნძურშიც დაერთვის.

აწმყოსთვის სამხრ.-ხუნძურის სათანადო კილო-თქმებში ნიშანდობლივად მიიჩნევა მხოლოდ -ო- თემატური ხმოვანი. ჩრდ.-ხუნძურში კი -ო- ხმოვანი აწმყოში (არც ნამყოში) არა ჩანს, მაგრამ გვაქვს მყოფადში (§ 156). უნდა ვიფიქროთ, რომ -ო- თემატური ხმოვანი აწმყოს ფუძისა და სამხრ.-ხუნძურის სათანადო კილო-თქმებში (ანწუხ., ჰიდ. ბაქ-ო-ნა „ანთებს“) და -ო- თემატური ხმოვანი მყოფადის ფუძისა ჩრდ.-ხუნძურში (ბაქ-ო-ლა „დაანთებს“) ერთი და იგივეა. ასეთ დაკავშირებას ისიც უწყობს ხელს, რომ სამხრ.-ხუნძურის სათანადო კილო-თქმებში მარტივ აწმყოს შესაძლებელია ჰქონდეს მყოფადის გაგებაც.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ა 1. სოღრაათლურში აწმყოს უფრო ძველი ფორმა, როგორც ვნახავთ, ამჟამად უარყოფითი წარმოებისას დაჩნდება (უარყოფითობის -რო სუფიქსის წინ). ასეთი წარმოებიდან ამოსვლით აწმყოში სოღრაათლურს იგივე თემატური ხმოვნები აღმოაჩნდება, რაც სამხრ.-ხუნძურის სხვა კილო-თქმებს: -ა- (უფრო ხშირად): ჰარ-ა-ნა-რო „არ სთხოვს“... -ო-: ტუიტ-ო-ნა-რო „არ სძინავს“... -უ-: გ-უ-ნა-რო „არ იჭერს“...

შენიშვნა 2. თემატური ხმოვნები სამხრ.-ხუნძურსაც (ისევე, როგორც ჩრდ.-ხუნძურს) ჩვეულებრივ ბოლოთანხმოვნიან ფუძეებთან აქვს დაცული.

3) **ნამყოს (ნამყო ძირითადის) წარმოების თავისებურებანი.** დაბოლოება **-ნა** (წინამავალი თემატური ხმოვნებით: **-ანა, -უნა**), რომელიც მარტივ ნამყოს (ნამყო ძირითადს) ახასიათებს ჩრდ.-ხუნძურსა და სამწერლო ხუნძურ ენაში (§ 157), შეიძლება გვქონდეს სამხრ.-ხუნძურშიც. აქ იგი წარმოდგენილია ზოგან უცვლელად, ზოგან — მეტ-ნაკლები ცვლილებებით.

უცვლელადაა **-ნა** დაბოლოება წარმოდგენილი, მაგალ., ჭოხურში, სოღრაათლურში...

მაგალითები (ჭოხურიდან): ყოტ-ანა (ჩრდ.-ხუნძ. ყოტ-ანა) „გაჭრა“, ბაქ-ანა „დანთო“, ბოს-ანა „აილო“, „იყიდა“, ბეტ-ანა „დაბრუნდენ“, ჰიყ-ანა „ჰკითხა“, ბიც-ანა „მოუთხრო“, „უამბო“... ტ-უნა „მისცა“, ქ-უნა „დაიჭირა“, ჰუბ-უნა „გააკეთა“, ჰანა „გაიგო“...

ა) ნამყოს **-ნა** დაბოლოების ცვლილებები

ყარახულში ნამყოს დაბოლოებას აკლია ბოლოკიდური ხმოვანი (**-ნა ნ**): ყოტ-ან (შდრ. ჩრდ.-ხუნძ. ყოტ-ანა) „გაჭრა“, ბაქ-ან „დანთო“, ბაბინ-ან „დაიწყო“, ბიც-ან „მოუთხრო“, „უამბო“, ბიხ-ან „დაინახა“, ჰიყ-ან „ჰკითხა“, ბალარ-ან „გაინძრა“, ბახ-ან „ავიდა“, ბოკ-ან „იყო“, კას-ან „გადახტა“, ხაუტ-ან „დარჩა“, ტ-უნ „მისცა“, ქ-უნ „დაიჭირა“... ჰაბ-უნ „გააკეთა“, ჰან „გაიგო“, „იცოდინა“, ჰვან „მოკლა“, ტოლონ „შეკაზმა“...

ჰიდურში დაბოლოების თანხმოვნითი ელემენტიც (**ნ**) მოკვეცილია; მისი კვალი წინამავალი — თემატური თუ ფუძისეული — ხმოვნის ნაწალიზაციაში დაჩნდება: ყოტ-ან^ნ „გაჭრა“, ბის-ან^ნ „მოუთხრო“, „უამბო“, ბეხ-ან^ნ „დაინახა“, ბაბინ-ან^ნ „დაიწყო“, ხაუტ-ან^ნ „დარჩა“, ჰიყ-ან^ნ „ჰკითხა“, რაშ-ან^ნ „იყო“, ქ-ან^ნ „დადგა“, „ადგა“, ბორთ-ან^ნ „გამოეკიდა“, შიგ-ან^ნ „მოაღწია“, „მოვიდა“, ბუს-ან^ნ „დაბრუნდა“, ჰვ-ან^ნ „მოკვდა“, ან^ნ „წავიდა“, ტ-უნ^ნ „მისცა“, ბასანდ-უნ^ნ „ითამაშა“, რაკარ-უნ^ნ „მოაგროვა“ შაგარლ-უნ^ნ „მიუახლოვდა“, მალ-უნ^ნ „ასწავლა“, ბალარ-უნ^ნ „გაინძრა“, ბახ-უნ^ნ „ავიდა“, ლ-უნ^ნ „დადო“.. ჰუბუნ^ნ „გააკეთა“, ლ-ან^ნ „გაიგო“, „იცოდინა“, ჰვან^ნ „მოკლა“...

ზოგან შეიძლება არც ნაწალიზაცია გვქონდეს და, მამასადამე, **-ნა** დაბოლოების არავითარი კვალი არ იგრძნობოდეს (ასეთ შემთხვევაში სათანადო ზმნას ნამყოში შეიძლება ჰქონდეს ოდენ თემატური ხმოვანი [ბოლოთანხმოვნიან ფუძესთან]). ამის მაგალითები დასტურდება, კერძოდ, ან-წუხურსა და ჭარულში (იხ. ქვ.).

ბ) რ თანხმოვნის შემცველი დაბოლოება
ნამყოსი

სამხრ.-ხუნძურში მარტივ ნამყოს შეიძლება ჰქონდეს რ- თანხმოვნიანი დაბოლოება: -**რი**.

ასეთი დაბოლოება აქვს ნამყოს ანწუხურსა და ჭარულში: ყუტ-რი „გაჭრა“, ბაქ-რი „დაანთო“, ჰალტ-რი „იმუშავა“, ჩურ-რი „დაბანა“, „გარეცხა“, ჰიყ-რი „შეეკითხა“, ბეჟ-რი „შეწვა“, „გამოაცხო“, ბექერ-რი „გაიქცა“, ჰარ-რი „სთხოვა“, ბენ-რი „დაინახა“, ტიტ-რი (ჭარ. კადიტ-რი) „დაიძინა“, უნთ-რი „ავად გახდა“, მალ-რი (ჭარ. მაჰჰა-რი) „ასწავლა“... ტ-ური (ჭარ. კად-ურ-რი) „მისცა“, ტ-ურ-რი „დაასხა“, თ-ურ-რი (ჭარ. ჰე-ურ-რი) ლ'-ურ-რი „დადო“... ჰვა-რი (ჭარ. ჰა-რი) „მოკლა“, ქუნა-რი „ჭამა“, წა-რი „მოსწია“, ნუნა-რი „გახერხა“, თა-რი (ჭარ. ჰა-რი) ლ'-არი „გაიგო“, „იციოდინა“, ჰუბ-ური „გააკეთა“...¹

ჩრდ.-ხუნძურში ნამყოს, მართალია, ნ- თანხმოვნიანი დაბოლოება (-**ნა**- აქვს ყოტ-ა-**ნა** „გაჭრა“), მაგრამ ნამყოს მიმღეობაში ნ-ს ადგილას რ დაჩნდება (ყოტ-ა-**რა**-ბ „გაჭრილი“). ჩრდ.-ხუნძ. ამ რ-ს ნამყოს მიმღეობაში გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს სამხრ.-ხუნძ. რ-სთან, რომელიც აქ ნამყოს დაბოლოებაშიც გვაქვს (§ 168).

მეორე მხრივ, რ-ი დაბოლოებიანი ნამყოს ფორმებთან ერთად ანწუხურშიცა და ჭარულშიც ნამყოს ისეთი ფორმებიც გვხვდება, რომელთაც ოდენ თემატური ხმოვანი (-ა) აქვთ (დაბოლოების გარეშე): ბოს-ა (შდრ. ჩრდ.-ხუნძ. ბოს-ა-ნა „აილო“, „იყიდა“, ბიჩ-ა (ჩრდ.-ხუნძ. ბიჩ-ა-ნა) „გაყიდა“, ჰვ-ა, ჭარ. ჰ-ა (ჩრდ.-ხუნძ. ხვ-ა-ნა) „მოკვდა“ რეტ-ა, ჭარ. რეკ-ა (ჩრდ.-ხუნძ. რეტ-ა-ნა) „ჩაიცვა“, შვ-ა, ჭარ. შა-ა (ჩრდ.-ხუნძ. შვ-ა-ნა) „მოაღწია“, „მოვიდა“, ბათ-ა (ჩრდ.-ხუნძ. ბათ-ა-ნა) „იპოვა“, ბორჟ-ა (ჩრდ.-ხუნძ. ბორჟ-ა-ნა) „გაფრინდა“, ბოც-ა (ჩრდ.-ხუნძ. ბუკ-ა-ნა) „იყო“, ბის-ა, ჭარ. ბიც-ა (ჩრდ.-ხუნძ. ბიც-ა-ნა) „მოუთხრო“, „უამბო“, ვეგ-ა (ჩრდ.-ხუნძ. ვეგ-ა-ნა) „დაწვა“ („დაწოლა“-საგან), ტვ-ა, ჭარ. კა-ა (ჩრდ.-ხუნძ. ა-ნა) „წავიდა“, ბექ-ა (ჩრდ.-ხუნძ. ბექ-ა-ნა) „გატეხა“, გატყდა“, ჰა-ა (ჩრდ.-ხუნძ. ჰა-ა-ნა) „დადგა“, „ადგა“, თ-ა (ჩრდ.-ხუნძ. თ-ა-ნა) „დატოვა“, ქვ-ა, ჭარ. ქ-ა (ჩრდ.-ხუნძ. ქვ-ა-ნა) „შეჭამა“...

ზმნები, რომელთაც ნამყოში ოდენ თემატური ხმოვანი აქვთ (დაბოლოების გარეშე), საკმაოდ ბევრია ანწუხურსა და ჭარულში, მაგრამ გაცილებით მეტია რ-ი დაბოლოებიანი ზმნები.

¹ ბ ა წ ა დ უ რ თქმაში (აული ბაწადა ყ ა რ ა ხ ი ს თემში შედის) შ. მ ი ქ ა ი - ლ ო ვ ი აღნიშნავს ნამყოს ფორმებს რ- დაბოლოებით: თ-ა-რ „დატოვა“, ბოს-ა-რ „აილო“, ბალაჰ-ურ-რ „შეხვდა“, ბუჟ-ურ-რ „შეკრა“, ფუ-რ „დაუბერა“... (იხ. . . , გვ. 472, შდრ. აგრეთვე იქვე გვ. 162). ეს რ- ცხადია, ანწუხ., ჭარ. რ-ი დაბოლოების უხმოვნო ვარიანტია.

დაბოლოება **-რი** ნამყოში დაერთვის ბოლოთანხმოვნიან ფუძის მქონე ისეთ ზმნებს, რომელთაც აწმყოში **-ი** ან **-უ** თემატური ხმოვნები აქვთ (შდრ.: აწმ. ყუტ-ი-ნა [ჭარ. ყუტ-ნა ყუტ-ი-ნა] „ჭრის“... ტ-უ-ნა „ასხამს“... — ნამ ყუტ-რი „გაჭრა“... ტ-უ-რი „დაასხა“...) აგრეთვე ბოლოხმოვნიანი ფუძის მქონე ყველა ზმნას (შდრ.: აწმ. წა-ნა „სწევს“, ჰუბუ-ნა „აკეთებს“ — ნამ. წა-რი „მოსწია“, ჰუბუ-რი „გააკეთა“...).

ოღენ თემატური ხმოვანი (დაბოლოების გარეშე) ნამყოში ექნება მხოლოდ ბოლოთანხმოვნიან ფუძის მქონე ისეთ ზმნებს, რომელთაც აწმყოში თემატურ ხმოვანად **-ა** აქვთ (შდრ.: აწმ. ბოს-ა-ნა „იღებს“, „ყიდულობს“, ბექ-ა-ნა „ტეხს“, „ტყდება“, ვეგ-ა-ნა „წვება“, თ-ა-ნა „ტოვებს“... — ნამ: ბოს-ა „აიღო“, „იყიდა“, ბექ-ა „გატეხა“, „გატყდა“, ვეგ-ა „დაწვა“, თ-ა „დატოვა“...).

საფიქრებელია, რომ ოღენ თემატურ ხმოვნიან ნამყოს ფორმებში დაბოლოება (**-ნა**) მოკვეცილია (რითაც — სათანადო შემთხვევებში — თავიდან აცილებულია ნამყოს ფორმათა დამთხვევა აწმყოს ფორმებთან): ბოს-ა ბოს-ა-ნა „აიღო“, „იყიდა“ (შდრ. ბოს-ა-ნა „იღებს“, „ყიდულობს“), თ-ა თ-ა-ნა „დატოვა“ (შდრ. თ-ა-ნა „ტოვებს“) და ა. შ.

გ) ნამყოს თემატური ხმოვნები და მათი მიმართება აწმყოს თემატურ ხმოვნებთან სამხრ.-ხუნძურში

ნამყოს თემატურ ხმოვნებად სამხრ.-ხუნძურში იგივე ხმოვნები გვაქვს, რაც — ჩრდ.-ხუნძურში: **-ა**, **-უ**. განსხვავება ამ მხრივ სხვადასხვა კილო-თქმათა შორის შეიძლება შექმნას ცალკეულ ზმნებში ამ ხმოვანთა გამოყენების მეტ-ნაკლებმა სიხშირემ. ასე, მაგალ., ჰიდურში თემატური ხმოვანი **-უ** უფრო ხშირად გვხვდება, ვინემ, მაგალ., ჰოხურში ან ყარახულში (შდრ. ჰიდ. ბალარ-უ⁵ — ყარახ. ბალარ-ა-ნ, ჰოხ. ბალარ-ა-ნა „გაინძრა“; ჰიდ. ბახაჩ-უ⁶ — ყარახ. ბახაჩ-ა-ნ, ჰოხ. ბახაჩ-ა-ნა „დაიძალა“; ჰიდ. ბახ-უ⁶ — ყარახ. ბახ-ა-ნ, ჰოხ. ბახ-ა-ნა „ავიდა“; ჰიდ. მალ'ა-უ⁶ — ყარახ. მალ'ა-ა-ნ, ჰოხ. მალ'ა-ა-ნა „ასწავლა“...).

ჩრდ.-ხუნძურისაგან განსხვავებით, რომელშიც ნამყოს თემატური ხმოვანი ჩვეულებრივ ყოველთვის გარჩეულია აწმყოს თემატური ხმოვნისაგან (§ 160), სამხრ.-ხუნძურში შეუძლებელი არ არის ამ ორ ნაკვთს ერთი და იგივე თემატური ხმოვანი ჰქონდეს.

ასე, სამხრ.-ხუნძურში თემატური **-ა** ხმოვანი (ზოგ კილო-თქმაში თემატური **-უ** ხმოვანიც) შესაბამის ზმნურ ფუძეს შეიძლება ახლდეს ნამყოშიცა და აწმყოშიც. ასეთ შემთხვევაში განსხვავებას დაბოლოება ამყარებს. შდრ.:

ჭოხურში: რილჟ-ა-ნა (*ნამყო*) „ჩაიცვა“ — რილჟ-ა-მა (*აწმყო*) „იცვამს“... ტჱ-უ-ნა (*ნამყო*) „მისცა“ — ტჱ-უ-მა (*აწმყო*) „აძლევს“... (აქ ნამყოსა და აწმყოს ფორმებს განასხვავებს დაბოლოების თანხმომენითი ელემენტი: **-ნა** [*ნამყოში*] — **-მა** [*აწმყოში*]; შდრ. ქვ.):

ყარახულში: რელჟ-ა-ნ (*ნამყო*) „ჩაიცვა“ — რელჟ-ა-ნა (*აწმყო*) „იცვამს“... ტჱ-უ-ნ (*ნამყო*) „მისცა“ — ტჱ-უ-ნა (*აწმყო*) „აძლევს“...

ჰიდურში: რეტ-ა^ნ (*ნამყო*) „ჩაიცვა“ — რეტ-ა-ნა (*აწმყო*) „იცვამს“... ტჱ-უნ (*ნამყო*) „მისცა“ — ტჱ-უნა (*აწმყო*) „აძლევს“...

ანწუხურში: რეტ-ა (*ნამყო*) „ჩაიცვა“ — რეტ-ა-ნა (*აწმყო*) „იცვამს“... ტჱ-უ-რი (*ნამყო*) „მისცა“ — ტჱ-უ-ნა (*აწმყო*) „აძლევს“...

ჭარულში: რეკა-ა (*ნამყო*) „ჩაიცვა“ — რეკა-ა-ნა (*აწმყო*) „იცვამს“... ტჱ-უ-რი (*ნამყო*) „მისცა“ — ტჱ-უ-ნა (*აწმყო*) „აძლევს“...

როგორც აქედან ჩანს, აწმყოსა და ნამყოს ფორმათა დამთხვევა, რაც შეეძლო გამოეწვია ერთი და იმავე თემატური ხმოვნების (**-ა-**, **-უ-**) ქონას ხსენებულ ნაკვთებში, თავიდან აცილებულია დაბოლოებათა სხვადასხვა ვარიანტების გამოყენებით (მასთან, სხვადასხვა კილო-თქმებში — სხვადასხვა ნაირად).

4) ნამყოს აბსოლუტივის წარმოების თავისებურებანი

ა) **-მუ** || **-მო** დაბოლოება ჰიდურსა და ყარახულში

ჰიდურში ნამყოს აბსოლუტივის დაბოლოებად **-მუ** გვაქვს (წინამავალი თემატური ხმოვნით **-უ-მუ**): ყოტ-უ-მუ (შდრ. *ჩრდ.-ხუნდ.* ყოტ-უ-ნ) „გაჭრა-რა“, ბეტჱ-უ-მუ (*ჩრდ.-ხუნდ.* ბეტჱ-უნ) „მოხნა-რა“, ბაკარ-უ-მუ (*ჩრდ.-ხუნდ.* ბაკარ-უ-ნ) „შეაგროვა-რა“, ბოს-უ-მუ (*ჩრდ.-ხუნდ.* ბოს-უ-ნ) „აილო, იყიდა-რა“, კანწ-უ-მუ (*ჩრდ.-ხუნდ.* კანწ-უ-ნ) „გადახტა-რა“, რუსჱ-უ-მუ (*ჩრდ.-ხუნდ.* რუსჱ-უ-ნ) „დაბრუნდნენ-რა“, ხ-უ-მუ (*ჩრდ.-ხუნდ.* ქა-უ-ნ) „დაიჭირა-რა“, ბაქ-უ-მუ (*ჩრდ.-ხუნდ.* ბაქ-უ-ნ) „დაანთო-რა“: ებელა^ლა წა ბაქუმუ, ქვენ ჰაბუნა (შდრ. *ჩრდ.-ხუნდ.* ებელა^ლა წა ბაქუნ, ქვენ ჰაბულა) „დედამ ცეცხლი დაანთო-რა, საჭმელს აკეთებს“... ლ^ა-მუ (*ჩრდ.-ხუნდ.* ლ^ა-ნ) „იცის-რა“, შაზო ბა-მუ (*ჩრდ.-ხუნდ.* შაზო ბა-ნ) „გათოვდა-რა“...

ყარახულში სათანადო შემთხვევებში გვექნება **-მო** (წინამავალი თემატური ხმოვნით **-უ-მო**): ყოტ-უ-მო „გაჭრა-რა“, ბეტჱ-უ-მო „მოხნა-რა“, ბაკარ-უ-მო „შეაგროვა-რა“, ბოს-უ-მო „აილო, იყიდა-რა“, კას-უ-მო „გადახტა-რა“, რუსჱ-უ-მო „დაბრუნდნენ-რა“, ქა-უ-მო „დაიჭირა-რა“... ჰა-მო „იცის-რა“, შაზო ბა-მო „გათოვდა-რა“...

ეს **მ**-იანი ვარიანტი ნამყოს აბსოლუტივისა ჰიდურსა და ყარახულში უფრო ძველი უნდა იყოს, ვინემ **ნ**-იანი ვარიანტი ჩრდ.-ხუნძურში: ბოლო-ჰიდური ხმოვნის მოკვეცის შემდეგ აბსოლუტურ ბოლოში მოქცეულ **მ**-ს

რომ **ნ** შენაცვლებოდა, ეს შესაძლებელია ჩრდ.-ხუნძურში; შდრ. § 43): -
მუ || მო მ -ნ (ბაქ-უ-მუ || ბაქ-უ-მო *ბაქ-უ-მ ბაქ-უ-ნ „დაან-
თო-რა“...).

ლ. ჟირკოვი თავის „ხუნძური ენის გრამატიკაში“ შენიშნავს: „უს-
ლარს სრულიად აღუნიშნავი დარჩა კიდევ ერთი ძველებური ფორმა, რო-
მელსაც სიმღერებში ვხვდებით, სახელდობრ, ნამყო დროის აბსოლუტივი
-**უმუ** დაბოლოებით (-**უნ**-ის ნაცვლად): სსსუმუ ბათარაბ წააჭილ ალაზან,
ტაჩუმუ ბათარაბ ჰაყაბ ქაფურლი „დაწყნარებული დახვდათ ნაცრისფერი
ალაზანი, მიინარე იპოვეს ნამდვილი გიაურები“... სასუმუ = სასუნ, ტაჩუმ-
მუ = ტაჩუმუნ“... (ჩვენ მიერ ჩაწერილ ლექსშიაო, — შენიშნავს ავტორი)¹.

უფრო ადრე ა. შიფნერი აღნიშნავს რა **-უნ** ფორმანტიან ნამყოს აბ-
სოლუტივის ფორმებს (რომელთაც იგი გერუნდიუმს უწოდებს), შენიშნავს,
რომ თავდაპირველად ამ ფორმებში, ეტყობა, **-მო** გვქონდაო, როგორც
ამას სიმღერებში შენახული ფორმები გვიჩვენებენო²...

მ-იანი ვარიანტი არა მხოლოდ ძველს სიმღერებშია დაცული: იგი,
როგორც ვნახეთ, მოქმედი ნორმაა ჰიდურსა და ყარახულში.

ბ) დაბოლოება -მოკვეცილი აბსოლუტივის
ფორმები ანწუხურსა დაჭარულში

ანწუხურსა დაჭარულში გარკვეულ ზმნებს ნამყოს აბსოლუტივში
დაბოლოება არა აქვს: სათანადო ზმნა ხსენებულ ნაკვთში წარმოდგენილია
ოდენ თემატური ხმოვნით (-**უ**, -**ო**) ან მხოლოდ ფუძის სახით, — თემატუ-
რი ხმოვნის გარეშე (როცა ზმნური ფუძე ბოლოხმოვინანია).

მაგალითები: ყუტ-უ (*ჩრდ.-ხუნძ.* ყუტ-უ-ნ) „გაჭრა-რა“, ბაქ-უ „დაან-
თო-რა“, კანწ-უ „გადახტა-რა“, ბაკარ-უ „შეაგროვა-რა“, ჩურ-უ „დაიბანა-
რა“, ბეწ-უ „დაინახა-რა“, ბეჟ-უ „შეწვა, „გამოაცხო-რა“... ტ-ო, ჭარ. კკჟ-ო
(შდრ. *ჩრდ.-ხუნძ.* ტ-უ-ნ) „მისცა-რა“, ტ-ო „დაასხა-რა“, ხ-ო „დაიჭირა-
რა“, თ-ო, ჭარ. ჰჟ-ო (ლ'-ო) „დადო-რა...“, წა-, ჭარ. წაჟ (შდრ. *ჩრდ.-
ხუნძ.* წა-ნ) „მოსწია-რა“, ჭვა-, ჭარ. ჭა-ჟ (*ჩრდ.-ხუნძ.* ჭვა-ნ) „მოკლა-რა“,
ჭუჟა-, ჭარ. ჭუჟა-ჟ (*ჩრდ.-ხუნძ.* ჭუჟა-ნ) „გახერხა-რა“...

შენიშვნა. როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ჭა-
რულში ბოლოხმოვინან ფუძეებს ნამყოს აბსოლუტივში დაერთვის
-**ჟ**. ეს **ჟ** დასუსტებული თემატური **-უ**- ხმოვანია: წა-ჟ წა-უ
„მოსწია-რა“... ჭუჟა-ჟ ჭუჟა-უ „გახერხა-რა“ (ანწუხურში კი ბო-
ლოხმოვინან ფუძეებს თემატური ხმოვანი უკვალოდ აქვთ დაკარგუ-
ლი: წა- „მოსწია-რა“... ჭუჟა- „გახერხა-რა“...).

¹, § 51, გვ. 79.

² A. S ch i e f n e r, Versuch, § 104.

უდაბლოლებო ფორმები ნამყოს აბსოლუტივისა და დაბლოლების (-**ნ**) მოკვეცის შედეგი ჩანს: ბაქ-უ ბაქ-უ-ნ „დაანთო-რა“... წაა წაა-ნ (ჭარ. წაა-უ წაა-უ *წაა-უ-ნ) „მოსწია-რა“... (შდრ. იმავე ანწუხურსა და ჭარულში -**ნა** დაბლოლების მოკვეცა ნამყოში: ბოს-ა ბოს-ა-ნა „აილო“... — იხ. ზემოთ: ნამყოს წარმოების თავისებურება).

მეორე მხრივ, თვით ანწუხურსა და ჭარულში გარკვეული ტიპის უღვლილების ზმნებს ნამყოს აბსოლუტივში დაბლოლება (*ანწუხ. -ნ, ჭარ. -ნუ*) შეიძლება მოუკვეციელიც ჰქონდეს; შდრ.: *ანწუხ. ბოს-უ-ნ „აილო, იყიდა-რა“*; *ჭარ ბოს-ნუ იყიდა-რა“*; *ანწუხ. ვოჯ-უ-ნ, ჭარ. ვოჯ-ნუ „ადგა-რა“*; *ანწუხ. ბათ-უ-ნ, ჭარ. ბათ-ნუ „იპოვა-რა“*; *ანწუხ. ბის-უ-ნ, ჭარ. ბიც-ნუ „მოუთხრო, უამბო-რა“*; *ანწუხ. ბოც-უ-ნ, ჭარ. ბოც-ნუ „იყო-რა“*; *ანწუხ. ჰ-უ-ნ, ჭარ. ჰ-უ-ნუ „მოკვდა-რა“*...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. ყველა ისეთ შემთხვევაში, როცა ჭარულში აბსოლუტივის -**ნუ** დაბლოების წინ გვაკლია თემატური ხმოვანი -**უ**), ეს უკანასკნელი, ივარაუდება, დაკარგულია (ჩავარდნილია): ბათ-ნუ ბათ-**უ**-ნუ „იპოვა-რა“... (შდრ.: იმავე ჭარულში: ჰ-**უ**-ნუ „მოკვდა-რა“, ყ-**უ**-ნუ „დალია, შესვა-რა“, ხ-**უ**-ნუ „დათესა-რა“, შა-**უ**-ნუ „მოადწია, მოვიდა-რა“... — ოდენ თანხმოვნიან ფუძესთან თემატური ხმოვანი [-**უ**] დაცულია -**ნუ** დაბლოების წინ).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ნამყოს აბსოლუტივის დაბლოლება -**ნუ** ჭარული დიალექტისა ბუნებრივად ჩვენს ყურადღებას წარმართავს -**მუ** დაბლოებისაკენ ჰიდურ კილოკავში (იხ. ზემოთ).

რა ზმნებშია დაცული ნამყოს აბსოლუტივის დაბლოლება და რა ზმნებს აქვთ იგი მოკვეცილი?

ამ მხრივ აბსოლუტივის ფორმები, ჩანს, გარკვეულ შეფარდებაშია ნამყოს (ნამყო ძირითადის) ფორმებთან: ისეთი ზმნები, რომელთაც ნამყოში -**რი** დაბლოლება მოუდის, აბსოლუტივში უდაბლოლებო იქნება (შდრ.: *ნამ. ყუტ-რი „გაჭრა“*, *ბაქ-რი „დაანთო“*... *ტო-უ-რი [ჭარ. კვკა-უ-რი]*) „მისცა“... *ჭვა-რი [ჭარ. ჭა-რი] „მოკლა“*... — *ა ბ ს ო ლ უ ტ. ნამ. ყუტ-უ „გაჭრა-რა“*, *ბაქ-უ „დაანთო-რა“*... *ტო-ო [ჭარ. კვკა-ო] „მისცა-რა“*... *ჭვა- [ჭარ. ჭა-უ ჭა-უ] „მოკლა-რა“*...). ხოლო ისეთი ზმნები, რომელთაც ნამყოში დაბლოლება მოკვეცილი აქვთ (და ოდენ თემატური ხმოვანი [-**ა**] ერთვის), აბსოლუტივში დაბლოლებას დაირთავს (შდრ.: *ნამ. ბოც-ა „იყო“*, *ბათ-ა „იპოვა“*, *ვოჯ-ა „ადგა“*, *ჰვა, ჭარ. ჰ-ა „მოკვდა“*... — *ა ბ ს ო ლ უ ტ. ნამ. ბოც-უ-ნ [ჭარ. ბოც-ნუ] „იყო-რა“*, *ბათ-უ-ნ [ჭარ. ბათ-ნუ] „[ი]პოვა-რა“*, *ვოჯ-უ-ნ [ჭარ. ვოჯ-ნუ] „ადგა-რა“*, *ჰ-უ-ნ [ჭარ. ჰ-უ-ნუ] „მოკვდა-რა“*...).

5) **ბრძანებითის (II პ.) წარმოების თავისებურებანი.** ბრძანებითის საწარმოებელი ფორმანტი ჩრდ.-ხუნძურში, როგორც აღნიშნული გვქონდა (§ 159), ყველაზე სადაა: ოდენ ხმოვანია: **-ე** ან **-ა** (ან კიდევ ნახევარ-ხმოვანი **-ე** [ბოლოხმოვნიან ფუძესთან]). სამხრ.-ხუნძურ კილო-თქმებში (მაგალ., ანწუხურში, ჭარულში) **-ე** შეიძლება დავიწროვდეს და **-ი**-დ იქცეს (*ანწუხ.*, *ჭარ.* ჰალტ-ი ჰალტ-ე „იმუშავე!“ ბაქ-ი ბაქ-ე „დაანთე!“ ვეჰ-ი ვეჰ-ე „მოდი!“... მაგრამ: ტჸ-ე [ჭარ. კეკე-ე] „მომეც!“ ტ-ე „დაასხი!“ „მოწყვიტე!“...), რაც აიხსნება სათანადო კილო-თქმებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ფონეტიკური კანონზომიერებით (უმახვილო ბოლოკიდური ხმოვნის დავიწროება. — § 22).

-უ-ნ ფორმანტიანი ბრძანებითი ჭარულსა და ანწუხურში

ბრძანებითის წარმოების მორფოლოგიური თავისებურებებიდან აღსანიშნავია **-უ-ნ** ფორმანტი ბრძანებითის ნიშნად ჭარულსა და ანწუხურში; მაგალითები (ჭარულიდან): ვოჸ-უ-ნ „იყავ!“ ურღ-უ-ნ „იფიქრე!“ ვოხჸ-უ-ნ „გაიხარე!“ ბორჸ-უ-ნ „გაფრინდი!“ ბიც-უ-ნ „უამბე!“ ვეგ-უ-ნ „დაწე!“ ბათ-უ-ნ „იპოვე!“ ჭჸ-უ-ნ „დადექ!“ ჰ-უ-ნ „მოკვდი!“ ბიჩ-უ-ნ „გაყიდე!“ ბოს-უ-ნ „იყიდე!“ ხ-უ-ნ „დათესე!“ ბეჰ-უ-ნ მოხარმე!“...

-უ-ნ ბრძანებითის ნიშნად გვაქვს ისეთ ზმნებში, რომელთაც ნამყოში (ნამყო ძირითადში) ოდენ თემატური ხმოვანი (**-ა-**) ერთვის (*ნამ.*: ვოჸ-ა „იყო“... ბიჩ-ა „გაყიდა“... ბათ-ა „იპოვა“... — *ბრძანებ. II პ.* ვოჸ-უ-ნ „იყავ“... ბიჩ-უ-ნ „გაყიდე“... ბათ-უ-ნ „იპოვე“...); ხოლო ისეთ ზმნებს, რომელთაც ნამყოში **-რი** დაბოლოება მოუღის, ბრძანებითის ნიშნად **-ი** || **-ე** (**ი**-ბოლოხმოვნიან ფუძესთან) დაერთვის (*ნამ.*: ბაქ-რი „დაანთო“, ყუტ-რი „გაჰრა“... ტ-უ-რი „დაასხა“, „მოწყვიტა“, კეკე-უ-რი, *ანწუხ.* ტჸ-უ-რი „მისცა“... წა-რი „მოსწია“, ჰუბ-უ-რი „გააკეთა“ — *ბრძანებ. II პ.*: ბაქ-ი ბაქ-ე „დაანთე!“ ყუტ-ი ყუტ-ე „გაჰერ!“... ტ-ე „დაასხი!“ „მოწყვიტე!“ კეკე-ე, *ანწუხ.* ტჸ-ე „მეცე!“... წა-ი წა-ე „მოსწიე!“ ჰუბ-ი ჰუბ-ე „გააკეთე!“...). ასეა ეს ჭარულშიცა და ანწუხურშიც.

ბრძანებითის საწარმოებელი **-ა** სუფიქსი (რომელიც ჩრდ.-ხუნძურში გვაქვს — § 159) უცხოა როგორც ჭარულისათვის, ისე ანწუხურისათვის (მისი ადგილი აქ უფრო ხშირად **-უ-ნ** სუფიქსს უკავია).

§ 163. ნაწარმოები ფორმები. ნაწარმოები ფორმები მიზანშეწონილი იქნება დავაჯუფოთ ამოსავალ ფორმათა მიხედვით.

1) **აწმყოსაგან ნაწარმოები ფორმები.** აწმყოსაგან იწარმოება: ა) აბსოლუტივი აწმყოსი და ბ) ნამყო უსრული. პირველს აწარმოებს ნაწილაკი **-გო**, მეორეს — ნაწილაკი **-ან**. ორივე ნაწილაკი ისე

დაერთვის აწმყოს მზამზარეულ ფორმას, რომ მასში არავითარ ცვლილებას არ იწვევს.

ა) აწმყო აბსოლუტივი აწმყოსი:

ყოტულა „ჭრის“ — ყოტულა-გო „ჭრის-რა“, ბაქულა „ანათებს“ — ბაქულა-გო „ანათებს-რა“, ქვანალა „ჭამს“ — ქვანალა-გო „ჭამს-რა“, ტოლა „აძლევს“ — ტოლა-გო „აძლევს-რა“, ბაჭუნა „მოდის“ — ბაჭუნა-გო „მოდის-რა“...

ბ) აწმყო ნამყო უსრული:

ყოტულა „ჭრის“ — ყოტულა-ან „ჭრიდა“, ბაქულა „ანათებს“ — ბაქულა-ან „ანათებდა“, ქვანალა „ჭამს“ — ქვანალა-ან „ჭამდა“, ტოლა „აძლევს“ — ტოლა-ან „აძლევდა“, ბაჭუნა „მოდის“ — ბაჭუნა-ან „მოდიოდა“...

2) **მყოფადისაგან ნაწარმოები ფორმა.** იგივე ნაწილაკი **-ან**, რომელიც აწმყოსაგან ნამყო უსრულს აწარმოებს (იხ. ზემოთ), შეიძლება დაერთოს მყოფადს და აწარმოოს მისგან ფორმა („ნამყოფადარი ნამყო უსრული“), რომელსაც პირობით-შედევობითის მნიშვნელობა აქვს („გააკეთებდა“, „მისცემდა“...)

მყოფადი პირობით-შედევობითი:

ყოტილა „გაჭრის“ — ყოტილა-ან „გაჭრიდა“, ბაქილა „დაანათებს“ — ბაქილა-ან „დაანათებდა“, ქვანალა „შეჭამს“ — ქვანალა-ან „შეჭამდა“, ტელა „მისცემს“ — ტელა-ან „მისცემდა“, ბაჭინა „მოვა“ — ბაჭინა-ან „მოვიდოდა“...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ქართულშიც ასეთი ფორმები, როგორც ცნობილია, მყოფადისაგან იწარმოება, მასთან, იმავე სუფიქსით, რითაც აწმყოსაგან — ნამყო უსრული; შდრ.: აკეთებ-ს აკეთებ-და... გააკეთებ-ს გააკეთებ-და... (შდრ. ხუნძ. ჰაბულა „აკეთებს“ ჰაბულა-ან „აკეთებდა“... ჰაბილა „გააკეთებს“ ჰაბილა-ან „გააკეთებდა“...).

3) **ნამყოსაგან ნაწარმოები ფორმები.** ნამყოსაგან იწარმოება ნატვრითისა და პირობითის ფორმები. ნატვრითს აწარმოებს **-დ** სუფიქსი, რომელიც უშუალოდ დაერთვის ნამყოს თემატურ ხმოვანს (**-ნა** დაბოლოება მოკვეცილს), მეორე იწარმოება **-ნი** ნაწილაკის საშუალებით, რომლის წინ ნამყოს დაბოლოება (**-ნა**) შეიძლება გვქონდეს და შეიძლება — არა (ამ მხრივ პარალელური ფორმებია შესაძლებელი).

ა) ნამყო ნატვრითი:

ყოტ-ა-ნა „გაჭრა“ — ყოტ-ა-დ „დე, გაჭრას!“ ვუკ-ა-ნა „იყო“ — ვუკ-ა-დ! ვა-ჭ-ა-ნა „მოვიდა“ — ვაჭ-ა-დ! ტე-უ-ნა „მისცა“ — ტე-უ-დ! ბოს-ა-ნა „აიღო“, „იყიდა“ — ბოს-ა-დ!..

მუნ ვოხუნ ვტკად „გახარებულ იყო შენ!“ ნუჟ როხუნ რუკად-ალ „გახარებულ იყოთ თქვენ!“ მუნ ვაყუნ ვუკად „გშოიოდეს (მოშოიებულ იყო) შენ!“ ნუჟ რაყუნ რუკად-ალ „გშოიოდეთ (მოშოიებულ იყოთ) თქვენ!“...¹

ჭანკოდულ ტანჭაზ ღურ ჩენ ჳირშად „ქათმის წიწილებმა ამოგკორტნოს შენ მუცელი!“ ღურ რუჟ ბუჰად „სახლი დაგეწვას (ზედმიწ. დაიწვას შენი სახლი)!“ ღურ რაკ ბოხად „გაიხარა შენმა გულმა!“²

ზმნის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით ნატვრითი კილოს ფორმას შეიძლება დაერთოს სუფიქსად რიცხვის ნიშანიც (რეალური სუბიექტის სიმრავლის აღსანიშნავად, როცა ჳმნა გარდაუვალა); შდრ.: ვუკად (I კლ.,) დიკად (II კლ.), ბუკად (III კლ.) „დე, იყოს!“ — რუკად-ალ „დე, იყვენ!“.

ამ ფორმის თავისებურებას ისიც შეადგენს, რომ იგი შეიძლება სუბსტანტივის როლშიც მოგვევლინოს და იცვალოს ბრუნვათა მიხედვით; შდრ.: დოვ ჳვან ვაჭად „დე, ის მოკლული მოვიდეს (დაბრუნდეს)!“ (წყევლა) — აქედან: ჳვან-ვაჭად „ის ვინც დე, მოკლული მოვიდეს“, — „წყეული“, „კრული“, ერგ. ჳვან-ვაჭად -ი-ცაა (II ჳვან-ვაჭად-ასა), ნათ. ჳვან-ვაჭად-ი-ლ (II ჳვან-ვაჭად-ასა-ულ): ჳვან-ვაჭად-ი-ლ რუჟ „წყეულის სახლი“³, მიც. ჳვან-ვაჭად ი-დე და ა. შ.; ასევე: ებელ-ხ ვად (ებელ „დედა“, ხვად „დე, მოკვდეს!“), ერგ. ებელ-ხ ვად -ი-ცაა...¹

ლ'იმალ ჳაჭად -ი-ცაა (ერგ. ბრ.) ბიცანა ჳაბ ხაბარ „მან, ვისიც ბავშვები დე, ჳანმრთელი იყვენ, მიაბზო ეს ამბავი“...⁴

შენი შენა. შესაძლოა ასევე იყოს ნაწარმოები ჳოგი ნაზმნარი სახელი, როგორცაა: ვ-ატხად „სიმამრი“, დ-ატხად „სიდედრი“ (შდრ. ბ-ატხინე „მოწონება“, ბ-ოტხინე „სიყვარული“)... ბ-ა-წად-„წმინდა“, „სუფთა“ (შდრ. ბ-აწინე „გაწმენდა“, „გასუფთავება“)...⁵ ბ-ორხათ- ბ-ორხად „მაღალი“ (შდრ. ბ-ორხინე „აწვევა“)...

¹ გვ. 147, § 136.

² ეს მაგალითები მ. საიდოვს ეკუთვნის; მ. საიდოვი წერს: „

...
...
...“ (იხ.
... II, 1954, გვ. 110).

³ გვ. 56-57, § 50.

...
... „un va nu – pieds“ (იქვე).

⁴ მაგალითი მ. საიდოვისაა (.
... II, გვ. 110).

⁵ როგორც ამას ვარაუდობს ა. ბოკარიოვი (. გვ. 159).

ბ) ნამყო პირობითი:

ყოტანა „გაჭრა“ — ყოტანა¹-ნი „თუ გაჭრა“, „თუ გაჭრის“, ასევე: ბაქანა „დაანთო“ — ბაქანა¹-ნი, ვუკანა „იყო“ — ვუკანა¹-ნი, ქვანანა „ჭამა“ — ქვანანა¹-ნი, ტჷუნა „მისცა“ — ტჷუნა¹-ნი, ვაჭანა „მოვიდა“ — ვაჭანა¹-ნი...

პირობითისაგან, თავის მხრივ, იწარმოება **-გი** (= ქართ. „-ც“) ნაწილაკის მეშვეობით დათმობითის ფორმა („თუმცა გაჭრა“, *ზედმიწ.* „თუ გაჭრა-და“...); ამრიგად:

გ) (ნამყო) პირობითი დათმობითი:

(ყოტანა „გაჭრა“) ყოტანა¹-ნი „თუ გაჭრა“ ყოტანა¹-ნი-გი „თუმცა გაჭრა“ (*ზედმიწ.* „თუ გაჭრა-და“), (ვაჭანა „მოვიდა“ ვაჭანა¹-ნი „თუ მოვიდა“ ვაჭანა¹-ნი-გი „თუმცა მოვიდა“ (*ზედმიწ.* „თუ მოვიდა-და“), (ტჷუნა „მისცა“) ტჷუნა¹-ნი „თუ მისცა“ ტჷუნა¹-ნი-გი „თუმცა მისცა“ (*ზედმიწ.* „თუ მისცა-და“)...

4) **ბრძანებითისაგან** (II პ.) **ნაწარმოები ფორმები**. ბრძანებითის (II პ.) ფორმისაგან იწარმოება ორი სხვადასხვა ფორმა კავშირებითი კილოს მნიშვნელობით. პირველს აწარმოებს ნაწილაკი **-გი** (= ქართ. „-ც“), მეორეს — კლას-ნიშნებისა და მრავლ. რიცხვის ნიშნის შემცველი სუფიქსები: **-აგ**, **-აფ**, **-აბ**, **-ალ** (ე. ი. იგივე სუფიქსები, რაც ზედსართავ სახელს აფორმებს). ამ სუფიქსების წინ და ბრძანებითის ნიშნის (ხმოვნის) შემდეგ ჩაერთვის **ჲ** (ხმოვანთგასაყარად).

ა) ბრძანებითი (II პ.) კავშირებითი I:

ყოტ-ე „გაჭერ!“ — ყოტე-გი „დე გაჭრას“ („გაჭრა-მცა“), ჰაბე „გააკეთე!“ — ჰაბე-გი „დე, გააკეთოს!“, ვაჭ-ა „მოლი!“ — ვაჭა-გი „დე, მოვიდეს!“, ვუკა „იყავ!“ — ვუკა-გი „დე, იყოს!“, ვვა-ფ „დაწერე!“ — ვვა-გი „დე, დაწეროს!“, ტჷოლო-ფ „შეკაზმე (ცხენი)!“ — ტჷოლო-გი „დე, შეკაზმოს!“...

ბ) ბრძანებითი (II პ.) კავშირებითი II:

ყოტ-ე „გაჭერ!“ — ყოტე-ფ-აბ¹, ჰაბე „გააკეთე!“ — ჰაბე-ფ-აბ, ბუკ-ა „იყავ!“ — ბუკა-ფ-აბ, ვამე „მოიტაცე!“ — ვამე-ფ-აბ...

¹ სიმარტივისათვის მოგვყავს III კლასის ნიშნით (-ბ).

შენიშვნა. ზოგჯერ ბრძანებითი მისგან ნაწარმოებ კავშირებითის ფორმებში საწარმოებელ ნიშანს იცვლის (-**ე**-ს ნაცვლად -**ა**-ს გამოავლენს); შდრ.: ტამ-**ე** „დაფინე!“ — ტამ-**ა**-**ა**-**ა**, ტავაჰ-**ე** „ტყორცნე!“ — ტავაჰ-**ა**-**ა**-**ა**, თ-**ე** „დატოვე!“ — თა-**ა**-**ა**, თ-**ა**-**გი** (მაგრამ: ტ-**ე** „მიეცე!“ — ტ-**ე**-**ა**-**ა**, ტ-**ე**-**გი**...).

შეიძლება ამის მიზეზი ის იყოს, რომ სათანადო შემთხვევებში შესაბამის ზმნას გარდაუვალი მნიშვნელობა აქვს (§159).

კავშირებითის ფორმებს დართული კლას-ნიშანი და რიცხვის ნიშანი იცვლება ზმნის რეალური სუბიექტის შესაბამისად (იმისდა მიუხედავად, თუ რა ბრუნვაშია რეალური სუბიექტი და გარდაუვალია თუ გარდამავალი ზმნა). მაგალითები:

მუნ (ვას) როყოვ ვუკა-**ა**-**ა**ვ „დე, შენ (ვაყო) სახლში იყო!“ (დო-ვ როყოვ ვუკა-**ა**-**ა**ვ „დე, ის სახლში იყოს!“), მუნ (ვას) როყოფ დიკა-**ა**-**ა**ვ „დე, შენ (ქალო) სახლში იყო!“... ნუჟ როყორ რუკა-**ა**-**ა**ლ „დე, თქვენ სახლში იყოთ!“

ლუდა ფირი რეჭა-**ა**-**ა**ვ „მეხი დაგეცეს შენ!“ (*წყევლა*)... — შდრ. ნოჟოდა ფირი რეჭა-**ა**-**ა**ლ „მეხი დაგეცეს თქვენ!“... მუნ ალლაჰასა ვოხაუნ თა-**ა**-**ა**ვ „შენ გაგახარა ღმერთმა!“ (*ზედმიწ*. „შენ ღმერთმა გაგახარა რა, დარჩი!“)¹... — შდრ.: ნუჟ ალლაჰასა როხაუნ თა-**ა**-**ა**ლ „თქვენ გაგახარათ ღმერთმა!“.

იგივე ფორმა მსაზღვრელის როლშიც გვევლინება (შესაბამისი ნიუანსით): ბუჭა-**ა**-**ა**ვ ყო „დაწყევლილი (*ზედმიწ*. დასაწვავი) ღდე“².

5) **ინფინიტივის** ფორმაზე **-ინ** ნაწილაკის დართვით იწარმოება ბრძანებითი I პ. (*მრ. რ.*); **-ინ** ნაწილაკის დართვა ინფინიტივის ფორმის ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცას იწვევს:

ყოტიზე „გაჭრა“ — ყოტიზ-**ინ** „გაჭრათ!“, ჰაბიზე „კეთება“ — ჰაბიზ-**ინ** „გავაკეთოთ!“, ტეზე „მიცემა“ — ტეზ-**ინ** „მივცეთ!“ და ა. შ.

§ 164. შენიშვნა მარტივ ნაწარმოებ ფორმათა საწარმოებელ სუფიქსთა შესახებ. როგორც ნაწარმოებ ფორმათა ამოსავალ ფორმებთან მიმართებით განხილვა გვიჩვენებს, საწარმოებელ სუფიქსებად ასეთ ფორმებს უმთავრესად ნაწილაკები აქვთ გამოყენებული; შდრ.:

¹ „გვ. 213.

² „გვ. 242.

ამოსავალი ფორმები	ნაწარმოები ფორმები	მაწარმოებლები
აწმყო	აბსოლუტ. აწმ.	-გო
	ნამყო უსრ.	-ან
მყოფადი	პირობით-შედეგობ. (ნამყოფადარი ნამ. უსრ.)	-ან
	პირობითი	-ნი
ნამყო	დათმობითი	-ნი-გი
	ნატვრითი	-დ
ბრძანებ. II პ.	კავშირებითი I	-გი
	კავშირებითი II	-აბ
ინფინიტივი	ბრძანებითი I პ.	-ინ

აქ საწარმოებელი სუფიქსები, ორის გარდა (ესენია: **-დ** [რომელიც დამოუკიდებელი აფიქსია და, როგორც ჩანს, ძველიც] და **-აბ** [წარმოშობით ზედსართაული სუფიქსი]), ყველა ნაწილაკია; ესენია: **-გო**, **-ან** (რომელიც აწმყოსაც დაერთვის და მყოფადსაც), **-ნი**, **-გი**, **ნი-გი**, **-ინ**.

ნაწილაკივანი წარმოება არსებითად არ ქმნის განსხვავებულ მორფოლოგიურ წარმოებას (როგორსაც ფუძეს დართული აფიქსი იძლევა): ნაწილაკი მზამზარეულ ფორმას დაერთვის და გარკვეული ნიუანსი შეაქვს მის მნიშვნელობაში.

ასე ერთი და იმავე **-ან** ნაწილაკიანი ყოტულა-ან „ჭრიდა“ (შდრ. ყოტულა „ჭრის“) და ყოტილა-ან „გაჭრიდა“ (შდრ. ყოტილა „გაჭრის“) არსებითად იმავე აწმყოსა და მყოფადის ფორმებია თავისი შინაარსით ნამყოში გადატანილი (ნამყოსთან შეგუებული)¹.

ასევე, ყოტა^{ნა}-ნი „თუ გაჭრის“ (შდრ. ყოტანა „გაჭრა“) იგივე ნამყოა რთული წინადადების ასაგებად (შდრ. ქართ. „გაჭრა“ — „თუ გაჭრა...“); ტყე-გი „დე, მისცეს!“ (შდრ. ტყე „მიეცე!“) იგივე ბრძანებითის ფორმაა, რომელსაც **-გი** ნაწილაკი (= ქართ. „-ც“) კავშირებითის მნიშვნელობას ანიჭებს (შდრ. პრინციპულად ანალოგიური წარმოება კავშირებითი კილოსი „**-მცა**“ ნაწილაკით ძვ. ქართულში) და ა. შ.

§ 165. მასდარი. მასდარის ფორმა შესაბამისია ინფინიტივის ფორმისა. 1) **-ზე** დაბოლოების მქონე ინფინიტივისაგან რომ მასდარი მივიღოთ, საჭიროა ეს დაბოლოება ინფინიტივის ფორმას მთლიანად ჩამოვაშოროთ და ა) თუ ფუძესთან **ი** ან **ე** თემატური ხმოვნები აღმოჩნდა, მას-

¹ შდრ. . . . , . . . გვ. 108.

დარის ნიშნებიც ეს იქნება, ხოლო ბ) თუ ასეთი ხმოვნები არ აღმოჩნდა (როცა ფუძე ბოლოხმოვნია), მაშინ მასდარის ნიშნად ფუძეს დაერთვის **-ა** (**ო**); 2) **-ნე** დაბოლოებიანი ინფინიტივისაგან რომ მასდარი მივიღოთ, საჭიროა ინფინიტივის ფორმას ჩამოვაშოროთ არა ეს დაბოლოება მთლიანად, არამედ მისი ბოლოკიდური ხმოვანი (**ე**) და ასეთ შემთხვევაში მასდარის ნიშნებად დაგვრჩება: **-ი-ნ**, **-ე-ნ** (შესაბამისად თემატური ხმოვნებისა; შდრ. ზემოთ: **-ზე** დაბოლოებიანი ინფინიტივისაგან ნაწარმოები მასდარის ნიშნებად: **-ი**, **-ე**). ამრიგად:

A) ბოლოთანხმოვნიანი ფუძეები:

ა) ინფინიტივი **-ი-ზე** — მასდარი **-ი**:

ყოტ-ი-ზე „ჭრა“ — ყოტ-ი, ჰაბ-ი-ზე „კეთება“ — ჰაბ-ი, ბაქ-ი-ზე „დანთება“ — ბაქ-ი, ბოს-ი-ზე „აღება“, „ყიდვა“ — ბოს-ი, ბიჩ-ი-ზე „გაყიდვა“ — ბიჩ-ი, ჰალტ-ი-ზე „მუშაობა“ — ჰალტ-ი, ჰარ-ი-ზე „თხოვნა“ — ჰარ-ი, ტიჟ-ი-ზე „ძილი“ — ტიჟ-ი, ბექ-ი-ზე „გატეხა“, „გატყდომა“ — ბექ-ი, ბეცა-ი-ზე „ქება“ — ბეცა-ი, წაალ-ი-ზე „სწავლა“, „წაკითხვა“ — წაალ-ი, ჰიყ-ი-ზე „შეკითხვა“ — ჰიყ-ი...

ბ) ინფინიტივი **-ე-ზე** — მასდარი **-ე**:

ლ'ედ-ე-ზე „ცურვა“ — ლ'ედ-ე, ჰეყ-ე-ზე „დაღევა“, „სმა“ — ჰეყ-ე, ყეჩ-ე-ზე „მოწყურება“ — ყეჩ-ე, აჰტ-ე-ზე „ყვირილი“ — აჰტ-ე, ტე-ე-ზე „მიცემა“ — ტე-ე, წე-ე-ზე „ავსება“ — წე-ე, ქეგ-ე-ზე „დაჭერა“ — ქეგ-ე...

შენიშვნა. **-ე** ნიშნიანმა მასდარის ფორმებმა შეიძლება დაირთოს **-ა** (**-ო**) და გვქონდეს პარალელური ფორმები: ლ'ედ-ე || ლ'ედ-ე-ა, ჰეყ-ე || ჰეყ-ე-ა, ყეჩ-ე || ყეჩ-ე-ა... ტე-ე || ტე-ე-ა, წე-ე || წე-ე-ა და ა. შ. (მ. საიდოვს მხოლოდ **-ე** ნიშნიანი ფორმები მოჰყავს¹. პ. უსლარი გარკვეულ ზმნებში პარალელურ ფორმათა შესაძლებლობაზე მიუთითებს: წე-ე || წე-ე-ი, ტე-ე || ტე-ე-ი... მაგრამ: აჰტე...²). **-ა** (პ. უსლარით: **-ო** — წინამავალი ხმოვანთგასაყართ [-**ა** **-ო**]) **-ე** თემატურ ხმოვნიან მასდარის ფორმებში გვიან დართული ჩანს (ეს წარმოების უნიფიკაციის ტენდენციას შეიძლება გამოეწვიოს).

1 I. . . გვ. 109.
2 გვ. 194, § 168.

გ) ინფინიტივი **-ი-ნე** — მასდარი **-ი-ნ**:

ბაჭ-ი-ნე „მოსვლა“ — ბაჭ-ი-ნ, ბუკ-ი-ნე „ყოფნა“ — ბუკ-ი-ნ, ბახ-ი-ნე „ასვლა“ — ბახ-ი-ნ, ი-ნე „წასვლა“ — ი-ნ, ლ'უჰ-ი-ნე „შესვლა“ — ლ'უჰ-ი-ნ, რეტ-ი-ნე „ჩაცმა“ — რეტ-ი-ნ, ბორჟ-ი-ნე „ფრენა“ — ბორჟ-ი-ნ, ბუსა-ი-ნე „დაბრუნება“ — ბუსა-ი-ნ, ქვ-ი-ნე „შეჭმა“ — ქვ-ი-ნ...

დ) ინფინიტივი **-ე-ნე** — მასდარი **-ე-ნ**:

კოჩ-ე-ნე „დავიწყება“ — კოჩ-ე-ნ, რელ'ე-ნე „დამსგავსება“ — რელ'ე-ნ.

B) ბოლოხმოვნისანი ფუძეები

ინფინიტივი **-ზე** (|| -ე-ზე) — მასდარი **-ი**:

ქვანა-ზე „ჭამა“ — ქვანა-ი, კალ'ა-ზე „ლაპარაკი“ — კალ'ა-ი, ლ'ა-ზე „ცოდნა“ — ლ'ა-ი, ჭვა-ზე „მოკვლა“ — ჭვა-ი, ვვა-ზე „წერა“ — ვვა-ი, ყაჭა-ზე „მომზადება“, „მორთვა“ — ყაჭა-ი, ტოლო-ზე „შეკაზმვა (ცხენისა)“ — ტოლო-ი, წორო-ზე „გაყინვა“ — წორო-ი, ფუ-¹ზე „შებენა“ — ფუ-ი, წუ-ზე „წურვა“ — წუ-ი...

ამრიგად, ინფინიტივისა და მასდარის საწარმოებელ ფორმანტთა შეფარდება ასეთია:

ინფინიტივი

მასდარი

1) ბოლოთანხმოვნისანი ფუძეებთან:

-ი-ზე	-ი
-ე-ზე	-ე-¹ი
-ი-ნე	-ი-ნ
-ე-ნე	-ე-ნ

2) ბოლოხმოვნისანი ფუძეებთან:

-ზე (- ¹ ზე)	-ი (-ი)
--------------------------------	------------------

§ 166. მასდარის ზმნური და სახელური ნიშნები. ზმნური ნიშნებიდან მასდარს (ისევე, როგორც ინფინიტივს) ახასიათებს გრამატიკული კლასისა და რიცხვის კატეგორიები და, აგრეთვე, გარდამავლობის კატეგორია. მას შეუძლია ისევე იცვალოს გრამატიკული კლასებისა და რიცხვის მიხედვით (შესაბამისად სუბიექტ-ობიექტის კლასისა და რიცხვისა), როგორც ზმნას, რომლისაგანაც იგი ნაწარმოებია; მასთან, სინტაქსური კონსტრუქციაც ამოსავალი ზმნისა (სუბიექტ-ობიექტის ბრუნვითა მიხედვით) მასდართანაც უცვლელი რჩება; შდრ.:

ა) გარდაუვალი ზმნა

ვაცო ვ-აჭანა „ძმა მოვიდა“, დაცო დ-აჭანა „და მოვიდა“, ჩუ ბ-აჭანა „ცხენი მოვიდა“, ვაცაალ რ-აჭანა „ძმები მოვიდნენ“ — მსდ.: ვაცო ვ-აჭინ „ძმა¹ მოსვლა“, დაცო დ-აჭინ „და მოსვლა“, ჩუ ბ-აჭინ „ცხენი მოსვლა“, ვაცაალ რ-აჭინ „ძმები მოსვლა“...

ბ) გარდამავალი ზმნა

ინსაუცა ვას ვ-ეცაანა „მამამ ვაჟიშვილი აქო“, ინსაუცა დას დ-ეცაანა „მამამ ქალიშვილი აქო“, ინსაუცა ვასალ რ-ეცაანა „მამამ ვაჟიშვილები აქო“... — მსდ.: ინსაუცა ვას ვ-ეცოი „მამამ ვაჟი ქება“, ინსაუცა დას დ-ეცოი „მამამ ქალიშვილი ქება“, ინსაუცა ჩუ ბ-ეცოი „მამამ ცხენი ქება“, ინსაუცა ვასალ რეცოი „მამამ ვაჟიშვილები ქება“...²

ასევე უცვლელად შერჩება კლასისა და რიცხვის აღნიშვნის წესი (და შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციაც) პოსესიური, დატიური და ლოკატიური კონსტრუქციის ზმნებისაგან ნაწარმოებ მასდარსაც (შდრ.: ინსაულ ჩუ ბ-უკუნა „მამას [ზედმიწ. მამის] ცხენი ჰყავს“ (ზედმიწ. არის)“ — მსდ. ინსაულ ჩუ ბ-უკინ; ინსაუდე ვას ვ-ოტჸულა „მამას ვაჟიშვილი უყვარს“ — მსდ. ინსაუდე ვას ვ-ოტჸი... ინსაულა ჩუ ბ-ათანა „მამამ [ზედმიწ. მამისდა] ცხენი იპოვა“ — მსდ. ინსაულა ჩუ ბ-ათი³.

შენიშვნა. გასუბსტანტივებული მასდარი არსებითი სახელის შესაბამისი სინტაქსურ კონსტრუქციას მოგვცემს; შდრ.: **დოვ** კალ'ად „მისი (ზედმიწ. ის) ლაპარაკი“ (ისევე, როგორც: **დოვ** კალ'ალა „ის ლაპარაკობს“) — გასუბსტ. მსდ. **დოსაულ** კალ'ად „მისი ლაპარაკი, სიტყვა“ (ისევე, როგორც: **დოსაულ** ვაცო „მისი ძმა“)⁴.

¹ თარგმანი ზედმიწევნითია. თავისუფალი თარგმანი იქნებოდა: „**ძმის** მოსვლა“...

² თარგმანი აქაც ზედმიწევნითია, თავისუფალი თარგმანით იქნებოდა: „მამის მიერ ვაჟიშვილის ქება“ და ა. შ.

³ მასდარის თვისება, რომ შეინარჩუნოს შესაბამისი ზმნური კონსტრუქცია, დამახასიათებელია დაღესტნის სხვა ენებისათვისაც (იხ. ვლ. ფანჩვიძე, ნაზმნარი სახელის მიერ სახელის მართვა ბრუნვაში უღლურ ენაში, იკე, XII, 1961).

⁴ პ. უსლარი განაზავს შინაარსობლივ განსხვავებას; ერთმანეთს უღარებს რა ამ მხრივ მასდარის სხვადასხვა კონსტრუქციებს (**დურ** ვუკინ „**შენი** ყოფნა“ და **მუნ** ვუკინ „**შენ** ყოფნა“), პ. უსლარი წერს: „დიდე ბოტჸულა დურ ლ'იკ ვუკინ — () (). დიდე ბოტჸულა მუნ ლ'იკ ვუკინ —

“ (. გვ. 151-152). განსხვავება, ცხადია, იმაში მდგომარეობს, რომ პირველ შემთხვევაში მასდარი გასუბსტანტივებულია (**დურ** ლ'იკ ვუკინ „**შენი** კარგად ყოფნა“), ხოლო მეორეში — არა (**მუნ** ლ'იკ ვუკინ „**შენ** კარგად ყოფნა“; შდრ. **მუნ** ლ'იკ ვუკუნა „**შენ** კარგად ხარ“).

გარდა იმისა, რომ მასდარი იუღვლის გრამატიკული კლასისა და რიცხვის მიხედვით (ისევე, როგორც შესაბამისი ზმნა), იგი შეიძლება ვაბრუნოთ (იხ. ქვ.).

წინადადებაში მასდარი გამოიყენება, როგორც არსებითი სახელი (შეუძლია გამოხატოს ქვემდებარე, დამატება, ნათესაობითი ბრუნვის ფორმით — განსაზღვრება...).

მასდარი, როგორც არსებითი სახელი, განეკუთვნება III გრამატიკულ კლასს (იმისდა მიუხედავად, თუ ზმნიდან რა კლასის ნიშანი აქვს მას გადმოყოლილი).

იბრუნვის მასდარი არსებით სახელთა ბრუნების მეორე ტიპის მიხედვით (-აღ დაბოლოებით ერგატივში):

სახ. ჰაბი „კეთება“ — ერგ. ჰაბი-ღ-აღ, ნათ. ჰაბი-ღ-აღ-ულ, მიც. ჰაბი-ღ-აღ-ე...

სახ. ვ-აჭინ (ღ-აჭინ, ბ-აჭინ რ-აჭინ) „მოსვლა“ — ერგ. ვაჭინაღ (ღ-აჭინ-აღ, ბ-აჭინ-აღ, რ-აჭინ-აღ) და ა. შ.; მრავლობითი რიცხვის ბრუნვის ფორმები მასდარს არა აქვს (თუ ის გასუბსტანტივებული არაა).

შენიშვნა. გასუბსტანტივებული მასდარი შეიძლება ვაბრუნოთ მესამე ტიპის მიხედვითაც (ერგატივში -ცა დაბოლოებით); შდრ.: ჰალტი „მუშაობა“, ერგ. ჰალტი-ღ-აღ... — გასუბსტ. მასდ. ჰალტი „მუშაობა“, „საქმე“, ერგ. ჰალტ-უ-ცა (|| ჰალტი-ღ-აღ)...¹.

§ 167. ინფინიტივისა და მასდარის ისტორიული ურთიერთობისათვის. როგორც მასდარისა და ინფინიტივის ფორმათა შეპირისპირებიდან ჩანს, მასდარის ფორმა უფრო სადაა, ვინემ ინფინიტივისა. ინფინიტივის ფორმა მთლიანად მოიცავს მასდარისას, როცა ამ უკანასკნელს -ი-ნ, -ე-ნ სუფიქსები აქვს და მაშინაც, როცა -ი, -ე სუფიქსები აქვს. გამონაკლისს შეადგენს ბოლოხმოვნიან ფუძეებთან მასდარის ნიშნად -ღ (-ი), რომელიც ინფინიტივის ფორმაში ჩვეულებრივ არა გვაქვს (ინფ. კალ'ა-ზე „ლაპარაკი“ — მასდ. კალ'ა-ღ...). განსხვავება ამ მხრივ ინფინიტივსა და მასდარს შორის მეორეულია: სათანადო შემთხვევებში ძველად ინფინიტივშიც უნდა გვქონოდა იგივე ღ (ბოლოხმოვნიან ფუძესა და -ზე დაბოლოებას შორის). ამის მაგალითები ზოგჯერ შეუძლებელი არ არის ამჟამადაც გვქონდეს (ფუ-ზე || ფუ-ღ-ზე „ბერვა“... — იხ. § 153).

როგორც ამას რიგი ენის ისტორია მოწმობს, ინფინიტივი წარმოშობით შეიძლება იყოს ამა თუ იმ ბრუნვის, კერძოდ, მიცემითის ფორმა (შდრ. მაგალ., რუსულ ენაში). ხუნძურშიც ამ მხრივ ყურადღებას მიიქცევს ინფინიტივისა და მიცემითი ბრუნვის ფორმათა მსგავსება (შდრ.: ბა-

¹ შდრ. გვ. 49, § 46.

ჭინე „მოსვლა“, ჰაბიზე „კეთება“... — განჭიდე „ქვას“, განჭაზე „ქვებს“...¹. თუ ინფინიტივი მიცემითი ბრუნვის გაქვავებული ფორმაა, იგი იქნება, ცხადია, მასდარის („მოქმედების სახელის“) მიცემითის ფორმა. ის მნიშვნელობა, რასაც ინფინიტივი გამოხატავს, ყველაზე ახლოსაა მიცემითი ბრუნვის მნიშვნელობასთან; შდრ.: წულ ყოტიზე ანა დოვ „შემის საჭრელად (ზედმიწ. ძვ. ქართ. შეშა ჰრად) წავიდა ის“ — ჰელ'იდე ანა დოვ „ამისთვის (ზედმიწ. ამას) წავიდა ის“... (მიცემითი ბრუნვა ხუნძურში იმასაც გამოხატავს, რასაც ქართულში — „თვის“-თანდებულიანი ფორმა, — დაწინულებას, მიზანს).

ამრიგად, ინფინიტივისათვის ამოსავალია მასდარი. მაგრამ რას არის ამოსავალი თვით მასდარისათვის (როგორც ნაზმნარი სახელისათვის)?

ჩვენ ვნახეთ (§ 156), რომ ინფინიტივსა და მყოფადს საერთო თემატიური ხმოვნები აქვთ (განსხვავებას მათ შორის მხოლოდ დაბოლოებები ქმნიან); ამავე დროს, როგორც მასდარისა და ინფინიტივის ფორმათა შეპირისპირება არკვევს, იგივე ხმოვნები მასდარის ფორმებშიც გვაქვს. თუ ინფინიტივი მასდარისაგან არის ნაწარმოები, ეს ხმოვნები ინფინიტივში, ცხადია, მასდარისეული იქნება, ხოლო მასდარში (როგორც ნაზმნარ სახელში) — ამოსავალი ზმნური ფუძის კუთვნილება, კერძოდ, იმ ფუძისა (თემისა), რომელიც — ამჟამად — მყოფადის ფორმაში (სამზრ.-ხუნძ. აწმყოფ ფორმაში — § 162) დაჩნდება.

ამრიგად, წარმოების მიხედვით ინფინიტივი ზმნას მასდარის მეშვეობით უკავშირდება: ზმნისაგან უშუალოდ მასდარი იწარმოება, ამ უკანასკნელისაგან — ინფინიტივი².

§ 168. მიმღეობა. მიმღეობა ნაზმნარი ზედსართავი სახელია და მას აქვს კატეგორიები ზმნისაც (გრამატიკული კლასისა, რიცხვისა და დროის კატეგორიები) და სახელისაც, კერძოდ, ზედსართავი სახელისა (გრამატიკული კლასისა, რიცხვისა და ბრუნვის კატეგორიები).

გრამატიკული კლასი და რიცხვი მიმღეობაში. გრამატიკული კლასისა და რიცხვის კატეგორიები შეადგენს მიმღეობის, როგორც ზმნურ, ისე სახელურ ნიშნებს. მაგრამ ეს საერთო კატეგორიები ზმნისა და ზედსართავი სახელისა მიმღეობაში სხვადასხვაგვარ გამოხატულებას პოვენს (ისევე, როგორც თვით ზმნისა და ზედსართავ სახელში).

¹ გვ. 46, § 26; შდრ. დაღესტნის სხვა ენებში: ლაკურში: ბიკან „ყოფნა“ (ინფინიტ.) — ჰირან „კედელს“ (მიცემ. ბრ.), დარგულში: ბარეს „კეთება“ — ადამლის „კაცს“, ტაბასარანულში: აბუზ „კეთება“ — ბალიზ „ბიჭს“... (ამის შესახებ: 1948, გვ. 62).

² შდრ. ქართულში: ა-შზნ-ებს- მასდ. შზნ-ებს-ა- ინფინიტ. შზნ-ებს-ად...

ზმნაში, როგორც ვიცით, კლას-ნიშანი და რიცხვის ნიშანი (რომელიც ისტორიულად იგივე კლას-ნიშანია) პრეფიქსად გვაქვს და მიუთითებენ ან რეალურ სუბიექტზე (როცა ზმნა გარდაუვალია) ან რეალურ ობიექტზე (როცა ზმნა გარდამავალია). ასევეა მიმღეობაშიც: სათანადო კლას-ნიშანი და რიცხვის ნიშანი ზმნას გაჰყვება მიმღეობაშიც უცვლელი მიმართებით სუბიექტ-ობიექტთან. მიმღეობას კი, როგორც მსაზღვრელ სახელს (ზედსართავის როლში), კლასის და რიცხვის ნიშნები სუფიქსებად დაერთვის და ეს ნიშნები მიუთითებენ საზღვრულ სახელზე. ამიტომაც, მიმღეობაში კლასისა და რიცხვის ნიშნები სუფიქსებად ყოველთვის გვაქვს იმისდა მიუხედავად, ამოსავალია კლას-ნიშნისანი თუ უკლას-ნიშნო ზმნა, ხოლო იგივე ნიშნები პრეფიქსებად მხოლოდ მაშინ გვექნება, როცა ამოსავალია ასეთი ნიშნების მქონე ზმნა (ე. ი. კლას-ნიშნისანი ზმნა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მიმღეობის ფორმაში კლას-ნიშნები პრეფიქსად (ზმნური) და სუფიქსად (ზედსართავი) ერთი და იგივეა (**გ, ა, ბ**), მაგრამ სხვადასხვაა მრავლ. რიცხვის ნიშანი: პრეფიქსად გვაქვს **რ-** (ისევე, როგორც ზმნაში), ხოლო სუფიქსად — **-ლ** (ისევე, როგორც ზედსართავ სახელში).

კლას-ნიშნისანი ზმნისაგან ნაწარმოებ მიმღეობაში პრეფიქსული (ზმნური) და სუფიქსური (ზედსართავი) კლას-ნიშნებისა და რიცხვის ნიშნების ყველა შესაძლო კომბინაციას 16 განსხვავებული ფორმა შეუძლია მოგვცეს (ოთხი განსხვავებული პრეფიქსისა [**გ-**, **ა-**, **ბ-**; **რ-**] და ამდენივე სუფიქსის [**-გ**, **-ა**, **-ბ**; **-ლ**] სხვადასხვა შეხამებით)¹. სანამუშოდ მოვიყვანოთ ბ-ეცაიზე „ქება“ ზმნის აწმყოს მიმღეობის ფორმები (ნამყოსა და მყოფადის მიმღეობის ფორმებიც ამდენსავე ვარიანტს მოგვცემს):

1. ემენ **ვეცაულევ** ვას
„მამის (ზედმიწ. მამა) მაქებარი ვაჟი“
2. ემენ **ვეცაულეა** დას
„მამის (ზედმიწ. მამა) მაქებარი ქალი“
3. ემენ **ვეცაულებ** ლ'იმერ
„მამის (ზედმიწ. მამა) მაქებარი ბავშვი“
4. ემენ **ვეცაულელ** ვასალ
„მამის (ზედმიწ. მამა) მაქებარი ვაჟები“

¹ არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, პოლიპერსონალიზმის საკითხი ხუნძურში ერგატიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებით, ენიმკის მოამბე, X, 1941, გვ. 64.

5. ებელ **მეცაულევ** ვას
„დელის (ზედმიწ. დედა) მაქებარი ვაჟი“
6. ებელ **მეცაულეფ** მას
„დელის (ზედმიწ. დედა) მაქებარი ქალი“
7. ებელ **მეცაულეზ** ლ'იმერ
„დელის (ზედმიწ. დედა) მაქებარი ბავშვი“
8. ებელ **მეცაულელ** ვასალ
„დელის (ზედმიწ. დედა) მაქებარი ვაჟები“

9. ჩუ **ბეცაულევ** ვას
„ცხენის (ზედმიწ. ცხენი) მაქებარი ვაჟი“
10. ჩუ **ბეცაულეფ** მას
„ცხენის (ზედმიწ. ცხენი) მაქებარი ქალი“
11. ჩუ **ბეცაულეზ** ლ'იმერ
„ცხენის (ზედმიწ. ცხენი) მაქებარი ბავშვი“
12. ჩუ **ბეცაულელ** ვასალ
„ცხენის (ზედმიწ. ცხენი) მაქებარი ვაჟები“

13. ჩუდალ **რეცაულევ** ვას
„ცხენების (ზედმიწ. ცხენები) მაქებარი ვაჟი“
14. ჩუდალ **რეცაულეფ** მას
„ცხენების (ზედმიწ. ცხენები) მაქებარი ქალი“
15. ჩუდალ **რეცაულეზ** ლ'იმერ
„ცხენების (ზედმიწ. ცხენები) მაქებარი ბავშვი“
16. ჩუდალ **რეცაულელ** ვასალ
„ცხენების (ზედმიწ. ცხენები) მაქებარი ვაჟები“

ბ-ეცაოზე „ქება“, რომლის მიმღეობის კლასისა და რიცხვის ფორმებია ზემოთ მოყვანილი (პრეფიქს-სუფიქსთა ყველა შესაძლო შეხამებით), ობიექტური უღვლილების ზმნაა.

რომ ავიღოთ სუბიექტური უღვლილების — გარდაუვალი — ზმნა (კლას-ნიშნინანი), მის მიმღეობაშიც აგრეთვე შესაძლებელი აღმოჩნდება ზმნური (პრეფიქსული) ზედსართაული (სუფიქსური) კლასისა და რიცხვის ნიშანთა სხვადასხვა კომბინაცია (რამდენადაც ამას აიტანს თვით მიმღეობის, როგორც მსაზღვრელი სახელის, შინაარსი); შდრ: ვაცა **გ**-ეგულე-**ბ** ბოსენ „ძმის (ზედმიწ. ძმა) საწოლი ლოგინი“, მაცა **ფ**-ეგულე-**ბ** ბოსენ „დის (ზედმიწ. და) საწოლი ლოგინი“, ლ'იმერ **ბ**-ეგულე-**ბ** ბოსენ „ბავშვის (ზედმიწ. ბავშვი) საწოლი ლოგინი“, ვაცალ **რ**-ეგულე-**ბ** ბოსენ „ძმების (ზედმიწ. ძმები) საწოლი ლოგინი“; ვაცა **ვ**-ეგულე-**ლ** ბოსაბი „ძმის (ზედმიწ. ძმა) საწოლი ლოგინები“, მაცა **ფ**-ეგულე-**ლ** ბოსაბი „დის (ზედმიწ. და) საწოლი ლოგინე-

ბი“, ლ’იმერ **ბ**-ეგულე-ლ ბოსაბი ბავშვის (*ზედმიწ.* ბავშვი) საწოლი ლოგინები“, ლ’იმალ **რ**-ეგულე-ლ ბოსაბი ბავშვების (*ზედმიწ.* ბავშვები) საწოლი ლოგინები“... აქ მოყვანილ მაგალითებში მიმღეობასთან საზღვრულად III კლასის სახელი გვაქვს მხოლოდობითა და მრავლობითში (ბოსენ, ბოსაბი); იმავე მიმღეობასთან რომ შინაარსობლივ ასატანი იყოს საზღვრულის როლში სხვა კლასის სახელებიც, მაშინ მიმღეობის ფორმათა რაოდენობა შესაბამისად გაიზრდებოდა. შდრ. აგრეთვე: ვაცა **ვ**-აჭარა-ბ მეხა „მმის (*ზედმიწ.* ძმა) მოსვლის დრო“ (ვაცა **ვ**-აჭარა-ბ მეხალა დოვ ანა „მმის მოსვლის დროს ის წავიდა“...), დაცა **დ**-აჭარა-ბ მეხა „დის (*ზედმიწ.* და) მოსვლის დრო“ და ა. შ.; ემენ **ვ**-უგე-ვ ვას „მამის (*ზედმიწ.* მამა) მყოლი ვაჟიშვილი“ (ე. ი. ვაჟიშვილი, რომელსაც მამა ჰყავს), ემენ **ვ**-უგე-დ მას „მამის (*ზედმიწ.* მამა) მყოლი ქალიშვილი“, ემენ **ვ**-უგე-ბ ლ’იმერ „მამის (*ზედმიწ.* მამა) მყოლი ბავშვი“, ემენ **ვ**-უგე-ლ ლ’იმალ „მამის (*ზედმიწ.* მამა) მყოლი ბავშვები“, ებელ **დ**-იგე-დ მას „დედის (*ზედმიწ.* დედა) მყოლი ქალიშვილი“, ებელ **დ**-იგე-ვ ვას „დედის (*ზედმიწ.* დედა) მყოლი ვაჟიშვილი“, ებელ **დ**-იგე-ბ ლ’იმერ „დედის (*ზედმიწ.* დედა) მყოლი ბავშვი“, ებელ **დ**-იგე-ლ ლ’იმალ „დედის (*ზედმიწ.* დედა) მყოლი ბავშვები“, ჩუ **ბ**-უგე-ვ ვას „ცხენის (*ზედმიწ.* ცხენი) მყოლი ვაჟიშვილი“, ჩუ **ბ**-უგე-დ მას „ცხენის (*ზედმიწ.* ცხენი) მყოლი ქალიშვილი“, ჩუ **ბ**-უგე-ბ ლ’იმერ „ცხენის (*ზედმიწ.* ცხენი) მყოლი ბავშვი“, ჩუ **ბ**-უგე-ლ ვასალ „ცხენის (*ზედმიწ.* ცხენი) მყოლი ვაჟიშვილები“, ჩუდალ **რ**-უგე-ვ ვას „ცხენების (*ზედმიწ.* ცხენები) მყოლი ვაჟიშვილი“, ჩუდალ **რ**-უგე-დ მას „ცხენების (*ზედმიწ.* ცხენები) მყოლი ქალიშვილი“, ჩუდალ **რ**-უგე-ბ ლ’იმერ „ცხენების (*ზედმიწ.* ცხენები) მყოლი ბავშვი“, ჩუდალ **რ**-უგე-ლ ვასალ „ცხენების (*ზედმიწ.* ცხენები) მყოლი ვაჟიშვილები“. ფაჩაჰ **ვ**უგებ მეხალა „მეფის ყოფნის დროს“, „იმ დროს, როცა მეფე იყო“...

ამრიგად, მიმღეობა, როგორც ნაზმნარი ზედსართავი სახელი, ამჟღავნებს ორგვარ სინტაქსურ ურთიერთობას: ზმნისათვის შესაფერისსაც (ურთიერთობა სუბიექტ-ობიექტთან — შესაბამისად ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობისა) და ზედსართავისათვის შესაფერისსაც (ურთიერთობა საზღვრულ არსებით სახელთან, რომლის მსაზღვრელადაც ის გვევლინება)¹.

მიმღეობის ბრუნება. მიმღეობა იბრუნვის ზედსართავი სახელის მსგავსად: დაირთავს ერგატივში კლასისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებულ დაბოლოებებს: **-სა** (I კლ.), **-ლს** (II-III კლ.), **-ზ** (*მრ.* რ.: I-III კლ.). მიმღეობის ბრუნვის ფორმა ამ მხრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კლასი-

¹ ამ საკითხის თაობაზე იხ. აგრეთვე: . . . „გვ. 224-236; . . . „ XI, . . . , 1948.

სა და რიცხვის ნიშანია მასში სუფიქსად (ე. ი. რა კლასსა და რიცხვს განეკუთვნება იგი, როგორც მსაზღვრელი სახელი) და არა იმაზე, თუ რა კლასისა და რიცხვის ნიშანი აქვს მას პრეფიქსად ზმნიდან გადმოყოლილი. ცალკე აღებული **ვ**-ეცაულე-**ვ** (ემენ **ვ**-ეცაულე-**ვ** ვას „მამის მაქებარი ვაჟიშვილი“) ისევე დაირთავს ერგატივში **-სა** დაბოლოებას, როგორც **მ**-ეცაულე-**ვ** (ებელ **მ**-ეცაულე-**ვ** ვას „დედის მაქებარი ვაჟიშვილი“) ან **ბ**-ეცაულე-**ვ** (ჩუ **ბ**-ეცაულე-**ვ** ვას „ცხენის მაქებარი ვაჟიშვილი“), ან კიდევ — **რ**-ეცაულე-**ვ** (ჩუღალ **რ**-ეცაულე-**ვ** ვას „ცხენების მაქებარი ვაჟიშვილი“): თავსართების მიხედვით განსხვავებულ ოთხივე ამ ვარიანტს ბოლოსართად ერთი და იგივე კლას-ნიშანი (**-ვ**) აქვს და, მაშასადამე, როგორც მსაზღვრელი სახელი, ოთხივე ერთსა და იმავე კლასს (I კლ.) განეკუთვნება. ასევე სხვა შემთხვევებშიც; შდრ.:

- სახ.* /ვ-, მ, ბ-, რ-/ეცაულე-**ვ** — *ერგ.* /ვ-, მ-, ბ-, რ-/ეცაულე-სა, ნათ.
/ვ-, მ-, ბ-, რ-/ეცაულე-სა-ულ, *მიც.* /ვ-, მ-, ბ-, რ-/ეცაულე-სა-ე;
სახ. /ვ-, მ, ბ-, რ-/ეცაულე-**მ** — *ერგ.* /ვ-, მ-, ბ-, რ-/ეცაულე-ლ'ა, ნათ.
/ვ-, მ-, ბ-, რ-/ეცაულე-ლ'ა-ულ, *მიც.* /ვ-, მ-, ბ-, რ-/ეცაულე-ლ'ა-ე;
სახ. /ვ-, მ, ბ-, რ-/ეცაულე-**ბ** — *ერგ.* /ვ-, მ-, ბ-, რ-/ეცაულე-ლ'ა, ნათ.
/ვ-, მ-, ბ-, რ-/ეცაულე-ლ'ა-ულ, *მიც.* /ვ-, მ-, ბ-, რ-/ეცაულე-ლ'ა-ე;
სახ. /ვ-, მ, ბ-, რ-/ეცაულე-**ლ** — *ერგ.* /ვ-, მ-, ბ-, რ-/ეცაულე-ზ, ნათ.
/ვ-, მ-, ბ-, რ-/ეცაულე-ზ-ულ, *მიც.* /ვ-, მ-, ბ-, რ-/ეცაულე-ზ-ე.

დროის კატეგორია მიმღობაში. დროის თვალსაზრისით მიმღობა შეიძლება იყოს აწმყოსი, მყოფადისა და ნამყოსი. თითოეული მათგანი შესაბამისი დროის ფუძისაგან იწარმოება. განსხვავება ამოსავალ ფორმათა საწარმოებელ ფორმანტებში (როგორც დროთა მიხედვით, ისე ცალკეულ დროში უღვლილების ტიპებისა და ქვეტიპების მიხედვით) შესაბამისად დაჩნდება მიმღობის ფორმებშიც. მიმღობის დროულ ფორმებს არსებითად იგივე მორფოლოგიური ელემენტები გაგვარჩევენებს, რაც თვით ზმნის ფორმებს. ამათ ერთვის საკუთრივ მიმღობის საწარმოებელი ფორმანტები, რომლებიც თავის მხრივაც შეიძლება იყოს დროთა მიხედვით რამდენადმე განსხვავებული (იხ. ქვ.).

მიმღობის წარმოება. მიმღობის საწარმოებელი ფორმანტები სუფიქსებია. გაირჩევა სულ ორი სუფიქსი: ერთი აწმყოსა და მყოფადის მიმღობისათვის, მეორე ნამყოს მიმღობისათვის. ორივე სუფიქსს ახლავს გრამატიკული კლასისა და რიცხვის ნიშნები (ცვალებადი საზღვრული სახელის კლასისა და რიცხვის მიხედვით).

აწმყოსა და მყოფადის მიმღობას აწარმოებს **-ე-ბ** (მოგვეყავს მხოლოდ III კლასის ნიშნით; კლასისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებული ყველა ვარიანტი იქნებოდა: *მხოლ. რ. -ე-ვ, -ე-მ, -ე-ბ; მრ. რ. -ე-ლ*). დაერთვის იგი აწმყოსა და მყოფადის შესაბამის ფორმებს ბოლოკიდურ ხმოვან მოკვეცილს; შდრ.:

ა) აწმ.	ყოტ-უ-ლა „ჭრის“	—	მიძლ. აწმ.	ყოტ-უ-ლ-ე-ბ
„	ბ-ეცა-უ-ლა „აქებს“	—	„	ბ-ეცა-უ-ლ-ე-ბ
„	ტჷ-ო-ლა „აძლევს“	—	„	ტჷ-ო-ლ-ე-ბ
„	ბ-აჭ-უ-ნა „მოდის“	—	„	ბ-აჭ-უ-ნ-ე-ბ
„	ქვანა-ლა „ჭამს“	—	„	ქვანა-ლ-ე-ბ
ბ) მყოფ.	ყოტ-ი-ლა „გაჭრის“	—	მიძლ. მყოფ.	ყოტ-ი-ლ-ე-ბ
„	ბ-ეცა-ი-ლა „შეაქებს“	—	„	ბ-ეცა-ი-ლ-ე-ბ
„	ტჷ-ე-ლა „მისცემს“	—	„	ტჷ-ე-ლ-ე-ბ
„	ბ-აჭ-ი-ნა „მოვა“	—	„	ბ-აჭ-ი-ნ-ე-ბ
„	ქვანა-ლა „შეჭამს“	—	„	ქვანა-ლ-ე-ბ

ნამყოფის მიმღეობაში გვაქვს **-რა-ბ** (კლასისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებული ყველა ვარიანტით: **-რა-ვ, -რა-ფ, -რა-ბ, -რა-ლ**). დაერთვის იგი ნამყოფს ფორმას, აღებულს დაბოლოების გარეშე (ნამყოფს საწარმოებელ ფორმანტს მიმღეობაში მხოლოდ თემატური ხმოვანი გაჰყვება; თუ თემატური ხმოვანი გვაკლია [ბოლოხმოვნიან ფუძესთან] მაშინ **-რა-ბ** სუფიქსი უშუალოდ ზმნის ფუძეს დაერთვის); შდრ.:

გ) ნამ.	ყოტ-ა-ნა „გაჭრა“	—	მიძლ. ნამ.	ყოტ-ა- რა-ბ
„	ბ-ეცა-ა-ნა „აქო“	—	„	ბ-ეცა-ა- რა-ბ
„	ტჷ-უ-ნა „მისცა“	—	„	ტჷ-უ- რა-ბ
„	ბ-აჭ-ა-ნა „მოვიდა“	—	„	ბ-აჭ-ა- რა-ბ
„	ქვანა-ნა „ჭამა“	—	„	ქვანა- რა-ბ...

გვარის მიხედვით მიმღეობის (ისევე, როგორც ზმნის) წარმოება განსხვავებას არ იძლევა; მიმღეობა სათანადო დროისა (შესაბამისი საწარმოებელი ფორმანტით) ნეიტრალურია გვარის თვალსაზრისით: **-ე-ბ** სუფიქსიან მიმღეობას აწმყოშიც და მყოფადშიც შეიძლება ჰქონდეს, როგორც მოქმედებითის, ისე ვნებითი გვარის მნიშვნელობა; ასევე ითქმის **-რა-ბ** სუფიქსიანი ნამყოფს მიმღეობის შესახებაც.

§ 169. მიმღეობის საწარმოებელ ფორმანტთა შესახებ (გენეზისის თვალსაზრისით). მიმღეობის საწარმოებლად, როგორც ვნახეთ, სულ ორი სუფიქსი გვაქვს: **-ე-ბ-** (აწმყოსა და მყოფადში), **-რა-ბ** (ნამყოფი). [ორივე სუფიქსი სიმარტივისათვის მოგვყავს მხოლოდ III კლასის ნიშნით: **-ბ**]. **-ე-ბ** სუფიქსი აწმყოსა და მყოფადის სრულს (როგორც თემატური ხმოვნის, ისე დაბოლოების შემცველს) ფორმებს დაერთვის (დაბოლოებისეული ხმოვანი ამოსავალ ფორმებს მოკვეცილი აქვთ მიმღეობაში **-ე-ბ** სუ-

ფიქსის წინ): ყოტ-უ-ლა „ჭრის“ ყოტ-უ-ლ-**ე-ბ**... ყოტ-ი-ლა „გაჭრის“ ყოტ-ი-ლ-**ე-ბ**... ეს მაშინ, როდესაც **-რა-ბ** სუფიქსის წინ გვაკლია არა მხოლოდ ნამყოს დაბოლოების (**-ნა**) ბოლოკიდური ხმოვანი, არამედ წინამავალი თანხმოვანიც (ე. ი. დაბოლოება მთლიანად): ყოტ-ა-**ნა** „გაჭრა“ ყოტ-ა-**რა-ბ**...

თუ დავუშვებთ, რომ გარკვეული კავშირია ნამყოს **-ნა** დაბოლოებისა და ნამყოს მიმღეობის **-რა-ბ** სუფიქსის **ნ** და **რ** თანხმოვანთა შორის (**ნ** || **რ**), მაშინ ნამყოსა და მისგან ნაწარმოებ მიმღეობას შორის ისეთივე ურთიერთობა გვექნებოდა, როგორიც აწმყო-მყოფადსა და მათგან ნაწარმოებ მიმღეობას შორის. სამხრულ დიალექტებში (ანწუხურში, ჭარულში...) **რ** თანხმოვანია არა მხოლოდ ნამყოს მიმღეობის საწარმოებელი ფორმანტი, არამედ თვით ნამყოს დაბოლოებაც (შდრ., მაგალ., ანწუხ. ჭარ., ყუტ-**რი** „გაჭრა“ ყუტ-**რ-ა-ბ** „გაჭრილი“. — § 162).

ზემოაღნიშნულის მიხედვით ნამყოს მიმღეობის საწარმოებელ **-რა-ბ** სუფიქსში **-რ** || **-რა-** ამოსავალი ფორმის (ნამყოს) კუთვნილება იქნება, ხოლო საკუთრივ მიმღეობის საწარმოებელი კი **-ა-ბ** (|| **ბ**).

შენიშვნა. უნდა ვივარაუდოთ, ნამყოს ფორმას მიმღეობაში ისევე ეკვეცებოდა ბოლოკიდური **ა** ხმოვანი, როგორც აწმყოსა და მყოფადის ფორმებს (იხ. ზემოთ), ყოტ-ა-ნა || *ყოტ-ა-რა „გაჭრა“ ყოტ-ა-რ(ა)-**ა-ბ** „გაჭრილი“...

ეს **-ა-ბ** კი იგივე სუფიქსი ჩანს, რომელიც ზედსართავ სახელს აფორმებს (მასთან, როგორც პირველადს, ისე ნაწარმოებს; შდრ.: ლაჰკ-**ა-ბ** „კარგი“... ზიძან-**ა-ბ** „საზიანი“... ბაწილ-**ა-ბ** „მგლური“... — § 117); ეგვევ სუფიქსი სადაურობის სახელებსაც აწარმოებს (შდრ. გურჟი-**ა-გ** „ქართველი“... მაჭარულ-**ა-გ** „ხუნძი“... — § 107).

აწმყოსა და მყოფადის მიმღეობის საწარმოებელი **-ე-ბ** სუფიქსი კი ჩვენს ყურადღებას წარმართავს სადაურობის აღმნიშვნელ **ე-ბ** სუფიქსისაკენ, რომელიც, როგორც ეს თავის ადგილას გარკვეული გვაქვს (§ 107), წარმოშობით ზედსართავი სახელის ერთ-ერთ საწარმოებელ სუფიქსს უკავშირდება და მისი ფონეტიკური ვარიანტია (**-ე-ბ** **საე-ბ**: ხაუნზაჰ-**ე-გ** ხაუნზაჰ-**საე-გ** „ხუნძახელი“... შდრ. ჟაყა-**საე-ბ** „დღევანდელი“... — § 107).

მიმღეობის საწარმოებელი **-ე-ბ** სუფიქსიც ასეთივე წარმოშობის უნდა იყოს (**-ე-ბ** **საე-ბ**), მაშასადამე, ისიც ზედსართავის საწარმოებელი ერთ-ერთი სუფიქსია (მიმღ. აწმ. ყოტულ-**ე-ბ** ყოტულ-**საე-ბ**... მიმღ. მყოფ. ყოტილ-**ე-ბ** ყოტილ-**საე-ბ**...). **საე-ბ** სუფიქსი მიმღეობის საწარმოებლად თვით ხუნძურ დიალექტებში არა ჩანს, მაგრამ მსგავსი სუფიქსი მიმღეობი-

სათვის (კერძოდ, აწმყოს მიმღეობისათვის) ცნობილია ანდიურ ენებში (შდრ. ანდ. იპირ-საი „მკეთებელი“... — § 117).

თუ ეს ასეა, მაშინ ხუნძური მიმღეობის საწარმოებელი ფორმანტები სამივე დროისა ისტორიულად სიტყვაწარმოებითი იგივე ფორმანტები იქნება, რაც ზედსართავ სახელებში გვაქვს (შდრ. მიმღ. -ა-ბ || -ე-ბ სე-ბ — ზედსართ. -ა-ბ || -სე-ბ).

მიმღეობა ნაზმნარი ზედსართავი სახელია და ბუნებრივია, მას ზედსართავთან საერთო საწარმოებელი ფორმანტები აღმოაჩნდეს.

შენიშვნა 1. განსხვავება დროთა მიხედვით მიმღეობის საწარმოებელ ფორმანტებში თავს იჩენს მხოლოდ დადებითი წარმოებისას. უარყოფითი მიმღეობის ფორმები ამ მხრივ გარჩეული არ არის: აქ სამივე დროის მიმღეობის ნიშნად -ე-ბ (სე-ბ) სუფიქსი გამოიყენება, ე. ი. ის სუფიქსი, რაც დადებითი წარმოებისას მხოლოდ აწმყო-მყოფადის მიმღეობას აქვს; შდრ.: ა) დადებითი წარმოება: მიმღ. აწმ. ყოტულ-ე-ბ, მიმღ. მყოფ. ყოტილ-ე-ბ, მიმღ. ნამ. ყოტა-რა-ბ; ბ) უარყოფითი წარმოება: მიმღ. აწმ. ყოტულარ-ე-ბ, მიმღ. მყოფ. ყოტილარ-ე-ბ, მიმღ. ნამ. ყოტიჭ-ებ.

შენიშვნა 2. სამხრულ დიალექტებში აწმყო-მყოფადის მიმღეობის საწარმოებელ ფორმანტად -ა-ბ სუფიქსი დასტურდება (ჩრდ. ხუნძურისა და სამწერლო ხუნძურის -ე-ბ სუფიქსის ნაცვლად): ანწუბ. ყუტინ-ა-ბ „მჭრელი“... (შდრ. ჩრდ.-ხუნძ. ყოტულ-ე-ბ); იგივე სუფიქსი აწარმოებს ნამყოს მიმღეობასაც: ანწუბ. ყუტრ-ა-ბ „გაჭრილი“... ამრიგად, განსხვავებას მიმღეობის საწარმოებელ ფორმანტებში აქ ადგილი არა აქვს: სამივე დროის მიმღეობა -ა-ბ სუფიქსს დაირთავს (ე. ი. სუფიქსს, რომელიც ჩრდ.-ხუნძურში მხოლოდ ნამყოს მიმღეობისათვის ჩანს დამახასიათებელი).

§ 170. მიმღეობისაგან წარმოები ფორმები. 1) პირობით-ნატვრითი. აწმყოსა და ნამყოს მიმღეობისაგან -ანი ნაწილაკის საშუალებით იწარმოება პირობით-ნატვრითი, რომელიც გამოხატავს სასურველ (და არა რეალურ) პირობას (ე. ი. ისეთ პირობას, რომელიც რეალურად არ არსებობს, მაგრამ რომ არსებულებით, მასზე დამოკიდებული სხვა მოქმედება შესრულდებოდა)¹; გაიჩნევა:

¹ ასეთ ფორმას უწოდებენ ზოგჯერ „არარეალურ (ირრეალურ) პირობითს“ (იხ. „გვ. 157; „გვ. 276). ტერმინს „პირობით-ნატვრითს“ („“) პ. უსლარი ხმარობს (. გვ. 224).

ა) პირობით-ნატვრითი აწმყო (აწმყოს დროის მიმღეობისაგან ნაწარმოები, რომელსაც მომავლის გაგებაც შეიძლება ჰქონდეს:

ყოტულებ-ანი „რომ ჭრიდეს“, „რომ გაჭრიდეს“ (მიმღ. აწმ. ყოტულე-ბ), ჰაბულებ-ანი „რომ აკეთებდეს“, „რომ გააკეთებდეს“ (მიმღ. აწმ. ჰაბულე-ბ), ვაჭუნევ-ანი „რომ მოდიოდეს“, „რომ მოვიდოდეს“ (მიმღ. აწმ. ვაჭუნე-ვ...);

ბ) პირობით-ნატვრითი ნამყო (ნამყო დროის მიმღეობისაგან ნაწარმოები);

ყოტარაბ-ანი „რომ გაეჭრა“ (მიმღ. ნამ. ყოტარა-ბ), ჰაბურაბ-ანი „რომ გაეკეთებინა“ (მიმღ. ნამ. ჰაბურა-ბ), ვაჭარავ-ანი „რომ მოსულიყო“ (მიმღ. ნამ. ვაჭარა-ვ)...

სათანადო ფორმასთან თავისი შინაარსით დაკავშირებულია მეორე ზმნური ფორმა, რომელიც მყოფადისაგან არის ნაწარმოები **-ან** ნაწილაკით (პირობ.-შედგობითი ჰაბილა-ან „გავაკეთებდი“).

საილუსტრაციო მაგალითები:

დაჭუნე-ანი [მიმღ. აწმ. დაჭუნე-მ], დაჩინაან დიცაა ჰამ დას „რომ მოდიოდეს (რომ მომყვებოდეს), მოვიყვანდი (შევირთავდი) მე ამ ქალიშვილს“¹; მღრ.: დაჭარა-ანი [მიმღ. ნამ. დაჭარა-მ], დაჩინაან დიცაა ჰამ დას „რომ მოსულიყო (გამომყოლოდა), მოვიყვანდი (შევირთავდი) მე ამ ქალიშვილს“...

მუნ როყოვ ვუკუნევ-ანი [მიმღ. აწმ.], ღუნ ხურივე ინაან „შენ სახლში რომ იქნებოდე, მე ყანაში წავიდოდი“...

ჟაყა ხინაბ იყო ბუკარაბ-ანი [მიმღ. ნამ.], ნიჟ მაჭარდე ინაან „დღეს თბილი დღე რომ ყოფილიყო, ჩვენ მთაში წავიდოდით“²... დუცაა ჰებ ჰალტი ჰაბურაბ-ანი [მიმღ. ნამ.], ლაიკ ბუკინაან „შენ რომ ეს საქმე გაგეკეთებინა, კარგი იქნებოდა“...

იგივე ფორმა შეიძლება იხმარებოდეს დამოუკიდებლადაც. ასეთ შემთხვევაში იგი გამოხატავს ძლიერს ნატვრას, სურვილს: ვაჭინევ-ანი დოვ „ნეტავ მოვიდოდეს ის!“ („რომ მოვიდოდეს ის!“)...

2) **ნამიმღეობარი მასდარი**. მასდარის ფორმა, რომელსაც ჩვენ აქამდის ვიცნობთ (§ 165), დროულ გაგებას მოკლებულია; მასთან, იგი ზმნის ფუძისაგან იწარმოება. მასდარის ფორმა შეიძლება ვაწარმოოთ მიმღეობი-

¹,, გვ. 224, § 183.

², I. . . II, გვ. 99.

საგანაც. ასეთი ფორმა მასდარისა გარჩეული იქნება დროთა მიხედვით, შესაბამისად მიმღეობის დროისა.

მიმღეობისაგან მასდარს აწარმოებს **-ლ'-ი** სუფიქსი, ე. ი. იგივე სუფიქსი, რაც — აბსტრაქტულ არსებით სახელებს (შდრ.: ვაცა „მა“ ვაცა-ლ'-ი „მობა“... — იხ. § 106). ამავე სუფიქსით ნაწარმოები ნამიმღეობარი მასდარიც არსებითად აბსტრაქტული არსებითი სახელია;

შდრ.:

ა) *მიმღ.* აწმ. ბ-უკუნე-ბ „მყოფი“, ბ-აჭუნე-ბ „მომავალი“, ყოტულე-ბ „მჭრელი“, ბ-იჩულე-ბ „გამყიდველი“... *მასდ.* აწმ. ბ-უკუნე-ბ-ლ'ი „მყოფობა“, ბ-აჭუნე-ბ-ლ'ი „მომავლობა“, ყოტულე-ბ-ლ'ი „მჭრელობა“, ბ-იჩულე-ბ-ლ'ი „გამყიდველობა“...

ბ) *მიმღ.* მყოფ. ბ-უკინე-ბ, ბ-აჭინე-ბ, ყოტილე-ბ, ბ-იჩილე-ბ...
მასდ. მყოფ. ბ-უკინე-ბ-ლ'ი, ბ-აჭინე-ბ-ლ'ი, ყოტილე-ბ-ლ'ი, ბ-იჩილე-ბ-ლ'ი...

გ) *მიმღ.* ნამ. ბ-უკარა-ბ, ბ-აჭარა-ბ, ყოტარა-ბ, ბ-იჩარა-ბ... *მასდ.* ნამ. ბ-უკარა-ბ-ლ'ი, ბ-აჭარა-ბ-ლ'ი, ყოტარა-ბ-ლ'ი...

სათანადო კლას-ნიშანი და რიცხვის ნიშანი (პრეფიქსიცა და სუფიქსიც) მიმღეობას უცვლელად გაჰყვება მისგან ნაწარმოებ მასდარში: ვ-უკარა-ვ, დ-იკარა-დ, ბ-უკარა-ბ „ნამყოფი“, რ-უკარა-ლ „ნამყოფნი“ ვ-უკარა-ვ-ლ'ი, დ-იკარა-დ-ლ'ი, ბ-უკარა-ბ-ლ'ი, რ-უ-კარა-ლ-ლ'ი „ნამყოფობა“...

ემენ როყოფ ვ-უკუნე-ვ-ლ'ი [*მიმღ.* აწმ.] ლ'ალიშ დუდა „მამის (ზედმიწ. მამა) სახლში მყოფობა იცი შენ?“ (ე. ი. „იცი შენ, რომ მამა სახლშია?“)... დუცა ჩუ ბ-იჩულე-ბ-ლ'ი [*მიმღ.* აწმ.] ლ'ალა დიდა „შენ მიერ ცხენის (ზედმიწ. ცხენი) გამყიდველობა (ე. ი. შენ რომ ცხენს ჰყიდი, ცხენის გამყიდველი ხარ) ვიცი მე“... მუნ ახიტუ ვ-უკარა-ვ-ლ'ი [*მიმღ.* ნამ.] დიდა ლ'არაბანი, დუნგი ვაჭინაან „შენი (ზედმიწ. შენ) ბაღში ნამყოფობა (ე. ი. შენ რომ ბაღში იყავი) რომ მცოდნოდა, მეც მოვიდოდი“¹.

§ 171. მიმღეობის ხმარება ზმნის (შემასმენლის) როლში. მიმღეობა წინადადებაში ჩვეულებრივ ზედსართავი სახელის როლში გამოდის. მაგრამ, გარდა ატრიბუტული ფუნქციისა, მას პრედიკატიული ფუნქციაც შეიძლება ჰქონდეს: გამოიყენება ზმნის მნიშვნელობით (შემასმენლის როლში). ჯერ კიდევ პ. უსლარი აღნიშნავდა, რომ „ხუნძურ ენაში მიმღეობა იხმარება მრავალს ისეთ შემთხვევაში, როცა რუსულში ზმნა უნდა ვიხმაროთ... არავითარი განსხვავება მნიშვნელობის მიხედვით არ გვექნება,

¹ გვ. 153.

ვიტყვი: ღირ ვაცა როყო ვუგო — „ჩემი ძმა სახლში არის“ — თუ: ღირ ვაცა როყო ვუგევ¹ — „ჩემი ძმა სახლში მყოფი“...

ზმნის ნაცვლად (მის პარალელურად) მიმღეობის ხმარების შესაძლებლობას სათანადო შემთხვევებში გარკვეული სტილისტიკური ნიუანსი უნდა განსაზღვრავდეს². ზოგჯერ მიმღეობასთან შეიძლება გამოტოვებულიც იყოს მეშველი ზმნა (ბუგო „არის“), რომელთანაც ერთად იგი შედგენილ შემასმენელს შეადგენს (კერძოდ, ანდაზებში: ვენ ვოტარასაჲ ჰოდეგი ბოტულებ ლმწყემსის მოყვარულს [მოყვარულისათვის] ძალიც საყვარელი[ა]“...).

მაგრამ არის შემთხვევები, როცა მიმღეობის ხმარებას შემასმენლის როლში სრულიად გარკვეული წესი აქვს. კითხვით წინადადებაში, თუ კითხვას გამოხატავს შემასმენელი, მაშინ შემასმენლის როლში გვექნება ზმნა კითხვითი ნაწილაკით **-იშ** (§ 187); მაგრამ თუ კითხვა გამოიხატება წინადადების სხვა რომელიმე წევრით (სპეციალური კითხვითი სიტყვით ან კითხვით-ნაწილაკიანი სხვა სიტყვით), მაშინ ზმნას, როგორც წესი, შესაბამისი ღროის მიმღეობა შეეცვლის; შდრ: ღურ ვაცა ვაჭა-ნ-იშ „შენი ძმა მოვიდა-ა?“³. (აქ კითხვას გამოხატავს ზმნა) — ღურ ვაცა-იშ ვაჭა-რ-ავ „შენი ძმა-ა მოვიდა?“ (აქ კითხვას გამოხატავს „ძმა“, რომელსაც კითხვითი ნაწილაკი ახლავს; შემასმენლის როლში მიმღეობაა: ვაჭარავ „მოსული“) ან: ღურ ვაცა ქიდა ვაჭარავ „შენი ძმა როდის მოვიდა?“ (აქ კითხვას გამოხატავს სპეციალური კითხვითი სიტყვა: ქიდა „როდის“. ამიტომ შემასმენლის როლში აქაც მიმღეობაა); სხვა მაგალითები: მუნ ქივ ვუკარავ „შენ სად იყავი (ზედმიწ. ნამყოფი)?“ ღუცაა შიბ ჰაბულებ „შენ რას აკეთებ (ზედმიწ. მკეთებელი)?“ ნოჟოცაა ჟაყა საუნდულ სურათ ბაჯარაბ „თქვენ დღეს სკოლაში რის სურათი დახატეთ (ზედმიწ. დახატული)?“ და ა. შ.

§ 172. მარტივ ძირითად და ნაწარმოებ ფორმათა საერთო სქემა.

ყველაფერი, რაც აქამდის იყო ნათქვამი ნაწარმოებ ფორმათა ძირითად ფორმებთან მიმართების შესახებ, შეიძლება შევაჯამოთ შემდეგი სქემის სახით:

¹,, გვ. 149, § 139..

²,, თავი IX, გვ. გვ. 69-80

³ **-იშ** კითხვით ნაწილაკს თარგმანში ძვ. ქართულის **-ა** ნაწილაკით გადმოცემით.

⌊

- 1) აწმყო ყოტუ-ლა → $\left\{ \begin{array}{l} \text{ნამ. უსრ.} \quad \text{ყოტუ-ლა-ან} \\ \text{აბს. აწმ.} \quad \text{ყოტუ-ლა-გო} \\ \text{მიმღ. აწმ.} \quad \text{ყოტუ-ლა-ებ} \rightarrow \end{array} \right.$ $\left\{ \begin{array}{l} \text{პირობ.-ნატვრ. აწმ.} \quad \text{ყოტუ-ლა-ებ-ანი} \\ \text{ნამიმღ. მასდ. აწმ.} \quad \text{ყოტუ-ლა-ებ-ლი} \end{array} \right.$
- 2) მყოფადი ყოტი-ლა → $\left\{ \begin{array}{l} \text{პირობ.-მედვ.} \quad \text{ყოტი-ლა-ან} \\ \text{მიმღ. მყოფ.} \quad \text{ყოტი-ლა-ებ} \rightarrow \end{array} \right.$ $\left\{ \begin{array}{l} \text{ნამიმღ. მასდ. მყოფ.} \quad \text{ყოტი-ლა-ებ-ლი} \end{array} \right.$
- 3) ნამყო ყოტი-ან → $\left\{ \begin{array}{l} \text{პირობ.} \quad \text{ყოტი-ან-ნი} \rightarrow \\ \text{ნატვრ.} \quad \text{ყოტი-ად} \\ \text{მიმღ. ნამ.} \quad \text{ყოტი-არ-აბ} \rightarrow \end{array} \right.$ $\left\{ \begin{array}{l} \text{დათმობ.} \quad \text{ყოტი-ან-ნი-გი} \\ \text{პირობ.-ნატვრ. ნამ.} \quad \text{ყოტი-არ-აბ-ანი} \\ \text{ნამიმღ. მასდ. ნამ.} \quad \text{ყოტი-არ-აბ-ლი} \end{array} \right.$
- 4) ბრძანებითი (|| ბ.) ყოტი-ე → $\left\{ \begin{array}{l} \text{კავშირებ. I} \quad \text{ყოტი-გი} \\ \text{კავშირებ. II} \quad \text{ყოტი-ე-აბ} \end{array} \right.$
- 5) აბსოლუტივი ნამ. ყოტი-უ-ნ
- 6) ინფინიტივი $\left\{ \begin{array}{l} \text{ყოტი-ი-ზე} \rightarrow \text{ბრძანებ. I ბ.} \quad \text{ყოტი-ი-ზ-ის} \\ \uparrow \\ \text{ყოტი-ი} \end{array} \right.$
- მასდარი

¹ ყოველი ახალი სუფიქსი ნაწარმოებ ფორმაში აწყობლია მავად.

შენიშვნა 1. სქემაში წარმოდგენილია ზმნის ფორმები უღვლილების მხოლოდ ერთი ტიპის მიხედვით: განსხვავება უღვლილების ტიპების მიხედვით თავს იჩენს ძირითად (და არა ნაწარმოებ) ფორმათა შორის (§ 160).

შენიშვნა 2. სქემაში მიმღობის ფორმები მოცემულია მხოლოდ ერთ-ერთი კლასის (III კლ.) ნიშნით (-ბ), თუმცა, როგორც ვიცით, მის ადგილას შესაძლოა გვქონდეს სხვა კლას-ნიშნებიცა და მრავლ. რიცხვის ნიშანიც.

შენიშვნა 3. ინფინიტივი მასდართან ერთად აქ ცალკე წყებაშია შეტანილი. ორივე ეს ნაკვთი შეიძლებოდა მყოფადთან ერთად გაგვეერთიანებინა, რაკი მათ საერთო თემატური ხმოვნები აქვთ.

შენიშვნა 4. ზოგი ნაწარმოები ფორმა, რომელიც ამ სქემაში არაა შეტანილი, განხილული იქნება ქვემოთ ცალკე (§§ 175, 184).

§ 173. ზმნის უარყოფითი ფორმები. ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოების პრინციპი სინთეზურია: უარყოფითი ნაწილაკები სუფიქსების როლში გვევლინება. მაშასადამე, ამ მხრივ, ხუნძურში სულ სხვა მდგომარეობაა, ვინემ ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში, სადაც უარყოფით ფორმათა წარმოება ანალიზურია და არსებითად ნაწილაკების საკითხია (უარყოფითი ნაწილაკები აქ დადებით ფორმებს უძღვის საჭიროებისამებრ: აკეთებს — არ აკეთებს, გააკეთებს — არ გააკეთებს...).

ხუნძურში უარყოფითი წარმოება ფორმათა საკუთარ სისტემას ქმნის და ცალკე განხილვას საჭიროებს (ხუნძური ამ მხრივ აფხაზურს მოგვაგონებს).

სინთეზურთან ერთად შეიძლება გვქონდეს ანალიზური უარყოფითი ფორმებიც. მაგრამ ასეთ წარმოებას არც ისე ხშირად ვხვდებით. ხმარების მიხედვით სინთეზური (ორგანული) წარმოებაა გაბატონებული.

უარყოფით ფორმათა საწარმოებლად ხუნძურში გვაქვს სუფიქსები: **-რო, -ჭო, -გე**.

ამათგან **-რო** აწარმოებს უარყოფით აწმყოსა და მყოფადს, **-ჭო** — უარყოფით ნამყოს, **-გე** — უარყოფით ბრძანებითს (II პ.), ანუ აკრძალვითს.

უარყოფით ნაკვთა სისტემაში ეს უარყოფითი ერთეულებია ძირითადი: დანარჩენები მათგან იწარმოება. ზოგი უარყოფითი ფორმა (კერძოდ, ინფინიტივისა, მასდარისა და ნატვრითისა) მხოლოდ აღწერითად შეიძლება ვაწარმოოთ.

განვიხილოთ უარყოფითი ფორმები ამოსავალ ფორმებთან მიმართებაში.

ორი უარყოფითი ნაკვთი ამოსავლად იყენებს დადებითი წარმოების იმავე ერთეულებს; ესენია: უარყოფითი აწმყო (დადებითი აწმყო) და უარყოფითი მყოფადი (დადებითი მყოფადი); შდრ.:

ა) აწმყო დადებითი — აწმყო უარყოფითი:

ყოტულა „ჭრის“ — ყოტულა-რო „არ გაჭრის“, ჰაბულა „აკეთებს“ — ჰაბულა-რო, ბეცულა „აქებს“ — ბეცულა-რო, ქვანალა „ჭამს“ — ქვანალა-რო, ლ'ალა „იცის“ — ლ'ალა-რო, ტოლა „აძლევს“ — ტოლა-რო, ბაჭუნა, „მოღის“ — ბაჭუნა-რო, უნა „მიღის“ — უნა-რო...

ბ) მყოფადი დადებითი — მყოფადი უარყოფითი:

ყოტილა „გაჭრის“ — ყოტილა-რო „არ გაჭრის“, ჰაბილა „გაკეთებს“ — ჰაბილა-რო, ბეცილა „შეაქებს“ — ბეცილა-რო, ქვანალა „შეჭამს“ — ქვანალა-რო, ლ'ალა „ეცოდინება“, „გაიგებს“ — ლ'ალა-რო, ტეელა „მისცემს“ — ტეელა-რო, ბაჭინა „მოვა“ — ბაჭინა-რო, ინა „წავა“ — ინა-რო...

ამრიგად, უარყოფითი აწმყოსა და უარყოფითი მყოფადის საწარმოებლად დადებითი წარმოების იმავე ერთეულთა მზამზარეულ ფორმებს დაერთვის უარყოფითი **-რო** სუფიქსი. სხვა უარყოფითი ნაკვთებიც რომ ასევე იყოს დადებითი წარმოების იმავე ერთეულებზე დამოკიდებული, მაშინ უარყოფით ფორმათა წარმოების საკითხი უარყოფითი სუფიქსებით ამოიწურებოდა, მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ყოველთვის ეს ასე არ არის. შდრ.:

გ) ნამყო დადებითი — ნამყო უარყოფითი:

ყოტანა „გაჭრა“ — ყოტი-ჭო „არ გაჭრა“, ჰაბუნა „გაკეთა“ — ჰაბი-ჭო, ბეცანა „აქო“ — ბეცი-ჭო, ქვანანა „შეჭამა“ — ქვანა-ჭო, ლ'ანა „გაიგო“, „იცოდინა“ — ლ'ა-ჭო, ტუნა „მისცა“ — ტე-ჭო, ბაჭანა „მოვიდა“ — ბაჭინ-ჭო, ანა „წავიდა“ — ინ-ჭო, ბუკანა „იყო“ — ბუკინ-ჭო, ბუსანა „დაბრუნდა“ — ბუსინ-ჭო...

როგორც ნამყოს დადებით და უარყოფით ფორმათა შეპირისპირებიდან ჩანს, არც დაბოლოება (**-ნა**) და არც წინამავალი თემატური ხმოვანი (**ა || უ**) ნამყოს მის უარყოფით ფორმაში **-ჭო** სუფიქსის წინ არ დაჩნდება. ამრიგად, დადებითი ნამყოს ფორმა არ არის ამოსავალი უარყოფითი ნამყოს წარმოებისათვის.

უარყოფითი ნამყოს ამოსავალი ფორმა (რომელსაც ვიღებთ **-ჭო** სუფიქსის ჩამოცილებით) ემთხვევა მასდარის ფორმას; შდრ. ყოტი-ჭო „არ გაჭრა“ — ყოტი „ჭრა“, ჰაბი-ჭო „არ გააკეთა“ — ჰაბი „კეთება“, ბეცი-ჭო „არ აქო“ — ბეცი „აქება“... ბაჭინ-ჭო „არ მოვიდა“ — ბაჭინ „მოსვლა“, ინ-ჭო „არ წავიდა“ — ინ „წასვლა“, ბუკინ-ჭო „არ იყო“ — ბუკინ „ყოფნა“, ბუსინ-ჭო „არ დაბრუნდა“ — ბუსინ „დაბრუნება“... მასთან, ის განსხვავება, რაც თავს იჩენს მასდარის წარმოებისას უღვლილების ტიპების მიხედვით (**-ი || -ინ**: ყოტ-**ი** „ჭრა“... || ბაჭ-**ინ** „მოსვლა“... — § 165), შესაბამისად დაჩნდება უარყოფით ნამყოშიც **-ჭო** სუფიქსის წინ (შდრ.

ყოტ-ი-ჭო „არ გაჭრა“... — ბაჭ-ინ-ჭო „არ მოვიდა“...). ერთადერთ სხვაობას ამ მხრივ იძლევა ბოლოხმოვნისანი ფუძეები, რომელთაც მასდარის ნიშნად დაერთვის **-ი** (**ი**): ეს **-ი** უარყოფით ნამყოში **-ჭო** სუფიქსის წინ არა ჩანს; შდრ.: ქვანა-ჭო „არ შეჭამა“ — ქვანა-ი „ჭამა“; ვვა-ჭო „არ დაწერა“ — ვვა-ი „წერა“; ჭვა-ჭო „არ მოკლა“ — ჭვა-ი „მოკვლა“; ლა-ჭო „არ გაიგო“; „არ იცოდინა“ — ლა-ი „იცოდნა“; ტოლო-ჭო „არ შეკაზმა“ — ტოლო-ი „შეკაზმა“ და ა. შ. უნდა ვიფიქროთ **ი** დაკარგულია (ჩავარდნილია) უარყოფით ნამყოში **-ჭო** სუფიქსის წინ: ქვანა-ჭო (ქვანა-ი-ჭო) „არ შეჭამა“, ვვა-ჭო (ვვა-ი-ჭო) „არ დაწერა“ და ა. შ. (როგორც ეს ხდება ინტინიტივის ფორმებში: ჭვა-ზე ჭვა-ი-ზე „მოკვლა“... ფუ-ზე ფუ-ი-ზე „შეებერა“... — §153; აგრეთვე მყოფადის ფორმები: ჭვა-ლა ჭვა-ი-ლა „მოკლავს“... ფუ-ლა ფუ-ი-ლა, „შეუბერავს“... § 156).

დ) ბრძანებითი (II კ.) დადებითი — ბრძანებითი (II კ.)
 უარყოფითი:

ყოტ-ე „გაჭერ!“ — ყოტუ-გე „არ გაჭრა!“ ჰაბ-ე „გააკეთე“ — ჰაბუ-გე! ბოს-ე „აიღე!“ „იყიდე!“ — ბოსუ-გე! ვვა-ე „დაწერე“ — ვვა-გე! ჭვა-ე „მოკალ!“ — ჭვა-გე! ტ-ე „მიეც“ — ტო-გე! ტ-ე „დაასხი“ — ტო-გე! ბაჭ-ა „მოდი!“ — ბაჭუნ-გე! ბუკ-ა „იყავ!“ — ბუკუნ-გე!..

როგორც შეპირისპირებიდან ჩანს, არც უარყოფითი ბრძანებითისათვის არის ამოსავალი დადებითი წარმოების იგივე ერთეული (ისევე, როგორც არც უარყოფითი ნამყოს წარმოებისათვის — დადებითი ნამყო — იხ. ზემოთ).

უარყოფითი ბრძანებითისათვის ამოსავალია დადებითი აწმყო¹. თუ უარყოფით ბრძანებითს ჩამოვაშორებთ მაწარმოებელ **-გი** სუფიქსს, მივიღებთ დადებით აწმყოს ფორმას, რომელსაც ეკლება დაბოლოება (პირველი უღვლილების ზმნებში) ან დაბოლოების მხოლოდ ბოლოკიდური ხმოვანი (მეორე უღვლილების ზმნებში). თემატური ხმოვნები აწმყოსი უცვლელად მეორდება უარყოფით ბრძანებითშიც; შდრ.: ყოტ-უ-გე „ნუ ჭრი!“; „არ გაჭრა!“ — ყოტ-უ-ლა „ჭრის“, ჰაბ-უ-გე „ნუ აკეთებ!“ — ჰაბ-უ-ლა „აკეთებს“, ბოს-უ-გე „ნუ იღებ!“ „ნუ ყიდულობ!“ — ბოს-უ-ლა „იღებს“, „ყიდულობს“, ტ-ო-გე „ნუ მისცემ!“ — ტ-ო-ლა „აძლევს“, თ-ო-გე „ნუ დატოვებ!“ (კუდივად ნუხგი თოგე, ინსულ ჰობოლოგი თოგე „დიდ გზასაც ნუ დატოვებ, მამის ყონალსაც ნუ დატოვებ!“ [„ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნუცა ძველსა მეგობარსა!“] — თ-ო-ლა „ტოვებს“, ტ-ო-გე „ნუ დაასხამ!“ — ტ-ო-ლა „ასხამს“... ბაჭ-უ-ნ-გე „ნუ მოდიხარ, ნუ მოხვალ!“ — ბაჭ-უ-ნა „მოდის“, უ-ნ-გე „ნუ მიდიხარ, ნუ წახვალ!“ — უ-ნა „მიდის“, ლ’უჭ-უ-ნ-გე, „ნუ

¹ შდრ. ქართულში: აკეთებ (აწმყო) — ნუ აკეთებ!

შედიხარ!“ „ნუ შეხვალ!“ — ლ'უჰჰ-უ-ნა „შედის“... (ბოლოხმოვნის ფუძეებს თემატური ხმოვანი არც აწმყოში ექნებათ და არც უარყოფით ბრძანებით-ში; შდრ.: ჰვა-გე „ნუ მოკლავ!“ — ჰვა-ლა „კლავს“, ჰვა-გე „ნუ დაწერ!“ — ჰვა-ლა „წერს“... ტოლო-გე „ნუ შეკაზმავ!“ — ტოლო-ლა „კაზმავს“...).

ამრიგად, აწმყოს, მყოფადის, ნამყოსა და ბრძანებითის უარყოფითი ფორმები ამოსავლად იყენებენ დადებითი წარმოების სხვადასხვა ფორმებს: აწმყო უარყ. აწმყო დადებ., მყოფადი უარყ. მყოფადი დადებ., ნამყო უარყ. მასდარი დადებ., ბრძანებითი უარყ. (აკრძალვითი) აწმყო დადებ.

აღნიშნული უარყოფითი ერთეულებისაგან იწარმოება დანარჩენი უარყოფითი ერთეულები იმავე სუფიქსების დართვით, რასაც შესაბამისი დადებითი წარმოების ერთეულები დაირთავენ. ასე მაგალ., უარყოფითი ნამყო უსრული ისევე იწარმოება უარყოფითი აწმყოსაგან, მასთან, იმავე საწარმოებელი -ან სუფიქსით, როგორც დადებითი ნამყო-უსრული — დადებითი აწმყოსაგან; შდრ.: *აწმყო დადებ.* ყოტულა „ჭრის“ *ნამყო უსრ. დადებ.* ყოტულა-ან „ჭრიდა“... — *აწმყო უარყ.* ყოტულა-რო „არ ჭრის“ *ნამყო უსრ. უარყ.* ყოტულა-რო-ან. ასეთი პარალელიზმი დადებით და უარყოფით სხვა ერთეულთა შორისაც დასტურდება (იხ. ქვ.).

ა) უარყოფითი აწმყოსაგან იწარმოება: უარყოფითი ნამყო უსრული, აწმყოს აბსოლუტივი, აწმყოს მიმღეობა და — ამ უკანასკნელის მეშვეობით — პირობით-ნატვრითი აწმყო, ნამიმღეობარი მასდარი აწმყოსი; შდრ.:

[*აწმყო დადებ.* ყოტ-უ-ლა „ჭრის“] *აწმყო უარყ.* ყოტულა-რო¹ „არ ჭრის“ *ნამყო უსრ. უარყ.* ყოტულა-რო-ან, *აბსოლუტ.* *აწმყო უარყ.* ყოტულა-რო-გო, *მიმღ.* *აწმყო უარყ.* ყოტულა-რ-ე-ბ *პირობ.-ნატვრ.* *აწმყო უარყ.* ყოტულა-რ-ე-ბ-ანი, *ნამიმღ.* *მასდ.* *აწმყო უარყ.* ყოტულა-რ-ე-ბ-ლ'ი.

შენიშვნა. მიმღეობის საწარმოებელი -ე-ბ (ცვალებადი კლას-ნიშნებითა და დარიცხვის ნიშნით: -ე-გ, -ე-ფ, -ე-ბ; -ე-ლ) სუფიქსის დართვა იწვევს ამოსავალი ფორმის (კერძოდ, უარყოფითობის სუფიქსის) ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცას: ყოტულა-რო „არ ჭრის“ ყოტულა-რ-ე-ბ (ყოტულა-რო-ე-ბ) „არმჭრელი“ (შდრ. დადებითი წარმოებისას: ყოტულა „ჭრის“ ყოტულ-ე-ბ [ყოტულა-ე-ბ] „მჭრელი“ — იხ. §168). ასევე ხდება უარყოფითი მყოფადისა და უარყოფითი ნამყოს მიმღეობაშიც (იხ. ქვ.).

ბ) უარყოფითი მყოფადისაგან იწარმოება: უარყოფითი პირობით-შედევობითი, მიმღეობა მყოფადისა და — ამ უკანასკნელის მეშვეობით — ნამიმღეობარი მასდარი მყოფადისა; შდრ.:

¹ ყოველი ახალი საწარმოებელი სუფიქსი ნაწარმოებ ფორმაში აწყობილია შავით.

[*ყოფადი დადებ.* ყოტ-ი-ლა „გაჭრის“] *ყოფადი უარყ.* ყოტილა-**რო** „არ გაჭრის“ *პირობ.-შედევობ.* უარყ. ყოტილა-**რო-ან**, *მიმღ.* *ყოფ.* უარყ. ყოტილა-**რ-ე-ბ** *ნამიმღ.* *მასღ.* *ყოფ.* უარყ. ყოტილა-**რ-ე-ბ-ლ’ი**.

გ) უარყოფითი ნამყოსაგან იწარმოება უარყოფითი აბსოლუტივი ნამყოსი, პირობითი და — ამ უკანასკნელის მეშვეობით — დათმობითი; აგრეთვე: მიმღობა ნამყოსი და — ამ უკანასკნელის მეშვეობით — პირობით-ნატვრითი ნამყო, ნამიმღობარი მასღარი ნამყოსი; შღრ.:

[*მასღარი დადებ.* ყოტი „ჭრა“] *ნამყო უარყ.* ყოტი-**ჭო** *აბსოლუტ.* *ნამ.* *უარყ.* ყოტი-ჭო-**გო**, *პირობ.* *უარყ.* ყოტი-ჭო-**ნი** *დათმობ.* *უარყ.* ყოტი-ჭო-**ნი-გი**; *მიმღ.* *ნამ.* *უარყ.* ყოტი-ჭ-**ე-ბ** *პირობ.* *ნატვრ.* *ნამ.* *უარყ.* ყოტი-ჭ-**ე-ბ-ანი**, *ნამიმღ.* *მასღ.* *ნამ.* *უარყ.* ყოტი-ჭ-**ე-ბ-ლ’ი**.

შენიშვნა 1. აბსოლუტივი ნამყოსი უარყოფითის წარმოებისას, როგორც სქემიდან ჩანს, იყენებს უარყოფით ნამყოს: ყოტი-ჭო „არ გაჭრა“ ყოტი-ჭო-**გო** „არ გაჭრა-რა“ (დაირთავს -**გო** ნაწილაკს ისევე, როგორც აწმყოს აბსოლუტივი დადებითი [ყოტულა-გო „ჭრის-რა“]; ეს მაშინ, როდესაც დადებითის წარმოებისას ნამყოს აბსოლუტივს საკუთარი საწარმოებელი ფორმანტი აქვს (რომელიც უშუალოდ ზმნის ფუძეს დაერთვის): ყოტ-უ-**ნ** „გაჭრა-რა“... (§ 158).

შენიშვნა 2. სამივე ღროის (აწმყოს, მყოფადისა და ნამყოს) უარყოფით მიმღობას ერთი და იგივე -**ე-ბ** სუფიქსი აწარმოებს (ყოტულარ-**ე-ბ**, ყოტილარ-**ე-ბ**, ყოტიჭ-**ე-ბ**) მაშინ, როდესაც ეს სუფიქსი დადებითის წარმოებისას მხოლოდ აწმყოსა და მყოფადის მიმღობისათვის არის დამახასიათებელი და უცხოა ნამყოს მიმღობისათვის; ამ უკანასკნელს -**რა-ბ** სუფიქსი აწარმოებს (შღრ. *ყოტულ-ე-ბ*, *ყოტილ-ე-ბ*, მაგრამ *ყოტა-რა-ბ*. — § 168). თუ რით შეიძლება აიხსნას მიმღობის ფორმათა უნიფიცირება უარყოფითის წარმოებისას. ამის შესახებ იხ. ქვემოთ (§ 174).

დ) უარყოფითი ბრძანებითისაგან იწარმოება: კავშირებითის (I, II) უარყოფითი ფორმები; შღრ.:

[*აწმყო დადებ.* ყოტ-უ-ლა „ჭრის“] *ბრძანებ.* *უარყ* ყოტ-უ-**გე** „ნუ გაჭრი!“ *კავშირებ.* I *უარყ.* ყოტ-უ-**გე-გი**; *კავშირებ.* II *უარყ.* ყოტ-უ-**გე-ჟა-ბ**.

ინფინიტივს, მასღარსა და ნატვრითს, როგორც ზემოთ ითქვა, არ გააჩნიათ სინთეზურად ნაწარმოები უარყოფითი ფორმები. ამ ხარვეზს ისინი აღწერილად ნაწარმოები ფორმებით ივსებენ (იხ. ქვ.).

უარყოფით ფორმათა აღწერითი წარმოება. ასეთ წარმოებას არც თუ ისე ხშირად ვხვდებით, მაგრამ მისი განხილვა მაინც საჭიროა მით უფრო, რომ ეს აღწერითი წარმოება ორიგინალურ სახეს იღებს.

მისი წარმოებისას საუღვლებელი ზმნა უცვლელად დგას ნამყოს აბსოლუტივში (დადებითი ფორმით), დამხმარე ზმნის როლში გვევლინება უარყოფითი შინაარსის მქონე ზმნა გუტ-ი-ზე (|| გურტ-ი-ზე), რომელიც ნაწარმოები ჩანს დამოუკიდებელი უარყოფითი სიტყვისაგან: გურო „არა“; „არ არის“. გუტ-ი-ზე დამოუკიდებლად არ გვხვდება, მაგრამ საუღვლებელ ზმნასთან მას მოეპოვება ყველა ის ფორმა, რაც დადებითი წარმოების ნაკვთებს შეიძლება ჰქონდეს: *ინფინიტ.* გუტ-ი-ზე, *მასდ.* გუტ-ი, *აწმყო* გუტ-უ-ლა, *მყოფ.* გუტ-ი-ლა, *ნამყო* გუტ-ა-ნა, *აბსოლუტ.* ნამ. გუტ-უ-ნ, *ბრძანებ.* გუტ-ა და ა. შ.), ოღონდ ეს დადებითი წარმოება აქ უარყოფითი შინაარსისაა: ამას განსაზღვრავს ფუძის შინაარსი.

ამ დამხმარე უარყოფითი ზმნის სხვადასხვა ფორმების შეხამებით საუღვლებელი ზმნის აბსოლუტივის ფორმასთან ვიღებთ უარყოფითი შინაარსის შესაბამის ფორმებს: *ინფ.* ყოტუნ გუტიზე, *მასდ.* ყოტუნ გუტი, *აწმყო* ყოტუნ გუტულა, *აბსოლუტ.* აწმყ. ყოტუნ გუტულაგო, *ნამყო* უსრ. ყოტუნ გუტულაან, *მიმღ.* აწმ. ყოტუნ გუტულე... *მყოფ.* ყოტუნ გუტილა, *პირობ.-შედგ.* ყოტუნ გუტილაან, *მიმღ.* *მყოფ.* ყოტუნ გუტილებ, *ნამყო* ყოტუნ გუტანა, *პირობ.* ყოტუნ გუტანი, *დათმობ.* ყოტუნ გუტანიგი. *ნატვრ.* ყოტუნ გუტად, *მიმღ.* ნამ. ყოტუნ გუტარაბ... *აბსოლუტ.* ნამ. ყოტუნ გუტუნ, *ბრძანებ.* ყოტუნ გუტა, *კავშირებ.* | ყოტუნ გუტა-გი, *კავშირებ.* || ყოტუნ გუტა-ა-აბ.

რაიმე რყევა ამგვარ წარმოებას არ ახასიათებს. ასეთი წარმოება უარყოფითი ფორმებისა არაა აქტუალური: სათანადო ფორმები, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, იშვიათია¹

§ 174. უარყოფით სუფიქსთა გენეზისისათვის. ზმნის უარყოფით ფორმებს, როგორც ვნახეთ (§ 173), აწარმოებს სამი სხვადასხვა სუფიქსი: **-რო**, **-ჰო**, **-გე**. რა წარმოშობისაა ეს სუფიქსები?

როგორც ეს აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში², **-ჰო** სუფიქსის კავშირი უარყოფით მეშველ ზმნასთან ჰეჰო „არ არის“ (§ 176) სარწმუნო ჩანს.

¹ ხუნძურ სასკოლო გრამატიკაში უარყოფით ფორმათა ასეთი წარმოება მხედველობაში არცაა მიღებული.

სათანადო ფორმები (სინთეზურ ფორმებთან ერთად) მოჰყავს პ. უსლარს (. . . , გვ. 181, § 157).

² . . . , . . . , გვ. 157.

-რო სუფიქსიც დამოუკიდებელი სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს, — ესეც უარყოფითი სიტყვისაგან; შდრ.: გურო „არა“ (§ 176).

ორივე ეს უარყოფითი სიტყვა (ჰეჭო, გურო) ძველად, უნდა ვივარაუდოთ, ენკლიტიკურად იხმარებოდა სათანადო დადებით ფორმებთან და ანიჭებდა მათ უარყოფით შინაარსს. შემდეგ კი შერწყმა მათ. შერწყმისას ორივეს ერთნაირი ცვლილება განუცდია (ორივეს თავკიდური მარცვალი დაუკარგავს): ყოტი ჰეჭო ყოტი-ჭო „არ გაჭრა“; ყოტულა გურო ყოტულა-რო „არ ჭრის“, ყოტილა გურო ყოტილა-რო „არ გაჭრის“.

ჭარულ დიალექტში ეს უარყოფითი სიტყვა ამჟამადაც შეურწყმელად იხმარება სათანადო დადებით ფორმასთან: ყუტნა გურუ „არ ჭრის“ (გურუ გურო — იხ. § 22).

ამრიგად, უარყოფითი სუფიქსები **-ჭო** და **-რო** დამოუკიდებელი უარყოფითი სიტყვებისაგან არიან მიღებული.

რაც შეეხება **-გე** სუფიქსს, რომელიც უარყოფით ბრძანებითს აწარმოებს, ესეც დამოუკიდებელი სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს. ამ უარყოფითი სუფიქსის ბოლოკიდური ხმოვანი ჩვენს ყურადღებას წარმართავს **-ე** სუფიქსისაკენ, რომელიც ბრძანებითის დადებით ფორმას აწარმოებს (შდრ. ყოტ-ე „გაჭერ!“), ხოლო მისი თანხმომავითი ელემენტი უარყოფის აღმნიშვნელი ჩანს და უნდა უკავშირდებოდეს უარყოფით სიტყვას გურო (იხ. ზემოთ). თუ ეს ასეა, მაშინ **-გე (-გ-ე)** წარმოშობით თვითონ იქნება ბრძანებითის ფორმა უარყოფითი შინაარსისა (უარყოფის აღმნიშვნელი ფუძისეული **გ** თანხმომავითა და ბრძანებითის **-ე** სუფიქსით).

უარყოფითი ბრძანებითი, როგორც ვნახეთ, იწარმოება დადებითი აწმყოსაგან (და არა დადებითი ბრძანებითისაგან). ეს გარემოება განსაზღვრავს მაწარმოებელში ორივე ზემოხსენებული კომპონენტის (უარყოფის აღმნიშვნელისა და ბრძანების აღმნიშვნელის) მონაწილეობას (რომ ამოსავალი ყოფილიყო დადებითი ბრძანებითი, მისგან უარყოფითი ბრძანებითის საწარმოებლად შეიძლებოდა საკმარისი ყოფილიყო მხოლოდ უარყოფის აღმნიშვნელი სუფიქსი: ბრძანების აღმნიშვნელი სუფიქსი თვით ამოსავალ ფორმაში გვექნებოდა).

ამრიგად, სამივე უარყოფითი სუფიქსი, რომელთაც დაირთავს ძირითადი უარყოფითი ნაკვთები, მიღებული ჩანს უარყოფითი სიტყვებისაგან, რომლებიც იხმარებოდა დადებითი წარმოების სათანადო ფორმებთან და ანიჭებდა მათ უარყოფით შინაარსს: **-რო** გურო, **-ჭო** ჰეჭო, **-გე -გ-ე** (შდრ. გურო, გუტიზე გურტ-ი-ზე).

ეგვემ შეიძლება ვივარაუდოთ ნაწარმოებ უარყოფით ნაკვთთა სრული ფორმანტების შესახებაც, რომლებიც შედგება ზემოაღნიშნული უარყოფითი სუფიქსებისაგან და მათზე დართული დადებით ნაკვთებთან საერთო სუფიქსებისაგან.

ნაწარმოებ უარყოფით ნაკვთთა სრული ფორმანტებიც უარყოფით სიტყვათა შესაბამისი მზა ფორმები უნდა იყოს წარმოშობით.

თუ ეს ასეა, მაშინ ყველა უარყოფითი ნაკვთი (არის იგი ძირითადი თუ ნაწარმოები) ისტორიულად დადებითისაგან იქნება მიღებული, ხოლო საწარმოებელი ყველა ფორმანტი იქნებოდა უარყოფითი სიტყვის მზამზარეული ფორმა, შერწყმული დადებით ფორმებთან:

აწმ. უარყ. ყოტულა-რო „არ არის“ *ყოტულა გურო*; ასევე: *აწმ. აბსოლუტ. უარყ. ყოტულა-რო-გო* *ყოტულა გურო-გო*, *ნამ. უსრ. უარყ. ყოტულა-რო-ან* *ყოტულა *გურო-ან¹, მიმღ. უარყ. აწმ. ყოტულა-რ-ებ* *ყოტულა გურ-ებ*, *პირობ. ნატვრ. აწმ. უარყ. ყოტულა-რ-ებ-ანი* *ყოტულა გურ-ებ-ანი*, *ნამიმღ. მასდ. აწმ. უარყ. ყოტულა-რ-ებ-ლ'ი* *ყოტულა გურ-ებ-ლ'ი*;

მყოფ. უარყ. ყოტილა-რო „არ გაჭრის“ *ყოტილა გურო*; ასევე: *პირობ.-შედევობ. უარყ. ყოტილა-რო-ან* *ყოტილა *გურო-ან*, *მიმღ. მყოფ. უარყ. ყოტილა-რ-ებ* *ყოტილა გურ-ებ*, *ნამიმღ. მასდ. მყოფ. უარყ. ყოტილა-რ-ებ-ლ'ი* *ყოტილა გურ-ებ-ლ'ი*;

ნამ. უარყ. ყოტი-ჭო „არ გაჭრა“ *ყოტი ჰეჭო*; ასევე: *აბსოლუტ. ნამ. უარყ. ყოტი-ჭო-გო* *ყოტი ჰეჭო-გო*, *პირობ. უარყ. ყოტი-ჭო-ნი* *ყოტი ჰეჭო-ნი*, *დათმობ. უარყ. ყოტი-ჭო-ნი-გი* *ყოტი ჰეჭო-ნი-გი*, *მიმღ. ნამ. უარყ. ყოტი-ჭ-ებ* *ყოტი ჰეჭ-ებ*, *პირობ. ნატვრ. ნამ. უარყ. ყოტი-ჭ-ებ-ანი* *ყოტი ჰეჭ-ებ-ანი*, *ნამიმღ. მასდ. ნამ. უარყ. ყოტი-ჭ-ებ-ლ'ი* *ყოტი ჰეჭ-ებ-ლ'ი*;

ბრძანებ. უარყ. ყოტუ-გე „ნუ გაჭრი“ *ყოტუ[ლა] *გ-ე*; ასევე: *კავშირებ. I უარყ. ყოტუ-გე-გი* *ყოტუ[ლა] *გ-ე-გი*, *კავშირებ. II უარყ. ყოტუ-გე-და-ბ* *ყოტუ[ლა] *გ-ე-და-ბ*.

ამგვარი ვარაუდი გასაგებს ხდის ზოგ თავისებურებას, რაც უარყოფით ნაკვთთა წარმოებას ახასიათებს შესაბამის დადებით ერთეულებთან შედარებით. მხედველობაში გვაქვს, კერძოდ, შემდეგი ფაქტები (ჩვენთვის უკვე ცნობილი):

ა) დადებით ნამყოს აბსოლუტივს აწარმოებს **-უნ**, ხოლო უარყოფით იმავე ერთეულს **-გო** (-ჭო-გო); შდრ.: *ყოტ-უნ* „გაჭრა-რა“ — *ყოტი-ჭო-გო* „არ გაჭრა-რა“...;

ბ) დადებითი ნამყოს მიმღეობა იწარმოება **-რა-ბ** სუფიქსით, უარყოფითი — **-ებ** (-ჭ-ებ) სუფიქსით; შდრ.: *ყოტა-რა-ბ* „გაჭრილი“ — *ყოტი-ჭ-ებ* „არგაჭრილი“, „გაუჭრელი“.

¹ უარყოფითი სიტყვის ისეთი ფორმები, რომლებიც რეალურად არაა დადასტურებული, აღნიშული გვაქვს ვარსკვლავებით.

გ) დადებით ბრძანებითს ორი სხვადასხვა საწარმოებელი ფორმანტი აქვს (სხვადასხვა ზმნებში): **-ე** და **-ა**, ხოლო უარყოფითს — ერთად-ერთი: **-ე** (-გ-ე); მღრ.: ყოტ-ე „გაჭერ!“ ვაჭ-ა „მოდი!“ — მაგრამ: ყოტუ-გე „ნუ გაჭერი!“ ვაჭუნ-გე „ნუ მოხვალ!“...

აღნიშნული თავისებურებები უარყოფით ნაკვთა წარმოებისა გასაგები იქნება, თუ ამოვალთ იმ დამხმარე უარყოფით სიტყვათა ფორმებიდან, რომლებიც შესაბამისი უარყოფითი ნაკვთების საწარმოებელ სუფიქსებად ქცეულან; ასე:

ა) უარყოფით ნამყოს აბსოლუტივს აწარმოებს **-გო**, (და არა **-უნ**) იმიტომ, რომ ამოსავლად ნავარაუდები უარყოფითი სიტყვის აბსოლუტივს სწორედ ეს სუფიქსი შეეფერება: ჰეჭო-გო „არ არის-რა“ (ყოტი-ჭო-გო „არ გაჭრა-რა“ ყოტი ჰეჭო-გო);

ბ) უარყოფით ნამყოს მიმღეობას დაერთვის **-ებ** სუფიქსი (და არა **-რაბ**) იმიტომ, რომ შესაბამისი უარყოფითი სიტყვის მიმღეობას სწორედ ეს სუფიქსი აქვს: ჰეჭ-ე-ბ „არ მყოფი“ (ყოტი-ჭ-ე-ბ ყოტი ჰეჭ-ე-ბ);

გ) უარყოფით ბრძანებითს საწარმოებელი ფორმანტი განსხვავებული ვერ იქნება სხვადასხვა ზმნებში, რაკი უარყოფითი ბრძანებითს სრული ფორმანტი ყველა ზმნაში წარმოშობით ერთი და იმავე უარყოფითი სიტყვის ბრძანებითს ფორმაა მისთვის შესაბამისი საწარმოებელი ფორმანტით (**-ე**); *გ-ე: ყოტუ-გე ყოტუ[ლა] გ-ე „ნუ გაჭერი!“ და ამგვარადვე: ვაჭუნ-გე ვაჭუნ[ა] გ-ე „ნუ მოდიხარ!“ „ნუ მოხვალ!“.. (მღრ.: დადებ. ბრძან. ყოტ-ე „გაჭერ!“ მაგრამ: ვაჭ-ა „მოდი!“).

შენიშვნა. უარყოფითი ბრძანებითს ფორმა საწარმოებელი ფორმანტის მხრივ ისევეა უნიფიცირებული, როგორც ბრძანებითს ფორმა კაუზატიურ ზმნებში; მღრ.: კაუზატიურ ზმნებს აწარმოებს დამხმარე ზმნა ჰაბიზე „კეთება“ (§ 159). ამიტომ კაუზატიურ ზმნათა ბრძანებითს ფორმა (ისევე, როგორც სხვა ნაკვთებისაც) შესაბამისია ამ დამხმარე ზმნის ბრძანებითს ფორმისა (ყოტიზაბ-ე ყოტიზე ჰაბ-ე „გააკეთებინე!“, „აიძულე გააკეთოს!“... — ბაჭინაბ-ე ბაჭინე ჰაბ-ე „აიძულე მოვიდეს!“)...

უარყოფითი წარმოების ისტორია ხუნძურში გასაგებს ხდის იმასაც, თუ რატომაა, რომ ამ ენაში უარყოფის მაწარმოებლები ბოლოსართებია: ეს ბოლოსართები, როგორც ვნახეთ, უარყოფით მეშველ ზმნათა ფორმებია სათანადო დადებით ფორმებთან შეხორცებული (და ფონეტიკურად შეცვლილი).

§ 175. თურმეობითის ფორმები -ილა ნაწილაკით. -ილა ნაწილაკიან ნამყო დროის ფორმებს თურმეობითის მნიშვნელობა აქვთ. ეს ნაწილაკი შეიძლება დაერთოს ნამყო დროის როგორც დადებითს, ისე უარყოფით ფორმებს. ნაწილაკის დართვა იწვევს ამოსავალი ფორმის ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცას.

ა) *ნამყო დადებ.* ყოტანა „გაჭრა“ — *ნამყოს თურმ.* დადებ. ყოტან-ილა „გაჭრა თურმე“, „გაუჭრია“...

ნამყო უარყ. ყოტიჭო „არ გაჭრა“ — *ნამყოს თურმ.* უარყ. ყოტიჭ-ილა „არ გაჭრა თურმე“, „არ გაუჭრია“...

ბ) *ნამყო უსრ.* დადებ. ყოტულან „ჭრიდა“ — *ნამყო უსრ.* თურმ. დადებ. ყოტულან-ილა „ჭრიდა თურმე“;

ნამყო უსრ. უარყ. ყოტულარან „არ ჭრიდა“ — *ნამყო უსრ.* თურმ. უარყ. ყოტულარან-ილა „არ ჭრიდა თურმე“.

-ილა ნაწილაკი შეიძლება გვექონდეს მიმღეობასთანაც, როცა ეს უკანასკნელი შესაბამისი ზმნური ფორმის (შემასმენლის) როლში გამოდის (§ 171): ვუკარავ „ნამყოფი“ (= „იყო“) — ვუკარავ-ილა „ნამყოფი (= იყო) თურმე“, „ყოფილა“...

-ილა ნაწილაკიანი თურმეობითის ფორმები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ზღაპრებში. მაგალ.: ვუკანილა, ვუკინჭილა ცო ფაჩაჰ, ფაჩაჰასულ ლაბგო ვასგი ვუკანილა. შიბაბ ყოძალაჰ ჰელ ინსუდელ ტადე უნანილა „ყოფილა, არ ყოფილა ერთი მეფე, მეფეს სამი ვაჟი ჰყოლია. ყოველ დღე ესენი მამასთან მიდიოდნენ თურმე“... ვილანილა ავ, ვილანილა, ჭემერავ ვილანილა, დაჰავ ვილანილა, ყასი ვილანილა, ყად ვილანილა, ნელერ მეჭერ ცო თანილა, ჩიძარ მეჭერ კიგო თანილა, გვანზალ როხალ ყოტანილა, შივანილა ავ ცო ზამანაძალდასა... ცო როხოვე „იარა თურმე მან, იარა თურმე, სალამოს იარა თურმე, დღისით იარა თურმე, ჩვენი ერთი მთა დატოვა თურმე (გადაიარა თურმე), სხვისი ორი მთა დატოვა თურმე (გადაიარა თურმე), უღრანი ტყეები გადაკვეთა თურმე, შეადწია თურმე ცოტა ხნის შემდეგ... ერთ ტყეში“... ახიტე ხვადულანილა ადმას „ბაღში დადიოდა თურმე ეს ქალიშვილი“...

შენიშვნა 1. -ილა ნაწილაკი დაერთვის მეშველ ზმნებს აწმყოშიც (ბუგო „არის“ — ბუგ-ილა „არის თურმე“; ჰეჭო „არ არის“ — ჰეჭ-ილა „არ არის თურმე“...) და ამ მეშველი ზმნებით ნაწარმოებ ადწერიით ფორმებს (ყოტულებ ბუგო „ჭრის“ — ყოტულებ ბუგ-ილა „ჭრის თურმე“... ყოტულებ ჰეჭო „არ ჭრის“ — ყოტულებ ჰეჭილა „არ ჭრის თურმე“...).

შენიშვნა 2. თურმეობითის გაგება ნამყო დროში შეიძლება ჰქონდეს აღწერითად ნაწარმოებ ნამყო შედეგობითსაც (პერფექტს): ყოტუნ ბუგო „გაკეთებული აქვს“, „გაუკეთებია“ (§ 177).

§ 176. მეშველი ზმნები. გარჩეულია ორი მეშველი ზმნა (დადებითი შინაარსისა); **ბ-უგო** (შესაბამისად კლასებისა და რიცხვისა: ვ-უგო, დ-იგო დ-უგო, ბ-უგო; რ-უგო) და **ბ-უკუნა** (შესაბამისად კლასებისა და რიცხვისა: ვ-უკუნა, დ-იკუნა დ-უკუნა, ბ-უკუნა; რ-უკუნა). პირველი უფრო კონკრეტული მნიშვნელობისაა, მეორე — უფრო ზოგადი მნიშვნელობისა; შდრ.: ღირ ვაცა **ვ-უგო** როყოვ „ჩემი ძმა არის სახლში“ (ამ წუთას) — ღირ ვაცა **ვ-უკუნა** როყოვ „ჩემი ძმა არის სახლში“ (საერთოდ).

ბ-უკინე (აწმყო ბ-უკუნა) ზმნის ფუძეა -უ-კ, ძირი — **კ**, ბ-უგო ზმნაში სხვა ფუძეა: კლას-ნიშნის ჩამოცილებით აქ გვრჩება **-უ-გო**, რომელშიც **-გო** არ უნდა შეადგენდეს მარტივი ფუძის კუთვნილებას: იგი წარმოშობით **-გო** ნაწილაკი ჩანს. თუ ეს ასეა, მაშინ ძირეული თანხმომავანი ამ ზმნაში არ გვქონია (კლას-ნიშნის მოსდევს მხოლოდ ხმომავანი ძირეული თანხმომავნის გარეშე: ბ-უ; შდრ.: ბ-უ-კ-). შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ბ-უ-გო-ში **-გო** ნაწილაკის წინ დაკარგულია ძველი თანხმომავანი **კ** (ე. ი. იგივე ძირეული თანხმომავანი, რაც ბ-უკინე-ში გვქვს): ბ-უ-გო *ბ-უ-კ-გო. მაგრამ ამგვარი ვარაუდი გამორიცხული უნდა იყოს (შდრ. ლ'იკ-გო „კარგად“, სადაც **კ** დაცულია **-გო** ნაწილაკთან). ეს მით უფრო, რომ დიალექტებში (ჰიდურში, ანწუხურში) ბ-უგო მეშველ ზმნას გარკვეულ შემთხვევებში **-გო** ნაწილაკი შეიძლება არც ახლდეს და ძირეული თანხმომავანი მაინც არ გვქონდეს (ვ-უ, ბ-უ; დ-უ; რ-უ)¹.

ბ-უგო „არის“ მეშველ ზმნას მოეპოვება უარყოფითი ვარიანტი ჰეჭო „არ არის“. ბ-უგო დადებითი მეშველი ზმნაა, ჰეჭო — უარყოფითი მეშველი ზმნა. უკანასკნელი პირველს უპირისპირდება ფუძის მნიშვნელობით და არა უარყოფის საწარმოებელი რაიმე სუფიქსით.

მეორე — უფრო ზოგადი მნიშვნელობის — მეშველ ზმნას კი უარყოფითი ვარიანტი ნაწარმოები აქვს ჩვეულებრივი წესით (საერთო ფუძეზე სპეციალური უარყოფითი სუფიქსის დართვით): ბ-უკუნა „არის“ — ბ-უკუნა-რო „არ არის“ (შდრ. ყოტულა „ჭრის“ — ყოტულა-რო „არ ჭრის“)...

უარყოფითი ჰეჭო („არ არის“) ზმნა დადებითი ბ-უგო („არის“) ზმნისაგან განსხვავებით უკლას-ნიშნოა (და, მაშასადამე, იგი სათანადო ნაკვთში არ იცვლება არც კლასისა და არც რიცხვის მიხედვით).

როგორც ბ-უგო („არის“), ისე ჰეჭო („არ არის“) დეფექტური ზმნებია ფორმათა წარმოების მხრივ: მათ ყველა ნაკვთის ფორმა არა აქვთ.

¹ შდრ.: . ,

ქვემოთ მოგვყავს ორივე ზმნის ყველა შესაძლო ფორმა (ჩვენთვის უკვე ცნობილი საწარმოებელი ფორმანტებით):

ბუგო არის	ჰეჭო „არ არის“
ბუგო-ან	ჰეჭო-ან
[ბუკა-გო]	ჰეჭო-გო
ბუგ-ილა	ჰეჭ-ილა
ბუგო-ნი	ჰეჭო-ნი
ბუგო-ნი-გი	ჰეჭო-ნი-გი
ბუგ-ე-ბ	ჰეჭ-ე-ბ
ბუგ-ე-ბ-ანი	ჰეჭ-ე-ბ-ანი
ბუგ-ე-ბ-ლ'ი	ჰეჭ-ე-ბ-ლ'-ი
ბუგ-ე-ლ'ა-ულ (§184)	ჰეჭ-ე-ლ'ა-ულ (§184)

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. აბსოლუტივის ფორმად ბუგო-საგან მოსალოდნელი იყო გვექონოდა ბუგო-გო (ისევე, როგორც ჰეჭო-საგან — ჰეჭო-გო), მაგრამ გვაქვს: ბუკა-გო „არის-რა“, ; . ჩანს, აქ გამოიყენება ბუკინე ზმნის ფუძე, თუმცა თვით ბუკინე-ს აბსოლუტივში (აწმყოშიც და ნამყოშიც) სხვა — საკუთარი — ფორმები აქვს (ბ-უკუნა-გო, ბ-უკუნ-ნ).

ნაკლულ ფორმებს ეს ზმნები ივსებენ ბუკინე ზმნის (დადებითი და უარყოფითი) ფორმებით. ამ უკანასკნელს მოეპოვება ყველა ფორმა, რაც კი ყოველ წესიერ ზმნას შეიძლება ჰქონდეს.

„ყოფნა“ ზმნის აღწერით ფორმათა წარმოებისას საუღვლეველი ზმნის როლში ბუკინე გამოდის, ხოლო დამხმარე ზმნის როლში — ბუგო (უარყ. ჰეჭო). თვით ბუგო (უარყ. ჰეჭო) მოკლებულია აღწერითი წარმოების ფორმებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ხუნძურში ძველად უნდა გვექონოდა აგრეთვე მე-შველი ზმნა *ლ'-ი-ზე „გახდომა“, „გარდაქცევა“. ამჟამად იგი დამოუკიდებლად აღარ იხმარება, ნასახელარ ზმნებს აწარმოებს (§ 181).

უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ს ი ტ ყ ვ ა გ უ რ ო. გურო (|| გორო) გამოხატავს უარყოფით პასუხს კითხვაზე (უდრის ქართ. „არა“-ს); მაგალ.: — ჰაბ ტეხ^ნ დურ-იშა? „ეს წიგნი შენი[ა]?“ — გურო „არა“ (შდრ.: — დურ ტეხ^ნ ჰანიბ ბუგ-იშა „შენი წიგნი აქ არის? — ჰეჭო „არ არის“).

ამისდა მიუხედავად, **გურო**-საგან შეიძლება ვაწარმოოთ ზოგი ისეთი ფორმა, რაც ჰეჭო („არ არის“) უარყოფით ზმნას მოეპოვება; კერძოდ: *მიმღ.* გურ-ე-ბ (შდრ. ჰეჭ-ე-ბ) და მისგან ნაწარმოები ფორმები: გურ-ე-ბ-

ანი (შდრ. ჰეჰ-ე-ბ-ა-ნი), გურ-ე-ბ-ლი (შდრ. ჰეჰ-ე-ბ-ლი); პირობ. გურო-ნი „გარდა“, ზედმიწ. „თუ არა“ (შდრ. ჰეჰო-ნი „თუ არ არის“).

გ უ რ ო -საგან ნაწარმოები ჩანს გ უ რ - ტ - ი -ზე - გ უ - ტ - ი -ზე, ომელიც ინფინიტივის ფორმას წარმოადგენს და რომელსაც შესაბამისი უარყოფითი შინაარსით შეიძლება ეწარმოოს ყველა ნაკვთის ფორმა დადებითი წარმოების ფორმათა მსგავსად (გუტ -ი-ზე, გუტ-ი, გუტ-უ-ლა, გუტ-ი-ლა, გუტ-ა-ნა, გუტ-უნ, გუტ-ა! გუტ-უ-ლა-ან და ა. შ. — § 175).

§ 177. აღწერითი ფორმები. აღწერითი წარმოებისას საუღვლებელ (ძირითად) ზმნას შეიძლება ჰქონდეს ფორმები: ა) აწმყოს მიმღეობისა (ყოტულებ „მჭრელი“), ბ) ნამყოს აბსოლუტივისა (ყოტუნ „გაჭრა-რა“) და გ) ინფინიტივისა (ყოტიზე „ჭრა“). შესაბამისად გასარჩევია აღწერითი წარმოების ტიპებიც: ა) აწმყოს მიმღეობიანი, ბ) ნამყოს აბსოლუტივიანი და გ) ინფინიტივიანი.

თითოეულ ზემოაღნიშნულ ფორმას შეიძლება დაერთოს მეშველი ზმნა სხვადასხვა ფორმებით (მხედველობაში გვაქვს მეშველი ზმნები: ბ-უგო „არის“ [უარყ. ჰეჰო „არ არის], ბ-უკინე „ყოფნა“ — შესაბამისი ფორმებით).

აღწერითი წარმოებისას მეშველი ზმნა მოკლებულია დამოუკიდებლობას და საუღვლებელი ზმნის ფორმანტის როლში გვევლინება (იმავე ფუნქციით, რაც მარტივი წარმოებისას ზმნის ფუძეზე დართულ დრო-კილოთა საწარმოებელ ფორმანტებს აქვთ).

ქვემოთ მოგვყავს აღწერითი წარმოების მთავარი ფორმები, რომლებიც უფრო ხშირად იხმარება და თავისი მნიშვნელობით გარკვეულ შეფარდებაშია მარტივი წარმოების ფორმებთან.

1) **აწმყოს მიმღეობიანი აღწერითი ფორმა:** ა წ მ ყ ო კ ო ნ კ რ ე - ტ უ ლ ი. აწმყოს მიმღეობიანი აღწერითი ფორმებიდან მთავარია აღწერითი ფორმა, რომელიც იწარმოება აწმყოს მიმღეობაზე ბ - უ გ ო „არის“ (უარყ. ჰეჰო „არ არის“) მეშველი ზმნის დართვით. სათანადო ფორმა ა წ მ ყ ო კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი ს მნიშვნელობა აქვს: გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მასზე ლაპარაკის მომენტში წარმოებს (და არა ისეთ მოქმედებას, რომელიც საერთოდ ხდება; რასაც მარტივი წარმოების აწმყო, ანუ აწმყო ზოგადი გამოხატავს): ყოტულებ-ბ ბ-უგო „ჭრის“ (ამ წუთას), ვ-აჭუნე-ვ ვ-უგო „მოდის“ (ამ წუთას)...

ასეთი წარმოების დროს კლასისა და რიცხვის ნიშნები მიმღეობაშიცა და მეშველ ზმნაშიც მიუთითებენ ერთსა და იმავე სახელზე: ან რეალურ სუბიექტზე (როცა საუღვლებელი ზმნა გარდაუვალია), ან რეალურ ობიექტზე (როცა საუღვლებელი ზმნა გარდამავალია); შდრ.:

ა) გ რ დ უ გ.: ვაცა ვ-აჭუნე-ვ ვ-უგო „ძმა მოდის“, დაცა დ-აჭუნე-დ დ-იგო „და მოდის“, ჩუ ბ-აჭუნე-ბ ბ-უგო „ცხენი მოდის“, ვაცაალ რ-აჭუნე-ლ რ-უგო „ძმები მოდიან“, ემენ ჰალტულე-ვ ვ-უგო „ძამა მუშაობს“, ებელ ჰალტულე-დ დ-იგო „დედა მუშაობს“ და ა. შ.;

ბ) გ რ დ მ.: ინსაუცაა ვას ვ-ეცაულე-ვ ვ-უგო „ძამა (ზედმიწ. მამამ) ვა-ჟიშვილს (ზედმიწ. ვაჟიშვილი) აქებს“, ინსაუცაა დას დ-ეცაულე-დ დ-იგო „ძამა (ზედმიწ. მამამ) ქალიშვილს (ზედმიწ. ქალიშვილი) აქებს“, ინსაუცაა ჩუ ბ-ეცაულე-ბ ბ-უგო „ძამა (ზედმიწ. მამამ) ცხენს (ზედმიწ. ცხენი) აქებს“, ინსაუცაა ვასალ რ-ეცაულე-ლ რ-უგო „ძამა (ზედმიწ. მამამ) ვაჟიშ-ვილებს (ზედმიწ. ვაჟიშვილები) აქებს“, ვაცაასა წულ ყოტულე-ბ ბ-უგო „ძმა (ზედმიწ. ძმამ) შეშას (ზედმიწ. შეშა) ჰრის“ და ა. შ.

უარყოფითი შინაარსით საულღლებელი ზმნის იმავე ფორმას დაერ-თვის ჰეჭო „არ არის“, რომელიც უკლას-ნიშნოა და ამიტომ, ცხადია, მო-კლებულია საშუალებას იცვალოს კლასისა და რიცხვის მიხედვით (კლასი-სა და რიცხვის მიხედვით განსხვავებული ფორმები ექნება მხოლოდ საულ-ღლებელ — ძირითად — ზმნას): ვაცა ვ-აჭუნე-ვ ჰეჭო „ძმა არ მოდის“, დაცა დ-აჭუნე-დ ჰეჭო „და არ მოდის“, ჩუ ბ-აჭუნე-ბ ჰეჭო „ცხენი არ მოდის“, ვაცაალ რ-აჭუნე-ლ ჰეჭო „ძმები არ მოდიან“.. ინსაუცაა ვას ვ-ეცაულე-ვ ჰეჭო „ძამა (ზედმიწ. მამამ) ვაჟიშვილს (ზედმიწ. ვაჟიშვილი) არ აქებს“, ინსაუცაა დას დ-ეცაულე-დ ჰეჭო „ძამა (ზედმიწ. მამამ) ქალიშვილს (ზედმიწ. ქალიშვილი) არ აქებს“ და ა. შ.

ამრიგად, აღწერითი წარმოებისას მეშველი ზმნა მოკლებულია სინ-ტაქსურ დამოუკიდებლობას: თუ იგი დამოუკიდებლად ხმარებისას გარდა-უვალი ზმნაა და გარდაუვალ ზმნათა შესაფერისი ფორმები მოეპოვება (მხედველობაშია ფორმები გრამატიკული კლასისა და რიცხვის მიხედვით), აღწერითი წარმოებისას მისი ფორმები დამოუკიდებელია იმაზე, გარდაუვა-ლია თუ გარდამავალი საულღლებელი (ძირითადი) ზმნა, რომელსაც იგი დაერთვის (მაგალითები იხ. ზემოთ).

იმავე კომპონენტთა შეხამება (აწმყოს მიმღეობა პლუს მეშველი ზმნა), რაც აღწერითს ფორმას აწარმოებს, შეიძლება გვაძლევდეს შედგე-ნილ შემასმენელსაც. ასეთ შემთხვევაში მეშველი ზმნა მიმღეობისაგან და-მოუკიდებლად მისთვის შესაფერის სინტაქსურსა და მორფოლოგიურ ნი-შან-თვისებებს ამჟღავნებს (განსხვავება ამ მხრივ შედგენილ შემასმენელსა და იმავე კომპონენტთაგან ნაწარმოებ აღწერით ფორმას შორის თვალსა-ჩინო შეიძლება იყოს გარდამავალ ზმნებში)¹; შდრ. ინსაუცაა ჩუ ბ-ეცაულე-ბ ბ-უგო „ძამა (ზედმიწ. მამამ) ცხენს (ზედმიწ. ცხენი) აქებს“ (აღწერითი ფორმა) — ემენ ჩუ ბ-ეცაულე-ვ ვ-უგო „ძამა ცხენის (ზედმიწ. ცხენი) მაქე-ბარი არის“ (შედგენილი შემასმენელი); ვაცაასა წულ ყოტულე-ბ ბ-უგო

¹ ამ საკითხის თაობაზე: . . . , . . . გვ. გვ. 108-117.

ძირითადი და მეშველი ზმნის ასეთი შეხამებისას ძირითადი ზმნა ნამყოფს აბსოლუტივის ფორმით (ყოტუნ „გაჭრა-რა“) მოქმედების შესრულებაზე მიუთითებს, მასზე დართული მეშველი ზმნა (ბ-უგო „არის“) შესრულებულ მოქმედებას თავისი შედეგით აწმყოსთან აკავშირებს („აწმყო შედეგობით“). აწმყოსთან კავშირი ასეთი წარმოებისა განსაკუთრებით თვალსაჩინოა სტატიკურ ზმნებში: ჭუნ ვ-უგო „დგას“ („დამდგარი არის“, ზედმიწ. „დადგა-რა არის“), ვ-ეგუნ ვ-უგო „წევს“ („დაწოლილი არის“, ზედმიწ. დაწვა-რა არის“), ტიყუნ ვ-უგო „სძინავს“ („დაძინებული არის“, ზედმიწ. „დაიძინა-რა არის“), უნთუნ ვ-უგო „ავადაა“ (ზედმიწ. „ავად გახდა-რა არის“)¹ და ა. შ.

ძირითადი ზმნის იმავე ფორმას მეშველი ზმნა შეიძლება დაერთოს ნამყოფ დროშიც (ბ-უკანა „იყო“). მაშინ შესრულებული მოქმედება (მისი შედეგის მიხედვით) განიხილება ნამყოფ დროის თვალსაზრისით („ნამყოფ შედეგობით“): ვ-აჭუნ ვ-უკანა „მოსულიყო“ (ზედმიწ. „მოვიდა-რა იყო“), ყოტუნ ბ-უკანა „გაეჭრა“ (ზედმიწ. „გაჭრა-რა იყო“), ტიყუნ ვ-უკანა „ეძინა“ (ზედმიწ. „დაიძინა-რა იყო“), ჭუნ ვ-უკანა „იდგა“ (ზედმიწ. „დადგა-რა იყო“) და ა. შ.

ამრიგად, აღწერით ფორმას, რომელიც იწარმოება ნამყოფს აბსოლუტივზე მეშველი ზმნის დართვით, ორი მნიშვნელობა აქვს: სახეობრივი (აღნიშნავს შესრულებულ მოქმედებას) და დროული (აღნიშნავს დროს, რომელშიც მოქმედების შედეგი ვლინდება). პირველი გამოიხატება ძირითადი ზმნის ფორმით, მეორე — მეშველი ზმნის შესაბამისი დროული ფორმით.

მეორე მნიშვნელობა, რაც მეშველი ზმნით გამოიხატება, უნდა ვიფიქროთ, შედარებით ახალია: მეშველი ზმნა ძირითადი ზმნის ფორმაზე გვიან დართული ჩანს. ხუნძურ დიალექტებში ზოგჯერ ნამყოფს აბსოლუტივის ფორმამ შეიძლება გამოხატოს შესრულებული მოქმედება მეშველი ზმნის დაურთველადაც (ე. ი. დროული მნიშვნელობის გარეშე); შდრ., მაგალ., ჰიდურში: ჰუბუმუ „გააკეთა“ („გაკეთებული აქვს“), ბოსუმუ „იყიდა“...² (უდრის სამწერლო ენასა და სათანადო დიალექტებში ნამყოფს აბსო-

¹ „დუნ უნთუნ ვუგო ჰანყი — , . . . “ (. . . , . . . გვ. 205).

² შდრ.: . . . , გვ. 324-325; მისივე; . . . , გვ. 144-145. (შ. მიქაილოვის ვარაუდით, აღნიშნული ფაქტი ჰიდურისა მეორეულია: მეშველი ზმნა მერეა დაკარგული ფონეტიკურ ნიდაგზეო).

ხუნძურის ახლო მონათესავე ანდიურ ენებში (კერძოდ, საკუთრივ ანდიურში) მეშველი ზმნის დაურთველადაც სათანადო მარტივი ფორმა (რომელიც აქაც ნამყოფს აბსოლუტივთან საზიარო ფორმას) გამოხატავს შესრულებულ მოქმედებას (პერფექტს): იჰი-დუ „გააკეთა“ („გაკეთებული აქვს“), ბიხი-დუ „იყიდა“... (და ეს არქაული მოვლენაა).

ლუტივითა და მეშველი ზმნით ნაწარმოებ აღწერით ფორმებს). ჰილურის ეს მოვლენა არქაული ჩანს.

იქაც, სადაც ამჟამად გვაქვს აღწერითი წარმოება (მეშველი ზმნის დართვით), ძველად უნდა გვქონოდა მარტივი ფორმა (მეშველი ზმნის გარეშე), რომელიც გამოხატავდა შესრულებულ მოქმედებას (პერფექტულ ანუ სრულ ასპექტს) დროული დიფერენციაციის გარეშე. ეს იყო ფორმა, რომელიც ახლა იხმარება ნამყოს აბსოლუტივის მნიშვნელობით; სქემატურად: ა) ძველად (მარტივი ფორმა): ყოტუნ „გაჭრა“ (პერფექტული, სრული, ასპექტისა), გვიანდელი მნიშვნელობით: „გაჭრა-რა“ (ნამყოს აბსოლუტ.); ბ) ამჟამად (აღწერითი ფორმა): ყოტუნ ბუგო „გაჭრილი აქვს“ (აწმყო შედეგობითი), ყოტუნ ბუკანა „გაჭრილი ჰქონდა“, „გაეჭრა“ (ნამყო შედეგობითი).

შენიშვნა. ნამყოს აბსოლუტივიან აღწერით ფორმას ზოგჯერ შეიძლება ჰქონდეს ნამყოს თურმეობითის მნიშვნელობაც; მაგალ.: დოვ ვაჭუნ ვუგო ჰანივე დუნ ტიყუნ ვუკარავ მეხალა „ის მოსულა აქ, როცა მე მეძინა“¹... მაგრამ ეს მნიშვნელობა ნაწარმოები მნიშვნელობაა, ძირითადია და ამოსავალი პერფექტული მნიშვნელობა (როგორც ამას სხვა ენებშიც აქვს ანალოგია)².

3) ინფინიტივიანი აღწერითი ფორმა: მყოფადი აუცილებლობითი (აწმყო ჯერ-არსობითი) აღწერით ფორმას, რომელიც იწარმოება ინფინიტივის ფორმაზე ბ-უგო „არის“ (უარყ. ჰეჭო „არ არის“) მეშველი ზმნის დართვით, მყოფადი დროის მნიშვნელობა აქვს: ყოტიზე ბ-უგო „გაჭრის“ (ზედმიწ. „გაჭრად არის“)³, ვ-აჭინე ვ-უგო „მოვა“ (ზედმიწ. „მოსვლად არის“) და ა. შ.; უარყ.: ყოტიზე ჰეჭო „არ გაჭრის“ (ზედმიწ. „გაჭრად არ არის“), ვ-აჭუნ ჰეჭო „არ მოვა“ (ზედმიწ. „მოსვლად არ არის“) და ა. შ. კლასისა და რიცხვის აღნიშვნის წესი ძირითადსა და მეშველ ზმნაში აქაც იგივეა, რაც დანარჩენ აღწერით ფორმებში (შესაბამისად საუღვლებელი — ძირითადი — ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობისა; შდრ.: ა) გრდუვ. (აღინიშნება რეალური სუბიექტი): ვაცა ვ-აჭინე ვ-უგო „მა მოვა“, დაცა დ-აჭინე დ-იგო „და მოვა“, ჩუ ბ-აჭინე ბ-უგო „ცხენი მოვა“, ვცაალ რ-აჭინე რ-უგო „ძმები მოვლენ“... ბ) გრდბ. (აღინიშნება რეალური ობიექტი): ინსაუცაა ვას ვ-ეცაიზე ვ-უგო „მამა (ზედმიწ. მამამ) ვაჟიშვილს (ზედმიწ. ვაჟიშვილი) შეაქებს“, ინსაუცაა მას დ-ეცაიზე დ-იგო „მამა (ზედმიწ. მამამ) ქალიშვილს (ზედმიწ. ქალიშვილი) შეაქებს“ და ა. შ.

¹ ეს მაგალითი პ. უსლარს მოჰყავს; შდრ. იქვე: „დოსა ბოსუნ ბუგო ჩუ — ()“: (. გვ. 205).

² ამის შესახებ: გვ. 121-122.

³ შდრ. ძვ. ქართულში ანალოგიური წარმოება („მოხდა არს“...).

მნიშვნელობის მიხედვით მარტივი წარმოების მყოფადისაგან (ყოტილა „გაჭრის“) აღწერით ნაწარმოებ მყოფადს (ყოტიზე ბ-უ-გო „გაჭრის“) განასხვავებს გარკვეული მოდალური ნიუანსი: მეტი დარწმუნებულობა იმაში, რომ მოქმედება — აუცილებლად — შესრულდება. ამას ემყარება ტერმინიც: „მყოფადი აუცილებლობითი“ (ხუნძურ სასკოლო გრამატიკაში: ტადებოსულ ფორმა „აუცილებლობითი ფორმა“). ასეთ ნიუანსს წარმოებას ინფინიტივი (ძირითადი ზმნის ფორმა) ანიჭებს. დროული გაგებაც არსებითად ძირითადი ზმნის ფორმის (ინფინიტივის) შინაარსთან ჩანს დაკავშირებული: მეშველი ზმნა მას აწმყო დროში შეეწყობა (ბუგო „არის“), რაც მყოფადის მნიშვნელობას, ცხადია, ვერ მოგვცემდა. ადრე კი, როგორც ამას მეშველი ზმნის ფორმა მოწმობს, ასეთ წარმოებას უნდა ჰქონოდა აწმყო დროის მნიშვნელობა იმ მოდალური ნიუანსით, რასაც ძირითადი ზმნის ფორმა გამოხატავდა. გარკვეული ნიუანსით („ჯერ არს“, „ხამს“, „საჭიროა“, „უნდა“ — ,) აწმყო დროის მნიშვნელობა ასეთ წარმოებას არც ახლა ეუცხოვება; შდრ.: დიდე ელ^ა ცო ოც ტეზე ბუგებინ „მან მე ერთი ხარი უნდა მომცეს (მოსაცემი აქვს)“ (ზლაპ.); ტეზე ბუგო დიცაა დოსიდე შარაც); „უნდა მივცე მე მას ფული“...¹ ტოლოზე ბუგო ჰაბ ჩუ „შეკაზმვა უნდა (ესაჭიროება) ამ ცხენს“¹. აქედან უნდა იყოს მყოფადის მნიშვნელობაც ნაწარმოები („უნდა მივცე“ „აუცილებლად¹ მივცემ“).

4) დანარჩენი აღწერითი ფორმები (მეშველი ზმნის ფორმათა შესაბამისად). ზემოთ განხილული იყო აღწერითი წარმოების ტიპები საუღვლებელი (ძირითადი) ზმნის ფორმათა მიხედვით (სამი ტიპი: აწმყოს მიმღობიანი, ნამყოს აბსოლუტივიანი და ინფინიტივიანი). თითოეულ ტიპში გათვალისწინებული იყო ბ-უგო „არის“ (უარყ. ჰეჭო) მეშველ-ზმნიანი წარმოება (ნამყოს აბსოლუტივიანი აღწერითი წარმოება — ბ-უკანა „იყო“ მეშველი ზმნიაც).

დანარჩენი აღწერითი ფორმები თითოეული ზემოაღნიშნული ტიპის შიგნით მიიღება ძირითად ზმნასთან მეშველი ზმნის ფორმათა ცვლით (დრო-კილოთა მიხედვით).

შეუძლებელი არ არის ძირითადი ზმნის ზემოაღნიშნულ ფორმებთან მეშველი ზმნა იხმარებოდეს ყველა იმ ფორმით, რაც კი მას დამოუკიდებლად ხმარებისას აქვს ხოლმე².

¹ გვ. 203.

² უსლარი ამ მნიშვნელობას ითვალისწინებს და შესაბამის ტერმინსაც ხმარობს: („აწმყო ჯერ-არსობითი“). მყოფადის მნიშვნელობაზე იგი არ მიუთითებს.

² როგორც ამას აღნიშნავს მ. საილოვი (. . . . I. . . გვ. 141).

ასე, მაგალ., აწმყოს მიმღეობასთან მეშველ ზმნას მისთვის დამახასიათებელი ფორმებით შეუძლია მოგვცეს შეხამებანი, რომელთა მნიშვნელობებს დრო-კილოთა თვალსაზრისით მეშველი ზმნის შესაბამისი ფორმების მნიშვნელობები განსაზღვრავს:

ყოტულებ ბუგო „მჭრელი არის“ (ყოტულებ ჰეჭო „მჭრელი არ არის“) — ყოტულებ ბუგოან (ყოტულებ ჰეჭოან), ყოტულებ ბუკაგო (ყოტულებ ჰეჭოგო), ყოტულებ ბუგილა (ყოტულებ ჰეჭილა), ყოტულებ ბუგებ (ყოტულებ ჰეჭებ), ყოტულებ ბუგებანი (ყოტულებ ჰეჭებანი), ყოტულებ ბუგებლ'ი (ყოტულებ ჰეჭებლ'ი). ყოტულებ ბუგელ'ულ (ყოტულებ ჰეჭელ'ულ);

ყოტულებ ბუკუნა „მჭრელი არის ჩოლმე“ (ყოტულებ ბუკუნარო „მჭრელი არ არის ჩოლმე“), — ყოტულებ ბუკინა (ყოტულებ ბუკინარო), ყოტულებ ბუკანა (ყოტულებ ბუკინჭო), ყოტულებ ბუკუნაან (ყოტულებ ბუკუნაროან), ყოტულებ ბუკინაან (ყოტულებ ბუკინაროან)... ყოტულებ ბუკა! (ყოტულებ ბუკუნგე!) ყოტულებ ბუკუნ ბუგო (ყოტულებ ბუკუნ ჰეჭო) და ა. შ.

ასევე შეიძლება მეშველი ზმნის ფორმები განსხვავებული იყოს ნამყოს აბსოლუტივისა და ინფინიტივის ფორმებთანაც.

მაგრამ ყოველი შეხამება მეშველი ზმნის ფორმებისა ძირითადი ზმნის აწმყოს მიმღეობის, ნამყოს აბსოლუტივისა და ინფინიტივის ფორმებთან როდი იძლევა აღწერით წარმოებას: ხშირად ასეთი შეხამებანი არსებითად უბრალო სინტაქსურ შენაერთებს წარმოადგენენ და არა საუღვლებელ ერთეულებს. ზოგჯერ ერთი და იგივე შეხამებაც (ერთი და იმავე კომპონენტებისა) სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება იყოს უბრალო სინტაქსური შენაერთიც (მაგალ. შედგენილი შემასმენელი) და აღწერითი (ანალიზური) ფორმაც ზმნისა (ამის მაგალითები იხ. ზემოთ)¹.

საერთოდ, აღწერით წარმოებაში მეშველი ზმნის ფორმებიდან ყველაზე მეტი ხვედრითი წონა (სხვებთან შედარებით) აქვს ფორმებს: ა) აწმყო დროისა: ბუგო „არის“; ბ) ნამყო დროისა: ბუკანა „იყო“ (მარტივი წარმოების ფორმა: ნამყო ძირითადი) და გ) ბუკუნ ბუგო „ნამყოფი არის“, „ყოფილა“ (აღწერითი წარმოების ფორმა: ნამყო სრული ანუ პერფექტი).

§ 178. ასპექტის გამოხატვა აღწერით ფორმათა მეშვეობით.

ნამყოს აბსოლუტივიანი აღწერითი ფორმები, როგორც ვნახეთ (§ 177), გამოხატავენ გარკვეულ დროსთან მიმართებაში დასრულებულ მოქმედებას (სრულ ასპექტს). ამ მხრივ ეს აღწერითი ფორმები კორელაციაშია აწმყოს მიმღეობიან აღწერით ფორმებთან, რომლებიც გამოხატავენ ყოველთვის დაუსრულებელ მოქმედებას (უსრულ ასპექტს).

¹ აღწერით ფორმათა გარჩევის საჭიროებას უბრალო სინტაქსური შენაერთისაგან განაზავს ა. ბოკარიოვი (. . . , . . . გვ. 103-128).

მეშველი ზმნის ერთი და იმავე დროის ფორმა ორივე ტიპის წარმოებას ერთი და იმავე დროის მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ სათანადო დროში ასპექტის თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობებს ვიღებთ. ეს თვალსაჩინოა, კერძოდ, ბუკანა „იყო“ მეშველი ზმნით წარმოებისას. ეს მეშველი ზმნა (ნამყო დროის ფორმით, რომელიც თავის მხრივ მარტივი წარმოებისაა) საუღვლებელი ზმნის აწმყოს მიმღეობის ფორმასთან ერთად გვაძლევს ნამყო უსრულის მნიშვნელობას, ხოლო ნამყოს აბსოლუტივის ფორმასთან — ნამყო სრულის (ნამყო შედეგობითის) მნიშვნელობას; სხვანაირად (ნეგატიურად) რომ ვთქვათ, ნამყო დროში აწმყოს მიმღეობიან აღწერით ფორმას არ შეუძლია გამოხატოს დამთავრებული მოქმედება, ხოლო ნამყოს აბსოლუტივიანს — დაუმთავრებელი მოქმედება. შდრ.:

ყოტულებ ბ-უკანა „ჭრიდა“ (ნამყო უსრული) — ყოტუნ ბ-უკანა „გაჭრილი ჰქონდა“, „გაეჭრა“ (ნამყო სრული: ნამყო შედეგობითი);

ბ-ოსულებ ბ-უკანა „ყიდულობდა“ (ნამყო უსრული) — ბ-ოსუნ ბ-უკანა „ნაყიდი აქვს“, „ეყიდა“ (ნამყო სრული: ნამყო შედეგობითი);

ვაჭუნე-ვ ვ-უკანა „მოდიოდა“ (ნამყო უსრული) — ვაჭუნ ვ-უკანა „მოსული იყო“ (ნამყო სრული: ნამყო შედეგობითი);

ამავე თვალსაზრისით განსხვავება თავს იჩენს აწმყო დროშიც, რომელიც იწარმოება ბ-უგო „არის“ აწმყო დროის მეშველი ზმნით; შდრ.:

ყოტულებ ბ-უგო „ჭრის“ (უსრული) — ყოტუნ ბ-უგო „გაჭრილი აქვს“ (სრული: აწმყო შედეგობითი);

ვაჭუნე-ვ ვ-უგო „მოდის“ (უსრული) — ვაჭუნ ვ-უგო „მოსული არის“ (სრული: აწმყო შედეგობითი) და ა. შ.

განსხვავება ამ ორი ტიპის აღწერით ფორმებს შორის გვაქვს დინამიკურობა-სტატიკურობის თვალსაზრისითაც.

აწმყოს მიმღეობიანი აღწერითი ფორმები თავისი შინაარსით დინამიკურია, ხოლო ნამყოს აბსოლუტივიანი — სტატიკური: პირველი მოქმედებას წარმოგვიდგენს პროცესის სახით (მის მიმდინარეობაში), მეორე — შედეგის (მდგომარეობის) სახით. ეს განსხვავება თანმიმდევრულად არის გატარებული შესაბამის დროებში; შდრ.: აწმყო დროში (ბ-უგო „არის“ მეშველი ზმნით):

ტიყულებ ვ-უგო „ეძინება“ (დინამიკ.) — ტიყუნ ვ-უგო „დაძინებული არის“, „სძინავს“ (სტატიკ.);

ვ-ორჭუნე-ვ ვ-უგო „ეღვიძება“ (დინამიკ.) — ვ-ორჭუნ ვ-უგო „გაღვიძებული არის“, „ღვიძავს“ (სტატიკ.);

ვ-ეგულე-ვ ვ-უგო „წვება“ (დინამიკ.) — ვ-უგუნ ვ-უგო „დაწოლილი არის“, „წვეს“ (სტატიკ.);

ჭოდო-ჭოლე-ვ ვ-უგო „ჯდება“ (დინამიკ.) — ჭოდო-ჭო-უნ ვ-უგო „დამჯდარი არის“, „ზის“ (სტატიკ.);

ტადე ვ-აჭუნე-ვ ვ-უგო „დგება“ (დინამიკ.) — ტადე ვ-აჭუნ ვ-უგო „ამდგარია“, „დგას“ (სტატიკ.);

წა რეკუნე-ბ ბ-უგო წ.ცეცხლი ეკიდება“ (დინამიკ.) — წა რეკუნ ბ-უგო წ.ცეცხლი მოკიდებული აქვს“, „უკიდია“ (სტატიკ.);

ჩუ ბოსულე-ბ ბ-უგო წ.ცხენს ყიდულობს“ (დინამიკ.) — ჩუ ბ-ოსუნ ბ-უგო წ.ცხენი ნაყიდი ჰყავს“ (სტატიკ.) და ა. შ.

ასევე ნ ა მ ყ ო დროში (-უკანა „იყო“ მეშველი ზმნით):

ტიყულე-ვ ვ-უკანა „ეძინებოდა“ (დინამიკ.) ტიყუნ ვ-უკანა „დაძინებული იყო“, „ეძინა“ (სტატიკ.);

ვ-ორჭულე-ვ ვ-უკანა „ელვიძებოდა“ (დინამიკ.) — ვ-ორჭუნ ვ-უკანა „გაღვიძებული იყო“, „ელვიძა“ (სტატიკ.);

ვ-ეგულე-ვ ვ-უკანა „წვებოდა“ (დინამიკ.) — ვ-ეგუნ ვ-უკანა „დაწოლილი იყო“, „იწვა“ (სტატიკ.);

ჭოდო-ჭოლე-ვ ვ-უკანა „ჯდებოდა“ (დინამიკ.) — ჭოდო-ჭუნ ვ-უკანა „დამჯდარი იყო“, „იჯდა“ (სტატიკ.);

ტადე ვ-აჭუნე-ვ ვ-უკანა „დგებოდა“ (დინამიკ.) — ტადე ვ-აჭუნ ვ-უკანა „ამდგარი იყო“, „იდგა“ (სტატიკ.);

ბ-ოსულე-ბ ბ-უკანა „ყიდულობდა“ (დინამიკ.) — ბ-ოსუნ ბ-უკანა „ნაყიდი ჰქონდა“ (სტატიკ.) და ა. შ.

ამრიგად, აწმყოს მიმღეობიანი აღწერითი ფორმები თავისი შინაარსით დინამიკური და უსრული ასპექტისა, ხოლო ნამყოს აბსოლუტივიანი აღწერითი ფორმები — სტატიკური და სრული ასპექტისა. აქ უსრულ ასპექტთან დაკავშირებულია დინამიკურობა, სრულთან — სტატიკურობა.

ასეა ეს აღწერით ფორმებში. მარტივი წარმოების ფორმები კი, როგორც წმინდა დროული შინაარსის გამომხატველი ფორმები, ნეიტრალურია ორივე თვალსაზრისით. ამდენად, აღწერითი ფორმები (აწმყოს მიმღეობიანი და ნამყოს აბსოლუტივიანი) ზემოაღნიშნული მნიშვნელობებით შესაბამისად უპირისპირდება მარტივი წარმოების ფორმებსაც.

§ 179. განზრახვითი ფორმა. გარჩეულია ზმნური ფორმა, რომე-

ლიც გამოხატავს განზრახვას (განზრახული აქვს, ემზადება, აპირებს... შეასრულოს რაიმე მოქმედება). იწარმოება იგი ინფინიტივის ფორმაზე **-ვინა** (|| **-ვინ**) სუფიქსის დართვით:

ჰაბიზე „კეთება“ (ინფ.) + -ვინა ჰაბიზე-ვინა, აქედან: ჰაბიზე-ვინე-ბ (მიმდ. აწმ.), ჰაბიზე-ვინა-გო (აბსოლუტ. აწმ.).

დრო-კილოთა ფორმები მას აღწერიტად აქვს ნაწარმოები (საერთო წესის მიხედვით): დაირთავს ბუკინე „ყოფნა“ (ბუგო „არის“) მეშველ ზმნას სხვადასხვა ფორმით (ძირითადი ზმნა კი მეშველი ზმნის სხვადასხვა ფორმებთან უცვლელად რჩება -ვინ(ა) ან პარალელურად -ვინე-ბ [ძიმღ.] სუფიქსიანი ფორმით):

ჰაბიზეჯინა (ან ჰაბიზე-ვინე-ბ) ბუგო „განზრახული აქვს გააკეთოს (გაკეთება)“ (აწმ. დრო).

ჰაბიზეჯინა (ან ჰაბიზე-ვინე-ბ) ბუკანა „განზრახული ჰქონდა გაეკეთებინა (გაკეთება)“ (ნამ. დრო) და ა. შ.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

ჰავი ვუკინეჯინა ვუგო (აწმ.) როყოფ „ამ კაცს განზრახული აქვს იყოს (დარჩეს) შინ“¹;

ტოლოზეჯინა ბუგო (აწმ.) დოსა ჩუ „მას განზრახული აქვს ცხენის შეკაზმვა (ემზადება ცხენის შესაკაზმავად)“²;

ვაჭინეჯინა ვუკანა დოვ ჰანივე უნთიჭევანი „მას განზრახული ჰქონდა აქ მოსვლა, ავად რომ არ გამხდარიყო“³;

მუნ დანყიზეჯინ ბუგო (აწმ.) დიცაა-დან აბუნილა ბორხნიცა „შენი დახრჩობა მაქვს მე განზრახული-ო, უთქვამს გველს“⁴;

ჰასა დირ შერ ტაჭინაბიზეჯინ ბუგილან (აწმ. თურმ.) „ამას განზრახული აქვს თურმე ჩემი ვაშლის გათავება“...⁵

-ვინა (-ვინ) სუფიქსის ი ხმოვანს შეიძლება შეენაცვლოს ე: ემენ ვაჭინეჯენ ვუგო „მამა მოსვლას აპირებს“⁶.

-ვინა სუფიქსის გენეზისის შესახებ. -ვინა რთული შედგენილობისაა (რაც ერთი შეხედვითაც ცხადია): მასში გამოიყოფა **-ი-ნა**, რომელიც გარკვეული უღვლილების ზმნებში მყოფადის საწარმოებელი ფორმანტია (შდრ. ბაჭი-ნა „მოვა“... ბუკი-ნა „იქნება“).

რაც შეეხება **ჭ** ელემენტს ამ რთული -ვინა სუფიქსისა, იგი ძირეული თანხმოვანი ჩანს დამხმარე ზმნისა, რომელიც ამ ფორმით (-ი-ნა სუფიქსით) უნდა დართვოდნა ენკლიტიკურად ძირითად ზმნას.

ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას მიიქცევს, კერძოდ, ზმნა ბაჯინე „ადგომა“ (აწმ. ბაჯ-უ-ნა, მყ. ბაჯი-ნა, ნამ. ძირ. ბაჯ-ა-ნა და ა. შ. — ფუტქში თავკიდური ბ კლას-ნიშანია). უნდა ვიფიქროთ, სწორედ ეს ბაჯინე „ად-

¹ გვ. 134.

² იქვე, გვ. 203.

³ იქვე, გვ. 207.

⁴

⁵ I , 1958, გვ. 18.

⁶ იქვე, გვ. 219.

⁶ I. II, გვ. 24.

გომა“ (ფორმით: ბ ა ჯ ი ნ ა || ბ ა ჯ ი ნ ე - ბ) დაერთვოდა ძველად დამხმარე ზმნის როლში ძირითად ზმნას და ანიჭებდა ამ უკანასკნელს გარკვეულ მოდალურ მნიშვნელობას („განზრახვა“). სემანტიკური კავშირი (და გადახრა) ამ შემთხვევაში ადვილად წარმოსადგენია: „ადგომა“ „განზრახვა“: „გაკეთებდა ადგა“ „გაკეთება განზრახა“, „მოემზადა გასაკეთებლად“...

ენკლიტიკური დამხმარე ზმნა შერწყმია ძირითად ზმნას (დამხმარე ზმნაში მახვილის მოშლის შედეგად: ლოგიკური მახვილი ძირითად ზმნაზე მოდიოდა): ჰ ა ბ რ ზ ე + ბ ა ჯ ი ნ ა ჰ ა ბ რ ზ ე - ჯ ი ნ ა ...; ვ ა ჭ ი ნ ე „მოსვლა“ + ვ ა ჯ ი ნ ე ვ ა ჭ ი ნ ე - ჯ ი ნ ა და ა. შ. შერწყმისას დამხმარე ზმნას დაუკარგავს თავკიდური მარცვალი (კლას-ნიშანი + მომდევნო ფუძისეული ხმოვანი), ხოლო შემოუნახავს ძირეული თანხმოვანი -**ჯ**- (მომდევნო სუფიქსით: -ჯ-ი-ნა [ბ ა ჯ -ი-ნა]).

§ 180. კაუზატივის წარმოება. კაუზატივის საწარმოებლად იხმარება მეშველი ზმნა ჰ ა ბ რ ზ ე („კეთება“), რომელიც დაერთვის ძირითადი ზმნის ინფინიტივის ფორმას. მეშველი ზმნა ძირითად ზმნასთან შეიძლება იხმარებოდეს შეურწყმელადაც და შერწყმითაც. უკანასკნელ შემთხვევაში (შერწყმისას) ძირითადი ზმნა (ინფინიტივის ფორმით) კარგავს ბოლოკიდურ ხმოვანს (ე-ს), მეშველი ზმნა — თავკიდურ თანხმოვანს (ჰ-ს); შდრ.:

ყოტიზე „ჭრა“ + ჰ ა ბ რ ზ ე ყოტიზე ჰ ა ბ რ ზ ე (შეურწყმელად) || ყოტიზაბიზე (შერწყმით) „ჭრევენება“;

ბაქიზე „დანთება“ + ჰ ა ბ რ ზ ე ბაქიზე ჰ ა ბ რ ზ ე || ბაქიზაბიზე „დანთებილება“;

ბეტოზე „ხვნა“ + ჰ ა ბ რ ზ ე ბეტოზე ჰ ა ბ რ ზ ე || ბეტოზაბიზე „ხვნევენება“;

ვვაზე „წერა“ + ჰ ა ბ რ ზ ე ვვაზე ჰ ა ბ რ ზ ე || ვვაზაბიზე „დაწერინება“; ჰ ა ბ რ ზ ე „კეთება“ + ჰ ა ბ რ ზ ე ჰ ა ბ რ ზ ე || ჰ ა ბ რ ზ ა ბ რ ზ ე „კეთებილება“ და ა. შ.

დრო-კილოთა მიხედვით იცვლება მეშველი ზმნა (ძირითადი ზმნა უცვლელია); შდრ.:

ყოტიზე ჰ ა ბ რ ზ ე || ყოტიზაბიზე „ჭრევენება“ — ყოტიზე ჰ ა ბ რ ზ ე || ყოტიზაბულა „აჭრევენებს“ — ყოტიზე ჰ ა ბ რ ზ ე || ყოტიზაბილა „გააჭრევენებს“ — ყოტიზე ჰ ა ბ რ ზ ე || ყოტიზაბუნა „გააჭრევენა“ — ყოტიზე ჰ ა ბ რ ზ ე || ყოტიზაბე „გააჭრევენე!“ და ა. შ.

იმ პირის სახელი, რომლითაც გაშუამავლებულია მოქმედება, კაუზატიურ ზმნასთან დაისმის I წყების ადგილობით ბრუნვაში; შდრ.:

ინსაუცაა წულ ყოტულა „მამა შეშას ჭრის“ (უშუალ.) — ინსაუცაა წულ ვასასა და ყოტიზაბულა „მამა შეშას ვაჟი შვილს აჭრევენებს“ (შუალ.);

ებელალ'ა წა ბაქანა „დედამ ცეცხლი დაანთო“ (უშუალ.) — ებელალ'ა წა დასალ და ბაქიზაბუნა „დედამ ცეცხლი ქალი შვილს დაანთებინა“ (შუალ.);

ვაცაასა ქალათ ვვალა „ძმა წერილს წერს“ (უშუალ.) — ვაცაასა დიდა ქალათ ვვაზაბულა „ძმა მე წერილს მაწერინებს“ (შუალ.).

მეშველი ზმნა ჰაბიზე („კეთება“), რომელიც კაუზატივს აწარმოებს, კლას-ნიშნისა ზმნაა, ამიტომ სათანადო კაუზატიური ზმნა ყოველთვის ასახავს სახელობით ბრუნვაში დასმული რეალური ობიექტის გრამატიკ. კლასს (და რიცხვს); შდრ.:

დოსა დუშმან ჭვანა „მან მტერი მოკლა“ — დოსა დოსადა დუშმან ჭვანა-ვ-უნა (ან: ჭვანე ჰა-ვ-უნა) „მან მას მტერი მოაკვლევინა“...

თუ ძირითადი ზმნაც, რომლისაგანაც კაუზატივი იწარმოება, კლას-ნიშნისა, მაშინ კაუზატიურ ფორმაში რეალური ობიექტის გრამატიკ. კლასი (და რიცხვი) ორმაგად იქნება აღნიშნული (როგორც ძირითადს, ისე მეშველ ზმნაში); შდრ.:

დოსა ჩუ ბ-ოსანა „მან ცხენი იყიდა“; დოსა ჩუძალ რ-ოსანა „მან ცხენები იყიდა“ — დოსა დიდა ჩუ ბ-ოსიზა-ბ-უნა (ან: ბ-ოსიზე ჰა-ბ-უნა) „მან მე ცხენი მაყიდვინა“; დოსა დიდა ჩუძალ რ-ოსიზა-რ-უნა (ან: რ-ოსიზე ჰა-რ-უნა) „მან მე ცხენები მაყიდვინა“...

კაუზატივის საშუალებით ხუნძურში შეიძლება გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავლის წარმოება (ამის შესახებ იხ. § 147).

§ 181. ნასახელარ ზმნათა წარმოება -ლ'იზე სუფიქსით. სახელისაგან ზმნის საწარმოებლად პროდუქტიულია -ლ'იზე სუფიქსი. ამ სუფიქსით ნაწარმოები ნასახელარი ზმნები გამოხატავენ რადმე გარდაქცევას, გახდომას (შესაბამისად საწარმოებელი სახელის მნიშვნელობისა): ებელ „დედა“ ებელ-ლ'იზე „დედად გახდომა“... ბაჰარ „წითელი“ ბაჰარ-ლ'იზე „წითლად ქცევა“, „გაწითლება“...

წარმოშობით ეს სუფიქსი მეშველი ზმნა ჩანს ძირეული ლ' თანხმონით¹. ამჟამად იგი დამოუკიდებლად არ იხმარება, გვხვდება მხოლოდ მაწარმოებლის როლში ამა თუ იმ ფორმით (ინფინიტ. -ლ'-ი-ზე, მასდ. -ლ'-ი,

¹ მას მოეპოვება შესატყვისები დაღესტნის სხვა ენებში; შდრ.: ხუნძ. -ლ'-ი-ზე, ანდ. ლ'-ი-დუ, ლაკ., ტაბას. ხ'-უნ, ალულ. ხ'-ას, წახურ. ხ'-ე-ს, უდ. -ხესუნ „ყოფნა“, „გახდომა“, „გარდაქცევა“ (N. T r u b e t z o y, Nord-kaukasische Wortgleichungen, § 80).

აწმ. -ლ'-უ-ლა, მყოფ. -ლ'-ი-ლა, ნამ. -ლ'-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. -ლ'-უ-ნ, ბრძანებ. -ლ'-ე და ა. შ.).

-ლ'იზე სუფიქსით ნაწარმოები ნასახელარი ზმნები გარდაუვალია: ამას განსაზღვრავს მნიშვნელობა ამოსავალი მეშველი ზმნისა, რომლისაგანაც მიღებულია ეს სუფიქსი (იხ. ზემოთ).

-ლ'იზე (სათანადო ფორმით) შეიძლება დაერთოს არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებს და ნაცვალსახელებსაც:

ვაცა „ძმა“ ვაცა-ლ'-ი-ზე „ძმად გახდომა“ (აწმ. ვაცა-ლ'-უ-ლა, მყოფ. ვაცა-ლ'-ი-ლა, ნამ. ვაცა-ლ'-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ვაცა-ლ'-უ-ნ და ა. შ.).

ებელ „დედა“ ებელ-ლ'-ი-ზე „დედად გახდომა“ (აწმ. ებელ-ლ'-უ-ლა, მყოფ. ებელ-ლ'-ი-ლა, ნამ. ებელ-ლ'-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ებელ-ლ'-უ-ნ და ა. შ.);

ცო „ერთი“ — ცო-ლ'-ი-ზე „გაერთიანება“ (აწმ. ცო-ლ'-უ-ლა, მყოფ. ცო-ლ'-ი-ლა, ნამ. ცო-ლ'-ა-ნა, აბსოლუტ. ნამ. ცო-ლ'-უ-ნ, ბრძანებ. ცო-ლ'-ე!.. და ა. შ.);

ლ'იკ-აბ „კარგი“ ლ'იკ-ლ'-ი-ზე „კარგად გახდომა“; გამოკეთება“; „გაუძეობესება“ (აწმ. ლ'იკ-ლ'-უ-ლა, მყოფ. ლ'იკ-ლ'-ი-ლა, ნამ. ლ'იკ-ლ'-ა-ნა და ა. შ. უნთარავ ჩი ლ'იკ-ლ'-ანა „ავადმყოფი გამოკეთდა“);

ბაჭარ-აბ „წითელი“ ბაჭარ-ლ'-ი-ზე „წითლად ქცევა“, გაწითლება“ (აწმ. ბაჭარ-ლ'-უ-ლა, მყოფ. ბაჭარ-ლ'-ი-ლა, ნამ. ბაჭარ-ლ'-ა-ნა და ა. შ. დიცაჰებ აბიდალ, ბაჭარლ'-ანა დოვ „როცა მე ეს ვუთხარი, გაწითლდა ის“¹);

ღირ „ჩემი“ ღირ-ლ'-ი-ზე „ჩემად გახდომა“ (აწმ. ღირ-ლ'-უ-ლა, მყოფ. ღირ-ლ'-ი-ლა, ნამ. ღირ-ლ'-ა-ნა და ა. შ.).

შენი შვნა 1. **-ლ'იზე** დაერთვის გაუფორმებელ ფუძეს: ლ'იკ-აბ ლ'იკ-ლ'იზე (და არა: ლ'იკაბ-ლ'იზე)...

რიცხვით სახელთაგან წარმოებისას სათანადო რიცხვითი სახელი აღებულია **-გო** ნაწილაკის გარეშე: კიგო „ორი“ კი-ლ'იზე (და არა: კიგო-ლ'იზე)...

შენი შვნა 2. **-ლ'იზე** სუფიქსის წინ შეიძლება დაიკარგოს ამოსავალი ფუძის ბოლოკიდური **დ** და **თ** თანხმოვნები: ხალათ-„გრძელი“ ხალა¹თ¹-ლ'იზე „დაგრძელება“, ბაწად- „სუფთა“ ბაწა¹დ¹-ლ'იზე „გასუფთავება“... ბეჩედ- „მდიდარი“ ბეჩე¹დ¹-ლ'იზე „გამდიდრება“²...

¹ გვ. 198, § 173.

² შდრ. ბეჩე „ხბო“ ბეჩე-ლ'იზე „ხბოდ გადაქცევა“. ამრიგად, ბეჩე-ლ'იზე შეიძლება ნიშნავდეს: „გამდიდრებას“ (ბეჩედ- „მდიდარი“) და „ხბოდ გადაქცევას“ (ბეჩე „ხბო“). ამას ემყარება კალამბურული გამოთქმა: ბეჩე-ლ'იზე ბატონიშად უდე? ბაჩილ ტონ რეტიე! „გამდიდრება გინდა შენ? ხბოს ტყავი ჩაიცვი!“ (. გვ. 52, 53.).

შენიშვნა 3. **-ლ'იზე** სუფიქსთან აქვს კავშირი აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებელ **-ლი** სუფიქსს (§ 106), გარდაქცევითის **-ლ'-უნ** და მოქმედებითი ბრუნვის **-და-ლ'უნ** სუფიქსებს (§§ 98, 99).

-ლ'იზე სუფიქსიანი ნასახელარი გარდაუვალი ზმნისაგან შესაბამისი გარდამავალის წარმოება (ისევე, როგორც პირველადი გარდაუვალისაგან გარდამავლისა) დაკავშირებულია კაუზატივის წარმოებასთან: ცოლ'-ანა „გააერთიანა“ ცოლ'იზაბუნა || ცოლ'იზე ჰაბუნა „გაერთიანდა“... (§ 147). ზოგჯერ იმავე ფუძეს სახელისას, რასაც დაერთვის **-ლ'იზე**, შეიძლება უშუალოდ დაფურთოთ **ჰაბიზე** („კეთება“) მეშველი ზმნა და მივიღოთ გარდამავალი შინაარსის ნასახელარი ზმნა; შდრ.:

ბაჰარ- „წითელი“ 1. ბაჰარ-ლ'იზე „გაწითლება“ (გრდუვ.): ბაჰარ-ლ'ანა „გაწითლდა“... 2. ბაჰარ-ჰაბიზე „გაწითლება“ (გრდმ.): ბაჰარ-ჰაბუნა „გააწითლა“..

ბაწად- „სუფთა“ 1. ბაწად-ლ'იზე „გასუფთავება“, „გაწმენდა“ (გრდუვ.): ბაწად-ლ'ანა „გასუფთავდა“, „გაიწმინდა“... 2. ბაწად-ჰაბიზე „გასუფთავება“, „გაწმენდა“ (გრდმ.): ბაწად-ჰაბუნა „გაასუფთავა“, „გაწმინდა“...

შოულა- „მაგარი“, „მტკიცე“ 1. შოულა-ლ'იზე „განმტკიცება“ (გრდუვ.): შოულა-ლ'ანა „განმტკიცდა“... 2. შოულა-ჰაბიზე „განმტკიცება“ (გრდმ.): შოულა-ჰაბუნა „განამტკიცა“...

ჰემერ- „ბევრი“, „მრავალი“ 1. ჰემერ-ლ'იზე „გამრავლება“ (გრდუვ.): ჰემერ-ლ'ანა „გამრავლდა“... 2. ჰემერ-ჰაბიზე „გამრავლება“ (გრდმ.): ჰემერ-ჰაბუნა „გაამრავლა“...

შენიშვნა. ჰაბიზე („კეთება“) ზმნა ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეერწყოს სახელს და დაკარგოს თავკიდური თანხმომავანი: ჰიტინ-ჰაბიზე || ჰიტინაბიზე „დაპატარავება“... ბაწად-ჰაბიზე || ბაწადაბიზე „გასუფთავება“, „გაწმენდა“ (შდრ. კაუზატივის წარმოებისას: ყოტიზე ჰაბიზე || ყოტიზ-აბიზე „ჭრევენება“. — § 180).

§ 182. ფუძე-გაორკეცებული ზმნები. გვხვდება ფუძე-გაორკეცებული ზმნები. ფუძის გაორკეცებით (რედუბლიკაციით) გამოიხატება მოქმედების მრავალგზისობა (განმეორება-გახშირებითობა), ინტენსივობა ან სიმრავლე; მაგალ.:¹

კანწიზე „ხტომა“ — კანწ-კანწიზე „მრავალგზის ხტომა“, „ხტუნვა-ხტუნვა“: კანწ-კანწუნ ვაწანა დოვ „ხტუნვა-ხტუნვით მოვიდა ის“;

¹ იხ.,, § 171, გვ. 195.

ჭვაზე „მოკვლა“ — ჭვა-ჭვაზე „ბევრის მოკვლა“ („კვლის მრავალგზის შესრულება“), „დახოცვა“: დოსა ჭვა-ჭვანა შემერალ ჩაჟი „მან დახოცა მრავალი ხალხი“;

ტაბიზე „დარტყმა“ — ტაბ-ტაბიზე „მრავალგზის დარტყმა“: დირ კიდეჟაღდა ტააბ-ტააბუნა დოსა „მან მხარზე [რამდენიმეჯერ] დამკრა, მომიცაცუნა [ხელი]“...

გვაქვს ფუძე-გაორკეცებული ისეთი ზმნებიც, რომელთაც საპირისპირო ცალმაგი ვარიანტები არ მოეპოვებათ და არც რაიმე თავისებურებას მნიშვნელობის მხრივ არ გამოხატავენ (ლილ'იზე „მკა“, ლ'ალ'აზე „რწყვა“, ტოტოზე „კორტან“, „წიწკანა“ ხ'იხ'იზე „შენახვა“, „მოვლა-პატრონობა“, ლ'ულ'აზე „ხეხვა“, ვუწვაზე „ხერხვა“...).

ხშირად გვხვდება რედუბლიცირებული ხმაბაძვითი ზმნები: ჭიჭიდიზე „ჭიჭიკი“, ზუზუდიზე „ბზული“ (ტუტალ ზუზუდულა „ბუზები ბზუიან“), ჭეჭედიზე „ყვილი“ (ჭელეჟო ჭეჭედულა „მამალი ყვის“), გუგუდიზე (გიგუ გუგუდულა „გუგული გუ-გუ-ს იძახის“), ყვაყვადიზე „კაკანი“ (ჭანკო ყვაყვადულა „ქათამი კაკანებს“), ჭინჭიდიზე „ჭიხვინი“, ყურყუდიზე „ყიყინი“, მურმუდიზე „ღმული“ და ა. შ.

§ 183. განგრძობითი მოქმედების ზმნები. მოქმედების განგრძობითობა (ჩვეულებრივ წარმოება) გამოიხატება სპეციალური სუფიქსებით, რომლებიც დაერთვიან ზმნის ფუძეს დრო-კილოთა საწარმოებელი ფორმანტების წინ; ეს სუფიქსებია¹:

-**არ** ბეც-ი-ზე „თიბვა“ — ბეც-არ-ი-ზე „ჩვეულებრივ თიბვა“, ლ'ილ'-ი-ზე „მკა“ — ლ'ილ'-არ-ი-ზე, ბეს-ი-ზე „ქსოვა“ — ბეს-არ-ი-ზე, ბეტ-ი-ზე „ხვნა“ — ბეტ-არ-ი-ზე, ჰიყ-ი-ზე, „შეკითხვა“ — ჰიყ-არ-ი-ზე, ბაჩ-ი-ზე „ტარება“ — ბაჩ-არ-ი-ზე... როგორც მაგალითებიდან ჩანს, **-არ** სუფიქსის დართვა იწვევს მასზე მახვილის გადანაცვლებას.

-**დ** სავერ-ი-ზე „გარს შემოვლა“, „ბრუნვა“ — სავერ-დ-ი-ზე, ტურ-ი-ზე „ტრიალი“, „გრეხა“ — ტურ-დ-ი-ზე, ჰაკან-ზე „გაღება“, „პირის დაღება“ — ჰაკან-დ-ი-ზე, ლ'ალან-ზე „რწყევა“ — ლ'ალან-დ-ი-ზე, ლ'ულან-ზე „ხეხვა“ — ლ'ულან-დ-ი-ზე...

-**ღ** სუფიქსის დართვასთან ერთად ზოგჯერ განსხვავებას იძლევა მახვილის ადგილიც და თემატური ხმოვანიც (სათანადო ნაკეთისა): განგრძობით ფორმებში მახვილი ინაცვლებს თემატურ ხმოვანზე, რომელიც უშუა-

¹ სათანადო მაგალითები საკმაო სისრულით აქვთ გათვალისწინებული პ. უსლარსა (. . . , § 172, გვ. 196-198) და ა. ბოკარიოვს (. . . , თავი VII, გვ. 51-58).

ლოდ **-დ** სუფიქსს მოსდევს; თემატურ ხმოვნად ასეთ შემთხვევაში კი გვექნება — ინფინიტივში **-ე**. (ე-ზე), ხოლო დანარჩენ ნაკვეთებში თემატური ხმოვნები (როგორც ეს შეეფერება ინფინიტივში **-ე** თემატურ ხმოვნიან ზმნებს: *ინფ.* ე-ზე — *აწმ.* -რ-ლა, *მყოფ.* ე-ლა, *ნამ.* -ა-ნა, *აბსოლუტ.* *ნამ.* -რ-ნ...); მაგალითები: წაღ-ი-ზე „წაკითხვა“. „სწავლა“ (*აწმ.* წაღ-უ-ლა, *მყოფ.* წაღ-ი-ლა, *ნამ.* წაღ-ა-ნა, *აბსოლუტ.* *ნამ.* წაღ-უ-ნ...) — *განგრძ.* წაღ-დ-ე-ზე (*აწმ.* წაღ-დ-რ-ლა, *მყოფ.* წაღ-დ-ე-ლა. *ნამ.* წაღ-დ-ა-ნა. *აბსოლუტ.* *ნამ.* წაღ-დ-რ-ნ...); ასევე: ჭამ-ი-ზე „ღეჭვა“ — ჭამ-დ-ე-ზე, ხან-ი-ზე „ლანძღვა“ — ხან-დ-ე-ზე (ხან-დ-ე-ზე — იხ. § 43), ჰარი-ზე „თხოვნა“ — ჰარ-დ-ე-ზე, აჭ-ი-ზე „ყვირილი“, დაძახება“ — აჭ-ტე-ზე (აჭ-დ-ე-ზე)...

ზოგჯერ განსხვავება შეიძლება შექმნას მახვილის ადგილმა და თემატურმა ხმოვანმა (ისევე, როგორც ზემოთ) სპეციალური სუფიქსის გარეშეც; შდრ. კანწ-ი-ზე „ხტომა“ (*აწმ.* კანწ-უ-ლა, *მყოფ.* კანწ-ი-ლა, *ნამ.* კანწ-ა-ნა, *აბსოლუტ.* *ნამ.* კანწ-უ-ნ...) — კანწ-ე-ზე (*აწმ.* კანწ-რ-ლა, *მყოფ.* კანწ-ე-ლა, *ნამ.* კანწ-ა-ნა, *აბსოლუტ.* *ნამ.* კანწ-რ-ნ...); ასევე: ჰაფ-ი-ზე „ყუფა“ — ჰაფ-ე-ზე, ტაბ-ი-ზე „დარტყმა“ — ტაბ-ე-ზე, ჰანჭ-ი-ზე „კბენა“ — ჰანჭ-ე-ზე, ტავაპ-ი-ზე „ტყორცვა“ — ტავაპ-ე-ზე, ჰუნ-სა-ი-ზე „ჩხვლეტა“ — ჰუნსა-ე-ზე (ჰუნსა-ე-ზე [ასიმინაციით])... უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში განგრძობით ფორმებს დაკარგული აქვს **-დ** სუფიქსი: კანწ-ე-ზე კანწ-დ-ე-ზე, ტაბ-ე-ზე ტაბ-დ-ე-ზე და ა. შ. ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს ზოგჯერ პარალელურ ფორმათა შესაძლებლობა: ჰაფ-ე-ზე ||

ჰაფ-დ-ე-ზე, ტავაპ-ე-ზე || ტავაპ-დ-ე-ზე...¹

-დ-არ, **-არ-დ** (შდრ. ზემოთ: **-დ** და **-არ** სუფიქსები): ჯვან-ზე „წერა“ — ჯვან-დ-არ-ი-ზე, ფუ¹-ზე „ბერვა“ — ფუ-დ-არ-ი-ზე, რეჭა-ი-ზე „სროლა“, „მორტყმა“ — რეჭა-არ-დ-ი-ზე (|| რეჭა-არ-ი-ზე), ჰეს-ი-ზე „განზრახვა“ — ჰეს-არ-დ-ი-ზე... **-დ-არ** და **არ-დ** რთული სუფიქსები მახვილიანია ყოველთვის (ისევე, როგორც — მარტივი **-არ** სუფიქსი).

-ად: ჯირშა-ი-ზე „ჩიჩქნა“, „ჩხრეკა“ — ჯირშა-ად-ი-ზე.

-ა¹ნ¹ც: რეჭა-ი-ზე „სროლა“, „მორტყმა“ — რეჭა-ა¹ნ¹ც-ი-ზე (შდრ. ზემოთ: რეჭა-არ-დ-ი-ზე), ბრთ-ი-ზე „მივარდნა“, „გამოდევნება“ — ბრთ-ა¹ნ¹ც-ი-ზე, ველ¹-ი-ზე „გადიმება“, „ჩაცინება“ — ველ¹ან-ჯ-ი-ზე...

-ა¹ნ¹ც-დ: გებნგ-ი-ზე „დაგორება“ — გებნგ-ა¹ნ¹ც-დ-ი-ზე...

-რლ-დ: წეხა-ე-ზე „გამოკითხვა“, „გამოძიება“ — წეხა-რლ-დ-ი-ზე, ჰეყ-ე-ზე, „სმა“, „დაღევა“ — ჰეყ-რლ-დ-ი-ზე...

¹ გვ. 196-197.

განგრძობითი ზმნები გამოხატავენ მოქმედების პროცესს მხოლოდ სუბიექტურ პირთან მიმართებით: პირდაპირი — უახლოესი — ობიექტი შეუთავსებელია ასეთი ზმნებისათვის. გარდამავალი ზმნისაგან ნაწარმოებ განგრძობით ზმნას გაჰყვება მხოლოდ რეალური სუბიექტი. მასთან, ეს რეალური სუბიექტი დაისმის არა ერგატიულ ბრუნვაში, არამედ — ყოველთვის სახელობითში. გრამატიკული კლასის ნიშანიც (და რიცხვის ნიშანი) რეალურ სუბიექტზე მიუთითებს. ამრიგად, არაგანგრძობითი გარდამავალი ზმნებისაგან ნაწარმოები განგრძობითი ზმნებიც გარდაუვალი ზმნისათვის დამახასიათებელ სინტაქსურსა და მორფოლოგიურ ნიშან-თვისებებს ამჟღავნებენ; შდრ.:

ბეციზე „თიბვა“: დოსა ბ-ეც-უ-ლა ხაერ „ის (ზედმიწ. მან) თიბავს ბალახს (ზედმიწ. ბალახი)“ — ბ-ეც-არ-ი-ზე; დოვ ვ-ეც-ან-უ-ლ-ა „ის თიბავს“, — თიბვის პროცესშია“. აქ პირველს წინადადებაში ბ-ეცულა ზმნა გარდამავალია (მას ეფარდება ერგატივში დასმული რეალური სუბიექტი და სახელობითში დასმული რეალური ობიექტი; კლას-ნიშანი რეალურ ობიექტზე მიუთითებს). მეორე წინადადებაში კი ვ-ეცარულა გარდაუვალი ზმნაა (რეალური სუბიექტი მას სახელობითში დაესმის; კლას-ნიშანი რეალურ სუბიექტზე მიუთითებს; რეალური ობიექტი ამ ზმნასთან არ შეიძლება გვექონდეს; არ ითქმის: დოვ ვ-ეცარულა ხაერ...¹; შდრ. აგრეთვე:

ბ-ქსაიზე „ქსოვა“ (გრძმ.): დასალ'ა საულურ ბ-ქსაულა „ქალიშვილი მაუდს ქსოვს“; დასაზ საულურ ბ-ქსაულა „ქალიშვილები მაუდს ქსოვენ“ — განგრძ. ბ-ესა-არ-იზე (გრძლვ.): დ-ას დესაარულა „ქალიშვილი ქსოვს“; დასალ რ-ესაარულა „ქალიშვილები ქსოვენ“.

ბ-ჟყიზე „კერვა“ (გრძმ.) ებელალ'ა რეტელ ბ-ჟყულა „დედა ტანსაცმელს კერავს“. — ბჟყ-ან-იზე (გრძლვ.): ებელ დ-ჟყარულა „დედა კერავს“.

ლ'რლ'იზე „მკა“ (გრძმ.). ინსაუცაა ხურ ლ'რლ'ულა „მამა ყანას მკის“ — ლ'ილ'-ან-იზე (გრძლვ.): ემენ ლ'ილ'არულა „მამა მკის“.

ჯვანზე „წერა“ (გრძმ.): წაღლოჯაბაზ თემა ჯვანლა „მოსწავლეები თემას წერენ“ — ჯვა-დან-იზე (გრძლვ.): წაღლოჯაბი ჯვა-დან-არულა „მოსწავლეები წერენ“; წაღლოჯაბი შქოლალდა ჯვადან-ანა „მოსწავლეებმა (ზედმიწ. მოსწავლეები) სკოლაში წერეს“.

¹ ეს ფაქტი შენიშნული აქვს ჯერ კიდევ პ. უსლარს: „ბეციზე , დოსა ბეცულა ბუგო ხაერ — ; ეცარიზე , დოვ ვუგო ვეცარულა (ხაერ); დოვ ვეცარულა მაჰარდა — ; რეხაიზე , დოს რეხაულა ბუგო გამაჰ — ; რეხა-არიზე , დოვ ვუგო რეხაარილა — , ()“ (. , . .. გვ. 197, § 172).

რ ეჭ ი ზ ე „ტყორცნა“, „სროლა“ (გრდმ): ჩანაჯანასა თუმანკ რ ეჭ უ ლ ა „მონადირე თოფს ისვრის“ — რ ეჭ ა - ს რ - ი - ზ ე (გრდუვ): ჩანაჯან რ ეჭ ა რ უ ლ ა „მონადირე ისვრის“; ჰაბ თუმანკ წყა რ ეჭ ა რ უ ლ ა „ეს თოფი კარგად (ზედმიწ. ძალიან) ისვრის“¹.

ხ ა მ ი ზ ე „ლანძღვა“ (გრდმ): დოსა ხ ა მ ა ნ ა დიდე ქვეშაბ რაჭი „მან გამლანძღა მე ცუდი სიტყვებით (ზედმიწ. ცუდი სიტყვები)“ — ხ ა ნ - დ - ე - ზ ე ხ ა მ - დ - ე - ზ ე (გრდუვ): დოვ ჭემერ ხ ა ნ დ რ ლ ა „ის ბევრს ილანძღება“; დოვ ხ ა ნ დ ა ნ ა დიდე „მან (ზედმიწ. ის) მლანძღა მე“²...

გარდაუვალ ზმნათაგან ნაწარმოები განგრძობითი მოქმედების ზმნე-ბი გარდაუვალივე რჩებიან (რეალური სუბექტი ასეთ ზმნებთან ბრუნვას არ იცვლის, სახელობითში რჩება); შდრ.::

კ ა ნ წ ი ზ ე „ხტომა“: (გრდუვ): დოვ კანწულა „ის ხტის“ — კანწეზე (გრდუვ): დოვ კანწრლა „ის ხტის“.

ჰ ა ფ ი ზ ე „ყეფა“: (გრდუვ): ჰოფ ჰანფულა „ძალი ყეფს“ — ჰ ა ფ ე ზ ე || ჰ ა ფ - დ - ე - ზ ე (გრდუვ): ჰოფ ჰ ა ფ რ ლ ა || ჰ ა ფ დ რ ლ ა „ძალი ყეფს“;

გ ე ბ ე გ ი ზ ე „დაგორება“ (გრდუვ): გამაჭ გ ე ბ ე გ უ ლ ა ღორტე „ქვა გორდება ქვევითკენ“ — გ ე ბ ე გ - ა ნ ე დ - ი ზ ე (გრდუვ): ჩუ გ ე ბ ე - გ ა ნ ე დ უ ლ ა „ცხენი გორავს“³...:

ნაკვთა ფორმები განგრძობითი მოქმედების ზმნებისა იწარმოება ჩვეულებრივი წესით (შესაბამისად უღვლილების იმ ტიპისა, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან). აღსანიშნავია, რომ ყველა განგრძობითი ზმნა ინფინიტივის ფორმით **-ზე** დაბოლოებიანია (**-ნე** დაბოლოებიანი ინფინიტივის ფორმები უცხოა ასეთი ზმნებისათვის; მაშინაც, როცა ამოსავალია **-ნე** დაბოლოებიანი ინფინიტივის ფორმა, განგრძობითი მოქმედების ზმნას ინფინიტივში **-ზე** დაბოლოება ექნება; შდრ.: ბორჟ-ი-**ნე** „ფრენა“ — ბორჟ-ან-ი-**ზე**, ხა-ი-**ნე** „ფქვა“ — ხენ-ე-**ზე**...). რაც შეეხება დაბოლოების წინამავალ თემატურ ხმოვანს, ასეთად განგრძობითი მოქმედების ზმნებში (ისევე, როგორც არაგანგრძობითშიც) შეიძლება გვქონდეს როგორც **-ი** (**-ი-ზე**), ისე **-ე** (**ე-ზე**). მაშასადამე, განგრძობითი მოქმედების ზმნები იუღვლიან პირველი ტიპის უღვლილების ა) პირველი ან ბ) მეორე ქვეტიპის მიხედვით:

¹ გვ. 197.

² იქვე, გვ. 198.

³ იქვე, [II], გვ. 61.

ა) *ინფ.* ვ-ვა-დარ-ი-ზე „წერა“ — *აწმ.* ვ-ვა-დარ-უ-ლა, *მყოფ.* ვ-ვა-დარ-ი-ლა, *ნამ.* ვ-ვა-დარ-ა-ნა და ა. შ.;

ბ) *ინფ.* წაალ-დ-ე-ზე „სწავლა“ — *აწმ.* წაალ-დ-რ-ლა, *მყოფ.* წაალ-დ-ე-ლა, *ნამ.* წაალ-დ-ა-ნა და ა. შ.

შენიშვნა. პ. უსლარი შენიშნავს, რომ ასეთ ზმნათაგან აწმყოს აღწერით ფორმათა წარმოებისას საუღვლებელი ზმნა მეშველ ზმნასთან (ბუგო „არის“) იხმარება მყოფადის (და არა აწმყოს) ფორმაში; შდრ.: *არაგანგრძ.* კანწიზე „ხტომა“: კანწულა ვუგო (*სამწერ.-ხუნძ.* კანწულე ვუგო) „ხტის“... მაგრამ: *განგრძ.* კანწზე: კანწულა ვუგო (*სამწერ.-ხუნძ.* კანწულე ვუგო)¹...

სამწერლო ხუნძურში ეს წესი არ არის თანმიმდევრულად გატარებული: აქ შეუძლებელი არ არის მიმღობიან აღწერით ფორმათა წარმოებისას საუღვლებელი განგრძობითი მოქმედების ზმნა აწმყოს მიმღობის ფორმითაც დაირთავდეს მეშველ ზმნას (ჰოდ ჰაფლოლებ [მიმღ. აწმ.] ბუგო „ძალი ყეფს“...²).

მთავარი თავისებურება აღნიშნული ზმნებისა მდგომარეობს იმაში, რომ მოქმედება, რომელსაც ისინი გამოხატავენ, განიხილება, როგორც ზემოთ ითქვა, ყოველთვის მხოლოდ მის შემსრულებელთან, სუბიექტთან მიმართებაში (იმისგან განყენებულად, თუ უშუალოდ რას ეხება ეს მოქმედება, რა საგანზე „გადადის“ იგი). ამიტომ ასეთი ზმნები ყველა გარდაუვალია.

ასეთ ზმნათა ძირითადი და ამოსავალი მნიშვნელობა უფრო უდგება იმ მნიშვნელობას, რაც სათანადო ენებში აქვთ უკუქცევით (რეფლექსურ) ზმნებს³. რაც შეეხება მოქმედების განგრძობითობას, ეს მნიშვნელობა — სათანადო შემთხვევებში — ნაწარმოები მნიშვნელობა უნდა იყოს⁴.

§ 184. საგარემოებო ფორმები ნაზმნარი სახელებისა. ნაზმნარ

სახელთაგან (მიმღობა, მასდარი) იწარმოება ფორმები, რომლებიც სხვადასხვა გარემოებას გამოხატავენ.

ზოგს ასეთს ფორმას პ. უსლარი აბსოლუტივის ფორმად მიიჩნევს, მაგრამ აბსოლუტივის ჩვეულებრივი ფორმისაგან (*აბსოლუტ. ნამ.* ყოტუნ „გაჭრა-რა“... *აბსოლუტ აწმ.* ყოტულაგო „ჭრის-რა“...) განსხვავებით ეს

1 . . . „გვ. 194, § 167; გვ. 196, § 172.

2 . . . I (. . . I . . .), 1951, გვ. 6.

3 ქართულში მათ ხშირად უდრის შინაარსით აქტიური, ფორმით პასიური (ე. წ. დეპონენსური) ზმნები: ხანდოლა „ილანძლება“, ჰანჭოლა „იკბინება“ (ჰაბ ჰოდ ჰანჭოლა „ეს ძალი იკბინება“...), ტაბოლა „იცემება“, ჰარდოლა „იხვეწება“, „თხოულობს“ და ა. შ.

4 შდრ.: . . . „ § 172, გვ. 196-198; § 167, გვ. 193-194;

. . . „ თავი VII გვ. 51-58; აგრეთვე: K. Bouda, Subjekt – und Objektkasus beim awarischen Verbum (Caucasica, IX, 1931).

ფორმები იწარმოება არა უშუალოდ ზმნისაგან, არამედ, როგორც ეს ზემოთ ნათქვამია, ნაზმნარი სახელებისაგან და, მასთან, საწარმოებელ ფორმანტებად მათ ბრუნვის ნიშნები (ან ნაწილაკები) აქვთ გამოყენებული¹. სათანადო ფორმები კი არსებითად ნაზმნარ სახელთა გაქვავებულ ბრუნვის ფორმებს (ან ნაწილაკიან ფორმებს) წარმოადგენენ.

განვიხილოთ ასეთ ფორმათა ძირითადი ტიპები ამოსავალ ფორმათა კვალობაზე².

1) მიმღეობისაგან ნაწარმოები ფორმები:

ა) აწმყოს მიმღეობის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (-**ლ'ზ-ულ** სუფიქსით) — გამოხატავს მიზეზს („**რადგანაც**“): ყოტილე-ლ'ზ-ულ „რადგანაც ჭრის“...

ჰემერ ვ-აღულე-ლ'ზ-ულ ვოტულარო მუნ ჭადამაზე „რადგანაც ბევრს ილანძღები, არ უყვარხარ შენ ხალხს“ (ზედმიწ. „ბევრი მლანძღველისა არ უყვარხარ შენ ხალხს“).

დუცაა ტაბულე-ლ'ზ-ულ ჰინყულა დობ დუდასა „რადგანაც შენ სცემ, ეშინია მას შენი“³.

თუქადე უნე-ლ'ზ-ულ დიდეგი თეთრადალ როსე „დუქანში რადგანაც მიდიხარ, მეც რვეულები მიყიდე!“⁴.

ამავე ფორმამ ზოგჯერ შეიძლება გამოხატოს დროც („**როცა**“): ნე-ჟეცაა მეჰერ ბეგულე-ლ'ზ-ულ ბაყ ტერზუნ ბუკანა „როცა ჩვენ მთა გადავიართეთ, მზე ჩასული იყო“...⁵

ბ) მყოფადის მიმღეობის მიმართულებითი ბრუნვის ფორმა | წყ. (-**დე** სუფიქსით) — გამოხატავს დროს („**სანამ**“): ყოტილე-ლ-დე (ყოტილე-ლ'ზ-დე) „სანამ გაჭრიდეს“, „სანამ გაჭრიდა“ („გაჭრამდე“).

ჰუმარ შველე-ლ-დე ჭალი ანა „სანამ ომარი მოვიდოდა (მოაღწევდა), ალი წავიდა“ (ომარის მოსვლამდე ალი წავიდა“).

ემენ ვ-უსინე-ლ-დე ამუნ „სანამ მამა მოვიდოდეს წადი შენი!“ („მამის მოსვლამდე წადი შენი!“).

¹ შდრ.: არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, § 50, გვ. გვ. 184-186; დ. იმნაიშვილი, რთული დაქვემდებარებული წინადადების ჩამოყალიბების ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში. ენათმ. ინსტ. IV (X) სამეცნ. სესიის თეზისები, 1953, გვ. 22-23.

² დაწვრილებით: . . . , გვ. 263-277.

³ გვ. 214.

⁴ I. . . II, გვ. 97.

⁵ გვ. 269.

გ) ნამყოს მიმღეობის ადგილობითი, მიმართულებითი და დაშორებითი ფორმები V წყ. (1. **-ლ'-უ-ბ**, 2. **-ლ'-უ-ბ-ე** [-ბ კლას-ნიშანია], 3. **-ლ'-უ-სა** სუფიქსებით) — აღნიშნავენ შესაბამისად ადგილს (1. „სადაც“, 2. „საითკენაც“, 3. „საიდანაც“): 1. ყოტარაბ-ლ'-უ-ბ „იქ, სადაც გაჭრა“... 2. ყოტარა-ლ'-უ-ბ-ე „იქითკენ, სადაც გაჭრა“... 3. ყოტარა-ლ'-უ-სა „იქიდან, სადაც გაჭრა“....

ნეჟერ ქვერ შვარა-ლ'-უ-ბ (აღვ. ბრ.) მაჟო ბანანა, ნეჟერ ჰეტე ქარა-ლ'-უ-ბ (აღვ. ბრ.) წა ტიბატანა „სადაც ჩვენი ხელი მიწვდა, ტირილი ატყდა, სადაც ფეხი დავდგით, ცეცხლი მოედო“¹.

ნიუ რაშად ბ-ათარა-ლ'-უ-რ (აღვ. ბრ.) ლუტბუზუტე ჰალწუდა რუკანა „ჩვენ სადაც ჩრდილს ვნახავდით, ხეების ქვეშ ვისვენებდით“²

ლუდე ბ-ოტარა-ლ'-უ-ვ-ე (მიმართ. ბრ.) ინა ლუნ „შენ სადაც გინდა, წავალ მე“.

ებელ კანწარა-ლ'-უ-სა-ა (მიმართ. ბრ.) ბურუტ კანწულებ „დედა საითკენაც გადახტა, [იქითკენ] თიკანიც ხტის“ („კვიცი გვარზე ხტის“).

დ) ნამყოს მიმღეობის დაშორებითი ბრ. ფორმა I წყ. (**-და-სა** სუფიქსით) — აღნიშნავს დროს („მას შემდეგ, რაც“); ყოტარალ-და-სა (ყოტარ-ალ'-და-სა) „მას შემდეგ, რაც გაჭრა“ („გაჭრიდან“)...

კიგო ყო ბუგინ ევ ვ-ეგარალ-და-სა „ორი დღე არის მას შემდეგ, რაც ის დაწვა (დასაძინებლად)“ (ზღაპ.).

ლუნიდალდასაგო რაკ ანინ დირ, ჰებ მატხო ბიწარალ-და-სა „ქვეყნიდან გული წამივიდა მას შემდეგ, რაც ეს სიზმარი ვნახე“ (ზღაპ.).

ე) მყოფადის მიმღეობა **-დუტ** სუფიქსით — გამოხატავს ვითარების გარემოებას („ისე, რომ“):

ლ'აბწოლ კაჰილაბ ზოდინე თუნქილე-დუტ ეხედე კანწანილა ვაჰაბ ჩუ „სამჯერ ისე ამხტარა თეთრი ცხენი, რომ [თითქოს] ლურჯ ცას მიეჯახა [ო]“ (ზღაპ.).

ბაწ შუნბუზდა ლ'ალარე-დუტ რეჯადე შაგარლ'ანა „მგელი ისე მოუახლოვდა ჯოგს, რომ მწყემსებს არ გაუგიათ“ („მგელი მწყემსების შეუმჩნეველად მოუახლოვდა ჯოგს“)³.

1 . , . I. ,, II, გვ. 94.

2 . , . „(, ... გვ. 21).

3 . , . I. ,, II, გვ. 92.

-**ღუჭ** სუფიქსი გვხვდება აწმყოს მიმღობასთანაც: ბ ი ჭ ა უ ლ ე დ უ ჳ ბიცე დუცაა ქალამ¹ „ისე მოყევი შენ, რომ გასაგები იყოს!“ („გასაგებად მოყევი!“).

-**ღ-უ-ჭ** სუფიქსის -**ჭ** ჩვენს ყურადღებას წარმართავს II წყების ადგილობრივი ბრუნვის -**ჭ** სუფიქსისაკენ (შდრ. ვაცაასა-უ-**ჭ** „მმასთან“); რაც შეეხება -**ღ**- ელემენტს, იგი შეიძლება იყოს ე. წ. „ჩანართი“ თანხმოვანი (შდრ. ბო-**ღ-უ-ჭ** „ჯართან“ — § 77).

ვ) ნ ა მ ყ ო ს მი მ ღ ე ო ბ ა -**გო** ნაწილაკით — აღნიშნავს დროის გარემოებას (**„როცა რკი“** „როგორც კი“, „მას შემდეგ, რაც“...): ყოტარაბ-გო „როცა რკი გაჭრა“, ვაჭარაგ-გო „როცა რკი მოვიდა“...

მაჰმუდ გოჭდასა ვ ა ქ ა რ ა ვ - გ ო თარაშ ჰესადა დანდე ბექერანა „მაჰმუდი ბორცვიდან როგორც კი გამოჩნდა, ლეკვი მისკენ გაიქცა“².

ტინ შ ვ ა რ ა ბ - გ ო შ ა ზ ო ბ ა ზ ე ბ ა დ ბ ი ლ ა ნ ა „ რო გ ო რ ც კ ი ზ ა მ თ ა რ ი მოვიდა, თოვა დაიწყო“.

2) მასდარისაგან ნაწარმოები ფორმები:

ა) მ ა ს დ ა რ ი ს ფ ო რ მ ა -**ვე** სუფიქსით — აღნიშნავს ვითარების გარემოებას (**ისე, როგორც**): ყოტუ-ვე „ისე, როგორც გაჭრა“...

დოსა ჰალტი თექნიქასა მალა-უ-ვე ჰაბუნა „მან საქმე ისე გააკეთა, როგორც ტექნიკოსმა ასწავლა“³.

ვუკ-უ-ვე ვუკინა დუნ „ისე ვიქნები მე, როგორც ვარ“⁴.

ადვილად საცნობია, რომ -**ვე** სუფიქსი III წყების მიმართულებითი ბრუნვის საწარმოებელი ფორმანტია (-**ვე**).

ბ) მ ა ს დ ა რ ი ს ფ ო რ მ ა -**დალ** სუფიქსით — აღნიშნავს დროის გარემოებას (**„როცა“**): ყოტი-დალ „როცა გაჭრა“... ვაჭინ-დალ „როცა მოვიდა“... ტოლოდ-დალ „როცა შეკაზმა“... (გამოიხატება მოქმედება, რომელიც უსწრებს მასზე დამოკიდებულ სხვა მოქმედებას): დიცაა ტაბი-დალ შოდანა დოვ „როცა მე დავარტყი, იტირა მან“...⁵

იგივე ფორმა გამოხატავს მიზეზის გარემოებასაც (**„რადგანაც“**): მუსააცაა შემერაბ მეხალა ვეხლი ჰაბი-დალ ჰესადა შიდალ ჰალ ლაიკ ლალა „რადგანაც მუსამ დიდხანს იმწყემსა (ზედმიწ. მწყემსობა ქნა), მან ცხვრის ვითარება კარგად იცის“⁶

1 . , I. ., II, გვ. 33.
2 იქვე, გვ. 95.
3 . , I. ., II, გვ. 92.
4 . , . ., გვ. 222.
5 იქვე, გვ. 220.
6 . , I. ., II, გვ. 96.

მემერ მეხალაწუნ ბუკინ-დალ ჭენანა დიცა თუმანკ „დიდხანს რადგანაც გატენილი იყო, დავცალე მე თოფი“¹.

მკვეთრი სხვაობა ზემოაღნიშნულ ორ მნიშვნელობას შორის („როცა“ [დრო] და „რადგანაც“ [მიზეზი]) ყოველთვის თვალსაჩინო შეიძლება არც იყოს.

-დალ სუფიქსი, რომელიც აქ მასდარის ფორმას დაერთვის, ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტი ჩანს **-ლ** დაბოლოებითა და **-დ** „ჩანართით“ (შდრ.: შაქ-**დ-ა-ლ** „ძროხისა“, რახ-**დ-ა-ლ** „რძისა“, შაზ-**დ-ა-ლ** თოვლისა“...² — § 77).

უარყოფითი შინაარსით **-დალ** სუფიქსიან მასდარის ფორმას ენაცვლება უარყოფითი ნამყოს მიმღეობის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (**-ლ-ა-უ-ლ** სუფიქსიანი): ყოტიჰე-ლ-ა-უ-ლ „როცა (რადგანაც) არ გაჭრა“... ვაჭინჰე-ლ-ა-უ-ლ „როცა (რადგანაც) არ მოვიდა“...

გ) მასდარის ფორმა **-გუნ** („ურთ“, „ერთად“) ნაწილაკით — აღნიშნავს დროის გარემოებას (**„როგორც-კი“**, „თანავე“): ყოტი-გუნ „როგორც კი გაჭრა“, „გაჭრისთანავე“... ვაჭინ-გუნ „როგორც კი მოვიდა“, „მოსვლისთანავე“...

ქვერ ბეჰი-გუნ ბერზუტა ტერხანილა აბ „როგორც კი ხელი გაუწოდა, გაუჩინარდა ის“ (ზლაპ.).

3) ინფინიტივისაგან ნაწარმოები ფორმები:

ა) ინფინიტივის ფორმა **-შან** ნაწილაკით — აღნიშნავს დროის ან ვითარების გარემოებას: ყოტიზე-შან „ვიდრე (სანამ) გაჭრიდეს“, „გაჭრამდე“... ვაჭინე-შან „ვიდრე (სანამ) მოვიდოდეს“, „მოსვლამდე“...

ჰობოლ ინე-შან ჰანივ ვუკა „სტუმრის წასვლამდე აქ იყავ!“;

ჰალტი ლ'უმიზიზიზე-შან უნგე „სამუშაოს გათავებამდე არ წახვიდე!“;

ბაყ ტერხინე-შან ჰალტულა დოვ „მზის ჩასვლამდე მუშაობს ის“;

ქვენ შორწიზე-შან ქვანა დოსა „საჭმელი გაძლომამდის ჭამა მან“...

ბ) ინფინიტივის ფორმაზე **შოლო** „-თვის“ დართვით გამოიხატება მიზნის გარემოება: ყოტიზე შოლო „რათა გაჭრას“, „გაჭრისათვის“, „გასაჭრელად“... ვვაზე შოლო „დასაწერად“... ჰაბიზე შოლო „გასაკეთებლად“ — და ა. შ. (იგივე მნიშვნელობა შეიძლება გამოხატოს ინფინიტივის ფორმამ შოლო „-თვის“ გარეშეც“).

¹ გვ. 221.

² შდრ. აგრეთვე დროის აღმნიშვნელი ზმნისართები: იხა-**დ-ა-ლ** „გაზაფხულზე“ (იხა „გაზაფხული“), ტინ-**დ-ა-ლ** „ზამთარში“ (ტინ „ზამთარი“), რა-**დ-ა-ლ** (რაჰ-**დ-ა-ლ**). „დილით“, რომლებიც ნათესაობითი ბრუნვის ფორმები უნდა იყოს წარმოშობით (შდრ.: გვ. 268).

გ) ინფინიტივის ფორმა - **ალ'-უ-ჯ** სუფიქსით: ტეზე-მ-ალ'-უ-ჯ ბოსანა დიცა ჰარაც „მისაცემად (რომ მივცე) გამოვართვი მე ფული (ე. ი. სესხად)“¹.

-ალ'-უ-ჯ სუფიქსის შედგენილობა ნათელია (შდრ.: მაცა-ალ'-უ-ჯ „დასთან [II წყების ადგილობ. ბრ.]“).

ზმნისართი, ნაწილაკი, კავშირი

§ 185. ზმნისართი. ვითარებითი ზმნისართები. ზედსართავი სახელის წარმოებასთან დაკავშირებით ნაჩვენებია იყო, რომ პირველადი (ვითარებითი) ზედსართავის ფუძე (ანუ გაუფორმებელი ვითარებითი ზედსართავი სახელი) ზმნისართის როლში გამოიყენება: ლ'იკ ვ-უგო „კარგად (ზედმიწ. კარგ-) არის“ (შდრ. ლ'იკ-ავ ჩი „კარგი კაცი“), წოდორ ვ-უკა ფრთხილად (ზედმიწ. ფრთხილ-) იყავ!“ (შდრ. წოდორ-ავ ჩი „ფრთხილი კაცი“) და ა. შ. (§ 113). თვისების აღმნიშვნელ ერთსა და იმავე სიტყვას არსებით სახელთან ზედსართავის ფუნქცია აქვს (აჩვენებს საგნის თვისებას: ქინ-აბ „როგორი?“), ზმნასთან — ზმნისართისა (აღნიშნავს მოქმედების თვისებას: ქინ „როგორ?“). პირველ შემთხვევაში იგი გაფორმებულია (შესაბამისად საზღვრული არსებითი სახელის კლასისა და რიცხვისა), მეორე შემთხვევაში — გაუფორმებელი (მაგალითები იხ. ზემოთ).

ასეთია მიმართება ვითარებით ზედსართავ სახელებთან ვითარებითის გარემოების აღმნიშვნელი ზმნისართებისა.

შენიშვნა. ზოგი ზედსართავი სახელი (კერძოდ, ოდენობის გამომხატველი: ჭემერ-აბ „ბევრი“, დაჰ-აბ „ცოტა“, ტოკ-აბ „კიდევ“, „მეტი“) შეუძლებელი არ არის გაფორმებული სახითაც დაერთოს ზმნას (ზმნისართის ფუნქციით): ჭემერ-ავ ილ'ანილა, დაჰ-ავ ილ'ანილა [ავ] „ბევრი იარა თურმე, ცოტა იარა თურმე [მან]“ (ზღაპ.)... ტოკ-ავ ვ-აჭუნგე „მეტი (კიდევ) არ მოხვიდე!“².

ვითარების ზმნისართს შეიძლება ახლდეს მნიშვნელობის მაინტენსივებელი -გო ნაწილაკი: ხეხ-გო „სწრაფად“, ბერცინ-გო „ლამაზად“, პიტინ-გო „მცირედ“...

ნაცვალსახელოვანი ადგილის ზმნისართები. ადგილის ზმნისართებში ცალკე აღსანიშნავია ნაცვალსახელოვანი ადგილის ზმნისართები, რომელთა მნიშვნელობები გარკვეულ შესაბამისობაშია ჩვე-

¹ გვ. 201.

² შდრ. გვ. 96-103.

ნებით ნაცვალსახელთა მნიშვნელობებთან; წარმოების მიხედვითაც მათ ჩვენებით ნაცვალსახელებთან აქვთ კავშირი; შდრ.:

ჰანი-ბ	„აქ“	(ჰა-ბ „ეს“) ¹
ჰენი-ბ	„მანდ“	(ჰე-ბ „ეგ“)
ლო-ბ-ა	„იქ“	(ლო-ბ „ის“)
ლო-ბ-ა	„იქ — დაბლა“	(ლო-ბ „ის — დაბლა მყოფი“)
ლო-ბ-ა	„იქ — მაღლა“	(ლო-ბ „ის — მაღლა მყოფი“)

ამათვე განეკუთვნება კითხვითი ადგილის ზმნისართი: ქი-ბ „სად?“ (ესეც ნაცვალსახელისაგან ჩანს ნაწარმოები — § 137).

აღნიშნული ზმნისართებისაგან შეიძლება ვაწარმოოთ მიმართულებითისა (საითკენ?) და დაშორებითის (საიდან?) ფორმები (მსგავსად V წყებაში შემავალ ადგილობით ბრუნვათა ფორმებისა); შდრ.:

ადგილობ. ქი-ვ, ქი-მ, ქი-ბ, ქი-რ „სად?“ — მიმართ. ქი-ვ-ე, ქი-მ-ე, ქი-ბ-ე, ქი-რ-ე „საითკენ?“ — დაშორებ. ქი-საა „საიდან?“;

ადგილობ. ჰანი-ვ, ჰანი-მ, ჰანი-ბ, ჰანი-რ „აქ“ — მიმართ. ჰანი-ვ-ე, ჰანი-მ-ე, ჰანი-ბ-ე, ჰანი-რ-ე „აქეთკენ“ — დაშორებ. ჰანი-საა „აქიდან“;

ადგილობ. ჰენი-ვ, ჰენი-მ, ჰენი-ბ, ჰენი-რ „მანდ“ — მიმართ. ჰენი-ვ-ე, ჰენი-მ-ე, ჰენი-ბ-ე, ჰენი-რ-ე „მანდეთკენ“ — დაშორებ. ჰენი-საა „მანდედან“;

ადგილობ. ლო-ვ-ა, ლო-მ-ა, ლო-ბ-ა, ლო-რ-ა „იქ“ — მიმართ. ლო-ვ-ე, ლო-მ-ე, ლო-ბ-ე, ლო-რ-ე „იქითკენ“ — დაშორ. ლო-ვ-ა-საა, ლო-მ-ა-საა, ლო-ბ-ა-საა, ლო-რ-ა-საა „იქიდან“;

ადგილობ. ლო-ვ-ა, ლო-მ-ა, ლო-ბ-ა, ლო-რ-ა „იქ“ (დაბალ ადგილას) — მიმართ. ლო-ვ-ე, ლო-მ-ე, ლო-ბ-ე, ლო-რ-ე — დაშორებ. ლო-ვ-ა-საა, ლო-მ-ა-საა, ლო-ბ-ა-საა, ლო-რ-ა-საა;

ადგილობ. ლო-ვ-ა, ლო-მ-ა, ლო-ბ-ა, ლო-რ-ა „იქ“ (მაღალ ადგილას) — მიმართ. ლო-ვ-ე, ლო-მ-ე, ლო-ბ-ე, ლო-რ-ე — დაშორებ. ლო-ვ-ა-საა, ლო-მ-ა-საა, ლო-ბ-ა-საა, ლო-რ-ა-საა.

ქი-ვ (ქი-მ, ქი-ბ, ქი-რ) „სად?“ ზმნისართისაგან მნიშვნელობის მაინტენსივებელი **-გო** ნაწილაკის დართვით მიიღება ქი-ვ-გო (ქი-მ-გო, ქი-ბ-გო, ქი-რ-გო) „ყველგან“; უარყოფით ზმნასთან იგივე ზმნისართი აღნიშნავს „არსად“ (შდრ.: ქი-ვ-გო ვ-უგო „ყველგან არის“ — ქი-ვ-გო ჰეჭო „არსად არ არის“).

ადგილის ზმნისართები, რომელთაც თანდებულის ფუნქციაც შეიძლება ჰქონდეს, ქვემოთ — ცალკე — იქნება განხილული (§ 186).

¹ ფრჩხილებში ნაჩვენებია შესაბამისი ჩვენებითი ნაცვალსახელები. ზმნისართებიცა და ჩვენებითი ნაცვალსახელებიც აქ — სიმარტივისათვის — მოგვყავს ერთ-ერთი კლასის — III კლასის ფორმით (კლას-ნიშნით **-ბ**).

დანარჩენი ადგილის ზმნისართები არსებითი სახელისაგან არიან ნაწარმოები და წარმოადგენენ V წყების ადგილობით ბრუნვათა შესაბამის ფორმებს (ზოგი მათგანი სათანადო ფორმით ამჟამად შეიძლება გაქვევებულიც იყოს და შესაბამისი ფუძე სახელობით ბრუნვაში აღარ იხმარებოდეს); მაგალ.:

ყადანი-ბ „თავქვემ“ (მიმართ. ყადანი-ბ-ე, დაშორებ. ყადანი-სა; სახელობით ბრუნვაში შესაბამისი ფუძე არა ჩანს): ყადანიბ ტილიგი ლ'უნ, ტად ბურთინავი ბან, ტიყანილა ავ (ზღაპ.) „თავქვემ უნავირიც დაიდო რა, ზედ ნაბადი გადაიხურა რა, დაიძინა თურმე მან“...

ბადი-ბ „სახეში“ (მიმართ. ბადი-ბ-ე, დაშორებ. ბადი-სა; სახელობით შესაბამისი ფუძე არა ჩანს): დუნ ბალაჰანა დოსადე ბადი-ვ-ე „მე შევხედე მას სახეში“...

ქოლო-ბ „ხელში“ (მიმართ. ქოლო-ბ-ე, დაშორებ. ქოლო-სა; შდრ.: ქვერ „ხელი“): ქოლო-ბ გამაჰ ქაუნ ბუგო „ხელში ქვა უჭირავს“...

ჩანა-ბ „სანადიროდ“ — (მიმართ. ჩანა-ბ-ე, დაშორებ. ჩანა-სა; შდრ. ჩან „ნადირი“): დოვ ჩანა-ვ-ე ანა „ის სანადიროდ წავიდა“...

კლასისა და რიცხვის აღნიშვნის წესი ზმნისართებში. როგორც მაგალითებიდან ჩანს, ადგილის ზმნისართებისათვის დამახასიათებელია კლასისა და რიცხვის ნიშნების დართვა სუფიქსებად. მათი აღნიშვნის წესი ზმნისართში იგივეა, რაც თვით ზმნაში, რომელსაც ზმნისართი დაერთვის (ე. ი. გარდაუვალი ზმნის ზმნისართში აღნიშნულია კლასი და რიცხვი ზმნის რეალური სუბიექტისა, გარდამავლისაში — რეალური ობიექტისა); შდრ.: ვაცა ჰანი-ვ-ე-უგო „ძმა აქ არის“, ძაცა ჰანი-დ-ე-იგო „და აქ არის“, ჩუ ჰანი-ბ-ე-უგო „ცხენი აქ არის“, ვაცალ ჰანი-რ-ე-უგო „ძმები აქ არიან“... — გრძმ.: ვაცასა ჰანი-ბ-ე-უგო „მე შევხედი აბობს“... ვაცასა ჰანი-რ-ე-უგო „მე შევხედი აბობს“...

ამრიგად, სინტაქსური კავშირი ზმნისართისა სუბიექტ-ობიექტთან მყარდება ზმნის მეშვეობით (და არა უშუალოდ).

დროის ზმნისართებიდან აღსანიშნავია კითხვითი ქი-და (ქიდალ) „როდის“; ქიდა ვაჰარავ მუნ „როდის მოხვედი შენ?“ ამ ზმნისართს საწარმოებელი ფუძე საერთო უჩანს ქი-ბ „სად“ (იხ. ზემოთ) ადგილის ზმნისართთან.

ქიდა „როდის“ ზმნისართზე **-გო** ნაწილაკის დართვით მიიღება ქიდა-გო „ყოველთვის“; უარყოფით ზმნასთან მას უარყოფითი შინაარსი აქვს: „არასდროს“ (შდრ.: ქიდაგო ჰალტულა დოვ „ყოველთვის მუშაობს ის“ — ქიდაგო ჰალტულარო დოვ „არასდროს არ მუშაობს ის“...).

დროის აღმნიშვნელი სხვა ზმნისართები წარმოადგენენ შესაბამისი მნიშვნელობის მარტივს ან ნაწარმოებ ფუძეებს (გაუფორმებელს ან შესაძლოა ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით გაქვავებულს): ჟაყა „დღეს“ (მდრ. ყო „დღე“), სონ „გუშინ“, ნოლ’ „წუხელ“, მეთერ „ხვალ“... სარდი-ლ’ „ლამით (ზედმიწ. „ლამეში“), ყად „დღისით“, ჰანჟი „ეხლა“... ცინ „ერთხელ“ (მდრ.: ცო „ერთი“) და -გი ნაწილაკით: ცინ-გი „შემდეგ“ (ზედმიწ. „ერთხელაც“, ერთხელ კიდევ“) და ა. შ.

რიცხვითი სახელებისაგან **-წულ || -წოლ** სუფიქსის დართვით იწარმოება ჯერობის გამომხატველი ზმნისართები: კი-წულ „ორჯერ“, ლ’აბ-წულ „სამჯერ“ და ა. შ. (-გო ნაწილაკი რიცხვით სახელებს ასეთი წარმოებისას არ გაჰყვება).

ში-ბ „რა“ ნაცვალსახელისაგან ინფინიტივის **-ი-ზე** სუფიქსის დართვით იწარმოება მიზნის გამომხატველი კითხვითი ზმნისართი: შიბ-ი-ზე „რად?“ „რისთვის?“ (მდრ. ყოტ-იზე „ჭრა“).

მიზეზის გამომხატველი კითხვითი ზმნისართია: შიბ „რატომ?“ (მდრ. ში-ბ „რა?“).

§ 186. ბრუნვის მართვა ზმნისართის მიერ. ადგილის აღმნიშვნელი რიგი ზმნისართი შეიძლება სახელთანაც იხმარებოდეს თანდებულის როლში (მდრ. ქართულში ზმნისართები: „წინ“, „უკან“, „ქვეშ“, „შიგნით“... თანდებულებადაც რომ იხმარებიან). ასეთ შემთხვევაში სათანადო სახელი ზმნისართის მნიშვნელობას უფრო აკონკრეტებს, აზუსტებს (მდრ.: „წინ დგას“ და „უნივერსიტეტის წინ დგას“), ზმნისართი კი სათანადო სახელს მართავს გარკვეულ ფორმაში.

ასეთი ზმნისართებია: ლორტო (ლოტო) „ქვეშ“, ლორლ’ (ლოლ’) „შორის“, ჟანი-ბ „შიგნით“ (უსულო საგანში), ურჰი-ბ „შიგნით“ (სულიერ არსებაში), ხადუ-ბ „შემდეგ“, ასაკო-ბ (დიალექტ. ასაგუ^აბ^ა) „ახლოს“, ცე-ბ-ე „წინ“, ნაჯ^ა (დიალექტ. მაჯ^ა) „უკან“, ტად „ზემოთ“, „ზედ“, სვერუჯ „ირგვლივ“ და სხვ.

წარმოების მიხედვით თითოეული მათგანი ადგილობითი ბრუნვის ესა თუ ის ფორმაა.

ზმნისართები ჟანი-ბ „შიგნით“, ურჰი-ბ „შიგნით“, ხადუ-ბ „შემდეგ“, ასაკო-ბ „ახლოს“ V წყების ადგილობ. ბრუნვის ფორმებია კლას-ნიშნით ნაწარმოები (მდრ. როყო-ბ „სახლში“); მათვე შეიძლება ჰქონდეს მიმართულებითი და დაშორებითი ბრუნვის ფორმებიც (მიმართ. ჟანი-ბ-ე, ურჰი-ბ-ე, ხადუ-ბ-ე, ასაკო-ბ-ე; დაშორებ. ჟანი-საა, ურჰი-საა, ხადუ-საა, ასაკო-საა);

ცე-ბ-ე „წინ“ V წყების მიმართულებითი ბრუნვის ფორმაა, რომელსაც აქ ადგილობითის მნიშვნელობაც აქვს (დაშორებ. ცე-ბ-ე-საა „წინიდან“);

ლო^რ-ტ^ა „ქვეშ“ III წყების ადგილობითი ბრუნვის ფორმაა -**ტ** სუფიქსიანი (*მიმართ. ლო^რ-ტ^ა-ე, დაშორებ. ლო^რ-ტ^ა*);

ლო^რ-ლ['] „შორის“ IV წყების ადგილობითი ბრუნვის ფორმაა -**ლ'** სუფიქსიანი (*მიმართ. ლო^რ-ლ[']-ე, დაშორებ. ლო^რ-ლ[']-ა*);

სავერუ-ვ „ირგვლივ“ II წყების ადგილობითი ბრუნვის ფორმაა -**ვ** სუფიქსიანი (*მიმართ. სავერუ-ვ-ე, დაშორებ. სავერუ-ვ-ა*). ეგვევ სუფიქსი გამოიყოფა ნა-ვ-ა¹ (დიალექტ. მა-ვ-ა¹) „უკან“ ზმნისართში (*მიმართ. ნა-ვ-ე, დაშორებ. ნა-ვ-ა-სა*);

ტა-დ ტა-და „ზემოთ“, „ზედ“ I წყების ადგილობითი ბრუნვის ფორმაა -**დ** -**და** სუფიქსით (*მიმართ. ტა-დე, დაშორებ. ტა-[და]-სა*).

ზოგჯერ ადვილად ხერხდება საწარმოებელი ფუძის რაობის გათვალისწინებაც; ასე მაგალ., ლო^რ-ტ^ა „ქვეშ“ და ლო^რ-ლ['] „შორის“ ზმნისართები ნაწარმოები ჩანს ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან ლო-ბ „ის“ (დაბლა მყოფი). თავისი აგებულებით ეს ზმნისართები გვაგონებს ძვ. ქართულის წარმოებას: „მას ზედა“, „მას შინა“... სავერუ-ვ „ირგვლივ“, „გარშემო“ ზმნისართისათვის ამოსავალია სავერი „ბრუნი“, „წრე“ (შდრ. სავერიზე „ბრუნვა“, „ტრიალი“); ურპი-ბ „შიგნით“ ზმნისართთან საერთო ფუძე უნდა გვქონდეს სიტყვაში ურპიმესა („შიგნეულობა“, „გულღვიძლი“)...

ყველა ზემოაღნიშნული ზმნისართი მართავს სახელს I წყების ადგილობით ბრუნვაში (-**და** სუფიქსიანი) ან შესაძლოა ამავე წყების მიმართულებით ბრუნვაში (-**დე** სუფიქსიანი) თუ ზმნისართსაც მიმართულებითი ბრუნვის ფორმა აქვს (განურჩევლად წყებისა); შდრ.:

განჭი-და ტა-დ „ქვაზე რზემოთ“ — *მიმართ. განჭი-დე ტა-დე* (II განჭი-და ტა-დე), *დაშორებ. განჭი-და ტა-სა*;

განჭი-და ლო^რ-ტ^ა „ქვის ქვეშ“ — *მიმართ. განჭი-დე ლო^რ-ტ^ა-ე. დაშორებ. განჭი-და ლო^რ-ტ^ა-ა*;

განჭი-და ნა-ვ-ა¹ „ქვის უკან“ — *მიმართ. განჭი-დე ნა-ვ-ე, დაშორებ. განჭი-და ნა-ვ-ა-სა*;

დოსა-და ცაე-ბ-ე „მის წინ“ — *დაშორებ. დოსა-და ცაე-ბ-ე-სა*;

განჭი-და ასაკო-ვ „ქვის ახლოს“ (ჰოფ განჭიდა ასაკო-ბ ბეგანა „ძალი ქვის ახლოს დაწვა“) — *მიმართ. განჭი-დე ასაკო-ბ-ე* (ქეთო განჭი-დე ასაკო-ბ-ე ანა „კატა ქვის ახლოს წავიდა“), *დაშორებ. განჭი-და ასაკო-სა*;

განჭი-და სავერუ-ვ „ქვის ირგვლივ“ — *მიმართ. განჭი-დე სავერუ-ვ-ე, დაშორებ. განჭი-და სავერუ-ვ-ა*;

განჭი-და ჟანი-ბ „ქვის შიგნით“ — *მიმართ. განჭი-დე ჟანი-ბ-ე, დაშორებ. განჭი-და ჟანი-სა*;

ვაცაზ-და ლო^რ-ლ['] „ძმებს შორის“ — *მიმართ. ვაცაზ-დე ლო^რ-ლ[']-ე, დაშორებ. ვაცაზ-და ლო^რ-ლ[']-ა*;

დი-და ურპი-ბ „ჩემში“, „ჩემ შიგნით“ (დიდა ურპი-ბ ბუგო უნთი „ჩემში ავადმყოფობა არის“¹) — მიმართ. დი-დე ურპი-ბ-ე, დაშორებ. დი-და ურპი-საა.

ცალკე აღსანიშნავია ზოლო „-თვის“, რომელიც მართავს სათანადო სახელს მიცემით ბრუნვაში: ჰელ'იდე ზოლო „ამისთვის (ზედმიწ. „ამასთვის“), დუდე ზოლო „შენთვის“... ვატანალ'ე ზოლო „სამშობლოსთვის“... ჰუდულასე ზოლო „მეგობრისთვის“... შეიძლება დაერთოს ზმნასაც ინფინტივის ფორმით: ჰალტიზე ზოლო „მუშაობისათვის“, „სამუშაოდ“, წაალ-დეზე ზოლო „სწავლისთვის“, „სასწავლად“... (§ 184).

§ 187. ნაწილაკი. ყველა ნაწილაკი ხუნძურში ენკლიტიკურია (დაერთვის სიტყვას ბოლოში). პროკლიტიკური ნაწილაკები ხუნძურმა არ იცის.²

კითხვითი ნაწილაკები: **-იშ-** || **-ი, -და** || **დაჲ, -ალი, -და.**

-იშ- || **-ი** გამოხატავს კითხვას, რომელიც პირდაპირ პასუხს მოითხოვს (= ძვ. ქართ. **-ა** ნაწილაკს: არს-ა? მეგრ. **-ო-ს**: რენ-ო?).

იგი შეიძლება დაერთოს წინადადების ყველა წევრს, რომელზედაც ლოგიკური მახვილი მოდის, უფრო კი ზმნას (თუ სხვა რომელიმე სიტყვა სავანგებოდ არ არის გახაზული საკითხავად). იხმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინადადებაში არ არის კითხვის გამომხატველი სპეციალური სიტყვა (ჩან „რამდენი?“ ქიდა „როდის?“ ქი-ბ „სად?“ და მისთ.). **-იშ** ნაწილაკის დართვა ჩვეულებრივ იწვევს სიტყვის (ფორმის) ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცას (მდრ.: ბუგო „არის“ — ბუგ-იშ? ვუკანა „იყო“ — ვუკან-იშ? ბიჭაანა „გაიგო“ — ბიჭაან-იშ? და ა. შ.), ხოლო თუ ხმოვანი არ მოეკვეცა, ხმოვანთვასაყარად ჩაერთვის **ჲ** (ბუკინე „ყოფნა“ — ბუკინე-იშ? ბუკინ-ჰოგო „არ იყო რა“ [უარყ. აბსოლუტ. ნამ] — ბუკინჰოგო-იშ? ჰოქო „ურემი“ — ჰოქო-იშ?...).

შენიშვნა 1. კითხვითს წინადადებაში ზმნას თუ კითხვითი ნაწილაკი არ დაერთვის (ე. ი. როცა კითხვა გამოიხატება კითხვითი სიტყვით ან კითხვით ნაწილაკიანი სხვა რომელიმე სიტყვით), მაშინ ზმნურ ფორმას, როგორც წესი, შესაბამისი დროის მიმღეობა შეცვლის (§ 171).

¹ (III)), გვ. 196.
² ნაწილაკები საკმაო სისრულით განხილულია პ. უსლარის, ლ. ჟირკოვისა და მ. საიდოვის შრომებში, იხ. , , §§ 13-24. გვ. გვ. 17-33; , , გვ. გვ. 56-66; მისივე; [.], გვ. 158; , I. , § 81, გვ. გვ. 164-168. მისივე, I. , II, §§ 66, 67, გვ. 109-111.

შენიშვნა 2. კითხვითი ნაწილაკის დართვა სიტყვას არ უცვლის მახვილის ადგილს. სიტყვის მახვილი იმავე ადგილას რჩება, ხოლო ნაწილაკზე ინტონაცია მოდის (§ 16).

-და || **-დაა** [**და-ი** და-ი^{შა}(?)] გამოხატავს არა იმდენად ისეთ კითხვას, რომელიც პირდაპირ პასუხს მოითხოვს, არამედ უფრო გაურკვეველობას, ეჭვს („ნეტავ“, „ნუთუ...“): როყოფ ვუგო-დაა დოვ „სახლში თუ არის 'ნეტავ' ის?... იგივე ნაწილაკი ზოგჯერ გამოხატავს დარწმუნებულობასაც („განა არ“... — ე. წ. რიტორიკული კითხვა). **-ი^{შა}** ნაწილაკისგან განსხვავებით, ეს და სხვა ნაწილაკები (იხ. ქვემოთ) შეიძლება იხმარებოდეს ისეთ წინადადებაშიც, რომელშიც კითხვითი სიტყვა გვაქვს (შეიძლება დაერთოს თვით კითხვით სიტყვასაც: შაიბ-და^ა „ნეტავ რა“...).

-ალი [ალ-ი^{შა}(?)] გამოხატავს ირიბ კითხვას: დიცაა ლ^ალარო, დოსა შაიბ ჰაბულებ-ალი „მე არ ვიცი, თუ რას აკეთებს (ზედმიწ. რის მკეთებელია) ის“... ბიცე, დოვ შაივ ჩიდალი „გვიამბე, თუ რა (ვინ) კაცია ის“... დოვ ქიდა უნევალი, ლ^ალარო დიდა „ის თუ როდის მიდის, არ ვიცი მე“... **-ალი** ნაწილაკი შეიძლება გვექონდეს **-ი^{შა}** ნაწილაკთან ერთადაც (**-ი^{შა}-ალი**): ბალაჰე, ემენ ვუსაინჰ-ი^{შა}-ალი „ნახე, მამა ხომ არ დაბრუნდა?“ ლ^ალარო, დოვ ვაჰარავ-ი^{შა}-ალი „არ ვიცი, ის თუ მოვიდა (მოსულია)“.

-აა ნაწილაკს ხმარობენ ჩაკითხვისას (როცა ნათქვამს იმეორებენ კითხვის სახით — მთლიანად ან ნაწილობრივ); შდრ.: შუმარ ვაჰანა „ომარი მოვიდა“. — შუმარ-აა „ომარი-ო? (ან: შუმარ ვაჰანა-აა „ომარი მოვიდა-ო?“)... ეგევე ნაწილაკი ბრძანებითის ფორმასთან შეიძლება გამოხატავდეს შერბილებულ ბრძანებას (§ 159). იხმარება დამოუკიდებლადაც (სიტყვაზე და ურთველად, როცა ნათქვამი არ ისმის ან როცა პასუხს იძლევიან დაძახებაზე (= ქართ. „ა?“). ასეთ შემთხვევაში იგი შორისდებულია.

ს ხ ვ ა თ ა ს ი ტ ყ ვ ი ს ნ ა წ ი ლ ა კ ე ბ ი : **-ან**, **-ილან** (-ილ-ან).

-ან (ხმოვნით გათავებულ სიტყვასთან -ა-ან): ემენ როყოფ ვუგო-დან, აბუნა დოსა დიდე „მამა შინ არის-ო, მითხრა მან მე“ (ან: ვუგო ემენ როყოფ-ან აბუნა დოსა დიდე „არის მამა სახლში-ო, მითხრა მან მე“); როყოფე ქვატუგე-დან, აბუნა ნეჟედა ინსაუცა „შინ არ დაიგვიანოთ-ო, გვითხრა ჩვენ მამამ“; დიცაა ვაცაასადა ტეხ^ა ბოსე დიდე-დან ჰარანა „მე ძმას წიგნი მიყიდე-მეთქი, ვთხოვე“... **-ილან**: ლოტოდა ზადან ვუგევე-ილან ქაუნ, ლ^აუნთა-ნილა ბაწ „ხეზე ადამიანი არის-ო ეგონა, გაიქცა მგელი“ (ზლაპ.)¹. ქინალ-გო ლ^ანილაზ ჰებ სურათ წაყ ბერცინ ბაჰუნ ბუგ-ილან აბუნა „ყველა ბავშვებმა ეს სურათი ძალიან ლამაზად დახატული არისო თქვეს“².

¹ „გვ. 246.

² I. ., II, გვ. 111.

სხვათა სიტყვის გადმოსაცემად იხმარება აგრეთვე „თქმა“ ზმნის ნამდვილი აბსოლუტივის — გაქვევებული — ფორმა: **აბუნ** („თქვა-რა“): „წალე ნუჟ, წალე ნუჟ, წალე ნუჟ“ — აბუნ ლენინილ ნელ'ედა ვასიდათ ბუგო „სწავლა (ზედმიწ. ისწავლეთ თქვენ...), სწავლა, სწავლა“-ო ლენინის ანდერძია ჩვენდამი“¹. იგი შეიძლება იხმარებოდეს სხვათა სიტყვის ნაწილაკებთან ერთადაც (**-ან**, **-აბუნ**; **-ილან**, **-აბუნ...**).

შენიშვნა. სხვათა სიტყვისად მიაჩნიათ ზოგჯერ **-ილა** და რთული **-ინ-ან** ნაწილაკებიც. მაგრამ უკანასკნელში საკუთრივ სხვათა სიტყვის ნაწილაკი მხოლოდ **-ან** არის (**-ინ** სულ სხვა მნიშვნელობის ნაწილაკია. — იხ. ქვ.). რაც შეეხება პირველს, იგი მხოლოდ ზმნას დაერთვის და თურმეობითის გაგებას იძლევა: ყოტან-ილა (ყოტანა-ილა) „გაჭრა თურმე“...² (§ 175).

-გი. მნიშვნელობით უდრის ქართ. „-ც“ ნაწილაკს (გამოხატავს „აგრეთვე“-ს): ვაცა-გი ვაჭანა „ძმაც მოვიდა“, დოვ-გი ვაჩე „ისიც მოიყვანე!“, დიდე-გი ტყე „მეც მომეც!“, ვეხ ვოტარასაჟე ჰოფ-გი ბოტაჟულეხ „მწყემსის მოყვარულს [მისი] ძაღლი-ც უყვარს“ (ანდ.). იხმარება კავშირის როლშიც (იხ. ქვ.).

-გო. აძლიერებს სიტყვის მნიშვნელობას: ვუკუჟე-გო ვუგო დოვ „როგორც იყო რხუსტად“, ისე არის ის“³ (შდრ. ვუკუჟე ვუგო დოვ „როგორც იყო, ისე არის ის“); ცაერყად-გო ვუსანა მუსაა შაჰარაღდასაა „სწორედ გუშინწინ დაბრუნდა მუსა ქალაქიდან“... ეს მნიშვნელობა საგრძნობია ზოგი ახალი სიტყვის (ან ფორმის) წარმოებისას ამ ნაწილაკის გამოყენებით; შდრ.: უნ (უნ^ნ) „ჰო“, „დიახ“ — უნგო (უნ^ნგო) „ნამდვილად“, „მართლაც“, „დიახაც“; დუნ „მე“ — დუნ-გო „მე თვითონ“...

-ინ. მტკიცებითი ნაწილაკია (მნიშვნელობით უდრის ქართ. „კი“, [დიალექტ.] „ქვე“ ნაწილაკს): ვუგ-ინ „კი“ არის“ (ნამდვილად არის), ჰეჰ-ინ „კი“ არ არის“, ვუკან-ინ „კი“ იყო“ და ა. შ. **-ინ** ნაწილაკი ისევე, როგორც ხმოვნით დაწყებული სხვა ნაწილაკები, კვეცს სიტყვის ბოლოკიდურ ხმოვანს (ბუგ-ინ ბუგო-ინ და ა. შ.), ხოლო თუ ხმოვანი არ მოეკვეცა, ხმოვანთგასაყარად ჩაერთვის **ი** (ვუკა-ინ „კი“ იყავ!“).

¹ I. . . II, გვ. 110.

² შდრ. „ § 35, გვ. გვ. 58-63; „ გვ. გვ. 246-247, 119.

³ „ გვ. 13, § 17.

-ნი. ხაზგასმით წარმოაჩენს სათანადო სიტყვას მოცემული აზრის გამოსახატავად. ვაცა-ნი ვაჭინა „ძმა-კი მოვა“. დოსა-ნი ჰაბილა „ის-კი გააკეთებს“ (-); ვუკინე-ნი ვუკანა დოვ ჰანიგ... „ყოფნით-კი იყო ის აქ...“;

-ნი-გი. ეს ნაწილაკი რთული აგებულებისაა და შეიცავს **-ნი** და **-გი** ნაწილაკებს, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იხმარება (იხ. ზემოთ). გამოხატავს „ან... ან („თუნდაც“): ვაცა-ნი-გი დაცა-ნი-გი აჰე „ან (თუნდაც) ძმას, ან (თუნდაც) დას დაუძახე!“... აქვს „თუმცა“-ს მნიშვნელობაც („დათმობითი კილო“ — § 163).

-ცინ. აძლიერებს მნიშვნელობას (შდრ. **-გო**). დუნიდალდა-ცინ ბუკი-ნარო ჰედინაბ ჟო „მთელ¹ ქვეყანაზეც კი არ იქნება ასეთი რამ“¹.

-ხა. ესეც მნიშვნელობის გამაძლიერებელია (კითხვისას, დადასტურებისას ან უარყოფისას): ბუგო-ხა „არის¹ კი!“...

-ჰან. აღნიშნავს მსგავსებას („ვით“, „როგორც“): მუნ-ჰან „როგორც შენ“, „შენსავით“ (შეიძლება დაერთოს სახელს სხვადასხვა ბრუნვაში). ინფინტივთან ერთად: „-მდის“, „ვიდრე“: ჰაბიზე-ჰან „გაკეთებამდის“ (§ 184).

-გუნ (-გინ). აღნიშნავს თანაობას (comitativus): ვაცა-გუნ „ძმითურთ“, „ძმასთან ერთად“. შეიძლება დაერთოს სახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმას.

მა-გი. მუნ-ჰაგი ვაჭანა „შენ მაინც მოდი!“.

ნაწილაკი შეიძლება აფიქსის ფუნქციასაც ასრულებდეს. ასე, მაგალ., **-გო** ნაწილაკის დართვით იწარმოება სახელისა და ზმნის არაერთი ფორმა, კერძოდ: აბსოლუტივის ფორმები (ყოტულა-გო „ჭრის-რა“... ყოტიჭო-გო „არ ვაჭრა რა“...), უკუქცევითი ნაცვალსახელები (დუნ-გო „მე თვითონ“... დოვ-გო „ის თვითონ“...), განუსაზღვრელი ნაცვალსახელები (შივ-გო „ვინმე“, შიბ-გო „რამე“); იგივე ნაწილაკი დაერთვის ზმნისართებს (ჰიტინ-გო „მცირედ“...), რიცხვით სახელებს (კი-გო „ორი“, ლაბ-გო „სამი“... კიდაბ-გო „ორივე“...), მონაწილეობს მეშველი ზმნის ფუძეში (ბუ-გო „არის“)... **-ან** ნაწილაკი აწმყოსა და მყოფადის ფორმებს ნამყოს მნიშვნელობას ანიჭებს (ყოტულა-ან „ჭრიდა“... ყოტილა-ან „გაჭრიდა“)... **-ნი** იძლევა პირობითი კილოს გაგებას (ბუგო-ნი „თუ არის“, ყოტა¹ნა¹-ნი „თუ ვაჭრა“...), **-ნი-გი** — დათმობითისას (ყოტა-ნი-გი, „თუმცა ვაჭრა“) და ა. შ.

ნაწილაკის აღჭურვა მორფოლოგიური ფუნქციით მეორეულია. სათანადო შემთხვევებში ამოსავალია მისი სემანტიკური ფუნქცია.

¹ გვ. 23, § 17.

§ 188. კავშირი. კავშირებით ხუნძური ენა, მსგავსად მთის იბერიულ-კავკასიური სხვა ენებისა, ღარიბია. მაქვემდებარებელი კავშირები მხოლოდ წიგნური წარმოშობისაა (რამდენადმე ხელოვნურიც) და ხალხურ მეტყველებას არ ახასიათებს. მაერთებელი კავშირებიც ცოტაა.

ა) მ ა ე რ თ ე ბ ე ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ა : **-გი, ვა მა, მა-ლ'უნი, ამა.**

-გი. კავშირთაგან ყველაზე გავრცელებულია (და ძველიც) კავშირ-ნაწილაკი **-გი**¹. იგი ენკლიტიკურად დაერთვის თითოეულ დასაკავშირებელ სიტყვას; მაგალითები: ღუნ-გი მუნ-გი „მე და შენ (მე-ც, შენ-ც)“; ებელ-გი ემენ-გი ვაცა-გი მაცა-გი, „დედა, მამა, ძმა და და (დედა-ც, მამა-ც, ძმა-ც, და-ც)“. ზმნასთან **-გი** კავშირის როლში არ იხმარება.

ვა. ეს კავშირი ნასესხებია (არაბულიდან). მასაც „და“ კავშირის მნიშვნელობა აქვს (დამახასიათებელია წიგნური მეტყველებისათვის): ებელ ვა ემენ „დედა და მამა“... თუ ერთნაირი წევრი რამდენიმეა, **ვა** კავშირი დაისმის არა ყველასთან, არამედ უკანასკნელის წინ: ებელ, ემენ, ვაცა ვა მაცა „დედა, მამა, ძმა და და“ (შდრ. ზემოთ **-გი** კავშირი). **ვა** კავშირი შეიძლება ზმნებთანაც გვქონდეს: წალანა ვა ჯვანა „წაიკითხა და დაწერა“.

მა. მაცალკეებელი კავშირია. ნასესხებია (არაბულიდან). მნიშვნელობით უდრის ქართ. „ან“-ს. ჩვეულებრივ მეორდება დასაკავშირებელ სიტყვებთან (მა — მა „ან — ან“): მა ვაცა მა მაცა „ან ძმა ან და“; ღუნცა მა ჯვად მა წალე „შენ ან წერე ან იკითხე!“. უარყოფით ზმნასთან უარყოფითი შინაარსი აქვს („არც“): როყორ მა ემენ მა ებელ ჰეჭო „შინ არც მამა, არც დედა არ არის“...

ამავე მნიშვნელობით შეიძლება გვქონდეს **-ნი-გი** ნაწილაკიც (იხ. ზემოთ: § 187).

მა-ლ'უნი მაცალკეებელი კავშირია: „ან'უ“: შოდოვ ჭაა მა-ლ'უნი ა „დაჯექი ან წად!“; ლ'აშალიდა ჟანიბ ანწილა კიგო მოწა მა-ლ'უნი ლ'აბ-ნუ-სიდალდა ლ'აბყოდალდა-შოუგო ყო ბუგო „წელიწადში 12 თვე ან'უ' 365 დღე არის“.

ამა. მაცალკეებელი კავშირია: „მაგრამ“. ნასესხებია (არაბულიდან).

ბ) მ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ე ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი . მაქვემდებარებელი კავშირებია: შაად აბუნი, შაად გურელ'ულ (|| შაად გუროგო), ჰელ'აიფე შოლო, ჰედინლ'იდალ, ჰელდალ'უნ. ყველა ესენი მიზეზს გამოხატავენ (სხვადასხვა სტილისტიკური ნიუანსით).

შაად აბუნი „რადგანაც“ (*ზედმიწ.* „რატომ თუ ვიტყვით“: შაად „რატომ“, აბუ-ნი „თუ ვიტყვით“ — პირობ. კილოს ფორმა აბიზე „თქმა“ ზმნისა): ნუჟ მეთერ დარსაიდე რაჭუნგე, შაად აბუნი მეთერ ვიხოდნოდ ბუგო „ხვალ თქვენ გაკვეთილზე ნუ მოხვალთ, რადგანაც ხვალ დასვენება არის“².

¹ შდრ.: აფხაზ. **-გი**, ადიღ. **-ჰგ** (კიახ. **-გგ**)... ლაკ. **-გუ** (იხ. N. Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen, § 2).

² . . . I. . . გვ. 163.

შაად გურელ'ულ „ამიტომ, რომ“, „რადგანაც“, *ზედმიწ.* „რატომ არა'და“ (შაად, „რატომ“, გურელ'ულ მიზეზის საგარემოებო ფორმა უარყოფითი სიტყვისაგან გურო „არა“; შდრ. ბუგელ'ულ „რადგანაც არის“ [§ 184]): ღუთანაღდე მაშინაღდა ინე კოლაროან, შაად გურელ'ულ ქუთაქაღდა ბიცაათაბ შაზუ ბუკანა ნუხდა „საზამთრო საძოვარზე („ღუთან'ში“) მანქანით წასვლა არ შეიძლებოდა, რადგანაც გზაზე დიდი თოვლი იყო“¹.

ჰედინლ'იდალ „ამიტომ“, *ზედმიწ.* „ასე რადგანაც არის“ (ჰედინ „ასე“ + -ლ'ი-დალ „როცა, რადგანაც არის“; შდრ. -დალ სუფიქსიანი საგარემოებო ფორმები [§ 184]): მაშარულაზულ შიდალ შემერ რუგო, ჰედინლ'იდალ ქვასგი შემერ ბუკუნა „ხუნძებს ბევრი ცხვარი ჰყავთ, ამიტომ მატყლიც ბევრი აქვთ“.

ჰელდალ'უნ „ამიტომ“, „ამის გამო“. ჰელდა „ამაზე“ [ადგ. ბრ. ჰე-ბ „ეგ“ ნაცვალსახელისა] + -ლ'უნ): სონ წაად ბანა, ჰელდალ'უნ ნიყ ყვატირე რაჟინჭო „გუშინ წვიმდა, ამიტომ ჩვენ გარეთ არ გამოვსულვართ“².

ჰელ'იდე-შოლო „ამისთვის“ (ჰელ'იდე „ამას“ [ბიც. ბრ. ჰე-ბ „ეგ“ ნაცვალსახელისა], შოლო „თვის“): ბაწ წაყ ზარარ შემერაბ ჰადვან ბუგო, ჰელ'იდე შოლო შადამაზ ჰებ ჰვაზე წაყ ჰარაქათ ბაჯულა „მგელი მეტად (ბევრი) ზარალის მომტანი (ზარალ-მრავალი) ცხოველია, ამიტომ ადამიანები მის მოკვლას ისწრაფვიან“...

¹ . , I. ,, გვ. 163.

² . , I. ,, II, გვ. 82.

ძირითადი სინტაქსური მოვლენები

§ 189. სინტაქსური დამოკიდებულებანი სახელისა სახელთან და სახელისა ზმნასთან.

მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნებისას აღნიშნული იყო, რომ მსაზღვრელი ბრუნვას არ იცვლის: რა ფორმაშიცაა საზღვრულთან სახელობით ბრუნვაში, იმაშივე რჩება დანარჩენ ბრუნვებშიც; მაშასადამე, მსაზღვრელი არ ეთანხმება საზღვრულს ბრუნვაში.

მსაზღვრელი შეიძლება შეეთანხმოს საზღვრულს გრამატიკულ კლასსა და რიცხვში. შეთანხმება კლასში შეიძლება გვექონდეს მხოლოდობით რიცხვში, მრავლობითში მხოლოდ რიცხვში შეთანხმება გვაქვს (§§ 120, 138).

მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან კლასში და რიცხვში მაშინაც შეიძლება გვექონდეს, როცა მსაზღვრელი სახელი მართულია საზღვრულის მიერ: თუ მსაზღვრელი საზღვრულთან ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა, მას შეიძლება დაერთოს კლასისა და რიცხვის ნიშნებიც შესაბამისად საზღვრული არსებითი სახელის კლასისა და რიცხვისა (ნეჟერ „ჩვენი“ [ნათ. ბრ.] — ნეჟერ || ნეჟერ-**აბ** რუყ „ჩვენი სახლი“... — ნეჟერ || ნეჟერ-**ალ** რუყზაბი „ჩვენი სახლები“). (§§ 120, 138).

სინტაქსურ დამოკიდებულებას ზმნისა სახელთან (სუბიექტ-ობიექტთან) განსაზღვრავს ზმნის თავისებურება.

ხუნძური ზმნა, როგორც ვიცით, არ იცვლება პირთა მიხედვით, მაგრამ იცვლება კლასებისა და რიცხვის მიხედვით. სინტაქსურად ეს ნიშნავს: სახელი არ მართავს ზმნას პირში, მაგრამ ითანხმებს მას გრამატიკულ კლასსა და რიცხვში. როგორც ზმნის უღვლილებისას აღნიშნული გვექონდა, გარდაუვალი ზმნის კლასისა და რიცხვის ფორმა დამოკიდებულია რეალურ სუბიექტზე, გარდამავალი ზმნისა — რეალურ ობიექტზე (§ 144).

ზმნა, თავის მხრივ, მართავს მასთან დაკავშირებულ სახელებს: ა) რეალურ **სუბიექტს**: გარდაუვალი ზმნა — სახელობით ბრუნვაში (ვაცა ვაჭანა „ძმა მოვიდა“), გარდამავალი ზმნა — ერგატიულ ბრუნვაში (ვაცაასა ვაჩანა „ძმამ მოიყვანა“), ბ) რეალურ **ობიექტს**: გარდამავალი ზმნა — სახელობით ბრუნვაში (ვაჩანა ჰობოლ „მოიყვანა სტუმარი“). (§ 145).

რეალური სუბიექტი გარკვეული ზმნებისა (კერძოდ, გრძნობა-აღქმის გამომხატველი ზმნებისა) შეიძლება მართული იყოს მიცემითსა და ადგილობით ბრუნვაში (ლოკატივში). რეალური ობიექტი კი ასეთ ზმნებთანაც სახელობით ბრუნვაში გვექნება და აქაც რეალური ობიექტი ითანხმებს ზმნას კლასსა და რიცხვში (§145).

ამრიგად, **გარდაუვალი ზმნის** რეალური **სუბიექტი** (სახელობით ბრუნვაში) და **გარდამავალი ზმნის** (აგრეთვე გრძნობა-აღქმის გამოძახებულ ზმნათა) **რეალური ობიექტი** (ესეც სახელობით ბრუნვაში) ერთნაირ სინტაქსურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ: ორივე იმართვის ზმნის მიერ (სახელობით ბრუნვაში) და ორივე ითანხმებს ზმნას (კლასსა და რიცხვში).

რაც შეეხება გარდამავალი ზმნის რეალურ სუბიექტს, მას ზმნა მართავს ერგატიულ ბრუნვაში, მაგრამ ერგატივი ვერ ითანხმებს ზმნას კლასსა და რიცხვში; ამრიგად, სინტაქსური დამოკიდებულება გარდამავალი ზმნისა და მისი რეალური სუბიექტისა ცალმხრივია. ასეთივეა სინტაქსური დამოკიდებულება მიცემითსა, ნათესაობითსა და ლოკატივში დასმულ რეალურ სუბიექტსა და შესაბამის ზმნას შორის: აქაც რეალური სუბიექტის ბრუნვის ფორმა ზმნაზეა დამოკიდებული, მაგრამ ზმნის ფორმა არ არის დამოკიდებული რეალურ სუბიექტზე (დამოკიდებულია რეალურ ობიექტზე).

შენიშვნა. ჭარულ დიალექტში, რომელსაც ზმნა, როგორც ვიცით, პირთა მიხედვითაც ეცვლება, ზმნის პირს რეალური სუბიექტი მართავს იმისდა მიუხედავად, თუ ეს უკანასკნელი რა ბრუნვაშია: სახელობითში, ერგატივში, ნათესაობითში, მიცემითსა თუ ლოკატივში (§ 141).

გარდა სახელობითში დასმული რეალური ობიექტისა ზმნას (გარდამავალსაც და გარდაუვალსაც) — საჭიროების შემთხვევაში — შეიძლება შეეფარდოს დამატება ამა თუ იმ „ირიბ“ ბრუნვაში: მიცემითში, ნათესაობითში, ადგილობით ბრუნვაში და შესაძლოა — ერგატიულ ბრუნვაშიც (როცა ეს უკანასკნელი მოქმედებითი ბრუნვის მნიშვნელობით იხმარება). ასეთი დამატება („ირიბი დამატება“)¹ განსხვავებით სახელობით ბრუნვაში დასმული დამატებისაგან (პირდაპირი ანუ უახლოესი ობიექტისაგან) არავითარ გავლენას არ ახდენს ზმნის ფორმაცვალებაზე (ზმნას იგი არც მართავს და არც ითანხმებს).

სიტყვათა რიგი წინადადებაში, გარდა ზოგი გამონაკლისისა, თავისუფალია (ლოგიკური მახვილის შესაბამისად წინადადების წევრები ამა თუ იმ თანმიმდევრობით შეიძლება დალაგდეს): ვაცა რადალ როხ¹ოვე ანა „ძმა დილით ტყეში წავიდა“ — რადალ ანა ვაცა როხ¹ოვე „დილით წავიდა ძმა ტყეში“; ანა ვაცა რადალ როხ¹ოვე „წავიდა ძმა დილით ტყეში, როხ¹ოვე ანა რადალ ვაცა „ტყეში წავიდა დილით ძმა“ და ა. შ.

¹ „ირიბი დამატების“ ფორმათა შესახებ დაწვრილებით — . . . , . . . გვ. 177-200; აგრეთვე: . . . , I. . . II, . . .

თავისუფალი არ არის მსაზღვრელის პოზიცია საზღვრულის მიმართ: როგორც ვიცით (§ 138), მსაზღვრელი (რა სახელიც და რა ფორმითაც არ უნდა იყოს ის) ყოველთვის წინ უსწრებს საზღვრულს; შებრუნებული წყობა (ჯერ საზღვრული, მერე მსაზღვრელი) უჩვეულოა ხუნძურისათვის.

მიმღობასთან რეალური ობიექტი (სახელობით ბრუნვაში) წინ დაისმის (მომდევნოდ კი — საერთო წესის თანახმად — საზღვრული სახელი): წულ ყოტულევ ჩი „შეშის (ზედმიწ. შეშა) მჭრელი კაცი“, მაშინ, როდესაც თვით ზმნასთან რეალური ობიექტის ადგილი მტკიცედ განსაზღვრული არ არის (წულ ყოტანა დოსა „შეშა გაჭრა მან“ — ყოტანა წულ დოსა „გაჭრა შეშა მან“, ყოტანა დოსა წულ „გაჭრა მან შეშა“).

აღწერით ფორმებში მეშველი ზმნა უშუალოდ მოსდევს საუღვლებელ ზმნას (ყოტულევ ბუგო „ჭრის“), მაშინ, როდესაც შედგენილი შემასმენლის წევრად მეშველი ზმნის ადგილი თავისუფალი შეიძლება იყოს (ყოტულევ ბუგო „მჭრელი არის“, ბუგო ყოტულევ „არის მჭრელი“).

§ 190. რთული დაქვემდებარებული წინადადების საკითხი. ხუნძურში არ მოგვეპოვება მიმართებითი ნაცვალსახელები („ვინც“, „რაც“, „რომელიც“, „როგორც“ და სხვ.) და არც მიმართებითი ზმნისართები („სადაც“ „საიდანაც“, „როდესაც“, „როგორც“ და სხვ.), რაც რთული დაქვემდებარებული წინადადების ასაგებად (დამოკიდებული წინადადების მთავართან დასაკავშირებლად) გამოიყენება სათანადო ენებში. არა გვაქვს არც სხვა დაქვემდებარებული კავშირები („რომ“, „თუ“, „ამიტომ, რომ“, „რათა“, „სანამ“, „თუმცა“ და მისთ).

L'action réciproque et la genèse de ces indices ne peuvent être expliqués qu'après avoir étudié les parlers vivants de la langue d'Avare et comparé les données de la langue d'Avare avec les indications des autres langues caucasiennes, en commençant par celles du Daghestan.

გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში¹

სიტყვათა დაჯგუფება სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება: ზოგჯერ განასხვავებენ გონიერსა და „უგონო“ საგნებს, ზოგჯერ „სულთა“ და „უსულთა“, ზოგჯერ მამრობითსა და დედრობითს სქესს ანდა მამრობითს, დედრობითსა და საშუალო სქესს, ზუსტად რომ ვთქვათ, „გვარებს“, (, genus)... სქესებად დაყოფა კლასიფიკაციის ერთ-ერთი სახეა და არა ერთად-ერთი სახე. არის ისეთი ენები, რომლებშიც საგნები გარეგნული ფორმის მიხედვითაა ჯგუფებში გაერთიანებული ანდა კიდევ ღირებულების თვალსაზრისითაა დახასიათებული, და ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა გრამატიკულ დაჯგუფებაში შედის. ამგვარი დაჯგუფების აღსანიშნავად ბუნებრივი სახელი იქნებოდა გრამატიკული კლასი.

ხუნძურში გარჩეულია სამი გრამატიკული კლასი: პირველში შედის ადამიანი მამრობითი სქესისა, მეორეში — ადამიანი დედრობითი სქესისა, მესამეში — ყველა სხვა ცოცხალი არსება განურჩევლად სქესისა (ხარი, ძროხა, ცხენი, ცხვარი, ვაცი, ნეზვი, ლომი, არწივი...) და ყოველი სხვა საგანი, კონკრეტული თუ განყენებული (წყალი, ქვა, მიწა, სახლი, სინათლე, სიბნელე, სილამაზე...).

პირველი გრამატიკული კლასის ნიშანია მხოლოდობითში **გ- || უ**, მეორისა — **ჲ**, მესამისა — **ბ**. ეს ნიშნები პრეფიქსებად წარმოგვიდგება, მაგრამ სუფიქსადაც გვაქვს. გვხვდება სუბსტანტივებში იშვიათად, ნაცვალსახელებში — ხშირად, ატრიბუტივებსა და მიმღეობაში — ყოველთვის; ზმნაში და ინფინიტივში შედარებით მცირეა მაგალითი გრამატიკული კლასების გარჩევისა.

შდრ. **გ-აც ძმა... გ-ას ვაჟიშვილი... დო-უ, დო-ჲ, დო-ბ** — ის (, ,)

ჲ-აც და... ჲ-ას ქალიშვილი... ჰე-უ, ჰე-ჲ, ჰე-ბ — ის (, ,)

კუდიჲა-უ, კუდიჲა-ჲ, კუდიჲა-ბ — დიდი (, ,)

ჰიტინა-უ, ჰიტინა-ჲ, ჰიტინა-ბ — პატარა (, , -)

უნე-უ, უნე-ჲ, უნე-ბ² — მიმავალი (, ,)

გ-უგო, ჲ-იგო, ბ-უგო — ვარ, ხარ, არის I, II, III კლასის საგანი (განურჩევლად პირისა)

¹ წაკითხულია მოხსენებად 15. X. 1936 ენის სექტორთა შეერთებულ სხდომაზე.

² სპეციალურ განხილვას საჭიროებს ისეთი მიმღეობა, რომელიც ერთდროულად ორი კლასის ნიშანს ატარებს.

ვ-უკინე, **დ**-იკინე, **ბ**-უკინე — ყოფნა I, II, III კლასის საგნისა...

ჰა-**ვ**-იზე, ჰა-**დ**-იზე, ჰა-**ბ**-იზე — ქმნა I, II, III კლასის საგნისა...

მრავლობით რიცხვში კლასები არაა გარჩეული; თუ მხოლოდობითში გრამატიკული კლასები პრეფიქსებით აღინიშნებოდა, მრავლობითში **რ**-პრეფ. გვექნება; თუ კლასის ნიშნად სუფიქსი გვექონდა, **-ალ**, **-ელ** სუფიქსებს მივიღებთ:

ვ-უგო, **დ**-იგო, **ბ**-უგო — მრავლ. **რ**-უგო ვართ, ხართ, არიან (I, II, III კლ.)

კული**დ**-ალ — დიდები (განურჩევლად კლასისა)

ჰიტინ-**ალ** — პატარები „ „

დოლ — ისინი, „ „

ჰელ — ისინი, „ „

აღსანიშნავია, რომ **ვ**-აც, **დ**-აც, **გ**-ას, **დ**-ას მრავლობითში ინარჩუნებენ კლასის ნიშნებს: **ვ**-აც-ალ ძმები, **დ**-აც-ალ დები, **გ**-ას-ალ ვაჟიშვილები, **დ**-ას-ალ ქალიშვილები...

ხუნძურის მოქმედმა გრამატიკულმა სისტემამ, როგორც ვნახეთ, იცის სამი გრამატიკული კლასი; მაგრამ ხუნძურში უნდა ყოფილიყო მე-ოთხე გრამატიკული კლასიც. ხუნძურის დიალექტები რომ შესწავლილი იყოს, საამისო საბუთები, ალბათ, საძებარი არ იქნებოდა; მაგრამ ბოლ მაწა-შიაც, ვფიქრობთ, რომ შენახულია მისი უტყუარი ნიშნები. პირველ ყოვლისა, ზოგი მასდარის **რ**-იქცევს ამ მხრივ ყურადღებას.

— **აჩიზე** წაღება, წაყვანა, ტარება (ინფინიტივია!) (იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 45); დიცა მუნ ვ-აჩილა მე შენ (I კლასის საგანს) წაგიყვან (მაგალ., ზურგით); ჰამიცა ბ-აჩულა წულ ვირს მიაქვს შეშა... ზმნაში ყველგან აღნიშნულია კლას-კატეგორია ობიექტისა; თუ უნდათ ევროპული ენების განყენებული ფორმა, გადმოსცენ, იღებენ ზმნის ფორმას მესამე კლასის ობიექტით: **ბ-აჩიზე**... ნაზმნარი სახელის, მასდარის, საწარმოებლად ინფინიტივს სცილდება **-ზე**: **ბ-აჩი** წაღება რისამე...

ხუნძურში მოიპოება სიტყვა **რ-აჩი ტვირთის** მნიშვნელობით; ეჭვს გარეშეა, ეს იგივე **ბ-აჩი-ა**, ოღონდ **ბ**-ს ადგილს აქ იჭერს **რ**-პრეფიქსი. მასდარი გასუბსტანტივებულია (შდრ. გასუბსტანტივებული ქართული მასდარები: წარწერა, შენიშვნა, განმარტება, გამოცდა...).

ასეთივე წარმოების რამდენიმე სხვა მასდარიც არის დადასტურებული უსლართან.

— **ოტლიზე** სიყვარული, ; **რ-ოტლი** სიყვარული: ვამ ცასიმაბ როტლი, ცასიმაბ როტლი! დუნიძალგუჲნ ცადაჯ ბიშას ბიჟარაბ (იხ. უსლარი, ტექსტები, გვ. 14): ვამ ულმობელო სიყვარულო, ულმობელო სიყვარუ-

ლო... „სიყვარული“ აქ მესამე გრამატიკულ კლასად არის წარმოდგენილი და მსაზღვრელი ატრიბუტივიც მასთან არის შეთანხმებული, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ განყენებულად იქნება აღებული ეს მასდარი და სიყვარულის ობიექტზე მითითებული არ იქნება, მაგრამ თუ ასეთი ობიექტი ნაჩვენებია, **რ**-პრეფიქსს მონაცვლედ სხვა სათანადო კლასის ნიშანი შეიძლება გაუჩნდეს; ამის მაგალითი გვაქვს ლ. ტოლსტოის „ჰაჯი მურატის“ თარგმანის შემდეგს ადგილში: **წაყ ჰობოლ ვ-ოტლიძალ'ულ ჰისაბაღდა** (გვ. 8): სტუმრის დიდი სიყვარულის გამო; რაკი ობიექტად პირველი გრამატიკული კლასია, მასდარიც შესაბამისი პრეფიქსით მოგვევლინა... როტლი-მასდარში **რ**-პრეფიქსი ფუძესთან საბოლოოდ არ არის შეხორცებული.

— **აყიზე** შიმშილი ; **რ-აყი** შიმშილი ; რაყულ ს'ონ შიმშილიანი წელიწადი (სიტყვა-სიტყვით „შიმშილის წელიწადი“)... იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 41.

— **ეციზე** ქება ; ობიექტებთან მიმართებაში: ვ-ეციზე, დ-ეციზე, ბ-ეციზე... **-ზე**-ს გამოკლებით მივიღებთ მასდარს „ქება“: ვ-ეცი, დ-ეცი, ბ-ეცი... ამათ გარდა იხმარება **რ-ეც** „ქება, ქათინაური“ (იხ. უსლარი, იქვე, გვ. 77): დოს დიდე ჰაბუნა **რეც**: მან მე მაქო „მან მე ქათინაური მიყო“... ხემერ რეც ბუგეუ ჩი ვუგო ჰაუ „ძალიან პირმოთნე კაცია ეს“...

სავსებით ანალოგიური აგებულებისაა:

— **ეწიზე** დენა , ... **რ-ეწი** ჩირქი (წყლულიდან მოდინარე)... იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 77.

— **ალიზე** ლანძღვა ; **რ-ალ** ბრძოლა... იხ. უსლარი, გვ. 36.

— **იტლიზე** გაყოფა ; **ბ-იტლი** გაყოფა, განაყოფი; **რ-იტლი** მდინარის ტოტი. იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 106.

— **იყიზე** შექმნა ; ალლაჰას რიჟანა ცადამალ „ალაჰმა შექმნა ადამიანები“; **რ-იყი** ქმნილება ... იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 101.

— **ეტლიზე** თესვა ; **ბ-ეტლი** თესვა, ; **რ-ეტლი** თესვა (!). იხ. უსლარი, გვ. 79.

— **ილ'ინე** სვლა ; ამ ზმნასთან გრამატიკული კლასის ნიშანი მერყეობს: ილ'ა გასწი (ქალის, კაცის მიმართ იხმარება ჩვეულებრივად კლასის ნიშანდაურთველად), მაგრამ ბ-ილ'ა გასწი! (ცხოველის მიმართ!) კლასის ნიშანს ატარებს...

ამ ზმნის ფუძიდან გვაქვს **რ-ილ'ინ** სიარული ... იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 106.

თავისებური სუფიქსით, რომელიც მრავლობითობის ნიშანს უნდა უკავშირდებოდეს, **რ**-პრეფიქსიანი წარმოებაა:

— **რ-უკელ** „სამყოფის“ მნიშვნელობით: ქოლოდა ბუგო დოსულ **რ-უკელ** ის ხუტორში ცხოვრობს („ხუტორში არის მისი ყოფნა, სამყოფი“). იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 114.

— **იჩიზე** გაწუწვა, დასველება ; **რ-იჩიელ** ნესტი, ნოტიო... უსლარი, ლექსიკ. გვ. 105.

— **ოხიზე** სიხარული, ; **რ-ოხიელ** სიხარული; კუდიმაბ როხიელ ბუგო ჰაბ „დიდი სიხარულია ეს“... იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 144.

— **ეგიზე** წოლა ; გ-ეგი წოლა (ადამიანისა); **რ-ეგელ** საწოლი... იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 75.

ეს **რ** კლასის ნიშანი უნდა იყოს; რომელი კლასისა? პირველი და მეორე კლასი გამოირიცხულია: ის სიტყვები, სადაც **რ-პრეფიქსი**ა შემონახული, ამ კლასებს ვერ განეკუთვნება; ყველა ეს სიტყვა ამჟამად მესამე კლასისაა; მათთან შეთანხმებული სახელები ამაში ეჭვს არა სტოვებს: კუდიმაბ **როხიელ** ბუგო ჰებ დიდი სიხარულია ეს... რაკი ყოველ კლასს ჩვეულებრივად თავისი მაჩვენებელი აქვს, **რ-პრეფიქსი** IV კლასისა უნდა იყოს; სხვანაირად რომ ვთქვათ, ხუნძურში ოთხი კლასი უნდა გვქონოდა სათანადო ნიშნებით: I — **გ**- II — **უ**, III — **ჟ**, IV — **რ**.

რაც პირველისა და მეორე კლასის გარეთ რჩება, ამჟამად მესამე კლასშია გაერთიანებული; წინათ სიტყვათა ეს კონტინგენტი ორ კლასს შეადგენდა, მესამესა და მეოთხეს.

ცხადია, მამინ ხუნძურში ისეთივე მდგომარეობა გვქონდა, როგორცაა ახლა ანდიურში, ლაკურში, არჭულში, ჰურკილიურში, რუტულურსა თუ წახურულში...

საფიქრებელია, რომ ხუნძურშიაც ისევე უჩინარი იყო საფუძველი, რომლის მიხედვითაც მეოთხე კლასი გამოიყოფოდა მესამისაგან. სამი კლასი მეორეული მოვლენა ხუნძურისათვის.

რა დამოკიდებულებაშია ზემოხსენებული **რ-პრეფიქსი** იმ **რ-პრეფიქსთან**, რომელიც მრავლობითშია შემონახული? **გ-უგო**, **ჟ-იგო**, **ბ-უგო** — **რ-უგო**.

ეს იგივე **რ-** უნდა იყოს. როგორ არის შესაძლებელი, რომ მხოლოდ ბითის გარკვეული კლასის, ამ შემთხვევაში მეოთხე კლასის, მაჩვენებელი მრავლობითში ყველა კლასისათვის იყოს გამოყენებული? განა უფრო ბუნებრივი არ იქნება ეს **რ-** მრავლობითობის ნიშნად დავსახოთ? ამჟამად ეს ასეც არის; ფრაზაში: ვაცალ **რუგო** (ძმები არიან) **რ-** ისევე გამოხატავს ზმნაში სიმრავლეს, როგორც **-ალ** სუფიქსი სახელში ვაცალ. მაგრამ ისტორიულად კი მათ შორის არსებითი სხვაობაა: **-ალ** მრავლობითის სუფიქსი იყო, **რ-** მეოთხე კლასის პრეფიქსი, შემდეგში ქვეული მრავლობითის ნიშნად.

არის კი შესაძლებელი მხოლოობითის გარკვეული კლასის ნიშანი მრავლობითში ყველა კლასისათვის იქნეს გამოყენებული? თუ — კი, რაღა მაინცა და მაინც მეოთხე კლასის მაჩვენებელს უნდა დაკისრებოდა ეს როლი? დალისტნის სხვა ენებში საქმის ვითარების გათვალისწინება ცხადყოფს, რომ არსებობს საერთო წესი:

1. **მრავლობითში თითქმის არასოდეს არ არის ამჟამად გარჩეული იმდენი კლასი, რამდენიც მხოლოობითშია;**

2. **სწორედ მხოლოობითის მესამე და მეოთხე კლასის ნიშნებია მრავლობითში გამოყენებული ყველა კლასისათვის.**

მხოლოობითისა და მრავლობითის კლას-ნიშანთა შეპირისპირება ამას უეჭველს ხდის:

		I	II	III	IV
წახურულში:	მხოლ.	—	რ	ბ	დ
	მრავლ.	—	ბ	დ	
რუტულურში:	მხოლ.	რ	რ	ჟ ბ	დ
	მრავლ.	დ			
ლაკურში:	მხოლ.	ჟ	დ	ბ	დ
	მრავლ.	ბ			დ
არჭულში:	მხოლ.	ჟ უ	დ- -რ...	ბ	ტ
	მრავლ.	—	ბ- -ბ	—	ბ

ერთის შეხედვით ჩაჩნურს შეაქვს დისონანსი ამ მთლიან სურათში¹: მრავლობითში მესამე კლასის ნიშნად გამოყენებულია **დ**, რაც მხოლოობითში მეორე კლასისთვის არის განკუთვნილი; მაგრამ თაკი **დ** საზიაროა მეორე და მესამე კლასისათვის მხოლოობითში, ამიტომ მრავლობითში ეს **დ** შეიძლება დავსახოთ მესამე კლასის ნიშნად და არა მეორისად, მით უფრო, რომ პირველი კლასისთვისაც კი მეოთხე და მეხუთე კლასის ნიშნებია გამოყენებული; იხ. სქემა:

ჩაჩნური:	I	II	III	IV	V	VI
მხოლ.	ვ	დ		ბ	დ	ბ
მრავლ. I პ.	დ	დ-	- -დ	დ	დ	ბ
მრავლ. III პ.	ბ	ბ-	- -დ	დ	დ	ბ

¹ მართალია, ჩაჩნური არ არის დალისტნის ენათა ჯგუფისა, მაგრამ სტრუქტურულად ახლოს დგას დალისტნის ენებთან; კლასების საკითხიც იმგვარსავე პრინციპებზე დამყარებული ჩანს.

ერთად ერთს ნამდვილს გამონაკლისს ანდიური ენა წარმოადგენს: მას მხოლოობითში ოთხი კლასი აქვს გარჩეული: **გ, დ, ბ, რ** და მრავლობითშიაც იგივე კლასის ნიშნებია გამოყენებული, რიცხვის ნიშნები სიტყვას ცალკე დაერთვის:

გ -ჭობა	დიდი	I კლ.	გ-ო-ჭობოლ	გ-უჭურ	ვკლავ	(მაგ. კაცს)
დ -ჭობა	„	II კლ.	დ-ე-ჭობოლ	დ-იჭურ	„	(მაგ. ქალს)
ბ -ჭობა	„	III კლ.	{ დ-ე-ჭობოლ ბ-ე-ჭობოლ	ბ-იჭურ	„	(მაგ. ცხოველს)
რ -ჭობა	„	IV კლ.	რ-ე-ჭობილ	რ-იჭურ	ვჭრი	(მაგ. ყველს)

ანდიური, სამაგიეროდ, საინტერესოა იმით, რომ მას მხოლოობითში გარჩეული აქვს ოთხი კლასი და კლასების მაჩვენებლებიც იგივე აქვს, რაც ხუნძურს; კერძოდ, მეოთხე კლასისათვის აქ **რ**- გვაქვს, სწორედ ის **რ**, რომელსაც ხუნძურში ვვარაუდობთ მეოთხე კლასისათვის.

ლოდობერიული, კარატაული, ახვახური, ბავვალალური, ტინდალური გარდამავალ მდგომარეობას ამჟღავნებენ: მხოლოობითში ყველგან სამი კლასია მოქმედი ისევე, როგორც ხუნძურში; კლასის ნიშნებაც იგივეა: **გ**-, **დ**-, **ბ**- — მრავლობითში პირველი და მეორე კლასისათვის **ბ**- გვაქვს მესამისათვის — **რ**-:

მაგალ. ლოდობერ.:	მხოლ.	<u>გ-ეჭუხა, დ-ეჭუხა, ბ-ეჭუხა</u>	დიდი
	მრავლ.	<u>ბ-ეჭუხა</u> <u>რ-ეჭუხა</u>	

ბოთლიხური სავსებით იმეორებს ხუნძურს კლასთა რაოდენობისა და კლასთა ნიშნების მხრივ მხოლოობითშიაც და მრავლობითშიაც.

დიდოურში არა ჩანს პირველი კლასის ნიშანი; სამაგიეროდ მეორე, მესამე, მეოთხე კლასი იმავე ნიშნებს გვაძლევს, რაც ხუნძურშიაც უნდა ყოფილიყო: **დ, ბ, რ** და მრავლობითშიაც ხუნძურისებურად საერთო მაჩვენებელია **რ** ყველა კლასისათვის: — იგუ, **დ**-იგუ, **ბ**-იგუ, **რ**-იგუ ლამაზი, **რ**-იგუ ლამაზები (ყველა კლასისათვის).

ხვარშიული თითქოს ამის წინა საფეხურს გვაწვდის, ნიშნებითაც თითქმის სავსებით იმეორებს ხუნძურს...



ამრიგად, არა თუ შეუძლებელი არ არის, რომ გარკვეული (IV) კლასის ნიშანი ყოფილიყო მრავლობითში გამოყენებული, არამედ სავსებით კანონზომიერია სწორედ მისი გამოყენება, როცა მრავლობითში მხოლოდ ერთი კლასის ნიშანი შეგვჩრჩია.

კლასთა ნიშნების ხმარების მხრივ ხუნძური და ანდიურ-დიდოური ენები გარკვეულ დასაფეხურებას მოგვცემს:

ანდიური: მხოლოდობითში 4 კლასი, მრავლობითშიც — 4; ნიშნებიც იგივე; ეს ნიშნებია: **ვ, ა, ბ, რ**.

ღოდობერიული კარატაული ახვახური ბაგვალალური ტინდალური	}	მხოლოდობითში 3 კლასი, მრავლობითში — 2; ნიშნები: ვ, ა, ბ, რ (ბ — 1, 2, რ — 3) .
--	---	--

ქაფუჩურში: მხოლოდობითში — 4 კლასი, მრავლობითში — 2; ნიშნები: **—, ა, ა, ბ: ბ (1, 2), ა (3, 4)**.

ხვარშიელში: მხოლოდობითში — 4 კლასი, მრავლობითში — 2; ნიშნები: **(უ), ა, ბ, ლ (რ): ბ (1, 2), ლ (რ) 3, 4**.

დიდოური: მხოლოდობითში — 4 კლასი, მრავლობითში — 1; ნიშნები: **—, ა, ბ, რ: რ** ყველა კლასისათვის.

ბოთლიხურსა და ხუნძურში	}	მხოლოდობითში — 3 კლასი, მრავლობითში — 1; ნიშნები: ვ (უ), ა, ბ: რ ყველა კლასისათვის.
---------------------------	---	---

ანდიურში განვითარების პირველი¹ საფეხურია მოცემული, ბოთლიხურსა და ხუნძურში — უკანასკნელი; ანდიურში მხოლოდობითშიაც მეტია, მრავლობითშიაც ოთხივე ერთეული მხოლოდობითისა შეგვჩრჩენია. ბოთლიხურსა და ხუნძურს მეოთხე კლასი დაუკარგავს მხოლოდობითში, მრავლობითშიაც კლასებს ვეღარ არჩევს, მეოთხე დაკარგული კლასის ნიშანი ამ მრავლობითში შემოუნახავს.

მრავლობითის მხრივ ხუნძურს გვერდში უდგას დიდოური: ერთი საერთო **რ**- ნიშანი მოეპოვება (მრავლობითში).

მხოლოდობითის მხრივ ხუნძურს ემხრობა ღოდობერიული, კარატაული, ახვახური, ბაგვალალური, ტინდალური: მხოლოდობითმა აქ ყველგან სამი კლასი იცის.

დიდოურ მხოლოდობითში მეოთხე კლასიც ცოცხლობს, ღოდობერიულში, კარატაულში, ახვახურში, ბაგვალალურსა და ტინდალურში მრავლობითში ორი კლასი გაირჩევა...

¹ შედარებით სხვა აქ მოცემულ ერთეულებთან.

ამგვარად, ბოთლიხურსა და ხუნძურში მხოლოდობითიცა და მრავლობითიც ყველაზე უფრო გამარტივებულია, განვითარება აქ ყველაზე შორს არის წასული.

რატომ უნდა მოასწავებდეს განვითარება გრამატიკული კლასების შემცირებას? რატომ არ არის მოსალოდნელი გრამატიკული კლასების რიცხვის გადიდება? ცხადია, ამაში წილი უდევს განყენებული აზროვნების განვითარებას, როგორც ამას ევროპული ენების მასალაზე დაყრდნობით აღნიშნავს, საფიქრებელია, სავსებით მართებულად ა. მეიე: „ცივილიზაციის პროგრესი განსაზღვრავს განყენებული აზროვნების პროგრესს და ინდო-ევროპულ ენათა განვითარების მანძილზე ვხედავთ, რომ კონკრეტული გრამატიკული კატეგორიები თანდათანობით ქრება მაშინ, როდესაც კატეგორიები, რომლებიც შეეფერებიან. აზროვნების განყენებულ კატეგორიებს, შეინახებიან ანდა ვითარდებიან... გრამატიკული სქესი კი ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებ ლოგიკური და ყველაზე ძნელად გასათვალისწინებელი კატეგორიაა“ (იხ. მისი *Linguistique historique et Linguistique générale*, Paris 1921, გვ. 201-202, წერილი: *Le genre grammatical...*).

მიზეზთა შორის უცხო ენის გავლენაც არ შეიძლება დავივიწყოთ; როცა გავლენის სუბიექტი-ენა გრამატიკული კლასებისა თუ სქესების საკითხში არსებითად განსხვავდება გავლენის ობიექტ-ენისაგან.

ზემოსხენებულ მიზეზთა გამო კლასების რიცხვი თუ შემცირდებოდა, ცხადია, ეს, პირველ ყოვლისა, მეოთხე და მესამე კლასებს შეუქმნიდა საფრთხეს: მათი გამიჯვნა ყველაზე ნაკლებ ემყარებოდა რაციონალურ საფუძველს...

ნაზმნარი სახელებისა და მრავლობითის გარდა ჩვენთვის საინტერესო კლას-ნიშანი შენახულია კუთვნილებითს სახელებში:

დირ ჩემი, **დურ** შენი, **ნეჟერ** ჩვენი (სვ. ნიშგუეჟ), **ნელ'ერ** ჩვენი (სვ. გუშგუეჟ), **ნოჟორ** თქვენი... რის მაქნისი უნდა ყოფილიყო აქ **-რ**?

საქმე ისაა, რომ ყველა ეს კუთვნილებითი სახელი წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვაა, ნათესაობითს ბრუნვაში კი ანდიურ-დიდოურ ენებს კლასთა გარჩევის უნარი აქვთ; შდრ. ლოდობერიული ენის:

იმუ-ჟ	ვაცი	მამის ძმა
იმუ-ჟ	დაცი	მამის და
იმუ-ბ	ხოანი	მამის ცხენი

იმუ-**ჟ**, იმუ-**ფ**, იმუ-**ბ** სამივე უდრის ქართულ ნათესაობითს — **მამის**; სხვადასხვა კლასის ნიშანი აქ გამოყენებულია იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი კლასისაა ის სახელი, რომლის განმარტებასაც ეს ნათესაობითი ბრუნვა წარმოადგენს.

ამჟამად ხუნძურს არა აქვს გარჩეული სხვადასხვა კლასის ნათესაობითი და **resp.** კუთვნილებითი ნაცვალსახელები; გარჩევა კი მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც ეს არის წარმოდგენილი: ბოთლიხურში, ღოდობერიულში, კარატაულში, ბავგალაულში, ჭამალაულში, ტინდალურსა და ანდიურში; „ჩემი“, მაგალითად, ამ ენებში იქნებოდა დი-**ჟ**, დი-**ფ**, დი-**ბ** სამი გრამატიკული კლასის შესაბამისად, რომლებიც გარჩეულია ამ ენებში. ანდიურს მეოთხე კლასიც აქვს; ამისდა კვალად „ჩემი“ ანდიურში ასეთ განსხვავებულ საკლასო ფორმებს ქმნის: **დი-ჟ**, **დი-ფ**, **დი-ბ**, **დი-რ**... „შენი“: **დუ-ჟ**, **დუ-ფ**, **დუ-ბ**, **დუ-რ**... (იხ. დირი: 1906, გვ. 36).

უკანასკნელი წევრები: **დირ** და **დურ**¹ მეოთხე კლასისათვის განკუთვნილი წარმოებაა; ხუნძური **დირ** (ჩემი) და **დურ** (შენი) იდენტურია ამ წარმოებისა.

მრავლობითის კუთვნილებითი სახელები პირველი და მეორე პირისა ანდიურს სხვაგვარად ეწარმოება, ვინემ ხუნძურს: ანდ.: იში-**ჟ**, იში-**ფ**, იში-**ბ**, იში-**რ** (ჩვენი); ბისი-**ჟ**, ბისი-**ფ**, ბისი-**ბ**, ბისი-**რ** (თქვენი)... მაგრამ **დირ** (ჩემი) და **დურ**-ის (შენი) ანალიზი სწყვეტს ნეჟერ, ნელერ, ნოჟორ-ის საკითხსაც.

როცა ხუნძური ენა ჯეროვნად იქნება შესწავლილი, **რ**- კლას-ნიშანი, ალბათ, სხვაგანაც აღმოჩნდება, კერძოდ ლექსიკაში. ამჟამად, შეიძლება დავასახელოთ **რაკ** გული, რომელშიც **რ**- კლასის ნიშნად ჯერ კიდევ უსლარმა მიიჩნია და ძირეული -**კ** ქართული „გული“-ს **გ**-ს და აფხაზურის **აგუ გ**-ს დაუკავშირა.

დასკვნა:

1. ხუნძურში ოთხი გრამატიკული კლასი იყო გარჩეული; უკანასკნელი, მეოთხე კლასი ამჟამად დაკარგულია; ამ კლასის სახელები მესამე კლასშია მოქცეული.

2. მეოთხე კლასის ნიშანი იყო **რ**- აფიქსი, რომელიც ხან პრეფიქსად გვაქვს და ხან სუფიქსად.

¹ შეუძლებელი არაა, თავიკიდური **დ**-ც კლას კატეგორიისა აღმოჩნდეს.

3. ეს რ- აფიქსი დაცულია: ა) ზოგიერთ ნაწმნარ სახელებში (რ-ოტლი, რ-ეცი...), ბ) მრავლობითში ხმარებულ რ- პრეფიქსში და გ) კუთვნილებითს ნაცვალსახელებში: დირ, დურ, ნეჟერ, ნელ'ერ, ნოჟორ; დ) აგრეთვე ცალკეულ სუბსტანტივებში (რაკ).

4. კლასის დაკარგვა და ამის შედეგად კლასთა რაოდენობის შემცირება ანდიურ დიალექტებსაც უნდა ახასიათებდეს; როგორც ხუნძურისა, ისე ანდიურ-დიდოურისათვის ოთხკლასიანობა უნდა იყოს ამოსავალი. სადაც ამჟამად სამი კლასი გვაქვს (ლოდობერ., კარატ., ახვახ., ბავვალ., ტინდ.), მეოთხე კლასი დაკარგულად უნდა ვივარაუდოთ. მრავლობითში ხმარებული -რ უდაოა ამ ენებშიაც იმავე ღირებულებისაა, როგორც ხუნძურში.

რ, (r-: r-ugo – (r-et's
 :) ...); b) di-r , du-r ,
 , ...); c) (r-ak ...).
 neje-r , nojo-r);

(: ,, ,, ,,
 ..).
 , ,
 .
 r-,
 , :

A propos de l'histoire des classes grammaticales dans la langue d'Avare

R é s u m é

L'analyse des données de la langue d'Avare nous oblige à conclure que cette langue possédait quatre différentes classes grammaticales et non trois, comme cela est actuellement.

Il faut considérer **რ** *r*, comme indicateur de la quatrième classe.

Nous le rencontrons aujourd'hui: a) au pluriel des verbes, comme préfixe (*r-ugo* «nous sommes, vous êtes, ils, elles sont»...); b) dans quelques substantifs dérivés des verbes (*r-et'si* – «louange»)...; c) dans les pronoms possessifs (*di-r* «mon», *du-r* «ton», *nejer* – «notre», *nojor* – «votre»...); d) dans quelques substantifs (*r-ak* «coeur»...).

Il est probable que la réduction du nombre des classes grammaticales de quatre jusqu'à trois soit propre et aux dialectes d'Andi, qui n'ont conservé que trois classes (idiomes: *godober.*, *karat.*, *akhvakh.*, *bagval.*, *tind.*).

Ainsi que dans la langue d'Andi, il évidents qu'on y distinguait quatre classes.

Le suffixe **რ** *r*, employé au pluriel, remplissait la même fonction que dans la langue d'Avare, c'est à dire, représentait l'indicateur de la quatrième classe.

საანგარიშო მოხსენება ხუნძური (ავარიული) ენის ჭარულ კილოზე მუშაობისა ზაქათალაში (1-14.VIII. 1938)¹

ხუნძური ენა დალისტინის ენათა შორის ერთად ერთია, რომ მთელ დალისტანს გადაჭრის ჩრდილოეთიდან სამხრეთამდის (როგორც ამა პ. უსლარი აღნიშნავდა): უკიდურესი ჩრდილო პუნქტი აულ ჩირ-იურტის სახით ჩრდილო-კავკასიის (ორჯონიკიძის) რკინის გზის ხაზთანაა, სამხრეთის წევრი კავკასიონის ქედს გადმოცილებულია და ჭარ-ბელოქნის ხაზით თითქმის ალაზნის მარცხენა ნაპირს უწევს: დანაჩი და კაბახოლი ალაზანს რამდენიმე კილომეტრით შორავენ.

ხუნძურის ასეთ განვრცობასთან მჭიდრო კავშირშია მისი ძლიერი დიალექტობრივი დიფერენციაცია, ხუნძურში სამ კილოს გამოყოფენ ხუნძახურს, ანწუხურსა და ჭარულს. ესენი გარჩევით აქვთ დასახელებული ჯერ კიდევ გიულდენშტედტს (XVIII ს) და კლაპროტს (XIX ს. პირველი ათეული). მაგრამ ამჟამადაც სპეციალურ ლიტერატურაში თითქმის არავითარი ცნობა არ მოიპოება ანწუხურისა და ჭარული კილოების შესახებ. პ. უსლარის ფუნდამენტალური ნაშრომი „ხუნძური ენა“ ჩრდილო დიალექტის, ხუნძახურის (უფრო ზუსტად: ჩრდილო კიდის აულ ჭირკეის) მასალების განხილვაზე დაფუძნებული.

ლ. ჟირკოვის „ხუნძური გრამატიკაც“ იმავე კილოს ემყარება (როცა ის პ. უსლარის მონაცემებს სცილდება). აკად. შიფნერს, მართალია, ცდის პირებად ღუნიბელები ჰყავდა, მაგრამ თავის გამოკვლევას („ber das Awarische“ 1861) საფუძვლად დაუდო მასალა, ადგილობრივ ჩაწერილი სხვადასხვა პირების მიერ, და ეს მასალა თითქმის მთლიანად ხუნძახურ კილოზე მოუბართავან მომდინარეობდა.

ერკერტის შრომაში („Die Sprachen des Kaukasischen Stammes“) შედარებით მეტი მასალაა, მაგრამ ავტორს ჭარულის დამახასიათებელ მთავარ მოვლენათაგან მხოლოდ ორი აქვს შენიშნული.

შამილის დროს „ჯარის ენა“ („ბოლ მაწა“) ხუნძური ენის ხუნძახური კილო იყო.

საბჭოეთის ხანის ხუნძურ მწიგნობრობასაც ხუნძახური კილოსაკენ უჭირავს თვალი: ხუნძახური კილო სალიტერატურო ხუნძური ენის ფუძე-დიალექტად იქცა.

¹ წაკითხულია მოხსენებად ენიმკიში 19.X.1938 წ.

მართალია, ამ მწიგნობრულ ენაში აქა-იქ გამოიჰყიტავს სამხრული ხუნძურის დამახასიათებელი მოვლენები — ავტორებია სამხრული დიალექტის წარმომადგენლები, — მაგრამ ამით არაფერი იცვლება: ფონეტიკაც, მორფოლოგიაც, სინტაქსიც ხუნძური ენისა ხუნძახურია. სამხრული კილოების შემოტანილი მოვლენები დიალექტიზმებად განიაზრება.

ეს დიალექტიზმები მაინც საინტერესოა — ენათმეცნიერული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა: მათი მიხედვით სამხრული კილოების თითო ოროლა მოვლენა მიახლოებით შეიძლება კაცმა გაითვალისწინოს.

საგულისხმოა ასევე შემთხვევით ამოტივტივებული მასალა სამხრული ხუნძურისა შიფნერთან. საინტერესოა პ. უსლარის შრომის შესავალში წარმოდგენილი თითო-ოროლა ცნობაც სამხრული ხუნძურის შესახებ.

მაგრამ ყოველივე ეს ოდნავადაც **არ კმარა იმისათვის, რომ კაცმა გაითვალისწინოს სამხრული ხუნძურის თუნდაც ძირითადი თავისებურებანი.**

სამხრული ხუნძურის გარეშე კი ჩრდილო ხუნძურის სტრუქტურის რიგი მთავარი მოვლენები გაუგებარი რჩება, ხუნძური ენის ისტორიის საკითხები სწორად არც გადაწყდება და არც დაისმის.

შემთხვევა გვქონდა ამაში დავრწმუნებულიყავით 1933 წლის ზაფხულს ლენინის რაიონის აულების სულრათლისა და ქუდალიბის წარმომადგენლებთან ათიოდე დღით წამუშავებისას ქ. ბუინაკსკში. ამ გარემოებაზე მივუთითებდით წერილში „ინფინიტივის დიალექტური ვარიაციები ხუნძურში“ (ენიმიკი-ს მოამბე ტ. I, გვ. 95).

მას შემდეგ დაღისტანს გამგზავრება არ მოგვიხერხდა. იყო იმედი — წელს ერთი თვით მაინც შიგნი დაღისტანში სამხრულ ხუნძურზე წამუშავებისა. სამწუხაროდ, წელსაც მხოლოდ ხუთმეტოდე დღის მარაგი აღმოჩნდა ხუნძურზე სამუშაოდ ადგილობრივ. ასეთი დროის ბიუჯეტით სამხრეთ დაღისტანის აულებში გამგზავრება არ იქნებოდა მიზანშეწონილი: ოთხი-ხუთი დღე გზას უნდა იქით.

ამან გადაწყვიტა მარშრუტის საკითხი: სამხრეთისკენ სვლა შეიცვალა სამხრეთის პუნქტში გამგზავრებით. ცხადი იყო, რომ ამ ვარიანტს გარკვეული ნაკლი ახლდა: მხოლოდ ჩრდილო ხუნძურის (ხუნძახურის) ნიადაგზე სამხრეთის კიდე ძნელი გასარკვევი იქნებოდა: გვაკლდა შუა რგოლები.

მაგრამ არჩევნის საკითხი არ იდგა: ავვისტოს პირველი ნახევარი მაინც უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ტფილისიდან გავემგზავრე თვითმფრინავით 2 ავვისტოს დილის 7 საათზე; 11 საათზე ზაქათალაში ვიყავი.

ადგილობრივი განათლების განყოფილების დახმარებითა და რაიკომის მდივნის გულისხმიერი დამოკიდებულების შედეგად მოხერხდა 3 აგვისტოდანვე სრული დატვირთვით მუშაობა (დღეში 8-10 საათი).

ჩემი მასწავლებელი იყო ჯემალ მამედოვი, ჭარში დაბადებული, სოფ. ფაშანში (მაკოუს სოფ.-საბჭო) გაზრდილი, ამჟამად ზაქათალაში მომუშავე (ბეჭდვის კავშირის ხაზით).

ჭარულზე მუშაობის პირველ დღიდანვე ყურადღება მიიქცია არა ერთმა თავისებურებამ. მწვავედ დაისვა ამ თავისებურებათა სათავეების საკითხი: სპეციფიკურ ჭარულია ეს მოვლენები თუ ის სხვა კილოკავებშიც არის; თუ — კი, რას მიჰყვება და აგრძელებს ჭარული — ანწუხურს თუ ლუნიბ-ყარახის ხაზზე მდებარე აულთა მეტყველებას?

ანწუხელის ძებნას შევუდექი. აღმოჩნდა ერთი, ისიც არც თუ შესაფერისი: ათი წელიწადია ანწუხში არ ყოფილა. ნელა სიტყვას ვერ ათქმევინებ, რამდენიც არ გაამეორებინო, ურევს ჭარულსა და ანწუხურს, ჩვენებას წამდაუწუმ ცვლის და სხვა. სამი შეხვედრა მქონდა. გამოკვითხე სიტყვები — სომატური ტერმინოლოგია, რიცხვითი სახელები... — ვათარგმნინე აზერბაიჯანული ანბანიდან ელემენტარული ტექსტები...

ყველა სიძნელის მიუხედავად, რაც ამ მუშაობას ახლდა, გაირკვა, ჯერ ერთი, ის, რომ მთელ რიგ მომენტებში ანწუხური ჭარულს შორდება და, მეორეც, — ხუნძურის ისტორიისათვის ანწუხურის შესწავლა მიუცილებელია (საინტერესოა ქართულთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც).

ზაქათალიდან 13 აგვისტოს გამოვემგზავრე ბელოქან-ლაგოდეხით წნორის წყალზე. მუშაობის შედეგად:

1. ჩაწერილია **ჭარული კილოს** ტექსტები 50 რვ. გვერდი.
2. ჩაწერილია ნათესაური ურთიერთობის ნომენკლატურა, სხეულის ნაწილთა სახელები, რიცხვითი სახელები და ნაცვალსახელები (ჭარულად).

გარდა ამისა — ათიოდე გვერდი ანწუხური ტექსტები, რიცხვითი სახელები, ძირითადი ნაცვალსახელები, სხეულის ნაწილთა სახელები, ნათესაური ურთიერთობის ტერმინოლოგია. ამ მასალას შემოწმება ესაჭიროება, მაგრამ ამ სახითაც საინტერესოა ხუნძური დიალექტოლოგიის თვალსაზრისით.

ჭარული კილოს თავისებურებათაგან ჩაწერილი ტექსტები საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ შემდეგი:

ბგერითი შედგენილობისა და ბგერათა ცვლის ხაზით:

1. ჭარულს არ მოეპოება ლატერალები.

ხუნძურის ხუნძახურს კილოში გარჩეულია 4 ლატერალი: ლ'აბგო „სამი“, ლ'იკ „კარგი“, ნილ' „ჩვენ“ (ინკლ.), ტილ' „უნაგირი“.

ლუნიბის რაიონის აულებში უჭირთ მეორე და მესამე საფეხურის ლატერალთა გარჩევა წიგნის ენაშიც. განსხვავებულია: ლ'აბგო, ტილ' და მესამე საშუალო ტიპი.

ჭარულში ლატერალები არა გვაქვს. მათს ადგილს იჭერს ორი რეფლექსი: ჰ — თავისებური, თითქოს პალატალიზებული ჰ და კჲ — მაგარი, თუმც პალატალური (!) კ.

პირველი რეფლექსი განუჩვევლად იხმარება ლ'-ს, ლ'-ს და ლ'-ს ნაცვლად, მეორე ტი-ს მაგივრობას ეწევა.

ჰაბგუ (= ლ'აბგო) „სამი“

ჰიკ (= ლ'იკ) — „კარგი“

ნიჰ (= ნილ') „ჩვენ“ (ინკლ.)

ანჰგუ (= ანლ'გო) „ექვსი“

{ კჲილი (= ტილ' „უნაგირი“

{ ანკჲგუ (= ანტიგო) „შვიდი“.

რიცხვის სახელები 6 და 7-ისათვის მხოლოდ ამ ლატერალებითაა გარჩეული ხუნძახურში: ანალ'გო: ანტიგო 7; ჭარულში ანჰგუ 6, ანკჲგუ — 7. ამბობენ ერთი სომეხი ვაჭარი, რომელმაც ხუნძური (ჭარული) ისწავლა, ამ ბგერებს ვერ გამოთქვამდა გარჩევით, ორივე სიტყვას ერთნაირად გამოთქვამდა — რაღაც საშუალო ბგერით პლუს **გ** — და წინ მსაზღვრელს ურთავდა: კუდაბ ანგუ „დიდი ანგუ“, ე. ი. შვიდი, ტინაბ ანგუ „პატარა ანგუ“, ე. ი. ექვსი.

ორ რეფლექსში თავის მოყრა ოთხი ლატერალის ბგერინაცვლებისა ამ ლატერალთა ბუნებისა და ურთიერთობის თვალსაზრისით საყურადღებო მოვლენაა, მაგრამ ამაზე აქ არ შევჩერდებით.

2. ჭარულში დასტურდება **ჭ** და **ძ** ბგერები, რომლებიც უცხოა ამჟამად ხუნძახურისათვის (და ლიტერატურული ხუნძურისათვის).

გურჭიდაუ (= გურჟიდაუ, ხუნძახ.) „ქართველი“

საჯან „საყენი“

ქინძი (= ქვანაზე, ხუნძახ) „ჭამა“.

ძ-ს ფონემურობა ეჭვებს იწვევს (თუ **ძ**-ს ყურადღებას მიაქცევთ, **ზ**-თი ცვლიან!), თუმცა რიგს შემთხვევაში **ძ** გარკვევით ისმის. საინტერესოა, რომ უმეტესად ის ინფინიტივის დაბოლოებაში ამოტივტივდება ხოლმე (ქინძი, ჰინძი...) და ქმნის გარდამავალ საფეხურს **-დე || -დი-სა და -ზე || -ზი-ს** შორის: **-დე || -დი -ძე || -ძი -ზე || -ზი**.

წერილში: „ინფინიტივის დიალექტური ვარიაციები ხუნძურში“ ეს შუა საფეხური, როგორც თეორიული ვარაუდი, ვარსკვლავითაა აღნიშნული. ჭარულის ამ ჩვენების შემდეგ ეს ვარსკვლავიანი ვარიანტი რეალური ფაქტია და არა ვარაუდი.

ჯ ბგერა ნასესხებ სიტყვებში ყველგან რჩება. რით აიხსნება **ჯ**-ს და **ძ**-ს პოზიციათა სხვაობა ჭარულში? პირველადია თუ არა **ჯ** თანამედროვე ჭარულში? ამაზე — ცალკე.

3. ჭარულში დასტურდება **დ, ლ, რ, ნ, თ** ბგერების რბილი ვარიანტები. ხუნძახურმა კილომ ეს არ იცის.

დედდე — „ბაბა“ (ბავშვის მიმართვა მამისადმი).

ჰედდე „ბაბუა“

დიდა ჰეზილდაბ „მე მეცოდინება“.

ქალდამ „კომბოსტო“.

ბერდაბ

ბენდაბ „შეიძლება“, ნდაჰა „კარაქი“, „ერბო“.

ქუთდაქაბ „ძლიერი“, „ლონიერი“.

რბილ **ლ**-ს უპირისპირდება მაგარი **ლ** (ჰინჰინლა „ხვიხვიებს“) ასე, რომ **ლ**-ს სამი სხვაობა გვაქვს: ჩვეულებრივი, — საშუალო, — რბილი და მაგარი, უკანასკნელი ორი სახეობა აქა-იქ გვხვდება, მაგრამ გარჩეულია მკვეთრად: მათ ნაცვლად რომ „საშუალო **ლ**“ იხმართ, გავისწორებენ.

ღრმა უკანაენისმიერი თავკიდური **ჰ**-ც ზოგჯერ თითქოს ფოტაციას დაირთავს, მაგრამ ამას შემოწმება ჭირდება.

ეგვეე ითქმის **კ**-ს შესახებაც (იხ. ქვემოთ).

4. **ც**-აინის გარდა, რომელიც აქ მჟღერი სპირანტია, ჰამზის ბადალი ბგერაც გვაქვს; ესაა მეგრული **ც** („მიცორს“ — მიყვარს):

დუნ ვოცა „მე (მამაკაცი) ვიყავი“;

ვოცანაბ როყ „საცხოვრებელი სახლი“ (სიტყვა-სიტყვით „სამყოფი სახლი“).

ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია:

1. ბოლოკიდურ **ე**-ს დავიწროება **ი**-დ: ე ი:
 „ **ო**-ს „ **უ**-დ: ო უ:
 დიდი დიდე „მე“ (მიცემ.),
 დუმი დუმე „შენ“ (მიცემ.);
 ინფინიტივის სუფიქსის ბოლოკიდური **ე ი**:
 ჭაზი ჭაზე „კვლა“,
 ბიჩიზი ბიჩიზე „გაყიდვა“.

2. ასიმილაცია (უპირატესად რეგრესიული) მეტი ინტენსიურობისაა, ვინემ ეს გვაქვს ხუნძახურში. პირველ რიგში უმახვილო ხმოვნები ექვემდებარება ასიმილაციას.

დუსულ დოსულ „მის“ (ნათეს.)
 დუზულ დოზულ „მათ“ (ნათეს.)
 ინწილდა ცო ანწილდა ცო „თერთმეტი“
 რიყირე როყირე „სახლში“ (მამაკ.)

ცოყდი „ნაჯახი“, ცოყდორდ — მოთხრ.; ცაყდანლ — მრავლ. სახელ.;
 შდრ. ხუნძახ. ცაშტრ, ცოშტოცა, ცაშტალ...

მუყ „თქვენ“ — მოთხრობითში: მოყრდ (მუყოდ).

3. ხუნძახ. **ტ** ჭარ. **კ**:

ჭარ. კეხე — ხუნძახ. ტეხე „წიგნი“.
 „ კამაჰ — „ ტამახ „ფოთოლი“.
 „ კეერენახ — „ ტერენახ „წერილი“, „ფაქიზი“.
 „ კმად — „ ტად „ზედ“...

4. ხუნძახ. **ხ** — ჭარ. **ჰ**:

ჭარ. ნდაჰ — ხუნძახ. ნახ „კარაქი“
 „ ჰარახ — „ ხარახ „მკვდარი“
 „ ნუჰ — „ ნუხ „გზა“
 „ ცაჰ — „ ახ „ბალი“...

II მორფოლოგიურ მოვლენებში განსაკუთრებით საყურადღებოა:

1. მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად **დ-** სუფიქსის გამოყენება ხუნძახური **-ცა** სუფიქსის ნაცვლად:

ჭარ.	ლენინიდ —	ხუნძახ.	ლენინიცა	„ლენინმა“
„	იმც'უდ —	„	ინსუცა	„მამამ“
„	ჰედდედ —	„	—	„ბაბუამ“
„	ნეჟედ —	„	ნეჟეცა	„ჩვენ“ (მოთხრ.).

2. ნაცვალსახელებში ღუნ „მე“, მუნ „შენ“ მოთხრობითში დაირთავს ჰდა-ს ხუნძახური **ცა**-ს ნაცვლად:

დიჰდა (ხუნძახ. დიცა) „მე“ (მოთხრ.).

ღუჰდა („ ღუცა) „შენ“ (მოთხრ.).

ამ შემთხვევაში ჭარული მიჰყვება ანწუხურისა და ღუნების რაიონის აულთა ხაზს: იქ ამ სახელებში -ლ'ა)-ბოლოსართი აწარმოებს მოთხრობითს. ჭარული -ჰდა ამ -ლ'ა)-ს სახეცვლაა (იხ. ლატერალების შესახებ თქმული).

3. „თქვენ“ ნაცვალსახელი ჭარულში ძველი სახითაა დაცული **მუჟ** (ხუნძახური **ნუჟ მუჟ**).

გიულდენშტედტისა და კლაპროთის მიერ ნაჩვენები **მუჟ** ამგვარად დღემდის შემორჩა ჭარულს.

4. თავისებურია რიცხვითი სახელები 50-დან მოყოლებული:

ჭარ.	50:	ხ'ოწილ	ხუნძახ.	კიყოდალდა ანწგო
„	60:	დოხწილ	„	ლ'აბყოგო
„	70:	იკწილ	„	ლ'აბყოდალდა ანწგო
„	80:	დოწილ(?)	„	უნყოგო
„	90:	მოწილ (?)		უნყოდალდა ანწგო.

(„დოწილ“ და „მოწილ“ ხშირად ერევათ: საკუთარი თვლა ყველამ არ იცის ჯეროვნად).

ხუნძახური თვლა ამკარად ოცეულობითია, ჭარული — არა: ათეულობითი ჩანს, მაგრამ რა არის მამრავლად გამოყენებული?

5. ზმნაში პირთა გარჩევის ელემენტები ისახება (ზოგ დროში):

დუნ ვერაგ —	„მე მოვედი“
მუნ ვერი —	„შენ მოხვედი“
დაუ ვერი —	„ის მოვიდა“
ნიუ რერალ —	„ჩვენ მოვედით“
მუჟ რერი —	„თქვენ მოხვედით“
დალ რერი —	„ისინი მოვიდნენ“
დიჰა ჰუბუ ბიშინაბ —	„მე ვაკეთებ“
დუჰა ჰუბუ ბიშინა —	„შენ აკეთებ“.
დას ჰუბუ ბიშინა —	„ის აკეთებს“...

როგორც უობიექტო, ისე ობიექტიან ზმნას პირველი პირი აქვს განსხვავებული მეორე და მესამე პირთაგან. განსხვავებას ქმნის კლასის ნიშანი: სუბიექტისა — უობიექტო ზმნაში (ვ: ვერაგ), ობიექტისა — ობიექტიან ზმნაში (ბიშინაბ)... ორსავე შემთხვევაში — სუფიქსის ხაზით ტარდება განსხვავება.

თუ მოვიგონებთ, რომ ხუნძახურში (და სალიტერატურო ხუნძურში) ამგვარი გარჩევის შესაძლებლობა გამოორიცხულია, ჭარულის ეს მოვლენა დიდი პრინციპული ღირებულებისად მიიჩნევა (ამ მოვლენასთან რიგი საკითხებია დაკავშირებული; მათ ცალკე განხილვა ესაჭიროება).

ბ. ჭარულისათვის დამახასიათებელია თანდებულების ხმარება, რომლებიც ბრუნვის ფორმებს არ არიან შეხორცებული. **-ჟოლო** — „თვის“ — მიცემით ბრუნვასთან; **-ბუნუ** — „ში“, **-ისა** — „-გან“; **-კაად** — „ზე“...

ლექსიკის ხაზითაც ჭარულ დიალექტში ბევრი რამაა საინტერესო; აქ მოვიხსენიებთ მხოლოდ შემდეგ ქართულ სიტყვებს, რომლებიც დადასტურდა ჭარულში:

- ჭარ. ჰიჰა — „ჭაჭა“;
- ვაზი — „ვენახი“, „ვაზი“;
- წუბულ — „წაბლი“;
- მიჯ || მეჯ — „მუხა“ (ძვ. ქართ. „მუჯა“), ხუნძახურში „მიქა“;
- ციჩ — „ვაშლი“ (ხუნძახურში „ჟეჩ“);
- ცანწრი — „ანწლი“;
- ფითრი — „ფითრი“;
- ხარსი || ხავსი — „ხავსი“;
- უბა — „უბანი“...

აღსანიშნავია ტერმინი „ეთრე“ ქართველის მნიშვნელობით. სიტყვა შენახულია გამოთქმაში „ეთრე წუნწარი“ — „მსხვილი ჭიანჭველა“. „ეთრე“ იგივე ძირი ჩანს, რაც წახურულ **მუთრი**-ში გვაქვს: „მუთრი“ — „ქართველი“ (ა. ღირი, ნ. მარი).

ორიოდე ცნობა ჭარელთა შესახებ. თავის თავს ჭარელი ხუნძად არა თვლის, ლეკი ვარო, ამბობს: დუნ ლეზგიდაუ ვუგავ („მე ლეკი ვარ“). ტერმინი „ლეკი“ აქ ზოგადი მნიშვნელობითაა ნახმარი და კიურელს არ ნიშნავს.

ხუნძური მეტყველება დაუბრკოლებლივ არ ესმით: შესწავლა სჭირდებათ. მთის ლეკებსაც, ცოტა არ იყოს, განზე უყურებენ.

ზაქათალისა და ბელოქნის რაიონებში შემდეგი ხუნძური თემებია (სოფსაბჭოები).

ჭარი (უბნები: ჰეებელ უბა, ჩუქაქ უბა, ჰიკა უბა, თახთა);

თალა (იყოფა სამ სოფსაბჭოდ);

მაწენი;

კატენი;

მაკოუ (მასში შედის სოფ. ფაშან-ი);

დანაჩი;

კაბახჩოლი;

გოგამი (აზერბაიჯანელებიც ცხოვრობენ);

ქვემო ჩარდანლი.

ჭარელ ჯემალ მამედოვის დაკვირვებით: **ჭარი**, **მაკოუ** და **დანაჩი** ენობრივად ახლოსაა ერთმანეთთან; **გუგამი** (|| გოგამი) ცოტათი განსხვავებულია (აზერბაიჯანელებიც ცხოვრობენ); **ბელოქანი**, **კაბახჩოლი** — თავისებურია, განსაკუთრებით — უკანასკნელი; ქართული აქ თითქმის ყველამ კარგად იცისო.

ქვემო ჩარდანლიც განსხვავებულია ჭარულთან შედარებითო.

დასასრულ, მადლობით უნდა მოვიხსენიო ჩემი მასწავლებელი ჭარულისა ჯემალ მამედოვი და ყველა ის პირი და ორგანიზაცია, რომელთაც ხელი შემიწყო ამ მუშაობაში.

ქართულ-ხუნძური წარწერა XIV საუკუნისა დაღისტნიდან¹

(წინასწარი ცნობა)

წარწერა ამოკვეთილია თეთრი თლილი ქვის ჯვარზე, რომელიც ინახება დაღისტნის ცენტრალურ მუზეუმში, ქალაქ მახაჩ-ყალაში.

მასზე მიგვითითა ხსენებული მუზეუმის ფონდების გამგემ ამხ. ვალენტინა სოკოლოვამ, როცა 1939 წ. ივნისში მუზეუმში მოვიკითხეთ (ამხ. შადაბუდინ მიქაილოვის ჩვენებით) უცნობი წარწერა: „გვაქვს სომხური წარწერა, თუ გაინტერესებთ“.

ჯვარი პატარაა: სიმაღლე — 22 სანტ., განი — 17 სანტ.; სამივე ფრთა სამწვერიანია; მარცხენა ფრთის ქვედა ნაწილი ჩამოტეხილია.

მუზეუმს ჯვარი გადასცემია ბუინაქსკის ანტირელიგიური მუზეუმიდან უკანასკნელის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით (1933 წ.); სხვა ცნობები მუზეუმს არ მოეპოება.

ჯვარს სრულებით არ ეტყობა ატმოსფერული ზეგავლენა: ჩანს, ის შენობის შიგნით ყოფილა აღმართული.

წარწერა 11 სტრიქონს შეიცავს; შესრულებულია ასომთავრულად (ქართული ტექსტი) და ნუსხურად (ხუნძური ტექსტი); შიგა-და-შიგ ასომთავრულში ნუსხური დამწერლობის ასოებიც ურევია (უფრო იშვიათად — პირუკუ).

ტექსტში ხშირია ორწერტილი და ქარაგმები; ქარაგმები ხუნძურ ნაწილში მხოლოდ ერთგანაა გამოყენებული: ხუნძურ ტექსტზეა ყურადღება გამახვილებული.

წარწერის ტექსტი:

უ ც ვ ლ ე ლ ა დ:

ქ ა რ ა გ მ ე ბ ი ს გ ა ხ ს ნ ი თ:

ჯ რ ო ქ ე

ჯ ო ჯ არ ი ქ რ ი ს ტ ე

შ ე თ ე წ

შ ე ი წ ყ ა ლ ე თ ე ო დ ო რ ე წ მ ი -

ო წ თ ე: წ ო

და ო თ ე ო დ ო რ ე: წ მ ი და ო

ს ა რ კ ე ლ ი: წ ო ბ თ ე გ

ს ა რ კ ე ლ ი: წ ო ბ თ ე გ

¹ წაკითხულია ენიშკის კავკასიურ ენათა განყოფილების სხდომაზე 31.III.1940 წ.

უცვლელად:

ქარაგმების გახსნით:

ი: ბოტბ: ჩაჰლტა: რა...

ვ: ჩჰე

სიტა

აწ: ო

:ლ: ჩნო

გაბრლი

დაიცოვენ

ი: ბოტბ: ჩაჰლტა: რა...

ვ: ჩჰე¹

სიტა

ამინ: ოჯფალო

:ღმერთო: ჩუნენო

გაბრიელი

დაიცოვენ.

როგორც აქედან ჩანს, თავი და ბოლო წარმოგვიდგენს ქართულ ტექსტს, ამგვარი შემთხვევისათვის ტრაფარეტულს, ოღონდ ყურადღებას იპყრობს შემდეგი:

ა) პირველი სიტყვა წოდებითში კი არაა (ჯუარო), არამედ — სახელობითში: აქ დასახელებაა იმისა, რაც ჩვეულებრივ წარწერებში ნიშნით გადმოიცემა; ჯგრის კულტს ეს შეეფერება [1], [2].

ბ) ჯერ შესაწყალბელი თეოდორეა დასახელებული, მერე — შემწყალბელი წმიდანი; ჩვეულებრივია — პირიქით. წო თე შეიძლებოდა წობ თეგი-ს განმეორებად მიგვეჩნია — შინაარსით (იხ. ქვემოთ) ეს გამართლებული იქნებოდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ქარაგმა მოსალოდნელი არ იყო.

გ) შესავედრებელ წმინდანად **სარკელი**-ცაა გამოყვანილი. როგორც სპეციალისტებმა განმარტეს, ასეთი წმინდანი ბერძნულმა და რომაულმა ეკლესიამ არ იცოდა.

ეს სიტყვა ჩრდილოურ ხაზარულ სამყაროს მოგვაგონებს: სარკელი — „თეთრი სახლი“ — ხაზართა ქალაქის სახელადაა ცნობილი. რა შუაშია წმინდანი? იქნებ ადამიანის სახელადაც იხმარებოდა და ამ სახელის მატარებელთაგანი წმინდანად შერაცხილიც იყო?!

ერთ ხუნძურ აულში სარკელ კაცს ერქვაო, გადმოცა ამხ. შ. მიქაილოვმა. ენიკი-ს მეცნ. თანამშრომელმა მ. გუჯეჯიანმა მიგვითითა, სარაკელ სვანურ წყევლის ფორმულაში გვხვდებაო; საკითხი დამატებით ძიებას მოითხოვს.

წარწერის ბოლო ნაწილი გაბრიელის „დაცვას“ შესთხოვს უფალს. შესაძლოა ეს იყოს წარწერის ამოძრელი.

წარწერის შიგნით მოქცეული ფრაზა:

წობთეგი: ბოტბ: ჩაჰლტა: რა... ვ: ჩჰე სიტა ხუნძური ჩანს მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად მთლიანად არაა გარკვეული ფრაზის მნიშვნელობა.

¹ ამ ქარაგმის გახსნა ჯერ-ჯერობით არ ხერხდება. აგრეთვე დაზიანებული ადგილის აღდგენა: რ-ს შემდეგ ჩანს ა-ს თავი.

წობთეგი ორსიტყვიანი გამოთქმა: **წობ** — ესაა ხუნძ. წობ „წყალობა“. **თეგი** — ხუნძ. **ლ'ეგი** ნატვრითი კილოს ჩვეულებრივი ფორმა (შდრ. ჭაჯავი! გაუმარჯოს! „იცოცხლოს!“) ზმნისგან ლ'ეზე „ღება“:

წობ თეგი „წყალობა დაიდოს“, „მეწყალებულ იქნეს“; იხ. ამჟამადაც არა უცნობი გამოთქმა: ალლაჰასულ წობ ლ'ეგი ღუდა! — ღვთის წყალობა (დაგედოს) შენ!

ქართულ წარწერაში მაგარი წა გადმოცემულია ჩვეულებრივით, ლატერალურ სპირანტ **ლ'**-ს კი წარწერის ამომჭრელმა **თ** შეუფარდა.

საინტერესოა, რომ თვით ხუნძურშიც, სახელდობრ, მის ანწუხურ კილოში, **ლ' თ**; მაგრამ თეგი-ს **თ** აქ ხუნძურიდან არ უნდა მომდინარეობდეს (იხ. ქვემოთ).

რ'ა...ვ ხუნძური პირველი გრამატიკული კლასის ნიშნით (**-ვ-**) თავდება. აქ იგი მიმდებარს უნდა ჰქონდეს დართული. რა ზმნისა? საფიქრებელია, ეს იყოს **ჰალტარავ** — ზმნისაგან ჰალტიზე „მუშაობა“, „დაშვრომა“, — ნამყო დროისა — „დამაშვრალი“, „ნამუშაკვეი“. მაგრამ მაშინ **ჩა** გვრჩება აუხსნელი, **ლ-**ასის წინამავალი **ა-**ც გვაკლია (ჰა კი შეეძლოთ **ჰ-**თი გადმოცემა, — ეს არაა დაბრკოლება); მერე: **რ-**ს შემდეგ დაზიანებული ადგილი ერთზე მეტ ასოს — ორს თუ სამს — გვავარაუდებინებს.

შეიძლებადა წერტილით გამოყოფილი სიტყვები ცალ-ცალკე დაგვეტოვებინა და **რ'ა...ვ** დაგვეკავშირებინა ზმნასთან **რადიზე** „ბრძოლა“, **რად'ავ** = **რადულავ** „მებრძოლი“, , მაგრამ მაშინ დაქარაგმება უნდა ვივარაუდოთ დაზიანებულ ნაწილში.

ჩაჰლტა შეიძლება იყოს ლოკატივი კითხვაზე სად? (ჩაჰლტა ჩაჰლდა, როგორც ეს ხუნძახის რაიონშია ჩვეულებრივი) და მაშინ ადგილის გარემოებასთან გვექნება საქმე; მაგრამ შეუძლებელი არაა ეს იყოს **ჩალთა** „საბრძოლო ნაჯახი“; ასეთ შემთხვევაში ის მიეკედლებოდა მომდევნო სიტყვას რად'ავ = „რადულავ“.

ჩ'ჰე ? ჩაფვენ (|| ჩაფხენ) — თავდასხმა?

სიტა, თუ წინა სიტყვის ბოლო არაა, ს'ი-ს ლოკატივი იქნება: ს'ი — კომკი, სიტა (ს'იდა) — კომკი (კომკზე). **-ტა-**თი დაბოლოებული ლოკატივი ისევ ხუნძახურ რაიონზე მიგვითითებს.

ბოტბ... ეს სიტყვა მოსდევს თეგი-ს; უკანასკნელი ზმნაა და მოითხოვს ლოკატივს („წყალობა შენდა... მისდა...“); ბოტბ **-და** || **-ტა** წარმოების ლოკატივი არაა. მაშასადამე, **ბოტბ** არ შეიძლება იყოს ის პირი, რომლის შეწყალებას სარკელის შესთხოვენ. აქ ისევ გარემოების აღმნიშვნელ სიტყვასთან უნდა გვექონდეს საქმე.

გვერდს ვერ ავუვლით **ბო-**ს: ბო — ჯარი, მაგრამ ფორმაა გაუგებარი; ბოტბ-ის არა ზუსტი გადმოცემა თუა: — „ჯარში“?

ერთი რამ მაინც გამოირიცხულია: ბოტბ-სიტყვის ბოლოკიდური **ბ** მესამე კლას-კატეგორიის ნიშნიანი ლოკატივი (ტიპისა — რუყო-ბ, რუყო-დ, რუყო-ვ „სახლში“) ვერ იქნება: მიმღობის **გ** (რა... ვ) პირველი კლასისა ამას გამოირიცხავს (საერთო წესების თანახმად).

ეგვევ სამიმღობო დაბოლოება ცხადყოფს, რომ წარწერა **მამაკაცს ენება** და მისთვის **შეწყალების გამოთხოვას** შეიცავს.

როდის არის ამოჭრილი წარწერა? პალეოგრაფიულ თვისებათა მიხედვით იგი XVI საუკუნეს ვერ გადმოსცილდება; ისტორიული კონტექსტიც ამას უჭერს მხარს: თემურ ლენგის შემდეგდროინდელ დაღისტანში ამგვარი ძეგლის აღმართვა სავარაუდებელი არაა. მეთოთხმეტე საუკუნეში კი ეკლესიაც კი აშენებულა შიგნით დაღისტანში, ხუნძურ ყოისუს ხეობაში, დათუნში, ხუნძახის რაიონის სამხრეთით.

შამილის მდივნის ჰაჯი ალი ჭუხელის ცნობით დათუნის ეკლესია 1363 წელს აუგიათ ქართველებს (თლილი ქვის ეკლესია დღემდის დარჩენილა).

ჰაჯი ალის ცნობას ზოგადად უდგება „ჟამთა აღმწერელის“ ჩვენებაც: „ხოლო ამავე ჟამთა [იგულისხმება დიმიტრი თავდადებულის მეფობა — ა. ჩ.] ბრწყინვიდა პათოსანი პიმენ სალოსი, რომელიც გარესჯით წარმოვიდა და დაემკვდრა ბელაქანს, ქვაბსა რასამე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცინა, რომელნი ჰვიან სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა. ამას თანა ბრწყინვიდა დიდიცა იგი მოღუაწე ანტონი ნაოჯრებულისძე, ნათესავით მესხი“ [3].

სად უნდა იყოს ამოჭრილი წარწერა? ალბათ, ხუნძახის რაიონში, როგორც ამას **-ტა** ბოლოსართი გვაფიქრებინებს (იხ. ზემოთ).

წარწერაში მოცემული ხუნძური წინადადება **უძველესი ენობრივი დოკუმენტია ამ ენის** (და, საერთოდ, დაღისტანის ენების) **ისტორიისა** (აკად. გიულდენშტედტის ლექსიკური ჩანაწერები 1772-73 წელს ეკუთვნის) და ეს უძველესი დოკუმენტი **ქართული ანბანითაა შესრულებული**.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი
აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და
მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 19.4.1940)

- XIV .
()

(. 22 × 17);
- ;
1933 .;

(:
); ;

„ ()
„ (); , ,
:

XIII-XIV .
XV .
“ (XIII-XIV)” -

(
XIII). - ,

1363 .
, XV .

11 ;
, ;

ჭრიკეშეთე:ჭოსარკელი:ჯობთგი:ბოტბ
აჰღარა:რ.ა.ვ: ზესი:ან:ო: ო:გაბრიდაცოვნი

პოლიპერსონალიზმის საკითხი ხუნძურში ერგატიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებით¹

პოლიპერსონალიზმი ანუ მრავალპირიანობა მორფოლოგიური მოვლენაა. პოლიპერსონალიზმის საკითხი დადებითადაა გადაწყვეტილი იმ შემთხვევაში, თუ ცალკე სიტყვაში ერთზე მეტი პირი აღმოჩნდება, თუ ცალკე სიტყვას ერთზე მეტი სახელი დაუკავშირდება მორფოლოგიური საშუალებით, — აფიქსებით.

აქედან ჩანს, რომ სიტყვა, რომლის პოლიპერსონალობის შესახებაც ვლაპარაკობთ, არის ზმნა: პოლიპერსონალიზმი ზმნის მრავალპირიანობას გულისხმობს.

ასეა ჩვეულებრივად და არა ყოველთვის: ქვემოთ მოგვიხდება სწორედ ისეთ შემთხვევათა განხილვა, სადაც ზმნის ნაცვლად ნაზმნარი სახელი, — მიმღეობა, — იქნება ერთზე მეტ სახელთან დაკავშირებული, თვით დაკავშირება კიდევ პირთა მიხედვით კი არ იწარმოებს, არამედ კლას-კატეგორიათა აფიქსების მეოხებით: ზმნის მრავალპირიანობის ადგილს დაიჭერს ნაზმნარ სახელთა მრავალკლასიანობა (იხ. ქვევით).

პოლიპერსონალიზმის შემთხვევაში ზმნა აღნიშნავს სუბიექტის პირის გარდა ობიექტის პირსაც. სუბიექტი ერთია, ობიექტი კი შეიძლება იყოს ერთიც და ერთზე მეტიც (ე. წ. პირდაპირი და ირიბი ობიექტი).

აფხაზურსა და ადიღურ ზმნაში, როგორც ცნობილია, ორი ობიექტის აღნიშვნა ჩვეულებრივი მოვლენაა (ინკორპორაციის წესით აქ ზმნა სუბიექტისა და ობიექტთა პირების გარდა გარემოებებსაც — ადგილისა, დროისა... — აღნიშნავს).

ქართულსა და ქართველურ ენებშიც გვაქვს პოლიპერსონალური ზმნები, რამდენადაც ორპირიანი ზმნა სუბიექტის გარდა ობიექტის პირებსაც აღნიშნავს და რელატიურ ფორმათა წყებას ქმნის. სამპირიანობის საკითხი კი რიგ სირთულესთანაა დაკავშირებული: მორფოლოგიურად ორი ობიექტი ზმნას უკავშირდება, — ეს ფაქტია; მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ორი ობიექტიდან მხოლოდ ერთის პირი შეიძლება იქნეს ზმნაში მოცემული (ან ე. წ. პირდაპირისა ანდა ე. წ. ირიბისა) — ორივე ობიექტის პირები ერთდროულად არ დასტურდება; ზმნის უღვლილების პროცესშიც ერთი ობიექტი იცვლება პირთა მიხედვით, მეორე — არა (შეიძლება სწორედ ამიტომ არა ჩანს მისი პირი ზმნაში). შედეგი:

¹ წაკითხულია მოხსენებად ენიმკი-ს ენების განყოფილებათა შეერთებულ სხდომაზე 15.X.1937.

სამპირიანი ზმნა უღვლილების იმდენს ავე ერთეულს იძლევა, რამდენსაც ორპირიანი ზმნა; ამ მხრივ ერთპირიანი და ორპირიანი ზმნები მკვეთრად გარჩეულია, ორპირიანი და სამპირიანი კი — არა. სამპირიანობა ამდენადვე პირობითი ხასიათისაა¹.

სამპირიანობის საკითხიც რომ განზე დავტოვოთ, ორპირიან ზმნათა არსებობა ეჭვმიუტანელს ხდის ქართულისა და სხვა ქართველურ ენათა ზმნის პოლიპერსონალიზმს; და ეს მიუხედავად იმისა, რომ ქართველურ ენებში პოლიპერსონალიზმი უფრო მკრთალად არის გამოსახული, ვიდრე აფხაზურსა და ადიღურ ენებში.

ამაზე გავლენა არ შეიძლება არ მოეხდინოს იმ ფაქტს, რომ ქართულში სახელთა ბრუნება კარგად არის განვითარებული (აფხაზურში კი ძირითადი ბრუნვები — ნათესაობითი, მიცემითი — არ გავაჩნია)². ჩანს, ზმნის ფორმების შემდგომი გართულება შეანელა სახელთა ფორმების — ბრუნვათა — ჩამოყალიბებამ.

აფხაზურ-ადიღურ და ქართველურ ენებთან შედარებით პოლიპერსონალიზმის მხრივ არსებითად განსხვავებული ვითარებაა ჩაჩურ ჯგუფში და დაღისტნის ენათა უმეტესობაში, მათ შორის ხუნძურში.

ჯერ ერთი, აქ ზმნა პირის მიხედვით კი არ იცვლება, არამედ კლასთა კვალობაზე: უღვლილების პროცესში **კლასი** აღინიშნება, **გრამატიკული კლასი** სუბიექტისა ანდა გრამატიკული კლასი ობიექტისა — პირთა განურჩევლად.

მეორეცა და, ზმნაში **მხოლოდ ერთი** გრამატიკული კლასის ნიშანი შეიძლება იყოს მოცემული.

ამის შესაბამისად ხუნძურში შეიძლება ვილაპარაკოთ ზმნის კლასოვნობის (ანუ კლასიანობის) შესახებ, მაგრამ **პრინციპში** ეს არცვლის საქმის ვითარებას: კლასის ნიშანი ხუნძურში ისევე აკავშირებს სახელს ზმნასთან, როგორც პირის ნიშანი ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში.

არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ გამორიცხული არ არის შესაძლებლობა პირის ნიშნები (მაგალ., ქართველურ ენებში) **გენეტურად** ადიოდნენ კლასის ნიშნებამდის.

ამრიგად, ზმნის კლასოვნობა ხუნძურში თავისი ბუნებით იმავე რიგის მოვლენაა, როგორსაც ქმნის პირიანობა ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში. განსხვავება მაინც არის და ეს განსხვავება უნდა აღინუსხოს უღვლილების პროცესის თავისებურებათა გარკვევისას (იხ. ქვემოთ).

¹ საკითხის სპეციალური განხილვა ცალკე იქნება მოცემული. ზოგადად სამპირიან ზმნათა შესახებ იხ. „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“, § 21, გვ. 87.

² ადიღურში რომ ბრუნვები გვაქვს, ახალი ფორმაციისა უნდა იყოს.

ხუნძურში ამჟამად სამი¹ გრამატიკული კლასი გაირჩევა: პირველი მოიცავს ადამიანს მამრობითი სქესისას, მეორე — ადამიანს დედრობითი სქესისას, მესამე — ყველა დანარჩენ ცხოველებს — განურჩევლად სქესისა — და სხვა საგნებს, მოვლენებს..., როგორც კონკრეტულს, ისე განყენებულს.

პირველი კლასის ნიშანია — **გ || უ**, მეორისა — **ჟ**, მესამისა — **ბ**. ეს ნიშნები შეიძლება იყოს პრეფიქსიცა და სუფიქსიც.

გრამატიკული კლასები გარჩეულია ხუნძური ენის:

ა. ზოგ ნაცვალსახელში: III პ. ნაცვალსახელში: დო-**უ** „ის“ (), დო-**ჟ** „ის“ (), დო-**ბ** „ის“ (); ჩვენებითს ნაცვალსახელებში: ჰა-**უ** „ეს“ (), ჰა-**ჟ** „ეს“ (), ჰა-**ბ** „ეს“ ()...

ბ. ზოგ სუბსტანტივში: ვ-აც „ძმა“, ჟ-აც „და“... ვ-ას — „ვაჟი-შვილი“, ჟ-ას — „ქალიშვილი“.

გ. ატრიბუტივებში: კუდიმა-**უ**, კუდიმა-**ჟ**, კუდიმა-**ბ** „დიდი“ ()...

დ. ზოგ ზმნისართში: ჰანი-**უ**, ჰანი-**ჟ**, ჰანი-**ბ** „აქ“ — იმისდა მიხედვით, რომელი კლასის შესახებაა ლაპარაკი (და რომელი კლასია ზმნაში აღნიშნული)...

ე. ზმნებში და ნაზმნარ სახელებში — ინფინიტივსა, მასდარსა და მიმღობებში, — მასთან მიმღობაში — ყოველთვის, ინფინიტივში მაშინ, თუ სათანადო ზმნა უღვლილების პროცესში დაირთავს ამ ნიშნებს.

ზმნათა მეტ წილში გრამატიკული კლასები არ მოგვეპოვება. ასეთ შემთხვევაში ზმნის უღვლილება დროთა მიხედვით ცვლას მოასწავებს; ამა თუ იმ დროში მხოლოდ ერთი ფორმა გვექნება: არც რიცხვი, არც კლასი — ზმნასთან შინაარსობლივ დაკავშირებულ სახელთა — უღვლილებისას არა ჩანს (პირის მიხედვით ცვლა ხომ გამორიცხულია); მხოლოდ სათანადო სახელთა (და ნაცვალსახელთა) დართვით ირკვევა ის, რაც სხვა ენებში ზმნის პირისა და რიცხვის ნიშანმა შეიძლება გამოიჩინოს.

კლასოვან ზმნათა ცვლისას სახელის კლასია ზმნაში წარმოდგენილი.

ასეთ შემთხვევაში უნდა განვასხვავოთ (შინაარსობლივ) **გარდაუვალი** და **გარდამავალი** ზმნა.

პირველის მაგალითი იქნებოდა **გ-ექერულა** („რბის“...)², მეორისა — **გ-ეცულა** („აქებს“)³, **ბ-იჩულა** („ყიდის“)...

¹ ისტორიულად მეოთხე კლასიც მოეპოვებოდა ამ ენას; მისი ნიშანი იყო **-რ** (ამის შესახებ იხ. „გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში“ — „ენიმკის მოამბე“ I, გვ. 97-106).

² სრული თარგმანი იქნებოდა „რბის“, „რბი“, „ვრბი“ | კლ. სახელი.

³ სრული თარგმანი იხ. ქვემოთ.

მოქმედი სახელი, რეალური სუბიექტი — **RS** — გარდაუვალ ზმნასთან ყოველთვის სახელობითშია:

დუნ **ვ**-ექერულა, **ფ**-ექერულა, **ბ**-ექერულა მე ვრბი (I, II, III კლ.)
 მუნ „ „ „ „ შენ რბი „ „ „

დო-უ **ვ**-ექერულა „ის (I კლ.) რბის“
 დო-ფ **ფ**-ექერულა „ის (II კლ.) რბის“
 დო-ბ **ბ**-ექერულა „ის (III კლ.) რბის“

ნიუ II ნილ’ „ჩვენ (ექსკლ., ინკლუზ.) ვრბით“
 ნუჟ **რ**-ექერულა „თქვენ რბით“
 დოლ „ისინი რბიან“.

დუნ (მე), **მუნ** (შენ), **დოუ**, **დოფ**, **დობ** (ის, , ,), **ნიუ II ნილ’** (ჩვენ), **ნუჟ** (თქვენ), **დოლ** (ისინი,) — ყველა სახელობითს ბრუნვაშია. ამ **მხრივ** გარდაუვალი ზმნა არაფერს თავისებურს არ წარმოადგენს — ქართულ, რუსულ თუ სხვა მსგავს ენათა გარდაუვალ ზმნებთან შედარებით.

გარდამავალ ზმნებშიც — **ვ-ეცულა**, **ბ-იჩულა** — ერთი სახელის კლასი **აღინიშნება**, სახელდობრ, **რეალური ობიექტის კლასი**:

ვ-ეცულა „აქებს, აქებ, ვაქებ“ I კლასის სახელს განურჩევლად პირისა
ფ-ეცულა „ „ „ II კლასის „ „ „
ბ-ეცულა „ „ „ III კლასის „ „ „
რ-ეცულა „ „ „ ან I, ან II ან III კლ. სახ. მრავლობითს რიცხვში.

ვ-იჩულა „ყიდის, ყიდი, ვყიდი“ I კლასის სახელს განურჩ. პირ.
ფ-იჩულა „ „ „ II კლასის „ „ „
ბ-იჩულა „ „ „ III კლასის „ „ „
რ-იჩულა „ „ „ ან I, ან II ან III კლ. სახელებს მრავლობითს რიცხვში.

თუ ნამყო სრულში ავიღებთ ამ ზმნებს, ერთგვარ ანალოგიას მივიღებთ რუსულ ზმნასთან:

ვ-იჩანა — „გაყიდა, გაყიდე, გაყიდე“ I კლ. სახელი (, — I).

რ-იჩანა — „გაყიდა, გაყიდე, გაყიდე“ ისინი (ობიექტ. მრავლ.) — , , ().

რეალური ობიექტი — **RO** —, რომელიც კლასის ნიშანს აჩენს გარდამავალ ზმნებთან, ყოველთვის სახელობითს ბრუნვაშია, რეალური სუბიექტი — **RS** — იმ სპეციფიკურ ბრუნვაში, რომელიც ქართული მოთხრობითის რიგისაა და რომელსაც ზოგი ავტორი „**მოქმედების**“ უწოდებს (უსლარი), ზოგი — „**აქტიურ**“ ბრუნვას (ქირკოვი), უფრო ხშირად კი **ერგატივის** (ე. ი. „მოქმედის“) სახელწოდებით აღინიშნება.

ეს უკანასკნელი ტერმინი იმაზე მიუთითებს, რომ სათანადო სახელი მოქმედი სახელია, იგი რეალურ სუბიექტს — **RS** — გადმოგვცემს.

აღქმისა და გრძნობის აღმნიშვნელ ზმნებთან (*verba sentiendi*) რეალური სუბიექტი — **RS** — მიმართულებითსა და მიცემითს ბრუნვებშიც გვხვდება:

ჩუ ბ-იხულა **დიდა** — „ცხენს ვხედავ მე“ (უფრო ახლოს იქნება კონსტრუქცია: „ცხენი ჩანს ჩემდა“, „ცხენი დასანახია ჩემდა“)... **დიდა** — „ჩემდა“, — მიმართულებითი ბრუნვაა.

ჩუ ბ-ოტულა **დიდე** — „ცხენი მიყვარს მე“; დიდე — „მე“ — მიცემ. ბრუნვაა.

ემენ გ-ოტულა **დიდე** — „მამა მიყვარს მე“;
ემენ გ-ოტულა **ვაცასე** — „მამა უყვარს ძმას“...
ამგვარი ზმნები რიცხვით მცირეა.

გარდამავალ ზმნებს რომ დავუბრუნდეთ, მათთან, როგორც ითქვა, **RS** — ერგატივში დაისმის, **RO** — სახელობითში:

ჩუ ბ-იჩანა ინსუცა „ცხენი გაყიდა მამამ“...

ჩუ ბ-იჩულა ინსუცა „ცხენს ყიდის მამა“ (პირდაპირ: „ცხენი ყიდის მამამ“... შდრ. ჭან. ცხენი გამაჩამს ბაბაქ...).

რას წარმოადგენს ამგვარ წინადადებაში რეალური სუბიექტი — **RS** — **ინსუცა** („მამამ“) და რეალური ობიექტი **RO ჩუ** („ცხენი“) გრამატიკული თვალსაზრისით?

თავის მონოგრაფიაში „ „ პ. უსლარი სპეციალურად შეჩერდა ამ საკითხზე და გარკვეული დებულებები წამოაყენა.

უსლარის შეხედულება ასე წარმოიდგინება:

1. ქვემდებარე ხუნძურში მხოლოდ სახელობითს ბრუნვაშია და მისი (ქვემდებარის) კლასი ზმნაში ყოველთვის აღინიშნება¹, გარდაუვალია ზმნათუ გარდამავალი:

¹ იგულისხმება კლას-ნიშნის ზმნები.

ვ-ექვერულა დო-უ „მირბის ის“ (I კლ.)
 ბ-იჩანა ჩუ „გაყიდა ცხენი“...

2. რეალური სუბიექტის — **RS** — აღმნიშვნელი ერგატივი მოქმედებითი ბრუნვაა, მაშასადამე, ირიბი ბრუნვაა; ზმნისათვის ის დამატებას წარმოადგენს (ისევე, როგორც მიმართულებითსა და მიცემითში დასმული რეალური სუბიექტები *verba sentiendi*-სა).

ბუნებრივია, თუ ეს დამატება ზმნაში არ აღინიშნება: ზმნაში სუბიექტი აღინიშნება და არა ობიექტი.

3. რეალური სუბიექტის — **RS** — მოქმედებითში დასმა და რეალური ობიექტის — **RO** — სახელობითში დაყენება გამოწვეულია იმით, რომ ხუნძური გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისა კი არ არის, არამედ ვნებითი გვარისაა:

ჩუ ბ-იჩულა ინსუცა უდრის რუსულ გამოთქმას: „

“ და არა: „

“ (ასევე: ჩუ ბიჩანა ინსუცა იქნე-

ბა: „

“ და არა „

“

4. მოქმედებითი გვარის ზმნიანი კონსტრუქცია — „ ()

“ — არ შეიძლება არსებობდეს ხუნძურსა, ჩაჩნურსა და მათს მსგავს ენებში, რადგანაც ამ ენებს მხოლოდ ვნებითი და საშუალო გვარის ზმნები გააჩნია (იხ. . , „ „, §§ 121, 122, გვ. 120-122).

ამგვარად, ერთი კლასის აღნიშვნა გარდამავალ ზმნაში პირდაპირი შედეგია გარდამავალი ზმნის ვნებითობისა; ეგვევ ვნებითობა იძლევა გასაღებს იმის გასაგებად, თუ, რატომაა, რომ სახელობითი ბრუნვა ზმნაში აღინიშნება, მოქმედებითი (ერგატივი) — არა: ეს სახელობითია ქვემდებარე; ერგატივი კი მოქმედებითი ბრუნვაა, დამატებაა, დამატების ნიშანი ზმნაში არც უნდა იყოს...

ხუნძური ბრუნების თავისებურება — ერგატივის მქონებლობა და აკუზატივის უქონლობა — შინაგან კავშირშია ერთმანეთთანაც და ზმნის თავისებურებასთანაც:

გარდამავალი ზმნა ვნებითი გვარისაა, ამიტომ უადგილოა აკუზატივი (აკუზატივი მოქმედებითი გვარის ზმნასთანაა ობიექტის ბრუნვა: ...); ვნებითი გვარის ზმნასთან რეალური სუბიექტი —

RS — მოქმედებითს ბრუნვაში უნდა იყოს და ასეც გვაქვს: ერგატივი მოქმედებითი ბრუნვაა, სახელობით ბრუნვაში ქვემდებარე ვნებითი გვარის ზმნისთვისაც სავსებით კანონზომიერია.

ერთი სიტყვით ხუნძური ფრაზა: **ჩუ ბიჩულა ინსუცა** შინაარსითაც და კონსტრუქციის მხრივაც ეტოლება რუსულ ფრაზას „

“1.

ასეთია გარდამავალი ზმნის ვნებითობის (პასიურობის) კონცეფცია, უსლარმა რომ წამოაყენა.

გარდამავალი ზმნის ვნებითობის ეს კონცეფცია იმავე დროს ერგატივის გარკვეულ ინტერპრეტაციასაც გულისხმობს და იძლევა. საბოლოო ანგარიშში ესაა ბრუნებისა და უღვლილების იმ პრობლემის ახსნა, რომელიც **„ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის“** სახელწოდებითაა ცნობილი.

უსლარის ეს კონცეფცია ისტორიულად პირველი კონცეფციაა გარდამავალი ზმნის პასიურობისა, კონცეფცია ნათელი, მარტივი და თანამიმდევარი.

კავკასიურ ენათა გარდამავალი ზმნის პასიურობას შემდგომში იცავდნენ და დამოუკიდებელი უსლარისაგან ასაბუთებდნენ ჰ. შუხარდტი და ნ. მარი. მაგრამ არც ერთი ამ მეცნიერის შეხედულება არაა ისე მარტივი და ნათელი, როგორცაა უსლარის შემოხსენებული გაგება.

რამდენად საფუძვლიანია უსლარის კონცეფცია? უსლარის დებულებათა სასარგებლოდ შეიძლება მივუთითოთ შემდეგს გარემოებაზე:

1. ხუნძური ერგატივი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციებსაც ითავსებს: მოქმედებითი ბრუნვისათვის სხვა ფორმა ხუნძურ ენას არ გააჩნია, ამგვარად, ხუნძურს ენაში მოიპოვება საბაბი იმისათვის, რომ ეს სპეციფიკური ბრუნვა, — ერგატივი, — მოქმედებითად მივიჩნიოთ, გავუთანაბროთ ამ ირიბ ბრუნვას, ირიბი ბრუნვის ფუნქციით ამოვწუროთ ერგატივის სინტაქსური ფუნქცია:

ბაყულ უნთი ძალა ხუნ ვუგო დოუ (იხ. „...“; ქრესტომათია, გვ. 9) — „ციებით („მზის ავადმყოფობით“) მოკვდა ის“... უნთი — ავადმყოფობა, უნთიძალა — ერგატ. = მოქმედებითს: ავადმყოფობით... შოშტოცა ყოტანა ლოდტ ინსუცა — „ნაჯახით მოჭრა ხე მამამ“... შაშტი — ნაჯახი, შოშტოცა — ნაჯახით, მოქმედებითიცაა და ერგატივიც...

2. აკუზატივი არც ერთ კავკასიურ ენას არ მოეპოვება; ცხადია, ზმნა მოქმედებითი გვარისა არაა; ყოველ შემთხვევაში, მოქმედებითი გვარი, ვნებით გვარს დაპირისპირებული, ქართველურ ენათა გარდა სხვა კავკასიურ ენებში არა ჩანს ანდა ჩანასახის მდგომარეობაშია.

¹ უსლარი ასკვნის: „

“ — „...“ § 123,

3. აღქმისა და გრძნობის აღმნიშვნელ ზმნებთან რეალური სუბიექტი მიმართულებითა და მიცემითშია; ეს ბრუნვები ეწევიან აქ ერგატივის მაგივრობას; ზმნის ფუძე კი ამ ზმნებსა და გარდამავალ ზმნებთან ერთნაირია:

შდრ. დიფე (მიც.) **ბ**-ოტჸულა ჩუ „მე მიყვარს ცხენი“
 დიდა (მიმართ.) **ბ**-იხჸულა ჩუ „მე ვხედავ ცხენს“
 დიცა (ერგატ.) **ბ**-იჩჸულა ჩუ „მე ვყიდი ცხენს“...

ბ-ოტჸულა, ბიხჸულა — არაა მოქმედებითი გვარისა, მამსადაამე, არც ბ-იჩჸულა- ზმნაა მოქმედებითი გვარისა.

დიფე, დიდა ირიბი ბრუნვებია, **დიცა** (ერგატ.) — აგრეთვე ირიბი ბრუნვა უნდა იყოს: ასეთია შთაბეჭდილება.

აი ამგვარი გარემოებანი შეიძლებოდა უსლარის შეხედულების სასარგებლოდ მიგვეჩინა, თუ სხვაგვარი ახსნა აქ არ მოხერხდებოდა.

თუ სწორია უსლარის კონცეფცია, ამით წყდება არა მარტო ხუნძური გარდამავალი ზმნისა და ხუნძური ერგატივის, არამედ სხვა კავკასიურ ენათა და, კერძოდ, ქართველურ ენათა, სტრუქტურის ძირითადი საკითხი.

ამიტომ უსლარის კონცეფციის ანალიზს ზოგადი პრინციპული მნიშვნელობა აქვს კავკასიურ ენათა სტრუქტურის გაგების თვალსაზრისით.

არას გამბობთ იმის შესახებ, რომ უსლარის კონცეფციას დღემდის არ დაუკარგავს აქტუალური მნიშვნელობა.

1928 წელს გამოსულ შრომაში „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში“ — *Einführung in das Studium der Kaukasischen Sprachen* — ად. დირი იმეორებს უსლარის დებულებებს (იხ. გვ. 170-171).

ად. დირს მიყვება — ამ საკითხის გაგებაში — კ. ბოუდა **K. Bouda** (იხ. მისი „*Subjekt- und Objektkasus beim Awarischen Verbum*“ — „*Caucasica*“ fasc. 9 (1931), გვ. 41-63).

ჩაჩნური და დაღისტნური ენების ზმნათა პასიურობის თეზას იზიარებს ნ. ტრუბეცკოვიც, თუმცა იგი დასძენს: ვნებითი და მოქმედებითი აქ არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც ეს ინდოევროპულ ენებში გვაქვსო, ჩაჩნური და დაღისტნური ენების ზმნა უფრო ვნებითს მოგვაგონებს, ვიდრე მოქმედებითსაო (იხ. მისი: „*Notes sur les désinences du verbe dans les langues tchétcheno-lesghiennes*“ — „*Bulletin de la Soc. Linguist. de Paris*“. t, 29, fasc. 3 (1929), გვ. 171).

გ. დეეტერსი თავის ერთ-ერთ ნარკვევში შენიშნავს: „კავკასიურ ენებში ზმნის მკვეთრად „პასიურ კონცეფციასთან“ პასივი (ვნებითი) საერთოდ არ გაგვაჩნიაო“ (იხ. მისი, „ჩერქ. გრამ.“ — *Caucasica*, fasc. 9 (1932),

გვ. 136-137). ამგვარად, ვნებითი გვარი არა გვაქვს, მაგრამ კონცეფცია მკვეთრად პასიურიაო...

უსლარის კონცეფცია მარტივია: იგი ახერხებს ხუნძური ენის სპეციფიკური კონსტრუქცია დაიყვანოს ევროპულ ენათა ჩვეულებრივ კონსტრუქციამდის, ე. ი. საკითხის ახსნა აქ საკითხის მოხსნას უდრის; მთელი თავისებურება თურმე იმაშია, რომ მოქმედებითი გვარის ზმნა არა გვაქვს; ის, რაც უნდა ყოფილიყო მოქმედებითი გვარისა, თურმე ორდინარული ვნებითი გვარია.

რადგანაც ზმნა ვნებითი გვარისაა, სუბიექტი გამოდის ის, რაც რეალური ობიექტი — RO — ჩანდა, ამრიგად, ზმნა არა მხოლოდ ერთპირიანი („ერთკლასოვანია“), არამედ სუბიექტურიც — უღვლილების ძირითადი თვისების მიხედვით: **ერთი პირი გარდამავალი ზმნისა** (ბ-იჩულა) **ისევეა სუბიექტის პირი, როგორც ერთი პირი გარდაუვალი ზმნისა** (გ-ეჭერულა).

უსლარმა ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა გადაწყვიტა ერთპირიანი (ერთკლასოვანი) ზმნის ანალიზის საფუძველზე.

თავისი თვალსაზრისი უსლარს არ შეუმოწმებია იმ ენათა სინამდვილეში, სადაც ზმნა ორპირიანია, სადაც ობიექტის პირი სუბიექტის პირის გარდა ზმნის უღვლილების უტყუარი ფაქტია.

ხუნძური გარდამავალი ზმნის უღვლილებისას კი მხოლოდ ერთი სახელის კლასი ჩანს და ამ ერთი კლასის დაფასებაზეა დამოკიდებული მთელი კონსტრუქციის ინტერპრეტაციის ბედი.

ამრიგად, უსლარის კონცეფციის დაფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, **რისი კლასია გარდამავალ ზმნაში აღნიშნული — ქვემდებარისა თუ დამატებისა** ანუ, სხვანაირად რომა ვთქვათ, **რას წარმოადგენს ზმნის რეალური ობიექტი, — გრამატიკულ სუბიექტს თუ ობიექტს?**

უსლარისათვის, როგორც ვიცით, ესაა გრამატიკული სუბიექტი, ქვემდებარე; ობიექტი, დამატება ის არ შეიძლება იყოს, რადგანაც ზმნა ვნებითი გვარისაა, უსლარის ამ ვარაუდს ხაზგასმით აღნიშნავს ად. დირი შემდეგ სიტყვებში: „სადაც ტრანსიტივი არა გვაქვს, შეუძლებელია ლაპარაკი ობიექტის აღნიშვნის შესახებ“¹.

¹ „Wo kein Transitivum vorhanden ist, kann von einem Hinweis auf ein Objekt nicht die Rede Sein“ – „Einführ“ გვ. 171. („ტრანსიტივი“ აქ მოქმედებითი გვარის ზმნას უდრის). ად. დირს ავიწყდება, რომ ორპირიანი, ე. ი. ობიექტიანი ზმნები ქართულში, აფხაზურში საშუალო გვარისაც არის.

სანამ ზმნაში ერთი სახელის კლასილა მოგვეპოება, ძნელია იმის ეჭვ-მიუტანლად ჩვენება, როგორ არის გაგებული გარდამავალ ზმნასთან რეალური ობიექტი — RO —: **სუბიექტია ეს ვნებითი გვარის ზმნისა თუ ობიექტი არავნებითი გვარის ზმნასთან?**

ზოგი რამ მაინც შეიძლება აღინიშნოს:

თუ ხუნძურს მოქმედებითი გვარის ზმნა არ გააჩნია, მას არც ვნებითი შეიძლება ჰქონდეს: მოქმედებითი და ვნებითი კორელატიური ცნებებია, მასთან ვნებითი იწარმოება მოქმედებითისაგან.

მაგრამ თუ ვნებითი არა გვაქვს, ერგატივი არ უდრის მოქმედებითს, თუნდაც რომ კისრულობდეს მის ფუნქციებს (გარკვეულს შემთხვევებში). მაშასადამე, ანალოგია ევროპულ ენათა ვნებითი გვარის ზმნასთან და სათანადო კონსტრუქციასთან თავის თავად იხსნება; — მით უფრო, რომ არც ერთმა ევროპულმა ენამ არ იცის ისეთი შემთხვევა, რომ ვნებითი გვარის ზმნასთან ორი მოქმედებითი ერთად იხმარებოდეს: ინსუცა მამა-ტოცა ლოფტ ყოტანა „მამამ ნაჯახით ხე მოჭრა“ (უსლარით გამოვიღოდა: „მამით ნაჯახით ხე მოიჭრა“).

მერე კიდევ: ინსუცა ჩუ ბიჩანა — „მამამ ცხენი გაყიდა“ — სავსებით ეფარდება თავისი კონსტრუქციით იმავე მნიშვნელობის ქართულ წინადადებას: რეალური ობიექტი ორსავე შემთხვევაში სახელობითშია („ჩუ“ — „ცხენი“), რეალური სუბიექტი — ერგატივიშია („ინსუცა“ — „მამამ“)...

ქართული ერგატივი (მოთხრობითი) კი ირიბი ბრუნვა არაა, როგორც ამას მოწმობს ქართული ენის ისტორია¹.

ყოველივე ამას შეუძლია ეჭვები აღძრას უსლარისეული გაგების სისწორეში, მაგრამ საკითხი იმდენად არსებითია, რომ აუცილებელია, მორფოლოგიური საბუთებით იყოს ნაჩვენები, რას წარმოადგენს გარდამავალი ზმნის რეალური ობიექტი — გრამატიკულ ობიექტს თუ გრამატიკულ სუბიექტს?

ამის გარკვევის საშუალებას იძლევა ო რ კ ლ ა ს ო ვ ა ნ ი ნაზმნარი სახელი, მ ი მ ღ ე ო ბ ა .

ხუნძურს მიმღობაში შეიძლება იყოს ნაჩვენები ერთი კლასიცა და ორიც.

ერთს კლასზე მითითება გვექნება მიმღობაში მაშინ, თუ სათანადო ზმნაში კლასის ნიშნები არ მოგვეპოებოდა:

ყოტიზე	„ჭრა“, „ჩეხა“	—	ყოტულე-უ	„მჭრელი“, „მჩეხელი“...
ტაბიზე	„ცემა“	—	ტაბულე-უ	„მცემელი“...

¹ ამის შესახებ იხ. ავტორის „მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში“ — „ტფილ. უნივ. შრომები“, ტ. X.

ორ კლასზე მითითება მიმღეობაში გვექნება მაშინ, თუ სათანადო ზმნაში კლასის ნიშანი ჩანდა უღვლილებისას; საამისოდ გამოიყენება პრეფიქსი და სუფიქსი:

ბ-იჩიზე „გაყიდვა“ — **ბ-იჩულე-უ**, **ბ-იჩულე-მ**, **ბ-იჩულე-ბ...**

ამგვარ მიმღეობაში **პრეფიქსი მიუთითებს რეალურ ობიექტზე** — RO —, **სუფიქსი — რეალურ სუბიექტზე**, — RS — ზუსტად — **მათ კლასზე**.

იმისდა მიხედვით, თუ რა კლასის სახელია რეალურ სუბიექტადა და რეალურ ობიექტად, იცვლება მიმღეობის ფორმაც. ეს ფორმები მოგვაგონებენ ქართული ორპირიანი ზმნის უღვლილების ფორმებს იმ განსხვავებით ოღონდ, რომ მიმღეობაში შეიძლება რეალური ობიექტიცა და რეალური სუბიექტიც მეორე და პირველი კლასებისაც იყოს, ქართულ ზმნაში კი პირის ფორმებს ასეთ შემთხვევაში ვერ მივიღებთ. ამ მხრივ მიმღეობის ფორმები მეტია, ვინემ ქართული ორპირიანი ზმნისა. სამაგიეროდ, მრავლობითში კლასები არ განსხვავდება და ეს ამცირებს მიმღეობათა ფორმების რაოდენობას. საბოლოო ანგარიშში ორკლასოვანი მიმღეობა მოგვცემს 16 ფორმას (ქართული ორპირიანი ზმნის 18 განსხვავებული ფორმის ნაცვლად).

აწმყო დროის მიმღეობა ზმნისა **ბ-იჩი-ზე** „გაყიდვა“.

RO — I კლ. RS — I, II, III კლ. მხოლ. და მრავლ.

გ-იჩულე-უ	$\left\{ \begin{array}{l} \text{„ყიდიან“ პირველი გრამატ. კლასის სახელს —} \\ \text{პირველი, მეორე, მესამე გრამატ. კლასის} \\ \text{სახელები, მხოლოობითსა და მრავლობითს} \\ \text{რიცხვებში.} \end{array} \right.$
გ-იჩულე-მ	
გ-იჩულე-ბ	
გ-იჩულე-ლ	

RO — II კლ. RS — I, II, III კლ. მხოლ. და მრავლ.

მ-იჩულე-უ	$\left\{ \begin{array}{l} \text{შეიცვალა RO-ის კლასი — აქ მეორეა; RS-ის} \\ \text{კლასები ისევეა, როგორც წინა მაგალითში.} \end{array} \right.$
მ-იჩულე-მ	
მ-იჩულე-ბ	
მ-იჩულე-ლ	

RO — III კლ. RS — I, II, III კლ. მხოლ. და მრავლ.

ბ-იჩულე-უ
ბ-იჩულე-მ
ბ-იჩულე-ბ
ბ-იჩულე-ლ

RO — მრავლ. — RS — I, II, III კლ. მხოლ. და მრავლ.

რ-იჩულე-უ	}	RO-თან მრავლობითში RS-ის იგივე კლასებია მოცემული, რაც წინა მაგალითებში.
რ-იჩულე-ფ		
რ-იჩულე-ბ		
რ-იჩულე-ლ		

ასეთივე იქნებოდა მიმღეობა ზმნისა **ბ-ეცი-ზე** „ქება“:

აწმყო დროის მიმღეობა:

- | | | | |
|--------------|--------------|--------------|--------------|
| 1. ვ-ეცულე-უ | 2. ფ-ეცულე-უ | 3. ბ-ეცულე-უ | 4. რ-ეცულე-უ |
| ვ-ეცულე-ფ | ფ-ეცულე-ფ | ბ-ეცულე-ფ | რ-ეცულე-ფ |
| ვ-ეცულე-ბ | ფ-ეცულე-ბ | ბ-ეცულე-ბ | რ-ეცულე-ბ |
| ვ-ეცულე-ლ | ფ-ეცულე-ლ | ბ-ეცულე-ლ | რ-ეცულე-ლ... |

ყველა სხვა ზმნაც მოგვცემდა ანალოგიურ წარმოებას, თუ კი კლასოვანი ზმნა იქნებოდა და შინაარსი აიტანდა RS-ისა და RO-ის ხსენებულ კომბინაციას (მაგალ., ისეთი ზმნა, როგორიცაა „ხნავს“ ობიექტს ჩვეულებრივ იგუებს მხოლოდ მესამე პირში; ასეა ქართულში, ასევე იქნება ხუნძურ მიმღეობაშიც...).

ბ-იჩულე-უ, ბ-ეცულე-უ... აწმყო დროის მიმღეობა; ნამყო და მყოფადი დროის მიმღეობაც შეიძლებოდა აგველო და ყველა იმ ვარიანტებს მივიღებდით, რაც აწმყო დროის მიმღეობამ მოგვცა.

ნამყო, დროის მიმღეობა ზმნისა **ბ-იჩ-ი-ზე** „გაყიდვა“:

RO — I კლ. — RS — I, II, III კლ. მხოლ. და მრავლ.

ვ-იჩარა-უ
 ვ-იჩარა-ფ
 ვ-იჩარა-ბ
 ვ-იჩარა-ლ

RO — II კლ. — RS — I, II, III კლ. მხოლ. და მრავლ.

ფ-იჩარა-უ
 ფ-იჩარა-ფ
 ფ-იჩარა-ბ
 ფ-იჩარა-ლ

RO — III კლ. — RS — I, II, III კლ. მხოლ. და მრავლ.

ბ-იჩარა-უ
 ბ-იჩარა-ფ
 ბ-იჩარა-ბ
 ბ-იჩარა-ლ

RO — მრავლ. — RS — I, II, III კლ. მხოლ. და მრავლ.

- რ-იჩარა-უ**
- რ-იჩარა-ფ**
- რ-იჩარა-ბ**
- რ-იჩარა-ლ**

ზმნისაგან **ბ-ეც-ი-ზე** „ქება“ ნამყო დროის მიმღეობის ფორმები იქნე-
ბოდა:

- | | | | |
|-------------------|-------------------|-------------------|---------------------|
| ვ-ეცარა-უ, | ფ-ეცარა-უ, | ბ-ეცარა-უ, | რ-ეცარა-უ, |
| ვ-ეცარა-ფ, | ფ-ეცარა-ფ, | ბ-ეცარა-ფ, | რ-ეცარა-ფ, |
| ვ-ეცარა-ბ, | ფ-ეცარა-ბ, | ბ-ეცარა-ბ, | რ-ეცარა-ბ, |
| ვ-ეცარა-ლ, | ფ-ეცარა-ლ, | ბ-ეცარა-ლ, | რ-ეცარა-ლ... |

ჩვენ განზრახ ავარიდეთ თავი მიმღეობათა სხვადასხვა ფორმის გზადა-
გზა თარგმნას: ეს გაართულებდა მიმღეობის ვარიანტთა გათვალისწინებას.

რაკი ეს ვარიანტები წარმოდგენილია და ხელშესახები ხდება ორ-
კლასოვანი წარმოების არსებობა და სახეები ხუნძურში, შეიძლება დავუბ-
რუნდეთ მიმღეობათა ცალკეული ფორმების ინტერპრეტაციას.

ზოგადად შეიძლება ითქვას: ხუნძური მიმღეობა გარდამავალ ზმნათა
შ ი ნ ა ა რ ს ო ბ ლ ი ვ შეეფერება რუსული (და მსგავსი აგებულების) ენის
მოქმედებითსა და ვნებითს გვარს.

- ბ-იჩულე-ბ** ბილეთ „ბილეთი, რომელიც იყიდება“¹,
- ბ-იჩარა-ბ** ბილეთ „გაყიდული ბილეთი“.

როგორც აქედან ჩანს, ვნებითი გვარის შინაარსი აღმოაჩნდა მიმღე-
ობას, როცა მოქმედების რეალური ობიექტია მასში აღნიშნული, — აღ-
ნიშნული პრეფიქსითაცა და სუფიქსითაც.

მაგრამ საკმარისია სუფიქსი ვცვალოთ, საკმარისია პრეფიქსი და სუ-
ფიქსი სხვადასხვა კლასისა აღმოჩნდეს, რომ გაგებაც შეიცვლება:

- ბილეთ **ბ-იჩულე-უ** ქასირ — „ბილეთის გამყიდველი მოლარე“, „ „ „ „
- ბილეთ **ბ-იჩარა-უ** ქასირ — „მოლარე, რომელმაც ბილეთი გაყიდა“², „ „ „ „

¹ ქართულს აწყო დროში ვნებითი გვარის მიმღეობა არ გააჩნია, ამიტომ მივ-
მართავთ აღწერით წარმოებას.

² ქართულს არ გააჩნია **ნამყო** დროის მიმღეობა მოქმედებითი გვარისა და ამიტომ
აქაც აღწერითი წარმოებაა გამოყენებული.

რა შეიცვალა წინა მაგალითებთან შედარებით? მხოლოდ სუფიქსი: იყო **-ბ** (III კლ.), არის **-უ** (I კლასისა); წინათ პრეფიქსიცა და სუფიქსიც ერთი და იმავე სახელის კლასზე მიუთითებდა, (**ბილეთ**- სახელის კლასზე), ახლა პრეფიქსილა მიუთითებს ამ სახელის კლასზე, რეალური ობიექტის კლასზე, სუფიქსი კი რეალური სუბიექტის კლასს აღნიშნავს („**მოლარე**“- სახელის კლასს).

მიმღეობის ფუძე? მასში არავითარი ცვლილება არ მომხდარა: -ი-ჩუ-ლ-ე-, -ი-ჩ-არა- ორივე შემთხვევაში თანაბრად გამოიყენება.

რას უდრის ეს ფუძე? მოქმედებითი გვარისა თუ ვნებითი გვარის მიმღეობის ფუძეს — , — -ს თუ — , — -ს? არც ერთსა და არც მეორეს: ეს ფუძე ხუნძური მიმღეობისა არც მოქმედებითი გვარისაა და არც ვნებითისა, — ის საშუალო გვარისაა, უფრო ზუსტად რომა ვთქვათ, **ნეიტრალურია გვარის კატეგორიის მიმართ.**

პ. უსლარი იტყოდა: ბილეთ ბიჩულა ქასირას ნიშნავსო: „ბილეთი იყიდება მოლარის მიერ“, „

ბიჩულე ბილეთ , — ამგვარ გაგებას ეგუება.

მაგრამ: „**ბილეთ ბიჩულეუ ქასირა**“ რაღაა? როგორ შეიძლება მისი განმარტება პ. უსლარის თვალსაზრისით?

„ბილეთი, რომელიც იყიდება მოლარის მიერ“ — „

“ — ასე უნდა გამოსულიყო უსლარის განმარტების თანახმად, მაგრამ ამისათვის სხვა წარმოება გაგვაჩნია (**ბიჩულე ბილეთ**). **ბიჩულეუ** კი უდრის (მნიშვნელობით) **გამყიდველ**-ს, -ს.

ვნებითი გვარისად გაგება **ბიჩულა**- ზმნისა და შესაბამისად ვნებითი გვარის მიმღეობის ჩასმა წარმოების ფორმულაში შეუძლებელი ხდება. შეუძლებელი ხდება „**ბილეთ**“ დავსახოთ ქვემდებარედ, **ქასირა** („მოლარე“) — ირიბ დამატებად...¹ ასეთი გაგება მოხერხდება ზმნის ფორმაში (**ბ**-იჩულა), სადაც მხოლოდ ერთი სახელის კლასი აღინიშნებოდა, ეს არ ხერხდება მიმღეობაში, სადაც ორი სახელის კლასი აღინიშნება.

ეჭვს გარეშეა, რომ მიმღეობაში პრეფიქსი რეალურ ობიექტს — RO — აღნიშნავს, სუფიქსი — რეალურ სუბიექტს — RS-ს.

შესაბამისად: **ზმნაში მოცემული პრეფიქსი რეალური ობიექტისაა; ეს ობიექტი გრამატიკულადაც ობიექტია: გრამატიკული სუბიექტი რომ გვექონოდა, მას სუფიქსი გადმოგვცემდა.**

¹ შლრ. Schuchardt. Ueber den passiv. Charakter des Transit. in den kauk. Sprachen, 1895, გვ. 14-15.

ამგვარად, **ხუნძურს ზმნაში ობიექტის ნიშანი წინ უსწრებს სუბიექტისას**: ხუნძურში მქდავენდება იგივე პრინციპი, რაც აფხაზურ-ადიღეური ზმნის უღვლილებიდანაა ცნობილი.

როგორც ცნობილია, აფხაზურსა და ადიღეურში ზმნა აღნიშნავს სუბიექტსაც და ობიექტსაც. მათგან სუბიექტის ნიშანი წინ უსწრებს ობიექტისას, თუ ზმნა გარდაუვალია, მაგრამ **ობიექტის ნიშანი უსწრებს სუბიექტისას**, თუ **ზმნა გარდამავალია**.

ობიექტის აღნიშვნა სუბიექტის წინ საერთო მოვლენაა აფხაზურ-ადიღეური ენებისთვისაც და ხუნძურისთვისაც. ობიექტის (ე. წ. პირდაპირი ობიექტის) ადგილის საკითხი ერთნაირად წყდება აფხაზურ-ადიღეურ **პოლიპერსონალურსა** და ხუნძური ენის **ერთკლასოვან** („მონოპერსონალურ“) ზმნაში.

განსხვავება იმაშია, რომ აფხაზური და ადიღეური ზმნა სუბიექტსაც პრეფიქსით აღნიშნავს, ხუნძური გარდამავალი ზმნა სუბიექტს სრულებითაც არ აღნიშნავს, ხოლო როცა სუბიექტი გამოჩნდება ნაზმნარ სახელში, — მიმღეობაში, — მას სუფიქსის ადგილი განეკუთვნება.

პირველადია თუ მეორეული გარდამავალ ზმნაში სუბიექტის არ აღნიშვნა, — ამ საკითხს აქ არ ვეხებით. როგორადაც არ გადაწყდეს ეს საკითხი, ფაქტია, რომ ის ვერ შეცვლის ე. წ. პირდაპირი ობიექტისა და სუბიექტის ნიშანთა ადგილმდებარეობის შეფარდებას: ეს შეფარდება გარკვეულია მიმღეობის ჩვენებით.

მიმღეობის აგებულება, მიმღეობაში რეალური სუბიექტისა და რეალური ობიექტის აღნიშვნის წესი, ამგვარად, წყვეტს საკითხს: რას წარმოადგენს ის სახელი, რომელიც გარდამავალ ზმნაში აღინიშნება პრეფიქსით, სუბიექტია იგი თუ ობიექტი.

ირკვევა, რომ ეს არის ობიექტი და არა სუბიექტი: ხუნძურის **გარდაუვალ ზმნაში პრეფიქსით ქვემდებარე** აღინიშნება, **ხუნძურის გარდამავალ ზმნაში კი — დამატება**.

მაშასადამე, წინადადებებში:

ჩუ ბ-იჩულა ინსუცა — „ცხენს ყიდის მამა“ ...ჩუ ბ-იჩანა ინსუცა — „ცხენი გაყიდა მამამ“ — ბ- პრეფიქსი ჩუ-ზე („ცხენ“ — სახელზე) მიუთითებს და ეს ჩუ ობიექტია და არა სუბიექტი, ბ- პრეფიქსი ჩუ- ობიექტის ნიშანია და არა ჩუ- სუბიექტისა.

ხოლო თუ ჩუ- სახელი ობიექტია, ზმნა არ არის ვნებითი გვარისა და არ იქნება სწორი, თუ სათანადო წინადადებათა ზმნებს ვნებითად გამოვაცხადებთ და გავუტოლებთ რუსულ წინადადებებს: „

“... „

“...

მაგრამ თუ ზმნები ბ ი ჩ უ ლ ა , ბ ი ჩ ა ნ ა არ არის ვნებითი გვარისა, რეალური სუბიექტის ბრუნვა — ერგატივი — ი ნ ს უ ც ა („მამამ“) არ არის ორდინალური მოქმედებითი ბრუნვა, არამედ სპეციფიკური ბრუნვა, რომელიც მოქმედებითის როლშიაც შეიძლება გამოვიდეს, მაგრამ მისი სპეციფიკურობა ამაში კი არაა, არამედ სწორედ ამის გარეშე მქლავნდება.

რალა ეს ერგატივი? ამას სპეციალური განხილვა ესაჭიროება კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით (ზოგჯერ — ცალკე ენათა მიხედვითაც კი)¹.

რა გვარისაა ეს ბ-იჩულა, ბ-იჩანა და მსგავსი გარდამავალი ხუნძური ზმნები? „არ არის ვნებითი“, კიდევ არ ნიშნავს, რომ არის მოქმედებითი. ზევით პოზიტიური დახასიათებაცაა გაკვრით მოცემული, როცა ხუნძური მიმღეობის ფუძეს ვახასიათებთ (გვ. 489); ზმნის ფუძეს სავსებით ეხება ის, რაც მიმღეობის ფუძის შესახებ იყო თქმული: ეს ფუძე არც მოქმედებითი გვარისაა და არც ვნებითისა, იგი **ნეიტრალურია გვარის კატეგორიის მიმართ**.

„ნეიტრალური ფუძე“ ნიშნავს, რომ მოქმედებითი და ვნებითი გვარი ერთმანეთს არ უპირისპირდება. ხუნძურში, მართლაც, მიმღეობას ეს გვარები არ გააჩნია: კლასის ნიშანთა ადგილმდებარეობა — ერთადერთი საშუალებაა, რომ მიმღეობამ გამოხატოს მოქმედებითისა და ვნებითი გვარის შინაარსი (საილუსტრაციო მაგალითები იხ. ზემ., გვ. 485-489).

არც ზმნაშია გარჩეული მოქმედებითი და ვნებითი გვარი; ესაა საფუძველი სინტაქსური კონსტრუქციის ლაბილურობისა².

Verba sentiendi-ს ფუძე აგებულების მიხედვით არ განსხვავდება შინაარსობრივ გარდამავალ ზმნათა ფუძეებისაგან:

დიდა ბ-იჩულა	ჩუ — „მე ვხედავ ცხენს“
დიდე ბ-ოტულა	ჩუ — „მე მიყვარს ცხენი“
დიცა ბ-იჩულა	ჩუ — „მე ვყიდი ცხენს“.

¹ პირველ ყოვლისა, აქ გასარკვევია ერგატივის მიმართება სახელობითთან. ამ საკითხს ეხება ავტორის: „მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში“ (უნევ. შრომ., X); „სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი...“ (უნევ. შრომ. XVI); „ნაცვალსახელთა ბრუნვა ხუნძურში“ (ენიმკი-ს მოამბე, XII).

² ამ მოვლენას ეხებოდა ჩვენი მოხსენება; „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის; ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები“ (იხ. „თეზისები მოხსენებათა საქართველოში. ფილიალის პირველ სესიაზე“ გვ. 19-21).

რას მიეწერება ეს? იმას, რომ ფუძე ზმნისა ორსავე შემთხვევაში ნეიტრალურია, ე. ი. შინაარსობლივ გარდამავალი ზმნის — ბიჩულა — ფუძე ისევე ნეიტრალურია, როგორც ბიხულა, ბოტულა ზმნათა.

ამ უკანასკნელთაგან ნაწარმოები მიმღეობაც იმავე რიგისაა, როგორც ბიჩულა- ზმნის მიმღეობა.

როს **ვ-ოტულე-ა** ჭუჟუ — „ქმრის მოყვარული ცოლი“

...
 ჭუჟუ **ა-ოტულე-უ** როს — „ცოლის მოყვარული ქმარი“
 (, . . § 126, გვ. 126).

ა-ოტულე-ა ჭუჟუ — „საყვარელი ცოლი“ ,, “,

ვ-ოტულე-უ როს — „საყვარელი ქმარი“, ,, “...

აქაცა და ბიჩულა ზმნის მიმღეობაშიც (იხ. ზევით, გვ. 486-489) გვართა მნიშვნელობის გამოსახატავად ენა მიმართავს გარკვეულ საშუალებას, სახელდობრ:

განსხვავებული კლას-ნიშნების ხმარება პრეფიქსსა და სუფიქსში გამოყენებულია **მოქმედებითი გვარის შინაარსის** გადმოსაცემად:

ჩუ **ბ-იჩულე-უ** ემენ — „ცხენის გამყიდველი მამა“, ,, “

როს **ვ-ოტულე-ი** ჭუჟუ — „ქმრის მოყვარული ცოლი“, ,, “

ერთი და იმავე კლას-ნიშნების ხმარება პრეფიქსსა და სუფიქსში მიმღეობას ვნებითი გვარის შინაარსისად წდის:

ბ-იჩულე-ბ ჩუ — გასაყიდი ცხენი, „ცხენი, რომელიც იყიდება“, ,, “

ვ-ოტულე-უ როს — „საყვარელი ქმარი“, ,, “

ა-ოტულე-ა ჭუჟუ „საყვარელი ცოლი“, ,, “

სუბიექტიცა და ობიექტიც ერთი და იმავე კლასისაა, ეს ქმნის რეფლექსიური ტიპის წარმოებას: სუბიექტის მოქმედების საგანი თვით სუბიექტია...

როცა მიმღეობა მოქმედებითი გვარის შინაარსს გადმოგვცემს, მისი ფუძე ისევე ნეიტრალურია, — არავითარი ცვლილება ფუძის ა გ ე ბ უ ლ ე - ბ ა შ ი არ მომხდარა; ზმნის ფორმასთან შედარებით ახალია მხოლოდ ის, რომ ნეიტრალურად წარმოდგენილ პრეფიქსს ერთვის მოქმედისა და მოქმედების საგნის მაჩვენებელი კლას-ნიშნები.

ვნებითი შინაარსის გადმომცემი მიმღეობა ობიექტის მქონე ზმნათა სავესებით ხვდება უობიექტო („ერთპირიან“) ზმნათა მიმღეობებს.

თუ უობიექტო ზმნაში კლას-ნიშანი მოგვეპოება, მიმღეობაში ორი კლას-ნიშანი მოიყრის თავს: ერთი — პრეფიქსი, მეორე — სუფიქსი:

ვ-უგო — „ვარ, ხარ, არის“ — **ვ**-უგე-**უ** „მყოფი“

ვ-ექერულა „ვრბი, რბი, რბის“ — **ვ**-ექერულე-**უ** „მორბენალი“...

საზღვრულის კლასის მიხედვით გვექნება: **ვ**-უგე-**უ**, **მ**-იგე-**მ**, **ბ**-უგე-**ბ**...
ვ-ექერულე-**უ**, **მ**-ექერულე-**მ**, **ბ**-ექერულე-**ბ**... — ყველგან ერთი და იმავე
კლას-ნიშნით პრეფიქსსა და სუფიქსში.

ბუნებრივია, რომ ამგვარი მიმღეობა ვერ იყენებს ამ ორ კლას-ნიშნს ორი სახელის მიმღეობასთან დასაკავშირებლად: ფუძის მნიშვნელობა გამორიცხავს ობიექტის არსებობას.

ორნიშნიანი წარმოება ერთკლასოვანია. მაგრამ ზოგჯერ ამგვარი ზმნის ორნიშნიანი წარმოება ორკლასოვანი წარმოების სახით დადგება.

ასეთია, მაგალ.: **ვ**-ეგულე-**ბ** ბოსენ „საწოლი“, ზუსტად: „დასაწოლი სარეცელი“.

ბოსენ — „სარეცელი“ III კლასის სახელია; მასზე მიუთითებს **ბ**-სუფიქსი: **ვ**-ეგულე-**ბ**; **-ეგოზე** „წოლა“ კლას-ნიშნების მქონეა უღვლილებაში: **დო-უ** **ვ**-ეგულა — ის () წევს... რადგანაც გამოთქმაში — „**ვ**-ეგულე-**ბ** ბოსენ“ — ლაპარაკია ადამიანის საწოლზე, მიმღეობამ თავში დაუროთ **ვ**-პრეფიქსი | გრამატიკ. კლასისა.

ამგვარად: **ვ**-ეგულე-**ბ** მიმღეობაში ორი კლასის ნიშანი გვაქვს: **ვ**- და **ბ**-
„ვინც წევს“ იქნებოდა **ვ**-ეგულე-**უ**, **მ**-ეგულე-**მ**... „რაც წევს“ — **ბ**-ეგულე-**ბ**...

ვ-ეგულე-**ბ** კი მიგვითითებს: ვინც წვება, ადამიანია, და რაშიც წვებიან, ნივთიაო („სარეცელი“).

სუბიექტი — ადამიანია.

მაგრამ რაღაა აქ ობიექტი? გამოდის, რომ „ბოსენ“ „სარეცელი“.

ასეთი „ობიექტი“ არ ეგუება ობიექტის ცნობილ გაგებას. ზმნის ფუძეც ხუნძურში ნაკლებად ეგუება ჩვეულებრივ გაგებას. ზმნის ფუძის თავისებურების გახაზვის მიზნითაა, რომ ვეგულე (ბოსენ) ვახსენეთ: უობიექტო ზმნათა ორკლასოვნობა მოითხოვს სპეციალურ შესწავლას¹.

¹ სპეციალურად უნდა იქნეს განხილული აგრეთვე **ბ**-ოტჟულა, **ბ**-იხულა ტიპის ზმნებთან დაკავშირებული რიგი საკითხი. მათ კი ხუნძური ერგატივის რაობის ანალიზი უნდა უსწრებდეს წინ.

,
 ,
 -
 .
 ,
 ,
 (,
),
 ,
 :
 , RS,
 , RO-
 :
 ჩუ ბეჭერულა u bekerula « »...
 ჩუ ბიჩულა დოს u bi ula dos « ».
 . « »
 ,
 :
 ჩუ ბიჩულა დოს u bi ula dos : «
 » (: « »); , დოს dos -
 (« »)
 , ჩუ u (« ») -
 () : ,
 ().
 - . , , « »
 -
 - (« »).
 (« ») ,
 .
 :
 ბ-იჩულე-ბ ბილეთ b-i ule-b bilet « », ბ-იჩარა-ბ
 ბილეთ b-i ara-b bilet « »;

ბილეთ ბ-იჩულე-უ ქასირ **bilet b-i ule-u kasir** « , »:
 , - .
 : ბ-იჩულე-ბ ბილეთ **b-i ule-b bilet**
 « » – ბილეთ ბ-იჩულე-უ ქასირ – **bilet b-i ule-u kasir** « , »...

1. , : – RO – () (-);
2. – RS – , ;
3. : 1 , ; .

¹ – ().

A propos du polypersonnalisme dans l'avare en rapport avec le problème de la construction ergative

R é s u m é

La verbe avare comme celui de la plupart des langues du Daghestan ne change pas selon les personnes, mais seulement selon les classes grammaticales: à la place de la conjugaison *personnelle* des langues abkhazo-adyguées et kharthvéliennes on a ici une conjugaison *par classes*.

Dans la conjugaison des verbes kharthvéliens, abkhazes et adygués, ceux-ci changent selon les personnes du sujet ainsi que de l'objet (et même des objets); morphologiquement, ils reflètent le lien avec deux, trois et même quatre noms, tandis que dans le verbe avare il n'y a qu'un seul nom qui puisse être représenté: sujet réel, RS, dans les verbes intransitifs, et objet réel, RO, dans les verbes transitifs: ხუ ბეჭერულა *u bekerula* «le cheval court», დოს ხუ ბიხულა *dos u bi ula* «il vend le cheval».

Dans sa monographie réputée «La langue avare» P. Uslar interprète le verbe transitif de l'avare comme un verbe de la forme passive: დოს ხუ ბიხულა *dos u bi ula* veut dire au sens strict du mot «le cheval se trouve vendu par lui» (non pas: «il vend le cheval»; par conséquent დოს დოს *est* le cas instrumental pour un verbe de la forme passive («se trouve vendu») et est complément indirect, et ხუ *u* («cheval») est un nominatif (non pas accusatif) et est sujet: il est fort naturel alors que la classe du verbe s'accorde avec lui (et non avec l'instrumental).

Ainsi P. Uslar a réduit la construction caractéristique de l'avare et en général des langues caucasiennes – la construction ergative – il l'a ramenée «sans merci» à la construction habituelle d'une proposition avec un verbe-prédicat de la voix passive dans les langues européennes.

Cette interprétation-là s'est montrée réalisable en tant que le verbe avare est «uniclassal» («unipersonnel»).

La justesse de l'interprétation de P. Uslar peut être vérifiée dans les formations biclassales («bipersonnelles»), lesquelles sont les participes du verbe avare.

Dans les participes des verbes transitifs on distingue les formations avec la *valeur* de la forme passive et celles avec la *valeur* de la voix passive.

Dans le dernier cas le préfixe et le suffixe se rapportent au même nom:

ბ-იხულე-ბ ბილეთ *b-i ule-b bilet* «le billet étant en vente», ბ-იხარა-ბ ბილეთ *b-i ara-b bilet* «billet vendu»; dans le premier cas le préfixe et le suffixe se rapportant aux noms différents:

ბილეთ ბ-იხულე-უ ქასირ *bilet b-i ule-u kasir* «caissier vendant le billet»: le *préfixe* désigne l'objet, le suffixe marque le *sujet*.

Il importe surtout que le thème du participe ne subit aucun changement: ბ-იჩუღე-ბ ბილეთ ბ-i uღე-b billet «le billet étant en vente» – ბილეთ ბ-ჩუღე-უ ქასირ – billet b- uღე-u kasir «caissier vendant le billet».

Le thème du participe est neutre quant à la voix du verbe et ce n'est que l'emploi différent des affixes qui nous met en état d'exprimer la valeur de la forme active autant que de la passive.

Avec cela le préfixe désigne la classe de l'objet, le suffixe – la classe du sujet dans les participes des verbes transitifs; par cela même la langue avare exprime vivement le principe fondamental de la conjugaison des verbes transitifs en abkhaze et en adygué, l'affixe de l'objet précède celui du sujet (à la différence près que dans le verbe abkhaze et dans le verbe adygué tous les deux figurent comme préfixes).

L'analyse des formations biclassales de l'avare démontre intelligiblement que:

1. On ne peut pas considérer l'objet réel – RO – des verbes transitifs, comme sujet des verbes intransitifs (de la forme passive);

2. On ne peut pas mettre le cas du sujet réel – RS –, le cas ergatif, au niveau d'un cas oblique malgré que ce cas ergatif fonctionne en avare comme instrumental;

3. On ne peut pas qualifier le verbe transitif avare comme verbe de la forme passive: les thèmes et les participes des verbes avares* ne discernent ni la voix active ni la voix passive; le thème du verbe avare est neutre.

Ainsi les formations biclassales de l'avare nous amènent à cette thèse, confirmée également par d'autres voies.

Sans tenir compte de la nature neutre des verbes intransitifs en avare et dans d'autres langues caucasiennes on ne peut pas faire la part, dûment, des particularités de la construction ergative.

* Sauf les formations causatives (relativement récentes).

ხუნძური ერგატივის ისტორია

(სხვა კავკასიურ და, კერძოდ, ქართველურ ენებთან ურთიერთობის ასპექტში)

1. ხუნძური ერგატივის ისტორიის გათვალისწინება გულისხმობს შემდეგს კითხვებზე პასუხის გაცემას:

- ა) პირდაპირია თუ ირიბი ეს ბრუნვა?
- ბ) რა ადგილი უჭირავს მას ხუნძურის ბრუნების სისტემაში (მიმართება ნათესაობითთან, მიცემითთან)?
- გ) რა აფიქსები გააჩნია ამ ბრუნვას და როგორი ისტორიული თანმიმდევრობით არიან ისინი წარმოქმნილი?
- დ) რა კავშირია ხუნძურსა და სხვა კავკასიურ ენათა შორის ერგატივის წარმოებისა და ფუნქციის მხრივ?

2. ხუნძურში ერგატივი წარმოიქმნა:

- ა) ზოგად სახელებთან შედარებით ადამიანის სახელებში უფრო გვიან, — ამას მოწმობს საკუთარ სახელთა ერგატივში გამოყენებული აფიქსი.
- ბ) პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებში — ყველაზე გვიან: დადასტურებულია „მე“, „შენ“-ნაცვალსახელთა ერგატივის ნაცვლად სახელობითის ხმარება ხუნძურ დიალექტებში: ჰ ი დ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა შ ი — ს პ ო რ ა დ უ ლ ა დ, კ ე ჰ ე რ ი ს ა შ ი — ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ა დ.

ხუნძური ერგატივი ფუნქციონალურად ეკედლება სახელობითს; ის არსებითად იმავე რიგის ბრუნვა ჩანს, როგორცაა ქართული მოთხრობითი.

ამდენად მოხსნილად უნდა ჩაითვალოს ის დიდი სხვაობა, რომელიც ამ მხრივ ქართულსა და ხუნძურში, ერთის შეხედვით, წარმოჩნდება.

3. ერგატივის აფიქსებია ხუნძურში:

-ს -ლ' -ცა -დ || -დი -ზ.

მათი გამოყენების არე ერთნაირი არაა:

ს ხ ვ ა ო ბ ა ჩ ა ნ ს რ ი ც ხ ვ თ ა მიხედვით, სახელთა ჯგუფების მიხედვით, დ ი ა ლ ე ქ ტ ო ბ რ ი ვ წ რ ე თ ა მიხედვით, — აგრეთვე ს ხ ვ ა ბ რ უ ნ ვ ე ბ თ ა ნ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ ა ც (გადაჰყვება ან არ გადაჰყვება ნათესაობითში...).

4. **-ზ** ამჟამად მხოლოდ მრავლობითში გვაქვს, ისიც სამხრულ კილოებში (ჰ ი დ უ რ შ ი, ა ნ დ ა ლ ა ლ უ რ შ ი, ა ნ წ უ ხ უ რ ს ა და ჰ ა რ უ ლ შ ი).

აქედანვეა შესული თანამედროვე სალიტერატურო ხუნძურში: ქვეუ-ლია სალიტერატურო ნორმად.

იხმარება ყველა კლასის სახელთან; გადაჰყვება ნათესაობითსა და მიცემითში (ყოველთვის):

შდრ. სახ.	ვაც-ა-ლ „ძმები“	დაც-ა-ლ „დეები“	ჩუ-ა-ლ „ცხენები“
ერგ.	ვაც-ა- ზ	დაც-ა- ზ	ჩუ-ა- ზ
ნათ.	ვაც-ა- ზ -ულ	დაც-ა- ზ -ულ	ჩუ-ა- ზ -ულ
მიც.	ვაც-ა- ზ -ე	დაც-ა- ზ -ე	ჩუ-ა- ზ -ე

5. **-ს** და **-ლ'** მართოდენ მხოლოდითს რიცხვში იხმარება. **-ს** გვხვდება მხოლოდ I გრამატიკული კლასის ზოგად სახელებთან, ყველა ხუნძურ კილოში, — ჩრდილოურშიცა და სამხრულშიც, თ ა ნ ა ბ რ ა დ.

ლ' — II და III გრამატიკულ კლასებშია წარმოდგენილი, მასთან გარკვეული ტენდენცია ჩანს **-ლ'** — ფლექსიის გამოყენება გავრცელდეს მესამე კლასის სახელებში **-ცა** ფლექსიის ხარჯზე.

-ს ერთ-ერთი უძველესი ნიშანია ერგატივისა ხუნძურში. მას სხვა ენებშიც ვპოვებთ (კერძოდ, ჩაჩნური ჯგუფის ენებში).

-ს და **-ლ'** ფლექსიები გადაჰყვება ნათესაობითსა და მიცემითში:

სახ.	ვაც „ძმა“	დაც „და“	ჩუ „ცხენი“
ერგ.	ვაც-ა- ს	დაც-ა- ლ'	ჩუ-ა- ლ'
ნათ.	ვაც-ა- ს -ულ	დაც-ა- ლ' -ულ	ჩუ-ა- ლ' -ულ
მიც.	ვაც-ა- ს -ე	დაც-ა- ლ' -ე	ჩუ-ა- ლ' -ე

6. **-ცა** სუფიქსი ჩრდილო-ხუნძურის კუთვნილებაა, — სამხრული კილოებისათვის იგი უცხოა.

იხმარება მხოლოდითშიცა და მრავლობითშიც, III კლასის სახელებთან, ადამიანის სახელებთან (სქესთა მიუხედავად), I და II პ. და ზოგ სხვა ნაცვალსახელებთან.

ადამიანის სახელებთან **-ცა** აფიქსი მეორეულია: ის ტ ო რ ი უ ლ ა დ იგი მხოლოდ III კლასის კუთვნილება უნდა ყოფილიყო.

მეორეულია **-ცა**-ს გამოყენება მრავლობითშიც:

აქ მას **-ზ** აფიქსი უსწრებდა, **ზ**-ს ადგილასაა დამკვიდრებული.

-ცა არ გადაჰყვება ნათესაობითსა და მიცემითში.

სახ.	ჩუ „ცხენი“	ჩუ-ა-ლ „ცხენები“
ერგ.	ჩო- ცა	ჩუ-ა- ცა
ნათ.	ჩო-ლ	ჩუ-ა- ზ -ულ
მიც.	ჩო-ა-ე	ჩუ-ა- ზ -ე

7. **-დ** || **-დი** აფიქსი სამხრულ დიალექტებშია გამოყენებული, არსებობდა ყველა იმ შემთხვევაში, სადაც ჩრდილოურ ხუნძურში **-ცა** გვაქვს. ისტორიულად იგიც **ცა**-ს მსგავსად III გრამატიკული კლასის კუთვნილებაა.

-დ || **-დი** მეტ წილ შემთხვევაში არ გადაჰყვება ნათესაობითში, ზოგ შემთხვევაში — შეიძლება გადაჰყვეს.

შდრ.	სახ.	ბაყ „მზე“	ჩუ „ცხენი“
	ერგ.	ბუყ-უ-დ	ჩო-დ
	ნათ.	ბუყ-უ-ლ	ჩო-დ-უ-ლ
	მიც.	ბუყ-უ-დ-ე	ჩო-დ-ე

8. III გრამატიკული კლასის ორი აფიქსიდან — **-ცა**, **-დ** — **-ცა მეორეულია არა მხოლოდ მრავლობითში** (იხ. § 6), **არამედ მხოლოდობითშიც**.

ისტორიულად III კლ. სახელებს მხოლოდობითში **-დ** (|| **დი**) სუფიქსი უნდა ჰქონოდა ჩრდილო-ხუნძურშიც.

ამას მოწმობს:

ა) **დ** სუფიქსის შემონახვის შემთხვევები ჩრდილო-ხუნძურში ერგატივისაგან ნაწარმოებ ბრუნვაში (მაგ. ნათესაობითში), სწორედ იქ, სადაც სამხრულ კილოებში **-დ** გადაჰყვება.

ჩუ „ცხენი“: ერგ. ჩო-ცა — ნათ. ჩო-დ-ულ || ჩო-ლ;

ბი „სისხლი“: ერგ. ბი-და-ლ’ა — ნათ. ბი-დ-ულ || ბი-დალ’ა-ულ...

ბ) **-დი** სუფიქსის (**-დი** || **ტი**) დადასტურება ანდიურში, რომელიც ჩრდილო-ხუნძურს ეკვრის ტერიტორიულად (სამხრულ კილოებთან კი კონტაქტი არა აქვს).

მასთან აღსანიშნავია, რომ ანდიურში ხუნძური **-ს** და **-ლ’ა** აფიქსებიც დაჩნდება.

9. **-დ**- სუფიქსი და მისი ფონეტიკური ვარიანტები — ანდიურისა და ანდიის ხეობის დიალექტებს გარდა — დასტურდება დადისტნის ისეთ ძირითად ენებში, როგორიცაა:

კიურული: აქ ერგატივის აფიქსებია **-დი**, **-ნი**, **-რ(ა)**...

დარგულული: **-ლი**, რაიც **-დი** || **-ნი**-ს ფონეტიკურ სახესხვაობად უნდა ვცნოთ.

აღსანიშნავია, რომ ამ ენებში ერგატ. **-დი**... **-ლი** გადაჰყვება ნათესაობითში, მასთან მათი ხმარება III კლასის სახელებით არ შემოიფარგლება.

10. დადისტნის ერთს უძველეს ენას, ლაკურს, ერგატივი არ გააჩნია, მაგრამ ნათესაობითის დაბოლოების წინ არა იშვიათად შეიმჩნევა უფუნქციო **-ნ**, **-ლ**, **-დ**, **-ტ**.

დღე	„ქალიშვილი“	ნათ.	დღე-ნ-ილ
ჟიფ	„ჯიბე“	„	ჟიბ-ლ-ილ
კილი	„უნაგირი“	„	კილ-დ-ულ
კამა	„პეშვი“	„	კუნ-ტ-ულ

საფიქრებელია, რომ ლაკურის ეს აფიქსები **ნ ლ დ** (|| **ტ'**) იგივე იყოს, რაც ხუნძურსა, კიურულსა და დარგულში დადასტურებული აფიქსი ერგატივისა (**დ**-ს ფონეტიკური ვარიაციები). აქედან კი გამომდინარეობს:

ა) ჩვენთვის საინტერესო აფიქსის ისტორიული გავრცელების არეში ლაკურიც შემოდის;

ბ) და, რაც მთავარია: ისტორიულად ლაკურსაც ჰქონია ერგატივი; მისი მოშლა ბრუნვათა სისტემაში მეორეულია.

11. **-დ** სუფიქსი დასტურდება ქართველურ ენებშიც:

სვანურის ერგატივის (მოთხრობითის) ორი საწარმოებელი აფიქსიდან ძირითადი — ქართველურ ენათა ისტორიის თვალსაზრისით — სწორედ **-დ** არის:

დინა-**დ** „ქალიშვილი“... კწსწრ-**დ** „კეისარმა“, „მეფემ“... აღდ-წრ-**დ** „ამათ“...

დ აწარმოებს სვანურში მიმართულებითსაც.

ქართ. ვი-**ნ** და მა-**ნ** სახელებში დადასტურებული **-ნ** აფიქსიც სხვა არაფერია, თუ არ ამ **-დ**-ს ფონეტიკური ვარიანტი.

12. **-დ** სუფიქსი აკავშირებს არა მხოლოდ ქართველური ენებისა და დაღისტნის ენათა მორფოლოგიურ სისტემას, მას აწინდელ კავკასიურ ენათა წრეს იქითაც გავყავართ:

თუ მართალია ურარტულის მკვლევართა მოსაზრება (ი. ფ რ ი დ რ ი ხ ი, ნ. მ ა რ ი, ი. მ ე შ ჩ ა ნ ი ნ ო ვ ი), რომ ამ ენაში გამოიყოფოდა მიმართულებითი ბრუნვა **-ედი-** || **-დი-** აფიქსის მქონე, უნდა ვცნოთ მისი იგივეობა ჩვენთვის საინტერესო **-დ** || **-და** აფიქსთან.

ჰა-და-უ, ჰა-ლა-უ, ჰა-ლ'ა-უ — ჰე-დე-უ, ჰე-დეუ, ჰე-ლ'ეუ — „აი ეს“... „აი ის“ (შდრ. მეგრ. ა-თენა — ე-თინა)...¹

5. როგორც ჩვენებითი, ისე მესამე პირის ნაცვალსახელი, აგრეთვე უკუქცევითი ნაცვალსახელი, იცვლება კლას-კატეგორიათა მიხედვით:

დო-უ, დო-ფ, დო-ბ — ის (, ,);
 ჰა-უ, ჰა-ფ, ჰა-ბ — ეს (, ,);
 ჟი-უ, ჟი-ფ, ჟი-ბ — თვითონ (, ,).

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები კი კლას-კატეგორიას არ განასხვავებენ:

დუნ — მე; **მუნ** — შენ; **ნიუ** || **ნილ'** — ჩვენ; **მუუ** — თქვენ...

6. კითხვითი ნაცვალსახელები ვინ? რა? ერთსა და იმავე ფუძეს იყენებს და კლას-კატეგორიათა მიხედვითა გაირჩევა:

ში-უ? ვინ? (მამაკაცი: I კლ.-კატ. ნიშნით);
 ში-ფ? ვინ? (ქალი: II კლ.-კატ. ნიშნით);
 ში-ბ? რა? (საგნები: III კლ.-კატ. ნიშნით)².

7. პირველი პირის ნაცვალსახელი მრავლობითში ორი სახისაა:

ექსკლუზიურისა — **ნიუ** — მე და ის (II ისინი);

ინკლუზიურისა — **ნილ'** — მე და შენ (II თქვენ)...

ნაცვალსახელთა ბრუნების განხილვისას ჩვენთვის ამოსავალი იქნება ჩრდილო-ხუნძური ფორმები, რაიც იმავე დროს სამწერლო ხუნძურ ფორმებს ხვდება მეტ-წილად, შემდეგ მოცემული იქნება დიალექტური ვარიანტები, რამდენადაც ისინი ამჟამად ხელმისაწვდომია.

ყველაზე მარტივია ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და მესამე პირის ნაცვალსახელთა ბრუნება. აქ მხოლოდობითში გარჩეულია სამი გრამატიკული კლასი ისევე, როგორც ზედსართავებსა და მიმღეობებში, მრავლობითში სამივე კლასს საზიარო ფორმა აქვს.

პირველი კლასის ნიშანია — **უ**, მეორისა — **ფ**, მესამისა — **ბ**, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია — **ულ**, მიცემითისა — **ე**. რომელსაც წინ უძღვის (დასაკავშირებელი) **ი** ხმოვანი და **ფ** (ამ უკანასკნელის შესახებ იხ. ქვ.)³.

¹ ნაცვალსახელთა ვარიანტების შესახებ იხ. . . : « . . . », 1889, §§ 88, 94, განსაკუთრებით §§ 93, 94.

² შდრ. მეგრ.-ჰან. **მინ** — „ვინ“, **მუ** — „რა“ და ქართ. **ვინ** — რა; სვან. **აპრ** — „ვინ“, **მამ** — „რა.“

ქართულსა და სვანურში მეორეული ვითარებაა წარმოდგენილი, მეგრულ-ჰანურში — უწინარესი, რამდენადაც **მინ** — „ვინ“ და **მუ** — „რა“ ერთი და იმავე ფუძის ვარიანტებს წარმოადგენენ.

³ ეს ხმოვნები არა ჩანს მესამე პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელის იმ პარადიგმებში, რომლებიც ლ. ჟირკოვს აქვს მოცემული (იხ. მისი: . . . - , დანართი).

ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვა იწარმოებიან ერგატივისაგან: ხსენებული ნიშნები ერგატივის ფორმას დაერთვის, — ერგატივი აქ ფუძის როლს ასრულებს ისეთ ძირითად ბრუნვათათვის, როგორცაა ნათესაობითი და მიცემითი. მაგრამ ეს არაა სპეციფიკური ამ ნაცვალსახელებისათვის: ზოგად სახელთა გარკვეული ჯგუფებიც ამგვარად აწარმოებენ ნათესაობითსა და მიცემითს.

ერგატიულ ბრუნვას ორი დაბოლოება აქვს: **ს** და **ლ'ზ**. პირველი — სახელობითის **უ**-ს ადგილს იჭერს, პირველი გრამატიკული კლასის ნიშანია ერგატივში, მეორე **ლ'ზ** — საზიაროა მეორე და მესამე გრამატიკული კლასებისათვის, ე. ი. სახელობითის **ფ**-სა და **ბ**-ს ნაცვლად გვევლინება.

ამრიგად, ერგატივს ორი გრამატიკული კლასი აქვს გარჩეული, სახელობითის სამის ნაცვლად. საგულისხმო ისაა, რომ მეორე გრამატიკული კლასი (— ადამიანი მდებარეობითი სქესისა —) საკუთარ ფორმას მოკლებულია, იგი მესამეს ეკედლება: **ლ'ზ** ზოგად სახელთა ბრუნებისა მესამე კლას-კატეგორიის ფორმანტია. ეგვევ ითქმის ზედსართავი სახელებისა და მიმღეობათა შესახებ. შეუძლებელია ამაში ამ კლას-კატეგორიის წარსულის გარკვეული მხარე არ მუდავნდებოდეს. ამას ქვემოთ დავუბრუნდებით კითხვით ნაცვალსახელთა განხილვისას.

ჩვენებითი ნაცვალსახელის საბრუნებო ფორმები სავსებით ხვდება ზედსართავებისა და მიმღეობის ბრუნვათა ფორმებს; შდრ.:

აუ,	<u>აფ, აბ...</u>	— ბეჩედ-ა-უ	<u>ბეჩედ-ა-ფ, — -აბ</u> „მდიდარი“
ას	აღ'ზ...	— ბეჩედ-ა-ს	ბეჩედ-აღ'ზ...
ას-ულ	აღ'ზ-ულ...	— ბეჩედ-ა-ს-ულ	ბეჩედ-აღ'ზ-ულ...
ასი-ფ-ე	აღ'ზ-ფ-ე...	— ბეჩედ-ა-ს-ე	ბეჩედ-აღ'ზ-ე...

ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება

1. ხუნძახ-ჭირკ:

	მხოლოობითი:		მრავლობითი:
სახელ.	ა-უ	<u>ა-ფ ა-ბ</u>	ა-ლ
ერგატ.	ა-ს	ა-ღ'ზ	ა-ზ
ნათეს.	ა-ს-ულ	ა-ღ'ზ-ულ	ა-ზ-ულ
მიცემ.	ა-ს-ი-ფ-ე	ა-ღ'ზ-ი-ფ-ე	ა-ზ-ი-ფ-ე
სახელ.	ე-უ	<u>ე-ფ ე-ბ</u>	ე-ლ
ერგატ.	ე-ს	ე-ღ'ზ	ე-ზ
ნათეს.	ე-ს-ულ	ე-ღ'ზ-ულ	ე-ზ-ულ
მიცემ.	ე-ს-ი-ფ-ე	ე-ღ'ზ-ი-ფ-ე	ე-ზ-ი-ფ-ე

მესამე პირის ნაცვალსახელის ბრუნება

1. ხუნძურ-ჭარკული:

მხოლოებითი:	დო-უ	მხოლოებითი:	სახ. დო	მრავლობითი:
სახელ.	დო-ა, დო-ბ	დო-ლ	დო-ა, დო-ბ	დო-ა, დო-ბ
ერგატ.	დო-ლ	დო-ზ	დო-ლ	დო-ა, დო-ბ
ნათეს.	დო-ს-ულ	დო-ზ-ულ	დო-ს	დო-ა, დო-ბ
მიცემ.	დო-ს-ი-ა-ე	დო-ზ-ი-ა-ე	ნათ. დო-ს-ულ	დო-ა-ზ-ულ
			მიც. დო-ს-ე	დო-ა-ზ-ე

3. ჭურჭლი:

სახელ.	ი-და-უ	ი-და-ლ	და-უ	და-ლ
ერგატ.	ი-და-ს	ი-და-ზ	და-ს	და-ზ
ნათეს.	ი-და-ს-ულ	ი-და-ზ-ულ	და-ს-ულ	და-ზ-ულ
მიცემ.	ი-და-ს-ე	ი-და-ზ-ე	და-ს-ე	და-ზ-ე

5. ანწურები:

სახელ.	და-უ	და-ლ	და-ა, და-ბ	და-ა, და-ბ
ერგატ.	და-ს	და-ზ	და-ლ	და-ა, და-ბ
ნათეს.	და-ს-ულ	და-ზ-ულ	და-ლ-ულ	და-ა-ულ
მიცემ.	და-ს-ი-ა-ე	და-ზ-ი-ა-ე	და-ლ-ი-ა-ე	და-ა-ი-ა-ე

2. ჰიდუნი:

მხოლოებითი:	სახ. დო	მრავლობითი:	და-ა, და-ბ
ერგატ.	და-ს	და-ლ	და-ა, და-ბ
ნათეს.	და-ს-ულ	და-ლ-ულ	და-ა-ულ
მიცემ.	და-ს-ე	და-ლ-ე	და-ა-ე

4. ჭანული:

და-უ	და-ა, და-ბ
და-ს	და-ა, და-ბ
და-ს-ულ	და-ა-ულ
და-ს-ე	და-ა-ე

რით განსხვავდებიან მესამე პირის ნაცვალსახელში ხუნძური დიალექტები ერთმანეთისაგან?

1. ჭუხურში, ანწუხურში, ჭარულში, **დოუ**-ს ნაცვლად **დაუ** გვაქვს (ჰიდურისათვის ამოსავალია ხუნძახურ-ჭირკეული ვარიანტი).

საფიქრებელია, რომ ეს **ა**-ნიანი ვარიანტი უდევს საფუძვლად **ო**-ნიანს: **დაუ დოუ** უფრო ბუნებრივია, ვინემ პირუკუ დაუ დოუ. ამასვე გვავარაუდებინებს რთული, ჩვენებით-ნაწილაკიანი, ვარიანტები ხუნძახურ-ჭირკეულისა: **ჰადაუ, ჰადაუ, ჰალ'აუ...**

2. ფუძისეული **ა** აფიქსისეულ ხმოვანთან ასიმილაციის შედეგად იძლევა **უ**-ს ჭარულში:

დუსულ დასულ „მის“ ()...

დუზულ დაზულ „მათ“ ()...

3. ჭარულში მიცემითის ნიშანი **ე** არ ჩანს: წინდაწინ **ი**-დ ქცეული, ის შერწყმული უნდა იყოს წინამავალ **ე**-სთან:

დუსუე დუსუე-ი დუსუე-ე

დუზუე დუზუე-ი- დუზუე-ე...

4. შემაერთებელი ხმოვანი არ მოგვეპოვება ჰიდურისა და ჭუხურის მიცემითში:

ჰიდ.: დვ-ა-ს-ე... ჭუხ.: იდა-ს-ე... შდრ. ხუნძ.-ჭირკ. დო-ს-ი-ე...

დვ-ა-ზე იდა-ზ-ე დო-ზ-ი-ე-ე...

5. ჰიდური **დო დოუ**; ერგატივში: დვ-ა-ს დო-ა-ს
დვ-ა-ლ'ა დო-ა-ლ'ა

მრავლ. სახ. დვ-ა-ლ დო-ა-ლ

„ ერგ. დვ-ა-ზ დო-ა-ზ...

თუ ეს ასეა, ერგატივის ნიშნად უნდა გამოიყოს **-ას, -ალ'ა** და არა **ს, ლ'ა; დოს || დოლ'ა**-ში ფორმანტების თავკიდური **ა** დაკარგულად უნდა ვივარაუდოთ:

დო-ას = დოს; დო-ალ'ა = დოლ'ა...

მაშინ ერგატივის საწარმოებელი ფორმანტები აღმოჩნდებოდა ჩვენებითი ნაცვალსახელი აუ, აე — ერგატივში: ერგატივი ისევე იქნებოდა ნაწარმოები, როგორც ქართულ საზოგადო სახელებში:

კაც-მან: დო + ას დოს; დო + ალ'ა დოლ'ა...

6. ჭარულში მეორე და მესამე კლას-კატეგორიათა ერგატივს არა აქვს (ა)ლ^ა, არამედ **ჰი**: ცვლილება მარტოოდენ ფონეტიკური ხასიათისაა, — ჭარული ჰი ლ^ა (იხ. საანგარიშო მოხსენება ჭარულზე სამუშაოდ მივლინებისა, ენიმკი-ს მოამბე, IV, გვ. 225).

7. ფონეტიკური მიზეზებით აიხსნება ერგატივში **ლ^ა** და **ლ^ა**-ს მონაცვლეობა ანწუხურში, ჰიდურში...: ეს ორი სპირანტი მეტწილად გარჩეული არაა სამხრულ დიალექტებში.

8. აქამდის თქმული იმას მოწმობს, რომ მესამე პირის ნაცვალსახელის ფუძეცა და ბრუნვათა აფიქსებიც ყველა ხუნძურს კილოში ერთნაირია: განსხვავებას ფონეტიკური პროცესები იწვევენ.

ერთად-ერთი მორფოლოგიურად არსებითი სხვაობა დასტურდება ანწუხურში: მიცემით ბრუნვას აქ უჩვეულო სახე აქვს:

დას-ი-ბ-ე... დალ^ა-ი-ბ-ე... და-ზ-ი-ბ-ე: ეს **ბ**- ბგერა ფონეტიკურად ვერ აიხსნება; მას მორფოლოგიური საფუძველი აქვს. მას შევხვდებით სხვა ნაცვალსახელთა ანწუხურ ვარიანტებშიც. მისი კვალიფიკაცია იხ. ქვემოთ.

მეორე და პირველი პირის ნაცვალსახელთა ფორმები (იხ. გვ. 508) ხუნძურ დიალექტებში მეტ სხვაობას ააშკარავებს, ვინემ მესამე პირისა; თვით ხუნძახურ-ჭირკეულშიც მისი ვითარება უფრო რთულია. აქ შეიძლება შემდეგი აღინიშნოს:

1. გრამატიკულ კლას-კატეგორიათა გარჩევა პირველსა და მეორე პირში, როგორც თავშივე ვთქვით, არა გვაქვს.

2. მეორე პირის მრავლობითის ორი ძირითადი ვარიანტიდან — **ნუუ** || **მუუ** მეორეულია **ნუუ: ნუუ მუუ**. ეს უკვე ა. შიფნერმა აღნიშნა¹.

3. მხოლოდობითის სახელობითში პირველი და მეორე პირი მხოლოდ თავკიდური თანხმობით განირჩევა:

დუნ (მე) — **მუნ** (შენ).

4. ერგატივში თავკიდური თანხმობები ერთნაირია (**დ**), განსხვავებას ხმოვნითი ელემენტი ამყარებს:

დ-ი-ცა (მე) — **დ-უ-ცა** (შენ).

¹ შეცთობაა, როცა ერთ-ერთ-თან კითხულობთ: „მეორე პირი მრავლობითისა **მუუ** ახალი წარმოება ჩანს მხოლოდობითის **მუნ**-ის მიხედვით“ (იხ. Die Sprachen des kaukasischen Stammes, Wien, 1895, ნაწ. II, გვ. 177).

ეს შეპირისპირება გასდევს მხოლოობითის დანარჩენ ბრუნებშიც და მთელს მრავლობითში.

თავკიდური საზიარო **დ-** არ უნდა იყოს ძირეული მასალა ამ ნაცვალსახელთათვის (შდრ. „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, თბილისი, 1937, გვ. 504, 569).

ეს **დ** უცვლელად დასტურდება ანდიურში (**დინ**), კარატაულში (**დენ**), დიდოურში (**დი**), დარგულში (**დუ** || **დულ**); მისი ფონეტიკური ვარიანტი **ნ** უნდა გვექონდეს ლაკურში (**ნა**), დარგულის აკუმურ დიალექტში (**ნუ**), იგივე **დ** **ძ** **წ** გასდევს: კიურულს (**წუნ**), რუთულურს (**წუ**), წახურულს (**წე**), უდურს (**წუ**), ბუდუხურს (**წუნ**), არჭულს (**წუნ**)...

ჩაჩნური **სუო**, **სო**, ყაბარდ. **სსე**, აფხაზური **სარა** **ს-**ს გვიჩვენებს თავკიდურად: იგი დამოუკიდებელი ცალკე ოდენობა ჩანს და ხსენებულ **დ-**ს ფონეტიკურად არ უნდა უკავშირდებოდეს (შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ხსენ. გამოკვლ. გვ. 501 და შემდ., გვ. 556 და შემდ. ვიდრე 581).

5. ჰიდური ერგატივი, სადაც უდონო ვარიანტებიც გვაქვს, შეიძლება იმის საბუთად ვცნოთ, რომ **დ-** ძირეული არაა:

ი-ლ'ა (მე) — **უ-ულ'ა** (შენ).

6. მრავლობითის სახელობითში ორივე პირისთვის საერთოა **-ჟ** ბოლოსართი: მრავლობითობის სუფიქსი ეს უნდა იყოს. ივ. ჯავახიშვილი ამ **ჟ-**ს უკავშირებს **ჟიუ-** ნაცვალსახელის ძირს (ჟ)¹. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მრავლობითობის აღმნიშვნელი აფიქსი აღარ გვექნებოდა: **მუნ** (შენ) — **მუჟ** (თქვენ) მხოლოდ ამ ბოლოკიდური ბგერით განსხვავდება ერთმანეთისაგან.

7. სახელობითის ბოლოკიდური — **-ნ** (**დუნ**, **მუნ**) აგრეთვე ძირეული არ უნდა იყოს, როგორც ეს ნაჩვენებია აქვს ივ. ჯავახიშვილს (იხ. ხსენ. გამოკვლ. გვ. 504).

8. **ნიჟ ნეჟ, ნუჟ ნოჟ, მუჟ მოჟ** ასიმილაციის შედეგია.

ეგვევ ითქმის სხვა ვარიანტების შესახებაც: ჰიდ. **დე დიე, დუე დუე**; ჭარ.: **დიდი დიდე... მუჟოდი მუჟოდი მუჟოდე**.

ამ მხრივ სპეციფიკური **დუნ** და **მუნ** ნაცვალსახელთა ბრუნებისას არაფერია.

9. არსებითი მორფოლოგიური სხვაობა მქლავნდება ერგატივისა და მიცემითის წარმოებაში:

ერგატივის სუფიქსად გამოყენებულია **-ცა**, **-ლ'ა** (|| **ჰა**), **-დ**; სახელდობრ:

ა) **ცა** ხუნძახ.-ჭირკეულში გვაქვს მხოლოობითშიც, მრავლობითშიც: **დი-ცა** — **დუ-ცა**; **ნეჟე-ცა** || **ნელ'ე-ცა** — **ნოჟოცა**.

ბ) **ლ'ა** (**ლ'ა**) გააჩნია როგორც მხოლოობითში, ისე მრავლობითში ანწუხურს, ანდალალ-ყარახის უბანს (ჭ უ ხ - ს უ დ რ ა თ ლ - ჭ ა რ ა დ ა): **დილ'ა** — **დულ'ა**; **ნიჟელ'ა** || **ნელ'ელ'ა** — **მუჟელ'(ა)**...

გ) **ლ'ა**-ს იყენებს მხოლოობითში, **დ-**ს მრავლობითში ჰიდური და ჭარული: ჰიდ. **დილ'ა** — **დულ'ა**; **ნეჟე-დ** || **ნელ'ე-დ** — **ნუჟე-დ**.

ჭარ. **დიჰა** — **დუჰა**; **ნიჟედ-** || **ნიჰედ-** — **მოჟო-დ**...

¹ იხ. ხსენ. გამოკვლევა, გვ. 505.

კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნება

1. ხუნძახ-კირკი:

მხოლოდობითი:

სახელ. შიუ, შიძ შიბ
 ერგატ. ლჯი-ცა სუნ-ცა
 ნათეს. ლჯი-ლ სუნ-დ-უ-ლ
 მიცემ. ლჯი-ა-ე სუნ-დ-უ-ა-ე

3. ჰიდ:

მრავლობა:

სახელ. შო, შიძ, შიბ
 ერგატ. ლ'-იდ შიბალ'
 ნათეს. ლ'-ი-ლ შიბალ'-უ-ლ
 მიცემ. ლ'-ე შიბალ'-ე

5. აწუხუგრი:

სახელ. შიუ, შიძ

ერგატ. ლჯი-იდ სუნ-დ-უ-დ
 ნათეს. ლჯი-ი-ლ სუნ-დ-უ-ლ
 მიცემ. ლჯი-ბ-ე სუნ-დ-ი-ბ-ე

2. სუდრათლ:

მრავლობითი:

შალ ლჯი-ცა ლჯი-დ-უ-დ || სუნ-დ-უ-ლ (?)
 შუვი, შუვი, შუბი შალი
 ლჯი-ი-ლ სუნ-დ-უ-ლ-ლ
 ლჯი-ა-ე სუნ-დ-უ-ა-ე

4. ჰარა:

მრავლობა:

შეუ, შევი, შებ, შელ (მრ.)
 ჰაიდ || ჰიდი
 ჰაილ
 ჰაი-ი სუნ-დ-უ-დ
 ჰაი-ი სუნ-დ-უ-ლ
 ჰაი-ი სუნ-დ-უ-ა-ე

ჰუნ:

შუვი, შუვი, შუბი
 ლჯი-ი-ლ სუნ-დ-უ-ლ
 ლჯი-ი-ლ სუნ-დ-უ-ლ
 ლჯი-ე სუნ-დ-უ-ა-ე

ჰარადა (წულდა):

შუვი, შუვი, შუბ, შიუ შიძ შიბ
 ლჯი-დ სუნ-დ-უ-ლ ლჯი-დ სუნ-დ-უ-ლ

დ) არის ისეთი აულები, სადაც მრავლობითში ერგატივი არც ერთი ამ საშუალებით არ იწარმოება: ნიჟ || ნილ' — ნუჟ- ნაცვალსახელებს ერგატივი არა აქვთ; — ერგატივის ნაცვლად სახელობითია ხმარებული; ასეა, მაგალ., კეჰერ-ში (იხ. ქვ. გვ. 516), ყაჰიბ-ში; აქ ეს დადასტურებული გვაქვს; სხვაგანაც არის ასეთი შემთხვევა მოსალოდნელი¹.

საინტერესოა, რომ კეჰერში მხოლოდობითი -ცა-ს იყენებს:

დიცა — დუცა

10. ანწუხური მიცემითი აქაც ბ-იან ფორმებს გვაჩვენებს (იხ. ზემოთ დაუ, დაჟ, დაბ-ის ბრუნება):

დი-ბე — დუ-ბე; ნეჟე-ბე || ნელ'ე-ბე — მუჟე-ბე...

11. ერგატივისა და მიცემითისაგან განსხვავებით ნათესაობითი ერთ-ფეროვანია: ყველგან — რ გვაქვს ნიშნად გამოყენებული:

დი-რ — (ჩემი) — ნეჟე-რ || ნელ'ე-რ (ჩვენი).

დუ-რ — (შენი) — ნოჟო-რ (თქვენი).

ამიტომ განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. შიფნერი ს ცნობა: პირველისა და მეორე პირის ნათესაობითი -რ-ზე ბოლოვდება, მაგრამ „დიალექტურად მის ნაცვლად ლ-ც ისმისო“ (იხ. მისი „Versuch über das Awarische“, SPB. 1862, § 83, გვ. 19).

კითხვითი ნაცვალსახელები (იხ. გვ. 510) ფუძეს იცვლიან ერგატივიდან მოყოლებული:

ში-უ ში-ჟ (ვინ)	ში-ბ (რა)
ლ-ი-ცა	სუნ-ცა...

1. სახელობითში გამოყენებული ძირეული ში- უნდა იყოს მიღებული შუ-საგან, როგორც ამას მოწმობენ ს უ ლ რ ა თ ლ ის, ჭ უ ხ ის ა და ჭ ა რ ა დ ის ვარიანტები:

შუ-ვ(ი) — შუჟ(ი) — შუბ(ი)... (იხ. სქემა).

2. ერგატივის სუნ — ფუძეში ძირეული სუ უნდა იყოს: ნ, ალბათ, იმავე ღირებულებისაა, როგორც პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელებში; შდრ. დ-უნ — მ-უნ — ს-უნ.

3. ძირეული სუ ჭუნ.-სულრათლ. შუ-ს ფონეტიკური ვარიანტი ჩანს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ჭუხურში ერგატ.-ნათეს.-მიცემითის — შუ-ნ-დ, თუ იგი მეორეული მოვლენა არაა (შდრ. ჰიდური: შიბ — ერგ. შიბალ' — ნათ. შიბალ'ულ — მიც. შიბალ'ე, სადაც ერთი და იგივე ფუძეა თავიდან ბოლომდის გამოყენებული. მოვლენა უდაოდ მეორეულია!).

4. ჭარული შეუ || შეჟ || შებ ე-ს გვაძლევს

ე ი: შიუ შეუ...

¹ ჰიდელი მთქმელი მარწმუნებდა — ერგატივი სახელობითით იცვლება მრავლობითში ჩვენთანო. მაგალითი რომ აღმოჩნდა საჭირო, ვერ კი მოიგონა; ანბანის ტექსტის ჰიდურად თარგმნისას კი იხმარა ნილ' წა ბაჰინა „ჩვენ (სახელ.) ცეცხლს („ცეცხლი“) ვანთებთ“... ნუჟ წა ბაჰინა „თქვენ ცეცხლს ანთებთ“... ნილ', ნუჟ სახელობითია; მათ ნაცვლად ხუნძური ერგატივს ხმარობს.

5. ბრუნვის ნიშნების მხრივ კითხვითი ნაცვალსახელები თითქმის იმავე სურათს ქმნიან, როგორც პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები, ოღონდ უფრო გამარტივებულს:

ა) ერგატივში **ცა**-ს ენაცვლება **დ** (|| დი); **-ცა** გვაქვს ხუნძახურ-ჭირკეულში: ლ'ი-ცა — სუნ-ცა... **დ** — სულრათლში, ჭუხში, ჰიდში, ჭარსა და ანწუხში:

ლ'იდ — სუნდუდ [შუნდუდ(ი)]...

არსადა ჩანს — **(ა)-ლ'**- სუფიქსი, თუ ჰიდურ **შიბალ'**-ს არ მივიღებთ მხედველობაში.

ბ) ჭარადულს მეტყველებაში, აგრეთვე აულ კეპერში სუნდუდ-ის ნაცვლად **სუნ-დ** გვაქვს: ეს უნდა ყოფილიყო ერგატივის მარტივი სახე: **სუნდ-უდ** განმეორებითი წარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს.

6. როგორც მესამე პირის ნაცვალსახელთან, ისე კითხვითს ნაცვალსახელებში მეორე კლას-კატეგორიის ნიშანი მოკლებულია საკუთარ ფორმას: საზიარო ფორმა აქვს სახელობითის გარდა ყველა ბრუნვაში; თუ მესამე პირის ნაცვალსახელთან ეს საზიარო ფორმა იყო მესამე გრამატიკული კლასისა, აქ იგი პირველი კლასისაა.

ორივე ფაქტი ერთსა და იმავეს უნდა მოწმობდეს: მეორე გრამატიკული კლასი გამოყოფილია მაშინ, როცა პირველი და მესამე უკვე მოიპოვებოდა.

სხვანაირად რომ ვთქვათ: ხუნძახურში თავდაპირველად ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი ძირითადი კლას-კატეგორია, ადამიანისა და ნივთისა, ვინ და რა — კლას-კატეგორიები.

პირველის ბიფურკაცია სქესის ნიშნის მიხედვით მეორეული მოვლენა ჩანს¹.

1. უკუქცევითი ნაცვალსახელები (იხ. გვ. 513) ხუნძახურ-ჭირკეულში, აგრეთვე ანწუხურში, სამ გრამატიკულ კლასს განასხვავებენ მხოლოდ სახელობითში:

ჟიუ — ჟიჲ — ჟიბ; სხვა ბრუნვებში საერთო ფორმა აქვთ.

ჰიდურსა და ჭარულში კი პირველ ორ კლასს საზიარო ფორმები აქვს, მესამეს — საკუთარი.

ჰიდ.: **ჟენდ — ჟუნდ...**

ჭარ.: **ჟენედ — ჟუნუდ...**

ამ მხრივ ჭარულსა და ჰიდურს ამ ნაცვალსახელში ისეთივე გეზი აქვს აღებული, როგორც კითხვითს ნაცვალსახელებში.

2. **ჟიუ** — ნაცვალსახელის თავკიდური **ჟ** ხუნძახ-ჭირკეულს გარდა ჰიდურშიც გვაქვს, ჭარულშიც; ანწუხურში მას **ჲ** ენაცვლება: **ჲიუ — ჲი — ჲიბ**; ეს ვარიანტი უნდა იყოს ამოსავალი პირველისათვის:

ჟიუ ჲიუ...

3. ბრუნვათა დაბოლოების მხრივ ამ ნაცვალსახელში აღსანიშნავია:

¹ დაწვრილებით ამის შესახებ — ცალკე გვექნება საუბარი.

უკუქცევითი ნაცვალსახელის ბრუნება

1. ხუნძახ-ჭირც:

მხოლოდობითი:

სახელ. { ჟო-უ, ჟო-ა, ჟო-ბ }
 ერგატ. ჟინცა
 ნათეს. ჟინ-ღ-ი-რ
 მიცემ. ჟო-ნ-ღ-ო-ა-ე

მრავლობითი:

ქალ { ჟო-უ, ჟო-ა }
 ქოლო-ცა ჟინ-ღ
 ქოლო-რ ჟინე-რ
 ქოლო-ა-ე ჟინ-ე

ქობ ქალ
 ჟუნ-ღ ქულ-ე-ღ
 ჟინე-რ ქულ-ე-რ
 ჟუნ-ე ქულ-ე

4. ჭუნსური:

სახელ. { მი-უ, მი-ი, მი-ბ }
 ერგატ. მინ-ე-ლ'
 ნათეს. მინ-ე-ლ
 მიცემ. მინ-ე-ბ-ე

მაღ { მი-უ, მი-ა }
 უღ-ე-ლ'
 უღ-ე-რ
 უღ-ე-ბ-ე

ქობ { მი-უ, მი-ა }
 ჭუნ-ე-ღ
 ჭუნ-ე-ლ
 ჭუნ-ე-ა

ქალ ქალ
 ჟა-ბ ჟა-ბ
 ჟა-ბ-უ-ღ ჟა-ბ-უ-ღ
 ჟა-ბ-ი ჟა-ბ-ი

2. ჰიდური:

3. ჭარული:

ა) რ და ლ-ს მონაცვლეობა ნათესაობითში:

ხუნძ.-ჭირკ.: **ჟინდი-რ** და ჭარ.: **ჟენელ**

ჰიდ.: **ჟენერ**, ანწ.: **აინელ...**

ბ) **-ცა, -დ, -ლ'** ფორმანტების მონაცვლეობა ერგატივში:

ხუნძახ.-ჭირკ. **ჟინ-ცა** — **ჟოდო-ცა**

ჰიდ.: **ჟენ-დ** — **ჟუნ-დ** — **ჟუდე-დ**

ჭარ.: **ჟენე-დ** — **ჟუნუ-დ** — **ჟა-ზ**

ანწუხს.: **აინე-ლ** — **უდე-ლ'**...

ამ ფორმანტების განაწილება არსებითად ისეთივეა, როგორიც პირ-ველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა ბრუნებისას.

გ) ანწუხური ამ ნაცვალსახელშიც თანამიმდევრულად იძლევა **ბ**-იან ფორმას — მიცემითში:

აინე-ბ-ე — უდე-ბ-ე.

ანწუხურში, ამრიგად, ყველა განხილული ნაცვალსახელი მიცემითში **-ე** დაბოლოების წინ **ბ**-ს გამოგვივლენს.

სამი ძირითადი ბრუნვიდან ყველაზე მეტი ვარიანტი ერგატივს აღმოაჩნდა; მისი ფორმანტებია: **-ცა, -ლ', -დ.**

ეს აფიქსები საზოგადო სახელებთანაც ფართოდაა გამოყენებული; სახელდობრ:

-ცა იხმარება ხუნძახურ-ჭირკეულში ადამიანთა სახელების ბრუნებისას: საჭიდ — საჭიდი-ცა, შამილ — შამილი-ცა, ლენინ — ლენინი-ცა, ფუშქინ — ფუშქინი-ცა...

გარდა ამისა, ეს დაბოლოება გამოყენებულია მესამე კლას-კატეგორიის სახელთა ბრუნებისას:

ბო „ჯარი“ — ბოცა

ჩუ „ცხენი“ — ჩოცა

წუე „თხა“ — წუეცა

ნუს' „დანა“ — ნოს'ოცა

ბაყ „მზე“ — ბაყუცა

ბაწ „მგელი“ — ბაწიცა

ქეთო „კატა“ — ქეთოცა...

მესამე კლას-კატეგორიის სახელებში **-ცა**-ს პარალელურად **-ალ'** დაბოლოებაც აწარმოებს ერგატივს:

ბო — ბოდალ'

წუე — წუედალ'...

ხუნძახურ-ჭირკეულში **-აღ** დაბოლოების გამოყენების არე თანდა-თანობით ფართოვდება **-ცა**-ს ხარჯზე: ახალ შეთვისებულ სახელთა მგა-ლითზე ცხადად ჩანს, რომ **-აღ**- სუფიქსიანი წარმოება უფრო აქტუალუ-რია; მარტოდენ ამ დაბოლოებით იხმარება სიტყვები, როგორცაა: ქოლ-ხოზალა, სოციალიზმალა სოფუხალა, ფართიდალა...

-ცა დაბოლოება რომ უფრო ძველია, ეს აღნიშნული აქვს ჯერ კიდევ ა. შიფნერს¹, არქაულ ბრუნებას უწოდებს მას ლ. ჟირკოვიც (იხ. მისი , გვ. 90).

ყველგან, სადაც ხუნძურ-ჭირკეულში **-ცა** დაბოლოებაა არსებით სახელებში ერგატივისათვის ნახმარი, ჰიდური, ჭარული, ანწუხური, ჭუხურ-ჭარადული **-დ** ფორმანტს მიმართავს:

საშიდი-**დ**, შამილი-**დ**, ლენინი-**დ**, ფუშქინი-**დ**
ჩო-**დ**, წყე-**დ**, ბო-**დ**...

როგორია შეფარდება **-ცა**-სა და **-დ**- ფორმანტს შორის? ხუნძახურ-ჭირკეულ საზოგადო სახელთა ბრუნების ანალიზი ადასტურებს, რომ **-დ** ფორმანტი უფრო ძველია, როგორც ერგატივის ნიშანი, ვინემ **-ცა** ფორმანტი².

მაშ, რით აიხსნება **-დ** ფორმანტის პარალელურად **-ლ** **-ლ**-ს გამოყენება:

ჭუხ.-სულრათლ-ჭარადის: დილა — დულა — ნეჟელ — მუჟელ

ანწუხური: დილა — დულა — ნეჟელ — მუჟელ

აქ მხოლოობითშიც, მრავლობითშიც **-ლ**-ს აფიქსია.

ჰიდსა და ჭარში მრავლობითში **-დ**- გვაქვს, მხოლოობითში — **-ლ**ა:

ჰიდ.: მრავლ. ნეჟედ — ნუჟედ მხოლ.: (დ)ილა — (დ)ულა

ჭარ.: „ ნიჟედ — მოჟოდ დიჰა — დუჰია.

ნაცვალსახელში ძველ ვითარებას მოველოდით: მოთხრობითის წარმოებაში კი მან ლამის არის საზოგადო სახელებს გაუსწროს! საზოგადო სახელებში ერგატივი იმავე ჭუხში, ჭარადაში, ანწუხში (მრავლობითის) **ლ**ა-თი არ იწარმოება: **-ზ** და **(დ)** აფიქსია გამოყენებული.

მიზეზი მარტივია: პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებში ერგატივი შედარებით ახალი წარმოებისა უნდა იყოს, ბუნებრივია თუ აქ ენამ საწარმოებლად გამოიყენა ყველაზე მოდერნისტული აფიქსები (სულ-რათლ, ჭუხ, ჭარადა, ანწუხ...)³.

¹ „...„die schärfere und wohl ältere Form ца“ იხ. „Versuch...“ § 73, გვ. 17.

² ეს სპეციალური მოხსენების საგანია.

³ ჯერ-ჯერობით ცნობილი ერთად ერთი გამონაკლისი ესაა სულრათლის მეტყველება. აქ საზოგადო სახელებშიც **ლ**ა ჩანს ერგატივში.

მანამდის სახელობითი და ერგატივი გარჩეული არ უნდა ყოფილიყო, ე. ი. სახელობითი იხმარებოდა როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებთან რეალური სუბიექტის ბრუნვად.

ამიტომაც, რომ აქ არც... **-ლ'ა**, არც **-დ** (და მით უფრო **-ცა**) არ გადაყვება ნათესაობითისა და მიცემითის წარმოებისას: **-ცა**, მართალია, საერთოდ, არსად გადაყვება, ბრუნების პროცესში, მაგრამ **-ლ'ა** ჩვეულებრივ შერჩება ფუძეს:

ხუნძახ.	ქოლხოზა-ლ'ა-ულ...	ქოლხოზ-ა-ლ'ა-ე...
	სოციალიზმ-ალ'ა-ულ...	სოციალიზმ-ალ'ა-ე...
	ქაფითალიზმ-ალ'ა-ულ...	ქაფითალიზმ-ალ'ა-ე...
	შქოლ-ალ'ა-ულ...	შქოლა-ლ'ა-ე...

-დ სუფიქსიც კი ხშირად გადაყვება მიცემითსა და ნათესაობითში იმავე ანწუხურში, რომელიც პიროვნებითს ნაცვალსახელებში ერგატივის **-ლ'ს** არ შეუწარჩუნებს ფუძეს.

რომ ზემოხსენებული ვარაუდი არ უნდა იყოს უსაფუძვლო, ჩანს იქიდან, რომ აქა-იქ დღემდის შენახულა შემთხვევები ერგატივის სახელობითით შეცვლისა; ასეა, მაგალითად, კეპერში, სადაც მრავლობითი ამ ნაცვალსახელთაგან ერგატივს არ აწამოებს, ე. ი. სახელობითი ასრულებს ერგატივის ფუნქციას.

ამაზე ერთგვარი ზეპირი მითითება ჰიდელმა მთქმელმაც მომცა (იხ. ზემოთ გვ. 511, შენიშვნა).

ამგვარად, **ნიფ** || **ნილ'**, **-ნუფ** || **მუფ**. აგრეთვე **დუნ**, **მუნ** — სახელობითიც უნდა ყოფილიყო და მოთხრობითიც ისევე, როგორც ქართულში „მე“, „შენ“, „ჩვენ“, „თქვენ“, „ვინ“ — ნაცვალსახელი (ანდა ჭანურში — **მუქ** ნაცვალსახელი).

ასეთი მდგომარეობა დღემდის შეუნახავს ანდიურს: აქ **დინ** || **დენ** (მე) — **მინ** || **მენ** (შენ) — სახელობითიცაა და ერგატივიც; ეს დინ და მინ ხომ იგივე ხუნძური **დუნ** და **მუნ**-აა, ოღონდ უ ი, აღსანიშნავია, რომ ანდიურში იმავე ნაცვალსახელთა მრავლობითში უკვე იწყება ერგატივისა და სახელობითის დიფერენცია:

სახელ. **იშილ** (ჩვენ) — **ბისილ** (თქვენ)

ერგატ. **იშიდი** — **ბისიდი**: ერგატივში აქაც იგივე **-დი** სუფიქსია, რაც ჭარულსა და ჰიდურს აქვს მრავლობითის ერგატივში.

ანდიურის მსგავსად ლოდობერიულშიც **დინ** (მე) — **მინ** (შენ) მხოლოდობითში სახელობითიცაა და ერგატივიც; მრავლობითში სხვაობაა:

სახ. იში — ბითე

ერგ. იშე — ბითეჲ...

მეორეული ჩანს დიფერენციაცია ტინდი-ენაშიც:

სახ. **დე** (მე) — **მე** (შენ) იშა (ჩვენ) — ბისა (თქვენ)

ერგ. **დი** „ **მი** იში — ბისი...

კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნების ფაქტები მხარს უჭერს ზემო-თქმულს. აქ დიფერენციაცია ადრე დაწყებული ჩანს, — ერგატივს მხოლო-ობითშიც მოეპოება **-დ-** ფორმანტი **-ცა-**ს პარალელურად.

დ-ს სიძველეს **სუნ-დ-ულ** ფორმაც უნდა მოწმობდეს. გაურკვეველია ოდონდ, რას უნდა გამოეწვია ორმაგი წარმოება.

ალბათ, პირველადი **-დ -ცა-**ს დართვამდის უკვე იყო გამოყენებული: შდრ.

სუნცა — მაგრამ:

სუნ-დ-ულ

სუნდ-დ-უ-ჲ-ე... **-ცა-**ს წინ **დ-**ს არსებობა თუ არ ვივარაუდეთ, სუნ-დულ, სუნდულჲ-ს ფორმებში **-დ** გაუგებარი იქნება.

სუნცა — სუნდულ — სუნდულჲ — ერთი იმ ფაქტთაგანია, რომელიც ცხადყოფს **-ცა** და **-დ-** აფიქსების ისტორიულ შემდგომადობას ხუნძურს ენაში.

ერთი და იმავე ოდენობის გამოყენებას სახელობითისა და ერგატივი-სათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ერგატივის კვალიფიკაციის თვალ-საზრისით. ეს ფაქტი იმის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს, რომ ეს ბრუნვა გავუთანაბროთ მოქმედებითს: მისი ფუნქცია არ ამოიწურება მოქმედებითი ბრუნვის როლში გამოსვლით: ამის გარეთ რჩება ის, რაც მოქმედებითს არ უდრის — რეალური სუბიექტის აღნიშვნა შინაარსით გარდამავალ ზმნასთან. აქ ერგატივი არ უდრის მოქმედებითს და, მაშასადამე, სათანადო ზმნას ვერ განვმარტავთ ვნებითი გვარით.

დუნ — მუნ ნაცვალსახელებში ბოლოკიდური **ნ** ძირეული არაა; შე-უძლებელი არაა, ის ბრუნვის ნიშანი აღმოჩენილიყო. რომელი ბრუნვისა? ცხადია, იქნებოდა ერგატივისა ან სახელობითის; რომელი შესაძლებლობი-დანაც არ ამოვიდეთ, ფაქტი ამ ორი ბრუნვის მოზიარებლად გამოსვლისა განსაკუთრებით საგულისხმოა ხუნძური გარდამავალი ზმნის პასიურობის უარყოფის თვალსაზრისით.

შთაბეჭდილება მაინც ისეთია, რომ ეს **ნ** ბრუნვის ნიშანი არ უნდა იყოს მიუხედავად იმისა, რომ არის ცთუნება ეს **-ნ** და ერგატივის **-დ** ერთმანეთს გვერდით ამოუყენოს კაცმა. ეს **-ნ** უფრო დეტერმინანტს გავს (იმ რიგისა, როგორიცაა ქართული მე-**ნა**, შე-**ნა**-ს **-ნა**)...

მაგრამ როგორადაც არ განვმარტოთ ეს **-ნ**, ფაქტი ფაქტად რჩება — ერგატივისა და სახელობითს ერთი და იგივე მონაცემები გააჩნია და ესაა მთავარი.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი III პ. ნაცვალსახელში **-ულ** სუფიქსია (**დოს-ულ**, **დოზ-ულ...**), **-ულ** || **-ლ** გვაქვს კითხვითს ნაცვალსახელში (**სუნდ-ულ — ლზ-ი-ლ**), **-ლ** || **-რ** გვხვდება უკუქცევითში (იხ. ჭარ. **ვენე-ლ**, **ჟუნუ-ლ**, **ჟაზუ-ლ** — წინამავალი **-უ** ერგატივთანაცაა; ანწუხ. **ძინე-ლ** — ერთი მხრით, და პილტური: **ვენე-რ**, **ჟუნე-რ**, **ჟუდე-რ**; ხუნძახ-ჭირკ. **ჟინდი-რ**, **ჟოდო-რ**).

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებში ყველგან **-რ** ფორმანტია გამოყენებული:

დი-რ (ჩემი) — **დუ-რ** (შენი)

ნეჟე-რ (ჩვენი — ექსკლუზ.) — **ნოჟო-რ...** || **მუჟე-რ...** (თქვენი)

ნელე-რ (ჩვენი — ინკლუზ.).

ამ **რ**-ს შესახებ შემთხვევა გვქონდა აღგვენიშნა: IV გრამატიკული კლას-კატეგორიის გაქვავებული ნიშანი უნდა იყოსო¹. წინათ ხუნძურშიც უნდა ყოფილიყო გარჩეული სხვა კლასებიც:

დი-უ ვაც — ჩემი ძმა;

დი-ჟ ვაც — ჩემი და;

დი-ბ ჩუ — ჩემი ცხენი;

დი-რ რუყ — ჩემი სახლი². ახლა განურჩევლად ყველგან, დირ

იხმარება: დირ — ვაც, ჟაც, ჩუ, რუყ...

ოთხი კლასის ფორმები ნაცვალსახელებში „ჩემი“, „შენი“, „ჩვენი“, „თქვენი“ ამჟამად გარჩეულია ანდიურში: ანდიურში შემონახულია ის, რაც წინათ გვქონდა ხუნძურში.

მაგრამ ეს ნორმალურად გვეჩვენება: ამ ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვა კუთვნილებითი ნაცვალსახელია — , , mich, dich კი არ არის, არამედ , , mein, dein — და ბუნებრივიაო, თუ მათ კლას-კატეგორიის ნიშნები აღმოაჩნდებათო: მსაზღვრელი ზედსართავი ეთანხმება საზღვრულის გრამატიკულ კლასსაო.

¹ ვგულისხმობთ წერილს: „გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში“, წაკითხული იყო მოხსენებად ენიმკი-ში 1936 წლის 1ა. X; გამოქვეყნებულია ენიმკი-ს მოამბეში ტ. I, გვ. 96-105.

² დიბ ჩუ, დირ რუყ პირობითი მაგალითებია: IV კლასისად ხუნძურში რა სახელები ივარაუდებოდა, ჩვენ არ ვიცით. ის კი ვიცით, რომ ეს სახელები ამჟამად III კლასშია მოქცეული; მაგალითიც აქედან ავიღეთ.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ამგვარი შესაძლებლობა სხვა ნათესაობით-საც გააჩნია, — საზოგადო სახელისაგან ნაწარმოებ ნათესაობითს.

იმავე ანდიურში მამა-სიტყვას ნათესაობითში ოთხი ფორმა აქვს:

იმუჟ ვოც'ი — „მამის ძმა“

იმუჟ დოც'ი — „მამის და“

იმუბ კოტუ — „მამის ცხენი“

იმურ ხუჩა — მამის წიგნი (იხ. . . . ,
.. გვ. 9).

კითხვა ისმის: **-რ**-ს მონაცვლე **-ლ** ხომ არ შეიძლება იმავე ფუნქციი-სად მივიჩნიოთ? **-ლ** (-ილ, -ულ, -ალ-ის სახით) საზოგადო სახელთა ნათე-საობითს აწარმოებს. რა თქმა უნდა, შეუძლებელი სრულებით არაა, საერ-თოდ ნათესაობითის ფორმანტში, გაქვავებული კლას-კატეგორიის ნიშანი დადასტურდეს. საკითხს მაინც სპეციალური შესწავლა ესაჭიროება.

მიცემითი ბრუნვის ნიშანია **-ე**; შეიძლება იგი დავიწროვდეს **ი**-დ, შე-იძლება წინამავალ **ი**-სთან ასიმილაციით დაიკარგოს კიდევ. მაგრამ ეს იქ-ნება ფონეტიკური კონტექსტით განსაზღვრული ცვლილება, მორფოლოგი-ური ოდენობა ერთია. **-ე**, როგორც მიცემითის ნიშანი.

ამ **ე**-ს — მეტ-წილ დიალექტებში უძღვის **-ე**:

დი-ე-ე (მე — მიცემ.)

დუ-ე-ე (შენ „)

ნეჟე-ე-ე (ჩვენ „)

სუნდუ-ე-ე (რას?)

ლ'ი-ე-ე (ვის?)

დოსი-ე-ე (მას)

დოზი-ე-ე (მათ — მიც.)

რის მაქნისია ეს **ე**? ეს უნდა იყოს გაქვავებული კლას-კატეგორიის ნიშანი. ამას გვაფიქრებინებს ანწუხური ვარიანტები, სადაც **ე**-ს ადგილს იჭერს **ბ**, აგრეთვე კლას-კატეგორიის ნიშანი:

შდრ. ხუნძახურ-ჭირკეული: **დი-ე-ე** და ანწუხ. **დი-ბ-ე**

დუ-ე-ე **დუ-ბ-ე**

ნეჟე-ე-ე **ნეჟე-ბ-ე**

სუნდუ-ე-ე და „ **სუნდი-ბ-ე**

ლ'ი-ე-ე **ლ'ი-ბ-ე**

ე მიცემითის დაბოლოების წინ ხუნძახურ-ჭირკეულ საზოგადო სახე-ლებში გვაქვს, ადამიანთა სახელებშიც, ყველგან სადაც ერგატივში **-ცა** იხმარება:

სახ. წა (ცეცხლი); წყ (თხა); ბო (ჯარი); ჩუ (ცხენი); შალი (ალი); ფატიმათ
(ფატმან)

მიც. წე-მ-ე წყ-მ-ე ბო-მ-ე ჩომე შალი-მ-ე ფატიმათ-ი-მ-ე.
ანალოგიურ შემთხვევაში ანწუხური ყველგან **ბ**-ს ხმარობს:

სახ. ჭა (ცეცხლი); წყ (თხა); ბო (ჯარი);

მიც. ჭუდ-უ-ბ-ე... წყ(დ)ჯი-ბ-ე... ბო(დ)ჯი-ბ-ე...

სახ. ჩუ (ცხენი); ფატიმათ... შამილ...

მიც. ჩო(დ)ჯი-ბ-ე... ფატიმათი-ბ-ე... შამილი-ბ-ე...

რას უნდა გამოიწვიო ამგვარი კლას-კატეგორიის საჭიროება საზოგადო სახელებში? კერძოდ, რამდენად ბუნებრივია ადამიანთა სახელის ბრუნებისას მესამე გრამატიკული კლასის ნიშანი აღმოჩნდეს: შამილი-ბ-ე, ფატიმათი-ბ-ე...?

კლას-კატეგორიის ეს ნიშნები ამ სახელთა კლასით, რასაკვირველია, არაა გამოწვეული: მაშინ გაუგებარი იქნებოდა I და II კლასის სახელებთან III კლასის ნიშანი.

ეს ფორმანტები, ალბათ, იმ სახელთა კლასზე მიუთითებდა, რომლებიც მიცემითთან იყვნენ გარკვეულს მიმართებაში. მაშინ, ცხადია, **მ** და **ბ**-ს გარდა **ვ**-ც უნდა ყოფილიყო გამოყენებული და **რ**-ც. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როგორცაა დიჟე ვოტჟულა ემენ — მე მიყვარს მამა.

ახლა **RO**-ის სახელობითი ბრუნვით გადმოცემული სახელის კლასი მხოლოდ **ზ მ ნ ა შ ი** აღინიშნება, წინათ **ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ს** მიცემით ბრუნვასთანაც უნდა გამოჩენილიყო იგი, ე. ი. უნდა გვქონოდა:

მე	მიყვარს	მამა	
დი-ვ-ე	ვ-ოტჟულა	ემენ	
დი-მ-ე	მ-ოტჟულა	ებელ	დედა
დი-ბ-ე	ბ-ოტჟულა	ჩუ	ცხენი
დი-რ-ე	რ-ოტჟულა	ვაცალ	ძმები

ამგვარადვე უნდა ყოფილიყო საკუთარ სახელებთან:

შამილი-ვ-ე	ვ-ოტჟულა	ემენ
შამილი-მ-ე	მ-ოტჟულა	ებელ
შამილი-ბ-ე	ბ-ოტჟულა	ჩუ
შამილი-რ-ე	რ-ოტჟულა	ვაცალ

ამ ოთხი სავარაუდო ფორმიდან შეგვჩა მხოლოდ

ორი: **დი-მ-ე... შამილი-მ-ე** — ხუნძახურ-ჭირკეულში,

დი-ბ-ე... შამილი-ბ-ე — ანწუხურში.

არსად ჩანს, ჯერ-ჯერობით მაინც, დი-**ვ**-ე, დი-**რ**-ე, შამილი-**ვ**-ე, შამილი-**რ**-ე — ფორმები¹.

მაგრამ ამგვარი ფორმებიც რომ არსებობდა, ამის საწინდარია ანდიურში ოთხივე ვარიანტის ხმარება:

დი-ვ-ო წინნოსუ, ინუბოლო ჰედეუ (ვოც'ი) — „მე არ ვიცი, სადაა ის“ („ძმა“ — I კლ.)

დი-მ-ო წინნოსუ, ინუბოლო ჰედეფ (მოც'ი) — „მე არ ვიცი, სადაა ის“ („და“ — II კლ.)

დი-ბ-ო წინნოსუ, ინუბოლო ჰედებ (კოტუ) — „მე არ ვიცი, სადაა ის“ (ცხენი — III კლ.)

დი-რ-ო წინნოსუ, ინუბოლო ჰედერ (ხუჩა) — „მე არ ვიცი, სადაა ის“ (წიგნი — IV კლ.)

(იხ. გვ. 11).

როცა ამ კლას-ნიშნების გამომწვევი სახელები მრავლობითშია, კლას-ნიშნები უცვლელად რჩება — **ვ, მ, ბ, რ...**

ანდიურს მეორე მიცემითიც აქვს: ამ უკანასკნელს ერთი ფორმა აქვს **-მ-** ნიშნით. ამ უკანასკნელის ურთიერთობა კლას-კატეგორიის **მ-** ნიშანთან ყურადღების ღირსია, მაგრამ ჩვენი მსჯელობისათვის აქ მის სადაურობის გარკვევა არაა საჭირო. საკმარისია კლას-ნიშნის მიცემითის ვითარების გათვალისწინებაც. ანდიურს ოთხივე კლასი აქვს, ხუნძურს — მხოლოდ ორი, ისიც გაქვავებული ნაშთის სახით.

ანდიური ხუნძურის წინანდელი მდგომარეობის სურათს გვიხატავს.

ხუნძურში კლასების რიცხვის შემცირება ოთხიდან სამამდის კლას-კატეგორიათა ევოლუციის იმავე ხაზზე მდებარეობს, რომელმაც კლას-კატეგორიანი ნათესაობითი (ნაცვალსახელებისა) და მიცემითი აქცია უკლას-კატეგორიო ნათესაობითად და მიცემითად.

ესაა კლას-კატეგორიათა განვითარების დამავალი ხაზი, რომელიც ანდიურთან შედარებით ხუნძურში ნათლად შეინიშნება და რომელიც დიდისტნის სამხრეთ უბანში კლას-კატეგორია-დაკარგული კიურული ენის სახით წარმოგვიდგება.

¹ ერთ ანწუხელთან, ჰადა-ქოლოელ ჩონჩოლა ბარქალოვთან **ვ**-იანი ვარიანტიც შეგვხვდა სპეციფიკურ გამოთქმაში:

„ბაბალ'უნ წა მუნ დი-მ-ე“ — ფატიმათიდ ბიშა... „დედობა გამიწიე მე, — ფატმანმა თქვა, „ბაბალ'უნ წა მუნ დი-ვ-ე — საიდიდ ბიშა, „დედობა გამიწიე მე“ — საიდიმა თქვა. მაგრამ აქ ვ ფუნქციით თავისებურია, იგი სხვა სახელთან დაკავშირებული ჩანს. თვით ფაქტიც ვერ შევამოწმეთ სხვა პირებთან: ეს არეშში ჩავიწერეთ, თივ-თებელჯოხიდან გამოგზავრების შმდ. (1939 წ.).

დასკვნითი დებულებები

1. ნაცვალსახელთა ბრუნებისას ისევე, როგორც სახელთა ბრუნებისას ხუნძურში, მთავარია სახელობითის გარდა ერგატივის, ნათესაობითისა და მიცემითი ბრუნვის ფორმები.

2. ერგატივის ფორმა I და II პ. ნაცვალსახელებში, აგრეთვე კითხვ. ნაცვალსახ. იძლევა ისეთ წარმოებას, რაც სხვა სახელებისათვისაც არ არის უცხო.

ეს მეორეული მოვლენა უნდა იყოს. პირვანდელი ვითარება წარმოდგენილია ანდიურსა და ზოგს ანდიურ დიალექტებში: პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელს აქ საზიარო ფორმები აქვს სახელობითსა და ერგატივში.

3. სახელობითისა და ერგატივის საზიარო ფორმის არსებობა დამატებითი საბუთია გარდამავალი ზმნის ვნებითობის საწინააღმდეგოდ.

4. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა ნიშანი ნათესაობითს ბრუნვაში სხვა არაფერია, თუ არ მეოთხე კლას-კატეგორიის ფორმა (დი-რ — დუ-რ).

ცხადია, ნათესაობითს ბრუნვაში უნდა ყოფილიყო გარჩეული დანარჩენი სამი კლასის ფორმებიც (დი-უ, დი-ფ, დი-ბ... დუ-უ, დუ-ფ, დუ-ბ), როგორც ეს ამჟამადაც გვაქვს ანდიურში, ნაცვალსახელებშიცა და სხვა სახელებშიც: ნათესაობითი მიუთითებს იმ სახელის კლასზე, რომლის მსაზღვრელიც ის არის.

ანდიურში მოცემულია წინა საფეხური ხუნძურისა კლას-კატეგორიათა საკითხში.

5. მიცემითს ბრუნვაშიც დასტურდება გაქვავებული სახით კლას-კატეგორიის ნიშანი.

ანდიურში აქაც კლას-კატეგორიის მიხედვით ცვალებადი მიცემითი აქტუალური გრამატიკული წარმოებაა.

6. ნათესაობითისა და მიცემითის მიერ გავლილი გზა შეეფარდება იმ ძირითად ტენდენციას, რომელიც ხუნძურს ახასიათებს კლას-კატეგორიის საკითხში: ესაა კლას-კატეგორიათა რიცხვის შემცირება სახელებში, კლას-კატეგორიათა დაჩრდილვა ბრუნებაში.

1. . III ., , ,
2. . I II . . I II : (,),
3. . . .
4. . (-r) . I II . (di-r « », du-r « », neže-r « », nožo-r « »...) IV , (. : « . » - , I, 1937, . 97-105).
5. : di-u, di-j, di-b, : di-j-e, . di-b-e « ».
6. . . .

ერგატივის წარმოქმნის ისტორიისათვის ხუნძურში¹

ერგატივის წარმოქმნის ისტორია ხუნძურში გულისხმობს შემდეგი საკითხების გარკვევას:

1. რა მიმართებაშია ერგატივი სახელობითთან?
2. რა მიმართებაშია სხვა ძირითად ბრუნვებთან — ნათესაობითსა და მიცემითთან?
3. რა საწარმოებლები აქვს ერგატივის მხოლოდობითსა და მრავლობითში?
4. რა ადგილი უჭირავს თითოეულ მათგანს ამ ბრუნვის წარმოქმნის ისტორიაში?

ამ საკითხთაგან სპეციალურ ლიტერატურაში ზოგი უკვე გარკვეულია, მეტი წილი კი არცაა დასმული. სახელდობრ, რაა ცნობილი და, რაა გასარკვევი, ნაჩვენები იქნება ქვემოთ.

ერგატივი ხუნძურში გარდამავალ ზმნათა რეალური სუბიექტის ბრუნვა და მოქმედებითი ბრუნვის როლსაც ასრულებს; ეს უკვე პ. უსლარს აქვს ნაჩვენები; უსლარს ერგატივი მოქმედებითადის დაჰყავს — **ფუნქციის** მიხედვით; ტერმინადაც მოქმედებითს ხმარობს ერგატივის ნაცვლად.

იმავე პ. უსლარს შენიშნული ჰქონდა, რომ ერგატივი საფუძვლად უდევს ნათესაობითსა და მიცემითს იმ შემთხვევაში, თუ ერგატივი ნაწარმოებია **-ს** ან **ლ'-**თი.

1895 წელს გამოსულს შრომაში „კავკასიური ჩამომავლობის ენები“, რომელიც გენერალ ერკერტის ინიციატივითაა დამუშავებული, ხუნძური ერგატივის საწარმოებელ სუფიქსთა შორის **-დ-** არის მოხსენებული სამხრული კილოებისათვის: ამ ახალი ფაქტის ადგილი არც ერკერტისად ცნობილ შრომაშია გარკვეული და არც შემდეგ ხანებში გამოსულ ლიტერატურაში. იგულისხმება: ლ. ჟირკოვის „ხუნძური ენის გრამატიკა“ (1924), ჟ. დიუმეზილის „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში“ (1932), მისივე „შედარებითი ეტიუდები ჩრდილო კავკასიის ენათა“, აგრეთვე ად. დირის „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში“ (1928).

ეს უკანასკნელი შეჯამებითი ხასიათის შრომაა, მაგრამ მასში **-დ** სუფიქსის შესახებ არაფერია ნათქვამი; და ეს მაშინ, როდესაც ხუნძურში 4 ბრუნებაა გამოყოფილი იმის მიხედვით, რა გვაქვს **ერგატივის ნიშნად: -ს, -ლ', -ცა** თუ **ლ' || -ცა...** (იხ. „შესავალი“, 163); თვით ერგატივი და-

¹ მოხსენდა საქართ. მეცნ. აკად. საზოგად. მეცნიერებათა განყოფილების III სესიას 1941 წ. 18 ოქტომბერს.

ხასიათებულია, როგორც „ყველაზე მნიშვნელოვანი ბრუნვა“, ვინაიდან სხვა გრამატიკული ბრუნვები, ყოველ შემთხვევაში, მხოლოდობითს რიცხვში, მას მისდევენ (*nach ihm richten*, იქვე).

ერგატივის საწარმოებლად ხუნძურში გამოყენებულია:

1. -ს
2. -ლ'ა || ჰაა
3. -ცა
4. -დ || -დი
5. -ჯ

მათი გამოყენების არე განსხვავებულია.

1. -ს იხმარება მხოლოდობითში **პირველი გრამატიკული კლასის** a. **ზოგად არსებით სახელებთან**, b. **ზედსართავ სახელებთან**, c. **მიმღეობასთან**, d. **პიროვნებითს ნაცვალსახელთან** III პირისა, e. **ჩვენებითს ნაცვალსახელთან**...

- a. ვაც „ძმა“ — ვაც-ა-ს
- b. პიტინ-ა-უ „პატარა“ — პიტინ-ა-ს (ცალკე აღებული!)
- c. ბ-იჩულ-ე-უ „გამყიდველი“ — ბიჩულ-ე-ს „ „
- d. დო-უ „იგი“, — დო-ს
- e. ჰა-უ „ეს“ — ჰა-ს
- ჰე-უ „ის“ — ჰე-ს

-ს აფიქსის ხმარების მხრივ ხუნძურ დიალექტებს შორის არავითარი სხვაობა არა ჩანს: ზევით აღნიშნული წესები მთელს ხუნძურს მეტყველებას ეხება, არავითარ რყევას ადგილი არ ურჩება.

-ს აფიქსი ერგატივისა, მასთან, გადაჰყვება ნათესაობითსა და მიცემითში.

ორივე გარემოება ერგატივის ამ ფორმანტს ხუნძური ენის მორფოლოგიის **ძირითად კუთვნილებად** მიგვაჩნევენებს, იგი ხუნძური ერგატივის სხვა აფიქსებს შორის **ყველაზე ძველი** უნდა იყოს.

ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ანდიურის ბრუნების ზოგი თავისებურებაც (იხ. ქვემოთ).

ამასვე გვაფიქრებინებს ამ ფორმანტის გავრცელებულობა ჩაჩნურსა, ინგუშურსა და ბაცბურში.

2. -ლ'ა სუფიქსი (-ლ'ა) იხმარება:

- a) **მხოლოდობითში მეორე გრამატიკული კლასის** . ზოგად არსებით სახელებთან... . ზედსართავ სახელებთან, . მიმღეობასთან, . პიროვნებითს ნაცვალსახელთან III პირისა . ჩვენებითს ნაცვალსახელებთან... — ყველა კილოში.

- b) მხოლ. **მესამე გრამატიკული კლასის** ზედსართავ სახელებთან, მიმღეობასთან, პიროვნებითს ნაცვალსახელთან, ჩვენებითს ნაცვალსახელთან — ყველა ხუნძურ კილოში.
- c) მხოლ. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთან მრავლობითში, უფრო იშვიათად მხოლოობითში — სამხრულ კილოებში.
- d) მხოლოობითში **მესამე გრამატიკული კლასის ზოგად არსებით სახელებთან**; ამასთან შესაძლებელია ეს იყოს:
 -) გარკვეულ სახელებთან ერთადერთი წარმოება ყველა კილოში.
 -) სამხრულ ზოგ კილოკავში (სულრათლურში) მესამე გრამატ. კლასის ზოგად სახელთა გაბატონებული წარმოებაა¹:
 -) ჩრდილო-ხუნძურში, აგრეთვე პიდურში, მუნტიბში, მესამე გრამატიკული კლასის ზოგად სახელთა ფაკულტატიური წარმოებაა.

a—b	{	ა. დაც „და“ — დაც-ა-ლ ^ზ		
		ბ. ჰიტინ-ა-დ, ჰიტინა-ბ „პატარა“	,	ჰიტინ-ა-ლ ^ზ
		გ. ბიჩულე-დ, ბიჩულ-ე-ბ „გამყიდველი“	,	ბიჩულ-ე-ლ ^ზ
		დ. დო-დ დო-ბ „ის“	,	დო-ლ ^ზ
		ე. ჰა-დ, ჰა-ბ „ეს“		ჰა-ლ ^ზ
		ჰე-დ ჰე-ბ „ის“		ჰე-ლ ^ზ

c.	ნიჟ	„ჩვენ“	ნიჟე-ლ ^ზ
	ნუჟ	„თქვენ“	ნუჟე-ლ ^ზ
	დუნ	„მე“	დი-ლ ^{ზა}
	მუნ	„შენ“	დუ-ლ ^{ზა}

d.	რუყ	„სახლი“	— რუყალ ^ზ
	ჩუ	„ცხენი“	— ჩუდალ ^ზ ჩოცა
	ბო	„ჯარი“	— ბოდალ ^ზ ბოცა

ამგვარად **-ლ^ზ** სუფიქსი მეორე გრამატიკული კლასის გარდა მესამე გრამატიკულ კლასშიცაა გამოყენებული: ზედსართავებში, მიმღეობაში, III პირისა და ჩვენებითს ნაცვალსახელებში **-ლ^ზ** ორივე კლასს თანაბრად მოემსახურება.

რაც შეეხება ზოგად არსებით სახელებს, აქაც შეუძლებელია **-ლ^ზ** მეორე კლასის სპეციფიკურ კუთვნილებად დავსახოთ: მესამე გრამატიკული კლასის ზოგადი სახელებიც ფართოდ იყენებენ ამ სუფიქსს.

¹ მესამე კლასის **-ცა || -დ** დაბოლოების მაგივრობას ეწევა პირველი კლასის სახელთან — ინსუცა, — სულრათლურში: ინსულ^{ზა}.

ერთად ერთი განსხვავება თითქოს ისაა, რომ მეორე კლასის სახელებს სხვა არავითარი ფორმანტი არ მოეპოვებათ ერგატივში, მესამე კლასის სახელებში კი -ლ'-ს გარდა გვაქვს -ცა და -დ.

მაგრამ საკმარისია მოვიგონოთ, რომ აწინდელს მესამე კლასში შე-რწყმულია ორი კლასი — მესამე და მეოთხე, — რომ მესამე კლასის ხსენებული თავისებურება ლ'-ს გამოყენებაში თავისებურად აღარ გვეჩვენოს.

-ლ'-ს ფორმანტის გამოყენება გარკვეულ საკითხს სვამს გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში, მაგრამ ამაზე სიტყვის გაგრძელება აქ უადგილო იქნებოდა.

3. -ცა სუფიქსი იხმარება:

a) **მარტოოდენ ჩრდილო ხუნძურში: არც ერთმა სამხრულმა დიალექტმა ის არ იცის.**

b) -ცა ჩრდილო ხუნძურში აწარმოებს ერგატივს:

-) მესამე გრამატიკული კლასის სახელთა უმეტესობაში მხოლოობითში; გარკვეულ სახელებთან პარალელური წარმოება -ლ'-ს ფორმანტით შეუძლებელია.
-) ერთ ზოგად სახელთან პირველი კლასისა: ემენ „მამა“.
-) პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებთან მხოლოობითსა და მრავლობითში.
-) კითხვითსა და რეფლექსურ ნაცვალსახელებთან.
-) პირველი და მეორე კლასის ადამიანთა სახელებთან.
-) ყველა ზოგად სახელთან მრავლობითში.
-) ჩუ „ცხენი“ — ჩო-ცა
- ბო „ჯარი“ — ბო-ცა
- წჳე „თხა“ — წჳე-ცა
-) ემენ „მამა“ — ინსუ-ცა
-) ღუნ „მე“ — ღი-ცა
- მუნ „შენ“ — ღუ-ცა
- ნიჟ „ჩვენ“ (ექსკლ.) — ნეჟე-ცა
- ნილ' „ჩვენ“ (ინკლ.) — ნელ'ე-ცა
- ნუჟ „თქვენ“ — ნოჟო-ცა
-) ში-უ, -ჟ „ვინ?“ — ლ'აი-ცა
- ში-ბ „რა?“ — სუნ-ცა
- ჟი-უ,-ჟ,-ბ „თვით“ — ჟინ-ცა
-) შამილ „შამილი“ — შამილ-ი-ცა
- ფატიმათ „ფატიმან“ — ფატიმათ-ი-ცა

) ჩუდალ	„ცხენები“	— ჩუდა-ცა
ბოდალ	„ჯარები“	— ბოდა-ცა
უმუშულ	„მამები“	— უმუშუ-ცა
ვაც-ალ	„ძმები“	— ვაცა-ცა
დაც-ალ	„დეები“	— დაცა-ცა
ულბ-ულ	„დედეები“	— ულბუ-ცა

გამოდის, რომ **-ცა** ფორმანტს უნივერსალური გამოყენება აქვს: მრავლობითში ის ერთადერთი სუფიქსია ერგატივისა, მხოლოდობითში ეგუება სამივე კლასის სახელებს, საზოგადოსა და საკუთარს.

ჩვენ საშუალება გვქონდა გვეჩვენებინა¹, რომ ზემოთ აღნიშნული ვითარება თვალსაჩინო ცვლილებათა შედეგია; სახელდობრ:

1. მრავლობითში **-ცა** დაბოლოება დამკვიდრებულია **-ზ**-ს ადგილას: ისტორიულად **-ზ** უსწრებს, **-ცა** — მოსდევს. სამხრულ კილოებში **-ზ** მრავლობითის ერთად ერთი ფორმანტია ერგატივში (იხ. ქვემოთ); სამხრულ კილოთა — კონკრეტულად, ანდალალისა და ჰიდის მეტყველების — ზეგავლენით **-ზ** ფორმანტი დამკვიდრდა თანამედროვე სალიტერატურო ხუნძურში.

თვით ჩრდილო ხუნძურში დარჩენილა უტყუარი კვალი იმისა, რომ წინათ მრავლ. ერგატივს **-ზ** აწარმოებდა: ნათესაობითსა და მიცემითში ბრუნვის ნიშანს წინ **-ზ**- უძღვის, **-იანი** ერგატივი ამ ორი ბრუნვის ფუძედაა გამოყენებული:

მრ. ერგ.	ჩუდა- ცა , მაგრამ:
ნათ.	ჩუდა- ზ -ულ
მიც.	ჩუდა- ზ -ე

2. **-ცა** დაბოლოება მეორეულია ნაცვალსახელებისა და ადამიანის საკუთარ სახელთა ბრუნებაში: მხოლოდ ამით აიხსნება ისეთი განსხვავებული კლასებისათვის, როგორცაა პირველი და მეორე კლასი, ერთი და იმავე ფორმანტის გამოყენება, ისიც მესამე კლას-კატეგორიის ფორმანტისა.

3. ამასთან დაკავშირებით აღმოჩნდა, რომ არც ადამიანის სახელებს, არც პირის (I, II პ.) ნაცვალსახელებს ერგატივი არ მოეპოვებოდა მაშინ, როდესაც ზოგად სახელებში ეს ბრუნვა უკვე ჩამოყალიბებული იყო: **ერგატივის ადგილი სახელობითს ებყრა**. ერგატივი ჯერ ადამიანის სახელებ-

¹ იგულისხმება მოხსენება: „ერგატივის წარმოქმნის ისტორიიდან ხუნძურში“, წაკითხული იყო საკავშირო მეცნიერ. აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების სესიაზე 1941 წლ. 26 იანვარს ლენინგრადში. დაიბეჭდა დალესტნის ენის, ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის შრომებში: " (1948), გვ. 5-18.

ში წარმოქმნილა, და მხოლოდ შემდეგ — პიროვნულ ნაცვალსახელებში. ზოგ დიალექტს (ჰიდურს, მაგალითად) დღემდის დაუცავს სპორადულად სახელობითის ხმარება მოთხრობითის ნაცვლად I-II პირთა ნაცვალსახელებში.

ხოლო აულ—კოპორიბ-ის მეატყველებაში (ანდალალია, ღუნების რაიონში), როგორც ეს დადასტურდა 1941 წლის ივნისის ექსპედიციის შედეგად, I-II პირთა ნაცვალსახელებს მრავლობითში ერგატივი არა აქვს: **მის ნაცვლად სახელობითი იხმარება.**

ამრიგად, ხუნძური ერგატივი სახელობითის ტოლი აღმოჩნდა თავისი სინტაქსური ფუნქციით, ხუნძური იმავე მორფოლოგიურსა და სინტაქსურ პრინციპს ამჟღავნებს, რაც ქართველური ენებიდანაა ცნობილი და რაც, ერთის შეხედვით, ქართულისა და ხუნძურის სტრუქტურას შორის გარდაუვალ ზღვარს ქმნიდა.

ისტორიულმა გაერთმნიშვნელობებამ მსგავსება წარმოაჩინა იქ, სადაც სრული სხვაობა ივარაუდებოდა.

4. **-დ || -დი** მარტოოდენ სამხრული კილოების კუთვნილებაა: მას ჭარული, ანწუხური, ჰიდური, ანდალალური, აგრეთვე ჭუნტიბური ხმარობს.

რა შემთხვევაში? ყველგან იქ, სადაც ჩრდილო-ხუნძურს **-ცა** აქვს გამოყენებული. ორი გამონაკლისით:

a) **-დ || -დი** არ აწარმოებს I-II პირთა ნაცვალსახელების ერგატივს მხოლოდობითში — (დი-ცა, დუ-ცა კი ჩრდილო-ხუნძურისათვის ნორმაა).

b) მრავლობითის მოთხრობითში **-დ || -დი** არ გვაქვს (მცირეოდენი გამონაკლისი იხ. ქვემოთ), **-ცა** კი, როგორც უკვე ითქვა, ჩრდილო ხუნძურის ერთადერთი საწარმოებელი აფიქსია აქ. ასეა ამჟამად.

წარსულს თუ გავითვალისწინებთ, ეს მეორე განსხვავება მოიწლება: ისტორიულად მრავლ. ერგატ. **-ზ** უნდა მომდინარეობდეს **დ-საგან** (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). მაშასადამე: როგორც **-ცა** სუფიქსი გვქონდა მხოლოდობითისა და მრავლობითის ერგატივებში, ისევე **-დ || -დი** სუფიქსიც ორივე რიცხვის ერგატივის ნიშანი იყო.

-დ- სუფიქსის ხმარების ნიმუშები:

-) ჩუ „ცხენი“ — ჩო-დ
- ბო „ჯარი“ — ბო-დ
- წე „თხა“ — წე-ე-დ
-) ემენ „მამა“ — ინსუ-დ
-) ნიჟ „ჩვენ“ (ექსკლ.) — ნეჟე-დ
- ნილ' „ (ინკლ.) — ნელ'-ე-დ
- ნუჟ „თქვენ“ — ნოჟო-დ

-) ში-უ, -ჟ „ვინ?“ — ლ'ი-დი
 ში-ბ „რა?“ || სუნ-დ
 || სუნ-დ-უ-დ.

ჟი-უ, ჟი-ჟ, ჟი-ბ, „თვით“

ჰიდ. ჟენ-დ — ჟუნ-დ
 ჭარ. ჟენე-დ — ჟუნუ-დ

-) შამილ „შამილი“ — შამილ-ი-დ
 ფატიმათ „ფატიმან“ — ფატიმათ-ი-დ

5. **-ზ** სუფიქსი, როგორც უკვე ითქვა ზევითაც, მრავლობითშია ჩვეულებრივ ერგატივის ნიშანი: ასეა სამხრულ დიალექტებში. აქედან — თანამედროვე სალიტერატურო ხუნძურშიც დამკვიდრდა ეს წარმოება.

ჩრდილო ხუნძურში ეგვევ **-ზ** სუფიქსი ერგატივისა დაჩნდება ნათესაობითსა და მიცემითში (იხ. ზემოთ).

ორიოდე შემთხვევაში **-ზ** სუფიქსი მხოლოობითშიც უნდა გვქონდეს; ამ მაგალითებს ქვემოთ დავუბრუნდებით.

ზემოხსენებულ სუფიქსთაგან:

-ს და **-ლ'ზ**, აგრეთვე **-ზ ყოველთვის გადაჰყვება ნათესაობითსა და მიცემითში**, **-ცა** — **არასოდეს გადაჰყვება ნათესაობითსა და მიცემითს**. რაც შეეხება **-დ** სუფიქსს, იგი, როგორც წესი, აგრეთვე არ გადაჰყვება სხვა ძირითად ბრუნვებს.

ჩვენი მიზანია დავაზუსტოთ, როდის შეიძლება გადაჰყვეს ეს სუფიქსი ნათესაობითსა და მიცემითში და როგორია ისტორიული ურთიერთობა **-ცა** და **-დ** სუფიქსებისა.

რაც შეეხება **-ს** სუფიქსს, მის შესახებ ზემოთ (იხ. გვ. 92) თქმულით დავკმაყოფილდებით.

-ლ'ზ სუფიქსზე გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ისტორიის საკითხთან დაკავშირებით მოგვიწევს საუბარი.

-ცა სუფიქსი.

ამ სუფიქსის გამოყენების არე უკვე ნაჩვენებია გვაქვს. რა ახასიათებს მის ხმარებას და რა დასკვნას ვიღებთ აქედან?

1. **-ცა** სუფიქსი **მრავლ. ერგატივში მეორეული მონაცემია**. მას **-ზ** სუფიქსის ადგილი დაუჭერია. ეს უკვე გვაქვს ნათქვამი.

2. მხოლოობითშიც დასტურდება მისი **მეორეულობა**:

- ა. ადამიანთა სახელების ბრუნებისას (იხ. ზემოთ).
- ბ. I-II პირთა ნაცვალსახელების ბრუნებისას (იხ. ზემოთ).
- გ. **ემენ-** სახელის ბრუნებისას.

ამ სახელში ორმაგი დაბოლოება გვაქვს თითქოს: **-ცა** და **-ს**: ემ-ენ „მამა“ — **ემ-ს** — ემ-ს-უ-ცა...

-ენ არა ჩანს; შდრ. თუქენ „დუქანი“ — თუქა-ცა...

-ს, ეს კანონზომიერი ფორმანტი I კლასის ერგატივისა, ჩანს, არ იგრძნობოდა სიტყვის ძლიერი ფონეტიკური ცვლის გამო(!), მერე დაერთო **-ცა**...

-ცა ფორმანტისათვის ამგვარად გვრჩება მხოლოდ III გრამატიკული კლასის სახელები: **აქა მისი ადგილი**.

ამჟამად მას აქ მოცილედ **-ლზ** სუფიქსი მოველინა: ჩო-ცა — ჩუდა-ლზ „ცხენმა“... ბოცა — ბოდალზ „ჯარმა“. ლ. ჟირკოვი **-ცა** ვარიანტს არქაულს უწოდებს, **-ლზ**- სუფიქსიან ერგატივს — „ცოცხალს“ და კატეგორიულად ამბობს:

„არქაული ბრუნების ყოველი სახელი (გამოუკლებლივ) შეიძლება იბრუნებოდეს ცოცხალი ბრუნების მიხედვითაც“¹.

თავი რომ დავანებოთ ტერმინოლოგიურ საკითხს („ცოცხალი“ — „არქაულს“ ვერ დაუპირისპირდება, რამდენადაც „არქაულიც“ ხმარება-შია, ე. ი. ცოცხალია), დებულება ლ. ჟირკოვისა გამეორებაა პ. უსლარის აზრისა „საშუალო სქესის ყველა სახელი გამოუკლებლივ შეიძლება ვაბრუნოთ პირველი ნიმუშის მიხედვით“ (ე. ი. **ლზ**-თი)².

ეს ტენდენცია **-ცა**-ს **-ლზ**-თი შეცვლისა საგულისხმოა აფიქსთა გამოყენების დინამიკის თვალსაზრისით.

საინტერესოა, რომ ეს შეცვლა არ ხდება არც ნაცვალსახელებსა და არც ადამიანთა საკუთარ სახელებში, ე. ი. იქ, სადაც **-ცა** მეორეული და, მაშასადამე, შედარებით ახალი მონაცემია.

ყოველ შემთხვევაში ასეა ჩრდილო ხუნძურში. სულრათლში შესაძლებელია: ინსულზა ინსუცა-ს ნაცვლად, დილზა, დულზა..., მაგრამ აქ **ლზა** **-დ**-ს უნდა ცვლიდეს (და არა **-ცა** სუფიქსს).

-დ სუფიქსს იყენებენ სამხრული დიალექტები (ანდალალური, ჰიდურ-რი, ანწუხური, ჭარული) იმავე შემთხვევებში, სადაც ჩრდილო-ხუნძური **-ცა**-ს იძლევა.

აქედან: ა) ადამიანის საკუთარ სახელთა ბრუნებისას
ბ) I-II პ. ნაცვალსახელების ბრუნებისას
გ) ემენ- სახელის ბრუნებისას **-დ** სუფიქსის გამოყენება მეორეული უნდა იყოს სწორედ ისევე, როგორც **-ცა** სუფიქსით წარმოებაა მეორეული.

ძირითად კონტინგენტს **-დ**- სუფიქსისათვის მესამე გრამატიკული კლასის სახელები შეადგენს.

¹ იხ. . . . , 1924, § 58, გვ. 90.

² იხ. . . . : . . . § 46, გვ. 49.

იმ შემთხვევაში, სადაც -დ მეორეულია, იგი არ გადაჭყვება სხვა ბრუნვებში, ხოლო სადაც ის უფრო ძველია, შეიძლება გადაჭყვეს სხვა ბრუნვებში.

ამით -დ იმავე წყებაში მოექცევა, რასაც -ს და -ლს დაბოლოებანი ქმნიან.

ერგატივის -დ არ გადაჭყვება (ნათესაობითსა და მიცემითში):

ადამიანთა სახელებსა და გვარებში არასოდეს:

სახ. შამილ- „შამილი“
 ერგ. შამილ-ი-დ
 ნათ. შამილ-ი-ლ
 მიც. შამილ-ი-მ-ე, ანწუხ. შამილ-ი-ბ-ე...

სახ. ფატიმათ- „ფატმანი“
 ერგ. ფატიმათ-ი-დ
 ნათ. ფატიმათ-ი-ლ
 მიც. ფატიმათ-ი-მ-ე, ანწუხ. ფატიმათ-ი-ბ-ე

ნაცვალსახელებში:

სახ. ნიჟ „ჩვენ“ (ექსკლ.) მუჟ „თქვენ“
 ერგ. ნეჟ-ე-დ მოჟ-ო-დ
 ნათ. ნეჟ-ე-რ მოჟ-ო-რ
 მიც. ნეჟ-ე-მ-ე მოჟ-ო-მ-ე

სახ. შიჟ, შიჟ „ვინ“ ში-ბ „რა?“
 ერგ. ლ'ი-დ || ლ'ი-დი სუნდ-უდ
 ნათ. ლ'ი-ლ სუნდ-ულ
 მიც. ლ'ი-მ-ე სუნდ-უ-მ-ე

სახ. ემენ
 ერგ. ემც-უ-დ
 ნათ. ემც-უ-ლ
 მიც. ემც-უ-მ-ე

ანწუხ. სახ. ბაჟ „მგელი“
 ერგ. ბაჟ-ი-დ
 ნათ. ბაჟ-ი-ლ
 მიც. ბაჟ-ი-ბ-ე

მუნტ. სახ. რაკ „გული“ რაკ-ალ მუცა „ქვა“ დილზა შოცოდ ბურუნ^ნ
 ერგ. რუკ-ე-დ რაკ-ა-ზ შოცა-ო-დ ჭვან „მე ქვით გველი
 ნათ. რუკ-ე-ლ რაკ-ა-ზ-ულ შოცა-ო-ლ მოგვალი“... შოცოდ ტყერ
 მიც. რუკ-ე-მ-ე რაკ-ა-ზ-ე შოცა-ო-მ-ე „ქვის ფერი“.

სახ. ჩან „ნადირი“ ცენ^ნ „წიგნი“, „ცხვრის ტყავი“ შერ „ჭოკი“
 ერგ. ჩან-ი-დ ცოხ^ნ-ო-დ შორ-ო-დ
 ნათ. ჩან-ი-ლ ცოხ^ნ-ო-ლ შორ-ო-ლ
 მიც. ჩან-ი-მ-ე ცოხ^ნ-ო-მ-ე შორ-ო-მ-ე

სახ. ქოშო „ლეკვი“ ქორ „ლუმელი“ წულ „შეშა“ როლზ „ხორბალი“
 ერგ. ქიშ-ი-დ ქორ-ო-დ წულ-ა-დ როლზ-ა-უ-დ
 ნათ. ქიშ-ი-ლ ქორ-ო-ლ წულ-ა-ლ როლზ-ა-უ-ლ
 მიც. ქიშ-ი-მ-ე ქორ-ო-მ-ე წულ-ა-მ-ე როლზ-ა-უ-მ-ე

სახ. მუჩ „ფეტვი“ ჭორ „ისარი“ მაჰა „სუნ“
 ერგ. მუჩ-ი-დ || მოჩ-ო-დ ჭურ-ი-დ მაჰა-ი-დ
 ნათ. მუჩ-ი-ლ ჭურ-ი-ლ მაჰა-ი-ლ
 მიც. მუჩ-ი-მ-ე ჭურ-ი-მ-ე მაჰა-ი-მ-ე
 : „დილზა ჭურიდ ბაწ ჭვან — „მე ისრით მგელი მოგვალ“

სახ. ცენჭ (ჩრდ. ხუნძ. ტინჭ „ნაშიერი“) ჰორ „არყის-ხე“
 ერგ. ცინჭ-ი-დ ჰორ-ი-დ
 ნათ. ცინჭ-ი-ლ ჰორ-ი-ლ
 მიც. ცინჭ-ი-მ-ე ჰორ-ი-მ-ე

-დ გადაწყვება ნათესაობითსა და მიცემითში:

მუნტიბური:

სახ. ცი „დათვი“ შდრ. მრავლ. ცი-მალ ცაე „თხა“ მრავლ. ცანი „თხები“
 ერგ. ცი-დ || ცილ^ა ცი-მ-ა-ზ ცაე-დ ცან-ზ-ა-დ
 ცი-დ-ულ ცი-მ-ა-ზ-ულ ცაე-დ-ულ ცან-ზ-ა-ლ
 ცი-დ-უ-მ-ე ცი-მ-ა-ზ-ე [ცაე-დ-უ-მ-ე] [ცან-ზ-ა-მ-ე]

სახ. ბო „ჯარი“ ჩუ „ცხენი“ ბი „სისხლი“
 ერგ. ბო-დ ჩო-დ ბი-დ
 ნათ. ბო-დ-ულ ჩო-დ-ულ ბი-დ-ულ
 მიც. ბო-დ-ე ჩო-მ-ე(!) ბი-დ-უ-მ-ე
 შდრ. მრავლ. ბო-მ-ალ ჩუ-მ-ალ

სახ.	ნაი „ფუტკარი“	ჰე „ცვილი“	ტო „ხილი“
ერგ.	ნა-დ	ჰე-დ	ტო-დ
ნათ.	ნა-დ-ულ	ჰე-დ-ულ	ტო-დ-ულ
მიც.	ნა-დ-უ-მ-ე	ჰე-დ-უ-მ-ე	ტო-დ-ე

სახ.	ბერ „თვალი“	ქვერ „ხელი“
ერგ.	ბერ-დ	ქვერ-დ
ნათ.	ბერ-დ-ულ ¹ ჩრდ. ხუნძ. ბერ-ზ-ულ	ქვერ-დ-ულ
მიც.	ბერ-დ-ე	ქვერ-დ-უ-მ-ე

სახ.	ჰენ „ყური“	ლეჟ „ხელი“ (le bras)
ერგ.	ჰენ-დ ²	ლაჟა-ლ-დ
ნათ.	ჰენ-დ-ულ	ლაჟა-ა-ლ-დ-ულ
მიც.	ჰენ-დ-ე	ლაჟალ-დ-ე

ანწუხური:

სახ.	წე „თხა“	ჩუ „ცხენი“	ნა „ფუტკარი“	ბო „ჯარი“	ბი „სისხლი“
ერგ.	წე-დ	ჩო-დ	ნა-დ	ბო-დ	ბი-დ
ნათ.	წე-დ-ულ	ჩო-დ-ულ	ნა-დ-ულ	ბო-ლ(!)	ბი-ლ
მიც.	წე-დ-ჯ-ი-ბ-ე	ჩო-დ-ი-ბ-ე	ნა-დ-ჯ-ი-ბ-ე	ბო-დ-ჯ-ი-ბ-ე	ბიდ-ჯ-ი-ბ-ე

სახ.	ჰინ „ყური“	ქველ „ხელი“	ბელ „თვალი“
ერგ.	ჰინ-დ	*[ქველ-დ]	
ნათ.	ჰინ-დ-ულ	ქველ-დ-ულ	ბელ-დ-ულ: დირ ბელდულ ქანთი — ჩემი თვალის სინათლე... ბელდულ ტუჰელ — ქუთუთო... ბელდულ მითირ — წამწამი.

ჰიდური:

სახ.	წე „თხა“	ჩუ „ცხენი“	ბი „სისხლი“	ნა „ფუტკარი“	ჰე „ცვილი“
ერგ.	წე-დ	ჩო-დ	ბი-დ	ნა-დ	ჰე-დ
ნათ.	წე-დ-ულ	ჩო-დ-ულ	ბი-დ-ულ	ნა-დ-ულ	ჰე-დ-ულ
მიც.		ჩო-დ-ე	ბი-დ-ე	—	—

¹ ჰაბ ჰიმირ დირ ბერდულ ქანჰი ბუგო — ეს ბავშვი ჩემი თვალის სინათლეა.

² ჩოდ ბოლოდჟასა ტუტ ჰენდ ნახე ჟაჰან — ცხენმა თავიდან ბუზი ყურით გარეკა.

ჭუნხური:

სახ.	ცი „დათვი“	წყე „თხა“	ბო „ჯარი“	ჩუ „ცხენი“	ნაი „ფუტკარი“
ერგ.	ცი-დ	წყე-დ	ბო-დ	ჩო-დ	ნაი-დ
ნათ.	ცი-დ-ულ	წყე-დ-ულ	ბო-დ-ულ	ჩო-დ-ულ	ნაი-დ-ულ
მიც.				ჩო-დ-უ-ე-ე	

შდრ.	მრავლ.	სახ.	წინი	მხოლ.	სახ.	ჰე „ცვილი“
		ერგ.	წან-ა-ზ წან-ზ-ა-დ		ერგ.	ჰე-დ
		ნათ.	წან-ზ-ა-ლ		ნათ.	ჰე-დ-ულ

„გადაყოლილი“ -დ ფუძისეული უნდა იყოს:

მუნტიბ.:	სახ.	ჭანკო „ქათამი“	ყე „კედელი“
	ერგ.	ჭანკოდ	ყედ
	ნათ.	ჭანკოდ-ულ	ყედ-ულ
	მიც.	ჭანკოდ-ე	ყედ-ე

ჭანკო რთული ფუძეა: ჭან-კო კოდ (შდრ. **ქათამი**)... ყე იგივე ჩანს, რაც კედ-ელ-ის ძირი: ყე კედ...

ერგატივის -დ ენახებათ ნათესაობითში მეტ წილად ერთმარცვლიან ფუძეებს. ამას შეუძლია ეჭვი დაბადოს: ამ ერთმარცვლიანობასთან ხომ არ არის დაკავშირებული -დ-ს შენახვა (ვთქვათ, -დ ფუძის კუთვნილებაა და შემოენახა ამიტომ ერთმარცვლიანებს).

ეს ასე არ უნდა იყოს: ერთმარცვლიანი იყო მეტ წილად ის ფუძეებიც, -დ რომ არ გადაჰყვა: ერთმარცვლიანი ფუძეები საერთოდ ბევრია ხუნძურში.

მერე: ძნელი წარმოსადგენია, ფუძის ბოლოკიდურად დ ასე ხშირად გვქონოდა.

სამხრული დიალექტების ეს შემთხვევები, სადაც ერგატივის -დ გადაჰყვება ნათესაობითსა და მიცემითს, გასაგებს ხდის იმ -დ-ს რაობას, რომელიც ჩრდილო ხუნძურში მესამე კლასის ზოგად სახელთა ნათესაობითსა და მიცემითის დაბოლოებათა წინ ამოტივტივდება ხოლმე:

ჩუ „ცხენი“
 ჩო-ცა
 ჩო-დ-ულ || ჩო-ლ

ეს -დ სხვა არაფერია, თუ არ ერგატივის -დ, შემონახული ნათესაობითში.

აქედან დასკვნა: **ჩრდილო ხუნძურშიც შესაძლებელი ყოფილა -დ ერგატივის ნიშნად.**

-დ ჩრდილო ხუნძურში ისტორიულად წინ უსწრებს -ცა აფიქსს.

-დ მესამე გრამატიკული კლასის სახელებს ახასიათებდა, როგორც სამხრულ, ისე ჩრდილო ხუნძურ დიალექტებში, -ცა სუფიქსი შემდეგ გამოდის ერგატივის საწარმოებელ სუფიქსად და იკავებს -დ-ს ადგილს.

ნათესაობითში შემონახული -დ ამაში ეჭვს არ ტოვებს¹. ეგვევ -დ მეტ წილ შემთხვევაში გადაჰყვება მიცემითშიც².

რომ ჩრდილო ხუნძურშიც ერგატივი -დ-თი იწარმოებოდა აწინდელ -ცა-ს ნაცვლად, ამას ერთი გარემოებაც გვიდასტურებს.

ზევით უკვე გვქონდა შემთხვევა ალგენიშნა, რომ მრავლობითის ერგატივის -ცა ჩრდილო ხუნძურში მეორეულია: ნათესაობითსა და მიცემითში წარმოჩნდება -ზ, წინანდელი სუფიქსი ერგატივისა.

ერგატივის ნიშანი -ზ კი უნდა იყოს ფონეტიკურად სახეცვლილი -დ. რომ ეს დამაჯერებელი გახდეს, საჭიროა ვაჩვენოთ, რომ:

1. მხოლოობითის -დ მრავლობითშიც შეიძლება იქნეს გამოყენებული;
2. -დ სუფიქსს შეიძლება შეენაცვლოს -ზ ფონეტიკურ ნიადაგზე.

ერთიცა და მეორეც დასტურდება ხუნძური დიალექტების ფაქტებით.

ჭუხის თქმაშიცა და შუნტიბში, აგრეთვე ანწუხურს დიალექტშიც უღაო მაგალითებია -დ-ს მრავლობითში გამოყენებისა:

ჭუხ.	მხოლოობითი:		მრავლობითი:
სახ.	წყე	შუნტ. ცაყე	სახ. წჳინი შუნტ. წჳან-ა-ზ
ერგ.	წყე-დ	,, ცაყე-დ	ერგ. წჳან-ზ-ა-დ შუნტ. ცჳან-ზ-ა-დ
ნათ.	წყე-დ-ულ	,, ცაყე-დ-ულ	ნათ. წჳან-ზ-ალ ,, ცჳან-ზ-ალ
			წჳან-აზ-ულ

ანწუხ.	მხოლოობითი:		მრავლობითი:
სახ.	ჰჳამა „ვირი“	სახ.	ჰჳემ-ულ
ერგ.	ჰჳიმი-დ		ჰჳემ-უ-ზ-უ-დ
ნათ.	ჰჳიმი-ლ		ჰჳემ-უ-ზ-უ-ლ
სახ.	შურწჳემ „ჯორი“	მრავლ.	სახ. შურწჳამი-ლ
ერგ.	შურწჳამი-დ	ერგ.	შურწჳამი-ზ-უ-დ

ამ მაგალითებში მრ. ერგ.-ში გამოიყოფა **ზ-ა-დ || ზ-უ-დ**; ბოლოკი-დური -დ ერგატივის ჩვეულებრივი ნიშანია, რასაც მხოლოობითში ვხედავთ იმავე სახელებში (და ბევრ სხვაში):

¹ რატომ ნათესაობითმა და არა მიცემითმა შემოგვინახა ეს აფიქსი? ნათესაობითის ფართო გამოყენება, კერძოდ, მსაზღვრელად ხმარება, უნდა ყოფილიყო ამისთვის ხელსაყრელი პირობა.

² ზოგან მერეა მიცემითში დაკარგული.

წი-ე-დ — წიან-ზ-ა-დ...
 ჰიმი-დ — ჰუმე-ზ-უ-დ
 შურწამ-ი-დ — შურწამი-ზ-უ-დ

-ზ- ამგვარ დაბლოებაში ერგ. მრავლობითის ის საწარმოებელია, რომელიც ნათესაობითა და მიცემითში გადაჰყვება ხოლმე:

წიან-ზ-ა-დ წიანაზ-ა-დ...

რომ ეს მართლა ასეა, მტკიცდება წიან-ზ-ად-ის გვერდით პარალელური ფორმის არსებობით: წიანა-**ზ**, რომლისაგანაც ჭუხურში ნათესაობითიც მიღებული გვაქვს:

ერგ. წიანა-**ზ** — ნათ. — წიანა-**ზ-ულ**.

ამრიგად, წიანაზად ტიპის ფორმა ერგატივის ორ ნიშანს შეიცავს: **-ზ**-სა და **-დ**-ს (წინამავალი ხმოვნის საკითხს არ ვეხებით).

მართალია, **-დ** მერეა დართული (შდრ. ქართ. ქვ-ებ-თ-ა), ე. ი. შედარებით ახალი ფაქტია, მაგრამ ამით არსებითად არაფერი იცვლება:

